

974/4

ԳԻՆԵՄ

11

1974



რაფიელ პრისტავს

როს მშრომელთ გლეხთა ვაებით
საბრალოდ აცრემლებული
ზეცას შეპყვნესდი, მგოსანო,
ერისთვის თავ-დადებული;
როს ერის კეთილდღეობით
საამოდ აღტაცებული,
სიმთ აულერებდი ტკბილ-ხმაზე
ვით ზეცით მოვლინებული.
როს დაჰგალობდი სამშობლოს,
ის იყო შენი ტრფიალი
მისთვის გაჰქონდა შენს ჩანგსა
გულის-წარმტაცი წყქრიალი...

მაშინ, მგოსანო, ქართველი
თურმე ციურ ძეგლს გიგებდა
და წარსულ შრომა ვაებას
აწმყოთი გიგვირგვინებდა.
შენმა სიტყვებმა მის გულში
უკვე გაიდგა ფესვია,
მოიმკე, წმინდა მსცოვანო,
რაც სიურმით დაგითვისია;
ნამგლად იხმარე ერისგან
გრძნობით ჰაერში ძახილი:
ვაშა, რაფიელ! გამრავლდეს
მამულში შენებრი შვილი!!!

სესე

210

გამოცემის მეთვრამეტე წელი

1974

11

ნომერი

1974

თბილისი

საბ. კვ. ც. ი. ს. გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შურონალი

საქართველოს ალკ. ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

შინაქრსი

პროზა, პოეზია

- 3. ირაკლი აბაშიძე. ლექსები
- 5. ვაჟაჲ ამირხეიზი. დამთა თუთაშხნია წიგნი მეორე. რომანი. დასაწყისი
- 78. ალი ისაივ-აჰმარსკი. სამყიწრის სიტყვა კარლო კალაქს. ლექსი. ავარიულიდან თარგმნა. თხარ შალამბერიძემ
- 79. ხალათერ არაბული. ლექსები
- 81. დავით მჟვალური. ლექსები
- 82. რაჟო შვიშვილი. შალიკო ხმინგიაძის თავგადა-საგალი. მოთხრობა
- 101. კოტე ამირიძე. ლექსები
- 103. თენგიზ სვანიძე. იმ დიქ დამეში. ლექსი
- 104. რაჟაჲ ოსეზაიშვილი. ში მიწა მიწვარს მესხური. ლექსი

ნარკვევი

- 105. ავთანდილ ციხაძე. ში ვნეღავ ტურჩიშის რეს-პუზღლიას

150 — რაზიელ ერისთავი — 150

- 112. ვალერიან ითონიშვილი. რაზიელ ერისთავი რომოგოც ეთნოგრაფი

წერილები

- 121. აბაკი ზაქარაძე. რა არის თათჰარიშეოგა?
- 131. გიორგი კალანდაძე. ლიტო-ეპიკური ნაკადი გიორგი ლეონიძის პოეზიაში
- 137. ივანე ივანიშვილი. კართული სალიტერატურო ენის ნორმალიზაციის საკითხები
- 147. თინა ჩხანიძე. ბათა შქმის ფოლკლორული ხასი-აში

100 — გულია — 100

- 154. გრიგოლ კერესელიძე. დიმიტრი გულია
- 159. უოჰელი მხრიდან

მთავარი რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
 გურამ ასათიანი,
 ვალერიან ზაქარაძე,
 აბაკი ზაქარაძე,
 გივი გეგეჭორი,
 გურამ გვერდუთელი,
 მერაბ ელიოზიშვილი,
 კარლო კალაძე,
 კონსტანტინე
 ლორთქიფანიძე,
 ოტია კაპაძორია
 (პასუხისმგებელი მდივანი),
 ნოდარ წულეისკირი,
 ტარიელ ზანტურია,
 სერგი შილაია,
 თაგაჲ შილაია,
 ლაშა ჯანაშია.

მ ა ნ ა მ დ ის

ცოტაც... და უკვე
„აწ და მარადის“...
მაგრამ მანამდის, მაგრამ მანამდის
კიდევ რიონის,
 კიდევ არაგვის,
კიდევ კრწანისის,
 კიდევ მარაბდის,
კიდევ ბაღდადის,
 კიდევ თვალადის,
კიდევ „ლილოს“,
 კიდევ „ვარადის“
კუბოს კარამდის,
კუბოს კარამდის.

მგოსნის აღვილი

ბალყარეთის სახალხო პოეტს
ყ ა ი ს ი ნ ე უ ლ ი ე ვ ს.

მივიჩქაროდით ომში მგოსნები
შენს ლურჯ ქედებში,
 შენს ბალყარეთში...
ცეცხლდამშენები და ჯავშნოსნები
დარიალანის შემკრთალ კარებში.

წინ მთებზე მთები
ცათასწორები,
ყველას რომ ერთად დაჰყოვნებია...
წელზე მათარა და პისტოლეტი
მგოსნებს რომ ფიქრშიც არ გვექონებია.

სული ადძრული
და ვაჟკაცური,
მანც მგოსნური, მანც ალალი
და ეგერგილოდ, უშნოდ ჩაცმული
ტანზე მეომრის ხალათ-შარვალი.

მივიჩქაროდით ომში მგოსნები
მტრის შავ სულზე რომ
 შური გვეძია...
მანც ჰანგები, მანც ლოცვები,
მანც ბალღობა და პოეზია.

მაინც მონები
ჩვენის ხელობის
ჩვენებერ უმართაუდით
ჩვენს გულ-გონებას:
თმშიც ვეძებდით, თმშიც ველოდით
ჩვენ პოეზიას და ხელოვნებას.

იყო ქცეული
მთები, ბორცვები
ცეცხლდამშენებად და ჯავშნოსნებად...
მივიჩქაროდით თმში მგოსნები —
მაინც მგოსნებად, მაინც მგოსნებად.

გზები და გზები,
დამისთევეები
შენს ლურჯ მთებამდე,
შენს ტკბილ მიწამდე;
შენს ბალყარეთში ჩვენ-ქართველები,
შენ ჩვენს დიდ მიწას
შორს რომ იცავდი.

შენს ბალყარეთში
რისხვა განგების,
შენს ბალყარეთში ელდა მზაფრაფი;
სუსხი, ყვილი დაცლილ სანგრების,
ქართველ ვაჟკაცთა სამშო საფლაფი.

მკვდრებზე, ნაღმებზე გადაბიჯება
გზებში გრიალში,
გზებში მტფრიანში...
ჩვენი გონს მოსვლა და გაგიქება
შენი ჩვეემის ორომტფრიალში.

მკაცრ სინამდვილის,
შავ სინამდვილის,
მწველ სინამდვილის ქვეყნად თარეში, —
ეს იყო ახლა მგოსნის ადგილი
ჩვენ რომ იქ ვნახეთ, შენს ბალყარეთში.

იყო ქცეული
მთები, ბორცვები
ცეცხლდამშენებად და ჯავშნოსნებად...
მივიჩქაროდით თმში მგოსნები —
მაინც მგოსნებად, მაინც მგოსნებად.

ჭაბუკი ამიკაჯიბი

დათა თუთაშხია

რომანი

წიგნი მეორე

კარი პირველი

... მიუხედავად თუთაშხიას მას ურჩხულსა პირიდან ცეცხლგადმოშინარეს, შთასცა შუბი ხახასა შინა, განართხო მიწასა ზედა და მოკვეთა თავი იგი უხაროდის მათ ცოტა კაცთა, რომელნი იყვნენ ფარულად თაყვანისმცემელნი წესისა თუთაშხიასი და ჰგონებდნენ მას მხსნელად ერისა.

გარნა ფენიქსებრ აღხდგა ურჩხული და მოინა ერთისა მოკვეთილისა თავისა წილ თავი შეიდი. აღიძრა თუთაშხია კვალად და შემუსრნა შეიდივე თავი ურჩხულისა. მოვიდა სისხლისა ღვარი და მღინარე მისი აღიდებულად ვარდავიდა ნაპირთაგან წალღევად ქვეყნისა. წარიდო და დანთქა სისხლმან მონაგარი მამაპაბათა. არღა დარჩა მხენელი და არღა შეიქმნა მოცალღება თესვისათვის, კაცთა იწყეს კლვა და მუსრვა, რამეთუ ედოთ გულსა შიგან: რომელთამე განზრახვა ეხერგივი მიმართ სხვათა;

ვიეთნი კლვიდნენ განურჩევლად და სცემდნენ ნადგურსა, რამეთუ განმდგარ და განურილი იყვნენ ჰემარიტის დანიშნულებისაგან კაცისა სოფელსა შინა; სძულდათ ყოველი, თუმცა არა უწყიდნენ, რაი სურდათ, გარდაი კლვისა და მუსრვისა და ჰქონდათ განმართლებად ბოროტებისა თვისისა მაგალითი თუთაშხიასი, რომელმან ძალითა დათრგუნვა იზრახა ურჩხულისა.

ხოლო ურჩხულმან ყოველისა მოკვეთილისა თავისა წილ ამოიყარა შეიდი და ამოდენჯერვე განმრავლდა ბოროტება ერსა შორის.

დაეცა ზარი თუთაშხიას ნახულისა გამო და მოიცვა იგი რწმენამ, რამეთუ ვერცა ვინ არგოს მოდგმასა კაცთა, თუ არ კაცმავე.

განიზრახა თუთაშხიას, სულმა კრებითმა მან, გარდაქცევა ძედ ზორციელად და იქმნა თუთაშხია განზრახვასა თვისისა შინა ღმერთად!

გრავი სკვადი

დათა თუთაშხიას ხელმეორედ გააბრაგების შემდეგ ყურადღების ღირსი და მნიშვნელოვანი ბევრი რამ მოხდა.

მხედველობაში მაქვს „კილიკის“ გარშემო შექმნილი ვითარება და სხვა ამგები, რაც შეზღუდული კაცების ქმედ-



ბისა და მოღვაწეობის დასახსიათებლად გამოდგება, იმაში გასარკვევადაც, თუ რას ნიშნავს გამოთქმა „ჭკვიანი კაცი“ და უმთავრესად და პირველ ყოვლისა, იმის სათქმელად, თუ როგორი და რა გავლენა მოახდინა იმ ამბებმა ჩემს შეხედულებებზე, თვალსაზრისზე და შემდგომ პირად ცხოვრებაზეც.

სანამ თხრობას შევეუდგებოდე, მცირე რამ მოსაზრება მაქვს სათქმელი. ჩემი ღრმა რწმენით, ზრდადამთავრებული აღამიანი სხვა აღამიანებთან თუ მოვლენებთან ურთიერთობას წინასწარ შეთვისებული სტერეოტიპებით ანხორციელებს. იგულისხმება საქციელის სტერეოტიპი. განვმარტოთ. სტერეოტიპის აღქმა-შეთვისების პროცესი დაბადებიდანვე იწყება და, ძირითადად, ოცი, ოცდახუთი წლის ასაკისთვის მთავრდება. ამის შემდეგ მიმდინარეობს მისი დახვეწა-რაფინირება, ანუ თვით სტერეოტიპის ქვესტერეოტიპებად დანაწევრება და ეს მთელი სიცოცხლის მანძილზე გრძელდება. მაგალითისთვის ვიტყვი: აღქმა-შეთვისების პროცესში შევიძინე სტერეოტიპი — მათხოვარს უნდა ვაჩუქო. შემდგომში ეს სტერეოტიპი დანაწევრდა: როგორ მათხოვარს, რა პირობებში, რამდენი უნდა ვაჩუქო თუ არ ვაჩუქო. ან: სიჭაბუქის წლებში შევიძინე სტერეოტიპი — უნდა მეცვას ისე, რომ ჩემმა ჩაცმულობამ არავინ შეაწუხო. დანაწევრებამ შემაიარაღა ქვესტერეოტიპებით, რომელთა წყალობით ვახერხებდი ამა თუ იმ წრის ესთეტურ მოთხოვნათა დონის დადგენას და ამის მიხედვით ჩაცმულობის მოწესრიგებას. ყოველივე ამას ხასიათის, ფსიქიკის ცვლილება-განვითარებაც ჰქვია. ჩემი საქციელისა და ქმედების სტერეოტიპების დანაწევრება, ძირითადად, უცხოეთში განსწავლისა და შემდეგ საიდუმლო სამსახურის წლებში მოხდა და ეს პროცესი, შეიძლება ითქვას, დღემდე გრძელდება. ფიგურალურ თქმას თუ გამოვიყენებ, რამდენი მათხოვარიც შემხვედრია, იმ-

დენი ახალი ნაწევრის შეძენა განუცდილა მათხოვრებისთვის განკუთვნილ ჩემს სტერეოტიპს; რამდენ ადგილშიც ეყოფილვარ მიპატიჟებული ან საქმეზე მისვლა დამჭირვებია, იმდენჯერ, სტერეოტიპის ძალით და მისგან გამომდინარეს, საგანგებოდ მიფიქრია, თუ რისთვის უნდა მიმექცია ყველაზე მეტი ყურადღება ჩაცმულობაში და ეს კი ახალი სტერეოტიპის შემუშავებას ნიშნავდა. ძირითადად კი — თუნდ მხოლოდღა მოთხოვნილების სახით — უცვლელი მრჩებოდა: უნდა ვაჩუქო! ჩაცმულობით არავინ შეაწუხო! და ასე შემდეგ. აქვე აღვნიშნავ, სტერეოტიპი, პირველ რიგში, თანდაყოლილი თვისებებისა და გარემოს ურთიერთზემოქმედების პროდუქტია და ყველა სტერეოტიპი ერთად — ის კომპლექსი, რომელიც ქმნის აღამიანის დამოკიდებულებას, როგორც გარემოსადმი, ისე საკუთარი შინასამყაროს მიმართ. ამგვარად, თუ სტერეოტიპი ერთ რომელიმე მოვლენასთან ურთიერთობის წინასწარ შემუშავებული ხერხია — დამოკიდებულებას მთელ სამყაროსთან ურთიერთობის პრინციპი შეიძლება ეწოდოს. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, გაცილებით რთულია, მაგრამ ჩემი მიზანი ჩემს მიერ ჭეშმარიტებად მიჩნეული მდგომარეობის შედეგების განხილვაა და არა თვით მდგომარეობის ლოგიკა. ამიტომ, ნათქვამი საკმარისი მგონია.

შეიძლება ვასაკვირიც იყოს, მაგრამ კაცობრიობას დანამდვილებით ჭკვიანი კაცები ერთობ ნაკლებად ურევია. ეს განსაკუთრებით ცხადი და ნათელია მონარქების, პრეზიდენტებისა და კანცლერებისთვის, რომელთა ენაზე ამას „ჭკვიანი კაცების პრობლემა“ ჰქვია, მაგრამ მათ წინაშე მუდამ დგას მეორე, გაცილებით ძვირე და მარადის გადაუჭრელი „გონება შეზღუდული კაცების პრობლემა“ — კაცობრიობის უდიდესი ჭირი!

შემჩნეულია, რომ სახელმწიფოს მართვისთვის დაბადებულად თავის



თავს, სწორედ და უპირველესად ყოველისა, შეზღუდული და სულიერად ხელმოკლე კაცები სთვლიან. ისინი გასაცარი მხნეობითა და შეუპოვრობით მიიწევენ წინ და მათგან უბეჯითესნი აღწევენ კიდევ მიზანს — მართვის მეტნაკლებად მნიშვნელოვან სადავეებს. მე ბევრი მიფიქრია ასეთთა წარმატების მიზეზებსა და ბუნებაზე; მგონია, არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ყოველივე ეს, ძირითადად მანიაკობიდან მოდის: როცა კაცს თავისი უპირატესობა უყოყმანოდ, ფანატურად სწამს, მაშინ მისი ყოველი ქმედება, ყველა საქციელი თავხედობამდე გაბედულია. ცნობილია, თავხედობა გოდოლებს მუხრავს, მაგრამ დაპყრობილის შესანარჩუნებლად არ კმარა, — იქ ჭკუა, განზოგადების უნარი, შემოქმედებაა საჭირო, რაც ჩვენს შემთხვევაში, თავიდანვეა გამორიცხული, — ჩვენ ხომ შეზღუდულ კაცებზე გვაქვს საუბარი. ამდენად, გოდოლი შედარებით მალე გადადის ხელმე სხვის ხელში და „კაცობრიობის უდიდესი ჭირი“ ქრონიკულ ხასიათს იღებს; საქმე ის არის, რომ თუნდ ერთხელ და თუნდ მოკლე ხნით მალად თანამდებობაზე ნამყოფი კაცისა ყველას ეშინია — სხვათა ცოდვები იცის. ესენი იძულებულნი არიან წაბორძიკებულს მხარი დაუჭირონ. ამავე დროს, როგორც უკვე ვთქვით, ჭკვიანი კაცების ნაკლებობის პრობლემაც ქრონიკულია და ყოველთვის არსებობს შესაძლებლობა, რომ ერთი შეზღუდულის ადგილზე მეორე შეზღუდულმა მოკალათოს. ასეთ შემთხვევაში ჰალაო თანამდებობის პირებს ცნობილი ცოდვილის შენარჩუნება ურჩევნიათ უცნობი ჭკვიანის დაწინაურებას. ამიტომ შეზღუდულისთვის რომელიმე სავარძლის დაკარგვა მხოლოდ სხვა, ხშირად, უმჯობესის მიღებას ნიშნავს. ასე გრძელდება იქამდე, სანამ ეს კაცი სოფლად გახიზნავსა და სატაცურის მოყვანას გადაწყვეტდეს ან უმჯობეს სამყაროში გადასახლდებოდეს. მისი ხანგრძლივი მოღვაწეობა, რაღა თქმა

უნდა, ერისა და სახელმწიფოს კისერზე გადადის. მთავარია, რომ სანამ ერთმანიაკის წასვლის უამი დაპყრავდეს, სხვა მანიაკების შემოჭრა-დამკვიდრება ძველებურადვე ხორციელდება. ეს უწყვეტი პროცესია და არა ცალკეული შემთხვევები. ამაში მდგომარეობს „შეზღუდული კაცების პრობლემა“ — შეზღუდული კაცებისა, თორემ გულწრფელი ან გაიძვერა კარიერისტების საქმე სხვაა.

პოლკოვნიკ სახნოვს, ისევე, როგორც მის თანამოლაშქრეთა უმრავლესობას, პირველივე გოდოლი სხვამ აუღო, ამ სხვამვე დიდი ხნით შეუნარჩუნა ერთხელ ნაბობები სავარძელი და ჭეშმარიტად კომიკური მაინც ის იყო, რომ სამინისტროს საგანგებო საბჭოშიც შეიყვანა. ადრეც ვთქვი, ეს სხვა — მისი უმაღლესობა დიდი თავადი გახლდათ. სახნოვის წინააღმდეგ გადადგმული რაიმე ნაბიჯი უაფგუსტესი ოჯახის წინააღმდეგ მოქმედებასთან იყო გათანაბრებული და გასაგებია, რომ ბატონი პოლკოვნიკის შეუვალობა ხელშეუხებლობაც გარანტირებულად ითვლებოდა, მიუხედავად შინაგან საქმეთა მინისტრისა და საიდუმლო პოლიციის შეფის ფრიად უარყოფითი დამოკიდებულებისა თავისი ზურგმაგარი ხელქვეითის მიმართ. სახნოვმა მშვენიერად იცოდა, რომ ხსენებული კაცები მას სიამოვნებით გამოემშვიდობებოდნენ; ამიტომ თავის უფროსებს მტრობითვე პასუხობდა და, ვინაიდან თავდაცვის საუკეთესო სახე შეტევია — ქანდარმთა შეფის პორტფელის ხელში ჩადებაზე არამარტო ოცნებობდა, არამედ ენერგიულ ზომებსაც მიმართავდა ამ მხრივ. ყოველივე ამაზე იგი თავისი სამსახურებრივი ფიასკოების პარალელურად სჩადიოდა, — სწამდა, რომ ძალა აღმართსა ხნავს.

იმ დროისთვის, როცა დათა თუთაშხია ხელმეორედ იყო გააბრაგებული,

ვახუა ამირაჯიძე
დათა თუთაშხია

„კილიკის“ პრაქტიკული შედეგები, ორიოდ სიტყვით ასე გამოიყურებოდა: ორ და მეტწევრიანი ბანდებიდან ხუთი მთლიანად შემოვირიგეთ, ოთხი — თითო კაცამდე შეთხელდა; შემორიგებულთა საერთო რაოდენობიდან თოთხმეტი გამოვიბირეთ და რვა ურჩი ყაჩაღი მათი ხელით მოვსპეთ; ოთხი თუ ხუთი აბრაგი დაგვრჩა და მათი რიგიც კარს იყო მომდგარი; გამოვლინებულ იქნა ყაჩაღებისა და აბრაგების ორსამამდე მჭარველი; მათგან, თითქმის, მეოთხედმა საიდუმლო თანამშრომლობის ხელწერილი დაგვიღო. ამას გარდა, ხელთ გვქონდა ინფორმაციის გავრცელებისა და შეკრების მშვენივრად განსტოებული, კარგად კონსპირირებული ქსელი. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ოპერაციის ხარჯებმა სულ რაღაც რვა თუ ცხრა ათასი მანეთი შეადგინა — უპრეცედენტოდ მცირე თანხა. ამაში შედიოდა ყველაფერი: ჩამავირი, მივლინებების ფული, ფოსტა-ტელეგრაფი, აგენტურა და სხვა. დავსძენ, რომ ჩვენი ექსპერიმენტი, პოლკოვნიკ სახნოვის დაქინებისა და გავლენის წყალობით, სულ მალე მთელი იმპერიის პრაქტიკაში დამკვიდრდა. ჩანაფიქრის მიხედვით, ახალი სისტემა ტახტისა და სახელმწიფოს ინტერესების სხვადასხვა სფეროს უნდა მომსახურებოდა. იმ დროისთვის ეს გრანდიოზული სიახლე გახლდათ. რამდენადაც ვიცი, მაშინდელი ევროპის სახელმწიფოთა საიდუმლო პოლიციებს ამგვარი სპეციალიზებული სამსახურები არ გააჩნდათ. ყოველივე ამის ერთპიროვნულ ავტორად, ორგანიზატორად და ხელმძღვანელად — სამინისტროში და მისი იმპერატორობითი უღიდებულესობის კარზეც — პოლკოვნიკი სახნოვი ითვლებოდა და კუდიც ფარშავანგით დაჰქონდა! ზედმეტია რაიმე განმარტება, თუ როგორი პერსპექტივები ექმნებოდა პოლკოვნიკს თავისი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილებისა და თანამდებობრივი მიზნების განხორციელებისთვის.

დათა თუთაშხიას გადმობირების თვითნებური ცდის რეზულტატის შედეგად, სახნოვი „კილიკის“ კურატორად დარჩა და ჩვენ მას რეგულარულად ვაწვდიდით სათანადო პატივებს საქმეების მსვლელობის შესახებ. მისგან ასევე რეგულარულად ვიღებდით სხვადასხვა მითითებების შემცველ საპასუხო წერილებს, მაგრამ ის მითითებები ჩვენს მიერ უკვე ჩატარებული ღონისძიებების გადამღერება იყო — ახალი და საყურადღებო, არაფერი. პეტერბურგში ჩემი ერთ-ერთი ჩასვლისას შევიტყე და დავრწმუნდი, რომ სახნოვი ასე მოქმედებდა: მიიღებდა ჩვენს პატივს, რომელშიც მავანი საქმის დაგვირგვინება ეწერა; აქვე შეადგენდა წერილს ჩვენს სახელზე, მკაცრი მითითებით, რომ დაუყოვნებლივ გადაგვეწვდიტა მავანი საქმე, ანუ ის, რომლის დაგვირგვინება უკვე მოვახსენეთ: შემდეგ, თავის წერილს აკითხებდა შეფს, ან თვით მინისტრს, — თუ საამისო შემთხვევა მიეცემოდა — და ლუქიანი პაკეტი თბილისში მოდიოდა. დავრწმუნდი იმაშიც, რომ პოლკოვნიკი მე და მუშნი ზარანდიას შეტლებს დაგვარად გვიფუჭებდა სამსახურებრივ რეპუტაციას. იქ არავითარი რეაქცია არ გამომჟღავნებია, მაგრამ თბილისის დაბრუნებისთანავე მუშნი ზარანდიას ვუამბე ყველაფერი და ვკითხე:

— რას იტყვით ამაზე, მუშნი?

— ეგ ხომ მოსალოდნელი იყო, თქვენო ბრწყინვალეზა.

— სანამ მე და თქვენ ამ თანამდებობებზე ვიმყოფებით, სახნოვი გამუდმებით ჩვენი პროტესტის მოლოდინშია. თუ „კილიკის“ ავტორობაზე პრეტენზია განვაცხადეთ, მას მტკიცება, დავა, თავის მართლება დასჭირდება. ეს კი მის წვლილსა და დამსახურებას ეჭვის ქვეშ დააყენებს. არა მგონია, პოლკოვნიკმა „კილიკის“ ავტორობაზე ხელი აიღოს და შექმნილი ვითარების თავის სასარგებლოდ გამოყენება არ სცადოს.

— თუ ეს ასეა, მაშინ მისგან ყველაფერია მოსალოდნელი, — ვთქვი მე. დღესაც ისე მგონია, რომ პოლკოვნიკის ხრიკები და ჩვენს წინააღმდეგ ბრძოლა გააზრებული, შეგნებული რამ არ ყოფილა — ინსტინქტურად, ქვეცნობიერად მოქმედებდა, სხვისი ნაღაწის მიმთვისებელს შიში ამოძრავებდა, ვითუ მახილონ და გამამსხარაონ. ამიტომ გავიფიქრე, კარგი იქნებოდა როგორმე დაგვერწმუნებინა, რომ ჩვენი მხრიდან ქეშმარიტი ავტორობის საკითხის წამოჭრა გამორიცხული იყო და შემოთქმულს დავძინე:

— ვერ დავარწმუნებთ, რომ მაგვარს არაფერს ვაპირებთ?

ზარანდიამ ჩაიცინა და მითხრა.

— პოლკოვნიკი მხილების იდეფიქსით არის შეპყრობილი, გრავ, მანდ ფსიქიატრების ჩარევაც კი ვერაფერს გახდება. როგორ ფორმებშიც არ უნდა მივაწოდოთ ეგ აზრი — არ დაიჯერებს, ეშმაკობად, ცბიერებად ჩაგვითვლის!..

— მაშ, რა ქნას კაცმა? — გამეცინა მეც.

— ამჟამად, ჩემი აზრით, არ არსებობს ისეთი სვლა, რომელიც მაგ პერსონაზე იერიშის მიტანად არ ჩაგვეთვალოს!.. მერე მხრივ, სახნოვთან ვაქვს საქმე და მისგან, როგორც ბრძანეთ, ყველაფერია მოსალოდნელი. — სხვათაშორის სისულელეც.

— კუნტატატობას მირჩევთ?

— დიახ, თქვენო ბრწყინვალეზავ.

— ეგრე იყოს. — გავიფიქრე, რომ მუშნი ზარანდია რალაც ვითარების მომწიფებას ელოდა. — სხვა გზა, მართლაც არ ჩანს. ამ საკითხზე ფიქრი კვლავაც საჭიროა. მაგრამ მე გთხოვთ, ჩემთან შეუთანხმებლად ნურაფერს ილონებთ.

— სიტყვას გაძლევეთ, გრავ!

საუბარი დამთავრებული იყო, მაგრამ მუშნი ზარანდია შეყოვნდა, რალაცაზე ფიქრობდა. კარგა ხანს იჯდა. მერე თავი ასწია, თვალი თვალში გამიყარა და მკითხა:

— თქვენ ბრძანეთ, ამაზე ფიქრი

კვლავაც საჭიროაო. პოზიცია გავარკვიოთ, გრავ; რა მიმართულებით უნდა ვიფიქროთ — მხოლოდ იმაზე, რომ სახნოვმა ჩვენს წინააღმდეგ ველარაფერი შესძლოს, თუ იმაზეც, რომ პოლკოვნიკს, ვთქვათ, სახელმწიფო წისქვილების ან საროსკიპოების ზედამხედველობა ჩააბარონ?

— არჩევანიცა ვაქვს? — გამეცინა, რადგან დასმული საკითხი ჩვენი შესაძლებლობებგსა და კომპეტენციის საზღვრებს, ჩემი აზრით, ძლიერ შორს სცილდებოდა.

— ვითარებაზე ჰკილია, თქვენო ბრწყინვალეზავ.

— თქვენ რას მიიჩნევდით ამოსავალ წერტილად?

— ტახტის, იმპერიის ინტერესებს, როგორც ყოველთვის! შეფის თანამდებობაზე სახნოვის წამოსკუპება ტრაგიკული შეცდომა, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული აქცია იქნებოდა. ეს ჩემი შეხედულებაა, თქვენო ბრწყინვალეზავ და ნათქვამზე მხოლოდ მე ვაგებ პასუხს.

ფიქრმა წამილო. მუშნი ზარანდია ჩემს სიტყვას აღარ დალოდებია, თავი დამიკრა და გავიდა.

იმან დამაფიქრა, რომ ჩემი სამსახურის მანძილზე პირველად, უნებლიეთ და სრულიად შეუპოვებლად აღმოვჩნდი ჩემი ღირსებებისთვის შეუფერებელ ურთიერთობებში და ისიც ჩემს ხელქვეითთან! ჩვენთვის სახნოვი, ჯერ ზემდგომი მესვეური იყო და მერეღა, ამა თუ იმ ღირსებისა ან ნაკლის მქონე პირი. მის წინააღმდეგ რაიმე ფართული ქმედება ან განზრახვა პროფესიული ეთიკის დარღვევას ნიშნავდა და ფიცის გატეხას ჰგავდა. სახნოვის მოქმედება გაკიცხვასა და მსჯავრს უღაგოდ იმსახურებდა, მაგრამ ამას ჯერ ჩემი ან ვისიმე წერილობითი პატაკი, ერთი სიტყვით, საქმის აღძვრა სჭირდებოდა, შემდეგ, საჩივარში დაყენებ-

ჰაბუზ აზირაჯიზი
დათა თუთაშინი

ული საკითხების შესწავლა და, ბოლოს ხელმძღვანელობის სათანადო გადაწყვეტილება. მომეჩვენა, რომ მუშნი ზარანდიამ სახნოვის წინააღმდეგ აკრძალული ხერხებით განიზარა ბრძოლა. ჩემს პირდაპირ, გადაუდებელ მოვალეობას შეადგენდა, მომეთხოვა მისგან წერილობითი ახსნა-განმარტება, დამედო სისჯელი და რაც მოხდა, პატაკით მეცნობებინა შეფისთვის. ასეთი იყო დამკვიდრებული წესი, სხვანიარად არც მქონდა წარმოდგენილი. ახლაც იგივე დავაპირე და რაღაცამ შემეაჯავა. ამიტომ იყო, გამიელვა, იქნებ უკვე შეეცვლინა ჩემს ხელქვეითს შეთქმულებაში და ქვეცნობიერება საკუთარი დანაშაულის აღიარებას მიკრძალავს-მეთქი. გადავათვალიერე სახნოვ-ზარანდიას წრის ყველა ურთიერთობები, მესხიერებაში აღვიდგინე ყველა საუბრები: მე იგი სახნოვთან ბრძოლისთვის არ წამიქეზებია, არც რაიმე ბიძგი მიმიცია, მხოლოდ ვთხოვე, ჩვენს უსაფრთხოებაზე ეფიქრა. ეს მარტო ასე იყო და მაინც ვერ ვიგრძენი სურვილი, ზარანდიასთვის კუთვნილი მიმეზლო. მაშინ იმაზე დავიწყე ფიქრი, შეეძლო თუ არა მუშნი ზარანდიას სახნოვის თემაზე ჩვენი ბოლო საუბარი ჩემს წინააღმდეგ გამოეყენებინა? შეეძლო! საკმარისი იყო შეფისთვის, მინისტრისთვის ან თვით სახნოვისთვის სათანადო შინაარ-

სის პატაკი ჩემზე აღრე მიეწერა და მაშინ იმის მტკიცება მომიხდებოდა რომ პროვოკაციის მსხვერპლი გავხდი. ამ მოსაზრებამ ცოტათი შემაფუცხუნა, კალამიც კი მოვიმარჯვე და არამცთუ წერა ვერ შეეძელი, არამედ საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ზარანდიას წინააღმდეგ ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამდი— არ მსურდა! ეს უკვე კომპრომისი იყო. სამსახურთან, მოვალეობებთან ურთიერთობის ერთ-ერთი სტერეოტიპი საპნის ბუშტივით გასკდა. მე ეს დავინახე და არავითარი ზომები არ მიმიღია. ალბათ, აქ მოხდა პირველი გარდატეხა ჩემს აზროვნებასა და სულეირ ღირებულებათა მიმართ დამოკიდებულებაში!

რატომ?

ამის განსჯასა და ანალიზს დიუხანს არ მოვშვებდვარ. სახნოვისა არასოდეს მშინებია. ჯერ ჩემი ავტორიტეტი და დამსახურება იყო ხელშეუხებლობის გარანტია და მერე ის, რომ შეძლებული კაცი ვიყავი და სამსახურიდან გადადგომა არაფრად მიღირდა. ზარანდიას გავლენის ქვეშ მოვექეცი? კატეგორიულად ვაცხადებ: იმ კაცს დიდ პატივს ვცემდი, ვაფასებდი, მაგრამ მის მიმართ ფიზიული, ფრთხილი დამოკიდებულება არასოდეს მომდუნებია. დავრწმუნდი, რომ ხსენებულმა სტერეოტიპმა არსებობა შეწყვიტა...

ბოლო მიძახვარია

—მე რომ ვააბრაგებამ მომიწია, მაშინ სხვები მთავრობას ურიგდებოდნენ და ოჯახში ბრუნდებოდნენ. ვააბრაგებული ბიძაშვილები მყავდა, დედის მხრიდან —ორი ძმა ჰანტურია, და მათ შევფარე თავი. თექვსმეტი წლის ვიყავი მაშინ, მეჩვიდმეტეში. მოვახსენეთ უკვე, რატომ იყო ჩემი აბრაგობა და აღარ გავიმეორებ კიდევ. დათა თუთაშხია შერიგების მერე კიდევ რომ ვააბრაგდა, იმ ხანებში იყო ეს.

ვააბრაგდა მეორედ, მოვიდა მუხუროს მთაში, მოგვნახა ჩვენ... ჩემი ბიძა-

შვილები მონახა, თვარა, ბავშვი ვიყავი მე, არაფერი საქმე არ ქონდა ჩემთან მას. გამაგზავნეს საღლაც, ილაპარაკეს თვითონ და რომ დავბრუნდი, არ დამხვდა დათა თუთაშხია იქ, წასული იყო უკვე. კაი ხანი გავიდა, მათი ლაპარაკის შინაარსს და მისი კიდევ ვააბრაგების ამბავს სანამდე გავიგებდი. უკანასკნელი მოსვლა იყო მისი ჩვენთან, აღარ მოგვეკარებია მერე. უთქვამს მას ჩემი ბიძაშვილებისთვის, —არ მინდა ვიცოდე სად ხართ, ბინა სად გაქვთ და რას აკეთებთო. არ მეცოდინება თქვენი ამ-

ბავი და რომ დაგემართოთ რამე, ველარ გაფიქრებთ ჩემზე, მისი ნაქნარიო ეს.

მუხურის მთა და ტყეები იმხელაა, ასი აბრაგი ივლის იქ და ათ წელიწადს ვერ ნახოს, იქნება, ერთმა აბრაგმა მეორე. წასვლას არ ვაპირებდით იქიდან ჩვენ. არც დათა თუთაშხია წასულა ერთხანს — რალაც საქმე ქონდა იქ. ალბათ, ელოდებოდა ვინმეს. იშვიათად და შორიდან ვხედავდით ერთმანეთს და ვიყავით ასე.

აბრაგობა — იმ წუთში რომ არ მოგდევს არავინ და მიუწვდომელ ადგილში რომ ხარ — მაშინაც კაი ძნელია: უსაქმობა მოგკლავს, ძალიან ბეზრდება კაცს უსაქმობა. ამით ხდება, რომ ხშირად კარგავს აბრაგი სიფრთხილეს და ებმება მახეში. ჩემი ბიძაშვილები ვაჟკაცები იყვნენ უკვე, ისინი უფრო უძლებდნენ უქმად ყოფნას. მე, პატარა ბიჭს, რა გამაჩერებდა და რა მომამთენინებდა ერთ ადგილზე! დავდიოდი — ხან საით და ხან საით; მოვლილი მქონდა იქაური მთა, ტყე და კლდე; ყველა ხე და ხევი, ყველა ლოდი და გამოქვაბული ვიცოდი ზეპირად.

ადგილი იყო ერთი, ბუხუს ნასახლარს ეტყოდნენ იმ მინდორს, გორაკები ერთკა გარშემო და მყუდრო იყო ძალიან იქაურობა. კაცს არ უნახავს და არ ახსოვს ის ბუხუ, არც მისი სახლის კვალი ჩანდა მინდორზე, მარა გადმოცემით ისე იყო, რომ ძმა შემოაკვდა თურმე — უცაბედად მოსვლია, როგორღაც. მოუხდია სასჯელი, დაბრუნებულა, მიუტოვებია სოფელი და იმ უკაცრიელ ადგილში მარტოდმარტოს გაუტარებია სიცოცხლე. წყალი არ ქონდა მინდორს ახლო და ჭა გაუთხრია ბუხუს. კარჩამოგლეჯილი, მარა სხვაფრივ კარგად შენახული ჯიხური ედგა ჭას. იმ ჯიხურის მეტი შენობა არ იყო იქ; დანარჩენი, ალბათ, დაანგრია და გაანადგურა ღრომი. ძალიან ღრმა იყო ის ჭა; რომ ჩაიძახებდი შიგ, ლოღინი უნდოდა, სანამდე ხმა დაგიბრუნდებოდა ძირიდან. თუ მოვხვდებოდი იქით, ჩავიდოდი მინდორზე, დავკვდებოდი და

ვფიქრობდი, სად რა ექნებოდა ბუხუს-მეთქი. მომბეზრდებოდა ამაზე ფიქრი ახლა ჭაში ჩაყვირებას დავიწყებდი და ვერთობოდი ასე. აქეთ-იქით დავდიოდი-მეთქი, რომ ვამბობ, ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ მთლად თავზე ხელალებით არ მივლია და არც მამლევენ ამის უფლებას ბიძაშვილები. იმ ადგილებიდან უახლოეს სოფლებამდე თხუთმეტი-ოცი ვერსია. არავინ ამოდიოდა იმ სიშორეზე. უხვედრი მთაა ის. ნიშნის ადებაც კაი ვისწავლე; ბავშვს ცინცხალი მეხსიერება აქვს: ფეხნადგამი ბალახი და ერთი ადგილიდან მეორეზე მტკაველით გადაჩოჩებული ჭეა არ გამომეპარებოდა არასდროს.

მიუუახლოვდი ერთხელ ბუხუს ნასახლარს, გავჩერდი სათოფემდე, დავათვალიერე კარგად. შორიდან ვერ შევნიშნე საეჭვო, მარა ახლოს რომ მივედი და გორაკიდან გადავიხედე ძირს — კაცი დავინახე. კაკლის ძირში იჯდა, მოფარებულად, თოფი ეჭირა გამზადებული და მიყურებდა ქვევიდან. ვიცანი, დათა იყო, თუთაშხია. ერთხანს ჩუმად ვიყავით ორივე.

— გამარჯვება თქვენი, დათა ბიძია!

— გაგიმარჯოს, აბრაგო! — სიცილით მითხრა. — მოდი აქ, ჩემთან. ჭას აუქციე და ისე მოდი.

მივედი, დავკეჭი მის სიახლოვეს. ვილაპარაკეთ ცოტა. ბიძაშვილები მოიკითხა ჩემი, ხომ არიან საღად და კარგადო. რომ გამოგველია სათქმელი, ვკითხე:

— დათა ბიძია, ჭას აუქციე და ისე მოდიო, რომ მითხარი, რატომ მითხარი ეგ?

— მესამე დღეა, რომ გელოდები აქ. ჯიხურში შესვლა და ჭაში ჩაძახება გიყვარს შენ.

— კი მიყვარს. რაა მერე?

— აღარ შეიძლება შესვლა, — მღიმარი თვალები გამისწორა დათა თუთაშხიამ.

გაბუა ამირაგვიძე
დათა თუთაშხია

დავიბენი ჯერ. მერე გავიფიქრე, —
სამალავი აქვს, ალბათ. ჭაში-მეთქი.

— თქვენ თუ მეტყვიით, არ შევალ
სულ და ის იქნება, დათა ბიძია.

— მასე არ არის საქმე. წამოდი ჩემ-
თან. ფრთხილად, ოღონ, ჩემზე წინ ნუ
გადადგამ ნაბიჯს, უკან მომყევი.

შემოღუარა დათა თუთაშხიამ ჭის
ჯიხურს ზურგიდან. ყავრის იყო ჯიხუ-
რი — სამი არშინი სიმაღლე ჭონდა
თითო ყავარს, ორი თითი — სისქე და
მტკაველი სიგანე. გადაწია ყავრები,
შეძვრა შიგ, შეეყევი მეც. თვითონ ჭას
ქვის ყორე ერთყა მრგვლად. ჭამრამდე
რომ მიწვდება კაცს — იმხელა. ვიყუ-
ავით ერთხანს ჩაცუტული და რომ მი-
ეჩვია თვალი ბინდბუნდს, გადამახელა
დათა თუთაშხიამ:

— აგერ, ყორეში მაუზრის ტარს ხომ
ხედავ, ტოჩი, ბიძიკო?

— კი ვხედავ.

— მაგ მაუზრის ლულა შემოსასვლე-
ლისკენ იყურება, გარედან არ ჩანს,
ყორეშია მიმაღული...

ახლა, ამდენი ხნის მერე, იმის ლაპა-
რაკი არ ღირს, რა ოფლმა დამასხა და
გული როგორ ამიძაგძაგდა ბავშვ კაცს,
მარა მშვენიერ კარგად იყო მოწ-
ყობილი ყველაფერი: შემოდის კაცი
კარიდან, ხომ? გადმოაბიჯებს ზღურ-
ბლზე, დაადგამს ფეხს მიწაზე ჭის ყო-
რესთან, გაეარდება მაუზერი და — სი-
მაღლეს არ აქვს მნიშვნელობა იმ შე-
მოსული კაცისას — ლაჯებიდან ყრან-
ტამდე საღმე შეშველად მოხვდება
ტყვია!

— ახლა მისმინე აგერ! ე, იმ ბაწარს
ხომ ხედავ — გადაჭრი ფრთხილად.
ძალიან ფრთხილად და ძალიან მჭრე-
ლი დანით უნდა და აღარ არის საშიში
მერე. აქედან უნდა გადაჭრა, ზურგიდან.
თუ მიინც გავარდა, კარისკენ გავარდე-
ბა და არაფერია. მერე დაშლი ყორეს
მაგ ადვილას და სიკვდილის მადიერ
საკუთარი მაუზერი დაგრჩება. წავი-
დეთ ახლა,

გაგვევით გარეთ.

— დათა ბიძია, ჩვენთვის არის და
გმული ეგ, ხომ?

— შენთვის, ალბათ. გამოცდილი აბ-
რავისთვის არ არის ეს. გამოცდილი
კარიდან არ შევა ასეთ ადგილში. ვინც
ეს ხაფანგი დააყენა, იცოდა მან საი-
დანდაც, შენ რომ აქ მოსვლა გიყვარს
და დაურიდებლად რომ შედისარ შიგ.

— საკუთრივ ჩემი მოკვლა დომე-
ბია, აბა!..

— კი. მასე მგონია მე. — დათა თუ-
თაშხიამ პატარა ხანს იფიქრა თავისთ-
ვის და მითხრა: — ტოჩი, ბიძიკო, უდა-
ნაშაულო თუ ხარ და შემოგარტყა ვი-
ნემ, საპასუხოდ თუ არ შემოარტყი
შენც, წავა ის კაცი თავის გზაზე და
შეშველად ინანებს იმ საქციელს, არ
გყავს მტრად ის კაცი, იცოდე შენ. მაგ-
რამ თუ შემოარტყამ შენც — მტერი
უკვე შენი ის. აბრაგი მიტომ ხარ ახ-
ლა, რომ სამაგიერო გადაუხადე, უსა-
მართლოდ რომ მოგექცა იმ ადამიანს
და გყავს მტერი იცოდე ესეც. მთავრო-
ბა და კანონია შენი მტერი. დაუკვირდი
კარგად ამ ჭის და მაუზრის ამბავს. მა-
შინ იმასაც მიხვდები, მგონია, მტერი
რა არის. თუ გამიგე ნათქვამი?

— გავიგე, დათა ბიძია. ვიცი ახლა.

— კაი, აბა. მშვიდობა მოგცეს ღმე-
რთმა და მტერზე გამარჯვება. წავალ
მე.

ჩამომართვა ხელი დათა თუთაშხიამ
და გაბრუნდა ქვევითკენ. მაშინ არ ვი-
ცოდი მე და, თურმე, ორი ამხანაგი
ელოდებოდა გორაკს იქით. ჩემს ბიძა-
შვილებს უთვალთვალაით ყველაფერ
იმისთვის. იმ ამხანაგებს უცდიდა, ალ-
ბათ, დათა თუთაშხია მუხურის ტყეში.

— საით მიდიხარ, დათა ბიძია! —
გულუბრყვილობამ მაოქმევინა.

თუთაშხიამ გაიცინა.

— ბოსტანი მაქვს გასამარგლი!
გვიანი შემოდგომა იყო.

— რა დროის მარგვლა! — სიცი-
ლით ვუთხარი მე. რა ვიცოდი, რას გუ-
ლისხმობდა ამ სიტყვებში.

დათა თუთაშხია დაიფიქრა და მი-
თხრა:



— არ არის გვიან. მე რომ ბოსტანი და ყანა მამბარია, მისი მარგელა და თოხნა ზამთარ-ზაფხულ არის საჭირო... გვიან მივხვდი ამას.

დავცილდით ერთმანეთს.

— ვირი გაკეთებული გგონია ეკ! — კი შორიდან მივამახე.

— რაჟა სარჩიმელის ან პოკო ყაჭავას ნახელავია, უთულოდ. ვირთაგვებია ორივე. სხვა არ მეგულეება მაგისთანა აქ და არც იზამდა ამას ვინმე მათ გარდა. გადაეცი მაქსიმეს და პლატონს ყველაფერი და იციან მათ.

კიი ხანს მარგლა და თოხნა თუთაშხიამ. არც ჩვენ დაგვიკლია ხელი ამისთვის და არც სხვას, ვისაც ბოსტანში მუშაობა არ ეზარებოდა.

მერე რა ვქენით, იმასაც მოგახსენებთ და გათავდა ჩემი ლაპარაკი. რა და, მოვეუდარაჯეთ რაჟა სარჩიმელის გზაზე. დავჯექი, დიდი ტომარა დავიდე წინ, სიმინდით იყო ნახევრამდე მოყრილი. მაქსიმე და პლატონი ბუჩქებში იყვნენ ჩასაფრებული. გამოჩნდა, როგორც იქნა, სარჩიმელია, მიყურა შორიდან: ზის პატარა ბიჭი და უღევს ტომარა — რაა მერე? გამისწორდა და ის

ვქენით, რასაც თვითონ აკეთებდა, ხალხს რომ ძარცვავდა უწინ: ავაწევინებ ხელები, ავყარეთ იარაღი, ჩამოვსვით ცხენიდან და გადავიყვანეთ ტყეში. პლატონმა უთხრა, — ბუხუს ნასახლარზე ქაში მათუბრი რომ დაგიყენებია, უნდა წამოგეყენე ახლა და როგორც დააყენე, ისე დაშალე შენ თვითონ ის მოწყობილობაო. ჩვენ არ გვესმის მისი ამბავი და ქა გვჭირდება, არ ივარგებს ჩვენი საქმე უჭოდო. იუარა, — არაფერი ვიცი ქის და მათუბრისო. გავკოჭეთ საიმედოდ და გავიგდეთ წინ. ვატარეთ დღედაღამე, მივიყვანეთ ბუხუს ნასახლარზე.

— შედი შენით! — ქაზე მიუთითა მაქსიმემ რაჟა სარჩიმელისა.

ჩაკვივარდა მუხლებში და რა არ ქნა და რას არ შეგვბირდა — ვინ იცის. მაგრამ დავდექით ჩვენსაზე და მანც არ შედიოდა მისით, მამაძალი. შემეცოდა ბოლოს. ვესროლე და ავხადე თავის ქალა.

ორი კვირის მერე პოკო ყაჭავას მოსაკლავად წავედით. ვერ მოვკალით, მოკლა ვიღაცას ხუთი თუ ექვსი დღით აღრე.

ზრახვი სხველი

სულ მალე დადასტურდა, რომ ჩვენი საფიქრალი ამოა არ იყო. ერთ-ერთ მოხსენებით ბარათზე პოლკოვნიკ სახნოვისგან ტუქსვის პასუხი მივიღეთ; ბორჩალოელი აბრავის. იახია იბრაგიმ-ოღლის შემორიგების გამო გვიჯავრდებოდა კურატორი — ხომ მოგწერეთ, უნდა მოვესპოთო. მსგავსი არაფერი მოუწერია! მალე მივლინებით ჩამოვიდა შტაბს-კაპიტანი ნარეიკო, რომელმაც საიდუმლოდ აცნობა მუშნის: სახნოვმა მინისტრისა და შეფის წინაშე რამდენიმეჯერ აღძრა საკითხი, — სეგედიმ და ზარანდიამ ჩამიშალეს თუთაშხიას გადმობირებაო. ცხადი შეიქნა. სახნოვმა დინამიტის შემოზიდვას მიპყრო ხელი. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა ზომების მიღება პოლკოვნიკის ყოველი

ცალკეული იერიშის მოსაგერიებლად, მაგრამ საოცარი თავისებურება აქვს ამას: თითო შეკამათება — თითო თავის მართლებათა; რამდენიმე შეკამათება — თავის მართლებათა მწყრივია და ეს კი თავისთავად ნიშნავს, რომ საცხებით თუ არა; ნაწილობრივ მაინც ხარ მტყუანნი. პოლკოვნიკს ასეთი ვითარება ხელს აძლევდა და, ამასთან ერთად თავის უწარჩინებულეს მფარველთან ჩივილის საბაბს უქმნიდა: — კავკასიელები მინისტრისა და შეფის წაქეზებით მებრძვიან და ძირს მითხრიანო. ასეთი შესაძლებლობების მიცემის უფლება არავითარ შემთხვევაში არ გვქონდა,

ვახუა ამიჩაჯიზი
დათა თუთაშხია



მაგრამ მოქმედებაც რომ საჭირო იყო და ჩვენ კი გულხელდაკრეფილი ველოდით საყუთარი ციხის მომავალ აფეთქებას?!

ერთ დღეს ლუქი ავაძრეთ სახნოვის მორიგ პაკეტს, სადაც კურატორი პირდაპირ მდებდა ბრალს, — თუთაშხია დღემდე იმიტომ არის ცოცხალი, რომ მუშნი ზარანდიას გავლენის ქვეშ მოექცითო! იგი ამტკიცებდა, — ზარანდია ნათესაური ვალდებულებების გამო სამსახურისა და სახელმწიფოს ინტერესებს უგულვებელყოფსო. ამ პერიოდში პეტერბურგში მივლინებით ყოფნისას, ჩემი ერთ-ერთი მოადგილისთვის ცნობილი გახდა, რომ სახნოვს სამინისტროს საგანგებო საბჭოს სხდომაზე სახელდობრ ასე დაუყენებია საკითხი და ჩემი და მუშნი ზარანდიას სამსახურიდან გადადგომა, ან რომელიმე სხვა უწყებაში გადაყვანა მოუთხოვია. საბჭოს ეს საკითხი განსახილველად, ცხადია, არ მიუღია, მაგრამ სახნოვისთვის ისიც კმაროდა, რომ თესლის ჩაგდება შესძლო. დანარჩენს იგი მომავალში გულისხმობდა.

პოლკოვნიკი ჩქარობდა — არჩეული მეთოდისთვის შესაფერ ტემპს არღვევდა! ეს, ნაწილობრივ, ჩვენი გამაღიზიანებელი მოქმედებითაც აიხსნებოდა: სახნოვის პატივმოყვარეობა ითრგუნებოდა იმით, რომ მის მითითებებსა და საყვედურებზე ცალი ყბითაც კი არ ვპასუხობდით და მის თანამდებობასა და „კილიკის“ კურატორობას, არსებითად, არად ვაღივებდით. ამას გარდა, პოლკოვნიკს შეუძლებელია არ სცოდნოდა, რომ მისი დივერსიის ყველაფერი თუ არა, ნაწილი მაინც ვიცოდით და ამ მიმართებით ჩვენს პასუხობასაც საკმაოდ უნდა დაეფიქრებინა თეთრ ცხენზე ამხედრებული რაინდი.

ამის შემდეგ სახნოვმა რამდენიმე წერილში კატეგორიულად მოგვთხოვა, მოგვესპო თუთაშხია, ვითომ ამას ერთი გასროლის მეტი არაფერი უნდოდა. ამას გარდა, სახნოვმა ერთობ ვრცელი მოხსენებითი ბარათი მიართვა მი-

ნისტრს, სადაც „დეტალებში“ იყო წერილი, თუ როგორ და რით დიოთ ხელს დათა თუთაშხიას.

წლინახევრის თუ ორი წლის ხელმეორედ გააბრაგებული იქნებოდა თუთაშხია, როცა პეტერბურგიდან წერილობითი მითითება მომივიდა მუშნი ზარანდიას სამსახურიდან დათხოვნის შესახებ. ხელს შეეღო და სახნოვი აწერდნენ. გადაწყვეტილება მოტივირებული იყო თუთაშხიას განდგურებაზე არაერთგზისი ბრძანების შეუსრულებლობით, აბრაგთან ზარანდიას ნათესაური კავშირით—ვითომ დათა თუთაშხია აქამდეც და ამდენი ხანი მუშნი ზარანდიას ბიძაშვილი არ ყოფილიყო. წერილს ჰქონდა სამინისტროს კანცელარიის გრიფი, რაც ნიშნავდა, რომ საკითხი თვით შინაგან საქმეთა მინისტრთან იყო შეთანხმებული! ეს ფრიად დადებითი მოვლენა გახლდათ და, აი რატომ: საიმპერიო სამმართველოში და სამინისტროში ზარანდიას და კიდევ რამოდენიმე პერიფერიულ მოხელეს ფასდაუდებელ კაცებად სთვლიდნენ. ზარანდია მინისტრის ოფიციალურ კონსულტანტადაც კი ირიცხებოდა. მინისტრმა ერთხელ ჩემთან საუბარში იხუმრა, — ეგ შენი აბორიგენი სატანას უფროსი ბიძა, გამზრდელი და ეზოს მოძღვარიო. მრავალგზის მთხოვეს, — მოგვეციო. ერთთავად უარზე ვიდექი და ბოლოს თავი დამანებეს. მეორე მხრივ, პოლკოვნიკს სახნოვს უკურნებელი სენის რეპუტაცია ჰქონდა, მისი თავიდან მოშორების საშუალება ვერავის გამოენახა და სწორედ აქ თვით ქათამმა დაიწყო თავისივე დასაკლავი დანის გამოქვეყნა: ისეთი აზრი შემიქმნა, რომ სახნოვი ზარანდიას წინააღმდეგ დიდხანს, დაყინებით ამუშავებს, მოითადარიგეს საბუთები და მხოლოდ მერე დაჰყენენ მის ახირებას ზარანდიას დათხოვნის შესახებ. სხვა სიტყვებით: მინისტრმა და შეფმა თვით სახნოვს შეაქმნევინეს ისეთი ვითარება, როცა ზარანდიას დათხოვნის შედეგებზე პირველ რიგში სახნოვს უნდა ეგო პასუხი. რაც შეეხება იმას, რომ

გაგულისებული ზარანდია სახნოვს ოპოდელპოკის აბივით გადაყლაპავდა — აქ ეკვი არც მინისტრს ეპარებოდა და არც შეფს.

ეს ყველაფერი, სახელდობრ, ასე გამოიყურებოდა, მაგრამ შემოწმება მაინც საჭირო იყო. ამიტომ ცალკე მინისტრს და შეფს ცალკე, დაშიფრული დებეშებით ვაცნობე ჩემი დამოკიდებულება საკითხისადმი: ზარანდიას სამსახურიდან დათხოვნაზე უარს ვაცხადებ, „ეკილიას“ ჩამოვაშორებ, გადავიყვან კონტრდაზვერვის უფროსის ვაკანტურ თანამდებობაზე!.. დებეშებს სიჩუმე მოჰყვა. ესე იგი, ხელმძღვანელობას ჩემი გადაწყვეტილებისა საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდა და მისი სისრულეში მოყვანაც აღარ დამიყოვნებია: დანიშნა შევათანხმე, როგორც მეფის ნაცვალთან, ისე სამხედრო ოლქის ჯარების სარდალთან და ბრძანებაც გაიცა.

სახნოვი გულში გამარჯვებას ზეიმობდა — ნაწილობრივს. ჩემთვის ყველაფერი სასურველ აღვიღებზე დაღვა და ახლა მაინტერესებდა მხოლოდ ის, თუ რას ფიქრობდა და რას მოილოქმელებდა „სატანას უფროსი ბიძა, გამზრდელი და ეზოს მოძღვარი“

— მუშნი, მინდა მოგაგონოთ თქვენივე პრინციპი: „არასოდეს გადადო ხვალისთვის ის, რის გაკეთებაც დღეს შეიძლება“, — გავეხუმრე ერთხელ.

იგი მიხვდა, რომ სახნოვის საქმეს ვგულისხმობდი, გაიღიმა და მითხრა:

— არსებობს მეორე პრინციპიც, გრად: „ნუ გააკეთებ დღეს იმას, რასაც ხვალ გაკეთება უფრო მოუხდება!“

შემდგომში ამ მოკლე დიალოგის გახსენება მრავალგზის მომიხდა. რა მამოძრავებდა? ზარანდიამ დაწინაურება მიიღო, სახნოვის უფლებების სფეროს გარეთ აღმოჩნდა და, ამდენად, არც რაიმე საშისრულება ელოდა მისგან. ჩემზე უკვე ნათქვამია: სახნოვი ვერ მომერეოდა, მეტი-მეტი წვრილმალი ინტრიგების მოლოდინი უნდა მქონოდა. ასეთ ვითარებაში, სტერეოტიპის მიხედვით,

მოთმინება მმართველად — სახნოვებ სხვის დაუხმარებლად იმტერევენ კისრებს. მაშ, რატომ წაეაქეზე ზარანდია? ხომ არ იყო ჩემს საქციელში თვისობრივად ახალი რამ?..

წინასწარ მოფიქრებული და დადგენილი სახნოვსაწინააღმდეგო გეგმა ზარანდიას იმხანად, მართლაც, არ ჰქონია და ამაზე თავის სატეხად, ალბათ, არც ეცალა; ახალმა სამსახურმა, იქაური საქმეების შესწავლა-გადახალისებამ, შტატის გადაადგილება-დაკომპლექტებამ, ქსელისა და კავშირების შემოწმება-ვანმტყიცებამ კარგა ხნით შთანთქა მისი დრო, მხნეობა და ნიჭი, მაგრამ ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს, ზარანდიას სახნოვი და მისი ოინები მიავიწყდა...

სახნოვის პრობლემა გადაჭრა ზარანდიას მიერ შედგენილმა საქალაქდემ.

იქნებ არსებობდეს უფრო რაციონალური ფორმა, რომლის წყალობით ქვემოთ მოყვანილი ამბების გადმოცემა გაცილებით მოკლედ და დამაჯერებლად შეიძლებოდა. ვერ მივაგენი. ისევ ჩვეულებრივი თხრობის ხერხს მივმართავ, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი ფაქტი სპეციალურ კომენტარს მოითხოვს. საქმე ის არის, რომ არსებობდა სახნოვის პრობლემისგან და ერთმანეთისგანაც, თითქოს და, სრულიად დამოუკიდებელი გარემოებები. ძნელი საფიქრებელი იყო, რომ ისინი როდისმე და როგორმე ერთად მოიყრიდნენ თავს, ზეგად წამოვიდოდნენ და გზად სახნოვს დაიტანდნენ. აი, ის გარემოებებიც.

— სპაღოვსკი გახსოვთ, თქვენო ბრწყინვალეზავ, ექიმი? — მკითხა ერთ დღეს მუშნი ზარანდიამ. — აი, ამ სამი წლის წინ რომ გადაბარგდა თბილისიდან ვლადიკავკაზში; თავისი სიმპათიებისა და ურთიერთობების გამო ერთი-ორჯერ ჩვენი ყურადღების არეშიც რომ აღმოჩნდა, გახსოვთ?

— როგორ არა.

პაპუა ავირეჯიძე
დათა თუთაშვილი

ზარანდიამ საქაღალდე გადახსნა და საკანცელარიო ფორმატის ხუთ ფურცელზე დაწერილი ტექსტი დამიღო წინ:

— ეს მისი პროკლამაციის ასლია, გრაფ.

— საინტერესოა!

— დამაფიქრებელი უფროა!

კითხვას შევუღდექი.

სპადოვსკი, საერთო ჯამში, პატიოსანი ინტელიგენტი იყო. მისი სისუსტე მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, რომ დაუცხრომლად ეტრფოდა ახალ-ახალ პოლიტიკურ მოძღვრებებს და ამ მხრივ რაიმე თანმიმდევრობას აბსოლუტურად უგულებელყოფდა. იგი ცხოვრობდა და მოქმედებდა პრინციპით: ყველაფერი კარგია, რაც თვითმპყრობელობას უთხრის ძირს და რაც რუსეთში ახალი ტიპის სოციალურ-ეკონომიურ ფორმაციას დაამყარებს! ამიტომ, ჩრდილის მიმყენებელი და მაკომპრომეტირებელი საგაზეთო მასალების გამოქვეყნების შემთხვევას ხელიდან არასგზოთ გაუშვებდა: კლიენტურასა და ნაცნობ-მეგობრებში არსებული წყობილების საწინააღმდეგოდ ერთპიროვნული პროპაგანდისტის მწვერმეტყველებას არ იშურებდა; შესაძლებელ ფულად დახმარებას უწყევდა მემბოხე ელემენტებს და არც კანონსა და დამსჯელ დაწესებულებებს უქმნიდა საქმის აღძვრისა და სამართალში მიცემის საკმარის საფუძველს — ფრთხილი, ეშმაკი კაცი იყო. თბილისიდან მისი გადაბარება იმან გამოიწვია, რომ თავი მოგვაბეზრა, ვართულებები, სკანდალი ახლოვდებოდა და ვარიდება არჩია.

საცხოვრებელი ადგილის შეცვლა სპადოვსკისთვის სრულიადაც არ ნიშნავდა შეხედულებებისა და ცხოვრების წესების გადასინჯვას. მან ელადიკავაზში ისეთივე მოღვაწეობა განაგრძო, როგორსაც თბილისში ეწეოდა. ამან იქაური პოლიციისა და ჟანდარმერიისათანადო რეაქცია გამოიწვია, რა თქმა უნდა, გაცილებით მძაფრი, ვიდრე თბი-

ლისში: ის მხარე მაშინ მონარქისტული განწყობილებების ბუდე იქნა — არც აციეს, არც აცხელეს, — ახალდაარსებული ინფორმაციის გავრცელების სამსახურის მთელი სიმძიმით დააწვნენ სპადოვსკის და მიზანსაც მიაღწიეს: მონარქისტულად განწყობილ თერგის კახაკებში თითქმის დამკვიდრდა აზრი, რომ იგი გერმანიის ჯაშუში იყო, ხოლო მცირერიცხოვან თავისუფლად მოაზროვნე წრეებში დაყენებით იმეორებდნენ. სპადოვსკი საიდუმლო პოლიციის აგენტიაო. ვლადიკავაზში მის გადმოსახლებას აკავშირებდნენ რომელიღაც სასამართლო პროცესთან, სადაც სპადოვსკიმ, ვითომდა, პროვოკატორის როლი შეასრულა. ჩემი მხრივ უნდა აღვნიშნო, ჩვენი სამსახურის ხელთ არსებული ინფორმაციის თანახმად, ზემოთ მოყვანილ ვერსიებს რეალური საფუძველი არც ერთს არ გააჩნდა. ასეა თუ ისე, სპადოვსკი ორმხრივი უნდობლობისა და სიძულვილის გირაგში მოჰყვა, მაგრამ სასოწარკვეთილებას არ მისცემია — ვითარების შესწავლას მიჰყო ხელი და მიაგნო კიდევ თავისი კომპრომეტაციის წყაროს.

შემდგომში, ამ საკითხის შესასწავლად სავანგებო კომისია დაინიშნა. აღმოჩნდა, რომ თერგზე ინფორმაციის სამსახურის დაარსებისა და პრაქტიკული მუშაობის საქმეში არც ერთი ნაბიჯი არ ყოფილა სწორად გადადგმული. დაარსების შესახებ მიღებულ სახნოვო ინსტრუქციით დაწყებული და თვით სამსახურის ჩამოყალიბებით დამთავრებული, ყველაფერი დილეტანტური იყო, უნიჭო მოხელეების ხელით კეთდებოდა და კონსპირაციამ ბზარი პირველსავე საფეხურებზე გაიჩინა. ასეთ ვითარებაში, სპადოვსკისთანა კაცს, ცხადია, არც ჭეშმარიტების ამოცნობა გაუტკობდებოდა და არც ფაქტობრივი მასალის მოპოვება.

ზარანდიის მიერ მოტანილ დოკუმენტი შეიცავდა ხმების გავრცელების სამსახურის სტრუქტურის აღწერილობას, მუშაობის მეთოდებს და რეზი-



დენტებისა და ფუნქციონერების ვრცელ და, როგორც შემდგომში აღმოჩნდა, საკმაოდ ზუსტ სიას. თეორიულ-განმარტებითი ნაწილი შემაჯარებელი იყო რამდენიმე ცოცხალი მაგალითით. პროკლამაციას ერქვა: „აი, როგორ სახელმწიფოში ვცხოვრობთ!“, იწყებოდა პასქვილური პროლოგით და მთავრდებოდა რევოლუციური მოწოდებებით. ბოლოში ჰქონდა მინაწერი: „პატიოსანო ადამიანებო, ახალეთ ნიღაბი პირისხლიან ცარიზმს — გადაწერეთ და გაავრცელეთ ეს დოკუმენტი!“ ტექსტი ისე იყო დაწერილი, რომ ავტორი არ ჩანდა.

— რა იცით, რომ ეს თხზულება სახელდობრ სპადოვსკის კალამს ეკუთვნის?

— დედანი თვით სპადოვსკიმ ამ ორი კვირის წინ ჩამოიტანა თბილისში და ქალბატონ ანა გილიარევიჩის დაუტოვა გასამრავლებლად.

— ქალბატონი ანა გილიარევიჩი — კლასიკური გიმნაზიის მასწავლებელი?

— დიახ, გრავ, ექიმ სპადოვსკის ახლო მეგობარი და თანამოაზრე. მან ოცი ასლი უნდა გადააღებინოს. შემდეგ ბაქოში ჩაიტანენ და წინასწარ შედგენილი სიის მიხედვით დაგზავნიან ოც მისამართზე.

— ვის უნდა გადააღებინოს ასლები?

— ქალბატონ ელისაბედ ტერეზოვას, დედანი ამჟამად მასთან ინახება. გვაქვს დედნის ფოტობირები, ექსპერტიზის დასკვნა ხელწერის იგივეობაზე, მისამართების სიის ასლი და სხვა საბუთებიც.

— ტერეზოვა... დიახ, დიახ, მაგრამ აღარ მახსოვს, რისთვის დაგვიჭირდა ეგ მანდილოსანი. მგონი, შრიფტის შემოტანასთან დაკავშირებით, არა?

— დიახ, გრავ. იმ ფუთას ქალბატონ ანა გილიარევიჩის ხელში უნდა გამოეგლო. მაგრამ მოხდა ისე, რომ ფუთა ჩვენს ტერიტორიას ასცდა. ეს ოთხი წლის ამბავია. მას შემდეგ, სანამ კონტრდაზვერვა ჩავიბარე, ქალბატონი ტერეზოვა თითქმის არ გამოგვიყენებია.

ბია. ახლა სპადოვსკის ჩამოსვლამ და მინტერესა... მოგესხენებოთ, ტერეზოვა გილიარევიჩის მეგობარია...

— გასაგებია, მაგრამ არ მესმის, რა შუაში ხართ თქვენ. ეგ საქმე თქვენი განყოფილების კომპეტენციაში არ შედის.

— თქვენო ბრწყინვალეებო, ქალბატონი ტერეზოვა მე არავისთვის გადამიცია, თვითონ იყო წინააღმდეგი. ვერც ახლა გადავცემ. მჭირდება და ეს საქმეც ჩემთან რჩება — თავისთავად გამოდის ასე.

— რას აპირებთ?

— ჯერჯერობით არაფერს, სხვა მოვლენებს უნდა დაველოდოთ.

— არ გაეონავს?

— სექტემბრამდე გარანტირებულია; ტერეზოვას ასეთი ვადა აქვს აღებული გამრავლებისთვის.

— სპადოვსკი?

— ჯერჯერობით თავის შეთხლეულ კლიენტურას მკურნალობს. თერგის ოლქმა არც ამ პროკლამაციისა იცის და არც იმისა, თუ ჩვენს ხელთ არის რამე.

საქმე ფაქტიურად გახსნილი იყო და მისი ლოგიკური დასასრული იმაში მდგომარეობდა, რომ ზარანდიასთვის უნდა მეთქვა, მასალები თერგის ოლქისთვის გადაეგზავნა. დავაპირე კიდევ, მეთქვა.

არ მითქვამს.

რამ შემაკავა, დასწყევლოს ღმერთმა! ძნელი სათქმელია, მაგრამ იმ „პასიურობას“, ამჟამად ისევ ქვეცნობიერ იმპულსს მივაწერ: ერთხელ შემეშავებულ-შეძენილი სტერეოტიპების რღვევისა და უარყოფის ფაზაში ვიყავი.

საუბარი შეწყდა, ზარანდია წავიდა, მაგრამ დამეუფლა გრძნობა, თითქოს წვეულებიდან ვბრუნდებოდი, იქ რაღაც დამრჩა — სათუთუნე, სათვალე ან ხელჯოხი — და ახლა ჭიბებებში ვიჭებოდი. ყველაფერი თანა მაქვს თუ არა-მეთქი. ვერაფრით გავიხსენე, რის

ვაგუა ამირეჯიბი
დათა თუთაშვილი

მოათბობრება დამავიწყდა, გულს რა მაკლდა. მერე ვიფიქრე, მომავონდებამეთქი და მართლაც მომავონდა: ზარანდიამ სპადოვსკის საქმის გამო თქვა: „დამაფიქრებელი უფროაო“. გამომრ-

ჩა დამეზუსტებინა, თუ რას გულისხმობდა. შემდგომ ხანებში ამ საქმეში ისევ ზარანდიას მეშვეობით ამოპყო თავი, მაგრამ ამას მოგვიანებით შევხები...

ბაქარა ჯეირანაშვილი

— ერთი სიტყვით, ნელ-ნელა ისე შემავიწროვეს, რომა კახეთსა და ქიზიყში აღარსად დამედგომებოდა. ცუდი ხმები დამიყარეს. ზოგი ჭორი ისეთი იყო — თავად შემეშინდა! უნდა იქაურობას ვავცლოდი, სხვა გზა აღარაფერი მქონდა. ქალაქი ვიშოვნე, ვითომ პანკისელი ქისტი ვიყავი. ქართლში გადავედი, ერთი მაგარი ცხენი ვიყიდე, ქარელს ზემოდან უღრანი ტყეებია, იქ საშაღე მორის გამოტანაზე დავიწყე მუშაობა. მაშინდელ დროში თბილისიდან ბათუმამდისინ რაც შაღი იღო, სულ მუხისა იყო. იმ საშაღე მუხის ვეზიდებოდი.

ორი თუ სამი თვე ვზიდე. არც ვისმე აზრად მოსვლია, ეს კაცი მავანი ყაჩაღი ხომ არ არიო, გასამრჯელოსაც არა უშეადა რა, მაგრამ ეგ არის, სად ბეჭარა ჯეირანაშვილი და სად გუთანი თუ საშაღე მორი. ცხრამეტის წლისა ყაჩაღად ვავედი, იმ დროისთვის თერთმეტ წელიწადს მთა-ბარი ფეხთ ქვეშა მქონდა ამოდებული — ჯაფას გადაჩვეული ვიყავ. წასვლა მედო გულში და არ კი ვიცოდი — საით. ისევ შემთხვევამ დამაღივებინა თავი, სამეგრელოსკენ გავწიე, მაგრამ ჯერ ის შემთხვევა უნდა ვთქვა.

ამილახვარებს იმ ადგილებში მამულები ჰქონდათ. მოურავად შალიბაშვილი ეყენათ, ნიკა ერქვა, თურმე ერთ ოსის ქალს ჰყვარებოდა, ქართველი კაცის ქვრიუსა. როსტომთან გამურებს ეტყობდნენ, ერთ ღამეს იქ დაეპარებინა შალიბაშვილს თავისი საყვარელი. წვანან, თუ, რა ვიცი, რასა სხადიან — მიწურში სამი შეიარაღებული კაცი შეუვარდათ. შალიბაშვილს ხელ-ფეხი ვაუთოკეს, დედაბოძე მიაბეს, ქალი წააქ-

ციეს, თავისი საყვარლის თვალწინ გააუბატიურეს. ამ საქმეს რომ მორჩნენ, შესულეებში რომელიც თავკაცი იყო, იმან შალიბაშვილსა სიტყვა დაუგდო, — დათა თუთაშხია ვარ, საცა შენი დაიკვეხო, იქ ჩემიცა თქვიო! დაუგდო, მიტრიალდნენ და სდღე შენა!

მაშინ დათა თუთაშხიას სახელი დიდ-პატარას პირში ეჩარა. ხალხის საქმე მოგესხენება — ჭორი ათქმევინე და პურს ნუ აჭმევ. ხალხმა თუ რასმე მოჰკრა ყური, იმას ხომ იტყვის და იტყვის; თუ ვერაფერსა და თითონაც კარგად გამოიგონებს. ეხლა რა, მე ის გამომხვეწილი და მუხის მორს ამოფარებული კაცი, იმის ლაპარაკს ხომ არ მიყვებოდი, — დათა თუთაშხია ჩემი ძმადნაფიცია, ნამდვილად ვიცი, რომ მაგაების მქნელი არცა ყოფილა, არც არის და, ესეც ნუ იქნება, შალიბაშვილის ცინგლიანი ქალის გულისთვის სამეგრელოდან ქართლში რა ბუზნაკალი გამმოყვანდა-მეთქი!?. ვთქვათ და მე-ლაპარაკნა კიდევ — ვინ დაგიჯერებს, ხალხს ჭორი ურჩევნია სიმართლესა.

ეს მოხდა და ვიფიქრე, — რომ გავრბოდე, ის დროა-მეთქი, მაგრამ არ იქნებოდა, გამოკითხვას დაიწყებდნენ — ვინ იყო, ეგრე უცბად საით და რატომ წავიდაო; ახლა იმის ექვს შეიტანდნენ, გაუბატიურების მონაწილე ხომ არ იყო და დამიწყებდნენ ძებნას. მე ჩემი საქმების მაკლდა თუ როგორა? დავრჩი. ამოვიდნენ გორიდან და ხაშურიდან პოლიცემისტერი, ჩაფრები, გამოძიებლები. დაიწყეს ქექვა. მუშებსაც სათითაოდ დავვიძახეს, შალიბაშვილსა და ოსის ქალს დანახვეს ჩვენი თავი, ამათგანი ხომ არავინ იყოო. ცოტა ხანი კიდევ იტრიალეს, ერთი



კარგა იქეიფეს და წავიდნენ. ის კი მენიშნა — ეძებდნენ და არც ეძებდნენ, მაგრამ ამისა მერე ვთქვათ.

ორიოდ კვირას კიდევ ვიცოდელივ, ანგარიში გავასწორებინე, ხაშურში ჩავედი, ის ცხენი გავყიდე, აბანოში წაველ, ახალი ჩოხა-ახალუხი ჩავეცვი; კარგი იორლა ვიყიდე, შევბტი ოცდაათ თუმნიან უნაგირზე, გადავიარე ლიხის მთა და ორი კვირის თავზე სამურზაყანოში მიველ. სამურზაყანოში იმიტომ, რომ დათა იქ მეგულებოდა; ადრევე გვექონდა დათქმული, თუკი საჭიროება მოიტანდა, ვისთან და როგორ გვეკითხა ერთმანეთის ადგილსამყოფელი. დათას კაცმა — მჭედელი იყო — ჩვენი ძმადნაფიცობაც იცოდა და პირობაც. ხუთი დღე დამჭირდა ლოდნა. მოვიდა დათა. ცოტა შებერებული და დარდიანი მეჩვენა, თორემ სხვაფრივ ისევ ის დათა იყო, რაც უყინა.

წამომყე, ჩვენი მთა და ტყეცა ნახეო, დათამა. წავყე, ავედიო. კარგი ადგილებია, მე და ჩემმა ღმერთმა. აი, როგორ არი, იცი?.. კახეთში, ვთქვათ, სიღნაღიდან ალაზნის ველს გადახედავ — ისეთი სანახავია, ტიალი, რომ ყელში ჯავრის გორგალს მოგაყენებს, ეგეთი ძალა აქვს იქაურ ადგილებს — სულზე ფეხს დავადგამს, შენ ნაკლები ხარო! ადგები და გულის მოსაფხანად შენსავე ხარებს პატრონის დედას შეაგინებ და ამყე სიმღერას იტყვი. მაშა!.. გურია-აჭარაში როგორ არის, რომა იქაურ მთაბარისა და ცაზღვის შემხედვარეს ფიქრი ეღვასავით დაგირბის, გონებას სისხარტე ემატება, შენი თავი სხვაზე უკეთესი გგონია და. აკი სიმღერაც ქედმაღალი და თავმომწონე აქვთ. სამეგრელოსა და სამურზაყანოში კიდევ, სერზე შემოდგები, არე-მარეს თვალს მოავლებ და რაღაცნაირი მოწიწებული ხდები, კაცო! ზრდილობა და თავაზიანობა გწყურია, ლამის უნაგირიდან ჩამოხტე, ცხენს კისერზე მკლავი გადაჭხვიო — მეპატიოს, რომ ზურგზე გეჯექიო, და ლიღინი მოგინდება, ლაზათიანი, თავმდაბალი, მოკრძალებული ლიღინი!

ვითომ სხვადასხვა ესა, მაგრამ მაინც ერთია — სილამაზება და მშვენიერება. გასულ კაცს გურია-აჭარაში ფირალს ეტყვიან, სამეგრელოსა და აფხაზეთში — აბრავს, სხვაგან, საქართველოში — ყაჩაღს, მაგრამ აზრი ერთია: შენი გონება, შენი მკლავი და კაცური სამართლიანობა. ერთად — ვაქაცობა! როგორი ადგილებიც არის, გასული კაცის ვაქაცობაც ისეთია და სხვადასხვა სახელიც იმიტომა ჰქვია, თორემ ხალხი ერთს რასმე შეარქმევდა. ეხლა, რავი, გასაგებადა ვთქვი თუ არა, და ის კი ნაღლია, რომ ყაჩაღად გასული კაცისთვის საქართველოში ხომა ყველა ადგილი მოხერხებულა, მაგრამ სააბრაგოდ იმისთანას მაინც ნურსად და ნურავინ იტყვის, რაც დათამ მომატარა და მაჩვენა.

ათი დღე თუ ორი კვირა ვიარეთ. ვინადირეთ კვდიც, ვიქეიფეთ კიდეც, დრო მოვიდა და ის შალიბაშვილის შემთხვევაც ვუთხარ. დაფიქრდა. მერე მომიბრუნდა, ხელები გაშალა, — რა ვქნა, რას გავხდეო, და ამაზე ორ დღეს არა თქმულა რა. მესამე დღეს შველი მოვკალით, იმას ვატყავებდი, დათა ცეცხლს უტრიალებდა და მაშინ მითხრა:

— აბა, კი შორს გამეარდნია მოძალადის სახელი, ბექარ!

ვიცოდი, რომ შალიბაშვილის ამბავი არც იმ ორ დღეს გადასვლია ჰკუთიდან და არც სამარის კარამდის დაავიწყდებოდა დათას — ეგეთი კაცი იყო. კიდევ ორი თუ სამი დღე გავიდა და მეუბნება:

— წავიდეთ, ბექარ, ძმაო, და ვნახოთ ის შალიბაშვილი ჩვენ.

მართალი ვითხრა და ამას არ ველოდი. პირღია ვუცქირე, მერეღა ვთქვი:

— წავიდეთ და წავიდეთ, რა!

ორი დღით დამტოვა თავის მიწურში... რის მიწური და რა მიწური — მიწურები მე მქონდა ხოლმე. არა, მიწუ-

ვახუა ამირაძეობი
დათა თუთაფხია

რი იყო, მაგრამ ისეთნაირად მოვილი-
შოწყობილი, ბატონის ოთახებიც ძნე-
ლი სინახავია. რაც იყო, ყველაფერს
კარგი ბატონის ხელი და ლაზათი
ელო. პო, ჩხირკედლაობდა, უვლი-
და — დრო არა ჰქონდა თუ რა?

ამობრუნდა, ის დამე იქ დავიძინეთ.
ადრიაან დილით გზას დავადექით. იმე-
რეთში ტყე-ტყე გადმოვედით; იმერე-
თი ბილიცებით გამოვიარეთ; ქართლში
ვის უნდა ვეცანიო — გზებით ვიარეთ.
ქვიშხეთში მივედიო გუდაძესთან, და-
თას ძმაკაცი იყო, გროშა ერქვა, კარგა
გვიმასპინძლა. ცხენები მივაბარეთ და
იარაღიც შევანახვინეთ. მხარზე თითო
ცელი გავიდეთ, შუადღის ხანს ხაშუ-
რისაკენ გამოვსწიეთ. დიღური მუშე-
ბის ყაიდაზე ვვეცვა, მაგრამ თითო ნა-
განი და ას-ასი ვაზნა გვექონდა თითოსა.

უწინ ძმადნაფიცობის წესი და რიგი
ისეთი იყო, თუ ძმადნაფიცი გეტყოდა,
— წამომყე, საჭიროება მაქვსო, უნდა
წაპყოლოდი და სანამ თითონ არ ვიამ-
ბობდა — ამ და ამ საქმეზე მივდივარ-
თო, თავად შენ არ უნდა გეკითხა, სა-
და და რისთვის მიგყევარო. ამ წესს
სათავედ ისა ჰქონდა, რომ ძმადნაფიცი
ძმადნაფიცს თავზე ხელასაღებ საქმეზე
მხოლოდ მაშინ წაიყვანდა, თუ სხვა გზა
მართლაც აღარაფერი ექნებოდა. წაი-
ყვანდა და ტყვიასაც ჯერ თავად დაუ-
ხვდებოდა. შალობაშვილის სინახავად
მივდიოდით — ვიცოდი. სხვა რა ელო
გულში ჩემ ძმადნაფიცს — არა ვამე-
გებოდა რა. არცა ვკითხავდი, მაგრამ
ღათა ისეთი კაცი იყო, თავნიფათს თი-
თონ აიღებდა, მე ვაზზე დამაგდებდა
და ფიცვერცხლი თუ ჭირში თანაზი-
რობა საითლა მეძებნა?!

— ერთი რამ იცოდე, ღათა: არა-
ფერში გამომტოვო და დამზოგო, თო-
რემ ძმობაში ცოლო დამაწვება. ვაიგე?

ცოტა გზაც გამოვიარეთ და ღათამ
მითხრა:

— ეს საქმე, ბექარ, ძმაო, არ უნდა
გამოვიდეს, მგონია, მინცდამინც სა-
შიში და ხიფათიანი. ორნი ვართ, აგერ,
და რომელსაც რა გვერგოს — ის ვაა-

კეთოთ. შე კაცო!... ვილაპარაკოთ
ყველაფერი და მოვიფიქროთ საქმე.

— მაშინ, ჯერ ისა, რომ — რა
გვინდა.

— რა გვინდა და, ხომ ხედავ, რაც
ხდება ჩვენს ირგვლივ. დაგვიყარეს
და გაგვივრცელეს ჭორები, ლაფი გა-
დაგვასხეს თავზე და მოგვიჭრეს ყველა
გზები. იქამდე მიიყვანეს საქმე, რომ
შენ კახეთიდან ამოგაძუებინეს კული
და არც მე ვარ შენზე უკეთესად —
ფეხი რომ არ ყოფილა ჩემი აქ, აქაც
ჩემი სახელით გააკეთეს ბოროტება.
მარტო ეს ხომ არ არის და ორივეს ასი
საქმე გვეცოდინება მაინც ასეთი და
ამაზე უარესი, ჩვენთვის თუ სხვისთვის
გაკეთებული! საიდანაც მოდის ეს ამ-
ბავი — ვიცი მე. მთავრობიდან მოდის,
მაგრამ მთავრობა მხოლოდ ბრძანებს
ამას და შესრულებით — ბოროტი კა-
ციები ასრულებენ, ხალხში რომ არიან
შერეული ცხვრის ქურჭში გახვეული
მგლებივით. კაცი იმ ბოროტების გამე-
კეთებელი თუა, ჩვენ რომ ვთქვით და
ჩვენთვის რომ კეთდება — საერთოდ
ბოროტის მქნელია ის, უამკაცებოდ
ვერაფერს ხახნებოდა მთავრობა და ეს
კაცივით თავს არიან ვასული — მთავ-
რობა მათ მხარეზეა, კანონი ვერ მიუღ-
დება, იციან მათ. მე და შენ იმდენი
ძალა სად გვაქვს, ბოროტების სათავე
რომ მოვსპოთ, მაგრამ ბოროტებას ხე-
ლები რომ მოვაჭრათ, ხომ შეგვიძლია
ეს?..

— შეგვიძლია!

— მაგას ვამბობ და მაგას ვაკეთებ
მეც. რა გვინდა, რისთვის მოვდივარ-
თო, რომ ვთქვით, — ვიპოვოთ, ახლა ის
ბოროტების მკეთებელი ხელები და,
როგორც მოიტანს საქმე, ისე მოვიქცეთ
ჩვენც. ბოსტანი ხომ გაგიმარგლავს,
ბექარ, ძმაო?

— ისევე ამოდის ხოლმე სარეველა!

— ამოვა და კიდევი გაიმარგლება ის.

— შე კვი კაცო, ამოდენა მიწა-
წყალს ჩვენ ორნი რას ვაგწვდებით?

— ვერ ვაგწვდებით, მართალი ხარ
შენ, მაგრამ, ჯერ ერთი, გამარგულულზე

ამოსულ სარეველას ის ძალია აღარ ექნება, მის წინ სარეველას რომ ქონდა და მეორე ის, რომ ჩვენ თუ ვმარგლებთ, სხვაც მოგვბაძავს. სამართლიანობა თავისის იზამს, მომრავლდება ჩვენისთანა კაცები და ბევრი რომ ვიქნებით, მაშინ, სათავეში რომ ბოროტებაა, იმაზეც მიგვიწვდება ხელი და ტყვიას!

— ეგრე იყო და ეხლა ისა ვთქვათ, როგორ მივუღდეთ ამ საქმეს.

— აქ, ხაშურში ერთი ნაცნობი მეგულება მე. ნაქურდალ-ნაბაბაყარი და ნაციხარ-ნახიშტარი კაცია ეგ. ვითხრა სიმართლე — წუნკალია, მაგრამ ყველა წუნკალი სხვის სიწუნკლეს ეძებს და იკვლევს, — იმისთვის, რომ გლახად თუ წაუვიდა საქმე, იმ სხვა წუნკლებს გამოახსენდნენ თავი. აქ არის ის კაცი და აქაურობის ყველაფერი უნდა გულებოდეს მას, თითქმის დარწმუნებული ვარ ამაში. დასტურიძეა ვეარად, კოსტა ქვია. ვალაპარაკოთ და ვნახოთ მერე.

— მაგ დასტურიძესა ადევს რამე?

— ერთი საქმე ვიცი მისი — კატორღა თუ არა, ათი წელი და ალექსანდრეს ცენტრალი ჯიბეში ედოს ვითომ, — ისეთი საქმეა ის!

— მაშინ ვიღარსად წაგვივა.

სანამ ხაშურში ჩავედით, გზადაგზა მოვიფიქრეთ, საქმე როგორ დაგვეწყობო. იმ დასტურიძეს რკინიგზის სადგურში რესტორანი სჭეროდა. მე უნდა მივსულიყავ ჩერა. სადგურის წინ, მოედანზე ხეებქვეშ სკამები იყო, დათა იქ დარჩა ცელებიანათა. აღმა შემოვუარე, სამზარეულოს ფანჯარაში გადავიხედე. იქითა კედელთან მზარეული სთვლემდა. ჩემკენ, კედელთან ერთი შუახნის ქალი გობში ჭურჭელსა რეცხავდა. დიდ მაგიდაზე ბარე ოცდაათი ჯამი ჩანახი იდგა. შესადგმელად ვამზადებულნი. იმდენი ბუზი იყო, რომა ხაშურში სხვაგან აღარც სადმე იქნებოდა, სულ აქ იყვნენ.

ვიდექ და ვუყურებდი იქაურობას. ის მთვლემარე მზარეული შეიშმუშნა, პირი დაადო, რალაც უნდოდა ეთქვა და

იმ თქმაზე ვერა სთქვა. მეორე დადებულა დაიძახა:

— კოსტა, გამოდი, თვარა, გევისრ ჯამები ბუზებით!

— მოვედი! — საიდანაც მოისმა, მაგრამ ამის მთქმელი კარგა ხნის მერელა მოვიდა.

დასტურიძე იყო, კოსტა იმას ერქვა, სხვა ვინ იქნებოდა. ეგრე, ორმოცისა ჩანდა და ბოლოქანქალასა ჰგავდა. მივიდა და ჩანახის ჯამებს ჩახედა.

— ეს რა გიქნია!.. აბა, ამოდენა ხორცის წადება, გამიგონია?! ჯამი მოიტა, კაცო.

ჯამს მოტანა არ უნდოდა, მზარეულს ხელში ეჭირა და გაუწოდა კიდევცა. ჩამოუარა დასტურიძემ მაგიდას, თითო ნაჭერი ხორცი ამოაკლო თითო ჩანახსა. აკლებდა, ცარიელა ჯამში ჰყრიდა და ბუტბუტებდა:

— ეს რამოდენა ხორცი გაგიოხრებიათ. ეხა, ვინ არი ამოდენა ხორცის შემჭმელი, მღუპავთ, რალა. გინდათ გამაკოტროთ და ქვეყანაზე მათხოვრად გამიშვათ... აბა, აბა, რათ უნდა, კაცო ესა, ჰა?... რათ უნდა...

ქალი იმეგ საქმეს აკეთებდა. მზარეული იდგა, თითქო არც არა ესმოდა რა და ერთხელ დაამოქნარა კიდევც. დასტურიძე თავის საქმეს მორჩა, ხორციებიან ჯამს ჩახედა და კვლავინდებურადვე მიჰყვა:

— აბა, აბა, რათ უნდა ამდენი, კაცოოო! ესა სულ სამწვადეა. გამომართვი, ყინულში ჩაღვი. იმაზე გიჭირავთ თვალი, რამე მაზარალოთ. გინდათ, რომ გამაკოტროთ, არა?! — კი არა ბრანობდა, თავისთვის ბუტბუტებდა და მე ისე ვნახე, ეხალისებოდა კიდევცა ის ბუტბუტი.

გათავა ესა, წასავლელად გაიწია და მივიძახე:

— კოსტა, ერთი აქეთ მობრძანდი, საქმე მაქვს!

მოვიდა. ფანჯარას მოადგა. კარში

პაპაუა ამირეჯიანი
დათა თუთიაშვილი

გადმოიხედა, დამათვალეირა. რავე, თვალში არ მოუხეველ, თუ როგორ იყო — გასწია და გზადაგზა თავის მზარეულს უთხრა:

— ამას ხაშლამის ნახარში დაუსხი. ბლომად დაუსხი. პური მიეცი!

— საქმე მაქვს! ხაშლამა, რა... — მივაძახე.

მომიბრუნდა. მიყურა, მიყურა არაფერი მითხრა და წავიდა.

ვიდექ, პირში ჩალაგამოვლებული.

მზარეულმა ხაშლამის ნახარშით სავსე ჯამი ფანჯარაზე შემოდგა. წავიდა, ახლა პური და კოვზი მომიტანა.

— იქეთ ჭამე! ე, იქ ჩამოჭექე და ჭამე! — დათასკენ გაიშვირა ხელი.

კინლამ მართლა დავავლე ხელი ჯამსა, მაგრამ ქალმა ხმა გაიღო, გულისყური მომიტაცა...

— კაცო, ცისმარეს დღეს მაგას გვეუბნება, ჩემი გაკოტრება გინდათო. ადექი შენცა, და ერთხელ იმდენი ჩადე, ეგ ოხრად დასარჩენი, რომა ველარ ამოიღოს...

— გაჩერდი, ქალო, მაქ შენ! ვცადე ეგ შარშან, არ იცი შენ, ახალი ხარ.

— მერე?

— მერე. გაჯავრდა ნამეტანი.

— დაუმატე ისევე?

— აბა, რას ვიზამდი, შე ქალო.

— მერე?

— ამეილო ისევე, ის დამატებული... — მერე მე მითხრა მზარეულმა:

— წეილე, ახლა, ჭამე და ჯამი არ გეიყოლო, იცოდე! — ჯამის წამლებიც გამომიყვანეს.

— დაკლება უყვარს და ამიტომ სხადის ასე, — ახლა ქალს უთხრა მზარეულმა, — რომ არ დააკლოს, არ შეუძლია ისე.

— ეგ რაღა დაკლებაა...

— გაჩერდი, ქალო, მაქ! არ იცი არაფერი.

მზარეული წავიდა. ვიდექი და ვფიქრობდი, ე რანაირი კაცი ყოფილა დასტურბიქა თუ ვილაც ვერანი, რა ვქნა, როგორ მოვიქცე-მეთქი და ამ დროს ისევე გამოვიდა, მამაცხონებული. ისევე

ფანჯარასთან მოვიდა. ჯერ ჯამ-კოვზსა და პურს დახედა, მერე ხელახლა მზარეულს თვალეირა...

გადადება აღარ ივარგებდა და ვუთხარ:

— აბეზიანამ გამომგზავნა. საქმე მაქვს!

ერთი კი შეერხა წარბი დასტურბიქს და მერე ისე გაიკვირვა ჩემი ნათქვამი, რომ ეჭვი შემეპარა, იქნება, ეს კაცი დასტურბიქე არ არის, ანდა დასტურბიქეა და ამ საქმისა, მართლაც არა იცის რა-მეთქი.

— რაო... ვინაო?

— აბეზიანამ!

— არ ვიცნობ, არ ვიცი ვინ არი... არ ვიცნობ! — ხმადაბლა, სხაპასუხებით და ღვარძლიანად თქვა.

— არ იცნობ, ხომა?!

— არ ვიცნობ-მეთქი!.. — უფრო ხმადაბლა და უფრო ბრაზიანად მითხრა კოსტამ და მზარეულს გასძახა: — კოლა, წაილე ეს ჯამი აქედან!.. ხაშლამა, დედის ამისამ!..

გამეცინა და სიცილში ვთქვი:

— რავე, ის შენ კარგად ვიცნობს, აბეზიანა, და სურამელმა იაკოფამაც მოკითხვა შემოგითვალა!

— არ ვიცნობ... არც ერთს არ ვიცნობ!.. — ახლა ჩურჩულით დამაყარა დასტურბიქემ, უცბად სიტყვა გაუწყდა, დამაცქერდა, კარგა ხანს მიყურა. მერე კოვზს ხელი სტაცა, ხაშლამის ნახარშს გემო გაუსინჯა და მზარეულს უსაყვედურა: — კოლა, უმარილო მოგიტანია, კაცო? უმარილო ხაშლამა ვაგონილა? მოიბა მარილი!

— აბა, მარილიანი ხაშლამა ვის გაუგონია, შე კაცო! მარილიო!

— ეხლა, ეს დუბელა წაილე, მაგ შენმა კოლამ მარილი უქნას და ჯანში გაიკეთოს!.. საქმე მაქვს-მეთქი, კარში გამო, შე ბოტის კურკლო, შენა!

ძალიან დამაკვირდა, მამაძაღლი, ძალაწანა.

— მოვედი, — მოწყვეტილად, უილაჯოდ მითხრა და წამოვიდა.



ხეები და სკამები იქაც ბლომად იდგა. სანამ დასტურიძე კარში გამოფრატუნდა, მე უკვე იქ ვიჯექი. მოვიდა და გვერდზე მომიჯდა. ის იყო მე ჩემი უნდა დამეწყო და უმაღლესი დამაყარა:

— კაცო, რა გინდა!.. რას გადამეკიდე და ვინ ხარ!.. ვინ ოხერი ხარ და რა ჰირი. გინდა!.. შენ მე ვინ გგონივარ... თვალში ხომ არ გეპატარავენ! არა, ვინ ოხერი ხარ და რა გინდა!..

განა გაათავა? მიდი და მიდი — სულ ერთი და იგივე. ჩქარა ამბობდა, ვადა ბმულად, სულმოუთქმელად ლაპარაკობდა და სიტყვები აერია. ძალიან გაჯავრებულ კაცად მაჩვენებდა თავს, სულ დუქებსა ჰყრიდა, მაგრამ თვალში ნამდვილი აღლევებისა არა ეტყობოდა რა... ვითარების გაგებას ცდილობდა, გამოსავალს ეძებდა. ის ქაქანი სულ ეშმაკობა იყო: ლაყადსა და გაჯავრებას ამოაფარა თავი. ბოლოს ისე აურ-დაურია ყველაფერი, რომ სიტყვები აღარ გამოსდიოდა, რალაცებს რომ შევდა. ეს იყო და ამასობაში მხარზე ცელგადებული დათაც წამოგვადგა თავსა და იმ აბუყბუყებულ დასტურიძეს უთხრა:

— კოსტა, გამარჯობა შენი!.. დასტურიძეს ენა ყანყრატოში გადაუხარდა. — კი ხანია, ბიძიკო, არ მინახავხარ. ასე, ოთხი წელიწადი იქნება, ხომ?

დათამ ის შეკეცილ-შეკრული ცელეები ძირს დაუშვა, ზედ ხელისგულები გადააჯავრდინა, ხელებს ნიკაბი დაანდო და დასტურიძეს გაუყარა თვალები.

ისე გოცებული და გაკვირვებული კაცი მეორე არც იქამდის მენახა და არც მეგრე მინახავს სადმე — ჯვარსა და სახარებაზე დამიფიცია, აჰა!.. უყურა, უყურა დასტურიძემ დათას და თავისთვის თქვა:

— ესა... ეჭე-ჭევე, დათაა?

— კი. დათა ვარ.

ერთი ხანი კიდევ უტყირა და ახლა მე შემომხედა. ეგრე შემოგვცქეროდა, ხან ერთსა და ხან მეორეს — ესენი ერთად მოვიდნენ თუ ცალ-ცალკეო, ამის დადგენას ლამობდა. ეგ არის, მე

რომ აბეზიანა ვუხსენე და რომელ საქმესაც ვეულისხმობდი, დასტურიძეს ვარაუდით დათას იმაებისა არაფერი უნდა სცოდნოდა. ახლა, ვერც იმისი გაეგო რამე თუ მე საიდან რა შუაში ვიყავი — არც მიცნობდა და არც სადმე ვენახე. გაინაბა ჩვენი მასპინძელი, რა ხდება და ამით ყბაში ის საქმე რანაირად უნდა ჩავარდნილიყო. დროის მოგება ეწადა თუ რაღი როგორა და ახლა ცელებს დაუწყო თვალეირება, ფხაც კი გაუსინჯა ხელითა.

— კაცო, ყურს არ მიგდებს ეს კაცი, — დათას ვუთხარი. — ამას ჰგონია, ჩემთვის რამე მინდა. სულაც არა მინდა რა. აგერა, ნახე, ხაშლამის ნახარშზეც უარი ვთქვი, ერთ რამედ ღირდა, მე და ჩემმა ღმერთმა. სიტყვა მაქვს დაბარებული და სათქმელი. თუ მათქმევიწებს — კარგი; თუ არა და ესეც კარგად იყოს და შენც კი სათიბი მოგცეს ღმერთმა. მათქმევიწოს, თორემ, გავჯავრდები და წავალ!

— რა ქნას ახლა ამ კაცმა, კოსტა — თქვას თუ წავიდეს? — დათამ ჰკითხა. დასტურიძე კვლავინდებურად განაბულიყო, მაგრამ აღარ გვათვალეირებდა, თვალები მიწაში ჩაესო, ფიქრობდა.

— აბა, თქვი, მაშინ! — მითხრა დათამ.

— ამანა და აბეზიანამ — როსტოველი ქურდია ერთი, — რუსეთში მდიდარი მონასტერი დასძრეს. შენი თქმისა არ იყოს და ამ ოთხი წლის წინათ იყო ესა. მღევარმა კვალი აუღო, გარეგნობა იცოდნენ ამათი. იარეს, ირბინეს და საქართველოში ჩამოიტანეს ნაქურდალი. თერთმეტი გირვანქა მარტო ოქრო იყო: ზოგი — ხატის ვარაყი, ზოგიც — სამკაული და ძეწკვები. თექვსმეტი კენჭი ბრილიანტი — ცალკე. ამათში ერთი გარგლის კურკისტოლა, ორი ჰერმის კურკისტოლა, ცამეტი — ალუბლის კურკისტოლა. ნაკლები არ ერია და სხვაც კიდევ ბევრი რამ იყო —

ზაზუა ამირჯიანი
დათა თუთაშინი

ვერცხლულო და რა ვიცო... ნაქურდა-
ლი შუაზე გაიყვეს, დაჰკრტს ფეხი, ხა-
შურში ამოვიდნენ. აბეზიანა აქ დას-
ტოვა ამ კოსტამ, თავად სურამში წავი-
და, მყიდველი მყავსო. დაბრუნდა, —
ვაჩვენე, რაცა გვაქვს, რვაას-რვაას თუ-
მანს გვაძლევს თითოსაო. აბეზიანამ
იფიქრა, ამ გაქცევა-გამოქცევაში მღე-
ვარი წამომეწევა, რვაასი თუმანიც და-
მეკარგება, ციხეშიც ამოვყოფ თავსაო
და ყაბული თქვა. ახლა, კოსტას რა უქ-
ნია, ამ ტურას, ამასა: სურამელ იაკო-
ფასთან ორივე წილში სამი ათას თუმ-
ნად მორიგებულებო და ამხანაგს კი
რვაასი თუმანი უთხრა. ისე, რომ აბე-
ზიანას წილიდან შეიდასი თუმანი გადა-
ლუნა. არც ეს აკმარა. როგორღაც მოა-
ხერხა, სანამ სურამში ავიდნენ, ის
გარგლის კურკისტოლა ბრილიანტი და
ერთიც ჭერმის კურკისტოლა მოჰპარა
და ჩუმად გადაყლაბა. მივიდნენ, სად-
ღაა აბეზიანას ბრილიანტები! გაჩხრიკა
აბეზიანამ თავისი ამხანაგი. რას იპოვნი-
და, როცა გადაყლაბული ჰქონდა ამასა.
ატყდა ქიშკი და გაწევე-გამოწევა. ბო-
ლოს ამ კოსტამ, — შენი ბრილიანტე-
ბისა არაფერი გამეგება, აჰა, ჩემი წი-
ლიდან ორასი თუმანი წაიღე და თავი
დამანებო! მოკლედ მოვჭრათ, ის აბე-
ზიანა კოსტამა და სურამელმა იაკოფამ
ათას თუმანზე გადაატარეს. ამას ორი
ათასი თუმანი და ორი დიდი ბრილიან-
ტი დარჩა. იაკოფაზე ნულარას ვიტყ-
ვით — ის საქონელი ათი ათასი თუმნი-
სა იყო!

— ვერ ყოფილა მაგარი კაცო, —
თქვა დათამ.

— ვინა?

— აბეზიანა, თუ ვილაცას რომ ამბობ
შენ.

— აბეზიანამა, — იაფად იმიტომ მი-
ვეცი, რომ მომღვედნენ, მეჩქარებოდა
და სხვა გამოსავალი არაფერი მქონ-
დაო.

— მაგას არ ვამბობ მე. ბრილიან-
ტები რომ ვერ წაართვა თავისი ამას
იქ, ამაზე ვლაპარაკობ მე.

— აგაშენა ღმერთმა! ვეუბნებოდი

აბეზიანას, — დაგეკლა ის შენი ამხანა-
გი, გამოგეშინა და ან კუჭმეგეშინე-
ლი და ან ნაწლავებში-მეთქი.

— რა თქვა მან.

— რა თქვა და, მაშინ ქურდად დაგ-
დიოდიო; ქურდის სისხლის კაცს ღო-
რის ჩხრინკელში ქექვა არ მეკადრებო-
დაო. მამა!

— სხვა გზა უნდა მოენახა, მაინც.

— ეგეცა ვთქვით, განა არა? უნდა
დაგეცადა-მეთქი. სანამ მოინელებდა,
თავისი ხელით გაექექა, ეპოვნა; გაერე-
ცხა და მერელა გამოგერთვა-მეთქი.

— რა თქვა მან.

— რა თქვა და ამას უთქვამს — დას-
ტურიძეს, კუჭი შეკრული მაქვს. სანამ
რამე იქნება, მღევარიც. დაგვეწევა,
თორემ მოცდა აჯობებდა, დარწმუნდე-
ბოდი, რომ არც არა მომიპარია და არც
არა გადამიყლაბიაო.

— მართალი უთქვამს ამ კაცს, რას
ერჩი?.. ქონდა გადაყლაბული თუ არ
ქონდა — მღევარი არ დაუღვევდა ამას.

— ჰოოდე და, რაღა ექნა აბეზი-
ანას? დააწვინა, უბაჯუნა დასტურიძეს,
რომა რუსის ბარაბანს არ მოხვედრია
იმდენი. მერე გატრიალებულა და წა-
სულა.

— კაი, მაგრამ სიდან იცი ეგენი შენ,
ნეტავი.

— ცარიცინის ციხიდან. იქ ვიჯექი,
ერთი კვირის წამოსული ვარ. აბეზიანა
ჩემთან ერთად იყო. სხვა საქმეზეა იქა.
არ იციან თუ მონასტრის დაძვრამში
იმასაც ხელი ურევია. გამომსვლელი
ვიყავი, აქეთ მოვდიოდი, მენდო და
დამაბარა.

— რა დაგაბარა, კაცო, რა უნდა...
არა, ვინ აბეზიანაო, რა აბეზიანაო,
რა ბრილიანტებო, კაცო, რა გინდა
შენ, ჰა? — ბოქლომი მოხსნა დასტუ-
რიძემ.

— რა დამაბარაო?.. კოსტა აქა და
აქ არის, მიდი და უთხარიო... ერთი
სიტყვით, ესე უნდა მოიქცე შენა: აბე-
ზიანამ მისამართი გამომატანა — ას-
ორმოცდაათი თუმანი იმ მისამართზე
უნდა გადაუგზავნო. ეს იმის დასტური



ქნება, რომ რასაც ეხლა ვეტყვი იმაზეც ყაბული ხარ... ვარგა გამოვა. დასტურიც ხარ და დაუდასტურებ კიდევ. ფულს გაუგზავნი და მერე ცარიცინში ჩახვალ, გამომძიებელი უნდა მოქრთამო, რომ აბეზიანა ციხიდან ვათავისუფლებინო და გამოვა თუ არა, ხელში ის გარგლის კურკისტოლა ბრილიანტი უნდა ჩაუდო. ჭერმის კურკისტოლა კოსტასი იყო.

— კაი ძალი საქმეები დაუვალობია, ღმერთიანი. რომ არ ქნას კოსტამ მასე, რას იზამს აბეზიანი, ნეტავი?

— ეგრე მოიქეცა, როგორც შემოვივალე, თორემო, ცულს მოვიტან ცუნტულასა, წალდუნასა კუნკულასა, ხესაც მოვჭრი, ხის ძირსაცა, შენც შეგქამ და შენ შეილსაცაო!.. გყაავს რო შეილები?..

— დახურდავება უნდა მაგას, ვერ მიგხვდი მე, — დათამა თქვა.

— კაცო, ისეთ საქმეზე ზის აბეზიანა, რომ ოცი წლის კატორღა არა ამინდში არ ასცდება.. ეს თუ ისე არ მოიქცა, როგორც იმან შემოთვალა, გახსნის მონასტრის საქმესა, თავად არც რამე მოემატება ამით, მაგრამ დასტურიცეს გვერდზე მოისვამს და ორთავენი მხიარულად იქნებიან. აბეზიანა ქურდად აღარა ზის, გაფუჭებულია, ამისთანების ჩადენას ველარავინ დაუშლის და დაუწუნებს. თავისუფლად იზამს. ვერც ეხლა მიხვდი, კაცო?!

ხატანგში გაბმული ტურისთვის მიცქერია, სწორედ იმასა ჰგავდა დასტურიცე. ეხლა, რა ქნა? ჯერ ჩურჩულით დაიწყო და მერე ხმაზე გადავიდა:

— გარგლის კურკისტოლა ბრილიანტი... ჭერმის კურკისტოლა ბრილიანტი... კურკის გარგლისტოლა ბრილიანტი... ბრილიანტის კურკისტოლა გარგალი... ბრილიანტის კურკისტოლა ჭერამი... კურკის ბრილიანტისტოლა გარგალი.. კურკის ბრილიანტისტოლა ჭერამი... — იჯდა, ამას ამბობდა, იქნებ გიყი ვეგონო, თავი დამანებონო, თუ რაეი, რისთვისა.

შეიძლება მართლა გავიყებულყო. ვინც ვინდა დაჯდეს, იფიქროს რამდენიც მოეხსიანება და, აბა, გაუგონო თავი და ბოლო ამ საქმესა — ვერაფერს გახდება! თითქოს ყველაფერი ცხადი იყო, მაგრამ მტკიცედ და ნამდვილად დასტურიცემ მიანიც არა იცოდა რა.

— რომ შეუთვალო იმ კაცს, აღარ არის დასტურიცე ამქვეყნად, გარდაიცვალა და განისვენაო? — მითხრა დათამ და დასტურიცემ ყურები ცქვიტა. ჭკუაზე იყო!

— სურამელ იაკოფასთან მიმგზავნის; იმას, ვინდ სახარობელაზე გაიყვანე მინც ვერაფერს დაადგებინებ და გაიხსნება საქმე, ნამდვილია ესა!

— ისიც მომკვდარა-თქო, კაცო, ისიც მომკვდარა-თქო! — წამოიძახა დასტურიცემ.

— ჰო, მაშა! შენი გულისთვის ნახევარი საქართველო ამომიწყვეტია და ეგ არი. აჰა, და კიდევაცა — რას დიჯერებს აბეზიანა!

— გარგლის კურკისტოლა ბრილიანტი... ჭერმის კურკისტოლა ბრილიანტი... — მიჰყვა თავისას დასტურიცე.

ეხლა უკვე ზოგი რამ ნამდვილად იცოდა. პირველი ისა, რომ მე და დათა ერთად ვიყავით; მეორე — აბლაბუდაში გვყავდა და მიუხედავად იმისა, მართლა აბეზიანამ მიმგზავნა თუ არა, ველარსაით წავკვივიდოდა. ერთი რამ არ იცოდა: ბრილიანტებისთვის მოვედით, ფულს დავჯერდებოდით თუ, იქნებ, სულაც სხვა საქმე გვქონდა. ხელმეორედ იმიტომ დაუგარგლისკურკისტოლაეა, რომ თან ამაზე ფიქრი მოეხერხებინა.

— აბა, მაიკოპში ბეალავამ მშვიდმწყურვალე რომ შეგიკედლა და ორი საბანი რომ მოპარე და მიიმალე, იმ წელს ვაგაძარცვავთ მონასტერი თქვენ, — უთხრა დათამა.

— არა, დათა ბიძია... არა, კაცო!..

— ოთხი წლის წინათ ყოფილა და

ვახუჟა ამირანოვი
დათა თუთაშვილი

ემთხვევა საბნების მოპარვას... მე არ მომიპარავსო, ნუ დაიჩემებ, თვარა, მომივა გული და, სულ რომ არ ვარ მაგისტრის მოსული, ორასი საბნის ფასი გადავახდევინო, იქნება, დამიჯერე შენ!

დასტურიძემ კიდევ დაგვათვალეირა, წარბი შეჰკრა და მართალი კაცივითა თქვა:

— მე არც აბეზიანა ვიცი, არც სურამელი იაკოფა, არც მაგ საქმის მონაწილე ვყოფილვარ და არც ბელავეას საბნები მომიპარია. მოსულხართ და მოსაცემად ხომ არა, წასაღებად მოხვედით. პირდაპირ ვამბობ, ქვაზე მაგარი ვარ, არ მეშინია თქვენი, მაგრამ საქმეზე ლაპარაკისთვის ეს ადგილი არ ვარგა. შიგ შევიდეთ.

— გიმნაზიაში ნასწავლი კაცი ხარ, მე და ჩემმა ღმერთმა!

— მართლა გიმნაზიაში ნასწავლი, — დამიდასტურა დათამ.

მასპინძელი წინ გაგვიძღვა და სამთავენი რესტორანისკენ დავიძარით.

ბრტყელ-ბრტყელებიც გვითხრა, გავვეჭიმ-გამოგვეჭიმა კიდევ, მაგრამ გატეხილი იყო და თითონაც იცოდა ესა. პატარა ოთახი ჰქონდა, დავსხედით, სუფრა გააშლევინა. ტოლუმბაშივით თავში დაჯდა, პური გავატეხინა და უკმეხად გვითხრა:

— აბა, ჭამეთ დროზე, თქვით რისთვის მობრძანებულხართ და თქვენი გზა ნახეთ!..

ფონს გასვლა თავხედობით დააპირა! მე და დათამ ერთმანეთს გადავხედეთ, გავვეცინა... ზეზე წამოვიჭერი, ყბაში მუშტი ვთხლიშე, სკამიანად წავაქციე, მამაძალი...!

— ადე, დაჯე!

ადგა, სკამი მოიღვა, დაჯდა და ახლა კიდევ ვთხლიშე.

— კაცო, რისთვის მობრძანდით-მეთქი, სხვა ხომ არაფერი მითქვამს!.. — დაიწუწუნა დასტურიძემ და მკლავი აიფარა, კიდევ გამომიქანებსო.

მესამეც მივართვი და დავაყოლე:

— აი, ამისთვის მოვბრძანდით, სხვა რა უნდა გვინდოდეს!

— ვიყვირებ...!

— ვერ იყვირებ ბევრს, — მიუგო დათამ, უბიდან იარაღი გამოაცურა, მასპინძელს ტარი უჩვენა და ისევ შეინახა.

— კაცო, როდემდის უნდა მცემოთ...!

— სანამ ზრდილობას ისწავლი. ამაყური დაუგდე, სათქმელი რამ აქვს! — დათა ვაჩვენე.

— ამდენი ამბავი რა საჭირო იყო, პირდაპირ გეთქვათ... — ჩაილაპარაკა დასტურიძემ და დათას მიაყურა.

— საჭირო იყო, ბიძიკო, საჭირო. სიმართლე გვინდა ვიცოდეთ ჩვენ. შენისთანა კაცი სიმართლეს არ იტყვის, სანამ არ მოიღუნება და მიწას არ დაედება შუბლით. გაფრთხილებ, კოსტა საბნის ქურდო, სიცრუე და ორჭოფობა არ დავინახო და არ გავეგონო აქ! ასე. ახლა, შალბაშვილს რომ შეუვარდნენ, ის ამბავი გეცოდინება შენ.

— ვიცი.

— ვისი ჩადენილია მაგ საქმე. აიწურა დასტურიძე. არ ვიციო, ამის თქმა უნდოდა, მაგრამ ენა დაება.

დაებმებოდა, მამ როგორ, — ტყუილს ვინ შეარჩენდა!

— ჰააა!.. ხალისით, გაბედულად, მარღად! — სიმხნევე მივეცი.

— ტაბისონაშვილი და ორნიც სხვები იყვნენ.

— რატომ ქნეს ის?

— ყანდურის კაცები არიან, იმის ნებით გაკეთდა.

— ვინ არის ყანდური?

— ყანდური არ იცით?

— არ ვიციო.

დასტურიძემ იყუჩა, იფიქრა, ქეჩო მოიქეჭა.

— გეტყვით, მაგრამ პირობა დამიდეთ, რომ ჩემი სახელის სხენება არსად იქნება, რა ვიცი, რას აპირებთ... ოჯახის პატრონი ვარ, წვრილშვილი მყავს.

— გაუთქმელობის ხელწერილი ხომ არ დავუწეროთ, ბეჟარ-ბატონო!



— ილაპარაკე, შე ტუტუტო, შენა!
 — ყანდური ურბნელი ეპისკოპოსის კარის მოძღვარია. ყანდური უწინ ერქვა. ეხლა მამა ალექსის ეძახიან, ეგზარქოსის სახელი შეირქვა — ალექსი. მამის ხელშია მაზრა.

— მაზრის უფროსია?
 — მაზრის უფროსი! — დასტურბიძემ ჩაივინა. — მამა ალექსი ეგზარქოსის კაცია, პირდაპირ იმასთან აქვს საქმე. ეგზარქოსს — მეფის ნაცვალთან... ყანდურს აქაურები ყველა გამოჭერილი ჰყავს: მოსამართლეები, პოლიცია, საბაჟო, საგანსახადო უწყება... გაიგეთ? — მერე?
 — მერე და მერე. რაც მაზრაში ხდება, სულ ყანდურის ხელიდან გამოდის. შალიბაშვილსაც ყანდურმა მიუგზავნა ის კაცები.

— რას ერჩოდა.
 — ფულს არ აძლევს შალიბაშვილი.
 — რა ფული უნდა მისცეს და რატომ უნდა მისცეს?
 — ყანდურს უჭირავს აქაურობა და უნდა აძლიოს შალიბაშვილმა! ყველანი ვაძლევთ.

— ვინ ყველანი?
 — ვინც. რამე საქმეზე და საშოვარზე ვდგევართ — ყველა.
 — რამდენს აძლევთ?
 — ვინც როგორც საქმეზე და საშოვარზე ვდგევართ—იმის მიხედვით. შემოგვაწერა და ვაძლევთ. კაცი ჰყავს, ჩამოივლის ის კაცი თვეში ერთხელ და მიაქვს.

— შენგან რამდენი მიაქვს?
 — ათი თუმანი. ცოტას მართმევს, ძველი ნაცნობები ვართ, ციხეში ერთად ვისხედით...

— ვისთან ერთადა, კაცო?!.
 — ყანდური და მე.
 — აბა, მაგ ყანდურს უჭირავს მაზრა, ხომ?..

დასტურბიძემ თავი დაიქნია.
 — კაცო, თქვენც ადექით და ნურაფერს მისცემთ, რა.
 — საშოვარზე ვდგევართ-მეთქი! სადაც საშოვარია, იქ კანონიც ირდევია.

გამომიგზავნის მთავრობის კაცებს მეტს დამისვამს. თვეში სამჯერ გამომიგზავნის! ან უნდა გავკოტრდე, ან უნდა ვაძლიო. მიცემა სჯობს. ვაძლევ. სხეებმა იციან, რომ ვაძლევ და მერიდებიან.

— კარგათა ჰქონია აწყობილი!
 — ერთად ვისხედითო, რომ თქვი, შენ რისთვის იჯდებოდი, გასაგებია. ყანდური რისთვის იჯდა, მაინც?

— ქურდობაზე, წვრიმალ ქურდობაზე.

— რა მოიპარა?
 — ადრე ბაზრის ქურდი იყო, ერთთავად მშვიერი და ტილიანი დადიოდა; ზოგი ფანდურას ეძახდა, ზოგი — ჩონგურას. როცა მე და ეგ ერთად ვისხედით, მაშინ სამწლიან ვადას იმაზე იხდიდა, რომ საკაბე მოჰპარა თავის საცოლეს.

— თავის საცოლესა, კაცო?!
 — საცოლეს. ის ვადა მოიხადა, ყინწვისის მონასტერში ბერად აღიკვეცა. რამდენიმე წელიწადი იქ იყო. მერე, რაღაცნაირად მოახერხა, შავი მანტია გაიხადა, მღვდლად ეკურთხა და აქა სწირავდა, სანამ ეგზარქოსად მთავარეპისკოპოს ალექსი ოპოცკის დანიშნავდნენ... დანაჩენი, როგორც ვითხარით, ისეა.

— სად ცხოვრობს, იცი, ალბათ.
 დასტურბიძემ ხელი ჩაიქნია და სიცილითა თქვა:

— სად არ ცხოვრობს, სახლკარი ბევრ ადგილას აიშენა. ისე, აქ არის, ხაშურში. დღეს წირვაა და სამღვდლოების რაღაც თავყრილობა. უყანდუროდ არც ერთი იქნება და არც მეორე. აქ არის.

— ახლა ეს მითხარი შენ: რას შვრება, როგორც ცხოვრობას ეწევა ეგ ყანდური, ფანდური, ჩონგური, თუ მამა ალექსია, აქ.

— როგორს გასწევს; ქალები, ქეიფები, ყომარბაზობა, — რა თქმა უნდა,

ვახუა აშირაჯიანი
 დათა თუთაშვილი

მალულად. მაგათ თავისი წრე აქვთ, უცხოებს და პატარა თანამდებობის კაცებს სათოფეზე არ იკარებენ.

— ციხეში ვინ პატრონობდა, როგორ ცხოვრობდა, რას ჭამდა?

— ფაფასი ფაფა უყვარდა. ჩამოუვლიდა ნაჭამ ჯამებს, თუ რამე იყო შიგ ჩარჩენილი ან ჩატოვებული — ერთ ჯამში მოუყრიდა თავს და დაცარიელებულ ჯამებს თითოთი ამოლოკავდა. მერე მოვროვებულ ფაფას ფსკერამდე დაიყვანდა და იმ ჯამსაც ამოტოკავდა. ფაფა ძალიან უყვარდა, მუცელი მუდამ ტივივით ჰქონდა გაბერილი... მაინც სულ მშვიერი იყო. ციხეში „კაშკას“ ეძახდნენ.

— გასაგებია ეგ. შალიბაშვილის ნახვას სად და როგორ შეძლებს კაცი?

— შალიბაშვილი ცხრამუხელია.

— სად არის ეგ.

— აქვეა, ნახევარი საათის სავალზეა.

— რა გქნათ ახლა, თუ იცი: წავიდეთ და ვნახოთ ის შალიბაშვილი სამივემ!

— მეც უნდა წამოვიდე? — დასტურბიძეს ფერი წაუვიდა.

— კი, კოსტა, შენც. სამივე წავალთ ერთად.

— მე... მე არ ვიცი, სად ცხოვრობს. არა, ცხრამუხაშია, მაგრამ სახლი სად უდგას, არ ვიცი.

— აბა, შენ არც ის გეცოდინება, ყანდურს სად უდგას სახლი!

— არც ყანდურის სახლი ვიცი... კაცს მოგცემთ, ყველაფერი იცის...

მხარზე ხელი დავადე, ხმა გაწყვიტა.

— ჰაა! დაუარე ჩანახის ჯამებსა, ამოაკელი თითო ხორცი?! ამოდენა სახედარი როგორა ხარ, რომ უბრალო

რამეები არ გესმის? შენი სული გენ ხელშია, მაგრამ სანამ ამ ადგილამდე ვართ, უჩვენოდ შენი მარტო დარჩენა არ იქნება. საცა წავალთ — იქ უნდა იყო!.. დარჩენა თუ აიხირე, მძორილა დარჩები და...

— რა არის ეს, ბექარ-ბატონო, ასე უხიაგი ლაპარაკი რატომ იცი, შე კაცო! მძორი რა სათქმელია, რა სიტყვაა ეგ? ცხედარი უნდა თქვა, განსვენებულო, მიცვალებული და რამდენი თქმაა მშვენბერი, კიდევ, დალოცვილ ქართულში, რა ვიცი მე!..

— ჰოოდე, აი, მიცვალებულად, ცხედრად დაგტოვებთ! ცოცხლად — ვერა, თავს გაიფუჭებ. ესლა, ჩვენ, — რა? არაფერი. ეგ არის, — თავიდან მოვიშორე ესენიო, და გვიმუხთლებ რასმე. იზამ მაგასა და გარგლის კურკისტოლა ბრილიანტი აქ დაგრჩება და შენ სახალისის კატორღაში წახვალ. გვეცოდები, ვერ დაგტოვებთ ცოცხალსა; თავს გაიფუჭებ, თორემ, ჩვენ — რა? არაფერი.

მიხვდა დასტურიძე, არა გამოვა რაო, დაგვევა, მაგრამ ერთიცა სინჯა:

— რა გინდათ შალიბაშვილთან? იქნებ მე ვიცი...

— ნამდვილად დათა თუთაშხიას თუ გადააბრალო თავისი ნამოქმედარი იმ მოძალადემ, ის გვინდა გავიგოთ. არაფერი სხვა.

— ნამდვილად გადააბრალო, ნამდვილად გადააბრალო...

— გაჩერდი, კოსტა, თუ ღმერთი გწამს. მასე სხვისი ნათქვამი ჩვენც ვიცით, შე კაცო...

გაჩუმდა დასტურიძე, ჩამოჰყარა ყურები დადლილი ვირივითა...

ბრაში სეპელი

კავკასიაში ერთი მუდმივმოქმედი პრობლემა და, მაშასადამე, საიდუმლო პოლიციის ყოველდღიური სამუშაო არსებობდა: მაჰმადიანთა შორის, განსაკუთრებით დაღესტნის ტომებში, თურქეთის ძირგამომთხრელი საქმი-

ნობის წინააღმდეგ ბრძოლა. ხსენებულმა საქმიანობამ მეოცე საუკუნის დასაწყისში თეორიულად დამუშავებული მოძღვრების სახე მიიღო, პანისლამიზმის სახელწოდებით გახდა ცნობილი. სულთნის რეზიდენტები და ჯაშუშები

აქვებდნენ, ხელს უმართავდნენ ყვე-
ლაფერს, რაც კავკასიაში სიმშვიდისა
და რუსეთის იმპერიის სხვა ინტერესე-
ბის წინააღმდეგ იყო მიმართული. ამას
საგარძნობი თანხები სჭირდებოდა —
კავკასიის სპეციფიკიდან გამომდინარე,
ძირითადად ოქროთი — და თურქები
იძულებული იყვნენ ამ ოქროს გადმო-
ტანა-გადმოგზავნის ახალი და ახალი
გზები ეძებნათ. აქ მცირე განმარტებაა
საჭირო. თურქებისა და ირანელების
მხრივ ქრისტიანული საქართველოს
წინააღმდეგ დაღესტნის ტომების გა-
მოყენებას ჯერ კიდევ იმპერატორ ალექ-
სანდრე პირველის რესკრიპტამდე
ჭკონდა რამდენიმე საუკუნის ისტორია.
ამიტომ ქართველები სულთნის ჯაშუ-
შებთან ბრძოლასა და თურქული ოქ-
როთი საცეს ზანდუკების ხელში ჩაგ-
დებაში კარგად დახელოვნებულები
იყვნენ. რა თქმა უნდა, მეცხრამეტე
საუკუნესაც არ ჩაუვლია უქმად —
ქართველების გამოცდილებას ჩვენიც
დაემატა და მეოცე საუკუნის მიჯნაზე
თურქეთიდან ოქროს შემოტანა-შემო-
გზავნის არხები საკმაოდ შესწავლილი
და დაკონტროლებული გვქონდა. აქე-
დან, დაბრკოლებებიც, რომელთა გადა-
ლახვა თურქებისთვის ძნელი იყო, მაგ-
რამ საკითხი არც ჩვენთვის გახლდათ
ბოლომდე დაძლეული და გადწყვეტი-
ლი. ბრძოლა ცვალებადი წარმატებით
მიმდინარეობდა. სახელდობრ მაშინ,
როცა სახნოვმა „კილიკიის“ ავტორობა
იკისრა, უკვე ხუთი, ექვსი წელიწადი
სრულდებოდა, რაც თურქებმა იმძლავ-
რეს: ავანტურული ცნობების მიხედვით
თურქეთის ოქრო მისამართებამდე და-
უბრკოლებლად აღწევდა და ჩვენ ყი-
ვერა და ვერ დაგვედგინა, თუ რა გზე-
ბითა და ხერხებით ხორციელდებოდა
ეს. თათბირებზე ზარანდიამ არაკეთილ
გამოთქვა აზრი, რომ ჩვენს ტერიტო-
რიაზე არსებობდა დამკრედიტებელი,
რომელიც პანისლამისტთა საიდუმლო
ქსელს ოქროთი ამარაგებდა. მისი აზ-
რით თურქებს დამკრედიტებლის პი-
რად ანგარიშზე რომელიმე უცხოურ

ბანკში შეჭკონდათ გასაცემი თანხა და
ამის შემდეგ რაიმე საშუალებით აცნო-
ბებდნენ ხოლმე, — ფული შეტანილია,
გაეცი ამა და ამ კაცზე ამდენი და ამ-
დენიო. დამკრედიტებელი მითითებას
ასრულებდა. კვლევა და მუშაობა ამ
პიპოთეზის შესამოწმებლად განუწყვე-
ტლივ სწარმოებდა, მაგრამ დადებითი
შედეგი არ ჩანდა. საქმეს ის გარემოება
ართულებდა, რომ ნავთობის ამოღებამ
და მრეწველობის ზრდამ კავკასიაში
ერთობ მოამრავლა მდიდარი კაპიტა-
ლისტები, რომელი ერთი უნდა შეგვე-
სწავლა? ესოდენ ფართო თვალყურის
განხორციელება, ყველაფერს თავი და-
ვანებოთ, ფიზიკურად შეუძლებელი
იყო. პრობლემების გადაჭრას ახალი
მეთოდიკა სჭირდებოდა, ძველმა თავი
ვერ გაამართლა.

ცნობილია, დანაშაულისა და დამნა-
შავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ყვე-
ლა ცივილიზებულ საზოგადოებათა
სამართალს ერთი ძირითადი დეტალი
ახლდა და ახლავს: კანონის მოქმედება
იწყება დანაშაულში მხილების შემდეგ.
სხვანაირად: სამძებრო. უწყება, იქნებ
ღრმად დარწმუნებულიც იყოს, რომ
ესა და ეს დანაშაული, სახელდობრ
მავანი კაცის ჩადენილია, მაგრამ ის კა-
ცი შეუვალობით სარგებლობს იქამდე,
სანამ მას სამძებრო უწყება უკვე ჩად-
ნილის გამო უტყუარ მტკიცებას წარუ-
დგენდეს, ან სხვა, ახალ დანაშაულზე
წაასწრებდეს. ასე იყო თურქების პა-
ნისლამისტური და სხვა ძირგამომთხრე-
ლი მოქმედების მიმართაც. მაჰმადიანუ-
რი სარწმუნოება და, მასასადამე ყორა-
ნიც, რუსეთის იმპერიაში თავისუფლე-
ბით სარგებლობდა. პანისლამიზმის
იდეა თვით ყორანში დევს. მის ქადაგე-
ბას სასულიერო პირები და ფანატი-
კოსები ეწეოდნენ და ეს პროპაგანდა
კანონიერების ფარგლებს არ სცილდე-
ბოდა. აქ დანაშაულში მხილება და კანო-
ნის მიყენება საკმაოდ ძნელი იყო. აი,

ვახუა ამირეჯიანი
დათა თაშთაშხია

ერთად-ერთი კითხვა, რომელზეც პანისლამიტებს უნდა გაეცათ პასუხი: ვისი და როგორი ეგიდით წარმოგიდგენიათ ისლამური სამყაროს გაერთიანება? ამაზე მქადაგებლები ამბობდნენ: განა რუსეთის იმპერიის ფარგლებიდან გასვლის მოწოდება ჩვენგან ვისმე და როდისმე გაუგონია?.. ამის შემდეგ, როგორც იტყვიან, საქმე აღარაფერი იყო, გარდა სეპარატიზმის ცალკეული გამოვლინებების წინააღმდეგ ბრძოლისა და ამას მეტნაკლები წარმატებით ვანხორციელებდით კიდევ. მსჯავრის უფლების გამოყენების მხრივ გაცილებით მარტივი ვითარება იყო ყაჩაღებთან, ბანდებთან, თუ სხვა სახის წინააღმდეგობასთან, ან ასეთ ქმედებათა წაშეშებლებთან ბრძოლაში. აქ დანაშაული ყველა შემთხვევაში სახეზე იყო და მხოლოდ მისი ჩამდენის გამოაშკარავება და დასჯაღა რჩებოდა. ვებრძოდით, საბოლოო ჯამში ვიმარჯვებდით, მაგრამ ამით მხოლოდ ტოტალორტსა ესხეპავდით და ჩვენი ამოცანა კი ხის წაქცევა, მისი ფესვების ამოძრკვა იყო. ეს იქამდე ვერ მოხერხდებოდა, სანამ პანისლამიზმის ორგანიზმს საკვები არხები არ გადაეჭრებოდა. სულიერ საკვებს, ანუ თვით იდეას, ქრისტიანული სარწმუნოება უპირისპირდებოდა და ებრძოდა: მატერიალურ საკვებს, ანუ ფულს — საიდუმლო პოლიცია და უანდარმერიის სამმართველო. ჩვენ რამდენიმეჯერ ჩავიგდეთ ხელში შიკრიკები, რომლებსაც რეზიდენტებთან საკმაოდ მსხვილი თანხები მიჰქონდათ. ისიც ნამდვილად ვიცოდით, თუ რა დანიშნულება ჰქონდა იმ ფულს, მაგრამ ყურებზე ხახვიც ვერავის დავაჭერით! მათი პასუხი ერთი იყო: ფული ჩემია! როცა ვაშხილეთ, რომ მევან კაცს მისცა, — მემართა, მივეცემდი, მაშ რას ვიზამდიო, და ამას ფულის მიმღებიც ადასტურებდა ხოლმე. აი, ასეთი სულელური მდგომარეობის მონები გახლდით ბოლო ხუთი, ექვსი წელიწადი და თურქების თავმომწონეობასაც ხომ საზღვარი არ ჰქონდა.

ზემოთქმულის მოყვანა იმისთვის დამჭირდა, რომ მეჩვენებინა, როგორი სიძნელეების წინაშე იდგა მუშაობა ნდა სულთნის ოქროს საქმეში და — უნდა საგანგებოდ აღვნიშნო, ეს აუცილებელია, — ამ პრობლემის გადასაჭრელად მას ხელთ სრულიად არაფერი ჰქონდა.

ჩემი უწყების მუშაკთაგან ამ საქმეს ზარანდიაზე უკეთ რომელი მოუვლიდა და, მართლაც, მან ახალი ვანყოფილების მიღებისთანავე სულთნის ოქროს პრობლემას უპირველესი მნიშვნელობა მიანიჭა. ეგ არის, დრო გადიოდა და მე კი ვერ ვხედავდი, რომ ზარანდის, ამ მხრივ, მოქმედების რაიმე კონკრეტული გზისთვის მიეგნო. ბოლოს ვკითხე, თურქების მიმართ ზომები ხომ არაფერი მიგიღია-მეთქი.

— მოგვხსენებათ, თქვენო ბრწყინვალეებო, არის ამავე ხასიათის სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხებიც და მათ შორის ურთიერთკავშირი იგრძნობა. ისეთი ხერხის გამოხატვაზე ვფიქრობ, რომ ყველამ თუ არა, რამდენიმე პრობლემამ მაინც მიიღოს ერთდროული გადაწყვეტა. კიდევ ცოტა უნდა დამაცადოთ, სულ ცოტა, გრაფ — ასე, ერთი თვე, თვენახევარი.

მონათესავე საკითხები კი მართლაც იყო. აი, ერთი მათგანი.

საგანგებო, ან სრულიად მნიშვნელოვანი საქმეების გამო ვაცემულ ბრძანებებს ნოლიანი რიცხვებით ვნომრავდი — ვთქვათ, სამოცდაათი, ასოცი ოთხას ათი და ასე შემდეგ. ასეთი ნომრის მქონე დოკუმენტი სასწრაფო მსვლელობასა და პასუხს მოითხოვდა, მაგრამ ერთია — ბრძანება ვაცე, ხოლო მისი შესრულების საშუალება გამოინახება თუ ვერა — სხვა საქმეა. თავის ახალ თანამდებობაზე ზარანდისაც დაუხვდა რამდენიმე შეუსრულებელი ნოლიანი ბრძანება. ერთი მათგანი იმის გამო მქონდა ვაცემული, რომ ჩვენი დაზვერვის ცნობით, ავსტრო-უნგრეთის გენერალური შტაბი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ტერიტორიიდან საი-



დუმლო ინფორმაციას იღებდა. ავსტრია-რეიხისთვის ცნობილი იყო ამიერკავკასიაში დისლოცირებული საარტილერიო ნაწილების უფროსთა შემადგენლობის საანკეტო მონაცემები და საბრძოლო ქვეყნებთა საერთო რაოდენობა. ამას გარდა, მათ ხელთ ჰქონდათ ვრცელი წერილობითი ანგარიში ამიერკავკასიაში განლაგებულ სამხედრო კონტინგენტებსა და სამოქალაქო მოსახლეობაში პოლიტიკური განწყობილებების თაობაზე. ეს სამხედრო და სამოქალაქო ხასიათის მასალა არა ერთი მალალი თანამდებობის ოფიცრისთვის და მოხელისთვის იყო ცნობილი და ხელმისაწვდომი, ჩვენს დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიაზეც, სხვაგანაც და რეზუსის ამოხსნას სწორედ ეს გარემოება აძნელებდა. აქ, მარტო კვალზე დადგომისთვის რამდენიმე მონათესავე დაწესებულების თანამოქმედება, ღონისძიებათა მთელი სისტემის განხორციელება იყო საჭირო. ზარანდიამ სიმწელები დაინახა, დაინტერესდა და სხვა გადაუდებელი საქმეების პარალელურად, ავსტრიის შვიონაჟთან დაკავშირებულ დოკუმენტსაც დაუყოვნებლივ მისცა მსვლელობა. მას ამ საქმის გარშემოც სრულიად არაფერი გააჩნდა, გარდა თვით ნოლიანი ბრძანებისა. ეს კი ნიშნავდა, რომ მის წინაშე იდო უზარმაზარი შრომატევადობის სამუშაო: ხელახლა, გულდასმით და დაწვრილებით უნდა შეესწავლა უცხოეთთან და უცხოელებთან კავშირის ყველა ამიერკავკასიური არხი, ანუ ის ტერიტორია, სადაც ქალაქების მოსახლეობის მეთაფი მანც, უცხოელი მოქალაქე იყო. შეესწავლა, უპირველესად ყოვლისა, საერთოდ — კონტრდაზვერვის სამსახურის ასპექტში და შემდეგ ჩემი ნოლიანი ბრძანების მხრივ. ამგვარ ამოცანებს სათქმელად ადვილი და დასაძლევად თითქმის შეუძლებელი ჰქვიათ.

ზარანდიამ ავსტრიაში მომუშავე ჩვენი აგენტურის ის ცნობა შეისწავლა, რომლის გამოც მე ნოლიანი ბრძანება

გავეცი. ამ დოკუმენტისა და არსებული ვითარების შეჯერებამ იგი იმაში არწმუნა, რომ საქმე ჰქონდა საკმაოდ დახელოვნებულ, განათლებულ რეზიდენტთან და მისი აგენტების ურთიერთობასთან კომპეტენტურ პირებთან. ზარანდიამ მართალი იყო, რადგან ასეთი ხასიათის ცნობების ჯერ გადაცემა ვერ მიეწერებოდა მოყვარულის ენთუზიაზმს და ვერც ავსტრიაში მათი გადაზავნა აიხსნებოდა ცარიელა პატრიოტიზმით. ცხადი იყო, რომ არსებობდა გამყიდველი და მყიდველი, ან იძულებული და მაიძულებელი. კიდევ ცოტა ხნის შემდეგ ზარანდიამ სარწმუნოდ დაადგინა, რომ იგივე ცნობები, რაც ავსტრიალებს ჰქონდათ, თურქებს და ირანელებსაც ჩავარდნოდან ხელში! ეს კი ნიშნავდა, რომ კავკასიაში სამი სახელმწიფოს ერთმანეთთან დაკავშირებული ჯაშუშები მოქმედებდნენ ან ჯაშუში ერთი იყო და სამი სახელმწიფოსთვის კი მუშაობდა.

ახლა იმაზე, თუ რა მეთოდი აირჩია ზარანდიამ საკვლევ-საძიებელ პირთა დასადგენად. თვით მეთოდი თავისი არსით მტკნარ მტაფიზიკას წარმოადგენდა, მაგრამ გამონაკლისი, ხშირად, უფრო ქმედითია, ვიდრე სტანდარტი, უფრო საინტერესოც და ამიტომ მოკლედ ამასაც შევეხები.

უპირველესად ყოვლისა, მუშნი ზარანდიამ განაცხადა, — საარტილერიო ტექნიკის აღმწერი და ანკეტების შემკრები ერთი და იგივე პირია, ხოლო პოლიტიკური ანგარიშის შემთხვევლი სხვა კაცი არისო. რა თქმა უნდა, იქნებ სახელობრ, ასეც გამოსულიყო, მაგრამ ვინაიდან ამას შემდგომი ძებნის წარსამართავად გადაწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, საჭირო იყო ურყევი მტკიცება, რომ ეს ასეა და არა. როგორმე სხვანაირად. მტკიცება ზარანდიას არ გააჩნდა — ძებნა მაინც ორი ავტორის ვარიანტიდან გამომდინარე განაგრძო.

შემდგომი ნაბიჯი მართებული იყო—

ვახუა აშირვაძე
დათა თუთაშვი

თუ შეიძლება მართებული იყოს მტკიცებას მოკლებულ, სათუო დებულებიდან ამოსული ნაბიჯი: ზარანდიამ სამი სია შეადგინა — ერთი იმ პირებისა, ვისაც ქვეყნების რაოდენობაზე უწვდებოდა ხელი და რეფერობაში ფართო ნაცნობობა ჰქონდა. პირებს, ვინც უცხოელთათვის გადაცემული პოლიტიკური ანგარიშის ინტელექტუალურ დონეზე იდგა — მეორე სიაში მოუყარა თავი. მესამე სია შესაძლებელი რეზიდენტების გვარებს შეიცავდა. ამის შემდეგ მან კვლავ გადაუხვია მიღებულ, დაკანონებულ გზას და, ერთი შეხედვით, სრულიად უიმედო საქმეს მოჰკიდა ხელი: იმის მაგივრად, რომ შესდგომოდა სიების ვაცხრილვას გამორიცხვის წესით და ამაში კვლევის პირის ხასიათით, საქციელით, ხარჯების ოდენობით ეხელმძღვანელა — დაიწყო პირველი ორი სიიდან თითო ისეთი კაცის ამოკრეფა, რომლებსაც ცალ-ცალკე ერთ-ზარანდიას აზრით, სარეზიდენტოდ შესაფერ პიროვნებასთან ჰქონდა როგორიმე კავშირი. ასეთი სამკაციანი კომბინაცია ზარანდიამ ოცდახუთი თუ ოცდაათი მიიღო და გამორიცხვას აქლა მიჰყო ხელი. საბოლოოდ მან მაგიდაზე დამიდო ქალაქი, რომელზეც მხოლოდ ექვსი ჯგუფი ეწერა და მითხრა:

— ახლა დაყვანაა საქმე, თქვენო ბრწყინვალეებო!

ეს იმდენად არარეალური მასალა იყო, რომ ხუმრობას ან შპიონომანიის შედეგს უფრო ჰგავდა, ვიდრე სერიოზულ საქმეს.

სიცილმა ამიტაცა.

ზარანდიაც ამყვა.

- თქვენ რალა გაცინებთ, მუშნი?
- მიხარია, გრაფ.
- რა ვიხარიათ?
- აქა სხედან, — ზარანდიამ ილღო-აში ამოჩრილ საქალაღეების კონას დაადო ხელი.

— ვინ, მუშნი? — მისი ჭიუტი თავდაჯერება ძარღვებზე მოქმედებდა.

— ჯაშუშები. ერთ-ერთი — მინც, დასაწყისისთვის ჩვენ ერთიც გვეყოფა.

ეს, მაგ ოცი კაცის დოსიეები. კარგი იქნებოდა, გრაფ, გასცნობოდათ თავისუფალ დროს, რა თქმა უნდა.

ზარანდიამ საქალაღეების კონა მაგიდაზე დამიდო. ზემოთა ავიღო, გადავშალე. ნახევარიც არ მქონდა გადათვლიერებული, რომ კითხვა უნებლიეთ შევწყვიტე და ნაწერს ჩავაჩერდი... საოცარი რამ არის სამძებრო დაწესებულების დოსიე! არავინ იფიქროს, ვითომ იგი მავანი ადამიანის მხოლოდ უარყოფითი მონაცემებისა და თვისებების ყულაბა იყოს. სრულიადაც არა! უმრავლეს შემთხვევაში იქ დამსახურების, ღვაწლის, ჯილდოების, საუკეთესო ადამიანური და მოქალაქეობრივი ღირსებების აღწერაც არის მოყვანილი, მაგრამ დოსიე მინც პიროვნების წინააღმდეგ შექმნილი კრებულია და უკეთილგანწყობილესი ადამიანიც კი, მისი თვალერებისას, პირველ რიგში, მართლწესრიგის დამრღვევს, ზნედაცემულ სუბიექტს და ბოროტმოქმედს ეძებს. ხელთ მქონია პირადი საქმეები ადამიანებისა, რომელნიც ერისა და საზოგადოების სიამაყედ ითვლებოდნენ და, ამავე დროს, გამოუცდელ, საქმეში უწვრთნელ კაცზე მათ აუცილებლივ ნაძირალების, გარეწრებისა და ყულდის კანდიდატების შთაბეჭდილება დაუტოვებიათ. ეს ოცი ადამიანიც: თამამად, დაუბრკოლებლად შეიძლებოდა დაეჭვება ოცივეზე და ყოველ მათგანში ერთდროულად ოცი სახელმწიფო ჯაშუშის დანახვაც, ოც სხვა მომავლინებელ ცოდვაზე რომ აღიარა ვთქვათ რა.

— მერე? — თვალი გაუხსწორე ზარანდიას.

— ჯერჯერობით არაფერი. ვფიქრობ, მალე რალაც გვექნება.

— აქედან გამოდისართ? — ხელისგული დოსიეებს დავადე და იმწამსვე მივხვდი, რომ დაუმსახურებელი შეურაცხყოფა მივაყენე.

ზარანდიამ არაფერი შეიმჩნია, მშვიდად მითხრა:

— არა, თქვენო ბრწყინვალეებო, მანდ მოვედი.

დაყვანის პროცესში ოცკაციანი სიაში ძირფესვიანი ცვლილებები შეიტანა. მოხდა გადაადგილებები ჩვეუდიან ჩვეულებში და სრულიად ახალი კომბინაციები შესდგა. საბოლოოდ სიას ორი რგოლი შემორჩა. ერთი მათგანი, ოთხკაციანი — ბაქოში იყო. მის გარშემო არსებული მასალები, სათანადო ინსტრუქტაჟითა და დავალებებით იქაურ ქვეგანყოფილებას გადაეცა. ამ საქმის წარმოება ზარანდიამ თავის მოადგილეს დაავალა, რა თქმა უნდა, საკუთარი ხელმძღვანელობითა და კონტროლით. მეორე, ექვსკაციანი — თბილისში მცხოვრებთაგან შესდგებოდა. სწორედ ამ რგოლზე ამყარებდა ზარანდია ძირითად იმედებს. აი, შემადგენლობა და ზოგიერთი მონაცემები.

პოლკოვნიკი ანდრია ნიკოლოზის ძე გლებიჩი — ორმოცდაცხრა თუ ორმოცდაათი წლისა; ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის არტილერიის ინსპექტორი; უშველებელი ზომა-წონის კაცი; ექვსი შვილის მამა, მოქეიფე, ქალაქის მსხვილად მოთამაშე; ანგდოტების გულა, გულმზიარული, უდარდელი ოფიცერი.

მსტისლავ სტარინ-კოვალსკი, პორუჩიკი — გლებიჩის ადიუტანტი; ენამოსწრებული და გონებაშახვილი ცინიკოსი, მკილავი, მქირდავი; უაღრესად დახელოვნებული მოარსიყე, გულთამპყრობელი ქალებისა და მათი საფულეების მუსუსი.

კულაგინი — მგონი, პეტრე მიხეილის ძე — სამოცს გადაცილებული კაცი; თავის დროზე დამთავრებული ჰქონდა სასულიერო აკადემია, მაგრამ ღმრთის მსახურებას რატომღაც ჩამოშორდა; გაზეთის რედაქტორის მოადგილე; სინოდის პოლიტიკური კონსულტანტი; ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის მრჩეველი სასულიერო დარგში; ცენზურის შტატგარეშე თანამშრომელი; თბილისის სამხედრო ტაძრის მოხალისე მამასახლისი; უშეილო, სიტყვატუნწი, ერთთავად პირქუში სუბიექტი; ახალგაზრდა, ლამაზი, კომწიაო-

ბის მოყვარული ქალის, ქალბატონ ლარისა კულაგინას მეუღლე.

ჰაჯი-სეიდი, პასპორტი — რასულოვიც; თბილისელი სპარსი; საკმაოდ მსხვილი ნეგოციანტი, მაგრამ იმდენად გაუნათლებელი, რომ ხელმოწერის მეტს ვერაფერს ახერხებდა და არითმეტიკაშიც ვიშრის კრიალოსანს იშველებდა; იგი კავკასიის ტერიტორიაზე ხალიჩური ნაქეთობების, ხალხური ოქრომჭედლობის ნიმუშებისა და მხატვრული ქსოვილების შესყიდვას აწარმოებდა. ეს საქონელი შუამავლებს ევროპის დედაქალაქებში გაჰქონდათ, იქაურ ანტიკვარებში ბითუმად ასაღებდნენ. თვით ჰაჯი-სეიდი თბილისიდან ფეხს არსაით სდგამდა: სახლი—მეჩეთი—აბანო, კვირაში ერთხელ; სხვა მარშრუტები არ გააჩნდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მდამუაზელ ჟენეტ დე ლამიესთან იშვიით სტუმრობებს, რასაც ერთნი მიჯნურობით ხსნიდნენ და მეორენი საქმეში კომპანიონობით. ჰაჯი-სეიდმა მოღვაწეობა მექისეობით დაიწყო, მერე მსხემის გულა აიკიდა, მექა-მედინა მიიარ-მოიარა, ფულიანი დაბრუნდა, ფირმა დააარსა და გამდიდრდა.

ისკანდურ-ეფენდი იუნუს-თლღუ. ეს კაცი ჰაჯი-სეიდის პირადი მდივანი და მოლარე გახლდათ. იგი ფლობდა თითქმის ყველა ენას, რომელიც აზიაში კომერციული მოღვაწეობისთვის იყო საჭირო. აღმოსავლეთის კვალობაზე კარგი განათლება ჰქონდა. ეს ნაქართველარი იურაქი, თვით ოტომანის იმპერიის გარდა, ირანში, ავღანისტანში, ერაყში, ეგვიპტეში, მოსკოვსა და პეტერბურგშიც კი იყო ნამსახური და ყველგან მსხვილი ნეგოციანტების პირად მდივან-თარჯიმნად ან მონათესავე თანამდებობაზე. უძიროს და უფესგოს, სამოცი წლის ასაკს მიტანებულს უიადფეს მეძაფთა ნაზი ტრფიალი ჰქონდა. მეჩეთში არ დადიოდა, სასმელს არ

პაპუა აშირაჯიბი
დათა თუთაზიძე

ეტანებოდა, თავისუფალ დროს საჩაი
ეებში ჯდომა და ფიჭრი უყვარდა. სხვა
რამ საყურადღებო ცნობა მის შესახებ
ვერაფერი მოვიპოვეთ.

მადმუაზელ ქანეთ დე ლამიე —
ოცდაცამეტ-თოთხმეტი წლის, ფრიად
მიმზიდველი გარეგნობის ქალი: წარ-
მოშობით ფრანგი; სატრფიალო რო-
მანტიკის ვარდისფერი ნისლეულით მო-
სილი არსება; უახლესი პარიზული მო-
დების პოპულარიზატორი, მაღალი სა-
ზოგადოების მოყვარული: დიწვი, სა-
სიამოვნო მიხრა-მოხრის ქალბატონი;
კაცობრიობის უმჯობესი ნახევრისთვის
საცვალ-თეთრეულის მწარმოებელი
ფრანგული ფირმის თბილისური სა-
ხელოსნო-მაღაზიის მეპაიე, მმართველი,
მემოდელე და მემანეკენეც! ეს ბოლო
გარემოება მადმუაზელ ქანეთ დე ლა-
მიესადმი მამაკაცების ინტერესს საგან-
გებო ელფერს ანიჭებდა. ბიოგრაფიის
ზოგიერთი მომენტი, უცხოეთში მომუ-
შავე ჩვენი აგენტურის ცნობების თა-
ნახმად: დაიბადა გაკოტრებული აზნა-
ურის ოჯახში; ჩვიდმეტი წლის ასაკამ-
დე მშობლებთან ერთად გამოდიოდა
ცირკში; შემდეგ, კორდებალეტის მო-
ცეკვავე, პარიზის სამკერვალო სახე-
ლოსნოების მემანეკენე; მისი ადგილ-
სამყოფელი ოცდაშვიდიდან ოცდათერ-
თმეტ წლამდე ცნობებში არ ჩანდა;
ოცდათერთმეტისა თბილისში მუდმივ

საცხოვრებლად; გადმოვიდა და სხე-
ბულ სახელოსნო-მაღაზიას ჩაუდგინა
თავეში.

ამგვარად, ზარანდიას ხელთ ჰქონდა
ქეშმარიტების დადგენისთვის იქნებ
აუცილებელი მასალის ერთი ნაწილი
და სთვლიდა, რომ დამნაშავეთა მხილე-
ბის გასაღები ჯიბეში ედო! ჩემგან და-
უშვებელი იყო იმის გაუთვალისწინებ-
ლობა, რომ ადვილად შეიძლებოდა ექ-
ვის სულ სხვა, არანაკლებ პოტენციუ-
რი დოსიეს გამოიხატა და მათ ერთობ-
ლიობაში მძიმე სახელმწიფო დანაშა-
ულის ძებნა. ასე, რომ ზარანდიას ოპ-
ტიმიზმს არ ვინაწილებდი. ჩემს თანა-
მშრომელთაგან ვერც ერთი ვერ მიიღე-
ბდა შემდგომი მოქმედების უფლებას,
თუკი ოპერაციის პერსპექტილობაში
ექვს შევიტანდი. გამონაკლისს მხოლოდ
მუშნი ზარანდია წარმოადგენდა. ბო-
ლოს და ბოლოს, მთავარი ჯერ საქმი-
სადმი დამოკიდებულებაა და შემდეგ
რეზულტატი — მე მუდამ ამ პრინცი-
პით ვხელმძღვანელობდი. ზარანდიას
ყოველთვის და აქაც საქმისადმი ერ-
თადერთი დამოკიდებულება ჰქონდა—
გონივრული და კეთილსინდისიერი!
ასეთს კი თაოსნობის უფლება არ უნ-
და შეეზღუდოს. ერთი სიტყვით, ხელი
ჩავიქნე, მისდგეს და იმოქმედოს-მე-
ტი.

ბაქარა ჯეირანაშვილი

ისევ გავიდეთ მხარზე ცელები, წინ
დასტურიძე გავიგდეთ და ავედით
ცხრაშუხაში. სამხრობა გადასული იყო.
ნიკაო, დასტურიძემ გასძახა შალიბა-
შვილსა. პატარა სახლი სდგომოდა ამი-
ლახვრის მოურავს — ზემოთ ორი
ოთახი შუშაბანდითა; ქვემოთ — მარა-
ნი და, რავი, რალცაები კიდევა, მაგრამ
გარშემო ხილი ედგა — უ-ტა-ტა-ტა!..

ჯაჭვზე ქოფაკი ჰყავდა, ყელზე ბალ-
თებით, ყურებდაჭრილი და მოზერის-
ტოლა. ისეთი ღველავი ატეხა — ყურე-
ბი წაიღო ერთიანათა. მარნის კარი ღია

იყო. დაბალი, შესახედად ჩათუქესანი
კაცი გამოვიდა — შალიბაშვილი. არც
შემდგარა, არც ჩვეყენ რიგიანად გა-
მოუხედა. მოვიდა, ჭიშკრის კარი გაა-
ლო, გზა დაგვიგდო...

— საღამო მშვიდობისა, ნიკა...

— მშვიდობა და გამარჯვება მოგვცეთ
ღმერთმა! შემოდით, რაღას უდგებართ,
კაცო!

— დამაცადე, ნიკა... ყური მიგდე...

— ეგ მერე იყოს, — სიტყვა ჩამო-
ართვა შალიბაშვილმა დასტურიძეს. —
შემოდით... შემოდით-მეთქი!

გავვიძღვა მასპინძელი და მივეყთ ერთმანეთს.

— აქეთ დაიჭით, აქეთა, ეგ ძაღლი ავია, რომა... ამ სხვის მამულ-მამულ სიარულში შინ ძაღლი გამიმგელდა. აღარც მე მინდობს ეგ ოხერ-ტიალი, ეგა... აქეთათ, აქეთათ!.. ჰო, ეხლა აღარაფერია, ვეღარ მოგწვდებათ. შემოდით შიგა. ეგრე, ეგრე...

მარანში შევედით.

— მშვიდობა და ბარაქა ამ ოჯახს! — დათამ დალოცა თავისი მეგრული კილოთი და ჩვენც ჩვენი ვთქვეით.

— გაგიმარჯოთ და კარგად იყავით! შენ ე მანდ დაჯე... თქვენ — ე მანდა. დასხედით, დასხედით-მეთქი!.. დედაკაცო! სტუმრები გვყავს, დედაკაცო, სტუმრები! — ზევით ასძახა შალიბაშვილმა, მარანში შემობრუნდა და დანარჩენი ისეთ ხმაზე თქვა, რომა დედაკაცს მეორე სართულზე კი არა და მარანში ჩვენ ძლივს გვესმოდა: — გულის ყველი არ დავავიწყდეს და დოში, დედაკაცო! ის წუხანდელი ბეჭი ეგრევე მოიტა, ცივათა, აქ დავეჭირთ ჩვენა... აკი გეუბნებოდი, გამოაცხემეთქი! ეგრე გინდა. რაც მოგივა დავითაო ისევ შენი თავითაო! ეხლა, დადექი და ხუხე პურები... გაუხუხავი არ მოიტანო, თორემა, მე ვიცი, მე შენა! აი, აჰა, დავაფურთხებ და სანამ გაშრება — აქ უნდა იყო!.. — შალიბაშვილმა მართლა დააფურთხა, მე მომიტრიალდა და ამის მერე ყველაფერი მალალ ხმაზე, ლამის ყვირილითა თქვა: — შენ ისე გეტყობა, ქვევრის ახლა გეცოდინება. — მერე დათასა: — მოდი აქა შენა, მოდი! — ადგა დათა და მივიდა.

ისეთი ქოთქოთი გაჰქონდა მასპინძელსა, რომ აგვიტაცა და აგვაფოფონა ჩვენცა. ეთქვა, — აბა, ეხლა ყველანი ყირაზე უნდა დავდგეთ — დავდგებოდით.

— აჰა, აი შენა, ეს აბაზიანი... გამომართვი, კაცო, დაიქი! ეხლა, ჩაუთქვი ეს ორი ქვევრი და ააგდე, რომელიც ჩათქმულს დაუჯდეს, ის ქვევრი აჰხა-

დოს ამანა, — ჩემზე ამბობდა. — ააგდე, რაღას უყურებ!.. — ჩაუთქვა ააგდო დათამ. — ამას მოჰხვდა, კაცო, ამ ქვევრსა!.. — შალიბაშვილმა ტავი შემოჰკრა და ძალიან გაიხარა, რომა მეტი აღარ იქნებოდა — კინაღამ, დაუარა და ეგ იყო. — მოდი და აჰხადე, მოდი-მეთქი... თავი ღვინოა, კაცო, თავი ღვინოა!

მე ქვევრსა ვხდიდი, დათა შალიბაშვილს მისციებოდა, — ეს ვინა ვნახეთ. შალიბაშვილი კვლავინდებური სიხარულით ამბობდა:

— ... აი, მთესველი კაცისა არ იყოს — მიდის, სთესავს და: ეს — ფრინველსაო, ეს — ქვრივ-ოხერსაო. ეს — ღარიბ-ღატაკსაო, ეს აფარსაო, ეს — გვალვასაო, ეს — სტუმარსაო... ხომა? მეც ისე ვარ, კაცო, მეც ისე ვარ. სამი ქვევრისა ვთქვი, ეს — სტუმარსამეთქი, მე და ჩემმა ღმერთმა! რა ვიცი, კაცო, ისეთი თარსი წელიწადი დადგა — სად არის სტუმარი?! ეპე-ჰეე, რანაირი უსტუმრო წელიწადი იყო!..

დაისახლისი შემოვიდა, ხონჩით საკმელი შემოიტანა. რაც საკმელი შალიბაშვილმა თავისთვის იღუღლუნა — ყველაფერი ზედ იყო, აი, დიდება შენთვის, ღმერთო! მე და დათა ფეხზე წამოვდექით, მივესალმეთ. დასტურიძე იქამდის არ გაინძრა, სანამ უჩუმრად პანლური არ ამოვკარი. ისეთი კონტა და პირმშვენიერი ქალი იყო შალიბაშვილის დედაკაცი, ისეთი, ისეთი ვიფიქრე, ამ მამაძაღლს, აი, ეს მზეთუნახავი შინა ჰყავს და საყვარლის გაჩენა რაღა იყო-მეთქი, მაგრამა კაცი-კაცია, ხარბია და გაუმაძლარი.

შალიბაშვილს რა გააჩერებდა, ისევ ის ქაქანი გაჰქონდა:

— თქვენ დაიყვირეთ, — ნიკაო, და ე მაგაზე ვიჯექი, ვფიქრობდი, რა ღმერთი გაწყრა, რა ცუდი ნიშანია, რომ ეს ქვევრები მოუხდელი რჩება-მეთქი, კაცო! ამ დროს არ დაიძახეთ სწორეთა?!

ვახუა ახიბიჯიბი
დათა თუთასანია

თქვენ გენაცვალეთ და ღვთის მადლის ჭირიმე, რომ ეგრე პირდაპირ დროზე და ზედ დარდის მალამოდ მოგიყვანათ... კოსტა, ეგ ყანწები ვადმოიწოდებ შენა! ე მანდ არი, ე მანდა. წყალი არ გააკარო. ღვინთა, ღვინით გამოვრეცხოთ. ღვინით გამოვლებასა ვაყვაცის ხელი უხდება, დედაკაცს ნუ დამაძახებინებ, შენვე გამოავლე... მოიტა, ჩაგისხა... უუუუ, შენი გულისა... ეს — შენა... ეს — შენა... ეს — შენა... ესეც — მევე... ფეხდგომელა, ზეზუერათა!... სამას სამოცდახუთი წმიდა ვიორგის ძალი და ილაჯი მოგცეს სთიშნათა! მარიამ ღვთისმშობლის ხელი და მადლი დაგვადგეს შარავანდათა! წმიდა სამება და ოთხივ სახარება შეგვეწიოს! აბა, ჰააა“..

დავცალეთ ყანწები და შემოვუსხედით ტაბლასა.

— ეხლა, ოთხი ყანწი, კაცო, ეს ოთხი სულ ერთნაირი ყანწი!.. უღელი ხარი მყავდა, ამ ქართლში იმისთანას სად რასა ნახავდა კაცი?! იმათი რქებია ესა. ერთნაირად ჩადის ოთხთავეში. ერთნაირად — არც მეტი, არც ნაკლები. აჰა, დაგვწყათ... კოსტა, ეს კაცები ვინ არიან, არ უნდა მითხრა?.. ესა ჭამეთ, აი, ესა, კაცო... კაი კაცები ჩანან, მე და ჩემმა ღმერთმა... ჩანან-მეთქი, თორემ, რა ვიცი...

— როდის დამაცადებ, მეთქვა. იქვე მინდოდა, ჭიშკართან და მერეო, არა თქვი?!

— კიდევაცა, კიდევაცა, მერე იყოს, რა მეჩქარება, სულაც ნუ იქნება, სტუმარი ღვთისაა და... აი, თითო კიდევ ვთქვათ, ორი იქნება...

— ეეეჰ, აგერა, ის ქოფაკი როსტომანთ ნასახლარზე გყოლოდა თანა — ვეღარას შემოგვივარდებოდა ტაბისონაშვილი! — ჩავაკერე შალიბაშვილის ქაქანში.

— მართალი სიტყვაა, ვერავინ შემომივიდოდა... უუუ, ეგ ქოფაკი ისეთია, რომა... არა, შენ რა იცი, ტაბისონაშვილი იყო, ბელტიყლაპიაშვილი იყო თუ ჯირკვილეჯიაშვილი? ეგა მთა-

ვრობამ არ იცის და შენა, შენ სიიდან იცი, ჰა? მაგარი ძაღლია, მაგისტრანს არა გვყოლია არც მე, არც მამაჩემსა, არც პაპაჩემსა... ჰო, ტაბისონაშვილი იყო, ვინ გითხრა შენა?

— ამანა, — დასტურებზე ვაჩვენე.

— უჰ, ესა მელაა, ამანა ყველაფერი იცის. ესა იმ ვირეშმაკას კაცია, უწინა ორთავენი ბაცაცები იყვნენ, ეხლა ორთავენი ავაზაკები არიან... მელაო! გუშინწინ ვესროლე და წამივიდა, ვერ მოვარტყი, კაცო, შორი იყო.

— მე როდის გითხარი, მე როდის გითხარი... მე სულაც არა ვიცი რა. შალიბაშვილთან მიგვიყვანეთ და მოგიყვანეთ. მე როდის გითხარი, მე როდის გითხარი...

— კოსტა, ბიძიკო, დაწყნარდი და იყავი ჭკუით, თუ კაცი ხარ!

დასტურებე დაშოშმინდა და რაც მერე იქ მუსაიფი იყო, აღარ ატუნდრუკებულა, ჭკვიანად იჯდა.

— იმ ვირეშმაკასიო, რომ თქვი, ვინ არის ის? — დათამა ჰკითხა.

— ყანდური. იმან მომიგზავნა ტაბისონაშვილი, ეჰ, რამდენ ფათერაკს გადამყარა, ვინ მოსთვლის, მაგრამ მე ჩემსაზე ვდგევარ. ჯერ ის ტიკები მომიტანოს თავის ფეხითა, გორის ბაზარში რომ მომპარა!

— ვინ მოგპარა ტიკები, კაცო?.. ყანდურმა?

— ყანდურმა. ეხლა ანაფორა ჩაუცვამს, გრძელი წვერი მოუშვია და ხალხს სინდის-ნამუსს ასწავლის... მაგრამ ევეთი ხასიათის კაცი ვარ! განა სულ ტიკი იყო? ორი რუმბი იყო და ოთხივ ტიკი. კამერის რუმბები იყო. აბა, რომელმა იცით, სულ დიდი რუმბი იყოს, კამერისა, — ღვინო რამდენი ჩავა შიგა?.. არ იცით, არა?.. გეტყოდით, მაგრამა დამავიწყდა. მას აქეთ კამერის რუმბი აღარა მქონია, თხუთმეტი წელიწადია, რაც მომპარა. არ დამვიწყებოდა, რათა გვითხავდით, რა!.. დამიკით, დამიკით ყანწები“.

— რომ ქნეს ის უნამუსო საქმე და

წასვლა რომ დააპირეს, რა ვითხრა ტაბისონაშვილმა?

— იპ, განა მართლა სულელი ვარ! სიტყვა დამივდო, ვითომდა ვზა ავუბნითო. ტაბისონაშვილსა სახინკლედ დაკეპილს ვიცნობ... ამ წინებებზე ველაპარავე და გამოტყდა, — ჩემი ნებით ხომ არ მოვსულვარო!.. მენდობა — იცის მთავრობასთან არ გავამხელ. ვიჩივლებ და, — ძალი ძალის ტყავს არ დახვესო, ძველთაგან თქმულა... ეხლა, მე რომ ამოდენასა ვლაპარაკობ, ბევრია, ვიცი და, რას ვიზამ, ეგეთი ხანაათი მაქვს, თორემ, განა არ მესმის რისთვისაცა ხართ აქ. აჰა, აი, — აქეთ ეს მელა და ზაცაცა; იქით — ტაბისონაშვილი და ყანდური; ისიცა, — დათა თუთაშხია ვარ და საცა შენი თქვა, ჩემიც ნუ დაგავიწყდებაო. თქვენ იმის ცოდნა ვინდათ, ეგ ნათქვამი ჩემი მოგონილია თუ მართლა ტაბისონაშვილმა თქვა; თუ მართლა თქვა და ვისი დარიგებითა თქვა; თუ ვინმეზე დაარიგა, ეგრე და ერგე თქვიო — იმ დარიგებელს გულში რა ედო და რა გუმანი ჰქონდა; ამისი ყველაფერი ვთქვი და ენის ჭარტალით კი არა, — ეგ გაწუხებდათ, მივიხვდით და იმითა ვთქვი. მე ამათი არცა მშინებია, არც მეშინია, — შალიბაშვილმა დასტურიძეს თავში კარგა მაგარი წკიპურტი ჩაჰკრა. — ეგრეა, მაგრამა რაცა ვთქვი, იმაზე მეტს აღარაფერს ვიტყვი. აგერა, ყანდური ხაშურში გდია, ტაბისონაშვილიც კარებში უზის. თქვენ იცოდეთ და იმათა. მე, სანამ ტიკებს არ მოიტანს, იქამდის არა ვიცი რა. მე ქართლელი კაცი ვარ. ეს საქართველო — კარგია თუ ავია — ჩემმა წინაპრებმა მოიტანეს კისრითა და გონებითა. თავისი საქმე იცოდნენ და იმიტომა. რას იზამდნენ ჩემ ადგილას? რასა და სანამ ყანდური ტიკებს თავისი ფეხით არ მოიტანდა, იქამდისინ... თავისი საქმე იცოდნენ-მეთქი, იმათი ჩამომავალი ვარ. მორჩა. ეხლა ლხინი!.. ლხინსა და სადღეგრძელოს სახელის ხსენება უყვარს. შენა კილოზე გატყობ... — შალიბაშვილი

შეჩერდა და თქვა: — რაჟველი ხარ და სიმონია გერქვას; შენ... — ვიცი შედგა, — მოხევე ხარ და შიოლა გერქვას... ვინც გავაჩინა, სახელისა და ქულის ტარების უფლება მოგვცა, ძეძუ გვაწოვა და შინ პური მოგვიტანა — იმათი დღეგრძელობა ვთქვით და გარდაცვლილებისა კიდევ — საუკუნო სასუფეველი! — შალიბაშვილმა ყანწი დაცალა.

კიდევ კარგა ხანს ვუსხედით სუფრასა. შალიბაშვილმა თავის სიტყვას არ გადაუხვია: არც ყბა დაუყენებია, არც საქმეზე უთქვამს რამე. აღარც ჩვენ მივძალებივართ.

სადღეგრძელოები მოილია, დათამ ჯიბიდან თავისი „პაველ ბურე“ ამოიღო, ათი საათი სრულდებოდა, წასასვლელად გავიწიეთ. შალიბაშვილმა ჯიხვები გადმოიღო, აავსო და გამოგვიწოდა. დათამ უთხრა, საქმეზე მივდივართ და ვერ დავლეთო. ეს გაწამაწია კარგა ხანს გავრძელდა. მოუვიდა გული შალიბაშვილსა: თავისი ხომ დალია და ჩვენი ჯიხვებიც სტომაქში ჩაიცილა. მერე კოსტა დასტურიძეს გაუწოდა ყანწი. იმანაც იუარა. მაშინ შალიბაშვილმა აიღო და ის ვეება ჯიხვი კისერში ჩაუთქრიალა დასტურიძესა.

წამოვედით. დასტურიძე სველი იყო, სციოდა, სულ პატრონის დედას უეინებდა შალიბაშვილსა. იმ გინების ერთი წილი ჩვენი იყო. დათამ უთხრა, ნუ აგინებ, ეგ შალიბაშვილი წესიერი კაცი ყოფილა და ჰკვიანიცაო. დასტურიძემა — დიდი ეშმაკი და მამაძალა, ხონელებმა რომ რწყილი ვაატყავეს და გორელებმა რომა თქვეს, ბევრი ხორცი გაუყოლებითო — ერთი იმ გორელთაგანი შალიბაშვილის პაპა იყო, ბროწას ეძახდნენო.

— მკლავიც ერჩის და გულიც, ისე მგონია მე, და ტიკების ლოდინი არ უნდა იყოს მაგისი მოთმინება, — თქვა დათამ.

— ტიკები! — ჩაიფხუქუნა დასტურიძე.
ვაზუა ანინაჯიძე
დათა თუთაშხია

რიძემ. — ყანდურს ლამის თქვით მოკვდეს, შალიბაშვილი ჯავრს რატომ არ ყრილობს, გულში რა უღევსო!

— შენ როგორ გგონია ეგ საქმე, კოსტა?

— რა ვიცი, შალიბაშვილს ერთი ანდაზა უყვარს: კამეჩის მარქენალ ხარს რქა არ შერჩებაო! იცის, ვერ მოერევა ყანდურს და ელის.

— რას ელის?

— სანამ თითონ არ ჩამოვარდება იშვილებიდან ყანდური. მერე მიაწვება. არ შეარჩენს, შალიბაშვილი ავმეხსიერია.

— ერთი ანდაზაც არის: აქლემი ისე არ დაეცემა, ვირის ტვირთი ვერ გასწიოსო!

— ეგ ანდაზა შალიბაშვილმა, ალბათ, არ იცის! — თქვა დასტურით.

— არც მასეა საქმე! — უთხრა დამ და პატარა ხანს მერე დაუმატა: — ახლა, კოსტა, ბიძიკო, ტაბისონაშვილთან უნდა მიგვიყვანო შენ. გავიგოთ, ვინ დაავალა მას იმ სიტყვის თქმა იქ.

— ვინ დაავალებდა, ვისი კაციც არის, იმან დაავალა.

— კარებში უზისო, შალიბაშვილმა რომ თქვა, ყანდურის კარებს გულისხმობდა, მგონია.

— მცველად ჰყავს, მართლა კარებში უზის ქოფაკივით.

— აბა, მივიდეთ იმ კარებზე ჩვენც. დასტურით იყუჩა. ხაშურის პირველ სახლებამდის მივედით და მერეღა გვკითხა:

— რას აპირებთ?

— არ ვიციოთ ჯერ. როგორც დატრიალდება საქმე, ისე მოვიქცევით და შენ ისე უნდა მოიქცე, ჩვენ რომ გეტყვიოთ!

მოვითათბირეთ. შევთანხმდით რაზედაც საჭირო იყო და მივადექით ყანდურის სახლს. შალიბაშვილისას კი არა ჰგავდა — სასახლე იყო. არც ერთი ბატონისა არ მინახავს იმ სიგრძე, იმ სიგანე და ისე ლამაზი: ორსართულიანი, ერთ კუთხეში მესამე სართულიც ედგა;

დიდი ბალი-ერტყა და შარს შელესილი. შულებილი ქვის გალავანი გასაშვებია. გალავანს ეკლიანი მავთულის სამწყებლობე მიჰყვებოდა ზემოდან. მეორე და მესამე სართულზე ბნელოდა. პირველი სართულის ფანჯრებიდან სინათლე სცემდა.

ჭიშკარს მივადექით: რკინისა იყო, ყრუ, ადგილ-ადგილ ოქროსფრად შელესილი, მაღალი, მაგარი, რომა ბაყ-ბაყდები ვერაფრით გადავიდოდა. ზურგიდან შემოგვატარა კოსტამ, ერთი პატარა კარი აქვს დატანებული, იქნებ გავაღოთ როგორმეო. ისეთი ხალისით იქცეოდა დასტურით, გამიკვირდა კიდევაც. ვიფიქრე, რახან ამდენზე შემოგვყავა, ეხლა, ალბათ, ხელი ჩაიქნია და ბედს მიენდო-მეთქი, თურმე ეგრე არ იყო და იმ ხალისიანობის მიზეზიც გამოჩნდა.

მივაწეკით. შიგნიდან იყო დაკეტილი და დიდი ჭიშკრისა არ იყოს, არც ამ კარს ეტყობოდა ან კლიტე სადა ჰქონდა, ან როგორ გაიღებოდა...

რაღა გავწყობოდა, ორი პატარა ჯოხი ვიპოვე, დასტურიძის მხრებზე შევადექი, ჯოხები ეკლიან მავთულს შევუყენე. კარგად აიწვია მავთულმა და ჩახტი ყანდურის ბაღში. კარს ვეება ურდული ედო. ურდული თავისივე კუთხით იყო ჩარაზული. გავალე, შემოგვშვი ორთავენი და მივხურე.

გავწიეთ ყანდურის სახლისკენ. პირველ სართულს ორი პატარა ფანჯარა ზურგიდანაც ჰქონდა, სინათლე გამოდიოდა. მივეპარეთ და გადავიხედეთ.

მარანი იყო, მაგრამ, მართალი გითხრა, ისეთი არაფერი მინახავს — ცხენი გაქნდებოდა. ერთი დიდი კუთხე ჰქვევრების, საწინახლისა და ჭურჭლეულისა იყო. ჩვენი სათვალთვალოდან შორ კუთხეში ბუხარი იდგა — ცალკუხიანი აქლემი საპალნიანად შეიწყებოდა. ბუხარში მუხის კუნძებს გაუდიოდათ ლივლივი. შუაზე — გრძელი მაგდა, რბილი სავარძლებით ჩაყოლებული, ორმოცდაათი-სამოცი კაცი დაჯდებოდა. კიდევ ერთ კუთხეში თონე იყო,



თავზე ოქროსფრად შედებილი საკვამლე ქოლგითა. კედლები თემის ქვისა ჰქონდა, თეთრი მარმარილოს ნაირ-ნაირი ქანდაკებებით — ზოგი ტიტველა დედაკაცები, ზოგი — დედიშობილა გოგო-ბიჭები, ზოგი — ხარის თავი, ზოგი — გაფხორილი ინდოური თუ არწივი, ზოგიც — რა. ერთი კედელი მთლიანად მეფის სურათს ეჭირა, ფერადი კენჭებით გამოყვანილს და იმის პირდაპირ კიდევ — ქრისტე, ჯვარცმული ქრისტე, ისიც კენჭებითა და შუშებით გამოყვანილი. შუაჭერში უზარმაზარი ჭადი ეკიდა, ხუთასი სასანთლე მანც იქნებოდა ზედა და დიდი შანდლების დასათვლელად რომელს გვეცალა! ბუხრის წინ რიკულებიანი ტაბლაკი იდგა, ვერცხლის ჯამ-ჭურჭლით, დოქებითა და ლანგრებით გაწყობილი. ტაბლაკს ცალი მხრიდან ორი უნაფთორო მღვდელი უჯდა, მეორედან — ლომისა და ვეფხის ტყავებზე წამოწოლილი წითელხალათა, გრძელწვერა კაცი იყო. იმ ლომისა და ვეფხის ტყავებს ქვეშიდან ვეება, ფართო და ბუხრისკენ ჩამოქანებული, სავარძელივით რალაცა ჰქონდა შედგმული თუ შემარჯვებული. რისი რა იყო — არა ჩანდა. ტაბლაკს ჰეროდან ჩამოშვებული ორი დიდი ლამფა ანათებდა. ერთსა ყვითელი შუშა ჰქონდა, მეორეს — მწვანე და ის წითელხალათა კაცი ცალი მხრიდან წითელ-ყვითელი იყო და მეორედან — მწვანე-წითელი.

თავი სიზმარში მეგონა, მე და ჩემმა ღმერთმა! კოსტამ წაგვჩურჩულა, — ყანდური ის წითელხალათა არისო.

ტაბისონაშვილი შიგ მარანში არსადა ჩანდა. კოსტამა თქვა, ან კარში აივანზე ზის, ან დერეფანში სთვლემსო.

ვიჩურჩულეთ. დათამ მარჯვნიდან დაუარა სახლსა. მე და დასტურბიქმ — მარცხნიდან. ტაბისონაშვილი მართლაც აივანზე იჯდა. ბნელოდა, თამბაქოს ეწეოდა. თავიდან იმით შევნიშნეთ. იქითა მხრიდან დათას ლანდი დაირხა, აივანს კედელ-კედელ მოჰყვებოდა. ეგრე, ათ ნაბიჯზე მივიდა ტაბისონაშვილ-

თანა და მე ცხვირი დავაცემინე. ტაბისონაშვილმა ჩვენკენ მოიხედა, იყურებდა რას დავგინახავდა, მიწაზე ვიყავით გაშოტილები და კუმეტი იყო-მეთქი, ავივთქვი. ახლა ტაში შემოვკარი. ადგა, ხმაზე წამოვიდა ტაბისონაშვილი ნელი ნაბიჯით. ხელები ძირს ჰქონდა დაშვებული, თითო ხელში თითო მაუზური ეჭირა, პირში — პაპიროსი. დიდი იყო, მამაძალი, ატოტებული დათვივით მოიწვედა. ზურგიდან დათა მოსდევდა ფეხაკრფითა. დაეწია დათა, კისერში ნაგანის ლულა მიაბჯინა და დაუჩურჩულა:

— დაყარე ძირს იარაღი!
 ტაბისონაშვილს ჯერ პაპიროსი დაუვარდა პირიდან, მერე მაუზრებს შეუშვა ხელი. რკინებმა ფიცრებზე დაიტანეს ტყაპანი. ავდექი, მაუზრები ავკრიფე. გავჩხრიკე ტაბისონაშვილი — ხანჯლის მეტი აღარაფერი ჰქონდა. გავიგდეთ წინა, ბაღში ღრმად გავიყვანეთ, მიწაზე დავსვით.

— რაო, ძაღლები რატომ არა გყავთ, ვითომა?.. ჩამოუშვი ხელები! ტაბისონაშვილი ცერცვივით იყო დაბნეული, ხმის ამოდებისა არც თავი ჰქონდა, კარგა ხანს არც ფიქრის ილაჯი მოუვიდოდა და თავისივე მაუზრით ნეკნები დავფხანე.

— იყეფებენ. ველარ გავიგონებ, საიდან რა ხმა წამოვა... ეხლა, თქვენა რა, მოკვლას მიპირებთ?.. უნდა მომკლათ, თუ როგორა, პა?

— ხმადაბლა იყავ!
 — შალიბაშვილს რომ შეუვარდა შენი კაცებით, ქალი რომ გაუთუპატიურეთ იქ და წამოსვლისას დათა თუთაშხიანზე სიტყვა რომ დაუბარე, საიდან იყო ის სიტყვა?

— თუ არ მომკლავთ, გეტყვით, მაშინა.

— თუ მოგკალით, როგორა გვეტყვი? ჯერა თქვი და, იქნება, არც მოგკლათ, ხასიათის საქმეა.

ვაჟა ავირაგიანი
 დათა თუთაშხიანი

— ყანდღურმა მიხარა, ეგრე აქვიო და ვთქვი.

— პირზე დაადგები?

— თუ არ მომკლავთ, დავადგები, მაშა!

— ჯერ დაადექი და, იქნება, არც მოკლათ.

დასტურიძემ ხელი ასწია, ახლა მე უნდა ვკითხო:

— ყანდღურს თითებზე დიდთვალაინი ბეჭდები უკეთია?

— უკეთია, მაშა!

— ძალიან დიდი ბრილიანტის ბეჭედი უკეთია?

— ძალიან დიდია და რა ჰქვიან, არ ვიცი.

— შუშასავით თვალაინი?

— ჰო, შუშასავითა და ძალიან ბრკევიალუბს.

— ეხლა უკეთია?

— ამ წუთასა.

— გარგლის კურკისტოლა იქნება?

— იქნება!

დასტურიძემ ტაში შემოჰკრა — სინჰუმში თოფივით გავარდა... ერთი ტაშიც მე შემოვკარი ლოყაში და ისევ მიჩუმდა იქაურობა.

— თოკი გაქვთ სადმე? — ტაბისონაშვილსა ვკითხე.

— თოკი?... თოკი!.. თოკი, თოკი, თოკი... ჰო, მაქვს, მაშა! ე მანდ არის. მსხლებშუა საქანელა ჰკიდა, კაი თოკება.

მივედი მსხლებთან, საქანელას თოკები დავაჭერი და წამოვიღე.

— ოთხზე დადექ!

დადგა ტაბისონაშვილი ოთხზე. გავთოკე. კარგა გამოვიდა — ოთხით მარდად ივლიდა, მაგრამ ვერც ზეზე ადგებოდა და ვერც სხვას რასმე მოახერხებდა ალაზანზე ვირებსა ვთოკავდით ხოლმე ვერე.

— აბა, გავვიძღვ წინა და შეგვიყვანე შინა!

დაიძრა დაოთხილი ტაბისონაშვილი და მივეყვით ჩვენცა. შეაღო ღერეფნის კარი და შევედით ჩვენცა. შეაღო მარნის კარი და შევედით ჩვენცა. ამოვ-

კარით „ყანდღური, იარა ტაბისონაშვილი“ ოთხითა და შუა მარანში გაჩერდნენ. ვიდექით. იქიდან ის სამი დამუნჯებული და პირლია კაცი დაოთხილ ტაბისონაშვილსა და ჩვენ გვათვალერებდა, აქედან — ჩვენ იმათა. კოსტა დასტურიძემ მაკლდა თვალში და მივიხედ-მოვიხედე. მარანში როდი შემოგვყოლიყო, კარს უკან იდგა, ღრიტოში იჭვრიტებოდა.

— „დათვალე, კაცო, დათვალე... ფულსა თვლა უყვარს!“ — საიდანაც მოისმა.

ვიფიქრე, ამით გარდა აქ კიდევ ვინმე არის-მეთქი. თვალეები ავატყეცე — თუთიყუში ყოფილიყო, დიდი გალია ჰქონდა, ისიც ოქროსფერი, მივედი, თვალეირება დავუწყე. ძალიან ლამაზი იყო, სახეძალდი!.. ახლა, ტაბისონაშვილს ვამოვხედე; ისევ ისე იდგა შუამარანში, ოთხზე და თავი ბებერი ცხენივითა ჰქონდა ჩაყიდებული...

— გაეთრიეთ!.. — რომელიც იმ ორ მღვდელში მომსხო იყო, იმან დაიძახა და კარგა მოზრდილი დორბლი გადმოაყოლა.

— პოლიციას უხმეთ, პოლიციასა! — მეორემ დააყოლა.

განზრახული ისე გვქონდა, რომ, სანამ დათა არ დაიწყებდა, იქამდის არც ხმა უნდა ამოგველო და არც ყურადღება მიგვექცია რისთვისმე. მე იქაურობა უნდა დამეველო და კარგა დამეთვალეირებინა ყველაფერი. დათა თვალმოუწყვეტლივ იმათთვის უნდა ეცქირა. მოვშორდი თუთიყუშს და ქვევრებნსკენ წავედი. იქიდან — თონესკენ. დინჯად ვიქცეოდი, ვითომ ჩემს მეტი იქ არც არავინ იყო.

— გაეთრიეთ!.. — კიდევ დაიძახა მომსხომ.

— პოლიციას უხმეთ, პოლიციასა! — მეორემ, და თუთიყუშმაც თავისი თქვა:

— „დათვალე, კაცო, დათვალე... ფულსა თვლა უყვარს!“

თითო მაუზერი — ქამარში გვქონდა, თითო ნაგანი — ხელში და გაეთრიეთ-

დით, როგორ არა! ნეტა, ვის უნდა ეხ-
მო პოლიციისთვისა — ტაბისონაშვი-
ლი, გაგვეშვა კიდევ, ოთხზე სიარული-
თა პოლიციამდის დილასლა მივიდოდა
და სხვა რომ არავინ იყო?

იმ ხეტიალში ბუხარასაც მივადექი.
ჯერ ის ორი მღვდელი გაეჩხრიკე. არა
ჰქონდათ რა. მერე ყანდურს მოვუსვი
ხელი და ჩექმის ყელში ხანჯლის შვი-
ლი ბებუთი ვუბოვნე. კარგი ბებუთი
იყო, მას მერე, ბარე, ათი წელიწადი
ვისმარე. თითები გავუსინჯე. მარჯვენა
ხელის ცერზე გარგლის კურკისტოლა
ბრილიანტის ბეჭედი ეკეთა: მარცხენა
ხელის შუა თითზე — ჰერმის კურკის-
ტოლა ბრილიანტისა. დავუთვალე რე
ბეჭდები. მივანებე თავი და ყანდურის
ტახტრევანს გარშემო შემოვუარე: იმ
ლომისა და ვეფხის ტყავებს ზევითა
ვწვედი და ქვეშ ვიყურებოდი, რისგან
არის აგებული-მეთქი.

სავსე ტომრები იყო — დიდი, პირ-
გაკერილი ტომრები! იმ ტომრებით
მოწყობილ ტახტრევანს ეფარა ლო-
მისა და ვეფხის ტყავები.

შიგ რაღა არის-მეთქი?! ყანდურის
ბებუთი დავუსვი ტომარას და ბრინჯი
გაღმოვიჩინე! მეორეს დავუსვი და ქერის
ბურღული წამოვიდა! მესამედან —
წიწიბურა! ამოვიღე ნაგანი იდლიაში,
თითო მუჭა ბრინჯი და ქერის ბურღუ-
ლი წამოვიღე და დათასკენ წამოვედი.

— მიმართეთ სიტყვითა ღმრთისა,
რამეთუ „პირველითგან იყო სიტყვა,
და სიტყვა იგი იყო ღმრთისა თანა,
და ღმერთი იყო სიტყვა იგი“. — ეს ყან-
დურმა უთხრა თავის ამფსონებს.

მამაჩემი მნათე იყო, ბურსაში მიმა-
ბარა. იქიდან ზოგი რამ ეხლაც კარგა
მახსოვს. იმიტომ ვამბობ ეგრე მარ-
დათა.

სანამ დათასთან მივიდოდი, მომსხო
მღვდელმა დაილაღადა:

— „... არა პურითა ხოლო ცხონდე-
ბის კაცო!..“

მეორემ დააყოლა:

— „... სული უფროს არს საზრდე-
ლისა და ხორცი სიმოსლისა!..“

მუჭები გავშალე, დათას ვაჩვენე:
— წიწიბურაც არის... სხვა ტომრები
შია.

დათამ, ჯერ იყო, დაბნეული თვალე-
ბით უყურა იმ ბურღულეულსა. მერე
უცებ სახე შეეცვალა, ყანყრატოდან
ჰაერი ხიხინით ამოუშვა, ხელი ლოყაზე
მიიღო და გაინაბა.

მღვდლები სახარებას რიგრიგობით
გაიძახოდნენ.

დასტურიძეს თავისი ღრიკოდან ის
კი დაენახა, რომ ყანდურს თითებს
ვუთვალე რე ბედი, მაგრამ იმისი არა
იცოდა რა, რომ ბეჭდები არ წამოიძვრია.
თავისი ხასიათით აწონა და დათას რომ
ბურღულს ვაჩვენებდი, იმას ეგონა,
ბეჭდები მოიტანაო; გულმა ვეღარ გა-
უძლო, მარანში შემოვარდა, ცხვირი
ხელისგულეებში ჩამიყო:

— ეს რა არის... ეს რა არის... ბეჭ-
დები... ბეჭდები სად არის?... სად არის
ბეჭდები!

— საც იყო.

— არ დაიძრა ადგილიდან! — დაუ-
ჩურჩულა დათამ. — აგერ, ამით სავსე
ტომრებზე სუფევს თქვენი ბელადი,
კოსტა!

დასტურიძემ თვალეები ააცეცა, ბურ-
ღულს დააქერდა და გაკვირვებითა
თქვა:

— ფაფა რომ უყვარდა... „კაშკა“
შეაქრვეს-მეთქი!.. — ტაში შემოჰკრა
დასტურიძემ და სახეზე უმალ ხელები
აიფარა, კიდევ არ შემომკრან სილაო.

მღვდლები თავისას ქადაგებდნენ და
თავჩაიკიდებული ტაბისონაშვილი დიდი
გულისყურით უსმენდა.

დათა ბუხარისკენ გაემართა. მე და
კოსტაც მივყევით, შორიახლო დავრ-
ჩით:

დათა ტაბლაცს მიუჯდა.

— დასხედით! — მათურის ტარი
ტაბლაცს დაჰკრა.

მღვდლები მოთიბულებივით დაცვივ-
დნენ და სიწუმე ჩამოვარდა.

— ტაბისონაშვილო, მოდი აქ!

ვახუშა ამირეჯიბი
დათა თუთაზინი

მივიღა ტაბლასთან ყანდურის მკველი.

— რა სიტყვა დაგაბარა ამან. შალი-ბაშვილის საყვარლის ვასაუბატიურებ-ლად რომ გგზავნიდა!

ყანდური დათას დააცქერდა, ლოყე-ბი გაულურჯდა, წამოიწია და ვამეშდა. ტაბისონაშვილმა თქვა, როგორც იყო.

— რატომ მაინცდამაინც დათა თუ-თაშხია უთხარი, ნეტავი!..

ამის თქმა იყო — დასტურიძე ყან-დურს დააცხრა, ბექვლებში ეცა... ჭიდა-ობა ატყდა. ძალს — ყანდური და ძალს — ესა!..

მომხსო მღვდელი ზეზე წამოიჭრა და დააბულბულა:

— „ეკრძალენით და დაცვენით თავ-ნი თქვენი ყოვლისაგან ანგარებისა!“.

ყანდურმა, როგორღაც იყო, ხელები გაითავისუფლა, დასტურიძეს ყბაში მუშტი სთხლიშა, წიხლი ჰკრა და კატის კნუტივით გაისროლა.

— დაეგდე მანდა! — ზეზე წამოჭ-რილ მღვდელს დაეუთათხანე.

პირჯვრის წერა-წერით დაჯდა.

— რა გითხარი, კოსტა, მე შენი!.. — თქვა დათამ და ყანდურს მიუბრუნდა: — მართალი უნდა მითხრა, ძამიკო, თვარა მოგიწევს კუბრში ბანაობა ამაღამვე და ას წელიწადს კიდეც!

სიჩუმე ჩამოვარდა და თუთიყუშმა დაიძახა:

— „გენიასა შინა... გენიასა შინა... გენიასა შინა...“


დათამ თავი გალიისკენ გადაიქნია, ყანდურს ანიშნა, გაიგონე შენი თუთი-ყუში რას ამბობსო?!

— შენ თუ თუთაშხია ხარ... შენი სახელით უამრავი ბოროტება კეთდება. არც თავად შენ აკლებ ხელსა... ხალხი ადვილად დაიჯერებდა და იმიტომ დავა-ბარე.

— კიდეც რა მიზეზი იყო სხვა?

— მეტი არაფერი.

— სისულელეებს დაანებე თავი, ყანდურო, და თქვი, ვინ დავავალა ეგ! თანამდებობა და სახელი მჭირდება მი-სი მე!

— არავის არ დაუტყალვბოდა... 

სამი თუ ოთხი ტყვია ზედიზედ მარჯვ-ვარდა. ჰაერში ლომისა და ვეფხის ბურტყლის ტრუსის სუნი დატრიალდა.

ყანდურმა ბექვლებიანი ხელებით მოი-სინჯა მკერდი, მუცელი, თავი — მომხ-ვდა თუ არაო?

— თქვი, თვარა, არ დავინდობ, მაშის საფლავს ვფიცავ!

— ეგზარქოსის ერთმა თანაშემწემ!.. მაგრამ იმას ვინ უთხრა, ეგრე და ეგრე გააკეთეთო — არ ვიცი. მართლა არ ვიცი!

— არ იცი, ხომ?

— არა, ღმერთსა ვფიცავ!

— ადექი!

ყანდური აღდა.


— მიდი თონესთან!

ყანდური წალასლასდა. მღვდლებმა ვიშვიში და პირჯვრისწერა ატეხეს... ყანდური თონესთან დადგა.

— ზურგი მაჩვენე!

მიტრიალდა.

— თანამდებობა და გვარი!

— არ ვიცი-მეთქი, მართლა არ ვიცი... 

დავუმიზნე. კი არ დავუმიზნე, ყალ-ბად მოვიქეცი, ვითომ დავუმიზნე და გავისროლე.

— უნდა გავხსენებოდა, მგონია!

— ხომ გითხარით... და იმას ვინ უთხრა — არ ვიცი, აჰა!...

კიდეც რამდენიმე გავისროლე და სწორედ ისე გამოვიდა, როგორც ვარა-უდი გვქონდა: ყანდურმა ქეჩოში ხე-ლები იტაცა, თონეში მოადინა ტყაპანი. ჩვენ იმის მოკვლას არ ვაპირებდით, არც არა ვაჭფხაჭუნია რა, მაგრამ ის კი წინასწარ გვქონდა ნაანგარიშევი, რომ თავს მოიმკვდარუნებდა და თონეში გა-დაეშვებოდა.

ისეთი სიჩუმე იყო. ტაბისონაშვი-ლის ნაწლავების კრიახი ისმოდა. მღვდლები ფეხზე იდგნენ განაბულები. ტაბისონაშვილს თავი აელირებინა და იმოდენა პირი დაელო, რომა კრუხი ჩაიბუღებდა წიწილებიანათა...

დასტურიძე წამოვარდა, ალბათ, ბექ-
ლების წაძრობა ჰქონდა გულში, თო-
ნისკენ გაიქცა, მაგრამ სანამ მიიღებენ-
და, დათამ დაიძახა:

— ესროლე მაგასაც და ჩავაგდოთ
შიგ!

— გავისროლე. დასტურიძემ თავი
ვერ დაიოკა, როგორც გარბოდა, იგრევე
შემოუბრუნა თონეს და საიდანაც და-
იძრა, იქლა მოახერხა გაჩერება.

დაშოშმინდა ოჯახი.

დათამ ბუხრის თაროდან სახარება
გადმოიღო, რალაც ეძება, მომსხო
მღვდელს გაუწოდა და უთხრა:

— ხმამალა წაიკითხე, ლუქასაგან
მეთერთმეტე, ორმოცდათორმეტი. მე-
რე მაგას მიეცი და მაგანაც წაიკითხოს
ხმამალა, გარკვევით!

მღვდელმა აკანკალებული ხელებით
გამოართვა სახარება. ჩაახველა... კიდევ
ჩაახველა და წაიკითხა:

— „ვი თქვენდა, სჯულის მოძღვარ-
ნო, რამეთუ დაჰმალენით კლიტენი მეც-
ნიერებისანი; თქვენ შე-არა-ხვალთ და
შემავალთა აყენებთ!..“

ახლა მეორემ წაიკითხა.

დათამ სახარება დახურა, თაროზევე
შედო.

— დაეპარხოთ ქრისტესთვის აღს-
რულებული მონა ღვთისა! — თქვა
დათამა და, აი, ეს კი არა გექონია მო-
ლაპარაკებული, არა მესმოდა რა, რას
აპირებდა.

— გადაყარეთ ეგ ტყავები იქით! —
დაუძახა დათამ მღვდლებს.

მივიდნენ და გადაყარეს.

ბურღულეული თორმეტი ტომარა
აღმოჩნდა.

— მოკიდეთ ხელი, წაიღეთ და და-
ყარეთ ცხედარს!

მღვდლებმა ერთი ქლოშინითა და
ვაი-ვაგლახით მიიტანეს ტომარა თო-
ნესთან. პირი ავურღვიე, ასწიეს მღვდ-
ლებმა და დააყარეს ყანდურს.

წიწიბურა იყო.

— ყველა ტომარა დააყარეთ. გაინ-
ძერიო, ცოცხლად! არაფერი უმწეო
და ნაუბი არ ხარო თქვენ, ჩქარა!

მერვე ტომარაზე დასტურიძემ ისკუ-
პა და თონეში ჩახტა. ბურღულს ხრამ-
ხრტში აუყენა ჯერა და მერე დასაკლა-
ვი მოხვედრით აბღავლდა:

— არ არის!.. არ არის ბექდები!
გარგლის კურკისტოლა ბრილიანტი...
ჭერმის კურკისტოლა ბრილიანტი...
აკი, მეფის ნაცვალს — დიდო და
ეგზარქოსს — პატარაო!.. თავად ეკე-
თა ხელზე... ხომ ნახეთ, ეკეთა! აღარ
არის... სად არის, ვინ წაიღო! გარგლის
კურკისტოლა ბრილიანტი... კურკის-
ტოლა გარგალი...

მღვდლებს ბურღული მოჰქონდათ
და თონეში ჰყრიდნენ. დასტურიძე
ქვეიდან გარგლის კურკისტოლასა
და ჭერმის კურკისტოლას გაიძახოდა.
ყანდურმა, ჩავარდა თუ არა თონეში,
ეტყობა, მაშინვე წაიძრო ბექდები და
საითლაც გადაშალა. იცოდა, დასტური-
ძე უმჯველად ჩაჰყვებოდა შიგა!

მღვდლებმა უკანასკნელი ტომარა ჩა-
ცალეს.

გამოვბრუნდით, ქვიშხეთისკენ გავ-
წიეთ.

იცოდა გამხელილი სჯობს და დათა
რომ არა, იმ ბრილიანტებს იქ არ დავ-
ტოვებდი, ჭურღის ჭურღი ცხონებუ-
ლიაო, ძველთაგან თქმულა.

ზარაში საბელი

ზარანდიას სიაში ერთ-ერთი წამყვა-
ნი ადგილი ხომ ჰაჯი-სეიდსა და მის
კანტორას ენიჭებოდა. იგი ირწმუნებო-
და, პანისლამისტების დამკრედიტებე-
ლი სწორედ ჰაჯი-სეიდი არისო, მაგრამ,
როგორც უკვე ითქვა, ამის მამტიციე-

ბელი საბუთი ხელთ ისევე არაფერი
ჰქონდა, როგორც საერთოდ ამ საქმეში
სხვა რამ საბუთი. ზარანდიამ მუშაობა

ვახუა აბრეჯიძე
დათა თუთაშვილი

იმით დაიწყო, რომ ისკანდერ-ეფენდი იუნუს-ოღლუზე შეაჩერა გულსყური. არ დავმალავ, პირადად მე და სხვა ჩემს მოადგილეებს თვით ისკანდერ-ეფენდი მიგვაჩინდა საეჭვო პირად. ზარანდიამ კი ჰაჯი-სეიდის საიდუმლოებებში ჩასახედად სწორედ მისი გამოყენება განიზრახა. ამისთვის მასთან დაახლოება, მისი გადმობრუნება იყო საჭირო. თავის მსხვერპლს ზარანდიამ ცოტა ხანს უთვალთვალა, საჭირო ცნობები შეკრიბა და ერთ დღეს საჩაიეში მარტო მჯდომი მოიხელთა.

— სალამი, ისკანდერ-ეფენდი! მიცნობთ, ვინ ვარ?

დამხვდურმა შემოსწრებული გულდამსით დაათვალა იერა და მიუგო:

— მგონი, ოტენის აფთიაქის პროვიზორი ბრძანდებით... სოლოლაკის ქუჩაზე, ოტენის აფთიაქში მსახურობთ, არა? თუ ვცდები, მაშინ ბოღიშს ვიხდი... მინახიხართ, მაგრამ თქვენი ვინაობა და საქმიანობა არ ვიცი.

ზარანდიამ თავისი საღარბაზო ბარათი გაუწოდა.

— მანდ ის არ სწერია, რომ კონტრ-დაზვერვის უფროსი ვარ.

ნაქართველარმა რაღაცნაირად გაიღიმა, საღარბაზო ბარათი დაათვალა და დაუბრუნა.

ზარანდიამ ყურადღებით მოსმენა სთხოვა, გულახდილად აუხსნა, რით იყო გამოწვეული მისი მოსვლა და რა სურდა ჰაჯი-სეიდის მდივან-მოლარისგან. ისიც აცნობა, რომ საიდუმლო პოლიციის ხელმძღვანელობას სწორედ ისკანდერ-ეფენდი იუნუს-ოღლუ მიანიჭდა თურქების რეზიდენტად, ხოლო თვით ზარანდიას კი ამ მცდარი შეხედულების გაქარწყლება სურდა და, რომ ეს მხოლოდ ისკანდერ-ეფენდისავე დახმარებით იყო შესაძლებელი.

— ისე მგონია, ისკანდერ-ეფენდი, — დასძინა ზარანდიამ, — რომ თქვენი მოწოდება და ვალი სამსახურია და არა ერთგულება. ერთგულება არც ჰაჯი-სეიდისა გამართებთ და არც იმ მრავალრიცხოვანი პატრონებისა, რომლებიც

წარსულში გყავდათ ან მომავალში გყავთ. ეგ ჩვენთვის უფრო მარტოა თებთ, რადგან თქვენს დღევანდელ პატრონს, სულერთია, დანაშაულში ვამხილებთ და მაშინ თქვენც მისი ხედრის გაზიარება მოგიწევთ. დიდი არაფერი, უმნიშვნელო დახმარება გვჭირდება, მაგრამ პასუხის გადადება ხელს არ მოგვეცემს. აი... — ზარანდიამ უბიდან წინასწარ შეთხზული ხელწერილი ამოიღო, ისკანდერ-ეფენდის დაუდო და და ქიმიური ფანქარიც მიაართვა. — ან ამაზე მოგვიწერთ ხელს და შიგ ადნიშნულ დახმარებას აღმოგვიჩინთ, ან აქედანვე ციხეში წამოხვალთ, ყველაფერს უთქვენოდ მოვახერხებთ და შედეგის გამო ალლაჰს დავმდურეთ!

ისკანდერ-ეფენდიმ ხელწერილი მშვილად ჩაიკითხა, იფიქრა და ჩაილაპარაკა:

— „დულკერნან ხელახლა გაუდგავსასა“...

— რა ბრძანეთ?

— კურანის მეთვრამეტე სურვიდან არის. — ისკანდერ-ეფენდიმ კიდევ იყუჩა და დასძინა: — ბეირუთი და დამასკო! ათენიც კარგი ქალქია, არც იქ მიცხვორია, მაგრამ მაინც დამასკო ჯობს... აბდურაჰმან, მოართვი ბატონ... — ზარანდიამ თვალები დაუბრიალა. ისკანდერ-ეფენდიმ თანამოსაუბრის გვარი იოგებში ჩაიხშო. — მოართვი ბატონს მაგარი ჩაი, აბდურაჰმან!.. მიირთმევთ?

ზარანდიამ თავი დაიქნია.

სიჩუმე ვაგრძელდა. ჩაი მოიტანეს, ზარანდიამ ლამბაქზე გადმოსხა და ინტერესით ჰკითხა:

— დამასკო?.. რომში გიცხვორიათ?

— არ მიცხვორია.

— რომი ულამაზესი ქალაქია, მშვენიერი ვოგობით სავსე და, უნდა მოგახსენოთ, რომ იტალიაში საღიზმის საწინააღმდეგო კანონი ჯერჯერობით არ არსებობს. იქ კაცი გვჭირდება. ენა კარგად იცით — სენიორ მასარისთან ხომ იტალიურზე საუბრობთ ხოლმე!.. ჩინებულად გამოვა.

— „ნათესავი მოვალს და ნათესავი

წარვალს და ქვეყანა ჰკიეს უკუნისამდე... აღმოხდების მზე და დახდების მზე და ადგილადვე თვისდა მიიზიდავს... — ისევ თავისთვის ჩაილაპარაკა ისკანდერ-ეფენდი.

— რა ბრძანეთ?

— ბიბლიიდან არის, ეკლესიასთვის სიტყვებია! — მიუგო მან. — არ მახსოვს, ბატონო ზარანდია, რომელიმე ქალაქში ჩემი ცხოვრება და სამსახური სხვანაირად დამთავრებულიყოს. აი, ასე ზღბა მულამ, — ისკანდერ-ეფენდიმ ხელწერილზე დაათითა. — ნეტავი, რატომ მოდიხართ მაინცდამაინც ჩემთან და თანაც, ყველგან და უსათუოდ მოდიხართ. განა, რას ვაშაევებ? არაფერს, სრულიად არაფერს!

— ჩვენს დროში სწორედ ეგ არის საეჭვო.

— რომ არაფერს ვაშაევებ?

— დიახ.

— დამასკო...

— მაგაზე ლაპარაკი, ისკანდერ-ეფენდი, ამის შემდეგ იყოს! — ზარანდიამაც ხელწერილზე დაათითა.

— რა თქმა უნდა... მაგრამ ხელწერილი არც ერთ ქალაქში არ დამიდგია. არც აქ დავდებ! რით შემიძლია ვემსახუროთ?

— უცხო ქვეყნების რომელ ქალაქებში და რომელ ბანკებში აქვს ვახსნილი მიმდინარე ანგარიშები ჰაჯი-სეიდს?

— მხოლოდ სტამბოლში. სტინესის ბანკი, ანგარიში № 1014. — უმალ მიუგო ისკანდერ-ეფენდიმ და აქედან მოყოლებული — საჩაიეშიც და მერცე — მხოლოდ სიმართლე ილაპარაკა.

ალბათ ბევრი იტყვის, რომ ზარანდიას ესოდენ გაბედული ნაბიჯი პროფესიონალიზმის შეუარცხოფა და ავანტიურისში იყო, რაც თეორიულად სწორი შეფასება იქნებოდა, მაგრამ პრაქტიკა ადასტურებს, რომ გადმობირებათა უმრავლესობა, ყველა დროსა და ქვეყანაში, სახელდობრ ზემომოყვანილი, ამ მსგავსი უხეში ხერხებით ხორციელდებოდა. წინააღმდეგ ზოგი დე-

ტექტივის შეხედულებისა, გადმოსაბრებელ პირთა მეტი ნაწილი საიდუმლო პოლიციასთან და კანონთან ურთიერთობის გამწვავებას ერიდება და საკმარისია ხოლმე გადმომბირებელმა ამ გამწვავებაზე რამდენადმე კატეგორიულად მიუთითოს, რომ დაბრკოლებები ისპობა. ზარანდიას და ისკანდერ-ეფენდი იუნუს-ოღლუს საუბარში მოულოდნელი არაფერი იყო, გარდა ჩემი მოადგილის მიერ სახელდახელოდ მოგონილი საღიშმის ვერსიისა, ასეთი ცნობები ჩვენ არ გვქონია, ვერც რასმე ამდაგვარს დაავამტიცებდით, მაგრამ ისკანდერ-ეფენდიმ იფიქრა, რომ გადმობირებაზე უარის თქმის შემთხვევაში, შუარის საძიებლად ორ, სამ მეძავს ისეთს უუქველად მოუყვანდით, რომლებიც პირზე დაადგებოდნენ, საღისტი ხარო, და ჩათრევის ჩაყოლა ამჯობინა. ასე ზღბა ხოლმე, თითქმის ყველა ანალოგიურ შემთხვევაში.

ისკანდერ-ეფენდის მეშვეობით დადგინდა, რომ სტამბოლელ ანტიკვარს, გვარად ჩოყურსო-ბეის, სტინესის ბანკში ჰაჯი-სეიდის ანგარიშზე წელიწადში ოთხჯერ შეჰქონდა თანხა თურქული ლირებით. ყოველი შესატანი კურსით რუსულ ორ ათასს უდრიდა. ბანკი, არსებული წესისამებრ, თავის თბილისელ კლიენტს საშემოსავლო ორდერს უგზავნიდა და ჰაჯი-სეიდისთვის ცნობილი ზღბოდა, რომ ფული შეტანილი იყო. ისკანდერ-ეფენდიმ ვერ გვითხრა, თუ ვის უგზავნიდა ჰაჯი-სეიდი ამ ფულს, მაგრამ დაგვისახელა ვინმე ყარა-ისმაილი — ჰაჯი-სეიდის ფირმისთვის დაღესტანში ლითონის ჭურჭლის შემსყიდველი პირი, რომელსაც სალაროდან სამ თვეში ერთხელ ორასი ოქროს თუმნია-ნი გაჰქონდა იმ თანხის ზევით, რაც საქონლის შესასყიდად ეძლეოდა ანგარიშ ქვეშ. ყარა-ისმაილი თემირჩანშურაში ცხოვრობდა. ცხადი იყო, მისი მიტანილი კვალის მეშვეობით უნდა

პაპუა ამირაჯიბი
დათა თუმთაზი

აღმოგვეჩინა დაღესტანში მცხოვრები რეზიდენტები.

ერთხელ მუშნი ზარანდიამ კავკასიური გუბერნიების პოლიციათა ხელმძღვანელი მოხელეების თათბირზე, თავის გამოსვლაში ასეთ დებულებას მიმართა: ყველა დროისა და ხალხის პოლიცია, თუ, მისი ფუნქციების შემსრულებელი სხვა რამ ადმინისტრაცია, წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს იმისთვის ნავარაუდევ სტრუქტურას, რომ მმართველ დაწესებულებებს ყოველი ცალკეული მოქალაქის ცხოვრების, საქმიანობისა და შეხედულებების გარშემო, შეძლებისდაგვარად ვრცელი ინფორმაცია უნდა მოეპოვებოდეთ. არსებობს კიბე შინაგან საქმეთა მინისტრიდან უზნის პოლიციელამდე და უამისოდ კანონის აღსრულება შეუძლებელი იქნებოდა, ვერც ერთი სახელმწიფო ვერ იბოვინებდა. როცა ჩვენ ვხედავთ და მოწმენი ვართ იმისა, რომ მავანი წყობილება დგას და მას უახლოეს ხანებში დამხოვა არ ემუქრება — ეს ნიშნავს, რომ მოქალაქეთა უმრავლესობა კმაყოფილია თავისი წყობილებით, იგი მოქმედი კანონებისა და თავისი პოლიციის მხარეზეა და, მაშასადამე, საჭირო ინფორმაციაც პოტენციურად არსებობს — მხოლოდ უნდა შეგვეძლოს, ვიცოდეთ მისი მოპოვება. ეს დებულება პარადოქსად ქდეს და სწორედ ესაა მისი სიძლიერე: პარადოქსი მოაზროვნე კაცს ანალიზზე უბიძგებს; ანალიზი კი უეჭველად მიიყვანს დასკვნამდე, რომ საქმე პარადოქსთან კი არა, ჭეშმარიტებასთან აქვს. მუშნი ზარანდიას სამსახურმა ჩემს თვალწინ გაიარა და ვიცი, რომ იგი ყველა შემთხვევაში ზემომოყვანილი პრინციპით ხელმძღვანელობდა. მას არც დაღესტანში მიუშარათავს სხვა გზებისთვის; ჩავიდა, იქაურ პოლიციას ცნობები შეაკრებინა, თუ სად, ვისთან დაიარებოდა ყარა-ისმაილი და მათგან ვინ იყო მიჩნეული საეჭვო პირად. ასეთი ინფორმაცია, თითქმის, მზამზარეული ილა—საკითხს ამ კუთხიდან და-

ნახვა და აღნუსხვალა სჭირდებოდა. ზარანდიამ მასალები შეისწავლა, ექვსი კაცის გვარ-სახელთან წერტილები დასვა, ოთხი ამთავანი რეზიდენტი — თქვა, შემდგომი მუშაობისა და ძირითადი ოპერაციის ჩატარების ზუსტი გეგმა დატოვა და თბილისს დაბრუნდა.

ამ საქმეში გასამარჯვებლად მუშნი ზარანდიას მეორე დასაყრდენიც ჰქონდა. ცნობილია, რომ თურქებს სახელმწიფოებრიობისა და სამსტოვრო საქმის ათასწლოვანი გამოცდილება აქვთ და, ამასთან ერთად, საკმაოდ ყაირათიანებიც არიან. აქედან გამომდინარე, ჯერ არის და ფულს ვისმე თუ გამოუგზავნიდნენ, დანიშნულ პირთან გზავნილების უკლებლივ მისვლის რაიმე დასტურსაც შეჰქველად მოითხოვდნენ. მეორეა და, ამ დასტურის მიღებაში სხვა კაცებს არააგზოთ არ ჩარევდნენ, ეს საიდუმლოებაში ჩახედულ პირთა გამრავლება და, საბოლოო ჯამში, საქმის გამკლავება იქნებოდა. ჩვენს შემთხვევაში, თუ თურქები თავის რეზიდენტებამდე ფულის უკლებლივ მიღწევის დასტურს საერთოდ თხოულობდნენ და ასეთ დასტურს რაიმე სახით იღებდნენ კიდევ, მიღების გზა მხოლოდ ერთი იყო: ყარა-ისმაილი — ჰაჯი-სეიდი — ჩოყურსო-ბეი — თურქეთის სამსტოვრო. ისკანდერ-ეფენდიმ ამის გარშემო ვერაფერი მოგვაწოდა, ეს კვანძი მის თვალს მიფარებული იყო და ზარანდიაც არცთუ მძიმედ განიცდიდა ამას. იგი თითქმის დარწმუნებული იყო, რომ რეზიდენტების დასტური ისევ ყარა-ისმაილის ჯიბეებში აღმოჩნდებოდა.

დრომ მოაწია, ყარა-ისმაილი ჩამოვიდა. ისკანდერ-ეფენდიმ ჰაჯი-სეიდის მითითებით სალაროდან ორასი ცალი ოქროს თუმნიანი გასცა და ჩვენ ეს ერთი საათის შემდეგ ვიცოდით.

მაგრამ ყარა-ისმაილის მიერ ფულის მიღებას, თავისთავად, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა — ხელმოსაკიდი არაფერი იყო. მიილა? მერე რა, რომ



მიიღო? აკი ზემოთაც ვთქვი, ფულის მიმტან-მომტანი შიკრიკები ხელშიც კი ჩაგვიგდია, მაგრამ ამას ჩვენთვის საჭირო შედეგი არ მოუტანია-მეთქი. საჭირო იყო მიმღებთათვის დაგვემტკიცებინა, რომ ფული, სახელდობრ, თურქებისგან და, სახელდობრ, ძირგამომთხრელი მუშაობისთვის ეძლეოდათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიღებული შედეგი მხოლოდღა ინფორმაციად რჩებოდა. ამოცანა ნათელი იყო: უნდა მოგვეპოვებინა დანაშაულის მამტიკიცებელი საბუთები, აღიარებები, ჩვენებები! როგორ, რა გზით? ამ კითხვას წლების მანძილზე ვერავენ მოუარა. ზარანდიამ გადაწყვიტა ეს პრობლემა, მაგრამ თუ როგორ და რა ხერხით — ამის შესახებ ჩემს მეტმა იქამდე არავენ იცოდა, სანამ შედეგი არ იქნა მიღებული; შედეგმა გაამხილა ხერხი. მე აქ და ამჟერად მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ყარა-ისმაილის მიერ ჰაჯი-სეიდის მდივან-მოლარისგან მიღებული ორასი ცალი ოქროს თუმნიანი ყველა ყალბი იყო! ზარანდიამ ყარა-ისმაილს კაცები აადვენა და, რა თქმა უნდა, დაღესტნის სიდიუმლო პოლიციას ტელეგრაფით აცნობა ოპერაციის დასაწყისი. თვითონ დაღესტანში გამოძახებამდე, თბილისში დარჩა, ავსტრიული შპიონაჟის ირგვლივ სამუშაო ჰქონდა.

— როგორ სქემას ელით? — ვკითხე ზარანდიას ამ საკითხზე ერთ-ერთი საუბრის დროს.

— პრიმიტიულს, ვრავ.

— რატომ?

— როცა ჯამუში წლების მანძილზე თავის საქმეს აკეთებს და კონტრდაზვერვის ყურადღება ერთხელაც არ უგრძენია, როგორი ფრთხილიც არ უნდა იყოს იგი, ნებივრდება, გულისყური უღუნდება და კონსპირაციის ელემენტარულ ნორმებსაც კი ღალატობს. მანდ სწორედ ამ მოვლენასთან გვექნება საქმე.

— ღმერთმა ინებოს, მაგრამ მე მაინც ის მაინტერესებს, თუ როგორ სქემას ელით.

— სამხედრო ხასიათის ინფორმაციას ქალბატონი დე ლამიე პორუჩიკ სტარინ-კოვალსკისგან უნდა იღებდეს. ეს ახალგაზრდა კაცი ერთთავად ოფიცრების ცოლებში ტრიალებს, კორებს ისმენს, მოსმენის პროცესში ნაამბობს ცინიკური კომენტარებით ჰკაზმავს და კორის შემდგომი გავრცელების მოდელს, როგორც იტყვიან, დახლთანვე ჰქმნის. ნიჟიერი მოლაყბეა. როცა ვინმეს დასცინის, კილვის ობიექტის ბიოგრაფიას, ხასიათის თავისებურებებს, ჩვევებსა და გატაცებებს ჟონგლიოროვით ათამაშებს. დაინტერესებული პირისთვის საკმარისია ყური უგდოს, მერე, თუ საჭირო შეიქნა, ორიოდ შენიღბული კითხვა დაუსვას და ანკეტა მზად არის. სტარინ-კოვალსკი მადმუაზელ დე ლამიეს კეთილგანწყობილებითა და საფულეთი იმთავითვე სარგებლობდა, მაგრამ ეს თავისი ზორციელი და ინტელექტუალური მომსახურების ჰონორარად მიაჩნდა. ასე ჩაიდგეს ხელში ავსტრიელებმა საანკეტო მონაცემები. ამას, უნდა ვფიქროთ, მოჰყვა ის, რომ მადმუაზელ ჟანეტ დე ლამიემ სტარინ-კოვალსკი ჩადენილი სამშობლოს ღალატის ფაქტის წინაშე დააყენა და ანკესი გადააყლაპა, დანარჩენი დახურდავებას აღარ საჭიროებს. გამოსარკვევია ისიც, თუ რა როლს თამაშობს საარტილერიო ცნობების გაკონვაში პოლკოვნიკი გლებიჩი. მგონი, ორში ერთია: ან პოლკოვნიკს მოუბლაგვდა სიფხიზლე, ან სტარინ-კოვალსკიმ მის სეიფს გასაღები მოარგო. გლებიჩი ფიცისა და სატევრის კაცია. სამშობლოს ღალატი აქ გამოირიცხულია! ასევეა კულაგინის შემთხვევაშიც, მაგრამ კულაგინი ფანტიკოსია, მანიაკია და ამიტომ თვლის, რომ თუ სათანადო უმაღლეს დაწესებულებებს წელიწადში ორჯერ მაინც შინაპოლიტიკური მიმოხილვები არ მიართვა — იმპერია დაინგრევა. ამას დავუმატოთ ის მოხსენებები, კულაგინი

ვახუა ამიბაჯიბი
დათა თუთაშხია

სამსახურებში მოვლევითაა გამო-
რომ სთხვავს და დავინახავთ საწერ
მაგრადს, რომელზეც მუდმივად დევს
უცხოური დაზვერებისთვის საინტე-
რესო დოკუმენტი. მისი ცოლი — ლა-
რისა კულაგინა, ქალბატონ დე ლამიეს
აქტიური მუშტარი და მეგობარია.
დასადგენია, პოლიტიკური მიმოხილ-
ვა ფულად აქვს გაყიდული კულაგინას,
პერანგის ამხანაგებში აქვს გადაცვილი,
თუ ქალბატონმა დე ლამიემ
როგორღაც დრო იხელთა და ბატონ
კულაგინის მაგიდასთან ფოტომოყვა-
რულობის უჩინი მოიკლა?.. რაც შეეხე-
ბა ჰაჯი-სეიდს, — იგი რთული ფიგურაა,
ორმაგ, იქნებ, სამაგ თამაშსაც ეწევა.
გაითვალისწინეთ, გრაფ, რომ ამ კაცის
აგენტები საქონლის შესასყიდად მთელ
კავკასიაში დაძრწიან და საჭიროების
შემთხვევაში უმდიდრესი ინფორმაცი-
ის მოპოვება შეუძლიათ. მეორე მხრივ,
ჰაჯი-სეიდთან ხშირად ჩამოდიან შუა-
მავლები ევროპიდან, საქონელი მიაქვთ.
რომელიმე მათგანის ხელით ნაჯამუშა-
რის გადაგზავნა, ან იქიდან დირექტივებ-
ის მიღება ძლიერ მოხერხებული რამ
არის როგორც ქანეტ დე ლამიესთვის,
ისე თვით ჰაჯი-სეიდისთვისაც; გრაფ,
რალაც ამგვარი რომ ხდება, ეს უკვე
დადგენილად შეიძლება ჩაითვალოს.
დასასრულ არც ის არის გამორიცხული,
რომ ჰაჯი-სეიდი და ქალბატონი დე ლა-
მიე მოპოვებული ინფორმაციის ერთმა-
ნეთში ყიდვა-გაყიდვას აწარმოებენ. ეს,
მოგეხსენებათ, საკმაოდ გავრცელებუ-
ლი ფორმაა სხვადასხვა სახელმწიფოს
ჯამუშებს შორის კომერციული ურთი-
ერთობისა. თვით ქანეტ დე ლამიეზე არ-
სებობს ერთი საინტერესო ცნობა: იგი
სამი, ოთხი წლის მანძილზე ათენში პა-
ტარა სასტუმროს. დიასახლისი იყო,
მაგრამ იქ ერქვა მაღაშაზელ ზიზი
ჟერმენ...

— ეგ საიდან იცი?

— ჩვენმა აგენტმა ეს ცნობა სტამ-
ბულში ერთი ვალოთებული ბერძნისგან
ოც თურქულ ლირად იყიდა. აი, ასეთი

სქემის მოლოდინი მაქვს და ახლო გ-
რემოებების გამოჩენასაც ვიმედოვნებ.
— დაგწყევლოთ ღმერთმა, დამანე-
ბეთ თავი! — სიცილი ამივარდა.

ზარანდია გავიდა, თავისი მრავალ-
რიცხოვანი საქმეები და დაღესტნიდან
მისაღები გამოძახების მოლოდინი გა-
ნაგრძო.

დაღესტნიდან მოსული გამოძახება
კი, გეგმის მიხედვით, ასეთი ხასიათის
ცნობით უნდა ყოფილიყო თანხლებუ-
ლი: რეზიდენტების ოჯახებში ჩხრეკის
შედეგად აღმოჩენილია ყალბი ფული,
მათი მფლობელები დაპატიმრებული
არიან და სხვადასხვა ქალაქების სატუ-
სალოებში სხედან ისე, რომ არც ერთმა-
ნეთისა იციან რამე და არც რეზიდენ-
ტების ჭირისუფლებმა იციან თავისი პა-
ტიმრების ადგილსამყოფელი. ყარა-ის-
მაილი, ვოიაჟის შემდეგ თემირხანშუ-
რიდან ნახევარი საათის სავალზე, საგუ-
ლდაგულოდ არის გაჩხრეკილი და აყვი-
ნილია ისე, რომ ესეც არავინ იცის და-
პატიმრებულისა და დამპატიმრებელთა
გარდა.

დიახ, იჯდა და ელოდა, მაგრამ ერთ
დღეს, როგორც იტყვიან, რალაც შეუ-
ჩნდა. თითქმის ყველა შემთხვევასა და
ეთარებაში მშვიდმა, მოთმინების და-
კარგვა იწყო, აწრიალდა. შევამჩნიე,
მოუთმენლობა განსაკუთრებით მას
შემდეგ გაუმძაფრდა, რაც პოლკოვნიკ
სახნოვის უახლოეს ხანებში თბილისს
ჩამოსვლა გახდა ცნობილი, მაგრამ, რო-
გორც მალე გამოირკვა, იმ ორ საღე-
ლავს მესამეც დამატებოდა. ეს შტორ-
მი დაახლოებით ერთ კვირას გაგრძელ-
და და დამთავრდა იმით, რომ მოვიდა
და მითხრა:

— გრაფ, მირჩიეთ, რა ვქნა: მამას-
თან უნდა ვიყო, სოფელში. დათა თუ-
თაშხია, მგონი, პაემანზე მთანხმდება,
მაგრამ არავინ იცის, როდის მოგვადგე-
ბა სახნოვი და ჩემი ყოფნა თბილისში
აუცილებელია, მთავარი კი მაინც ის
არის, რომ დაღესტანშიც უნდა წა-
ვიდე...



— დალესტინიდან რაიმე უნობა მიიღეთ?

— არა.

— მაშ, რისთვის მიდიხართ?

ზარანდიამ ხელები გაასავსავა, მხრები აიჩჩია, გაიღიმა და თქვა:

— არ ვიცი!..

იმწამსვე დავიჯერე და ეხლაც დანამდვილებით ვიცი, რომ მისი ახირება სულიერი იმპულსი იყო, მაგრამ დროებითი წამოფეთქება კი არა — დაყინებული შინაგანი მოთხოვნა, დალესტანში ყოფნის გარდუეციანი საჭიროების ქვეცნობიერი სიგნალი.

— იმედი გაქვთ, რომ დათა თუთაშხიას დაიყოლიებთ?

— ერთობ უღიმიამო, გრაფ, მაგრამ, — ცდა ბედის მონახევრეაო, ნათქვამია.

— მეთოდი?.. რა ფორმებში უნდა მიაწოდოთ ჩვენი წინადადება?

— მხოლოდ სიმართლე და გულახდილობა, თქვენო ბრწყინვალევაგ. არ მოტყუვდება. არც გვეკადრება სიცრუე, რა საჭიროა!

გამეცინა, თავი გადავიქნიე, რადგან წამოწყებისა არაფერი მჯეროდა.

— მეც რომ თათბირების ჩასატა-

რებლად მივდივარ?.. — ვთქვი ცოტა ხნის მერე.

— ვიცი, თქვენო ბრწყინვალევაგ...

— რაღა გავწყობა... წადით, მაგრამ...

მინდოდა მეთქვა, ბოლო ხანებში მღელვარებას გამჩნევთ და არაფერში აჩქარდეთ-მეთქი. თავი შევიკავე, მუშნი ზარანდიასთვის ასეთი რჩევა-დარიგება საჭირო არ იყო.

შეყოყმანების მიზეზს მიმიხვდა, დიმილით მითხრა:

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, გრაფ. ვაკეთდება ყველაფერი, რის ვაკეთებაც საჭიროა და შესაძლებელი.

მეორე დღეს ბაქოს გავემგზავრე. კიდევ ორი დღის მერე ზარანდიამ სამეგრელოსკენ გასწია, ოჯახი და თავისი და მოინახულა. იქიდან წამოსულმა მცხეთაშივე ჩრდილოეთისკენ აუხვია, თბილისს არც მოსულა, ისე გადავიდა დალესტანში.

ორკვირიანი მგზავრობა მელოდა. ვეკვობდი, ეს დრო იქნებ არც კი მეყოს-მეთქი — სამ ქალაქში მქონდა დანიშნული თათბირი, მაგრამ საქმე ისე დატრიალდა, რომ ყველაფერს ადრე მოვრჩი და წასვლიდან შეათე დღეს თბილისს მოვედი. ზარანდია ჯერ არ დაბრუნებულა.

ფიზიკური კოლაფსი

სრულიად ახალგაზრდა კაცმა, უწმინდესი და უმართებულესი სინოდის წარგზავნილთ. კავკასიონის ფერდობებს მიკრულ სოფელში დავიწყე ღმრთის მსახურება. იმ სოფელში მეგრელი მეჯოგეები ცხოვრობდნენ და ლუწი ჰქვია. იქაური მკვიდრნი რწმენასა შინა სიმტკიცეს ნაკლულ არიან. იმძლავრა ეშმაკმა და ჩემი მსახურების პირველსავე წელიწადს ლუწში საზარელი ცოდვა დატრიალდა: თოდუების ოჯახი — დედა და ოთხი ვაჟიშვილი, ერთ ღამეს ამოკლტეს. გადარჩა მხოლოდ დოროთე თოდუა, ოჯახის მამა. დოროთე მთებში ჯოგს აძოვებდა. ბოქაულმა მაცნობა, რომ იმ ბოროტების ჩამდენი,

ღმრთისა და მეფის ურჩი, აბრაგი და მკვლელი, დათა თუთაშხია იყო. ყაჩაღი მრევლის წინაშე დავწყველე და შევაჩვენე.

ლუწის ზემოთ საძოვრებიანი მთები და მეჯოგეების კარვებია. მეჯოგეთა კარვები, ხშირად, აბრაგების თავშესაფარიც არის. დათა თუთაშხია კარვებში ყოველ ზაფხულს აღიოდა, გზადაგზა ლუწში ვინმესთან სტუმრობდა. როდესაც ცნობილი გახდა, რომ თოდუები დათა თუთაშხიამ ამოწყვიტა, მრევლში ჩოჩქოლი და მითქმა-მოთქმა

ვაბუა ამირაჯიბი
დათა თუთაშხია

ატყდა. ისონ ქარჩავამ, სოფლის თავკაცთაგანმა, აბრავს ხალხის სახელით განუცხადა, — ნულარც ვისმე გვესტუმრები და ნულარც ჩვენს სოფელზე გამოვივლიო. თუთაშხიამ მიზეზი მშვიდად მოისმინა, კანდიერად თქვა, — მე მაგისთანების ჩამდენი არა ვარო, და თავის გზაზე გასწია. სტუმრად აღარავისთან მისულა, მაგრამ სოფელზე სიარულს არ იშლიდა და, ვითომც არაფერიყო, გზად შემოყრილ გამვლელებს მომვლელს ჩემს გარდა, ყველას ესალმებოდა. საღამოზე ზოგს წლების მანძილზე არ უბასუხია — დათა თუთაშხია მოკვეთილი იყო და მთავრობამაც ასე იცოდა.

მოდულებით — მოიძულეს, მაგრამ ზოგიერთს გული ეთანადრებოდა, — ბოქალის სიტყვა რა დასაჭერებელია, ვაი, თუ მართალი არ არის და ცოდვა ტყუილად შეეწამეთო. ზურგზე უკან მე მკიცხავდნენ. იმასაც მოვკარი ყური, რომ თუთაშხიას ჩემგან შეჩვენება გაეგო. შიში მქონდა, არაფერი დამმართოსმეთქი.

დღორთე თოდუა მაგარი ბერიკაცი იყო, მაგრამ დარდმა და ცრემლმა მოტეხა. მალე იმდენად მოხუცდა, რომ ჯოგის მოვლა-პატრონობა ძალიან გაუჭირდა. ყოველ შემოდგომაზე ამბობდა, ჯოგს ბარში ჩავიყვან და გავყიდო.

მეწველი თხა მყავდა, ერთთავად თავის ნებაზე დაეხეტებოდა. ერთ საღამოს შინ აღარ მობრუნდა. არც დილით გამოჩნდა. შუალამედვე ველოდე და საძებნელად წავედი.

ხევის გამოღმა ბილიკს მივყვებოდი. გაღმა, გზაზე, სამი მგზავრი დავინახე. დღორთე თოდუა მაშინვე ვიცანი; ზურგზე გულა ეკიდა და დინჯად მოაბიჯებდა. ადრე გაზაფხული იდგა, ამ დროს ჯოგებს ჭალებიდან მთაში მოერეკებიან და დღორთე კი ცარიელი მოდიოდა.

ჯოგი გაუყიდა-მეთქი, გავიფიქრე და მის თანამგზავრებს დავაკვირდი. ერთს შავი ჩოხა ეცვა, იარაღი ჰქონდა ასხმულა. უნაგირზე ნაბად-გადაგდე-

ბული ლაფშა წინ მოუძროდა. დღორთუთაშხია ვიცანი და ის გამეცინა, რომ დღორთე თოდუასთან ერთად მსგავსი იყო, თორემ ვათავხედებულები რომ იყო და არაფრისა ეშინოდა, ეს ისეც ვიცოდი. მეორე აქაურს არ ჰგავდა. თუთაშხიას დანახვა არ მიამა, — არ შემომეყაროს, ჯობია გავეცალო-მეთქი.

ბილიკმა მარჯვნივ გადაუხვია. ჩემი თხა ამ ხევეში მეგულებოდა და მეც გადავხვებე. ხევი ციცაბო, ძნელი ასავლელი იყო; აღმართებს შევედუქე. ხევის ათაგებას კარგა ხანი მოვანდომე, ძალზე დავიღალე და თხა კი არსადა ჩანდა. თხემზე უზარმაზარი რცხილა იდგა, სამი ვაჟკაცი ვერ შემოსწვდებოდა. სურთი იყო რცხილა გაბარდული. იმ ხიდან, ჩემი ვარაუდით, ბუჩქნარიანი ფერდობები თვალსაწიერამდის გამოჩნდებოდა და თეთრი თხა ადვილი დასანახი იქნებოდა.

რცხილაზე ავედი, ფერდობები რიგიანად დავათვალიერე. არაფერი ჩანდა. ვიჯექე, ვისვენებდი, ბუჩქნარსა ვჩხიბავდი.

ცხენის ფლოქვის ხმა მომესმა. მარჯვნივ, ათიოდე ნაბიჯზე, ძალზე ღრმა, ვიწრო და მშრალი ხრამი იყო. ქვევიდან მომავალი ბილიკი ხრამთან წყდებოდა. ხრამზე საცალფეხოდ მორი იყო გადებული. ხრამს აქეთ ბილიკი ისევ იწყებოდა და ტყე-ტყე ლუწისკენ მიიკლაკნებოდა.

— ერი-ჰა! — გავიფიქრე მე. — ალბათ, შეისვენეს საღამე, თორემ, რაც მე იმ კლდე-ღრეში ვიხეტილა, ესენი უკვე ლუწს იქით უნდა ყოფილიყვნენ გასული.

რცხილიდან ჩამოსვლა დავიწყე, — ჩავხტე, აქაურობას გავერიდო-მეთქი, მაგრამ გვიანდა იყო და სუროში მივიმალე.

ჯერ დათა თუთაშხიას ლაფშა გამოჩნდა. საცალფეხოდ გადებულ მორთან დადგა, პატრონს მიხედა. თუთაშხია თავჩაღუნული მოაბიჯებდა. უკან დღორთე თოდუა კომბალს მოაბაკუნებდა. ბოლოში უცნობი მოდიოდა. ოცდახუთ-

ოცდაქვსი წლისა იქნებოდა, დაბალი, სქელი კაცი იყო.

ცხენმა პატრონს უყურა, ნიშანი ვერაფერი მიიღო, მორი ფეხაკრფით გადმოიარა და ხრამს გამოღმა ხეების ჩრდილში ბალახის წიწკანს შეუღდა.

დათა თუთაშხია მორს მოადგა, გაჩერდა, თანამგზავრებს დაელოდა. დოროთე თოდუაშ ზურგიდან გულა მოიხსნა, თუთაშხიას მიაწოდა. აბრაგმა გამოართვა, მორი გადმოიარა, გულა მიწაზე დადო. ქისა ამოიღო, ჩიბუხი გატენა. სანამ თუთაშხია აბედს კვესავდა, დოროთემ მორზე ფეხი შემოღდა, მაგრამ შეყოყმანდა, გადმოსვლა ვერ გაბედა ბერიკაცმა. მაშინ მორზე უცნობი შემოვიდა, მოხუცს ხელი გაუწოდა, გადმოიღო, ნუ გეშინიაო. მოხუცმა ხელი არ მისცა, კომბალი გამოუშვირა და დაიძრნენ. უცნობი ნელ-ნელა მოიწვედა — მოხუცი კომბალს მოსდევდა. უცნობმა მორი გადმოიარა, შუამდე მოსულ მოხუცს კომბალი გამოჰკლიჯა, მკერდში ატაკა.

დოროთე თოდუა ხრამში გადაიჩეხა. ქვევზე დავარდნილი სხეულის ყრუ ჩახანმა მოაწია.

თუთაშხია უმალ იქით მიბრუნდა. მუხლებზე დაჩოქილი უცნობი ხრამში იყურებოდა. თუთაშხიამ ნაბიჯი წასდგა, სიღრმეში ჩაიხედა.

უცნობმა წამოიწია, თვალები მიაცეც-მოაცეცა და დოროთე თოდუას გულას დააცხრა. ფაციფუცით გახსნა, მიწაზე წამოაბირქვა, ვაცის ბუშტის ქისა იბოვნა, თასმით შეკრულ ნასკვს კბილები მიაშველა და წვალეებით გახსნა.

ქისაში ფული იყო, ბევრი ფული.

თუთაშხიამ ფული რომ დაინახა, რაღაც ხმა აღმოხდა. ვერა გავიგე რა, გაკვირვებისა იყო, თუ სიხარულისა.

— ხომ ხედავ, რამდენია აქ?! — უცნობი ერთიანად ცახცახებდა, ფულები ხელიდან ხელში გადაჰქონდა, წონას უსინჯავდა, კმუტუნდა, ისევ შლიდა...

შემთხვევით თუთაშხიას თვალებს შეეფეთა და გაინახა.

უცნობი მუხლებზე იდგა, ყბა ჩამოვარდნოდა, აბრაგს ფინია ძალღივით აპყურებდა. აბრაგი ხმას არ იღებდა, დასცქეროდა. მერე კბილებში გაჩრილი ჩიბუხი მოქაჩა, ბოლი გამოუშვა.

უცნობმა აბრაგს თვალი გააჩრიდა, ფულის გაყოფას შეუდგა. თვლა არ იცოდა, ორ დასტად ჰყოფდა: ფულებს მარჯვნივ და მარცხნივ ალაგებდა.

— ნახევარი შენ, ნახევარი მე... ბევრია აქ! — მოკრძალებით უთხრა უცნობმა თუთაშხიას და ისევ მის თვალებს შეეფეთა.

შეეფეთა და გაშრა.

— გავიყოთ... — უცნობი დაბნეული, წამხდარი იყო. — შენ დათა არ ხარ?.. დათა თუთაშხია. ზვამბა ვარ მე, ზვამბა!

აბრაგმა კარგა ხნის შემდეგლა ჰკითხა, —საიდან იცი თუთაშხია რომ ვარო, ზვამბა უარესად დაიბნა, ენა ჩაუვარდა.

აბრაგი პასუხს ელოდა.

ზვამბამ თითი ხრამისკენ გაიშვირა:

— მან. გზაზე დაგინახეთ და, თქვა: აგერ, დათა თუთაშხიაო... საცოდავიო, ესეც თქვა.

სიჩუმე ჩამოვარდა.

აბრაგმა ხმადაბლა უთხრა, —ფული ქისაში ჩააბრუნე, ძირს დადგო.

ზვამბა გაშეშდა, თავზარი დაეცა, შეყოვნდა.

თუთაშხიამ გაუმეორა.

— ჩემია!.. — წამოიძახა ზვამბამ. — სულ ჩემია! ნახევარს გაძლევ, დათა თუთაშხია რომ ხარ, იმტომ. მეტი რა გინდა შენ?! სულ გინდა წაიღო, ხომ!..

აბრაგს ხმა არ დაუძრავს, არც განძრეულა. ზვამბას სიტყვა გაუწყდა, ფული უხალისოდ, ძალისძალად მოაქუჩა, ქისაში ჩატენა, გამონასკვა და გაინახა.

თუთაშხიამ რაღაც დაიღრინა, სიტყვები-ვერ გავარჩიე.

ვახუა ამირეჯიბი
დათა თუთაშხია

ზვამბამ ქისა მიწაზე დაღო, აბრაგს თვალებში ახედა და უმალვე გულის ჩალაგებას შეუდგა.

ჩალაგა, ყელი გამოუწასკა.

— თქვენი იყოს, დათა-ბატონო, მაგრამ ამდენი დღეა ამას რომ დავდეგ მე, ხომ მერგება წილი...

თუთაშხიამ ბოლი გამოუშვა და უბრძანა, — ჩადი, ცხელარი ამოიტანეო.

ზვამბა უყოყმანოდ მიტრიალდა, ხრამის ნაპირს გაჰყვა — ჩასასვლელს ეძებდა. ათი-თხუთმეტი ნაბიჯი გაიარა. მაშინ აბრაგმა იარაღი გააშიშველა, კვალში მიჰყვა.

ლაფშამ თვალი პატრონს გააყოლა და ბალახობა განაგრძო.

მარტო რომ დავრჩი, გონს მაშინლა მოვეგე: სერს გადაღმა ბავშვები ბატებს აძოვებდნენ! ხიდან ჩამოვხოხდი, ვირბინე, კოკოჩიას ბიჭს ვუამბე, — ზვამბამ დროთე ხრამში გადაჩეხა, გულიდან ქისა წაუღო და დათა თუთაშხიამ კი ზვამბას წაართვა ის ფული-მეთქი. რა ვიცი, რა გაიგო იმ ბავშვმა და რა არა.

უკანვე გამოვბრუნდი, უფრო მოხერხებული ადგილი შევარჩიე, ბუჩქებში ჩავწექი.

დათა თუთაშხია დიდხანს იდგა ხრამის პირას, ზვამბას თვალს არ ამორებდა. მოწყვეტილი ქვების ჩახანი ისმოდა. ერთი-ორჯერ ავაზაკ ზვამბას უშვერი ლანძღვაც გაეიგონე.

ზვამბამ დროთე თოდუას დასახირებული გვამი ზურგით ამოიტანა. ქლომინებდა, თან თუთაშხიას შესცივინებდა თვალებში.

აბრაგმა ნიშანი მისცა, ზვამბამ ცხელარი მიწაზე დასაყენა, ხელი გულზე მიიღო. ფეხზე ძლივსლა იდგა.

გულდა და ქისა აქ მოიტანეო, ჩაულაპარაკა თუთაშხიამ.

ზვამბა ბარბაცით გაიქცა, გულაც მოიტანა და ქისაც.

ქისა კბილით დაიჭირე და გულდა კისერზე ჩამოიკიდეო. ზვამბა შეყოვნდა, მაგრამ მეორედ აღარ ათქმევინა; ქისას კბილები სჭიდა, გულდა ზურგზე წამოიგდო.

თუთაშხიამ მოაგონა, — მე კისერზე ვითხაროო.

ზვამბას გაუყვირდა, მაგრამ ესეც შესრულა და აბრაგს შეხედა, — ახლარალას მიბრძანებო.

— აიკიდე ზურგზე! — დათა თუთაშხიამ ცხელარზე მიანიშნა.

ზვამბა გაშეშდა.

— არ ავიკიდებ... მომკალი, თუ გინდა — არ ავიკიდებ! მკვდრების მეშინია მე. იქიდან ამოვიტანე, ხომ?... არ მინდა. გულის მანკი მაქვს, გულის მანკი. ვერ ხედავ?! — ქლომინით, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა.

ორი ტყვია ზედიზედ გავარდა. ერთმა ყურთან გამიწივლა, მეორემ ცხვირპირში მიწა შემომაყარა. სანამ გაქცევას დავაპირებდი, შიშმა მანამდე დამკრა დამბლა. როცა თუთაშხიამ იარაღი ბუდეში ჩააბრუნა, პირჯვარი გადავისახე და ღმერთს თაყვანი ვეცი, რომ სიკვდილს გადამარჩინა.

გაფითრებულმა, ერთიანად აცახცახებულმა ზვამბამ, ჭერი ილლიაში გახერხტილი ახალუხი მოისინჯა ხელით, მერე — ლაჯებში ტყვიისგან გაგლეჯილი შარვალს. ხელზე დაიხედა — სისხლი არ იყო და გიჟივით გაიცინა.

— როგორც მიბრძანებ, დათა-ბატონო... აბა, რა! — ზვამბამ ცხელარი ზურგზე აიკიდა და ბილიკს გაჰყვა.

თუთაშხიამ ხეწმით მიმავალ ზვამბას კარგა ხანს უყურა. მერე ხმადაბლა დაუტყვინა — ცხენს აცნობა, მივდევართო.

წელში მოხრილი ზვამბა მძიმე ნაბიჯით მიდიოდა. კისერზე ჩამოკიდებულ გულდა მუხლებში ებლანდებოდა, კბილებში გაჩრილი ქისა სუნთქვას უშლიდა. დროთე თოდუა ზვამბას ზურგზე პირაღმა იწვა, წულიანი ფეხები მიწაზე დასთრევდა, მკლავები ჩვრებივით ეკიდა. ათიოდ ნაბიჯის მოშორებით დათა თუთაშხია მოდიოდა და უნაგირზე ნაბად-გადაგდებული ლაფშა პატრონს ნალების ყრუ ბაგუნით მოსდევდა.

ზვამბამ მთვრალი კაცივით, ბარბა-



ცით ჩამიარა. ცოტა ხნის შემდეგ თუ-
თაშხიაც გამისწორდა.

ზეამბა მიტრიალდა:

— რა გინდა ჩემგან, დათა-ბატონო,
სანამდე უნდა ვატარო...

— სანამდე სული გედგმება! — გვე-
ლივით დაუსისინა დათა თუთაშხიამ
და გამცდა.

ზეამბას აღარაფერი უთქვამს, წაფრა-
ტუნდა. ბეჭობთან მოსახვევი იყო —
თვალს მიეფარნენ.

მე უბედური ძეძვებში პირქვე ვე-
დე და ვფიქრობდი, — ეს რა ღმრთის
რისხვასა და ეშმაკის მიქინვარებას
შევესწარი-მეთქი. ბიჭი რომ სოფელში
ვაფრინე და ის გაცოფებული მეჯოვე-
ები თუთაშხიასა და ზეამბას რომ წააწყ-
დებიან, მაშინ რაღა უბედურობა დატ-
რიალდება-მეთქი!

ანაფორა ავიკეცე და ხევ-ხევ აღმარ-
თებს სირბილით ავეყე. სანამ თხემზე
ავედი, აღარც ანაფორა შემრჩა, აღარც
შარვალი და კანჭ-ნაკუთალიც ჯაგებს
შევახიე. ავალწიე და ისევ ბუჩქებში
ჩავწექი, ჯერ ერთი იმატომ, რომ ამრე-
ცებში ნარბენს არაქათს მქონდა გამო-
ცლილი და მეორეც იმიტომ, რომ ლუ-
წის გზა ამ ხევში იდო, ავზაყებს აქ უნ-
და ამოველოთ.

სული მოვითქვი, გზას გადავხედე,
აღმართში ჯერ არავინ ჩანდა, მაგრამ
დახეთ საოცრებას, წინ, სულ ახლოს
ოთხი ჩასაფრებული მეჯოვე დავინახე;
თოფები გზისკენ გადაეშვირათ და
ელოდნენ.

გავეხმაურე დაფეთებულებმა თო-
ფები მომიშვირეს, კინაღამ გული წა-
მივიდა.

სნაბასხუპით ვუამბე, რაც მოხდა და
როგორც მოხდა. კიდევ ზოგ რამეს
მეკითხებოდნენ და ვერაფერს მივახვე-
დრე. ვერც ვუბუნებოდი რასმე ნამდ-
ვილს. არც მე შესმოდა, რა ხდებოდა.
ამ ქაქანში ვიყავით და აღმართში ცხე-
ღარ-აკიდებული ზეამბა გამოჩნდა. წი-
ნანდებურად კი არ მოზარბაცებდა —
თავგამოდებით მორბოდა. დათა თუთაშ-
ხია ცხენზე იჯდა, ზეამბას კვალდაკვალ

მოსდევდა, ლამის ზედ შესდგომოდა
და დროდღრო დაჰყვიროდა, — ჩქარა
იარეო!

ზეამბას, ეტყობა, ძალ-ღონე შემოე-
ლია და სირბილს უკლო. თუთაშხიამ
მათრახი გადაუჭირა და დასძახა, —
თავს ნუ იკატუნებო!

მორბოდა ცოდეილი ავზაყი, ცხე-
ღარს მოარბენინებდა.

თითქმის გაგვისწორდნენ. ჩვენ ერთ-
მანეთს შევეცქეროდით. რაიმე უნდა
გველონა, მაგრამ მაღალი ღმერთი აზრს
არაფერს გვაშველებდა.

მოულოდნელად თოფი გავარდა —
ჩვენი მხრიდან გავარდა; ზეამბამ ხელი
გულზე იტაცა და გატყეპნილ გზაზე
პირქვე დაემხო. ისონ ქარჩავამ გუდა
ჯონჯოლიას — ჩვენი სოფლის მეღუქ-
ნეს — თავში თოფის კონდახი ჩასცხო
და თუთაშხიამაც უნავირიდანვე კვამ-
ლზე ისროლა. ტყვიამ ბუჩქებში გაი-
წულია. დათა თუთაშხიამ უნავირიდან
ისკუბა, ცხენს ამოეფარა, თოფი დაგვი-
მიზნა. ჩოჩიები, ორთავე ძმა, სასწაუ-
ლებრივ გაქრნენ, თვალის კი ვერ შევას-
წარი. ღმერთს ცოდვების მოტევება
შეგსთხოვე და ჩემ წილ სიკვდილს
მორჩილად დაეუწყე ლოდინი.

ისონ ქარჩავა ზეზე წამოიჭრა, აბ-
რავს გასძახა:

— არ გვესროლო, დათა!.. ჯონჯო-
ლიამ გესროლა, აგერ გდია, ძაღლის
ნაშობი!

სიჩუმე ჩამოვარდა.

როდის, როდის — თავი ავწიე, ქვე-
მოთქვენ გადავიხედე.

თუთაშხია გზაზე იდგა. მარცხენა
ხელზე სისხლი ჰქონდა. მარჯვენაში
ხელსახოცი ეჭირა, ჭრილობის შეხვევას
აპირებდა.

— გამოდით გზაზე! ვინ ხართ მანდ...
ჯონჯოლია, გამოდი შენც! — ხმამალა
თქვა თუთაშხიამ და ხელის შეხვევას
შეუდგა.

ჯონჯოლიას აღგომა არც უფიქრია,

ზაბუა ამირაჯიბი
დათა თუთაშხია

სანამ იასონ ქარჩავამ წიხლი არ ჩაშკრა:
გავედით ყველა.

დათა თუთაშხიამ პირქვე მწოლიარე
ზვამბას და დოროთე თოდუას გვამს
გახედა.

— რატომ მესროლე, ჯონჯოლია, მი-
თხარი ახლავე მართალი, თუ გინდა ეს
სისხლი რომ ვაპატიო!

მედუქენემ თვალები მიწაში წაიღო,
თავი ჩაქინდრა.

ზვამბა ისევ ისე იწვა. მომაგონდა,
თუთაშხიას რომ უთხრა,—გულის მანკი
მაქვსო და ისიც, სანამ პირქვე დაეცე-
მოდა, ხელი გულზე რომ იტაცა.

მივედი, მაჯა გავუსინჯე, მკერდზე
ყური დავადე. მკვდარი იყო. თბილი
ანაორთქლი ასდიოდა, დოროთე თო-
დუას ქისა ისევ კბილებში ჰქონდა.
ლოცვა წავიბუბუბუტე და ცხედარს გა-
ვეცალე.

თუთაშხიამ ჯონჯოლიას გაუმეორა:

— რას მერჩოდის!.. თქვი ახლავე,
რატომ ქენი ეს!

ჯონჯოლია მოთქმით ატირდა:

— მაპატიე, დათა-ბატონო, გავბრი-
ყვდი... შვილებს ნუ დამიბოლებ... სი-
მართლის თქმა ჯობია... დავხარბდი...

დათა თუთაშხია გაფითრდა.

— ის ხუთი ათასი, ჩემი მოკვლის-
თვის რომ დააწესეს, უკან წაიღო მთავ-
რობამ, — გვითხრა დათა თუთაშხიამ
და განზე გადგა.

აბრაგი ხან ზვამბას გვამს შესცქერო-
და, ხან მედუქენეს.

დიდხანს იფიქრა.

ბოლოს მე შემომამჩერდა. თვალი
თვალში გამიყარა. კრინტი არ დაუძ-
რავს, მაგრამ ვიგრძენი, რომ ჩემს სიტ-
ყევებს ელოდა.

რა უნდა მეთქვა?

— მკვდარია, ცოდვილი... ალბათ,
გული გაუსკდა, — ესლა მოვახერხე,
ზვამბას ვგულისხმობდი.

აბრაგმა დამბახა იშიშვლა, ჯონჯო-
ლიას დაუმიხნა... შუაში ჩაუდღეკი და
მალალ ღმერთს შევევედრე:

— უფალო, დააცხრე სული კვლად
აღმდგარი კაცისა და დაუოკე წყრომა

გულისა, რამეთუ დაშთება სიკვდილის-
გან ერთი ჯონჯოლიასი ხუთი, ~~ჯონჯოლი-
ლია თბოლი, ლატაკი, მიუსაფარ...~~
ბედობისა გამო დაადგებიან ხუთნივე
გზასა მრუდსა, ცოდვილსა და საძი-
გელს!..

— თვითონ თუ დასცალდა, დიმიტ-
რი-მღვდელი, ჯონჯოლიას თავისი შვი-
ლების გაზრდა, მამაზე უკეთესი რა-
ტომ გამოვა რომელიმე, ნეტავი?! მისი
შვილების ბედი და მომავალი თუ გა-
ლაპარაკებს, მაშინ აქეთ უნდა მეხვე-
წებოდე, მოკალი ეს ღორის შვილიო.

ფეხებში ჩაგუჯვარდი აბრაგს და

კვლავ ზეცას შევლადდე:

— ღმერთო ჩვენო, შენ განუხსენ
თვალი გონებისა და განუღე კარი ჰქმ-
მარიტებისა მონასა შესა, თუთაშხიას
დათას, რათა აღარ შეგცოდოს. შთააგო-
ნე მას, რომ ბოროტების აღმოფხვრა
და აღმოშანთვა ბოროტებითვე, არ
არის გონიერი და მართებული, რადგან
ავსა საქმეს, თუნდაც სიკეთის სახელით
ჩადენილს, სხვა უამრავი ჭირი მოაქვს,
რომელნი უსასრულო და დამლუპველ
არიან...

შემისმინა უფალმა ჩვენმა, აბრაგს
თავის განზრახვაზე ხელი ააღებინა, ია-
რადი ბუდეში ჩააბრუნა.

— ჯონჯოლია!—თქვა თუთაშხიამ.—
ზვამბას, შენ რომ ჩაიდინე, იმაზე უა-
რესი არ უქნია, იცოდე! კი ხარ მოსაკ-
ლავი, მაგრამ ჩემი ხელით არ შეიძლე-
ბა შენი სიკვდილი: იტყვიან,—მას რომ
ესროლა, მიტომ მოკლა თუთაშხიამო
მე რომ მესროლე; ამისთვის კი არ ხარ
მოსაკლავი — ფულის გულისთვის კა-
ცის მოკვლა რომ შეგიძლია, ამისთვის
ხარ სიკვდილის ღირსი და დაიხსომე
ჩემი სიტყვა, შენი სიხარბე და დაუნ-
დობლობა მალე მოგიღებს ბოლოს!

თუთაშხია ცხენზე შეჯდა და აღმარ-
თში წავიდა.

დოროთე თოდუა გულადმა იწვა, ღია
თვლებში ბოღმა და მრისხანება ედო.
მკვიდრად შეკრული მუშტები ბინდშე-
პარულ ცისთვის მიედგებინა.

ცალ ხელში ქვა ჰქონდა.



იმხანად თბილისის პოლიციაში სისხლის სამართლის სამძებრო დარგს სამოცდაათს მიტანებული, დიდად გამოცდილი დეტექტივი — ივანე მიხეილის ძე უსატოვი განაგებდა. ჩამოსვლისავე დღეს მივედი სამსახურში. გულმა გამიწია და მივედი. კაბინეტში ფეხი შევდგი — ტელეფონმა დაიწკრიალა: უსატოვი მირეკავდა, დაუყოვნებელ მიღებას მოხვოდა.

მობრძანდით-მეთქი.

მარდი, ფიცხელი მოხუცი იყო, გადამდები ტემპი ჰქონდა, ფაციფუცით შემოვიდა. დაჯდომა ვთხოვე. ჯანმრთელობა ვკითხე. რაღაც ეჩქარებოდა და თან თავისი მოჭუტული, ეშმაკი თვალებით შემომცქეროდა. ვიკრძინი, ლამობდა გაეგო. ვიცოდი თუ არა, რისთვისაც იყო მოსული.

არ ვიცოდი და ვკითხე.

— დიდი მოღულის ხალიჩის თაობაზე გეახელით, თქვენო ბრწყინვალეებავ, — მოთხრა უსატოვმა პატარა ხნის დუმილის შემდეგ და ისევ თვალებით კირკიტი დამიწყო.

— დიდი მოღულის ხალიჩის გამო... — გავიმეორე ჩემთვის. ერთი წამით მომეჩვენა, რომ ჯიმშედის ლეგენდარულ სარტყელზე, ან მინოტავრის ლაბირინთზე მესაუბრებოდნენ. მერე მეხსიერებას ძალა დავატანე, დავრწმუნდი, რომ მსგავსი არაფერი ვიცოდი და ვთქვი:

— გისმენთ, ივანე მიხაილოვიჩი.

— როგორ... ესე იგი... მაშ, თქვენ არაფერი მოგეხსენებათ? — უსატოვი აფორიაქდა, მეგონა, თავში ხელს წაიშენს-მეთქი.

გამეცინა. ახალგაზრდა ხელქვეითებმა იციან, უფროსებთან საუბარში უმნიშვნელო რაღაცებს შეიცხადებენ ხოლმე. ამით საქმისადმი თავისი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების დემონსტრაცია სურთ, მხნე და ერთგული მომუშავეების სახელს იმკვიდრებენ. გავიფიქრე, — უსატოვს ეს ხრიკი ჩვეულებად

ახალგაზრდობაშივე ექცა და სიბერეშიც შემოჰყვა-მეთქი. ამიტომ გამეცინა.

— არაფერი ვიცი. რაშია საქმე?

უსატოვმა ერთი კიდევ შემავლო ეკვის თვალი, მგონი გაიფიქრა, — ამ კაცს დიდი მოღულის ხალიჩისა, შეიძლება მართლაც არაფერი გაეგებოდესო და მითხრა:

— მაშინ, თქვენო ბრწყინვალეებავ, თავიდან უნდა ვიამბოთ. ნება მიბოძეთ.

— ბრძანეთ, ბრძანეთ.

— ნადირ-შაჰმა ინდოეთში ლაშქრობის შემდეგ თავის თანამოლაშქრეს, მაშინ ჯერ კიდევ უფლისწულს და შემდგომში ქართლ-კახეთის მეფეს — ერეკლე მეორეს, დიდი მოღულის ნაქონი ვეებერთელა ცისფერი ხალიჩა უბოძა. მას მერე ხალიჩა თბილისში, მეტეხის სასახლეში იყო. ალა მაჰმად-ხანმა ეს საოცარი ნაკეთობა თბილისის ალექსის შემდეგ, სხვა განძეულთან ერთად, ხელს გააყოლა და, თავის მხრივ, მელიქ მეჯნუნს უბოძა ერეკლესგან განდგომისა და მის წინააღმდეგ ბრძოლაში ერთგულებისთვის. ხალიჩა მეჯნუნის ჩამომავლებს შემორჩათ. ჯერ სადღაც ჰქონდათ. მერე თბილისში ჩამოიტანეს. ინგლისელებმა შარშანწინ ხალიჩის მფლობელებს ოცდაათი ათასი აძლიეს. მიმდინარე წლის დამდეგს პაჯი-სეიდის ფირმამ ოცდათხუთმეტი ათასი შესთავაზა. პატრონი ორმოცდაათს თხოულობდა, ხალიჩა არ გაიყიდა. ერთ მშვენიერ დღეს, თქვენო ბრწყინვალეებავ, ხალიჩა გაქრა. ის მშვენიერი დღე ორი თვის წინ გათენდა. დაზარალებულმა, რა თქმა უნდა, ჩვენ მოგვმართა და ძებნას შევეუდექით. ხალიჩის პატრონს მრავალრიცხოვანი ოჯახი და ნათესაობა ჰყავს. ვერ წარმოიდგენთ, როგორ მომაბეზრეს თავი! ალყა შემომარტყეს, პოლიციის სამმართველოს კარებთან სადღელამისო მორიგეობა ჰქონდათ გამართული, ღმერთს ვფიცავ! ირ-

ჰაბუა ამირაჯიანი
დათა თუთაშვილი

წმუნებოდნენ, — ხალიჩა ან თბილისში გაიყიდება და ან ბაქოშიო. ამ სამი კვირის წინათ ხალიჩაც ვიპოვეთ და ქურდიც ავიყვანეთ. როგორ გგონიათ, თქვენო ბრწყინვალეზავ... ვინ?... — უსატოვი ნიშნისგებით შემომამჩერდა, ვითომ ის ქურდი ჩემი ნათესავი ან დაახლოებული ხელქვეითი იყო.

— წარმოდგენა არა მაქვს.

— სპარაპეტა!

— სპარაპეტა? — დავფიქრდი, ნეტა, ვინ უნდა იყოს-მეთქი. — არ მაგონდება... სპარაპეტა! — ცოტა არ იყოს შემრცხვა კიდევ, რომ უსატოვის ნათქვამიდან არც ერთი არ ვიცოდი.

— სპარაპეტა, თქვენო ბრწყინვალეზავ, ცნობილი თბილისელი ყომარბაზი, შულერი და ქურდი!.. ორი წელიწადია საიმპერიო ძებნა აქვს დანიშნული. ჩემს მეტმა ვერავინ დაიჭირა!.. — უსატოვის ხმაში ჯერ სიამაყემ დაიძვრა და მერე საყვედურმა: — ცნობილი ქურდი და ყომარბაზი, ესე იგი — შულერი!

ბებერი მაძებარი ვაოცებული იყო, რომ ასე ცნობილი ქურდისა არაფერი ვიცოდი.

ჩემმა ცხოვრებამ ისე გაიარა, რომ ბაცაცები, ყომარბაზები და შულერები, როგორღაც იყო, განზე დამჩინენ, მათი ასავალ-დასავალი არასოდეს მცოდნია. გარდა ამისა, ჩემოდენა თანამდებობის კაცს ხელქვეითებთან სიცრუე საერთოდ არ სჭირდებოდა და, თუნდ პირიქით ყოფილიყო, ბუნებით არ ვიყავი მატყუარა; მიუხედავად ამისა — არ ვიცი, ვითაკილე, რომ ვილაც პოლიციელმა სპარაპეტას შესახებ ჩემზე მეტი იცოდა, ან, იქნებ, თავაზიანობამ ჩამადენინა — მტკიცედ მივუთქე:

— ღიახ, გამახსენდა. სპასპეტა!..

— სპასპეტა კი არა, სპარაპეტა თქვენო ბრწყინვალეზავ!.. — უსატოვმა ღამის შემომმტირა — ძალიან უნდოდა, რომ ქურდის მეტსახელი სწორად მცოდნოდა.

— დასწყევლოს ზეცა-უფალმა! — ჩავილაპარაკე და სიცილი ამივარდა.

მოხუცი კაცის წინაშე უხერხული იყო, თავის შეკავებას ვცდილობდით, ღამის გავგუდულოყავი — ჩემი იდიოტური მდგომარეობა მაცინებდა. უსატოვს კი მოეჩვენა, ვითომ ხალიჩის ირგვლივ ყველაფერი ვიცი და სერიოზულ ღამარაკს მასხრობა ვამჯობინე. ამან ჯერ სიცილის ისტერიკა დამმართა, ცრულები გადმომცვივდა, მერე მოკრძალებამ მინც თავისი გაიტანა — დამამუხრუჭა, უსატოვს ბოდიში მოვუხადე და ვთხოვე, განეგრძო.

— ღიახ, თქვენო ბრწყინვალეზავ, სპარაპეტა ხალიჩიანად მოგიყვანეთ, — ყოყმანით დაიწყო უსატოვმა. — დაკითხვას ვაპირებდი, რომ ბატონი ზაზანდია მობრძანდა და ხალიჩიანად წაიყვანა... მე მეგონა, რომ თქვენ ეს იცოდით!.. მას დღეს აქეთ აღარც დაზარალებულები გამოჩენილან, მორიგეობა ჰქონდათ-მეთქი, ავი მოგახსენეთ. შეწყდა მორიგეობა! ალყა ჰქონდათ-მეთქი, ავი მოგახსენეთ. ალყაც მოიხსნა!

— ქურდიც წაიყვანა? — რაღაც მნიშვნელოვანი ვიგრძენი.

— ღიახ, სპარაპეტა!.. — და ხალიჩაც წაიღო, რა თქმა უნდა. მიბრძანა, არც რაიმე გიპოვნიათ, არც ვინმე დაგიპატიმრებიათ, არც ვინმე გაგიშვიათ და საერთოდ, არაფერი მომხდარაო. გასაგებია, მაგრამ... — უსატოვი დაღუძმდა და ისევ დამიწყო თავისი მოკუტურთლი, ეშმაკი თვალებით კირკიტი.

ცხადი იყო, რომ დაზარალებულებს ფეხი პოლიციიდან ზაზანდიამ ამოაკვეთინა. უთუოდ, აღუთქვა, — ხალიჩა უტყველად დაგიბრუნდებათ, აქაურობას მოშორდითო.

— მაგრამ?... — დაგვიანებით ვკითხე უსატოვს.

— მაგრამ, თქვენო ბრწყინვალეზავ, სამი დღის წინ... ერთი კვირის წინ სპარაპეტამ ხალიჩა გაყიდა... თორმეტ ათასად, თქვენო ბრწყინვალეზავ, და თბილისიდან აორთქლდა!

— იაფად გაუყიდა.

— მოგახსენებთ, ნაქურდალი საქონელი...



— ვის მიჰყიდა?

— ჰაჯი-სეიდს, და თვითონ აორთქლდა. შემძლია ჰაჯი-სეიდის ფირმას ხალიჩა ჩამოვართვა, როგორც ნაქურდალი, თქვენო ბრწყინვალეებავ, მაგრამ იმაზე ვფიქრობ, ვითუ ბატონ ზარანდიას როგორმე სხვანაირად სურს... მეორე მხრივ, ვნახოთ და ხალიჩაც აორთქლდეს?!

გულზე მომეშვა, რომ უსატოვმა, როგორც იქნა, ჩემთვის ცნობილ განზომილებებს მიმართა — ჰაჯი-სეიდი, ზარანდია და სხვა ასეთები. დიდი გამჭრიახობა არ უნდოდა, რომ ხალიჩის მოპარვა ზარანდიას მოწყობილი იყო — რაღაცისთვის სჭირდებოდა.

მოლარეს ვუხმე.

— ზარანდიამ რაიმე თანხა თუ შემოიტანა წასვლის წინ?

— თორმეტი ათასი, ასიგნაციებით, თქვენო ბრწყინვალეებავ.

— ხაზინაში ჩასაბარებლად?

— დროებით შესანახად.

— მამაცხონებულს, სპარაპეტასთვის ჰონორარიც კი არ მიუცია, — ჩავილაპარაკე ჩემთვის.

— რა ბრძანეთ, თქვენო ბრწყინვალეებავ?

— არაფერი. თავისუფალი ხართ.

მოლარე გავიდა. უსატოვს მივუბრუნდი:

— ზარანდია ამჟამად დაღესტანშია, ივან მიხაილოვიჩი. ერთ კვირაში უნდა დაბრუნდეს. ჯერჯერობით კი ისე უნდა მოიქცეთ, როგორც გთხოვთ.

— რა თქმა უნდა, თქვენო ბრწყინვალეებავ, რა თქმა უნდა, მაგრამ სპარაპეტა... და, იქნებ, ხალიჩაც?!

სპარაპეტას დაბრუნების გარანტიას ვერ მივცემდი, უსატოვს მისი ძებნა-დაპატიმრება ხელმეორედ მოუხდებოდა, მაგრამ ის კი აღფუთქვი, რომ ხალიჩა, ყოველ მიზეზს გარეშე დაუბრუნდებოდა პატრონს... ამ დროს ერთი მოსაზრება მეწვია: ზარანდიას დიდი მოლულის ხალიჩა, ცხადია, იმისთვის რომელი მოუპარვინებია, რომ ხაზინისთვის შემწეობა აღმოეჩინა. რახან ხალიჩა ჰა-

ჯი-სეიდს მიეყიდა, რაღა თქმა უნდა, ისიც საჭირო იყო, რომ იგი ჰაჯი-სეიდს დათანხმებულად დარჩენილიყო იქამდე მინტკანამ თვითონ ზარანდია დაბრუნდებოდა დაღესტნიდან. აქედან გამომდინარე, უსატოვს ვუბრძანე:

— ივან მიხაილოვიჩი, თქვენი გამოცდილებისა და უნარის იმედი მაქვს; სანამ ზარანდია დაბრუნდებოდეს, ხალიჩა იქვე უნდა იყოს, სადაც ამჟამად არის. თუ გატანა დააპირეს — გამტანი-თურთ პოლიციაში, თქვენთან! გასაგებია?

— არის, გამტანითურთ პოლიციაში, თქვენო ბრწყინვალეებავ! — გამომეჭიმა უსატოვზე, დამეშვიდობა და წავიდა.

ხალიჩამ და მის გარშემო შექმნილმა ვითარებამ უსიამოვნო წინაგრძნობა შემომიჩინა. ცოტა გულმოსულიც გახლდით, რომ ობერაცია ჩემთან შეუთანხმებლად ჩატარდა. ეგ არის, ზარანდიას გამართლება ჰქონდა — თბილისიდან ჩემზე სამი-ოთხი დღით გვიან გავიდა და ვიფიქრე, ხალიჩის ხრიკი იქნებ გაუთვალისწინებელმა გარემოებამ მოთხოვა-მეთქი.

ზარანდიას მოადგილეს — შიტოცეცეს, ვუხმე.

— რა იცით ამის შესახებ?

— ყველაფერი, თქვენო ბრწყინვალეებავ. ბატონ ზარანდიას დეპეშას ველოდები. მივიღე. დღეს დილით მივიღე.

— მერე?

— ძირითად ობერაციას წინასწარი შემზადება სჭირდება. ესე იგი, ხალიჩის გაყიდვის ფაქტი გვეჭირდება. ამის შემდეგ უსატოვს ჰაჯი-სეიდთან დავგზავნით, ჩხრეკას მოახდენს. შეადგენს თქმს, რომ ჰაჯი-სეიდმა ნაქურდალი საქონელი შეიძინა და გაყიდა... გაყიდვა — აუცილებლად საჭიროა, ასე ბრძანა ბატონმა ზარანდიამ. დიახ, უსატოვი ამ ფაქტს დაადასტურებს და, ვითომ, რაღაც დამატებითი გარემოებების გამორკვევამდე, ხალიჩას იქვე დატო-

ვახუა აშირაჯიზი
დათა თუთაშვილი

ვებს... ცხადია, სათანადო ხელწერი-
ლით. ბატონმა ზარანდიამ ბრძანა, ხა-
ლიჩა ჩემს ჩამოსვლამდე ჰაჯი-სეიდთან
უნდა იყოსო.

— გასაგებია!

კაცმა რომ თქვას, ბოლომდე გასაგები
არაფერი იყო; ვხედავდი, ეს ოპერაცია
იმის პირობას ქმნიდა, რომ ზარანდია
ჰაჯი-სეიდთან, როგორც დანაშაულის
ჩამდენთან, შესულიყო კონტაქტში. ასე-
თი პოზიცია მათ მომავალ ურთიერთო-
ბებში ზარანდიას აძლევდა საჭირო
უპირატესობას. ეს ასეა, მაგრამ აქ კი-
დეც რაღაც იყო და ამაზე ვფიქრობდი,
რომ პოლკოვნიკ სახნოვის აღიუტანტის
დებეშა შემომიტანეს. გვატყობინებდა,
პოლკოვნიკი თბილისს ამა და ამ დღეს
გამომეგზავრებოთ. უნდა ჩამოსულიყო
ვიცოდით, მაგრამ თითქოს დებეშის წა-
კითხვა იყო საჭირო, რომ ერთი საოცარ
მიგნება მწვეოდა: რუსეთის დიდგვა-
როვან ოჯახებს ტრადიციად ჰქონდათ
ქცეული, თითო რამ ქონებით ყოფი-
ლიყვნენ სხვებისგან გამორჩეული.
რომანოვები მთელ იმპერიაში და, ალ-
ბათ, მსოფლიოშიც ბრილიანტების საუ-
კეთესო კოლექციას ფლობდნენ; ნაიმი-
კინების გვარის ზოგი წარმომადგენელი
ცხენსაშენებით ჯობდა სხვა ოჯახებს;
გოლიცინები ბროლისა და ფაიფურის
ნაკეთობებით იყვნენ განთქმულნი; იუ-
სუპოვებს უნიკალური საათების სიმრავ-
ლით მოჰქონდათ თავი და ასე შემდეგ
და შემდეგ. პოლკოვნიკი სახნოვი დე-
დით შერემეტიევთა გვარს ეკუთვნოდა.
იმ არცთუ ხანდაზმულ ქალბატონს მემ-
კვიდრეობით ჰქონდა მიღებული ხალი-
ჩების ზღაპრული კოლექცია, რაც შე-
ნახვისა და შემდგომი შევსებისთვის
ქალბატონმა შერემეტიევამ თავის დე-
დისერთა ვაჟს უბოძა ქორწილის დღეს.
შვილთაშვილმა წინაპრების ტრადიცია
შესაშური თავგამოდებით განაგრძო
ამბობდნენ, რომელიღაც ხალიჩების შე-
საძენად მან პერმის გუბერნიაში ცო-
ლის ნაშთივით ტყეებიც კი გაყიდაო და,
საერთოდ, მთელ შემოსავალს, ძირი-
თადად, თავის კოლექციას ანდომებო.

ეს სავსებით გასაგებია: მამით ნაშთი
აზნაურს და, მამასადამე, თვითონაც
აზნაურს, რაიმეთი ხომ უნდა ეჯობა
უკეთესი წარმოშობის კაცებისთვის!..
წინაგრძნობა შემომიჩინდა-მეთქი, —
თურმე სახნოვის ამ გატაცებას მკარ-
ნახობდა ქვეცნობიერება და ჩემს წინა-
შე ძნელი თავსატეხი აღიმართა: რო-
გორც უკვე ვთქვი, ზარანდია სახნოვის
ამ ჩამოსვლისადმი საგანგებო ინტე-
რესს იჩენდა! მისი ვიზიტისთვის ხომ
არ მოამზადა დიდი მოღულის ხალიჩა?
ყოველ შემთხვევაში, დიდი მოღულის
ხალიჩა და სახნოვის ხალიჩების კოლე-
ქცია ერთგვარ უნისონს ქმნიდა...

— ოპერაციის გეგმა მზად გაქვთ? —
დავუბრუნდი შეწყვეტილ საუბარს.

— დიახ, — თქვა შიტოვცევმა.

— ვისი შედგენილია?

— ჩემი... ზარანდიას თეზისების სა-
ფუძველზე. მიბრძანა, განსახილველად
წარმოგიდგინოთ და მხოლოდ თქვენი
დასტურისა და ნებართვის შემდეგ ვი-
მოქმედო. როდესაც მოიცლით... საჩქა-
რო კია, მაგრამ თუ არ გცალიათ... მე
მზად ვარ თქვენო ბრწყინვალეობაგ.

— დააბრუნეთ უსატოვი და მოიტა-
ნეთ გეგმა.

ერთი წუთით მოვლენათა მსვლელო-
ბის ტემპს გადავხატე და ვიტყვი,
რომ ოპერაცია ჩატარდა და პირადად
ჩემთვის, ჩემი სულიერი ცხოვრებისა
და ინტერესების ასპექტში, თითქოს
ყველაფერი რიგზე იყო: დროებით უც-
ნობი დანიშნულების, მაგრამ კონტრდა-
ზვერვისთვის აუცილებელი გეგმა სის-
რულეში იქნა მოყვანილი! ეგ არის, რო-
გორ მოხდა, რომ დიდი მოღულის ხა-
ლიჩის ფანდსა და სახნოვის კოლექცი-
ონერობას შორის ინტუიტიურად მიგ-
ნებულ ხიდს მეტი ყურადღება მაშინ-
ვე არ მივაპყრე? მართალია, ვთქვით,
რამდენიმე წლით ადრეც ოპერაციას
სამსახურისთვის საჭირო ღონისძიებად
ჩავთვლიდი, ჩავატარებდი კიდევ, მაგ-
რამ მოსალოდნელ სხვა შედეგებზეც
დავფიქრებოდი, მხოლოდ ჩემი სტე-
რეოტიპებიდან გამომდინარე ვიმოქმე-



დღემდე: „ახლო კი, ამ ამბობენ, არსებობით, გადამწყვეტი არაფერი-მიღონია და ეს, უპირველესად ყოვლისა, ჩემს დამოკიდებულებაში მიმდინარე გარდატეხების ნიშანი იყო, მაგრამ ამაზე — ცოტათი ქვემოთ.

განვავრძოთ სათქმელი.
ზარანდიას მიერ დატოვებული თეზისების გაცნობას, მათ საფუძველზე შედგენილი გეგმის განხილვა-კორექტირებას, შესაძლო ვარიანტების განსჯასა და ოპერაციის დეტალების დამუშავებას ჩემთვის ახალი არაფერი მოუცია. ზარანდიას ნამდვილი განზრახვა ბურჟუაზიის მოკლული დარჩა.

ხაქმე იმით დაიწყო, რომ ჰაჯი-სეიდს ერთი „მდიდარი ფრანგი“ ეწვია. სადარბაზო ბარათის მიხედვით იგი ტრანსატლანტიკური სამგზავრო ნაოსნობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი და იმ კომპანიის მსხვილი აქციონერი იყო. მან ისკანდერ-ეფენდის მეშვეობით აცნობა ჰაჯი-სეიდს, რომ უნიკალურ ნაკეთობათა შესაძენად მოვიდა. მცირე ხნის თავაზიანი საუბრის შემდეგ ჰაჯი-სეიდმა ათი, თორმეტი სხვადასხვა საგანი მოატანინა. მუშტარმა თითქმის არ ვაჭრობდა. რაც მოეწონა, უყოყმანოდ იყიდა. რაც ეძვირა — ნოქიას ხელი აუქნია, წაიღე, არ მჭირდებოდა. შეძენილი საგნები იქვე შეაფუთვინა. ფუთებზე თავისი მარსელის მისამართი დააწერინა. მერე ღირებულება დააჯამებინა, ფირმის პატრონს საკმაოდ დიდი თანხის თამასუქი ადელხანოვის ჩუსტის ფულივით დაუტოვა და წასვლის სამზადისს შეუდგა — პალტო, ხელთათმანები, კალთშები, ქოლგა და სხვა.

„ფრანგი“ უკვე ზღურბლთან იდგა, თამასუქის განაღდებასა და ამანათების დროულად გადაგზავნაზე ლაპარაკობდა. ჰაჯი-სეიდს კი „ფრანგის“ მისვლისთანავე შეჩენილი კითხვა აწვალებდა: იყო თუ არა ეს მუშტარი დიდი მოღულის ხალიჩის მყიდველი და ღირდა თუ არა ამ საგანზე სიტყვის ჩამოგდება?.. მან ერთი ტყვიით ორი კურდღლის მოკვლის შესაძლებლობა იგრძნო: ნაქურ-

დალი ზღურბლის თავიდან მოშორებისა — ცალკე, და ამ უცხოელის ხელგამოცემა ლობის ხარჯზე ფულის მოგებისა — ცალკე. ოპერაციის ეს კვანძი ფსიქოლოგიურად ზუსტი იყო. მუშტარმა ხელი დასამშვიდობებლად გაიშვირა. ჰაჯი-სეიდს ცთუნებამ სძლია და ისკანდერ-ეფენდის ათარგმნინა — თუ ნამდვილი დამფასებელი ბრძანდებით და ფინანსური მხარეც ხელს გიწყობთ, მაშინ ერთ განსაკუთრებულ რამეს გავცენებთო. „ფრანგმა“ მშვიდად მიუგო, ვნახავო.

დიდი მოღულის ხალიჩას სიგანე რვა არშინი ჰქონდა, სიგრძე — ოცდაათი და მკვდარ სპილოზე მსუბუქი ოთხიოდ გირვანქით თუ იქნებოდა. დღემდე მიკვირს, სპარაპეტამ როგორ და რატუნქიკური საშუალებებით მოახერხა მისი მოპარვა და ერთი ადგილიდან მეორეზე მიტანა, მაშინ როდესაც, ჰაჯი-სეიდის ფირმის მთელი შტატის მუშაობა, ოფლი და კრიახი მარტო იმას დასჭირდა, რომ „ფრანგს“ ზემო სართულის დიდ დარბაზში გაშლილი ენახა იგი.

მუშტარმა დიდხანს, დაწვრილებით ათვალიერა და სინჯა ხელოვნების ის მართლაც სწორუბოვარი შედევი. ამასთან, საქმის ცოდნა და გამოცდილი ფინანსისტის ცივი თავშეკავებაც გამოიჩინა. შემდეგ ფასი იკითხა, ორმოცდაათი ათასი მანეთით, გაიგონა. პორტფელიდან ცნობარი ამოიღო, რაღაც ეძება. შემდეგ დასახელებული თანხა ფრანკებში გადაიყვანა და ჰაჯი-სეიდს უთხრა:

— ხვალ დილაღე უნდა მადროვოთ. მოფიქრება მჭირდება.

ხალიჩა აგრაგნეს, მისთვის საგანგებოდ გაკეთებულ ვეებერთელა ყუთში ჩააბრუნეს.

„ფრანგი“ წავიდა.

ჰაჯი-სეიდს, ცხადია, ერჩივნა, რომ გარიგება იმ დღესვე შემდგარიყო, მაგრამ ისიც კარგად ესმოდა, რომ ნამდვილი

ვაჟაჟა ამიძეჯიბი
დათა თუთაშაია

მყიდველი და ფულს ყადრის მცოდნე
კაცი ასე ერთი ნიხვით საკითხს, არ გა-
დაწყვეტდა. სწორედ ამან დაარწმუნა
იგი, რომ საქმე სერიოზულ მუშტართან
და ღირსეულ კაცთან ჰქონდა.

ძირითადი ამბები მეორე დღეს მოხ-
და. „ფრანგი“ დანიშნულ დროს მივიდა,
ჰაჯი-სეიდს დიდი მოღულის ხალიჩაში
თხუთმეტი ათასი მისთავაზა. ჰაჯი-სე-
იდს ცივმა თფლმა დაასხა: მუშტარმა
ხომ არ გაიგო, რომ ხალიჩა ნაქურდა-
ლია და ასე ცოტა სწორედ ამიტომ ხომ
არ შემომაძლიათ.

— ეგ ფასი, მოსიე, თვით ხალიჩის
წარმოშობას აყენებს შეურაცხყოფას,—
უთარგმნა ისკანდერ-ეფენდომ „ფრანგს“
ჰაჯი-სეიდის პასუხი.

— მიაქციეთ ყურადღება! ასე დაბალ
ფასს სწორედ ხალიჩის წარმოშობა
კარნახობს! — მიუგო „ფრანგმა“ და
ჰაჯი-სეიდის ეჭვი დადასტურდა.

თბილისელი სოცდაგარი კინაღამ ჰკუ-
რიდან გადაცდა. რას ელოდა და რა გამო-
ვიდა!.. მხარეების შემდგომი საუბარი
გამოძალეასა და შანტაჟს უფრო დემს-
ვავსა, ვიდრე ვაჭრობას. ჰაჯი-სეიდმა
ერთი დაპირება დააპირა უარი ეთქვა,
აღარ ვყიდი, თავი დამანებეთო, მაგ-
რამ ხომ შესაძლებელი იყო, რომ ის ამ-
პარტუვანი „ფრანგი“ ნაქურდალი ხალი-
ჩის ამბავს პოლიციაში მიიტანდა?..
„ფრანგის“ შემდგომი ლაპარაკი სახელ-
დობრ იმას ნიშნავდა, რომ ან თხუთმეტი
ათასად მომყიდი, ან ხალიჩასაც დაკარ-
გავ და ხიფათშიც გაებმებო. ეგ არის,
არც ჰაჯი-სეიდი იყო მიამიტი და ბედის
დამყოლი კაცი; მან დიდხანს ივაჭრა,
მუშტარი ოც ათასზე დითანხმა, მაგრამ
უპირობის ჯარიმისა ხელშეკრულებაში
არაფერი უხსენებია. „ფრანგმა“ ოცი
ათასი მანეთის თამასუქი დატოვა და
ჰაჯი-სეიდმა იგი იმ ვარაუდით გაის-
ტუმრა, რომ დიდი მოღულის ხალიჩას
მეორე დღესვე ლონდონში გააპარებდა
აუქციონზე გასაყიდად, ხოლო
„ფრანგს“ თავის თამასუქს მარსელის
მისამართით გადაუგზავნიდა ხელშეკ-
რულებაზე უარის წერილითურთ.

ჰაჯი-სეიდი სთვლიდა, რომ ნაქურდა-
ლია და დააღწია და კმაყოფილი იყო.
ჩვენც კმაყოფილი დავრჩით, რადგან
სასურველ ვითარებას მივადწიეთ: ჰა-
ჯი-სეიდი მხილებული იყო, როგორც
ნაქურდალი საქონლის შემსყიდველი
და გამყიდველი და არა როგორც მარ-
ტო მყიდველი.

შემდგომი ამბების დაწვრილებითი
აღწერა არ ღირს: ვიტყვი მხოლოდ, რომ
ჰაჯი-სეიდმა ათასნაირად სცადა უსატო-
ვისა და მისი ხელქვეითების აღყიდან
თავის დაღწევა, მაგრამ საქმე მაინც ისე
დამთავრდა, როგორც ჩაფიქრებული
იყო: ჰაჯი-სეიდის დაპატიმრებისთვის
სრულიად საკმარისი მონაცემები და სა-
ბუთები ხელთ გვქონდა. უსატოვმა მას
შინაური პატიმრობის ორდერი წაუყი-
ტხა, გაუთქმელობის ხელწერილი ჩამო-
ართვა. დიდი მოღულის ხალიჩა დაილუ-
ქა და ფირმის საწყობის გამგეს ჩაბარ-
და, როგორც რევიზორებულნი საგანი.
დანარჩენი, ზარანდიას განკარგულე-
ბის თანახმად, მისი ჩამოსვლის შემდეგ
უნდა გაკეთებულიყო.

იმ ორმა დღემ ოპერაციის ხელმძღვ-
ნელობაში, დეტალების განსახანა და
სწრაფი გადაწყვეტილებების მიღებაში
ჩაიარა. ცალკე, აზარტმა ამიტანა და
კიდევ ერთი მოულოდნელი ამოცანით
ვიყავი დატვირთული: ჩემი გამოცდი-
ლებისა და წარსულში ჩატარებულ
ოპერაციების პატრონს შიში მქონდა,
რომ, ვაი თუ იმ დონეზე; ისეთი შედე-
ვიანობით ვერ შემესრულებინა ამოცა-
ნა, როგორც ამას თვით მუშნი ზარან-
დია გააკეთებდა. ეს შინავანი შეშფო-
თება და სიფრთხილე ოპერაციის დაგე-
გმვის პროცესშივე აღმოვაჩინე და გი-
ქვივით გამეცინა. ხელქვეითები გაკვირ-
ვებით შემომაჩერდნენ, რა ხდებოო. მი-
უხედავად იმისა, რომ ამ ქვეშეცნეული
შიშის გაცნობიერება ღროზე შეეძლო,
მაინც ვერ მოვიშორე თავიდან იგი
იქამდე, სანამ საქმე არ დამთავრდა.
ასეთ ვითარებაში სხვა რაიმეზე, ან
თუნდ, ამავე ღონისძიების სხვა მხარე-
ებზე დაფიქრების დრო სად იყო!



ოპერაცია შაბათს დაგვირგვინდა, ასე, დღის სამი საათი იქნებოდა. დამთავრდა თუ არა, მაშინვე საშინელმა დოლილობამ და დეპრესიამ დამრია ხელი. რატომღაც აბანო, მექისე, თბილისი გოგირდოვანი წყლის მსუყე სუნი მომინდა. ჩავეჯექი ეტლში, დაღმართებს ჩავეყვი ორბელიანების აბანოსკენ.

ცოტა ხნის მერე მარმარილოს ტახტზე პირქვე ვიწექი, ქიაშვიზა-მექისე სიქას მაცლიდა. თავის ქალაში ფიქრების წვერდაკარგული გორგალი მედო. ზროვნების უნარი მიმუყჩებოდა. კარგა ხანს ვიყავი ასე დამუხრუჭებული და გარინდებული. შეინძრა თუ არა აზრი, იმწამსვე უდავო ჭეშმარიტებად წარმომიდგა ის, რომ ზარანდიას დიდი მოღელის ხალიჩა სახნოვის რაღაც მახეში გასაბმელად სჭირდებოდა — სხვა არაფრისთვის. ამაზე ჩემთვის ორი აზრი არ არსებობდა და მხოლოდ ის არ ვიცოდი, თუ სახელდობრ, რას დამართებდა ზარანდია სახნოვს ასეთი მისატყუარის გამოყენების გზით. ცხადი იყო, რაღაც ძლიერ მნიშვნელოვანს, გადამწყვეტს, საბედისწეროს უმზადებდა ჰკვიანი და ცბიერი კაცი — შეზღუდულსა და ვირეშმაკა კაცს. ფიქრი რამდენიმე წამით გამიწყდა, რადგან ქიაშვიზა ზურგზე ფეხებით შემდგა, ხერხემლის მალეხმა და სახსრებმა ტკაცატყუი ატეხეს. ფეხის ტერფმა კისრიდან კულუსუნამდე წკნელის ფარცხივით ჩამიარა, სიმსუბუქე ვიგრძენი და... სახნოვის სიბრალული მეწვია. წარმომიდგა დიდი თავადის ფეხებში ჩავარდნილი ნათლული და ანაზდად ისიც ცხადი შეიქნა, რომ დამლუპველი ხრიკი ზარანდიას ჩაფიქრებულა, მაგრამ ჩემი შესრულებული იყო...

— ვაშ სიატელსვ, გაგრილება ნადა? — ჩამესმა ქიაშვიზას ხმა.

ვერო დავუკარი. გახურებულ სხეულზე იმავ წამს ქარიშხლის ტალღასავით დამაცხრა მთელი ზღვა.

მექისემ მხრებზე ვეება ზეწარი წამომასხა და გამომეთხოვა.

შინისკენ წამოსულს სინდისის ქენჯნა

შემომიჩნდა. მთელი საღამო სავარძელში გავატარე. ლოგინში ჩავეწექი — იმავე ფიქრებმა ბარე სამ საათს შამფურით მატრიალეს. მერე სისხამ დილით გამომეღვიძა, შუადღემდე ვიწექი და საფიქრალს კი მაინც ვერ გავართვი თავი. მაშინ სასწრაფოდ ჩავეიცვი, სამსახურიც კენ გავწიე, იქნებ მუშაობას გადაეყოლო-მეთქი გული.

ამჟამად მხოლოდ დაახლოებით, საერთო მონახაზში შემიძლია აღვადგინო ის, რაც მაშინ მაწვალებდა და ვიტყვი კიდევ, რადგან... რადგან ჩემი მომავალი ცხოვრება აქედან დაიწყო.

ჩემი მეშვიდე წინაპარი — გრაფი ლიოშ სეგედი, რუსეთის სამხედრო სამსახურში შედგა, რუს ქალზე დაქორწინდა და ამის შემდეგ ჩვენს შტოს სხვა ტომის სისხლი აღარ შერევია. ათას ხუთას ოთხმოცდაცხრა წლიდან მოკიდებული, ჩემმა წინაპრებმა ერთადერთ სამშობლოდ რუსეთი აღიარეს, და ტახტის სამსახურს შეალიეს თავისი ნიჭი, სინდისი და სიცოცხლე. დაუფასდათ კიდევ — მამულები, თანამდებობები, პატივი, დიდი ჯამაგირები. მე მათი ერთადერთი მამრობითი სქესის მემკვიდრე ვიყავი და, რა თქმა უნდა, ჭაბუკობაშივე რწმენად მექცა, რომ სამსახური მხოლოდ მაყარი საზოგადოებრივი მდგომარეობისა და მატერიალური უზრუნველყოფის საშუალება კი არა, — ერთგულების, პირუთვნელობისა და თავდადების ის ასპარეზი იყო, რომელსაც ჩემი ადამიანური ღირსებების შემდგომი რაფინირებისა და ნაკლთა აღმოფხვრის პირობა უნდა შეექმნა. ვიცოდი, რომ მოვალე ვიყავი მამულიანისთვის მიმეცა ყველაფერი, მიმელო კი მხოლოდ იმდენი, რამდენიც ყველაფრის მიცემისთვის იყო საკმარისი და, თავის ქებაში თუ არ ჩამომერთმევა, ვიტყვი — ასეც ვცხოვრობდი, ამის შემდეგად დავრჩი მარტონელა, უშვილო და სიბერეში მიუსაფარი.

ვახუა ანთრეჯიხა
დათა თუთაშვილი

სორბონში სტუდენტობის დროსაც და შემდეგ კიდევ თერთმეტი წლის მანძილზე რუსეთის იმპერიის საიდუმლო სამსახურის კაცი ვიყავი ევროპაში. მოვიდა დრო, პირადად ჩემგან სრულიად დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ევროპაში აღარ დამედგომებოდა, პეტერბურგში გამომიძახეს. სამშობლოში დაბრუნებისას უკვე პოლკოვნიკის ჩინი მქონდა. ვგონებ, მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის შეიარაღებულ ძალებში ჩემზე უმცროსი ან ჩემი ხნისა და ასეთი ჩინით სულ რამდენიმე ოფიცერი იყო. საზღვარგარეთულმა ფიასკომაც კი დიდი თავადის წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენი მარჯუნა — იმპერიის ერთი უმაღლეს ჯილდოთაგანია. ამით კუდის მოქნევა და ტრაბახი კი არ მსურს, არამედ იმის თქმა მინდა, რომ ყველა გზა ხსნილი მქონდა. მრავალი მნიშვნელოვანი თანამდებობა ლანგარზე მედო და რომელსაც მოვიწოდებდი, იმას ავირჩევდი. ჟანდარმერია, საიდუმლო პოლიცია ავირჩიე და ამ სამსახურის იმეამდ ერთ-ერთი ურთულესი უბანი — კავკასია! ვინმემ იქნებ ასეთი არჩევანის ათასი სულიერი და მატერიალური მიზეზი გამომიხანოს. ამაოდ დაშვრება, მიზეზი ერთი იყო: ვიცოდი, რომ მაღალი ადამიანური ღირსებების შენარჩუნება აქ უფრო ძნელია, ვიდრე სხვაგან. ამ სიძნელეებთან პირისპირ ყოფნის წყურვილმა მიმიყვანა ჟანდარმერიაში. ამით მე განვარძლე ჩემი საომარი ურთიერთობები ცოტუნებებთან, ჩიხებთან, ზერელესთან და ნაჩქარევთან, უღირსთან და მკდართან საკუთარ არსებაში. ვცხოვრობდი, ვმსახურობდი — დათა თუთაშხიას ენით რომ ვთქვა „ვებრძოდი ჩემს თავს“ და მიხაროდა გამარჯვებები. სამსახური იყო წყარო ჩემი სულიერი კმაყოფილებისა თუ ჭაგრისა და უამისოდ სიცოცხლე არ შემეძლო. მქონდა სტერეოტიპების ვრცელი კომპლექსი, მქონდა ერთხელ და სამუდამოდ შემუშავებული დამოკიდებულება და არ მქონია—ფიციავ ვანგებას, არ მქონია კომპ-

რომისი, სანამ ჩემს რწმენას სატანასავით არ მოვევლინა მუშნი ^{ჩვენი ჩვენი} კომპრომისიც არის და კომპრომისიც; მე არ ვლაპარაკობ კერძო: შემთხვევად როცა, ვთქვათ, პირადი უნდა გაიწიროს ეროვნულად თუ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანისთვის და ეს ვერ შევძელი, ან იმაზე, რომ მუშნი ზარანდიან თავისი სანდომიანობითა თუ სულის ძლიერებით, ერთადერთხელ ჩემის მხრივ ამა თუ იმ ზნეობრივ დათმობას მიაღწია. არა! აქ ლაპარაკია ჩვევების ძირფესვიან აღრევაზე, თვისობრივი გარდატეხების უტხადეს ნიშნებზე დამოკიდებულებაში, ბომონთა მსხვერველაზე... ერთი სიტყვით, გამოვიდა ისე, რომ სწორედ ამ სამსახურში შემომეფანტა ის, რის შესანარჩუნებლადაც მოვედი: სახნოვზე წამოვიკარი ფეხი!

მოქალაქეობისა და სამსახურის ასპექტში ჩემი დამოკიდებულების საძირკველი და ხერხემალი ის სტერეოტიპი იყო, რომ მთელი კაცობრიობა წარმოდგენილი მყავდა, როგორც „ჩვენ“ და „სხვები“. „ჩვენ“ ვიყავით ყველა, ვინც შეგნებულად იზიარებდა ტახტის ერთგულების, რუსეთის იმპერიის მთლიანობის, მისი მსოფლიო-ისტორიული როლის ზრდის აუცილებლობას და ამ იდეას ემსახურებოდა. მოყვანილი პრინციპის ყველა სახის მოწინააღმდეგეები ჩემთვის „სხვები“ იყვნენ. აქვე და საგანგებოდ უნდა გამოვავირობო: „სხვების“ მიმართ რაიმე ზიზღი ან სიძულვილი არასოდეს მქონია. მქონდა სიტრთხილის გრძნობა. ვიცოდი, რომ დედამიწის ზურგზე მხოლოდ „ჩვენ“ ვერასოდეს ვიქნებოდით, „სხვებიც“ აუცილებლად უნდა ყოფილიყვნენ და, ამასთან, დიდი უმრავლესობის სახით. ასე აღმზარდეს და აღზრდის მეთოდი, როგორც შემდგომში მივხვდი, ემყარებოდა პრინციპს — „ჩანასახნივე ჩაიხშოს სიძულვილის ყოველგვარი გამოვლინება, დაიწყოს კეთილგონიერი მიმტეველობა და შემუშავდეს თავდაიწყებული სიყვარული ყველაფერ „ჩვენის“ მიმართ“. მაგრამ დაეუბრუნდეთ



ძირითად თემას: ხსენებული სტერეოტიპიც ნაწევრებისგან — სამი ქვესტერეოტიპისგან შესდგებოდა. ნუ დავივიწყებთ, რომ ჩემი სამსახურის, პროფესიის სპეციფიკა მაქვს მხედველობაში და განვმარტოთ: „სხვა“ სახელმწიფოებთან თუ მათ მოქალაქეებთან ურთიერთობის მომწესრიგებელ ფაქტორად საერთაშორისო სამართლის ნორმები, დიპლომატია და სამხედრო ძლიერება მიმაჩნდა. რუსეთის იმპერიის ქვეშევრდომ, ანუ შინაურ „სხვათა“ და „ჩვენს“ შორის ბრჭედ მქონდა კანონი და კანონიერება, რომლის წინაშე ყველა, მიუხედავად გონებრივი, წოდებრივი თუ ქონებრივი მონაცემებისა, თანასწორი იყო. ამ ორი სახის „სხვათა“ დანაშაულის კვლევაძიებისას ცბიერი, ვერაგი ფანდების გამოყენება შესაძლებლად მიმაჩნდა იმიტომ, რომ ეს იყო ბრძოლა მტერთან მაშინ, როდესაც „ჩვენს“ კაცზე შემოსულ დასმენას (მესამე ქვესტერეოტიპი), ან ასეთი კაცის მხრიდან სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ ქმედებასაც კი ვუყურებდი, როგორც მოყვასის შეცდომას, კვლევა-ძიების პროცესში მას ფრაქციონერად ვთვლიდი და მხოლოდ ღირსეული მეთოდებით ვმოქმედებდი — ცხადია იქამდე, სანამ მოსისხლე მტრობას დავინახავდი.

პოლკოვნიკი სახნოვი მარტივი ფსიქიკის კაცი იყო, იმდენად მარტივი, რომ „სხვათა“ ბანაკშიც რომ გადაბარგებულყო და შეურიგებელი მტრობა განეზრახა, ზიანს მაინც ბევრს ვერაფერს მოიტანდა. ეს ცხადია, მაგრამ მთავარი ის არის, რომ არც საღმე გადაბარგებულა და არც ტახტისა და სახელმწიფოს მტრობა გაუვლია გულში. ყველაფერ იმას, რასაც ჩემი წინაპრები და მე პირუთვნელად ვემსახურებოდით, სათავეში მისი იმპერატორობითი უდიდებულესობა და უავგუსტესი ოჯახი ედგა. ეს იყო იმპერიის წმიდათაწმიდა ფუძე და საწყისი, სახნოვი — მეფის კარის მიერ ნათესავად აღიარებული კაცი და, მასსადაამე, არამცთუ „ჩვენი“, არა-

მედამისი განსახიერებაც, რისთვისაც „მოვალე ვიყავი მიმეცა ყველაფერი მემელო კი მხოლოდ იმდენი, რამდენიც ყველაფრის მიცემისთვის იყო საკმარისი“...

მუშნი ზარანდია და მე ვაპირებდით, სახნოვს, ანუ „ჩვენს“ კაცს ისე გავსწორებოდით, როგორც „სხვას“!

ზემოთქმული მხოლოდ ერთი ნაწილი იყო ჩემი დანაშაულისა. მეორე, უფრო მძიმე და გაცილებით მნიშვნელოვანი იმაში მდგომარეობდა, რომ ყველა დროისა და ერის იმპერიათა არსებობის საფუძველთა საფუძველი ხელვყავი, თუ შეიძლება ითქვას, წესდება დავარღვიე. საქმე ის არის, რომ იმპერიის შემთხვევაში „ჩვენს“ ორი შენაკადის — „მპყრობელი ერის შვილებისა“ და „უცხო ტომის კაცების“ პირობითი ერთობლიობაა: „მპყრობელი ერის შვილები“ საკუთარ სახელმწიფოებრიობას ანხორციელებენ, ანუ თავისი ერის აღზევების საქმეს ემსახურებიან. „უცხო ტომის კაცები“ სხვის სამსახურში დგანან, ლანდსკნეხტებისა და კონდოტიერების ყველა იმპერიისთვის აუცილებელ ფენას შეადგენენ. ისინი, ფორმალურად, მპყრობელ ერს ემსახურებიან და მათი სამსახურის ფაქტიური მიზანი კი, ჭერ თავეკრძული და მერე კარგად შენიღბული საკუთარ-ეროვნული მიზნების განხორციელებაა, რაც საერთო ჯამში, ეწინააღმდეგება ხოლმე იმპერიის ინტერესებს.

ისტორიულად ცნობილია კიდევ ერთი რამ: იმპერიის ძნელბედობისა და კატაკლიზმების დროს მპყრობელი ერის შვილების დიდი უმრავლესობა, მიუხედავად მსოფლმხედველობისა, ურყევად დგას სახელმწიფოს მთლიანობის პოზიციებზე მაშინ, როდესაც უცხო ტომის კაცთა დიდი უმრავლესობის ხედრი განდგომა და სეპარატიზმია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, გარეგნულად თუმც ორივე შენაკადი ერთ

ვახუა აფირაჯიანი
დათა თუთაშვილი

პრივილეგირებულ, მმართველ წოდებას შეადგენს, მაინც ორივე მხარემ იცის თანაარსებობის ქვეშაობა პრინციპი: „მპყრობელმა ერმა უცხო ტომის კაცები უნდა გამოიყენოს, მაგრამ ბოლომდე მათი ნდობა დაუშვებელია. მიუხედავად იმისა, თუ წარსულში რომელს რა დამსახურება აქვს ტახტისა და იმპერიის წინაშე“. მპყრობელი ერის შვილსა და უცხო ტომის „ჩვენს“ კაცს შორის აღმოცენებულ ყველა კონფლიქტში და სახნოვ-ზარანდიას შემთხვევაშიც, ჩემს მამულიშვილურ მოვალეობას შეადგენდა, მართალია ერთობ დაბალი, მაგრამ მაინც მდგრადი ღირებულების, ანუ სახნოვის მხარი დამუჭირა. მე პირიქით ვიქცეოდი და სწორედ ეს იყო საფუძველთა საფუძვლის ხელყოფა, წესდების დარღვევა!

ზარანდიამ სახნოვის წინააღმდეგ რომ „სხვათათვის“ განკუთვნილი ხერხებით დაიწყო მოქმედება, დავიღებ გულზე ხელს და ვიტყვი — ბუნდოვანა, მაგრამ იმთავითვე ვგრძნობდი. ახლა, დაღვა დრო, ჩემთვის ცხადი შეიქნა, სახნოვი ზარანდიას პროვოკაციების ქსელში რომ ებმებოდა და არამცთუ ვიღონე რამე — ზარანდიას ვეშველებოდი! ვიცოდი, ხმა უნდა ამეძალეები-

ნა, სათქმელი მეტყვა, გამოსატანა მისი სინათლეზე გამომეტანა, მაგრამ მისი ნაბიჯის გადასადგმელად არაფერი მქონდა, გარდა შეგნებისა, რომ სახელდობრ, ასე უნდა მოვქცეულიყავი, ხოლო ასე მოქცევის სურვილისა კი ნატამალიც არ გამაჩნდა. ვიცნობდი ადამიანებს, რომლებიც მხოლოდ ასე იქცევიან, ასე ცხოვრობენ, ამაში ცუდს არაფერს ხედავენ და თავისთავის საყვედური აზრადაც არ მოსდით, მაგრამ ჩემთვის ყოველივე ეს ნამდვილი ტრაგედია იყო, მე ჩემს თავს ვთვლიდი იმ მოგვად, რომელმაც წმიდა კოცონი გულიერის მეთოდით ჩააქრო. მეტიც, ვგავდი იმ წესიერ ადამიანს. რომელმაც სრულიად მოულოდნელად მაწინწალობასა და მემთვრალეობას მიპყო ხელი, ერთ დღეს მთელი სიცხადით აღიქვა თავისი სულიერი კატასტროფა და ნებისყოფა კი ვერ გამოიჩინა, რომ წერტილი დაესვა, უწინდელ კალაპოტში ჩაეყენებინა თავი. ასეთები მემთვრალეობაშივე ეძებენ ხსნას. აღმოჩნდი უდიდესი საშიშროების წინაშე: კომპრომისების, დამოკიდებულების გამუდმებული რღვევისა და სინდისის ქენჯნის სამყაროში გადასახლება მელოდა.

კალაპოტონი თიკო ო-ნი

... გამოცდილება მაშინ მოვიდა, როცა საჭირო აღარ იყო. მაგალითად, ორმოცდათხუთმეტი, სამოცი წლისას მამაკაცებთან ურთიერთობის საიდუმლოებათა ცოდნა რაშიდა გამომადგებოდა?! მანამდე კი, როცა მესაჭიროებოდა, ამ მხრივ მყარი და საიმედო არაფერი გამაჩნდა. რა ვიცი, მესაჭიროებოდა? მერე რა — არც ერთადერთი ვარ, არც უკანასკნელი და არც გამოჩაქლისი: ადამიანები უბელო ქიმერებზე სხედან, მათ ნებაზე დაეხეტებიან: ჰგონათ კი, თავისი ოცნების რაშებისთვის ცხრა აღვირი აქვთ ამოდებული და მხოლოდ საკუთარი სურვილით ამორჩეულ გზებსა თელავენ. ერთი მეგო-

ბარი ქალი მყავდა. ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებების ძებნაში, შეძენასა და გამოყენებაში ატარებდა ცხოვრებას. მაინც ოთხი შვილი შობა და კინალამ მესხუთე ფეხძიობას გადაჰყვა. ასე, სამოცისამ მითხრა — ორსულობის თავიდან აცილების ყველა ხერხი ზედმიწევნით ვიცო; არც საქმეს ეტყობოდა და არც ის შემინიშნავს, თავისი ცოდნა ვინმესთვის გაეზიარებინოს. ბავშვობაში ზღაპარს მიამბობდნენ ხოლმე: მიხრწნილმა ბერიკაცმა სიკვდილის წინ ოქროთი სავსე ზანდუკი კუნაპეტ დამეში სადღაც წაიღო და ისე დაფლა, რომ ეელარავინ იპოვნა. იმ ბერიკაცში ორი ბუნება იყო: ერთი აგროვებდა, რომ რა-



იმეში გამოეყენებინა; მეორემ ისე დაფ-
ლა, რომ საერთოდ ვერაზავინ გამოი-
ყენა! მეც ასე ვიცოცხლე. თურმე, ორი
სული მდგმია, არ ვიცოდი, სიბერე-
შილა გავიგე; პირველს ეგონა და მოქ-
მედებდა; მეორემ სიმართლე იცოდა,
მაგრამ არაფერს ამბობდა — როცა
საჭირო აღარ იყო, მერღა თქვა.
პირველი იმ ქათამსა ჰგავდა რომელიც
კვერცხის დასადებად ჯდება და ჰგო-
ნია, რომ ამ საქმეს მხოლოდ და მხო-
ლოდ პატრონის საუზმისთვის სჩადის;
მეორე — მრევლს, რომელმაც სიცოცხ-
ლეში ერთთავად სანატრელი ფლავი
მოლას საფლავში ჩააყარა... არა, მამა-
კაცებთან ურთიერთობის გამოცდილება
ლოგინიდან, პრაქტიკიდან არ შემიძი-
ნია — დაკვირვებიდან შევიძინე. ლო-
გინიდან შემიძინა — სანამ რამედ ვვარ-
გოდი ის გამოცდილება იქამდე მექნე-
ბოდა და არა ორმოცდათხუთმეტ-სა-
მოცისას. უპ საით წავედი!.. საცოდავ
მიტო ზურაბიშვილზე დავიწყე, რომ
დათა თუთაშვიას ამბავი მეთქვა და
ისევ ჩემ თავთან კი მოვედი. სხვანი-
რად ლაპარაკი არ ვიცი. როგორც უნდა
ვეცადო მაინც ისე გამომდის რომ საც-
რიდან გავცქერი სამყაროს. საცერი მე
თვითონ ვარ, ამიტომ ჩემს თავზე მეტს
ელაპარაკობ, ვიდრე იმაზე, რაზეც საუ-
ბარს დავიწყებ ხოლმე. სხვებიც ასე
არიან, მაგრამ ჰგონიან, რომ არა. მი-
კერძობებულობისა და თავის თავზე და-
უკვირვებლობის ბრალია; ეს სულიერი
ვითარება ჩემთვის კარგად არის ცნო-
ბილი. აი, მიტო ზურაბიშვილი რომ
შემიყვარდა, ასე მეგონა, რევოლუცი-
ონერია, ერისა და ხალხისთვის თავდა-
დებული კაცია და ამისთვის შემეყვარ-
და-მეთქი. მართალია, ცხრაასიანი წლე-
ბის დასაწყისისთვის აღამიანის გონება
უკვე რევოლუციის სულით იყო შეპყ-
რობილი, „ხალხი, სამშობლო, თავი-
სუფლება!“ — ამას მაგიური ძალა
ჰქონდა და ხშირ შემთხვევაში პოლი-
ტიკური მრწამსი, იდეა აპირობებდა
პიროვნების საქციელს, მაგრამ სიყვარ-
ულს მაინც სხვა პირველმიზეზები და

საწყისები აქვს... თუნდაც სოფლის
მასწავლებლობა ვთქვათ, — ხალხში
ცოდნისა და სიმართლის გავრცელების
საშუალება იყო. პოლიცია ამ საქმეს,
ზოგ შემთხვევაში, პოლიტიკურ მოღვა-
წეობად სთვლიდა. მე რომ სოფლის
მასწავლებლობას მოვიკიდე ხელი, ეს
ნაბიჯი ბევრმა რევოლუციისა და თავი-
სუფლებისთვის მსხვერპლის გაღებად
ჩამითვალა. სიმართლე რომ ვთქვა,
მე თავადაც ასე მეგონა; ვთვლიდი,
რომ ბრძოლის ინტერესებში გავიხიზნე
თბილისიდან. არა, მაინც რა უფლება
მქონდა, ასე მიმეჩინა?! დამიძახეს —
ღმერთო, მერამდენე დაძახება იყო!..
მითხრეს, — ან პენზაში თუ კოსტრო-
მაში გადაგასახლებთ, ან სადაც გეტყ-
ვით, იმ სოფელში მასწავლებლად წახ-
ვალ და, ამასთან, ერთ ჩვენს დელიკა-
ტურ დავალებასაც შეასრულებო! მა-
შინვე მივხვდი, რასაც გულისხმობდ-
ნენ — საიდუმლო აგენტობას, მაგრამ
რა მექნა, დანაშაული მქონდა, მართლა
გადასახლება შემუქრებოდა... ძალიან
თავზეხელაღებულ საქმეებში შევყვი-
ვით მითოს და ბოლოს ყველაფერი გამეღა-
ნდა. როცა მივყვებოდი, დარწმუნე-
ლი ვიყავი. — რევოლუციას ასე სჭირ-
დება, ამას იმიტომ ჩავდივარ-მეთქი.
სულ ტყუილი გამოდგა — სიბერემ
მომიკაცუნა და მაშინ ნათლად დავინახე,
რისკში სიყვარულმა შემითრია,
უგონოდ მიყვარდა ზურაბიშვილი —
ჩვენი მომავალი ცოლქმრობის ეშხი,
თორემ სულაც ვერ ვერკვეოდი, რამ-
დენად საჭირო იყო ჩემი მონაწილეობა
ბრძოლაში და რამდენად — არა... პენ-
ზაში თუ კოსტრომაში რა მინდოდა,
როგორ მეარსება, რა სულიერი საზრ-
დო გამეჩინა? მითხრეს თუ არა, მაშინვე
გავიფიქრე, დამავალონ, რა მენადგლე-
ბა, დავპირდები, არც რასმე შევეუსრუ-
ლებ და, ნეტავი, რას მიზამენ-მეთქი!
დავთანხმდი. ხელწერილი ჩამომარ-
თვეს, მეტი რა გზა მქონდა... ჰო, ეს
უკვე ვთქვი. ხელწერილი კი იმაზე ჩა-
ვახუა ამირეჯიბი
დათა თუთაშვიანი

მომართვეს რომ მასწავლებლობა. იმ
სოფელში უნდა დამეწყო, სადაც დათა
თუთაშხიას საყვარელი ცხოვრობდა.
მდგმურადაც იქ უნდა დავმდგარიყავი,
თუთაშხიას საყვარლის — ბერუნი პერ-
ტიას სახლში, თუკი ვაქირავებაზე არ
იტყოდა უარს... არ უთქვამს, წინასწარ
დაარწმუნეს, მდგმურის აყვანა გირჩე-
ვია, პოლიცია იფიქრებს, ბერუნი პერ-
ტიას ალბათ ის უნდა, რომ დათა თუ-
თაშხიამ მასთან სიარულს უკლოს ან
სულაც ამოიკვეთოს ფეხიო.

ჩავედი. მამასახლისმა ჯერ სხვა ბინე-
ბი მაჩვენა. არ მოვიწონე. მერე ვილა-
ცამ უთხრა, — ბერუნიც ვააქირავებსო.
მამასახლისმა თვალები დააპყიტა და აბ-
რაგის საყვარელთან წამიყვანა. ეს მირ-
ჩვენია-მეთქი, ორ ოთახში დავდექი.

ის სოფელი მაშინაც კარგა დიდი
იყო, უბანიც მომეწონა: სახლები ერთ-
მანეთისგან შორი-შორ იდგნენ. მოზრ-
დილი, დაბანილ-დავარცხნილი ეზო-
კარი ჰქონდათ. ირგვლივ კრუხ-წიწილი
ჟივჭივებდა. ბავშვების ქრიაშული იდ-
ვა. ღამლამობით მახლობელ ჰაობებში
ბაყაყები ერთმანეთს ყყიწში ეჯიბრე-
ბოდნენ და აშვებული ძაღლები დაგ-
ვიანებულ მგზავრებს გაბმითა ჰყუფდ-
ნენ.

ისიც წინასწარ ვიცოდი, რომ
ჩემი სახლის პატრონი ტყის მცველის
ქვრივი იყო. უფრო ხნიერი მეგონა —
ოცდარვა-ოცდაცხრა წლისა აღმოჩნდა.
ბიჭუნა ჰყავდა — ექვსისა, მეშვიდეში.
ეს იყო და ესა მისი ოჯახი. დინჯი, ტა-
ნადი, ჩუმი ქალი იყო — იმდენად ჩუმი,
რომ ხანდახან კვირა გაივლდა და იმის
ხმას ვერაინ გაიგონებდა, მაგრამ თა-
ლში თავიდანვე მეცა: ქვრივის ღუმი-
ლი ბერავი ადამიანის სიჩუმე ან გლოვის
სიმძიმე რომელი იყო — ამაყი ვანდგო-
მა იყო. ეს მას ერთგვარ ღირსებას სძენ-
და და თითქოს მნიშვნელობასაც მატებ-
და. მამაკაცებისგან გამიგონია, ქალი ქა-
ლის სალოგინო ღირსებებს ვერ შეა-
ფასებსო. მართალი არ არის. ჩვენ უფ-
რო ვხედავთ და ის ბერუნი პერტია, ამ
მზრვი, დიდი ვერაფერი შვილი იყო.

მოვავროვე ბავშვები და საქმეს შე-
ვდექი: რაც დრო გადიოდა, მით
მეტად მანციფტრებდა მათი
ჭი, მესხსიერება, ცოდნის წყურ-
ვილი და თავს უბედნიერეს ადამიანად
ვთვლიდი: კოლხეთის უძველეს მიწაზე
ეცხოვრობდი, ჩემს ხალხს ვემსახურე-
ბოდი, ბიბლიურ მეჩირაღდნესავეთ სი-
ნათლე მიმქონდა.

თავისუფალ დროს კითხვას, მიწერ-
მოწერას და ჩემი წარსულის თვალეი-
რებას ვანდომებდი. ეს წარსული პატარ-
ა და მღელვარე იყო. მაშინ მე ჩემი
ლიასახლისივით ოცდამეცხრე წელი-
წადში ვიდექი. მეგრულს მარდად ვლა-
პარაკობდი, რადგან დედით მეგრელი
ვარ და ერთხანს ვაღიაც მეგრელი ქა-
ლი მყავდა. ჩემდა სასიკცხოდ, იქ ეს
არასოდეს გამიმხელია, ვიცოდი. ენის
ღამლავა სხვისი საიდუმლოს ქურდო-
ბას ჰგავს. მაინც დავმალე. ეს დანაშა-
ული, ალბათ, ასაკმა ჩამადენინა. მომე-
ტევოს — სინდისის ქენჯნა მეყოს სას-
ჯელად.

გავიდა ცოტა ხანი და ჩემი დიასახ-
ლისის ვარეგანმა იღუმალეზამ გარკვე-
ული არსი შეიძინა, სურვილის წინააღ-
მდეგ საფიქრალში ჩამოთრია.

კვირა დღე იყო. შინ ვბრუნდებოდი.
ბარდღუნია დამთვრალიყო, ფილთა
თოფი გამოეტანა, ალიაქოთი ედგა. ეს
ჰაბუკი მეწისქვილის შვილი გახლდათ,
ასე, ოცი წლისა იქნებოდა. დათვრებო-
და, ფილთა თოფს გამოიტანდა. მეზობ-
ლების შინაურ ცხოველებს უშვერი
ლანძღვა-გინებით დასდევდა. — თოფი
მოშლილი იყო, ბარდღუნია თვითონ
ღრიალებდა, — ბახ, ბახ, ბახ!.. და სანამ
ღვინო გამონეღდებოდა, იქაჭრობას
იკლებდა. მის ასეთ გამოსვლებს მთელი
მეზობლობა ესწრებოდა, ბავშვები ბარ-
დღუნიას გუნდ-გუნდად დასდევდნენ
და მასთან ერთად ყვიროდნენ, — ბახ,
ბახ, ბახ!.. ქუჩაზე რომ შემოვლხვები,
ბარდღუნია ქაჯაიების ბოჩოლას მოს-
დევდა. უკვე ჩვენს ქიშკართან ვიყავი
მისული, რომ დამინახა. ბოჩოლას თავი
მიანება, მეგრულად დაიძახა, — ბერუ-

ნიას ინდაური მოვიდაო, და პირდაპირ ჩემსკენ გამოქანდა. ჭიშკარში ვერ შევასწარი, გზაზე გადამიდგა. ძალიან შემეშინდა, ძალაუნებურად ღობეს მივენდე და სწორედ ამ დროს ბარდლუნის ჩემი დიასახლისის სილა ლოყაში მოხვდა.

იქაურობა მყისვე მიჩუმდა. მოსერიეები ღობეებზე გადმოიხარნენ. ბავშვებმა სალოკი თითები პირში გააქანეს და გაინახნენ.

ბარდლუნის ყელის ძარღვები დაებერა, სახეში სისხლმა აასხა, კბილებიდან გამოსცრა:

— რას ვიზამ, თუ იცი! ხომ არ გგონია, მისი მეშინოდეს მე...

— კი გგონია! — მშვიდად, ხმადაბლა მიუთო ქვრივმა. — წაეთრე!

ბარდლუნამ ველარაფერი მოახერხა, ხმა ჩაუვარდა, ერთიანად აცახცახდა. მერე დაიღრიალა, ფილთა თოფი მოისროლა და თავისივე ტანსამოსის შემოხვევას მიჰყო ხელი.

დიასახლისი მკლავში მწვდა, ეზოში შემეიყვანა.

ბარდლუნამ პერანგის ამხანაგამდე ყველაფერი შემოიხია და გადაყარა. ქალბა ვიშვიში ატეხეს, კაცებმა გახელებულს მკლავები გადაუგრისხეს, შინსკენ წაიყვანეს.

— სილა როგორ შებედე, რამე რომ ექნა... რომ გაერთყა?! — ვთქვი მე, როცა აივანზე ავედი.

დიასახლისმა ოღნავ მღიმარი თვალები შემომანათა:

— ვერავინ ვერ გამიბედავს ვერაფერს!

— როგორ?

— ისე! — მომიჭრა ქვრივმა, ტოლხა აიღო და ეზოში ჩაბრუნდა.

მიუტყუბული ქალები ქვრივს გამოჰყურებდნენ. ბეჩუნამ ეზო დინჯად გაიარა, სამხადთან ნაწნავი ზურგზე გადაიგდო და კარს მიეფარა.

მოთვალთვალეები უხალისოდ გაიკრიფნენ.

საღამოხანს ეზოში ორი დედაბერი შემოვიდა. ჩემმა დიასახლისმა სტუმ-

რები კაკლის ძირას სკამებზე დასხა. ფანჯარა ღია მქონდა, თითქმის ყველაფერი მესმოდა. ისე გამოდიოდა, რომ ბარდლუნის საქციელისთვის ბოდიშს იხდიდნენ, ბეჩუნის უხდიდნენ, ჩემი სახელის ხსენება არსად იყო.

— მასწავლებელს მოუხადოს ბოდიში ხვალ! — უთხრა ბეჩუნამ დედაბრებს ჭიშკართან.

ვითომ დათა თუთაშხიაზე სათვალთვალოდ გამომგზავნეს და მე კი არც მისი ცხოვრებისა გამეგებოდა რამე, არც იმისა, თუ რა პიროვნება იყო. ეს გვარ-სახელი და მასთან დაკავშირებული რაღაც ამბები ვაგონილი მქონდა, ვინც საიდუმლო პოლიციაში ხელწერილი ჩამომართვა — თუ მეხსიერება არა მალაატობს, ვინმე კნიაზევი იყო, პოლკოვნიკი — კარგა ბლომა რაღაცები მიამბო თუთაშხიაზე. ვერც მაშინ შევძელი და ვერც თუთაშხიას გაცნობამდე, რომ იმ კაცზე ერთი რამ დამდგარი აზრი ჩამომეყალიბებინა. ავიც მოსმენილი მქონდა, კარგიც, მაგრამ არც ერთი არა მჯეროდა. საერთოდ, მამაკაცის ბუნებასა და ხასიათზე ნათქვამს ვერაფერს ვირწმუნებდი ხოლმე, სანამ საკუთარი თვალით არ ვნახავდი და ამით მის მამაკაცურ ღირსებებზე წარმოდგენას არ შევიქმნიდი — ასეთი ხასიათისა ვიყავი. რაკილა ასე იყო. ისიც თავისთავად გამომდიოდა, რომ სახელიანი მამაკაცების დანახვა და ჩუმ-ჩუმად თვალთვალი მოთხოვნილებასავით მქონდა ძალიან დიდხანს. დათა თუთაშხიას დანახვის შემთხვევა არა და არ მომეცა. მოლოდინი სულს მიწვრილებდა, ცნობისმოყვარეობით ვიყავი შეპყრობილი და ატაცებული, დასწყევლოს ღმერთმა.

ჩემი დიასახლისი ბავშვს რომ დააძინებდა, ხანდახან, ხელსაქმეს შემოიტანდა და გვიანობამდე ჩემთან იჯდა. ლამზა მენთო, ვკითხულობდი, ან რვეულებს ვასწორებდი. ზოგჯერ ჩაიზეც დამეწვეოდა ხოლმე. თავიდან ორთავეს

ზაზა აიჩრევიძი
დათა-თუთაშხია

გვეგონა, რომ საერთო ბევრი აღმოგვაჩნდებოდა, მაგრამ იშვიათად ვსაუბრობდით.

→ ბეჩუნი, ამდენ წინდებს ვისთვის ქსოვ? — უნებლიეთ ვკითხე ერთ საღამოს.

— ჩემი დათასთვის.

— დათა ვინ არის?

— ჩემი საყვარელია, დათა! — ალბათ, ამ კილოზე ამბობენ, „არ მომეკარო, გესვრიო!“.

მენიშნა: ეს განწყობილება ჰქონდა ჩემს დიასახლისს სიარულში, მიხრამოხრასა და ყელის ამაყ მოღერებაში. ეს კილო ჰქონდა ბარდლუნიასთვის უშისრად ნათქვამ სიტყვებში — „კი მგონია“. ესეე იგრძნობოდა თვით დუმილშიც. მეორე მხრივ, გასაოცარი იყო სოფლელი ქალის ამგვარი გულახდილობა... გულახდილობა კი არა — სექსუალური თავისუფლებით ტრამბაში! თავი აფწივ; შევხედე.

შემართულ სატევარს ჰკავდა!

— რა კაცია? — რაც შეიძლებაოდა გულუბრყვილოდ ვკითხე.

ჩემი სტუმარი მყისვე გამოიცვალა, ეჭვი და გაკვირვება მოეფინა სახეზე. მერე თვალები მოუღება, ღიმილით მიხრია:

— დათა?.. აბრაგია! ხომ გაგიგონია... დათა თუთაშხია...

— გამიგონია, როგორ არა! — სიტყვა ჩამოვართვი და ინტერესით დავძინე: — სად ვაიცანი?

ქალი გაინაბა, თითქოს დაიბნაო, და ჩაილაპარაკა:

— არ გამიცვინია მე ის.

გულში გამეცინა. მინდოდა, მეკითხა, იქნებ დღემდე არ იცნობ-მეთქი; მაგრამ ძალიან შეინტერესებოდა და თავი შევიკავე.

— პირველად სად ნახე, მაინც?

— მივდიოდით საღლაც... საღლაც კი არა და, დღეობაზე მივდიოდით მე და ჩემი ქმარი მაშინ. შეგვხვდა გზაზე. თვალებში შემომხედა, მერე აღარ დამინახავს იქ, ხატში. ქმარმა მიხრია, დათა ეგ, აბრაგია თუთაშხიაო.

— მერე, მერე?

— რა? მერე...

— როგორ შემოგხედა, როგორი თვალები ჰქონდა?

— როგორი და... — მოფიქრება დასჭირდა ბეჩუნი პერტიას. — გაკვირვებულ! მოვედიო დღეობიდან. ჩემი ქმარი ტყის მცველი იყო და ყანა გვექონდა ტყეში, სათოხნად დავდიოდი იქ. ერთ კვირას სულ ისე მეჩვენებოდა, საღლაც ბუჩქებში იყო ჩამალული დათა თუთაშხია, ვიოომ. ვუთხარი ქმარს, მითვალთვალეებს, მგონია, ვილაც და მეშინიამეთქი. ვაიცანია, საცოდავმა...

ჩემი დიასახლისი ისევე დადუმდა. ახირებული ქალი იყო — ზანტი, უსურველი ლაპარაკი იცოდა.

— მერე, მერე? — კვლავ შევეკითხე, თორემ შეეძლო, კიდევ ორი საათი მგდარიყო, აღარაფერი ეთქვა და დასაძინებლად წასულიყო.

— მართლა გამოვიდა ერთ დღეს ბუჩქებიდან დათა; იმ ბუჩქებიდან გამოვიდა სწორედ, მე რომ ქმარს ვუთხარი, — ვილაც მითვალთვალეებს-მეთქი. იდგა და მიყურებდა ჯერ... წამოვიდა ჩემსკენ. შევხედე თვალებში და შეემეშინდა ძალიან, ავკანკალი მივლად. მოვიდა, დადგა ჩემთან. მიყურებდა ასე. მიყვირა, მინდოდა, მარავერ დაეძარი ხმა, ერთხანტელი მივლიდა ტანში და წამერთვა ენა... ისეთი მკლავები ქონდა!.. და მკერდი — ღონიერი, ბრტყელი, ლამაზი... დამალვა მომინდა. გაშალა მკლავები, ჩავიმაღლე შიგ და გადამიარა შიშმა... — ქვრივს თვალებში აღი შეუღდა. — პირველი თოხის, დრო იყო მაშინ, სიმინდი მუხლამდეც ვერ მწვდებოდა. დასანახზე ვიდექი და წასვლა მომინდა. საითმე... კი არ მომინდა, საჭირო იყო და მეძნელეობდა ეს. მოეწყდი, როგორც იქნა, მკერდიდან... — ქვრივმა ისევე იყუჩა და პატარა ხნის ფიქრის შემდეგ თქვა: — შეიდი წელია მას მერე, რვა გახდება მალე. არ გამიხელოია არავისთვის ეს... წავალ მე, ქალბატონო თიკო, გვიანია უკვე.

მერე რაც მოხდებოდა, ყველაფერი ნათლად დავინახე: ქალი მიდიოდა წინ. ასე, სამ, ოთხ ნაბიჯზე მამაკაცი მისდევდა და ქალს ტანს უთვალეირებდა. ქალმა ბუჩქნარს მიალწია, მაგრამ არ გაჩერებულა — მიდიოდა და მიდიოდა. სულ ასე ივლიდა... კაცმა მხარზე ხელი დაადო. ქალი გაჩერდა, სულით ხორცამდე თრთოდა, ცხსაცხებდა, ძალა ელოდა, მამაკაცის ღონე უნდა დასცემოდა მეხვიით...

ღმერთო ჩემო, ყველას ყველაფერს აძლევ — მე რა დავიშავე?! ვითომ მიხვდა ეს დედაკაცი რამეს?.. ვინ იცის, სიძიმე ეხამეუშებოდა, ტანზე ბალახისა და ეკლის შეხებას გრძნობდა და ამაზე ფიქრობდა იმ დროს!

წარმოდგენისა და ამა თუ იმ სიტუაციაში დაუსწრებლად ყოფნის სწორედ საოცარი უნარი მაქვს; მაშინაც მქონდა. მაშინ უფრო მქონდა. ყველაფერი მთელი გზნებით, ვნებით და ბოლომდე განვიცადე. ბეჩუნი პერტია არ ყოფილა იქ. მე ვიყავი იმ ბუჩქებში!..

მაგრამ მოვიდა სიმცხრალე; ჩემი ხვედრი მხოლოდ წარმოდგენა იყო, ნამდვილისთვის მთელი სიცოცხლის მანძილზე მაკლდა ის; რასაც რეალური, მძაფრი და დახვეწილი მოაქვს...

ღიასახლისი დამემშვიდობა, გავიდა. ვათვალეირებდი და მივიკირდა — განა, რა უნდა მოსწონებოდა დათა თუთაშხიას ამ ქალისა-მეთქი! ისიც გავიფიქრე, თვითონ თუთაშხია, ალბათ, ერთი მახინჯი ვინმეა-მეთქი, მაგრამ მსწრაფლ უარვყავი ეს აზრი — მამაკაცი ვერ გავიმეტე: არა, თავისი წილი წარმოსადგეგობა და ჯიში ჩემს ღიასახლისს, რა თქმა უნდა, ჰქონდა, მაგრამ ის, რაც მამაკაცებს ადაგზნებს?!.. რას იზამ, ყველანაირ საქონელს თავისი მუშტარი ჰყავს და ამაზე იმ ღამეს გათენებადვე ვიფიქრე.

ის ქალი აიეტის მოდგმისა იყო — მედუასი და იაზონის სიყვარული მიამბო.

ძალიან დავახლოვდით, მაგრამ ჩვენს ურთიერთობებში სიყალბეც იმთავითვე

იყო. ვითომ, რატომ არ უნდა ყოფილიყო! არავინა თქვას, ისეთი ორი ქალი მინახავს, ვისაც ერთმანეთი გულწრფელი სიყვარულით უყვარდათო. ორი ქალის ურთიერთობაში ყალბი ბევრად სჭარბობს ალალს, გულმართალსა და ეს ყოველთვის, ყველა შეთხვევაში ასეა. მე თვითონ ქალი ვარ, ვიცი.

მიტოსთან ვღიასახლებაში სანახავად რომ მივდიოდი, კუპეში ჩემთან ერთად ორი ქართველი ოფიცერი მოემგზავრებოდა. ვიწყე ერთ საღამოს, ძილდებილში ვიყავი. ოფიცრებს ეგონათ, რომ მეძინა. ისხდნენ, ხმადაბლა საუბრობდნენ. ერთმა მეორეს ასეთი რამ უამბო: თურმე, რომელიღაც მიყრუებული მაზრის პატარა დაბაში მივლინებით ყოფილა. ორი დღეღამით მარტოხელა, ორმოცი თუ მეტი წლის დედაკაცთან დამდგარა. დამდგარა და თავისი ღიასახლისი ალერსზე დაუყოლიებია. ლოგინში საუბრის დროს ოფიცრს ქათინაურად უთქვამს. — ახალგაზრდობაში კალამაზმანი გოგო იქნებოდი და მოარსიყვებიც კარგი გეყოლებოდაო. ქალს ამაყად მიუგია:

— Со мной Шанаев спал! — შანაევი იმ დაბაში პოლიციელად ყოფილიყო. ამის შემდეგ ვაკვირდებოდი და დავრწმუნდი, რომ ქალები „ამა ქვეყნისა ძლიერთ“ ან, უბრალოდ, სახელიან მამაკაცებს სიყვარულზე ადვილად დაჰყვებიან ხოლმე და მერე კი, თუ მოხერხებული შემთხვევა მიეცათ, იმ სიყვარულს ტრაპაზობენ კიდევ — რა თქმა უნდა, მისაღებ ფორმებში.

ეს თვისება ბეჩუნი პერტიასაც შევნიშნე — მწვანე კიტრივით მოჰქონდა თავი, რომ დათა თუთაშხიას საყვარელი იყო. ეს მე, ერთი მხრივ, მაღიზიანებდა და, მეორე მხრივ, დათა თუთაშხიას მიმართ ცნობისმოყვარეობას სულ უფრო და უფრო მიმახვილებდა და ამაში საკუთარი თავის წინაშე გატყდომა კი არ მიწოდდა. ერთხელ იყო, კინაღამ წამომცდა და ბეჩუნი პერტიას

ვახუა აფიკაჯიანი
დათა თუთაშხია

ვთხოვე, — როგორმე დამანახვე ეს შენ
კაცი-მეთქი, მაგრამ თავი შევიკავე —
ქალები ვიყავით! მერე ბეჩუნიმ თვი-
თონ მითხრა, გული მიგრძნობს, ამაღამ
დათა უნდა მოვიდეს, თუ გინდა დაგა-
ნახვებო. საკვირველია, მაგრამ ეს მო-
თავაზება არ მესიამოვნა. აღმოჩნდა,
რომ დათა თუთაშხიას ნახვის ლაზათი
უნებართვობაში იყო. ნებართვიანი არ
მინდოდა.

ადრე შემოდგომის თბილი ამინდები
იღვა. ფანჯრები ღია გვექონდა. ლოგინი
გაეშალე, ლამაზი ჩაეაქრე და, რატომ-
ღაც, ტანისამოსითვე წამოვწევი. არ მე-
ძინებოდა, ვფიქრობდი.

შუალამე კარგა ხნის გადასული იყო,
როცა აივნის იატაკმა ჩუმი ჭრიალი გა-
იღო. თვალი გადახილე — ჩემი ფანჯ-
რის წინ ლანდმა გაიარა, ბეჩუნის ფანჯ-
რებისკენ წავიდა. სმენად ვიქეცი. ერ-
თი წუთის შემდეგ ღამის სიჩუმეში
კანტიკუნტი ჩურჩული მომესმა.

დრო გადიოდა. კვლავინდებურად
ვიწევი და ვიცოდი, რომ არ უნდა აემ-
დგარიყავი, აივანზე არ უნდა გადავსუ-
ლიყავი და ბეჩუნის ფანჯარას არ უნდა
მივპარვოდი... დილის ოთხი საათი იქნე-
ბოდა, თვალები გადახილე, ავდექი და
აივანზე გადავედი. ბეჩუნის ფანჯარას
ფეხაკრებით მიეუახლოვდი, გავინახე.
ოთახში ბნელოდა. მივაყურე მეგრუ-
ლად საუბრობდნენ, ჩურჩულთ. ჯერ
სირცხვილის ოფლმა დამასხა — თავი
ორმავ ბოროტებაში ვამხილე: ერთი,
რომ მეგრულის ცოდნას ვმალავდი, სა-
ყვარლები, ვინ იცის რასა და როგორს
ლაპარაკობდნენ. მეორე ისა, რომ მდა-
ბალი, უსინდისო მიმყურადებელი ვიყა-
ვი. ფეხებმა უკანვე გამწიეს, მაგრამ
რაღაცა ძალამ დამტოვა. კედელს აკ-
რული ვიდექი, საკუთარი არასოდეს
განმიცედა, სხვისი სიყვარულის ხმებს
ვიუსმენდი და ჩემი მეგონა. მერე ფან-
ჯარას იქით ვველაფერი მიწყნარდა და
ისეთი გრძობა დამეუფლა, ვითომ
უღაბნოში გაგიყვამდე. მიწყურვალს
წყალი მომაწოდეს, მხოლოდ ერთი
ყლუბის შესმა დამაცადეს და ჯამი ხე-

ლიდან გამავდებინეს. კინალამ კვილი
ავტეხე. მუხლები მეკვეთებოდა, ხეზე
ძლივს ვიდექი. ბოღმა მახრჩობდა, ხის
გაბრაზებული არასოდეს ვყოფილვარ.
უცბად რაღაცამ გამიელვა და მე უკვე
ვხედავდი, როგორ მოვშორდი ფანჯა-
რას, გადავძვერი აივნიდან, ვირბინე, გა-
ვალვიქე მამასახლისი, ვაცნობე, რომ
თუთაშხია თავის საყვარელთან არის...
მოვიდა პოლიცია, სახლს შემოერტყა...

შეგინდან ისევე ჩურჩული მოსიმა:

— სანამდე მოხვიდები, ღმერთს ეე-
მულარები, მომიყვანე-მეთქი. რომ მოხ-
ვალ—მავეწყდება ღმერთი და შენს
მეტს ვერ ვხედავ ვერაფერს. უკვე რომ
ვთალერსეთ ერთმანეთს — ისევე მო-
დის ღმერთი და მეშინია, ძალიან მეშინ-
ია, დათუნია, ჩემო დათუნია...

სიმართლეს ვამბობ; მამასახლისთან
გაქცევა დანამდვილებით მინდოდა, აღარ
გავიქეცი — სინდისმა არ მომცა მხარი...
პოლიციამ ხომ სწორედ ეს დამავალა
და სწორედ ამიტომ აღარ გავიქეცი...

ოთახში კი საუბარმა ახალი მიმარ-
თულება მიიღო. თავში ნისლი მედგა,
მექანიკურად ვისმენდი, იქ ნალაპარა-
კვის შინაარსი შემდგომ ხანებში მომწ-
ვდა, როცა გუნებაში იმდამინდელ შთა-
ბეჭდილებებს, ვინ იცის, მერამდენედ
ვათვალიერებდი.

— არ ივარგებს, ბეჩუნი, ეგ, — ამ-
ბობდა დათა თუთაშხია.

— არ გინდა, რომ უყვარდე?

— მინდა. შეილს რომ უყვარდეს,
ყველას უნდა!.. მისთვის ისე აჯობებს
— არ იცოდეს და არც ვუყვარდე.

— სიმართლე არ უნდა იცოდეს?

— ასეთი სიმართლე რაში გამოადგე-
ბა მას! დაიჩაგრება, ნაბიჭვარი ვყო-
ფილვარ მეო...

— ნაბიჭვარი?.. გუდუნას სხვა მამა
არ ყოლია, შენ ხარ მისი მამა!

— წესი — წესია, ბეჩუნია. გაიზრ-
დება, მიხვდება, უკანონო რომ არის...
ცბიერი, ბოროტი კაცი დღავდება.

— ნუ იგონებ რაღაცას...

— ბეჩუნი, თუ შემეყვარა, რომ
მომკლან ან გამაციმბირონ — დაიტან-

ჯემა, გულში ბორბტეხას... ჩაიდებს. ბოროტი კაცი ცოდვაა. ბოროტი კაცი მკვდარ კაცზე უარესია; მკვდარი არავის არაფერს ერჩის, მაინც.

— მამა უნდა ბავშვს. ხომ უნდა უყვარდეს ვინმე!

— კი უნდა უყვარდეს. ასწავლე, ქვეყანა უყვარდეს, მთა უყვარდეს, მინდორი, ადამიანი, დედა უყვარდეს, მამის საფლავი... სიკეთე უყვარდეს! ეგ ნაფიქრი მაქვს მე, ბეჩუნი. ვის გვარსაც ატარებს, ხალხს ვისიც გონია, ის კაცი ჩათვალოს მამად, ასე აჯობებს.

ცოტა ხანს სიჩუმე იყო.

— ტირი, ბეჩუნია-მაიმუნო?... — ისევ მოისმა ჩურჩული. — კაი, ნუ-აიშლი ძარღვებს... არ გაუტყდენ ვინმეს, თვარა, მთავრობაში გაიგებენ. ხომ არ გაუმხელ არავის, ჩემო ბეჩუნია, მითხარი.

ბეჩუნია ამ ერთი-ორჯერ ამოისლუკუნა და წაიჩურჩულა:

— როგორც მეტყვი, ისე მოვიქცევი. იყოს, როგორც იყო აქამდე.

— დაიფიცე, ბეჩუნია!

— ჩემი გულუნას სიცოცხლეს ვფიცავ, ჩემი დათას სიცოცხლეს ვფიცავ!.. ისევ კოცნისა და მიფერების ფაჩუნმა მოაწია... მეტი აღარ შემეძლო, ჩემს ოთახს მივაშურე.

როგორც იყო დავმშვიდდი და მაშინვე იმ ფიქრმა შემიპყრო, თუ რამ მიმიყვანა იმ ფანჯარასთან — მარტო ცნობისმოყვარეობამ, თუ კიდევ სხვა რამემ?

— მეორე საღამოს ჩემი დიასახლისი შემოვიდა. ერთხანს ჩუმად იჯდა. მერე მკითხა, დათას მოსვლა თუ გაიგონე წუხელისო.

— გავიგონე, — ღმილით მივუგე.

— რატომ არ შემოხვედი ჩემთან?

— შეუხერხულა, ბეჩუნი... — ვაპირებდი ყველაფერი ისე მეტყვა. როგორც მოხდა, მაგრამ რაღაცამ დამაკავა და დავძინე: — ვერ მოვბედე...

ვიგრძენი, ჩვენს შორის თუკი რამ გულწრფელი იყო. ერთიანად აორთქლდა და გაქრა... რას ვიზამდი, სხვაფერიც თქმა უარესი იქნებოდა.

— ოთახში სიბნელე იყო. კიდევ მალე სულთსავი, მაინც ვერ დავინახავდი წინა სივრცე.

დათა თუთაშხია დღისით სადღა რანაირად უნდა დამნახებოდა?! საერთოდ, ვერასოდეს ვნახავდი!.. ამ აღმოჩენამ გამიელვა და გული შემიტოკდა. ბეჩუნი დამაქცერდა. ვიგრძენი, ფიქრობდა: ნუთუ იყავი და მალავ? რატომ მალავ?!

შემცივდა. ავდექი. შალი წამოვიხურე. ვერ გავთბი. ფანჯარა დავკეტე — მაინც ვერ გავთბი, მციოდა.

ქვერივ ცოტა ხანს კიდევ იჯდა. მერე ჩვეულებისამებრ თქვა:

— წავალ, ქალბატონო თიკო, მე, გვიანია უკვე, — და წავიდა.

ამ საღამოს შემდეგ ჩემი დიასახლისი სულ უფრო იშვიათად მსტუმრობდა. ექვიანობამ დაისადგურა.

ხანი გავიდა.

ზამთარი იწურებოდა. იქაურ ადგილებში თოვლი თითქმის არ იცის და იმ ზამთარს წვიმაც ცოტა იყო. ქარს ზღვიდან სინესტე მოჰქონდა, ძვლებში ატანდა. ბუხარი განუწყვეტლივ მენთო.

ერთ ღამეს მკაფიოდ გავიგონე დათა თუთაშხიას ფრთხილი ნაბიჯების ხმა. ბაღის მხრიდან მოვიდა, ბეჩუნის სარკმელს კენჭი ესროლა; კარის უჩუმარმა ჭრიალმა მოაწია და ისევ ყველაფერი მიჩუმდა.

ჩემი ბინის წინა ოთახში ჩაწეული ლამაზა ბუტუცავდა, კრეტსაბმელში მკრთალი შუქი ატანდა, საწოლ ოთახში იბნეოდა.

მალე ჩვენი სახლის ირგვლივ რაღაც ხმაური და ჩოჩქოლი ატყდა. ავდექი, ფანჯარაში გადავიხედე. აქა-იქ ლანდები შევეწინე. ბეჩუნის ნახევარში და დერეფანძიც ფეხის ხმასა და კარის ჭრიალს მოგკარი ყური. ექვი. აღარ იყო — სახლს ალყა ჰქონდა შემორტყმული და თუთაშხია, ალბათ, ოთახებში დაიპარებოდა, დასამალ ან გასაქცევად გიღილს ეძებდა...

ვახუა ავირევიძე

დკთბ-თბილისი

თავზარი დამეცა, საწოლში ჩაევმეხე.
— თუთაშხია! — მოისმა გარედან.
— ვიცით, მანდ რამ ხარ. სახრჩობელას
თუ ვინდა გადარჩე, გამოდი და ჩავგ-
ბარდი!

სწორედ ამ დროს გაიხრიალა კარზე
მიდგმულმა სკამმა: წინა ოთახიდან დე-
რეფანში გამავალ კარს რაზა არა ჰქო-
ნდა, სკამი მივადგამდი ხოლმე — ვინი-
ცობაა ვინმე შემოსულიყო — ხმაურს
გავედევძებინე... წამოვვარდი, კრეტ-
საბმელს მივებარე, წინა ოთახში გავიჭვ-
რიტე. ჩაწეული ლამის სინათლეზე
კაცი დავინახე; ჩოხა-ახალუხში იყო,
ფაყუ ეხურა. ისე თავით ფეხამდე ია-
რაღში ჩამჯდარი სხვა დროს არავინ მე-
ნახა.

შემოსულმა იქაურობას თვალი მოავ-
ლო, სკამი ისევ კარს მიადგა, ჩემი ოთა-
ხისკენ გამოსწია. ოდნავ მოღუნული,
მაგრამ მძლავრი ფეხები ჰქონდა. მსუ-
ბუქად-მოდიოდა, თითქოს იატაკს არც
ეხებოთ. კრეტსაბმელი გადასწია, თამა-
მად შემოვიდა. აქვე ვიდექი, პირისპირ
შემომეფეთა და დადგა. რა თქმა უნ-
და, ვიცოდი—დათა თუთაშხია იყო.

დარაიის კრეტსაბმელში მოყვითალო
შუქი ყოწავდა, თუთაშხიას ფიგურას
გარშემო ციმციმა ზოლად ევლებოდა.
თავს წამომდგომოდა, მისი სუნთქვა
საკინძეში ჩამიდიოდა, მკერდზე მცემ-
და. პირველი ფიქრი, რომელიც გარინ-
დების შემდეგ მოვიდა, ის იყო, რომ
მამაკაცი მკერდგადაღედილსა და ლამის
პერანგიანს დამყურებდა. აი, დასწყევ-
ლოს ღმერთმა, — ალყა შემორტყმული
აბრაგი კი არა — მამაკაცი! საკინძეზე
ვიტაცე ხელი... მამაკაცებს ასეთი ჟესტი
არანაკლებ აღედგებთ, ვიდრე თვით
შიშველი მკერდის დანახვით. — ერთმა
ქალმა მოთხრა რამდენიმე წლის შემ-
დეგ...

— ბეჩუნია-კახავ, გამოაგდე სახლი-
დან მაგ შენი კურო! — ესევე მოისმა გა-
რედან.

დათა თუთაშხია ოდნავ შეტოკდა და
კვლავ გაიჩინდა.

ავიჯანზე ბეჩუნის ფანჯარაში დაიჭრია-
ლა.

— ნიკანდრო ქილია, შე ქათმის ქურო-
დო, შენი! — გადმაცხა ჩემმა დამსმე-
ლისმა. — დათა თუთაშხიასი კი არა
და ბარდლუნია—შტერის საყვარლობა
ჯობია შენისთანა ღორის ცოლობას.
ამაზე თუ გიფიქრია, უბედურო, შენი
კითხე სახლში რომ ბატი გიზის, მას და
გეტყვის სიმართლეს!.. ვინ ოხერმა მო-
ვატყუა, ბეჩუნისას არის დათაო?! შე-
მოიყვანე მაგ შენი კახაყები და ჩაფრე-
ბი და ნახეთ თვითონ.

ფანჯარა ჩაიკეტა.

— Что она сказала? — ჰკითხა
იასულმა ნიკანდრო ქილიას და რაღაც
ბრძანებები გასცა.

კახაყები დაფაცურდნენ სახლის
გარშემო ცეცხლი ააგვიგზიხეს, ოთა-
ხებში შუქი შემოვიდა. დათა თუთაშ-
ხია გულხელდაკრეფილი იდგა, ხან შე-
დამცქეროდა, ხან ფანჯრისკენ იყურე-
ბოდა.

თავი მიბჯულოდა, გულს დაგადუგი
გაჰქონდა, წარამარა ქრუანტელი მივ-
ლიდა.

— ვინ ხარ და რა გინდა?! — ძალიან
ხმადაბლა, თითქმის ჩურჩულით შევე-
კითხე.

აბრაგს ხმა არ დაუძრავს. ცოტა და-
აუფვნა და ფანჯრისკენ წავიდა. რამდე-
ნიმე ნაბიჯი გადადგა, ცეცხლების შუ-
ქში გაიარა. ახლა მე მას უკვე გარკვე-
ვით ვხედავდი... ფეხადგმული კლდესა-
ვით მიიწევედა. ისევე შაშმა ამიტანა,
ერთიანად ავცახცახდი, მოვიკუნტე და
მივყევი.

ჩემს საწოლთან იდგა, ეზოში იყუ-
რებოდა. სულ ახლოს მივედი, გვერ-
დით დავუდექი, სახეში ავცქეროდი.
მშვიდი, ღრმა სუნთქვა, გაშლილი
მკერდი და შოლტივით გრძელი მკლა-
ვები ჰქონდა. მისი სხეული საოცარ
სითბოს ასხივებდა, ანდამატივით მიზი-
დავდა. კურკისოდენა ვაგზდი, გულის
კოვზში მოვუთავსდებოდი. ერთი ისე-
თი წამიც კი იყო, როცა დავაპირე
მკერდში ჩავკვროდი, მაგრამ მხოლოდ
ერთი წამი...

— ქალბატონო, მე თქვენ არ გიყუ-

რებთ... — მოთხრა აბრაგმა. ხმადაბლა, შეგცივლებათ, რამე წამოიხურეთ. ელა მეცა, — ღმერთო ჩემო, თურ-მე არც კი მიყურებდა!

ალარ მახსოვს, დავწექი თუ წავიქე-ცი. თვალებიდან ცრემლის ნაკადი წა-მომსკდა. არა ვტიროდი, არც მეტირე-ბოდა — ცრემლები მომდიოდა.

აბრაგმა ეზოს თვალი მოსწყვიტა, და-მაქტერდა. მგონი, რაღაცით იყო გან-ცვიფრებული. ბოლოს ვაიცი, გამო-ლაპარაკება დააპირა, მაგრამ აივნის თავში ფეხის ხმა მოისმა... თუთაშხიამ მყისვე ჩაიჩოქა, მაუხერი მოიპარჯა, მინებს მიაცივდა. სინათლემ უფრო მძლავრად შემოიხედა, ფანჯარა ბო-წყულისფრად ალაპლაპა — ჩირაღდ-ღნიანი კაზაკის ფაფახი გამოჩნდა და კვლავ გაუჩინარდა. მერე კარგა ხანს აღარაფერი ვაფარაუნებულა.

— ერთხელ, ზუგდიდის ვახაზე გვა-ხეთ, — სახეში შემომჩურჩულა მუხლ-ზე დაჩოქილმა აბრაგმა. — ულამაზესი ქალბატონი ბრძანდებით!

— სტყუი! — უნებურად მივახალე. აბრაგმა გაიღიმა:

— სიცრუე შიშმა იცის, ქალბატონო. მე არ ვცრუობ არასდროს. — კიდეც დამაკვირდა და დასძინა: — ნუ ტირი, ქალბატონო, არაფერი არ არის საშიში აქ.

იქ თუ საშიში არა იყო რა და!..

აივანი ხელახლა აჭრიალდა, უფრო განათდა.

— რას აპირებენ? — ვკითხე და ძი-ლიან გამიკვირდა, რომ სრულიად აღა-რაფრისა მეშინოდა.

— ჩირაღდნები მოიტანეს და ჩხრე-კას დაიწყებენ, ალბათ:

— მერე?

თუთაშხიამ მხრები აიჩეჩა, იყუჩა და ჩაწილაპარაკა:

— მართალი ყოფილხარ. თოლორა-ინა, შენ. ასე გამოდის, თითქოს!

მინდოდა მეკითხა, რას ამბობ-მეთქი და ამ დროს აივანზე, დერეფანში, ოთა-ხებში კაზაკები შემოცვივდნენ. კარე-ბების ბრახაბრუხი ატყდა... ჩემი ბინის

კარს ვილაც მოაწვა, კარზე მიდგმულმა სკამმა ისევ დაიხრიალა.

წამოვვარდი, ფეხშიშველი, ღამის ბე-რანგის ამარა ვავიქეცი, ღამას ავუწიე და კარს ვეტაკე.

ოდნავ შემოდებულ კარში კაზაკის მწითური სიფათი მოჩანდა, ვაფაციცე-ბულ თვალებს აბრიალებდა.

— Ты чего, мерзавец, подгляды-ваешь!... — დავიყვირე და კარს ხელი ვკარი.

კარი კაზაკს ცხვირპირში მოხვდა. ხმამალა შემიკურთხა, ვაფთრებით მოაწვა. მომერია, მაგრამ ვერც იმდენად შემოაღო, რომ იმხელა ნადირი საჭურ-ვლიანად შემოტეულიყო.

— Вон отсюда, свинья, насиль-ник... Помогите!.. — ვუვიროდი და კა-ზაკს ცხვირპირს ვუკაწრავედი.

— Пусты, говорю... Окаяная!.. — კაზაკი რის ვაივავლახით მიგერძებდა.

ისე დავკაწრე, დუნდულა ლოყებზე სისხლი დააჩნდა. დაიხია. ის იყო კარი მიუეჯახუნე, რომ ვილაცის ბოხი ხმა გაისმა:

— Что здесь, Пептук!

— Да, вроде-бы... Баба, Вашброд. Исцарапала, вот...

კარი იმწამსვე გამოვალე, გაჩირაღდ-ნებულ დერეფანში თავი ვავყავი.

— Я тебе, свиное отродие, не Ба-ба, а княжна! Господин есаул, я тре-бую защиты... Вы обязаны засту-питься, как офицер и мужчина!.. — შევძახე კაზაკის გვერდით მდგომ ია-საულს.

— Да, но... Ваше сиятельство, Вы должны впустить нас.

— Господин есаул, я в таком ви-де!.. Я буду жаловаться его Превос-ходительству Губернатору. Вы обязаны заступиться... Я беззащит-ная женщина!

— Да, но... — შემაწყვეტიხა ისა-ულმა. — В доме бандиты, Ваше сия-тельство!..

— Что?... Как Вы изволили ска-зать?! Ааай!.. — არ მახსოვს, ჩემი სი-

ზაზა ანიკიჯიბი
ღათა თოთაშხი

ცოცხლის მანძილზე ასეთი გაშმაგებით
კიდევ სადმე მეკვიდროს, — Банди-
ты!...—კედლებს ზანზარი გაჰქონდათ.

ერთი კიდევ შევიკვილე, მიხსენით-
მეთქი და ოთახებს დამთხვეულებით
მოვედე. დავბოდი, მაგიდების, ტახტე-
ბის ქვეშ ვიხედებოდი. იასაული და კა-
ზაკები ზღურბლს იქით იდგნენ, პირ-
ლია შემომტყეპროდნენ.

საწოლ ოთახშიც ვავვარდი, იქაურო-
ბაც წვილ-კვილით მოვირბინე. დათა
თუთაშხიას ორთავ ხელებში შემართუ-
ლი მალურები ეჭირა, თვალს დამაყო-
ლებდა და ისე ეტყობოდა, რომ უნდო-
და ჩემს დასამშვიდებლად რაიმე ეღონა
და არ კი იცოდა — რა. ცოტა ხანს
ვიტრიალე, ისევ წინა ოთახში გამოვ-
ვარდი და ზღურბლზე გადმოსულ იასა-
ულს ავეკარი.

— Помогите! Они могут влезть
через окно! — ერთი ალიაქოთი
მქონდა.

— Успокойтесь, Ваше сиятельство,
там стража!

მე მაინც ჩემსას გავიძახოდი და ში-
შისგან ერთიანად აკანკალებული იასა-
ულს მკლავებში ვებლაუტებოდი,
ზურგს უკან ვეფარებოდი... შილოფად
ვეყავი, იასაულის თვალისთვის ჩემი ქა-
ლური ავლადიდება მთლად დასანახზე
მქონდა. შევამჩნიე, ჩემი „მხსნელი“
შიგადაშიგ რალაც-რალაცებს მითვალ-
იერებდა და ამ აღმოჩენამ, თქვენ წარ-
მოიდგინეთ, ძალა შემმატა, უფრო გაშ-
მაგებით ავეკვილდი. იასაულს ყურის
აპკები, ალბათ, დახეოქვანე ჰქონდა,
ველარ აიტანა და დამგრავინა:

— Ваше сиятельство, приведите
себя в порядок! Вы в полной без-
опасности!.. — წასასვლელად გაიწია.

— Вы не смеете покинуть безза-
щитную женщину благородного про-
исхождения! Я не отпущу Вас... Вы
обязаны остаться! — მკერდით მივე-
კარი, მივეტმასნე, მგონი, „შუაკაუ-
რიც“ გამოვდე.

— Да, но.. Ваше сиятельство, —
ავვირდა იასაულიც, შეშინებული თვა-
ლები უმწეოდ ააცეცა და მუდარით
მითხრა. — Мне необходимо идти...

Я оставлю Вам человека... Безро-
днов!..

— Слушаю, Вашброд!

— Останься у дверей охранять их
Сиятельство княжну! — უბრძანა ია-
საულმა კაზაკს, ძალით მომიშორა, კა-
რი გაიჯახუნა და დაიკვირა: — Обыскать
чердак!.. К чертовой Матери!.. —
ეს «К чертовой матери!» გაცილებით
დაბლა თქვა და — სხვენის ჩხრეკა
არაფერ შუაში იყო — პირადად მე
მეხებოდა.

სახლი ისევ ჩექმების ბრავაბრუგმა
მოიცვა.

წყნარ, მშვიდ მდგომარეობაზე გადა-
სვლა ძალიან გამიჭირდა. კვილი კბი-
ლით მეჭირა, სხეული კვლავ ბობოქ-
რობას მთხოვდა.

როგორც იყო მოვერიე თავს, კარს
სკამი მივადგი, საწოლი ოთახის კრეტ-
საბმელი გადავწვიე.

თუთაშხიამ დამინახა, სიცილი ვერ
შეიმაგრა, სახე ფაყუში ჩაყო.

საწოლთან მივედი. გული სიხარუ-
ლითა და უსახლვრო სიამაყით მქონდა
სავსე — ჩემი გადარჩენილი დათა თუ-
თაშხია ჩემთან — გახდილთან, მწყურ-
ვალთან, პირისპირ და მარტო იყო.

— ვი მე, როგორი შიში ვქამე! —
რატომღაც წავილულულედი.

— ქალბატონო, რომ შეგშინებო-
დათ, ასე მოხერხებულად ვერ მოიქცე-
ოდით. შიშმა დაბნევა იცის... — აბრა-
გმა ჩაიციხა და დასძინა: — მამაკაცი
ვერ გააკეთებს მაგას. მაგას ქალი უნდა,
თქვენისთანა ქალი! — ესა თქვა, მკლა-
ვებში მომიტყია, სახეში ჩამეტყეპდა.

ზურგზე ორი მალურები მედო. მეტი
ინტიმი — წარმოუდგენელია.

— რა ხდება! — სახეში შევჩურჩულე.
დათა თუთაშხიამ თავი დახარა, ტუ-
ჩებში ჩამეკრო...

არ ვიცი, როდის დამრია ხელი უარ-
ყოფის. იმ გრძნობამ, რომელიც ამგვარ
სიტუაციაში ყველა ქალს ეწვევა ხოლ-
მე: მამაკაცს ტუჩებს მოაცილებს და
პროტესტს აცხადებს — გაუმართლებ-
ლად გვიან!

— რა იყო ეს! — ძალიან მკაცრად

ვთქვი, თითქოს, მის კოცნაზე კოცნით-
ვე არ მეპასუხოს.

თუთაშხიამ ჩაიციხა, გამშორდა, სკამ-
ზე ჩამოჯდა.

— სიხარული იყო ეს, ქალბატონო!
ხომ გავხარებიათ, ძალიან კარგი, ცქვი-
ტი და ეშმაკუნა რომ ვინახავთ ვინმე?..

— სხვა არაფერი? — გული მომივი-
და, გაწიწმატებით ვთქვი, მაგრამ ამაში
სხვა ინტონაციაც იყო.

— როგორ არა. მაღლობის იყო, კი-
დეც.

ლოგინისკენ გავიქეცი, თუთაშხიას
თვალი ვესროლე, ჩაეწევი და ავტირდი.
აბრაგი მომიახლოვდა, საწოლთან ჩაი-
ჩოქა, ფერება დამიწყო — თავზე ხელს
მისვამდა. მოვლბი, ყველაფერი გაპა-
ტიე: ისიც, რომ თურმე, არც კი მიყუ-
რებდა მკერდგადაღედილსა და მღელეა-
რეს; ისიც, რომ მხოლოდღა სიხარუ-
ლის გამო ჩამოფრინდა ტუჩებში; ისიც,
რომ ვნებით ატაცებულსა და გავიქე-
ბული ალერსის მომლოდინეს მითხრა —
მაღლობის სახით გეხვეოდი და გკოც-
ნიდიო...

თავზე ხელს მისვამდა და პირზე მო-
მადგა — „მოდი ჩემთან“. რომ მეთქვა
— ჩემი პირველი მამაკაცი იქნებოდა
საქვეყნოდ ცნობილი აბრაგი — დათა
თუთაშხია!.. ეს სიტყვა თავგამოდე-
ბით, ვულკანივით მოიწვედა, მაგრამ
შიგნიდან რაღაც უფრო უაზროსა და
უხეშად ძლიერს ეპირა, არ უშვებდა,
პალოზე მიბმულივით ჰყავდა.

ვერა ვთქვი.

განშეორდა ის, რაც ერთხელ მანამდე
უკვე იყო და შემდგომშიც რამდენ-
ჯერ — ვინ იცის!.. სახალისზე ჩემი
მგზავრობის მიზანი იმ გადაწყვეტილე-
ბასაც შეიცავდა, რომ მიტო ზურაბიშ-
ვილი უნდა გამხდარიყო ჩემი პირველი
მამაკაცი — მიუხედავად იმისა, ვიქნე-
ბოდნ თუ არა მომავალში მისი მეუღ-
ლე. მე მასთან ორი კვირა გავატარე:
დღე ცისმარე ვეუბნებოდი ჩემს
თავს — „ამაღამე“, ხვამიადის აღსრუ-
ლებამდე ყოველ დამე გოჯი მრჩებოდა
და ისე წამოვედი, რომ იმ გოჯს ვერ

გადავბიჯე. როგორღა აღბ მანსოვს,
მიზეზი რა იყო. მგონი, უეცრად და
დგილოდ გამახსენდა ის ორიოდე სიტყ-
ვა თანამგზავრი ოფიცრის მონაყოლი-
დან — „Со мной Шанаев спал!“. მუ-
დამ რაიმე ასეთი გამოიძენებოდა ხო-
ლმე. დათა თუთაშხიას შემთხვევაში რა
იყო — ვერ გეტყვით, მაგრამ ერთხელ,
ასე ოცდათხუთმეტი წლისა ვიქნებო-
დი, გადამწყვეტ წამში მომიჩვენა, რომ
გულმუცელში გველი მიხობდება და იქ
სამუდამოდ უნდა დაიხუდოს... პუნქტი
მქონდა. პუნქტი, თორემ, ჩემი ღღემდე
ქალწულობა მირაყია. ნამდვილი მეძაგი
ვიყავი. ვისთან არ ვწოლილვარ!.. საბ-
რალო მამაკაცები; ჰგონიათ, რომ ღა-
ლატი ხორციელი რამ არის. კიდევ კარ-
გი შინაბერად დავრჩი: კუპრის აბაზა-
ნებს რა ამაცდენდა!

... აჰა, ისევ საითღაც წავედი.

ჰო, ვერაფერი ვთქვი-მეთქი, იმას
ვამბობდი...

მე ჩემთვის ვფიქრობდი: დათა თუ-
თაშხია — თავისთვის. მე იმაზე ვფიქ-
რობდი, რომ მამაკაცებს ასეთ სიტუა-
ციაში დაძახება არ სჭირდებათ —
თვითონ მოდიან და მერე როგორ! —
მოგერიება ძნელდება ხოლმე... ვერ გა-
მეგო, რატომ არ მოდიოდა?! დათა თუ-
თაშხია კი, ალბათ, იმაზე ფიქრობდა —
ამ ახირებულ არსებას საიდან გადავე-
ყარე, სიკვდილი გუდასავით მკილია და
რა დროის ვნება და ალერსიაო!..

— ნიკანდრო-ბატონო, ნიკანდრო-
ბატონო!.. — ყვირილი მოისმა გარე-
დან. — საქმე მაქვს თქვენთან, აუცი-
ლებელი საქმე... საჩქარო საქმე მაქვს
თქვენთან ნიკანდრო-ბატონო!.. პუსტი,
ბატონო, პუსტი! ხაროში ია, ხაროში!..
ზეზე წამოვეცივდიო.

— ყურუა არის ეგ! — თქვა დათა
თუთაშხიამ. — რაა ეს, ნეტავი!

ორმა კაზაკმა ზურგს უკან ხელებგა-
დაგრეხილი ყურუა ყორეს იქით ჩასა-
ფრებულ პოლიცემისტერთან პანდუ-

ვახუა ამირაჯიბი

დათა თუთაშხია

რსცემით მიიყვანა. რაღაც ლაპარაკი იყო, ჩვენ არ გვესმოდა. მერე კახაკებმა დაიხიეს. პოლიცემისტერი ადგა, იასაულიც იქ მივიდა. ორთავემ ერთად დაუწყეს რაღაცების გამოკითხვა ყურუას. კიდევ ილაპარაკეს და იასაულმა დაიძახა:

— Снимаайсь! — მერე სხვა საჭირო ბრძანებებიც ვასცა და ჩვენი სახლისკენ გამოსწია.

ჩირალდანი ეჭირა, კიბე ამოიარა. დათა თუთაშხიამ ისკუბა, ფანჯრის გასწვრივ კედელს აეგრო. მინებს იქიდან ჩირალდანმა დაიბრიალა, იასაულის სახე გამოჩნდა.

— Ваше Снятельство, сведения оказались ложными. Спи́те спо́койно, мы уходим... — იასაულს სიტყვა გაუწყდა, უბეები აახამხამა ვიფიქრე, ხომ არ გაწყრა ღმერთი და ამ ბოლო წამებში რაიმე ეჭვი ხომ არ ეტაკამეთქი... — Ваше снйательство, осмелюсь... С Вашего благословления... Позвольте, так сказать, навестить Вас?..

ორაზროვნად გავუღიმე. მახსოვს, მთელი ჩემი ტრანტი ჩავაქსოვე, რომ დიმილი, რაც შეიძლებოდა მომჯადობელი ყოფილიყო. იასაული, ვფიქრობ, ძალიან დაიმედებული, სასოებით აღსავსე გატრიალდა.

— გამოდი, ბეჩუნია-შტერო და ჩააქრე ცეცხლი, თვარა დაგეწვება სახლი. არ გვცალია ჩვენ! — დაიძახა ნიკანდრო ქილიამ.

ფაცხაფუცხით აიყარნენ და თვალს მიეფარნენ.

ფლოქვების თქარათქური უკვე მიწყვეტაზე იყო, ჩემთვის ვთქვი:

— ნეტავი, რა ბუზანკალი შეუჯღაღათ, პა?

— ხაფანგი დამიგეს, ვითომ?... თუთაშხიას ეგონოს, წისული ვარბ და კაცები დატოვეს ჩასაფრებული?... არა, ყურუას რა უნდოდა აქ!

— რა მოხელე-ნაჩაღნიკია ეგ ყურუა?

— არაფერი. მეჯოგეა... თვითონ არ უდგას ჯოგს, სხვები ყავს. აგერ რომ

სოფელია — ტყვირი, მანდაურია ეგ...
— უფროსებს რაღაც აცნობდა და უჯერეს და ალყა მოხსნეს.

— დაუჯერეს. სხვას არ დაუჯერებენ, თავის კაცს დაუჯერებენ მხოლოდ. მართალი ყოფილა კოშა თოლორაია, მაგათი კაცი ჩანს ყურუა!..

— კოშა თოლორაია ვინ არის?

— ამხანაგია ჩემი; ტატაშ ჩანბას ყურუამ ჩაუყარა საწამლავი და მკვდარი ჩაბარა ქილიასო, ამბობს. ძნელი დასაჯერებელი იყო ეს. ერთი, რომ ჩანბების დისწულია ყურუა და მეორე ის, რომ ყურუა და მისი უფროსი ვაჟი კოლორის მიქონდა შარშან — ტატაშმა გამოიყვანა და გადაარჩინა ორივე. აბრაგი იყო ტატაშ ჩანბა — მაგარი კაცი ძალიან.

— ღმერთო, ღმერთო... რა არის ეს...

— რომ გააბრაგდა ტატაში, ოთხასი სული საქონელი მიაბარა ყურუას. თუ ისეა, კოშა თოლორაია რომ ამბობს — დახარბდა საცოდავი ყურუა ქონებას, ალბათ...

— საცოდავი?

— ბოროტი კაცი ყველა საცოდავია, ქალბატონო თინათინ!

— მაგ „საცოდავს“ თავისი ნათესავი და მხსნელი საჭიროს გაუსტუმრებია და, თუ გული სწორად მიგრძნობს, ეს ალყა და ალიაქოტიც მაგისი ნახელავია.

— მაგის ნახელავია, მართალია ეგ, მაგრამ რატომ მოვიდა აქ და მისი ნათქვამით როგორ მოიხსნებოდა ალყა!..

ეზოში ჩემი დიასახლისი გამოჩნდა, კიდან წყალი ამოიღო, ცეცხლის ჩაქრობას შეუდგა. მეზობლებოდა ქვრივი და გამარჯვებული ადამიანის გუნებაზე ვიყავი.

რატომ მეგონა ჩემი თავი გამარჯვებული?!

ტუნებზე მივენდე დათა თუთაშხიას, მკერდში ჩავეხუტე. რამდენ ჩანს ვკოცნი და ვეაღერსე. ის თბილი, ნაზი სიტკბო ეხლაც მახსოვს. ორმრცდარეა წლის წინანდელი ამბავი დღეს არა მგონია საჩოთირო იყოს. არ მინდა ისე მოვკვდე, ჩემი სიცოცხლის უტკბესი

განცდა სამარგში ჩავიყოლო, თორემ, რაც მე ვილაპარაკე, ამა, რა სათქმელი იყო...

დათა თუთაშხიამ ფანჯრისკენ მიმატრიალა. მინებს იქით ქვრივის სახე დავიხანხე. მისი თვალები სიბნელეში აღისფრად ვარვარებდნენ. გულს შემომეყვარა, მუხლმა მიმტყუნა, დათა რომ არა— წაიქცეოდი. მივბრუნდი, ისევ მივეხუტე — იმ წითლად მოედვარე თვალების ცქერა აღარ შემეძლო...

— წავიდა! — თქვა დათამ ცოტა ხნის შემდეგ.

იმდენი ხორციელი აღტაცება ჩემთვის აღარავის მოუნიჭებია.

კარგა ხანს ვიყავი მის მკერდზე მირინდებული. ვიცოდი, ჩემთან არ იყო. მკლავებიდან წაუვედი, ლოგინზე დავეშვი. არაფერი მწყენია, კაცები ხშირად არიან სხვაგან.

დათა იდგა, ფექრობდა და ბოლოს ჩაილაპარაკა:

— უნდა დაისაჯოს ყურთა და ხალხმა უნდა იცოდეს, რატომაც დაისაჯა. ასეა ეს.

აბრაგი მიტრიალდა, სწრაფი ნაბიჯით წავიდა. ზღურბლზე შეჩერდა, მომიბრუნდა და მითხრა:

— პატიებას ვთხოვთ, ქალბატონო; ვერ მოვიქეცი, მგონია, თქვენს და ჩემს ღირსებას რომ შეშვენივს, ისე. ძნელი ვითარება შეიქმნა, რთული და უფრო მეტად ამ სახლში თქვენმა ბინადრობამ და კახაკებთან თქვენმა ბრძოლამ ამირია თავგზა... მაინც მოგზავნილი მგონიხართ... რა ვიცი. ნუ იწყენთ ამას.

— ყველაფერი კარგი იყო და ეგექს! მშვიდობით.

— მშვიდობა მოგცეთ ღმერთმა.

შემდგომში იმლამინდელი ამბების მოგონება-თვალთვრებამ მაფიქრებინა, რომ დათა თუთაშხია თავს განზრახ იმდაბიორებდა. რაში სჭირდებოდა!?

ათიოდ წუთის შემდეგ ჩემი. სტვენა მოისმა. მალე შორს, რიყზე ფლოქვი აკაკანდა. პირველად მაშინ გამიედვა: ქართველ მამაკაცებს ცხენი იმიტომ

უყვართ, რომ ზედ ქალის შემოვლებმა შეიძლება.

იმ ღამეს ყურთას სახლკარი ერთიანად გადაიბუჯა. მერე ხალხში ასეთი ხმა დადიოდა: დათა თუთაშხიას ყურთასთვის დაუვალებია, — ბეჩუნისთან მიდი და უთხარი, მე და შენ რომ ვიცით, იმის წასაღებად ამა და ამ ღამეს მოვალ, შენ იყავიო. ეს რომ კოშა თოლორაიას გაუგია, გამწყარა, ამხანაგისთვის საყვედური უთქვამს, — ეგ ყურთა გამცემია, ნათესავი არ დაინდო, შენ როგორღა ენდეო. თუთაშხია თავისაზე დამდგარა, — შეუძლებელიაო და დანიშნულ დროს ბეჩუნისთან მოვიდა. თოლორაია და კიდევ ერთი აბრაგი — ხუხია, შორიახლოს ჩასაფრებულან. აბრაგებმა რომ ის მოაწყებები და ალყა ნახეს, გაქანდნენ, ტყვირში ყურთას მიუვარდნენ, მის ვაჭებს ხელები გაუთოვეს და ხუხიამ ორივე მძევლად წაიყვანა საითღაც. კოშა თოლორაიამ ყურთას უთხრა, — თუ არ გინდა, რომ შეილები დაგიხოცოთ, ეხლავე წადი, ნიკანდრო ქილიას აცნობე, რომ დათა თუთაშხია ბეჩუნისთან კი არა შენთან—ყურთასთან იყო და ამ წუთში ჩილუ ველბაიასთან სძინავს-თქო.

ყურთა უსიტყვოდ დათანხმდა. მერე რაც იყო, ზვედთ ვთქვი, ქილია ჩილუ ველბაიას დაეცა. ხუხიამ ალყის მოხსნა დაიწახა, ყურთას ხელუბგათოვილ ვაჭებს დაეხსნა, ტყვირში ჩაიბრინა და გამცემის სახლკარს ცეცხლი მისცა. კარვად რომ აგიზგიზნა, აბრაგებმა ბეჩუნისკენ გამოსწიეს. ის სტვენა იმათი იყო.

იმასაც ამბობდნენ, დათა თუთაშხიას მოგონილი ხრიკიაო, მაგრამ მართალი არ უნდა იყოს — თუთაშხიამ ყურთას მოსკლის მიზეზი ნამდვილად არ იცოდა.

მეორე დღეს სხვა ბინა შევფუღე, გადავედი.

მეურმეს ბარგი ვაპქონდა, დათას გუდუნა შორიახლოს იდგა და ლამობდა გავეკო, თუ რატომ მივდიოდი მათი სახლიდან.

სამქიორის სიტყვა კარლო კალაქას

მისი შვილის გულდა კალაქის
გარდაცვალების გამო.

ქარმა ბედითი ამბის საპალნით დასძრა ღრუბლები
შწუხრის გედებად;
ოსტატის სულის თავშესაფარი არის მისივე
შემოქმედება.
ქალაქს გოდება რომ არ ეგების, იცოდა მამამ
და მეგზურივით
მარუხისაკენ ქარს გააყოლა რქამოტეხილი
ხარის ზმული...
დედამ — საჭრეთლის დიდმა ოსტატმა, აქამდე მშვიდი
რომ ჰქონდა ძილი,
პირველად იგრძნო მიწის ჭრილობა და სიახლოვე
გაზრდილი შვილის...
მარუხის გმირებს ახსოვთ კაი ყმა და შესტირიან
ერთმანეთს თითქოს:
ნუთუ, გაცვივდა იგი მარჯვენა, ქვას რომ გადასცა
ამდენი სიბოძო?!...
გაწბილებულნი დგანან გმირები და მისცემიან
სასოწარკვეთას:
ნუთუ მის მზერას ვერ ვეღირსებით, მარადისობას
ვინც შეგვახედა?!...
კარლო, ძვირფასო, დაღესტნის მთებსაც ავი ხმის ექო
გადასწვდა როცა,
იქ შენს ძმადნაფიცს, ხუნძახელ მგოსანს, ცერისოდენა
კურცხალი მოწყდა.
ჭირსაც ხომ ჯიქურ დახვედრა უნდა, გმართებს, დაძლიო
ვგ სილადარეც;
ჰგავს შენი სახლი არწივის ბუდეს, შენ-ფრთამოტეხილ
არწივს გადარებ.
მაგრამ არწივი რა არწივია, თუნდაც დაჭრილმა
ფრთა არ გაშალოს
კიდევაც ვნახავ შენს შემართებას, კაცო მაშვრალო
და ცრემლგამშვრალო.

აშარიულიდან თარგმან
ოთარ შალვაშვიდიძე



ო ლ ი ნ ღ...

მიწა დამიბე,
შენი თბილი ზეცა დამხურე,
შენთვის მამღერე,
მაგალობე
და მამსახურე...
ეკლიან გზებზე ფეხშიშველა შენს წინ მატარე,
თუ არ აშენდეს,
იმ ციხეშიც მე ჩამატანე,
შენი ცრემლი
და სატკივარი გამინაწილე,
პაატასავით თუ დაგჭირდეს,
კიდევ გამწირე...
პოი, მამულო, ოღონდ
შენი ზეცა დამხურე,
შენთვის მამღერე,
მაგალობე
და მამსახურე.

მ გ ზ ა ვ რ ი

გაბრიელ ჯაბუშანურს

მზის გადასვლამდე მიჰქონდა ტვირთი. —
მამულზე ფიქრი,
სინდისი...
მრწამსი...
მზის გადასვლამდე მიჰქონდა ტვირთი
და შეუცნობი ხმაურით სავსე —
ყვარდა სივრცე —
გზებზე კი ბინდი
და უხილავი ქარი კიოდა,
მას კი მიჰქონდა ლამაზი ტვირთი
და ჯერ უთქმელი სევდა სტკიოდა.
და მიდიოდა...
სოფელი დიდი
განვლო სიმღერით —
და მწუხრით სავსე
მზის გადასვლისას მოიხსნა ტვირთი —
„და... სასაფლაოს მუნჯ ლოდებზე ჩამოისვენა“...

ირემი

ირემს გეძახი,
გეძებ,

როცა არაგვის
ჭალებს

ჩავევლი.

და კვლავ შრიალებს მოწმამოს მთებზე
ზეცა —

ძალიან

ლურჯი ყვავილი...

და მე ვივინებ

შორეულ ამბავს:

იმ განშორების პირველ მიზეზებს

და ირგვლივ

ნამით ასხმულ ყელსაბამს

აელვარებენ

ფოთლები მზეზე.

მაშინ კი თოვდა,

თოვდა დათვისში!

ჩვენ ვბრუნდებოდით

თეთრი ცხენებით,

შენს ხელებს ჰქონდა

სითეთრე ნისლის.

და ნისლს — სითეთრე შენი ხელების.

— ახლა სადა ხარ?

გეძახი,

გეძებ,

უკან არაგვი

მომიღვეს ბლავილით

და კვლავ შრიალებს მოწმამოს მთებზე

ზეცა —

ძალიან

ლურჯი ყვავილი.

¹ დათვისი — სოფელია ხევსურეთში.



საცხლის მყარგავლი

ეძღვნება რუსთაველ მეფოლადეს
ლადო მებრმეველს.

შენ არ გიზიდავს სიშორე მიწის,
არ იზიარებ ზეციურ ნაწილს,
ჩვენს შორის დგახარ,
გიყვარს და იღვწი,
როგორც შეშვენის ცხოვრებას კაცის
ზოგჯერ მღიმიარი
ზოგჯერ მღუმარი,
მხვდები ბაზარში,
თეატრში,
გზაში,
ჩვეულებრივი გაქვს საზრუნავი,
ოჯახი...

ცოლი...

მოსუცი...

ბავშვი...

მაგრამ დრო დგება წარსულის ჯილდოდ,
წუთი შემდგრედი და მომწუსხველი,
გააფთრებული, ფოლადი გინდობს
და ქედზე გადავს ერის უდელი,
ოდეს მოსკდება რკინა თხიერი,
ძლიერ მორჩილი და ახლობელი,
შენ კაცთაგანი და მიწიერი,
ჩანხარ, ვით ღმერთი ცეცხლისმპყრობელი.

ს ზ უ მ ა რ ი

ვერძნობ კარებს უკან ვიღაცა დადის,
ყრის დერფანში ფიქრის ნამცეცებს
შუალამეა,
ვიყვირო მინდა —
ვინ ხარ, რას ეძებ?!
ვინ ხარ, რას ეძებ?!
მაგრამ სანამდე — გამოშშრალ გორგალს —
ვეჭაჯგურები ყელიდან ძახილს
ის უკან მიდის, გამლოლი თმებით
და იმედისგან დაცლილი სახით
ის უკან მიდის,
უცნობ ბილიკით,
ჩემი ხილული სამყაროს გარეთ
და ზღვრილი შიშით შევცქერი ზიზღით
ტყუილებრალოდ ჩაკეტილ კარებს.

რეზონანსი

შალიკო ხვინგიას თავბალსავალი

(თანამედროვე კალაპური ფოლკლორის მიხედვით)

გადაუღებლად თოვდა, ბარდნიდა. კარგა ხანი იყო ასე ხვედრიელად არ ჩამოეთოვა ამ მხარეში. საღამოვდებოდა. ბინდბუნდში იძირებოდა წყალწითელას ხეობა, მოწამეთისა და გოდოგნის კირქვიანი ფერდობები; გორებზე შეფენილი სახლები, თოვლით მოარშიებული ღობე-მესერი; შესუდრულო ხე და ბუჩქი. მსხვილ-მსხვილი ფანტელეები აღნებოდა რკინიგზის აპრიალბებულ მკრთალად ავერცხილ ლიანდაგებს. შეციბებული, უაღრესად გაოცებული ყვავები ყრანტალებდნენ დრო და დრო ტელეგრაფის მავთულებზე. თოვდა. ცა თეთრად ჩამოდიოდა.

— ამნაირ თოვსა და ბუქში გადავლახე ალპები!.. — ჩაილაპარაკა შალიკო ხვინგიამ და თუნუქის ღუმელში რკინიგზის, ხავსმოდებული, დაკორძილი შეშის ნაპობი შეტენა.

— უწინ ბავშვობაში ჩამოშვავდებოდა ამნაირად თოვლი, მაინც რა ხანი გავიდა მას მერე, შალიკო ბიძია! — ამოიხარა ცეცხლს შეფიცებულმა, უღვაშთან, თმიანად გაჭაღარავებულმა ტანმორჩილმა კაცმა.

— აბა! — თქვა შალიკომ.

— ორთავენი გაჩუმდნენ.

— სადაური ბიძია ვარ, ბიჭო, შეშენი? — იკითხა ცოტა ხნის შემდეგ დაუკვებულმა ხვინგიამ.

— ჩემზე ადრე არ გაგიწვიეს ომში? — თქვა ვარლამმა, — შალიკო ხვინგიადის მკვიდრმა მეზობელმა და განუყრელმა ძმაცაა.

— მერე მაგას რა ჰქვია აქვს?

— კი აქვს, რატომ არა აქვს!

— ისე, ომში მართლა ადრე წამიყვანეს... — შეფიქრიანდა შალიკო. — აბა მე სახლში ვინ დამაყენებდა, სადღაც ტყეში ვიდექი უსაქმურად; ჩემი სარგო ტანსაცმელი ვერ იშოვნეს და სანამ საგანგებოდ შემმოსავდნენ, გერმანელებს თავს გაუვიდათ, მერე იცოცხლე; იმათ ღლე ვაყარე!

— შეგიკერეს ტანსაცმელი?

— აბა ბიჭო, სტანდარტები გამიძლებდა მე?.. ექვსი თვის ვიყავი, არტახებს რომ ვგლიჯავდი აკვანში... შენ ქეგემასოვრება მაგ ამბავი.

— შეუძლებელია, — თქვა ვარლამმა. — რკინიგზელის მოძველებული კიტელის ჯიბე მოიქექა და სიგარეტი ამოიღო. — შენ რომ არტახებს გლიჯავდი; ორი წლის შემდეგ დავიბადე მე, თუ მართალი ვინდა!

— დაიბადე თუ არა დიდი ყარამანი მოევლინე ამ ქვეყანას... მოიცა ჭიშკარი გარახუნდა, არიქა, სტუმარი უნდა იყოს!

— უცხო არ მოვიდოდა ამ ავ ტაროს.

ში... — თქვა ვარლამმა, ღუმლის კარი გამოაღო და აკვამლებული მუგუზლით მოუკიდა სიგარეტს.

შალიკო გარეთ გავიდა. პალატის კარი დატოვა ღრეკოდ.

თეთრად შეპნტილი ორი კაცი მოხრაშუნებდა ეზოში. თოვლში ეფლობოდნენ, გაუქვალავ გზაზე ბორძიკობდნენ და ისე მოიწვევდნენ წინ.

— რომლები ხართ?! — იძახდა შალიკო.

— ჩვენ ვართ, ჩვენ, შალიკო ბიძია! — ხაოდა შორიანხო ვილაც.

— ავთანდილი ხარ?

ვარლამს ესმოდა, როგორ ბაკუნებდნენ დათოვლილი სტუმრები საჩხეხში.

— მობრძანდით, მობრძანდით!.. — ეპატივებოდათ გახარებული მასპინძელი.

სტუმრები პალატში შემოვიდნენ.

— კაი გამარჯობა! — ჩახლეჩილი ხმით თქვა ახალგაზრდა კაცმა ავთანდილმა, ვარლამს ხელი ჩამოართვა და შინაურულად მოათვალეირა იქაურობა.

— აქა მშვიდობა! — თქვა მეორემ, პალატო და ქუდი მასპინძელს მიაწოდა, ვარლამს მიესალმა მორიდებით, ზიბიდან სავარცხელი ამოიღო და რამდენჯერმე გადაისვა შეთხლებულ თმაზე.

— ხომ ხართ მომკობინებული?! — ხმამაღლა იკითხა ავთანდილმა.

— ვართ კი! — გაიღიმა ვარლამმა.

შალიკომ პალატები და ქუდები გაიტანა შემოსასვლელში.

— მარტოა? — ხმას დაუწია ავთანდილმა.

— მარტოა კი... — უთხრა ვარლამმა.

— როდის ჩამოდიან?

— არ ვიცი, საახალწლოდ აპირებდნენ თითქოს ჩამოსვლას, მაგრამ ვერ მოუხერხებია... — დინჯად, უცხო სტუმრის გასავგონად დაიწყო ვარლამმა. — შალიკოს მეუღლეზეა ლაპარაკი, ბატონო. შვილებთანაა წასული თბილისში. ხან ერთ ბიჭს ეხმარება, ხან — მეორეს. იმათაც რა ქნან: ორთავენი მუშაობენ. ერთის მეუღლე, ჩემო ბატონო, ხარისხს

იცავს... ხელის შეწყობა უნდათ, შვილიშვილებს მიხედვა ჰქონდეთ.

— რასაკვირველია... — უაზროდ დეთანხმა თმაშეთხლებული კაცი.

— შენ ამას ხომ იცნობ, ვარლამ? — იკითხა შალიკომ, რომელიც ის-ის იყო შემობრუნდა უკან.

— ვიცნობ კი, — სტუმარს დააკვირდა ვარლამი. — ახლა გავიცანი, ამ წუთას.

— თამაზ ყიფიანი, ლობტარძი, ჩვენი კლუბის ახალი გამგე...

— დიდად სასიამოვნოა, ბატონო! — გაეხარდა ვარლამს.

— დაბრძანდით, მოისვენეთ... ვარლამ, ცეცხლს შეუხარო... მე ცოტა საქმესაც მივხედავ...

— არ შეწყუბნე, შალიკო ბიძია, — აბრაფერზე!

— შენთვის არ ვწუხვები, ნუ გეშინია!

— ხომ ხედავ რა თქვა? — გაიცინა ავთანდილმა და ვარლამს მიაჩერდა უმიზეზოდ.

— მართლაც არაფერი არ გვინდა; მალე უნდა წავიდეთ... — ჩილაპარაკა თამაზ ყიფიანმა, ცეცხლთან მოხერხებულად მოკალათდა და თვალგაშტერებული დააჩერდა თუნუქის ღუმელს.

— როგორ გეკადრებთ, პატივცემულო თამაზ, პირველად ხართ ჩემს ოჯახში და ახლა ისე გავიშვებთ თუ; როგორ ფიქრობთ?.. მხოლოდ ოჯახობა არ გახლავს სახლში და ნუ მიზრახავთ, თუ საკადრისს ვერაფერს გაგიხერხებთ!

— რას ბრძანებთ! — გაიღიმა თამაზმა და ისევ დაფიქრდა. შემდეგ უკან დაიხია, ცეცხლმა შეახურა ეტყობოდა, თუმცა თითქოს ისედაც აწუხებდა რაღაც.

— არ ჩამოვიდნენ შენთანები ხომ, შალიკო ბიძია?

— არა ბიჭო, ვერ მოახერხეს, აწი რაღას ჩამოვლენ, ბავშვებს არ დადუგები დაუშთავრდათ, გაზაფხულამდე, რა

რაფო ჰვიზილი
 შალიკო ხინგაძის თავდასახული

მოიცდის, ავთო?.. კაცო, ვიქის დედა მოკვდა მართლა?

— მოკვდა კი.

— რას მელაპარაკები!

— სოფელში მარხავენ... — თქვა ყიფიანმა და საკვამურს ფრჩხილი მიუყაკუნა საქმიანად.

— კვირას ასაფლავებენ, მაგრამ ხვალ პანაშვილია და გეინდა ავიდეთ, თუ მანქანამ გაიკვლია გზა. შენ ხომ წამოხვალ, შალიკო ბიძია?

— აბა რას ვიზამ, შე კაი კაცო... ჩვენი ბიჭები ერთად წავალთ ალბათ ყველა... მერე ფულიც უნდა შევეშროვოთ, აუცილებლად, დიდი ხარჯი ექნებათ უეჭველად.

— ხარჯი რომელია.

— კვირას არის დაკრძალვა არა? მაშინ ავტობუსს მე ვიშოვნე, ჩემი დის-შვილი გამიხერხებს.

— ხერხაძეც მოდის კი! — დაუფიქრებლად წამოიძახა ლოტბარმა ყიფიანმა და ისევ ფიქრებში ჩაიძირა. „გამიხერხებს“ და „ხერხაძე“ აურია ერთმანეთში.

— თამაზ ბატონო, არ მოიწყინოთ, ახლავე ყველაფერი. იქნება, ვარლამ, გამოდი ერთი წუთით!

ვარლამი მასპინძელს აედევნა მკვირცხლად და მალე სადღაც გაუჩინარდა.

— რატომ ვაწუხებთ ახლა ამ ხალხს? — უთხრა ყიფიანმა ავთანდილს.

— რა შეწუხებაა ბიჭო, ამ თოვალში და მარტოობაში კაცს რა გააძლებინებს... ახლა რომ წავიდეთ გაგიჟდება, მიღლებში ხმას არ გაგვეცემს...

— ოხ! — ამოიოხრა ყიფიანმა.

შალიკომ კოხტად დაკრილ-დახერხილი, მშრალი შეშა შემოიტანა და კუთხეში დაყარა ფრთხილად.

— შალიკო ბიძია, ამხელა თოვლი თუ გინახავს როდისმე? — ჰკითხა ავთანდილმა.

— ეს რა არის... პირველი იმპერილისტური ომი რომ დაიწყო, რა ხნის ვიქნებოდი მაშინ? სად წავიდა ვარლა-

მი? მოკლედ, ბავშვი ვიყავი სულ მჯერამ დღევანდელი დღესავით მასხოსს, ქუთაისში ისე მოთოვა, რომ, თქვენთან რა მაქვს დასამალავი, ქალაქი დაიფარა; ქუჩებში გვირაბებით დავდიოდით. შვილი დღე და შვიდი ღამე. ცა არ დაგვინახავს.

ავთანდილმა თამაზს გადახედა. თამაზმა გაიღიმა შეუძრნეველად და მასპინძელს მიმართა:

— დღეს რომ გუნდის მეცადინეობაზე არ მობრძანდით, ძალიან გაგვიკვირდა...

— ვიფიქრე, ამ თოვალში ვინ მივაგებოქი!

— ყველანი ვიყავით. ვილაცამ თქვა, შალიკო ბიძია, ავად უნდა იყოსო.

— ვინ თქვა მაგ?

— ვინ იტყოდა ჰიპას მეტი! — ჩაიციხა ავთანდილმა.

— მანამ არ აუღვა გვერდები, სანამდე ავად არ მნახოს... ჩემ სიცოცხლეში ავად არ ვყოფილვარ, პატივცემულო თამაზ... დიდი სიცივეები რომ დაიჭირა, თქვენ არ გემახსოვრებათ, პირველი მსოფლიო ომი ახალი დამთავრებული იყო და რიონიც მაშინ გაიყინა პირველად. სადაა ვარლამი? შემოვა და ვარლამს კითხეთ. მოკლედ, რიონი გაიყინა და მეც საქმე ვიშოვნე. დღეში ორჯერ, გინდა დამიჯერეთ გინდა — აზა, წერაქვით ვამტრევედი ყინვას: წითელ ხიდთან რომ დავყვინთავდი. თქვენ ხართ ჩემი ბატონი, როდინი სად წავიდე, აქ ყოფილა, თეთრ ხიდს ზემოთ, ხალტის დიდ ქვასთან ამოვძვრებოდი. ხოლმე, ხიდზე მოძრაობა ჩერდებოდა. ხალხი მე მომჩერებოდა. ჯიჯის კითხვით ალფაიძეს თუ ჩემსას და ვარლამის ნათქვამს არ დაიჯერებთ... — დაამთავრა შალიკომ, უშველელბელი კარადის კარი მიკეტა, ბოდიში მოიხადა და საუკუნაოში გაეშარდა.

— დღეს ხასიათზეა... — ხელები მოიფშვინტა ავთანდილმა. — დაიწყო უკვე და აწი აღარ გაჩერდება, გაგვიმართლა, მხოლოდ არ გაგეცინოს, იცოდე,



თორემ ხმას აღარ ამოიღებს, ეწყინება ძალიან.

— შენ მე ვინ გგონივარ! — იტყაღრისა თამაზმა.

ვარლამმა წყლით სავსე დიდი ქვაბი შემოარბენინა და ცეცხლზე შემოდგა. დაშვსული ლორის ნაქერი ჩაადგო ქვაბში. შემდეგ კუპატებით სავსე თუჩის ტაფა შემოიტანა.

— მინც როგორ თოვს, ტრრღლებუსი აღარ მუშაობს, შოთათა სულელმა ძლივს ამოგვიყვანა გადმოსახვევამდე... — ჩაილაპარაკა ლოტბარმა ყრფიანმა.

— შერე ფენით ამოიღებართეთ? — თავაზიანად გაიკვირვა საქმით ვართულმა ვარლამმა:

— ვარლამ, გაფიცებ ყველაფერს, ძველად ქალაქი მართლა თოვლმა დაფარა? — ქუჩებში მართლა გვირახებით დადიოდით? — დაინტერესდა ავთანდილი.

— როდის იყოო მგ ამაზვი?

— მე შენ გეკითხები... როდის იყო და როგორ იყო, რომ ვიცოდე შენ კი არ შეგაწუხებდი... პირველი იმპერიის სტური ომის დროსო, მგონი, ასე თქვა...

— მე პირადად არ მახსოვს, მაგრამ გადმოცემით ვიცი, რომ ნამდვილად ასე ყოფილა. თოვლს მართლაც ქალაქი დაუფარია მთლიანად. სახლები აღარ ჩანდა თურმე... გვირახებით არ გამოვივ, რაც მართალი; მართალია...

— სუფრა ზევით ხომ არ გაგვეშალა ზალაში? — ვანის კარი შემოაღო შალიკომ.

— არა ბატონო, აქ გვირჩევიან! — გამოკოცხლდა თამაზ ყიფიანი.

— მართალი ხართ თქვენ, ზევით ცივა. მოდი, ავთო, სუფრა გამომართვი და გადაფარე შავიდას, გაინძერე, არაფერი გიკვირს!

ავთომ აკვამლებული სიგარეტი შეაგლო ლუმელში, სუფრა გაშალა და მოგონილრ ფაცი-ფუცით დაიწყო საქმიანობა. თუმცა არც ისეთი ზარმაცი იყო, ერთი შეხედვით რომ ჩანდა, სუფრის

გაშლა კი თავის დღეში არ დაზარებია. პალატში ქონდრის, ჩამწნილებულ ნიახურის, მოხარშული შაშხის, ცხელკადისა და საწებლის სუნი დადგა. მასპინძელმა ორი დოქი ღვინო შემოიტანა საზეიმო ვითარებაში.

— პატივცემულო თამაზ, ოცნაირი ღვინო მაქვს მარაწში, ვარლამმა ქე იცის და აგერ დამემომწმება, თუ საჭირო იქნა. ამ ოციდან საუკეთესოზე საუკეთესო უნდა შეგასვათ; ასე მაქვს გადაწვეტილი. მართალი გითხრათ, რა მაქვს თქვენთან დასამლაღი და ათნაირს თქვენისთანა სასურველ სტუმარს არა თუ არ დავალევიებ, არც გავასინჯებ. ნუ მიზრახავთ და ის ათი ცოტა, მოკლედ, საჩვენო არ არის. დარჩენილ ათს წყალი არ გაუვა, მაგრამ ხუთი ტკბილია და ნახევრად ტკბილი. ტკბილი, რასაკვირველია, ჩვენ არ გვეკადრება. რჩება ხუთი. ამ ხუთი ღვინიდან, ორი მალღარია და წითელი. სადესერტოდ მაქვს დაყენებული და სხვა დროს დავაჯაშნიკოთ. საბოლოოდ სამნაირი ღვინო შევაუკეთეს, ჩემი მიხვედრილობით. რომელი რომლის მჯობია, ქეშმარიტად ძნელი დასადგენია, მაგრამ ერთი ახლა, ამ წუთას ხელდაკრული მომეჩვენა და მოვხსენი აღრიცხვიდან. იმ ბოც ღვინიდან საბოლოოდ ეს ორი წარმოვადგინე და განაჩენილ თქვენ გამოიტანეთ.

— თქვენ როგორც იტყვი, ისე მოვიტყვი! — გაიღიმა თამაზ ყიფიანმა.

— არა ბატონო, მასე არ გამოვა. დედა ნახე, მამა ნახეო, ნათქვამი რომ არის, ფერს გახედეთ ცეცხლის აღზე. გემო გასინჯე, შეამოწმეთ, შეაფასეთ, მსჯავრი დადეთ და მეც ამ წუთას გეახლებით... — გაიღიმა შალიკომ და საკუქნოში გავიდა.

— ნახე ბიჭო, რომელი დავლიოთ! — დაიხრიალა პატარა სიჩუმის შემდეგ ავთანდილმა.

— ჩემთვის სულ ერთია... — უგულოდ ჩაილაპარაკა თამაზმა.

რეზო ჰაიფიანი
შალიკომ ხინფიაძის თავგადასავალი

— რა არის სულერთი? შენ რას ლაპარაკობ... ახლავეს დავაზუსტებ ყველაფერს...

ავთანდილმა ღვინო ჩამოსახსა ჭიქებში, სინათლეზე გაზედა, დაყნოსა, და დააქაშნიკა.

— არჩევა აუცილებელია... — შენიშნა ვარლამმა. — იმიტომ რომ აქედან ერთი ნამდვილია, მეორე შექარზე და ჭკაზეა დაყენებული. მართალია, ამ ორი ღვინის მეტი არა აქვს და არც ჰქონდა არასოდეს, მაგრამ შეჭრინასაც ისე უვლის და ინახავს, რომ გავიკვირდებათ, შუმი და შვლაპი ერთმანეთში აგერევთ, თუ არ გამეცადინდით...

ვარლამი მართალი გამოდგა. ღვინო ღვინოს ჰგავდა ფერთა და სიმაგრითაც, თუმცა ჭანსხვავება მაინც იგრძნობოდა. საქმე უკეთესის ამორჩევა იყო თორემ ნხვადასხვაობას გამოუცდელი მოჭაშნიკეც დაადგენდა. სუფრის წევრები ვერ შეთანხმდნენ. ერთის აზრი მეორესაც არ დაემთხვა და ნასიამოვნებმა მასპინძელმა ღიმილით განაცხადა: თუ მენდობით, ეს დავლით, არ წააგებთო და ერთი ღვინო, მართლა სახარჯო: ნაჭაჩი და ნაჭაჭარი რომ აღმოჩნდა, და მაგიდაზე მხოლოდ სტუმრების გასაოცებლად შემოდგა, გარეთ გაიტანა.

— ასე გექნა თავიდან, შე კაი დედამიწვილო! — თქვა ვარლამმა.

მხიარულმა მასპინძელმა ტყავადაფარებული საკარცული მოიტანა, ხენეშით დაჭდა, პატარა თავბატიუს შემდეგ თამბაქოვაც იკისრა და სუფრას გაუძღვა ისე ღირსეულად, როგორც მისი სახელისა და ასაკის ადამიანს შეეფერებოდა.

— შალიკო ბიძია, ომში რა ჩინი გქონდათ, აქამდე კი არ დავინტერესებულვარ? — ეითომ სხვათაშორის იკითხა რამდენიმე სავალდებულო სადღევარბელოს შემდეგ ავთანდილმა, რათა როგორმე სასურველი საუბარი დაწყებულიყო დროულად.

— ჩემზე ამბობ?

— დიან.

— ხან ჯარისკაცი გიყავი, ხან გენერალი, ხანდახან ეფრეიტორიც... განჩნა სიტუაციას და საერთოდ, — შალიკო დაფიქრა. — ჩინს ომში, ჩემო ავთო, მნიშვნელობა არა აქვს. ახალი გამოზაფხული იყო, ოდერზე გადავდიოდით, დღევანდელ დღესავით მახსოვს მდინარეს ხე და მიწა მოჰქონდა. თენდებოდა. ცა წითლად ელვარებდა. ვინ ნავით, ვინ პონტონით, ვინ ტივით, ვინ კიდევ გაბერილი შარვლით მიიწვევდა ნაპირისაკენ. გადავვში ადიდებულ წყალში, დაცხებ რიონული მხარული, შევიჭერი ბირდაბირად კბოდეზე და პატარ-პატარა პოლკოვნიკები ქე წაილო, ბიძია, წყალმა. ჩინს რა ჰქუა აქვს, ავთო, ჩინი რას გიშველის თუ მკლავი არ გიჭრის.

— მართალი ბრძანებაა! — დაემოწმა, ლობტარი ყიფიანი.

— დავდგი ნაპირზე ფეხი თუ არა, ფრონტის სარდალმა იყვირა: გავიდა ხინგიაძე აღმა და ჯილდო მაგასო!

— გიცნო ხომ? — გაეხარდა ვარლამს.

— ვინ ბიჭო, მე? მტერი მცნობდა, მტერი, მოყვარე კი არა...

... ორმოცდასამი წელი ახლოვდებოდა, ბელორუსიაში ვიდექით. შეტევისათვის ეემზადებოდით, შენ ხარ ჩემი ბატონი და ტრანშეებს არ ვტოვებდით, არც მტერი იძროდა, ერთი სიტყვით, რომ არ მოგატყულოთ, ფრონტის ხაზზე, როგორც რუსები იტყვიან, „ხატი-შიე“ იყო. მთვარიანი ღამეა. მთვარე, გინდა დამიჯერეთ გინდა — არა, იქაც ზუსტად ისევე ანათებს ღამით ცაზე, როგორც აქ, ჩვენთან. მოკლეა, რაღა ბევრი გავაგრძელო და ვწევარ ამ მშვენიერ მთვარიან ღამეში. ვფიქრობ. ჯარისკაცს საფიქრალი არ დაეღვეა, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ. საღდაც ვსაკები კრუალობენ დაგუდულად. ბაყაყები მოთქვამენ ხმაშეწყობილად და ამ სკებდნიერ ღამეში ვიღაც იძახის ქართულად. საფიჩხილეები თუ ხართ ვინმე, ამოღით ზევითო. ბიჭოს, რაშია საქმე, მე ეთქვი.



მეყურებო: თუ რა ხდება, მე ვიფიქრებ. მივაყურე და მიგხვდი, რომ გერმანელთა განლაგებიდან იძახიან რადიოროჟობრივ. საფიჩხიელებთან სალაპარაკო გვაქვსო. ერთი აქაური ბიჭი კი იყო ღვიზიაში, მაგრამ იგი ჭომაში ცხოვრობდა და იქვე ვიპარე, მე რომ მიხმობდნენ. რაღა თავი შეგაწყინოთ და პირდაპირ გეტყვი, გერმანელებს ჩემი გადაბირება სურდათ. მთავარი მაგ არის და მერე ომი მოგებული გვაქვსო, ფიქრობდნენ თურმე. იძახეს იმ დამეს, საფიჩხიელებო გადმოდიოთ ჩვენ მხარეს, უთბრ პურს და შოკოლადებს გაქმევთ, საყდრებს გაგიხსნიოთ. წარმოგიდგენიათ, მე შეუბნებთან ამას, როცა ოცდაერთში მთავარანგელოზის ეკლესიის გუმბათიდან, რაღა დაგიმალოთ და, ჯვარი ჩამოგხსენი. რომ დავკარი ფეხი გალავანს, ვარლამს კი ემახსოვრება, პირდაპირ სახურავზე ავარდი. ავყვევი ჯაქვს, რასაკვირველია, და მივახერხე ჯვარი ძირში. კაცმა ასვლა ვერ გაბედა. თუმცა ამსეულელს ღვთის ეშინოდა და უღვთოს — ასვლის. ესეც იყო, სხვათაშორის. მოკლედ მე ვივარგე, მაგრამ ეს ბევრი არაფერი, ასე იყო თუ ისე იყო, მთავარი ის არი, რომ ჯვარი მე, შალიკო: ხვიანგიაქემ დავცი ოცდაერთში: დედამიწაზე. გერმანელები კიდევ საყდრებს გაგიხსნიოთ, მახარებდნენ. უბატრონო ეკლესიებს თქვენში მალე ეშმაკები დაეპატრონებიანო. ეშმაკის და ქაჯის ვის ეშინოდა. ორი ქაჯი მყავს ჩემის ხელით დაქვრილი ბაქსუბანში.

— ვერ გაიგე, ვინ გეძახოდა? — იკითხა გაოცებულმა ვარლამმა.

— შე კაი კაცო. რომ გამეგო და რომ დამენახა, არ მოვკლავდი? ერთი სიტყვით, რა მაგის პასუხია და მშობლებს გაუმარჯოს. გარდაცვლილების ხსოვნა და არ დავიწყება, სამარადისო ხსენება იყოს... — შალიკომ ღვინო პურზე დააწყევლა. — ცოცხლები ღმერთმა დიდხანს გიცოცხლოთ, გიჯანმრთელოთ, გიმრავალყამიეროთ, გამარჯვებული გიტაროთ ღმერთმა. გაგიმარჯოთ, ალავერდი ვარ ყველასთან.

— იცოცხლეთ.
 — გამარჯვება იყოს.
 — ხსენება და არ დავიწყება.
 — გაგიმარჯოთ.
 — ის როგორ იყო, შალიკო ბიძია, რუსი რომ შეგხვდათ, მწვერავი მტრის ზურგში? — შეახსენა აეთანდილმა.
 — უკრაინელი.
 — თუ უკრაინელი, აღარ მახსოვს...
 — მაგ გრძელი ამბავია...
 — ძალიან გთხოვთ! — შეეხვეწა ყიფიანი.

— ეს ამბავი, თუ მართლა გაინტერესებთ, ასე იყო: — დაიწყო შალიკომ. — ორმოცდაორი წელი ნახევრდებოდა, ჩემო ბატონო, დროებითი წარუმატებლობის წლებია. რაღა დაგიმალოთ და გერმანელთა ჭარბი ძალები მოგვაწვა მოულოდნელად. მთავარბანაკიდან უკან დახევა ებრძანებინათ სტრატეგიული მოსაზრებით, რასაკვირველია, მაგრამ მე არაფერი არ ვიცოდი. ისედაც, ეს აღბათ, თქვენც კარგად მოგეხსენებათ, უკან დახევას არ ვარ ჩვეული. ჯარმა დაიხია, მაგრამ რა ვუყოთ, მე ფეხი არ ვიცვალე. მარტო ვიბრძოდი მწუხრის ზარამდე და ბოლოს მტრის გარემოცვაში აღმოვჩნდი ძალაუფლებურად. ამასობაში დაღამდა. მაშინ კი ვიკადრე უკადრისი, დავლუნე თავი და წავედი. ვიარე, ვიარე, შენ ხარ ჩემი ბატონი, და ერთ უკაცრიელ ხუტორს მივაღდექი: კაცის ჭაჭანება არაა. იმ ბარობაზე ძალი არ ყფეს. მამალი არ ყივის. საღდაც მბეუტავ სინათლეს მოვკარი თვალი. მივაღდექი ქოხს. დავაკაქუნე. ცოტა ხნის შემდეგ შეშინებულმა დედაბერმა გამაგონა. ვინ ხარ, რა სულერი ხარო. მეომარი ვარ, ჯარს ჩამოვრჩი-მეთქი. მიმიღო იმ ქალმა, აშენდა იმის ოჯახი. მასვა, მაჭამა, მოსასვენებელი გამიჩინა, კილოფი გამიშალა, თავსასთუმალი მომიტანა: რაღა დავმალო, მოვიხსენი იარაღი, დავწექი, ვიფიქრე ახლა კი მოვატყულებ თვალს-

ამო ვიწვილი
 შალიკო ხვიანგიაქის თანამადასაგაღწე

მეთქი და გაიღო კარი გრილით და
ოთახში ავტომატომარჯვებული ესეს-
ის შტანდარტფიურერი შემოვარდა.
რას შევები ახლა, შალიკო, შე ღმერთ-
გაყიდულო, საღ იღუპები, ამდენი ამ-
ბის ჩამდენი, უსახელოდ, უკვალოდ
ქრები; ზღვას ვადარჩენილს წვეთი გახ-
რჩობს-თქვა, გავიფიქრე და შტანდარ-
ტფიურერმა დაავლო ავტომატი და იყ-
ვირა:

— ეტო რაზე ტი, შალიკო პეტრო-
ვიჩი?

— გერმანელმა? — არ დაიჯერა თავ-
დაპირველად თამაზ ყიფიანმა.

— ჩვენი მზვერავი ყოფილა ვადაც-
მული. მტრის ზურგში მუშაობდა თურ-
მე თოთხმეტი წელიწადი. ჯიჯის კით-
ხეთ თუ გინდათ აღფაიქეს?

— იღბალი არ გინდა! — თქვა ვარ-
ლამმა.

— სხვათაშორის, ახლაც ცოცხალია
ის კაცი, მზვერავზე მოგახსენებთ, მა-
გდანში მუშაობს, მშვენივრად მოწყო-
ბილა. იყო ამასწინებებზე ჩამოსული და
კარ პური ვკამეთ ქვაშავაზე. თქვენ გე-
ძებეთ და ვერ გნახეთ.

— როცა გინდა მაშინ კი მოგვძებ-
ნი! — ეწყინა ავთანდილს.

— ჩემს თავს გეფიცებით, ვერ გნა-
ხეთ, საღდაც სოფელში იყავით წასული
საქეიფოდ.

— თუ ასეა, მაშ ერთი მრავალ, მრავალ...
შალიკო ბიძია, მრავალკამიერო... — ჩახლეჩილი, ჩახერგილი, დანჯ-
ღრეული, მაგრამ მინც სასიამოვნო ბა-
რიტონით წამოიწყო ავთანდილმა.

— ოო, ო... — თავისი ცნობილი ბანი
დააგუგუნა შალიკო ხენგიძემ.

თამაზმა ჩაახველა, ავთანდილს ხე-
ლით ანიშნა, დაუწიე და მერტზე გადა-
დიო, ზანტად, გაბმულად გადაიკიდა
წკრიალა პირველი, რომელიც უკვე შე-
ელანძლა არანორმალურ ცხოვრებას,
მაგრამ ძველთ ეშხი და სილამაზე ჯერ
კიდევ ვერ დაეკარგა.

გარეთ თოვდა. ძირს თოვლი ვფინა.
ზევიდან თოვლი ცვიოდა. მაინც ბნე-

ლოდა... ნიავი არ ჰქაბოდა, მდინარე არ
ხმაურობდა. მხოლოდ თოვლის ხმა
ლებდა. რბილად, მშვილად.

შალიკო ხენგიძის კორტილზე წა-
მოდგმული სახლის ქვედა სართულის
ფანჯრებიდან სიმღერის ხმა გამოდიო-
და; მამაპაპური მრავალკამიერი ეფინე-
ბოდა, შესუღრულ გარემოს, მიბუღრ-
ბულ უბანს.

— ...ბალტიისპირეთში ვართ უკვე
შესული, ჩემო ბატონო... — დააპარაკო-
და შალიკო. — მშვენიერი შემოდგომის
დღეებია, რომ გაგეხარლებს, — ისეთი.
გავიმარჯვეთ, ვისვენებთ, მაგრამ ვაი ამ
დასვენებას. პირდაპირ უნდა გითხრათ,
ტრანშიდან თავის ამოყოფა არ იქნე-
ბა. ჩვენს წინ ას მეტრში გერმანელი
სნაიპერი შემომჭდარა მუხაზე და ისე-
რის დრო და დრო. თავი ვერ წამოგვი-
წვია, მუხლის კვირისტავი ვერ გავგი-
მართია. ვიღაც ოხერია, ტყვიას ტყვიაში
აჯენს, ბევრი კარგი ვაჟაკი წაახდინა,
ბევრის დედა აატრია, ბევრის — ცოლი
დააქვრივა. არის ერთი გამიშვი და გა-
გიშობ, მაგრამ ხემდე მისვლა არ გინდა?
არადა ფოთლებშიც არ ჩანს ის ბედას-
ლი სამიზნოდ. ვართ ამ დღეში და, რო-
გორც ყოველთვის, ბოლოს მე ვფიქრე
ეს საქმე. მოთხრეს, არ გინდა, არ ქნა
შალიკო, გავფიქრებსო, მაგრამ ჩემი გა-
ვიტანე, მიშალეს, არ დავიშალე. არ იქ-
ნება, კი იქნება და წავედი. შევიკრულე
ერთი ჩემსავით გაბედული რუსი ჯარის-
კაცი. ავიღეთ ბირდაბირი ხერხი, შევარ-
ჩეთ მკვდარი საათი, როცა სნაიპერს
ეძინა; და ნასადილევს მივადექით მუ-
ხას. შემოვძახეთ „მუშლი: მუხასა“, გა-
ვუსვით და გამოვუსვით. თქვენ ხართ
ჩემი ბატონი, გადავხერხეთ მუხა. მუხა
დაეცა. გერმანელი დავარდა ვეცით,
გავკოჭეთ და ჩავაბარეთ. საღდაც ვერ
იყო. თურმე ცნობილზე ცნობილს სნა-
იპერია. ოთხი მუხის ფოთლის ყვავაღე-
რი, პირდაპირ მუხაზე ანიკებდნენ თურ-
მე ორდენებს, ზოგს ალბათ თვითონაც
ქე იმატებდა. ეთქვა გულახდილად, ეს
რა დამემართა, რა მომივიდაო. შალიკო



ხინგიაძის მეტი ამას ვერ მოიფიქრებდა ვერაინო. სად წავიდა, დამალაპარაკეთ, ერთი ჭიქა ღვინო დამალვინინეთ მაგ კაცთან და რა გინდათ ჩემვანო. ჯიჯის კითხვით ალფაძეს, ჩემი თუ არ გჯერავთ. მეორე დღეს კვლავ დაზვერვაზე გამაგზავნეს და ის კაცი, სამწუხაროდ, მეტყვერ აღარ მინახავს. ერთიც დავლით და იმ დაზვერვის ამბავსაც გეტყვით, თუ გაინტერესებთ. ჩამოცალეთ, ჩამოცალეთ ჭიქები.

— ... წავედი დაზვერვაზე, თქვენ ხართ ჩემი ბატონები, მივდივარ ჩემი ასეულით, გზა აგვებნა, მინდორში დაგვათენდა. დილის წინსლში და წყლიდან და ჭაობიდან ანაორთქლ ბურუსში გამოიჭიატა მზემ თუ არა, მივხვდით, რომ მტრის განლაგებაში შეეკრილვართ სოლივით. რაღა დაგიმალოთ, და გლახა დღეში ჩავცვივდით. თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, საში მხრიდან გერმანელებია, წინ ჭაობია — გაუვალი ჭონჭო და საფლობი. წინ წყალი უკან მეწყურით — ისეა. მეტი რა გზა გვქონდა. შევედით ჭაობში და ყურებადღე დავიძორეთ. მარტო ცხვირი და თვალები გამოვჩინეთ... გერმანელთა დივიზიები კი მიდის და მოდის ნაპირზე აღმა-დაღმა. დისლოკაცია ხდება ეტყობა. ვითვლით ცოცხალ ძალას, ტანკებს, ნამტყურტყენებს, ტექნიკას საერთოდ. ჩვენ ვერ გვხედავენ, ანდა-ვინ დაგვიჩინავს, როცა მხოლოდ ცხვირი გვიჩანს, მხოლოდ ცხვირით ვცოცხლობთ, ცხვირით ვსუნთქავთ. დაღამდა და ქვევუშველეთ თავს, მაგრამ ვისაც იმ დღეს სურდო ჰქონდა ყველა დაიხრჩო.

— აბა რა დავმართებოდით! — ხველა უტყუდა თამაზს. სული ძლივს მოითქვა და ჩამწინდებულ ფხალს ფურცელი შეახია უგულოდ.

— ჭამე კაცო შენ რამე! — შეუწყრა მასპინძელი.

— ვჭამ, ბატონო შალიკო, მაგრად გეახელით...

— რას უძახი შენ, თუ კაცი ხარ. ჭამას?... ეს ჭამაა? არ გადამრიო! შენი

ხნის რომ ვიყავი, ერთ ცხვარს ვჭამდი, ერთნელ ჰოსპიტალში დამაწვინეს, გრძელი ამბავია მაგრამ მოკლედ გეტყვით. სააპერაციო ვიყავი და დამსვენდიეტაზე. დიეტაზე რა გამაჩერებდა, როცა დღეში, გითხარი და კიდევ ვიმეორებ, ერთ ხარს ვჭამდი. ექიმებს ეწინოდით, მედ-პერსონალი არ დაგვიკამოსო. იცოდნენ ჩემი ამბავი და ცალკე პალატაში მომათავსეს, ბოლოს ერთი არმიის გენერალი შემოვიხიზნე. გვარად ნეკრასოვი, კაი ყაზახი იყო, ძმაო, კაი. ეთქვა შალიკოსთან დამაწვინეთ და არც წამალი მინდა და არც არაფერიო. სხვათაშორის ერთი ქალიც იყო იქ, აგლადე, სახელი აღარ მახსოვს. იხაროს იმის გამზრდელმა, რავარც მე იმან მომიარა. ვადაიღე, ვადაიღე...

— იყოს, იყოს, ამდენი არ მინდა, შალიკო ბატონო...

— თვითონ ბატონო... მიირთვით!

— მაქსიმ გორკი მოდის! — თქვა მოულოდნელად ვარლამმა.

— ვინ მოდის?

— ტყიბულის სახალხო მატარებელია ადრე — „მაქსიმ გორკის“ ვეძახოდით და ვერ გადავეჩვიეთ... — მოიბოდიშა ვარლამმა.

— აჰა! — დაემშვიდა თამაზი.

— მოდის ვითომ, ხმა რომ არ ისმის? — შეეჭვდა ავთანდილი.

— ხმას გაიგონებთ... — მშვიდად ჩაილაპარაკა ძველმა რკინიგზელმა, შეუცდომელი სმენითა და უტყუარი ალღოთი რომ შორიდანვე გრძნობდა შპალეების ქრიალს.

სულ მალე მოახშველა ელმავალმაც. მატარებელმა ჩაიარა მშვიდად. ქრიალით. ბორბლების რაკარუკით.

მასპინძელმა ცარიელი დოქი შეანჯღრია და მარანში გავიდა.

— ყოჩაღადა ისევ შალიკო ბიძია... — თქვა ავთანდილმა.

— ნამდვილად! — დაემოწმა თამაზი.

— ამ ბოლო დროს მოტყუდა ცოტა —

რეზო ვიწვილი
ზაფხომ-ზინზინამის თავგადასავალი

თქვე ვარლამმა. — შეიღებმა შინც სულ
მიატოვეს. არადა, რა ქნან იმათაც, თრ-
თავენი მუშაობენ. იტოცხლე, ისინი
კარგად არიან. ერთის მეუღლე, ბატონო,
ვითხარით მგონია, დისერტაციას
იცავს. ეხვეწებიან მამას, გაყიდე მაქაუ-
რობა, წამოდი ჩვენთან, ხელისგულზე
დაგისვამთო, მაგრამ შალიკო არ შვება.
ეს აქედან წამსვლელი არ არის, სხვაგან
არც ივარგებს. არაფერი არ აკლია,
თუმცა ხშირად მარტოა და ჯავრობს.
ყოველთვის კი აღარ არის ლაპარაკის
ხასიათზე. ძველმა ჭრილობებმაც შეახ-
სენა თავი. კლუბში თქვენთან მეცადი-
ნეობას გულს აყოლებს, თქვენთან ყოფ-
ნა უხარია. ისე მართლაც, ბევრი ნატან-
ჯი და ნაუბედურალია საწყალი. მოტყუ-
და, მოტყუდა. მარტოობის ეშინია... —
ხმას დაუწია ვარლამმა. ღუმლის კარი
გამოაღო და შეშის ნაობები დააღაგა
მინალებულ ნაკვერცხლებზე.

— მოვიდა, მოვიდა! — შორიდან და-
იძახა შალიკომ და ოთახში შემოძუნ-
ძულდა. სველი დოჭები შემოდგა მავი-
დაზე.

— აშენდა ამის დამწურავი!

— ამინ, ამინ!

— სხვათაშორის, მატარებელზე გა-
მასხენდა. ერთხელ, ათას ცხრაას ორ-
მრცდა ორი წელია, აგვისტო. რომ არ
მოგატყულოთ, არც მეტი და არც ნაკ-
ლები, ორი ეშალონი ბენზინი ჩამაბა-
რეს პირადად მე. ასეთ რამეს შენიანი
კი არა, მტერი არ გიზამდა, მე გეუბნე-
ბით. გახურებული სროლის დროს,
ფრონტის ხაზზე ბენზინი როგორი მო-
სავლელი იქნებოდა, თქვენ თვითონ
განსაჯეთ. დასამალავი რა მაქვს და სა-
მოც ტონიანი ცისტერნები დაქმდვილი
იყო პირთამდე.

... როგორც მოგახსენეთ, ფრონტის
ხაზთან ვდგევარ. იწვის და დულს ყვე-
ლაფერი. დედა შვილს ვერ ცნობს, ისე-
თი ამბავია. პოლკის უფროსი გვყავდა
ერთი ძველი აფიცერი, მეფის არმიაში
ნამსახური კაცი. კაი ყაზახი იყო, აცხო-
ნოს ღმერთმა. გამოცხადებოდა თუ

არა საჭაურო განგაში, გერმანულთა
ბომბდამშენები გამოჩნდებოდნენ თუ
არა ცაზე, იყვირებდა: სიხარულითა

— პეტროვიჩ, ჩა-ფა-ლი!

ხმა ქონდა ისეთი, ხიდან ფრინველს
გადმოაგდებდა, გელაპარაკებით. მოდი
და ნუ ჩაფლავდი თუ კაი ბიჭი იყავი.
დაემარხავდი ამ სამოც ტონიან ცის-
ტერნებს, შენ ხარ ჩემი ბატონი, გაბ-
რუნდებოდნენ ბომბდამშენები უკან და
ის ჩემი ცოდვით სავსე იყვირებდა:

— პეტროვიჩ, ამო-ფა-ლი!

ახლა ხომ წარმოგდგენიათ, რა დღე-
ში ვიქნებოდი ჩავარდნილი... რა გაცი-
ნებს, შე წამხდარო?

— სიმწრით მეცინება, შალიკო ბი-
ძია, სიმწრით მეცინება... — ხაოდა
წელში გახრილი ავთანდილი.

მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ
ავთანდილი იცინოდა, იმიტომ რომ სი-
ცილი არ შეიძლებოდა, თამაზი თავს
ველარ იკავებდა და თვალეზე ცრემლ-
მომდგარი იგუდებოდა: უკვე მასპინ-
ძელსაც ველარ არიდებდა თავს.

—... არასოდეს ეს ამბავი არ გამიგო-
ნია, არასოდეს ეს არ გითქვამს... ეს რა
დღეში ყოფილხარ, შალიკო ბიძია! —
იძახდა ავთანდილი და თანდათან წყნარ-
დებოდა.

— გოსპიტალში ვიყავიო ბრძანეთ, თუ
არ მომეყურა, ალბათ დაჭრილი ბრძან-
დებოდიო? — იკითხა თამაზმა, შეჭირ-
ხლულ სახეზე ხელი ჩამოისვა და ძა-
ლიან დასერიოხულდა.

— დაჭრილი ექნებოდიოთ, მეკითხე-
ბით? ერთხელ ბატონო, თუ ორხელ.
რომელი ერთი უნდა ვითხრაო. ყველა
იქით იყოს და ახლა მოგიტორობთ, რო-
გორ გადავურჩი იმ გზობაზე დაქრასანკ
და სიკვდილისაც ერთდროულად. ნამდ-
ვილად სასწაული ამბავია და მე თუ
ვინდათ, ხმას არ ამოვიღებ, ჯიჯის კით-
ხეთ ალფაიძეს, ჯიჯი მოგიყვებათ გაცი-
ლებით უკეთესად.

— თქვენ ბრძანეთ, ბატონო, ჯიჯი რად
გვინდა!

— თუ ასეა, მაშინ ერთი სადღეგრძე-



ლოც: მათქმევენივთ, წაეჩოჩდეთ წინ თვარა გლახადა საქმე!

შალიკომ ახალი სადღეგრძელო წარმოსთქვა: შესვა, სტუმრებს მოუსმინა და დაიწყო:

— ისე ჯიჯის ხომ არ დავლოდებოდით, ხომ არ აჯობებდა?

— არა ბატონო, რა საჭიროა.

— არა ხომ? კეთილი. ასე იყო თუ ისე იყო, ხარკოვის მისადგომებთან მოხდა ეს ამბავი. ომი იყო მძიმე და ავბედითი, მაგრამ ჩემთვის მაინც ჩვეულებრივი, რასაკვირველია. რალა თავი შეგაწყინოთ და, ერთ მშვენიერ დღეს დაგვბომბეს. ბევრი ვერაფერი დაგვატლეს, მაგრამ უნიშნოდაც არ დავრჩენილვართ. საპაერო განგაში მიწყდა, როგორც იქნა, იქაურობა მიჩუმათდა, კუტკალიების კრიკინიც შემოგვესმა. თქვენ ხართ ჩემი ბატონი, წამოვიშალეთ. დიდი რომ ვარ ალბათ ამიტომ გამომარჩიეს, თუ რაში იყო საქმე. ახლა ვერ გეტყვით, ერთმა დაგვიანებულმა თვითმფრინავმა უშველებელი ბომბი დამიშვა პირდაპირ თავზე. ბომბი მე თუ არ მინახავს, ვის უნახავს, ბომბი სხვისი კი არა: ჩემი არ გამკვირვებია, მაგრამ იმნაირი არაფერი გამიგონია. თქვენთან რა მაქვს დასაფარავი, აგერ ამცდა კინკრიხოსთან. ფეხებთან დამივარდა. ისე ახლოს ამიფეთქდა რომ ომის კანონის თანახმად ყველა ნამსხვრევი ამცდა, მაგრამ რათ გინდა, აფეთქების ტალღამ ამიტაცა და მთელი დივიზიის თვალწინ ბუმბულივით გააქანა ჰაერში. ვიფიქრე, მორჩა, გათავდა, წავედი პირდაპირ მამაზეციერთან და ეს არის, მე ვთქვი. არ დავიბენი, დაძახება მოვასწარი მაინც.

— ...საფიჩხიელი თუ ვინმე ხართ მომისმინეთ და გამიგონეთ, თუ გეყურებთ თქვა, არ დავგზაროთ და მამაჩემს გადაეცით პეტრეს, ტყუულბრალოდ არ მეძებოს, იქით წავედი საიდანაც უკან აღარ ბრუნდებიათქვა, აქით წამოსვლაზე კარგა ხანი არ იფიქრო, თუ კაცი ხარ თქვა, ბავშვებს მიმიხედე,

დამიცლოშვილე, დამიქმარშვილე და აქ ჩემთან, ზევით: რომ ამოხვალ, მე ვიცო და ჩემმა კაცობამ, პატივისცემას გადაგიხდით. თქვა, მეტის დაბარება ვეღარ მოვასწარი. ერთი ახალგაზრდა კაცი გამოვარდა მინდორში, ბალახვნილი ვარ, მაგრამ შენ რომელი ხარ, ვერ ვიცანით, დამიძახა ქართულად და მეტი აღარაფერი მახსოვს. უცბად წყალში გავახილე თვალი. რალაც წყალი მემწუთხა და იმწამსვე მივხვდი, რომ ზღვაში ვიყავი, საღლაცა აზოვის და შავი ზღვის გასაყართან. წყალი იქით არის ასეთი მლაშე და მარილიანი, ეს თქვენც კარგად მოგეხსენებათ. გავახილე თვალი, გავიხედე, გამოვიხედე. მოვიმხარი იქაურობა, ქერჩის მისადგომები ვიცანი. ხარკოვიდან პირდაპირ ნოეორასისკენ ჩავფრენილვარ. კიდევ კარგი, ზღვაში ჩავვარდი თვარა სულში არ დამყვებოდა მიწაზე. სულ პირდაპირ ცის კიდე წითლად პარპალებდა. მზე მეგონა და სროლა ყოფილიყო. თურმე ჩვენებს საარტილერიო ცეცხლი აქვთ გახსნილი ტამანის ნახევარკუნძულთან. სად იყო და სად არა, ჩვენი კატარღები მომიახლოვდა. დესანტი აღგებოდა ნაპირს იმ დილაბნელში. დავიბანე პირი ზღვაში და პირდაპირ ფეოდოსიაში შევეტეხი ჯარს. „სკარაბლია ნა ბალო“ ისე გამოვიდა ჩემი საქმე. ის ბრძოლა როგორ დამთავრდა, თქვენც იცით, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია, მაგრამ მე ჩემი გადახდა, მას შემდეგ მარჯვენა წარბი მითამაშებს გაუთავებლად. ისე ამავი რომ წყალში არ იყრება, ეს უდავოა. მეორე დღეს გენერალმა საკუთარი ხმალი მაჩუქა წარწერით. ზევით კიდია ლურსმანზე თუ არ გეზარება, ვარლამ, ჩამოიტანე ნახოს ამ ხალხმაც...

— რა გავა ახლა ამ სიცივეში! — წელი ათორია ვარლამმა.

— ისე ქე გითხარით, იმისი არ იყო, ჯიჯისათვის რომ გეკითხათ ალფაიდი-სათვის უკეთესი იყო...

რეზო შიშვილი
შალიკო შინიანიძის თავდაცვასავალი

— ქერჩში მართლაც შემდეგ დღეებში იდგა... — გაიხსენა ვარლამმა.

— ცოდვის ტრიალი იყო... — შეაწყვეტინა შალიკომ. — ერთხელ, სად იყო და სად არა, აზოვის ზღვაში გავრბივარ ფეხდაფეხ. გიკვირთ ალბათ, მაგრამ თქვენთან რა მაქვს დასაფარავი და ასეც ხდება ხოლმე. სადაც არა სჯობს გაცლა ჯობსო, უთქვამს ბრძენკაცს. სად იყო და სად არა, გამომიდგა მტრის ერთი „მესერშიტი“. დამსდევს. არ მეშვება, ის ჩემი ცოდვით სავსე. წამომეწევა, მომიშვებს მტრინავი ტყვიამტრქვევს, დავეცინათ. წავა, შენ ხარ ჩემი ბატონი, ამოვეყინათ. მოვითქვამ სულს. შემხედავს, ფეხზე ვდგევარ, დაბრუნდება, დამცხებს, დავეყინათ, დავიმალები. წავა, ამოვეყინათ, ვაესწორდები. ვხედავ, ისევ ჩემკენ მოდის, მესვრის, დავეყინათ, გამცდება, ამოვეყინათ, ასე მიტრიალა სამხრობამდე და ვერაფერი დამაკლო. ბოლოს მტრინავმა ჩაილაპარაკა: ეს ვილაცაა ქუთაისელი იქნება, როინზეა ნაღდად გაზრდილი და დამანება თავი.

— გერმანელი იყო ის მტრინავი? — იკითხა დაეჭვებულმა ავთანდილმა.

— კი, მხოლოდ დედა ყავდა მე მგონი რუმინელი, აქცენტზე შევატყუე. — უპასუხა შალიკომ.

— ქერჩში მეც ვიყავი, მართლაც ამბობს ეს კაცი. აზოვის ზღვა, გადასარევი ამბავია, მართლაც დაბლია. მიდიხარ, არ იძირები, არ იფარები!.. — დაუმოწმა ვარლამმა.

— ა, ბატონო, ამასაც ცოდნია, ჯიჯირად გვიინდოდა ალფაიძე? — თქვა შალიკომ.

— როგორ გეკადრებათ, რა საჭიროა! — იწყინა ყიფიანმა.

— ერთხელ, ბატონო, ეს რომ ლაპარაკობს იმ რაიონში, სად იყო და სად არა, კრესიერი გარჩა თავთხელში. ეტყობოდა, ვერ მოზომეს, მეტი მოუცილათ და დარჩნენ მშრალზე. დაესია ხალხი, მაგრამ რაღა დროს, ქაჩეს, აწვალეს, აჯანჯლარეს, შენც არ მომიკვდე.

არაფერი გამოვიდა. გემი ვერ დაძვრეს და ვერა. ვუყურებ ამ სურათს და ვხედავ, რომ მიკვდება, მაგრამ შიშობლივ ვიყავი დალილი და ვისვენებდი. სად იყო და სად არა, მომადგა ბოცმანი და მითხრა, რომ წამოწოლილხარ, უკაცრავი პასუხია, პირი ქვისკენ მიქნია, ამხელა კაცს მხართქმონე და ხედავ ჩვენს გაჭირვებას, რად არ გეშვებო, რაშია საქმეო. მე ვუთხარი, ამოდით ყველა სიმშრალეში, მოცილდით გემს, მიმიშვით მართო და მე ვიცი და ჩემმა კაცობამ, სამსახურს არ დაგამადლით-მეთქი. ბატონი ხარო, დამთანხმდა ბოცმანი. მეტი რა გზა ქონდა. ამოვიდნენ მეზღვაურებიც ნაპირზე. ჩავედი ქვევით, შევუყენე კრესიერს ბეჭი, ავწიე, ავამჩატე, მივაწეე, მივეძალე და ნელ-ნელა შევაცურე ზღვაში. რაღა დაგიმალოთ, და ძალიან გამიჭირდა.

— აბა რა იქნებოდა... — თქვა ვარლამმა ლეკვით.

— კაპიტანმა მითხრა, კაცი შენ ყოფილხარ, ქუდი შენ გხურებიაო, ადგა საკუთარი ქუდი, კომპასი და ბინოკლი მაჩუქა. ჩამომყვა სახლამდე ყველაფერი, ნაჩუქარი იყო და ვერ ვეღეოდი, მაგრამ ამასწინებზე ქობულეთში გამავაზენეს სანატორიუმში. ჩავედი თუ არა იმავე დღეს, რაღაც ბედად, სანაპიროზე გავედი. გავიხადე. ეს ბინოკლი, შენ ხარ ჩემი ბატონი, კომპასი, ქუდი, რა სათქმელია და, ჩემი მზის სათვალეც ცალკე დავალაგე. სად იყო და სად არა, მოვარდა ტალღა, დახვია ხელი ყველაფერს და დანთქა ზღვაში. ამანუა ნათქვამი ზღვის მოტანილს ზღვა წაიღებსო. ქუდზე დამწყდა განსაკუთრებით გული, თავზე არ მეტეოდა, მაგრამ მაინც, ჯიჯის კითხვით ალფაიძეს ჩემდ თუ არა გჯერათ...

— ეს ჯიჯი ალფაიძე სად არის ამჟამად, ბატონო შალიკო? — მოჩინდებით იკითხა თამაზმა.

— მოკვდა საწყალი, ორმოცდასამში დაიღუპა!



— აცხონოს ღმერთმა! — თქვა ავ-
თანდილმა.

— რა ბიჭი იყო, რა ვაჟაკი... —
მოიწყინა შალიკომ. ოთახში სიჩუმე
დადგა ცოტა ხნით.

— რა დროა ნეტავ? — იკითხა ავ-
თანდილმა.

— ჯერ ადრეა, საბარგოს არ ჩაუვ-
ლია... — უთხრა ვარლამმა.

— კიდევ თოვს...

— ალბათ...

— ეჰ, რა გავიარეთ, რა ვნახეთ. რა
ცეცხლის წვიმას გადავურჩით... — წყნა-
რად წამოიწყო და თანდათან ხმას აუწია
მასპინძელმა. — ენა ადვილად იტყვის,
ყური ადვილად მოისმენს. ჩემ ადვილზე
სხვა რას არ მოგონებდა, რას არ მოჩ-
მასხვდა, ვინ იცის, რას არ დაიბრალებ-
და. ჩემნაირი კაცი ცხოვრებაში არ
ვპარებებს, იოლად დაიჩაგრება. ტყუ-
ლი მე არ ვიცი და ტრაბახი არ მეხერ-
ხება. მხოლოდ ფაქტები: ფაქტები. უტ-
ყუარი, ჯიუტი ფაქტები. ეს არის ჩემი
დევიზი... ერთხელ უსახელო მალღობს
ვიცავდით. მტერი გვიტყევდა გააფთრე-
ბული: მარჯვნიდან და მარცხნიდან
გააწვებოდნენ შვიდი დღე და შვიდი
ღამე თვალი არ მოგვიხუჭავს: თოფები
რომ გავვითავდა, ტყვიებს „რაგატკე-
ბით“ ვისროდით.

— თოფები რა ეშმაკმა გავითავათ? —
ველარ მოითმინა ვარლამმა.

— ხდება, ვარლამ, ხდება... ომში ყვე-
ლაფერი მოსალოდნელია, ჩემგან არა-
ფერი გესწავლება, მაგრამ მანაც. მაგ
კი არა შეტყვის წინ იალბუზზე ფეხ-
ბურთი მითამაშია, ახლა არა თქვა, არ
გამიგონიაო?

— რაღაც არ მახსოვს... — დაიმორ-
ცნვა ვარლამმა.

— მთელმა ქვეყანამ გაიგო და შენ
რა დაგემართა... გაზეთშიც ეწერა...
დავხეი ის გაზეთი, რაღაც ჭირად...

— სულ წვერზე? — ვადარია ავ-
თანდილი.

— არა ბატონო, ფერდობზე. ჩრდი-
ლოეთ კავკასიის მხარეს. ჩვენი ჯარები

მაშინ გადაწყვეტი შეტევისათვის ემ-
ზადებოდნენ და არმიის შტაბმა დამავა-
ლა მტრის ყურადღება როგორმე, რამ-
დენადმე და, თქვენ ხართ ჩემი ბატონი,
სანამდისაც შესაძლებელი იქნებოდა
გადამეტანა უკიდურესი ჩრდილოეთი-
საკენ. ვიფიქრე, ვიფიქრე და გამოვძებ-
ნე გამოსავალი. მეორე დღეს შუადღი-
სას დავინიშნე მატჩი ფეხბურთში ცო-
ლიანებს და უცოლოებს შორის.
თქვენც კარგად მოგვხსენებთ, თქვენ
თუ არა, ვარლამმა იცის, ომამდე „ლო-
კომოტივში“ ვთამაშობდი. ორი ძელი
მაქვს გადამტკრებული საჯარიმო დარტ-
ყვით. მერე დავანებე ფეხბურთს თავი,
მითხრეს, მარჯვენა ფეხი უნდა დაგი-
ლუქოთო, ამაზე რასაკვირველია, მე არ
დავთანხმდი და ასე იყო თუ ისე; ჩამოვ-
შორდი ფეხბურთს, ჩემდა სამწუხაროდ.
მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და,
გავმართე ფეხბურთი უცოლოებს და
ცოლიანებს შორის იალბუზის ფეხზე.
ცოლიანების მწვრთნელი მე გახლდით,
ბატონო, და ბეკადაც მე ვიდექი.

— მოთამაშე მწვრთნელი ბრძანე-
ბულხართ... — დააზუსტა თამაზმა.

— დიახ, ბატონო, მართალი ბრძანე-
ბაა და, რაღა დაგიმალოთ, მსაჯიც მე ვი-
ყავი. მოკლედ, დავიწყეთ თამაში უცო-
ლოებმა და ცოლიანებმა. ვეყუარებენ
გერმანელები, თვალს არ უჯერებენ.
ამოცივიდნენ სანგრებიდან თხებივით,
აფიცრები ბინოკლებით შეიარაღდნენ,
შენ ხარ ჩემი ბატონი, და უმბრავლესო-
ბა კიდევ ხეებზე გავიდა. ამაზე უკეთესს
რას ვნახავთო, ეთქვათ გუნებაში. ამა-
სობაში ჩვენი ჯარები შეგრიადდნენ ყუ-
ბანში, მოუშხადებელ მტერს დასცეს
თავზარი და შემდეგ რაც მოხდა, ჩემი
მოხერხებულობის წყალობით, თქვენც
კარგად იცით, ამაზე ლაპარაკი აღარ იქ-
ნება.

— როგორ დამთავრდა ეს ამბავი, მა-
ინც ვერ გავიგე?... — იკითხა გულნაკ-
ლულმა ვარლამმა.

საუბრის მიმართ
შალიკომ ზინზიასის თამაზასაძაღვი

— რა ვერ გაიგე, შეკაცო, ხომ ვაპა-
მეთ გერმანელებს ჯაბუნაკი, შემდეგ
დაეყევეთ და დავლაშქრეთ... გავათავი-
სუფლეთ მთელი რიგი ქალაქები, და-
სახლებული პუნქტები, სადღურები,
რკინიგზები...

— ეს ვიცი, ფეხბურთი როგორ დამ-
თავრდა, ფეხბურთზე გეკითხები?

— ა, ფეხბურთი? ფეხბურთი ნო-
ლით ნოლზე, უშედეგოდ დამთავრდა.
ბურთი ჩავვივარდა ქვევით და შევწყვი-
ტეთ თამაში. ოთხიათას ხუთას მეტრზე
ვინ ჩავიდოდა ბურთის ამოსატანად, ან-
და, სად იყო ამის დრო, ან ეს იყო მთა-
ვარი? ჩვენი მიზანი ხომ შევასრულეთ?!
ახლა სიმართლე რომ ითქვას, ხომ იცით
მე ზედმეტი ლაპარაკი და თავის ქება
ჭირივით მეჩაგრება, გერმანელთა დღე-
ები ისედაც დათვლილი იყო, რა მაქვს
ღასამალავი, ომს უჩემოდაც მოიგებდ-
ნენ, მაგრამ მეტერი ხომ მაინც ბევრჯერ
გავამწარე, ჩემი გასაკეთებელი სხვას
ხომ არ გავაკეთებინე. მაინც ახლა რომ
მასხენდება იალბუზი. ბუმბერაზი, და-
თვლილი მწვერვალის ფონზე, რომ
ფეხბურთი გავმართეთ, დიდებული სა-
ნახავი იყო ნამდვილად, ვარლამ გელა-
პარაკები მე შენ! ჭამე კაცო. რამე, მო-
ეშვი ამ თუთუნს—მიუბრუნდა შალიკო
თამაზ ყიფიანს. — ვარლამის არ იყოს,
შეკაი კაცო, თუთუნს აკვლევიანებ
თავს!?

— რა ვქნა, ვერ ვეღვი... — გაიდი-
მა თამაზმა.

— მოეშვი თუ კაცი ხარ, ღვინო და-
ლიე ზომამზე; კარგი ღვინო არ გაწყენს,
შეგერგება. ამას თავი დაანებე.

... ერთხელ ღამით, გინდა დამიჯერეთ
გინდა — არა, მინდორზე დავბანაკდით.
„პერეკური“ გამოაცხადეს. ყველა მწე-
ველმა ერთად გააბოლა და კარგი დღე
იმათ იქ დაადგათ! წყალგაღმა გერმანე-
ლი სნაიპერი ყოფილიყო ჩადარაჯებუ-
ლი და სინათლის წერტილებს გამოაყო-
ლა გვერდულად ტყვიები. ამდენ ხანს არ
მიიქვამს და ახლა უნდა გავამხილო,
არც ერთს წინა კბილი არ შეარჩინა.

თუთუნის მსმელი, ბიჭო, დაწვევებზე
არ მიმყავდა. ახველებდნენ—იხრნიწე-
ბოდნენ, უადგილო ადგილებზე დასულ-
დნენ და, უკაცრავი პასუხია, იფურთხე-
ბოდნენ; ღამე ადგილმდებარეობას ანა-
თებდნენ, უნდოდათ თუ არ უნდოდათ,
ძალაში ადვილად აგნებდნენ. ერთხელ
მაკათი ვადაშვიდი ისეთ ამბავს გადაე-
ყარე, რომ ჩემ ცხოვრებაში არ დამა-
ვიწყდება.

... სად იყო და სად არ იყო, დიდი და
დამქანცველი შეტევის დროს მტერმა
მდინარეზე ხიდი აგვიფეთქა; ნაწილი
ჩვენი ჯარისა გაღმა დარჩა, ნაწილი—გა-
მოღმა. მეწინავე ჯარს ძალიან გაუჭირ-
დებოდა, ჩემი მონაზრებულობის წყა-
ლობით, დროზე რომ ცოცხალი ძალა
არ გადაგვესროლა ნაპირზე. მდინარეზე
ხიდის აგების დრო არ რჩებოდა. მტე-
რი ამდენს არ გვაცლიდა, რასაკვირვე-
ლია. წინასწარვე გეტყვი, რაღა დავ-
მალო და, ცოცხალი ხიდის აგება, უფ-
რო სწორედ, გაგება გადავწყვიტე. წამ-
ში გაიელვა ამ უცნაურმა პროექტმა
ჩემს გონებაში. დივიზიის უფროსს
თითქოს გაზრახულს მიმიხვდა, —
„პეტროვიჩ“, ვიცი, რაღაც ჩიფტიქრე
და გვითხარი, ნუ გვიმალავო. ისევ შენ
უნდა გვიშველო, ჩემო მსნელო და გა-
ჭირების ტალკვესო. შემასახელა ასე
ამნაირად. კაცს კარგი სიტყვა გეამება
თვარა ჩემს მოვალეობას უსიტყვოდაც
მშვენივრად ვასრულებდი, არც ქებას
ვითხოვდი, არც ჯილდოს, არც ჩინ-მედ-
ლებს. რაღა ბევრი გავაგრძელო და ერ-
თი ჯარისკაცი გავაწვინე წყალზე თავ-
დაღმა, ნაპირზე მე დავდექი, უფრო
სწორედ, დავექეი მყარად და ჯარისკაცი
ფეხებით დავიჭირე, მეორე მებრძოლი
ამ ჯარისკაცის წინ გაწვა, უკანამ წინას
ფეხები დაიკავა ჩემსავით. მესამე მეო-
რეს წინ გაწვა, მეორემ იმ მესამეს სტა-
ცა ხელი ფეხებში. მესამემ—მეოთხეს,
მეხუთე მეოთხის წინ გაიშალა, მეექვსე
მეხუთეს დაუწინაურდა და ასე ბო-
ლომდე. ყველამ ერთმანეთს წაატანა
ჩექმებში ხელი, სულ ბოლო ხის ფეს-



იებს. დაეპოწილა ვადმა ნაპირზე და წყლის ზედაპირზე ცოცხალი ბონდი, ბეწვის ხიდი გაიჭიმა. ერთრიგად გაწოლილი ადამიანების ზურგზე სირბილით ვადიარა რამდენიმე ასეულმა, მაგრამ რაღაც ჰირად. ცოცხალი ხიდის ერთი რგოლი, ერთი მონაწილე თავგადაღებული მწვეველი აღმოჩნდა, შუა წყალში საშინელი ხრინწვა და ხველება აუტყდა. ითმინა, ითმინა, ვეღარ მოითმინა, ამხანაგს ფეხში ხელი უშვა, ხიდი გაწყდა, ნაწილებად დაიშალა, თუმცა ჯარის მთავარი ნაწილი ვადმა იყო გადასრთილი და ამ ფაქტს ომის შემდგომ მსვლელობაზე აღარ უმოქმედია. მაშინ არაფერი მითქვამს, მაგრამ თქვენ რაღა დაგიმალოთ, მაინც ნაწყენი დავრჩი, ერთმა ადამიანმა ამოდენა წამოწყება, რომ კინალამ წყალში ჩამიყარა. მსოფლიო ომების ისტორიას, გინდა დამიჯერეთ, გინდა — არა, ასეთი გამოგონება არ ახსოვდა თურმე. სამხედრო სპეციალისტებმა ამიხსნეს, თვარა მე არც კი ვიცოდი თუ ასეთი განსაცვიფრებელი გამოგონების მეთავეკედ ვითვლებოდი. სულთანს რომ კონსტანტინეპოლი აუღია ბოსფორში გემები გადაუბამს ერთმანეთზე და ხიდი გაუკეთებია, მაგრამ ჩემნაირი არავის არაფერი ჩაუდენია. ახლა თურმე საზღვარგარეთის არმიებში ამუშაებენ ამ მეთოდს. ერთ რიგს აღარ ჯერდებიან და ოთხ და ხუთ რიგად უნდათ გაკვიონ თურმე ცოცხალი ბონდი, რათა ტექნიკა, — ტანკები და მანქანები გადაატარონ ზედ, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოუღიოთ, არც გამოუვათ. მე რომ გაჭირვებისას, გამოუვალ მდგომარეობაში სახელდახელოდ რაღაც მოვიფიქრე ის სულ ხხვა რამ იყო, თორემ ახლა ჩვენ ჯარში ისეთი ტექნიკა აქვთ წამებში აგებენ თურმე ათასნაირ ხიდებს...

— ნამდვილად, კი ასეა... — დაუდასტურა ყიფიანმა.

— რაზე გამახსენდა ახლა ეს ამბავი? — იკითხა შალიკომ. — თუთუნზე. აი რამდენად მავნებელია თამბაქო.

ჩვენი ჯარისკაცს სიმამაცეში ტოლს ვერაინ უდებდა, დღესაც გერაინ გაუტოლდება, რასაკვირველია. ამაში ბევრჯერ დავრწმუნებულვარ. ჩვენი ჯარისკაცები, ჩემი თქმა რად გვირდებათ, სასწაულებს ჩაღიოდნენ. ბევრთან სახსენებელიც კი არა ვარ, მაგრამ ჩემი სიტყვა მეც მითქვამს, თავი არასოდეს არ შემირცხვენია.

... ერთხელ, სად იყო და სად — არა, მეკავშირედ გამავზავნეს. კაბელი დაზიანდა, კავშირი გაწყდა და ცოცხალი მეკავშირე დავალების შესასრულებლად გავეშურე. მივიწყებულ, მიტოვებულ ტრანშეის გავყევი და ერთ ტრიალ მინდორს მივადექი. ვხედავ, მინდორს იქით ხევია, ხეეს იქით არყის ტყე და ბუჩქნარია. მინდორს ვავხედე, სიჩუმეა, კაცი არ ჩანს, სულერი არ ჰკავანებს. გულმა მიგრძნო, თუ რა იყო, არ ვიცი და ეს სიწყნარე არ მომეწონა, გამოცდილი, ათას ჰირს ვადარჩენილი ჯარისკაცის გუმანმაც არ მიღალატა, მაგრამ სხვა გზაც აღარ მქონდა და წამოვხტი, იმ მინდორის სირბილით ვადარება დავაპირე. თურმე სამი მხრივ გერმანელებია ჩასაფრებული, დამცხეს ყოველი მხრიდან და ყოველი სახეობის იარაღიდან. ვხედავ, ტყვიების წვიმა მოდის ჯვარდინად. გავრბივარ და ტყვიებს ეიცოლებ მოხერხებულად, ხან მარჯვნივ ვადავიხრები, ხან — მარცხნივ. თავს ხან დავწევ, ხან ავწევ ელვის სისწრაფით; მივძვრები მასრასავით და მაქოსავით ტყვიებსა და ტყვიებს შუა. ისე ოსტატურად ვიცოლებდი ნასროლს, რომ მეც მივიკირდა და გერმანელები კიდევ საკუთარ თვლებს არ უჯერებდნენ. ერთი ისე გამარზდა, რომ თოფით რომ ვერაფერი დამაკლო, ხელყუმბარა მესროლა სულ ახლოდან. ხელყუმბარა ჰაერშივე დავიჭირე და ისევ მსროლელს დავუბრუნე. ის კაციც დიდი მარჯვე ვინმე აღმოჩნდა, ყუმბარა იმანაც ჰაერში დაიჭირა და უკან მესროლა, მეც და-

აზოთ ვიფილი
შალიკო ხშირნაძის თავგადასავალი

ვიჭირე და ვესროლე, იმანაც დაიჭირა და მესროლა; ვესროლე, მესროლა, მესროლა; ვესროლე და ამასობაში ქე აფეთქდა ჰაერში. ყუმბარა, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, ამდენს კი არ ითმენს. ამ სროლა სროლაში მინდორიც გადავჭერი და ტყეში ვცვითე თავი. რაღაი მკვავ-შირეს, მოენეს და დაზვერვას მოყვა, ერთსაც გავიხსენებ, თუ თავი არ შეგაწყინეთ და ყელი არ გაგიშრეთ...

— როგორ გეკადრებათ, ბატონო, უკეთესს რას მოისმენს ადამიანის ყურის! — გამოცოცხლდა თამაზ ყიფიანი.

— ... ერთხელ, სად იყო და სად — არა, დავალემა მონაცეს ფრიად სერიოზული და სახიფათო. ამაზე შემდეგ. ახლა კი, არ დაგიმალავთ და, დავალე-ბაზე ფეხი ავითრიე. უარიც არ მითქვამს, მაგრამ ასე გამოვიდა. რაღაც ეშმაკი შემიჭდა და პიტნაში გადაზელილი ყველი და ახალი ტყემალი მოვითხოვე შუა ზამთარში. დედაბერმა იანვარში მარწყვი მონატრაო, ისე გამოვიდა ჩემი საქმე. დიდი საყვედური შემხვდა, თქვენ მუ მომიკვდებით. შეიქმნა მითქმა-მოთქმა, სხვანაირი ლაპარაკი. რაღა ბევრი გავაგრძელო და ამ ხმამ გენერლამდე მიადწია. ერთი სიტყვით, გენერალს ეთქვა: მოეშვით ამ შალიკო ზვინგიაძეს, სხვა გაგზავნეთ, რა დაგემართათო. სხვა არ გვყავს შემცვლელით, უთქვამთ. მაშინო, მიუტანეთ ახალი ტყემალი, პიტნაში გადაზელილი ქყინტი ყველი და კეცში შემწვარი, ისრამ-მაცვალში ჩაწყობილი სამტრედული წიწილებიც მიიყოლეთო. ასე იყო ეს საქმე.

— კარგი სიტყვა უბრძანებია, იმ დალოცვილს! — გაეხარდა ვარლამს.

— ნამდვილად... — დაემოწმა ყიფიანი.

— მოგიტანეს მერე, შალიკო ბიძია, ახალი ტყემალი? — იკითხა აეთანდილმა.

— კი, მხოლოდ ომბალო ვერ ემოვნათ და ქინძიც აკლდა ცრტა.

— კარგი რამე კლებია! — ეწეოდა ვარლამს.

— მოკლედ, მთავარს ახლა მოგასხენებთ, რაღა მეთქმოდა, ამის შემდეგ. წავედი მტრის ზურგში იმ სახიფათო და უცნაური დავალების შესასრულებლად, ახლა რომ ქვეყანა ლაპარაკობს და ათასნაირად ყვებიან და ასხეაფერებენ. თქვენ მაინც იცოდეთ როგორ იყო ეს საქმე სინამდვილეში. ერთ სიტყვას არ დავამატებ. ზოგიერთმა რომ იცის სათქმელს, რომ გააფორმებს და გადააჭარბებს ამას არაფრით არ ჩავიდენ და ამერიდან თქვენც ასე მოუთხრეთ ხალხს. ხალხს სიმართლე უყვარს. ტყუილს და მოგონილს, ძალიანაც რომ მოინდომო, არ დაგიჯერებს. მოკლედ, გადავფრინდი, ერთმატორიანი, პატარა თვითმფრინავით. სად იყო და სად — არა, ამოვარდა საშინელი ქარი და ქარიშხალი. ააფარდატა ეს ჩვენი თვითმფრინავი ხმელი ფოთოლივით და რაღა ბევრი ვილაპარაკო, მოატეხა ორივე ფრთა შაბივით. რას შევები ახლა? მფრინავმა მითხრა (კარგი ვაქცაცი იყო) გადახტი შალიკო, წასულია ჩვენი საქმეო. არ გადავხტი, კაცს პირში ხომ არ დავაგდებდი. გადახტიო, არა-მეთქი. არ იქნება, კი იქნება და ისევე ჩემმა აჯობა. გადავყავი კაბინიდან ხელები, გავშალე მკლავები ფრთებივით აქეთ და იქეთ და გაფრთებული ხელებით დავსვი, როგორც იქნა, ეს პატარა, კოხტა თვითმფრინავი, პატარა მინდორზე. ასეა, ვარლამ, კაცი არ დაიკარგები თუ ხელს და ცოტა ტვინსაც გაანძრევ. შევსვით და განვაგრძობ.

— მოკლედ, იმავე ღამესვე, ახლა მივადექით იმ ცნობილ ამბავს, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, მივალწიე გერმანელთა. მთავარსარდლობის საიდუმლო ბუნჯერს, როგორ მივალწიე და რა გზით და რანაირად ამას სხვა დროს გეტყვით თუ კარგად ვიქენით. სად იყო და სად არ — იყო, გამთენიის ხანს მოვსდგე ქამანდი ბეტონის ქონგურს, ავძვერი ზევით, რასაკვირველია, და სავენტელია-ცით ხვრელიდან პირდაპირ დედა დარ-



ბაზს დავაჩერდი. შევხედე, მაგრამ რას შევხედე, ჩემი თვალით რომ არ დამენახა სხვას არ დავუჭერებდი, არავითარ შემთხვევაში. გერმანელთა მთავარსარდლობის მთელი ხროვა იქ იდგა. უზარმაზარ მაგიდაზე ვადაფარებულ რუკას შემოწყობოდნენ აქედან და იქიდან. სულ თავში იდგა ჰიტლერი და ხელში დიდი წითელი ფანქარი ეჭირა. სტალინგრადის მისადგომებს, მდინარე ვოლგის ფორსიფიკაციებს, ფონს, წყალს, ხმელს და მშრალს ხაზავდა არდიგარდმო. მაშინ სტალინგრადის გრანდიოზული ობერაკცია ჯერ კიდევ არ იყო დაწყებული: არ იცოდნენ, რა შავი დღე ელოდებოდათ. მაშინ კი ვოლგაზე გამოჭრას აპირებდნენ თავიანთი მოკლე ჭკუით. მოხსენებას აკეთებდა... რა გვარია ის ფერლდმარშალი, კაცს ჭადის სახელი დაავიწყდაო.

— პაულიუსი... — შეახსენა ავთანდილმა.

— პაულიუსი. დონის ფრონტს ვინ უდგას სათავეშიო, შეაჩერა ჰიტლერმა. ესა და ეს, ბატონო უფროსოო, უთხრა პაულიუსმა. სამხრეთ-დასავლეთის ფრონტს ვინ სარდლობსო, უთხრა ვინც სარდლობდა, ზუსტად, სხვათაშორის, ამას ვერ დავუკარგავ. ცენტრში ვინ დგასო, აქეთ ვინ არისო, იქით ვინ იმყოფებაო და ასე შემდეგ. ყველაფერი ეინტერესებოდა. ბოლოს ერთ უმნიშვნელო, მაგრამ ფრიად სტრატეგიულ წერტილს დაადგა თვალი. აქ ვინ დგას, გინდათ თუ არა მითხარითო. სიჩუმე დადგა, გამხელა გაუძნელდათ. ბოლოს ერთი, შედარებით გაბედული გენერალი წამოდგა და — მანდო შალიკო ზვინგიაძის ასეულიაო. მაშინო, იყვირა ჰიტლერმა, აქ რაღას მომიყვანეთ, შალიკო ზვინგიაძე თუ მანდ იდგა, რატომ ადრე არ მითხარითო, წაგვიგია ომი და ეს არისო. ესროლა გამეტებით ფანქარი კედელს, მაგიდას წიხლი კრა. შეშინებული გენერლები, გინდა დამიჯერეთ, გინდა—არა, ერთმანეთის მიყოლებით გაიძვრნენ ბუნკერიდან. ჰიტლერი მარ-

ტი დარჩა, დაფიქრდა და ჩაილიდინა: „ჭყინტი ყველის ჭამა მიყვარს, კბილის გაკრაჭუნებაო, გოგოებში გავლა მიყვარს, თვალის ჩაპაჭუნებაო“.

— იცოდა ქართული? — უადგილოდ იკითხა ვარლამმა.

— ისე რა, ამტვრევდა... — დაირცხვინა შალიკომ.

— დათეშიძის ქალი ყოლია ცოლად და ქართული აღარ ეცოდინებოდა... — თვალი ჩაუკრა ავთანდილმა თამაზს.

— ეს კი ველარ მოვიფიქრე... — თავი მოიქექა ვარლამმა.

— კი, კი ნამდვილად, ნამდვილად... — ამოისლოკინა თამაზ ყიფიანმა, ღვინო მოკიდებოდა და ახლა უკვე ამღვრეული თვალებით ათვალერებდა სუფრის წვერებს. როდის დათვრა და მოყანყალდა, კაცმა ვერ გაიგო.

— ეს ყველაფერი, რასაკვირველია, მოგონილია, ზღაპარია... — გაცხარდა მოულოდნელად მასპინძელი. — არასოდეს იმ კაცს დათეშიძის ქალი არ უნახავს და თუ მართალი გინდათ, დათეშიძის სიძობაზეც არ ყოფილა არასოდეს ლაპარაკი...

ამას კი აღარ ელოდნენ, გამოცოცხლდნენ. თვით ლოტბარი ყიფიანიც კი შეფხიზლდა.

— ... ჯერ ერთი, იმ დროს დათეშიძის ქალი გაიანე ტვიშში იყო გამოთხოვილი და იმ კაცს თვალითაც არ უნახავს, გინდა დამიჯერეთ, გინდა—არა.

— რომელ დროს, ვინ კაცს?... რას ლაპარაკობ, გაგვაგებინე! — გაგიჟდა ვარლამი.

— როგორ რომელ დროს, არ გსმენიათ, მე და შიკლერუბერმა რომ ერთად ვიქეიფეთ?

— ვინაა შიკლერუბერი? ვინ ოხერია?

— ჰიტლერის ნამდვილი გვარია... — აუხსნა ავთანდილმა.

— გაჩერდი, თუ კაცი ხარ!

რამზო ჰაიხუვილი
შალიკო ზვინგიაძის თავგადასავალი

— ასე იყო კი... — კვლავ ამოისლ-
კინა თამაზმა.

— გუთუნებით მე თქვენ, ამ გვარის
კაცი იყო, სახელად რა ერქვა არ მახ-
სოვს და მართლა ჰიტლერი იყო თუ
სხვა ვინმე, იმას მოუყვდა პატრონი და
მყვარებელი, მაგ ისტორიამ არკეიოს.
პირველად გესმით ეს ამბავი?

— პირველად როგორ მესმის, მაგაზე
მთელი ქალაქი ლაპარაკობდა, მაგრამ
შენ თუ ვერ იცი, შალიკო, მაგ საქმეში
ნამდვილად არ ვიცოდით... — უთხრა
ვარლამმა.

— თუ არ იცოდით, ახლა გაიგე... და-
მიგდეთ ყური და ზუსტად და გასაგებად
გეტყვით ყველაფერს. დღევანდელი გა-
ბაშვილების გორა, ჩემო ბატონო, თა-
ვის დროზე შეიძინა ერთმა მდიდარმა.
ხე-ტყის სახერხი ქარხნების პატრონმა
გლებმა, ვინმე აფრასიონ დათეშიძემ.
კარგად მოაწყო სახლ-კარი და საერ-
თოდ საქმე და ანგარიში. ეს გრძელი
ამბავია, ამაზე ამყამად აღარ შეეჩერ-
დებით და მოკლედ გეტყვით, რომ ამ
გლებმა შვილი დათუშა გერმანიაში გა-
აგზავნა სასწავლებლად. ერთ მშვენიერ
დღეს ეს ბიჭი, ესე იგი დათუშა დათე-
შიძე, ათას ცხრაას თვრამეტი წელი
იყო, თუ ცხრამეტი, შეიძლება ოციც,
ზუსტად აღარ მახსოვს, არდადეგებზე
დაბრუნდა და თან ჩამოიყვანა ამხანაგი
შოკლგრუბერი, ზოგი ამტიციებს
სახლის მეპატრონის, სადაც დათუშა
ცხოვრობდა, შვილი იყო, ზოგი ამ-
ბობდა — ამხანაგია, თანაკურსელი,
რაც ნაკლებ სარწმუნოა, ჩემის აზრით.
ასე იყო თუ ისე იყო, ეს ხომ უტყუარი
ფაქტია, რომ ორთავენი ერთ მშვენიერ
დღეს ქუთაისში ჩამოვიდნენ. მე მაშინ
ყმაწვილი კაცი ვიყავი, მაგრამ მაინც
შორს მქონდა სახელი გაგდებული და
ერთი სიტყვით, დამიძახა აფრასიონმა
და შვილის საპატივცემლოდ გაშლილ
სუფრაზე დამპატიყა, რომ არ მოგატ-
ყულოთ, თამადადაც მე დამნიშნა. ახ-
ლა რომ საპარაშუტო კოშკია ზუსტად
იქ, ცაცხვებს ქვეშ იყო მაგია გაწყო-

ბილი. სუფრა ძვირფასი. ჩიტის რძე არ
გვაკლდა, რასაკვირველია. ^{შოკლგრუბერი}
ბერს კი, შენ ჯვარი გწერია, ^{ვეთო, რომ}
გორც გხედავ, ისე ვუყურებდი. მართა-
ლი გითხრათ, ახლა ამას არ ვამხელ,
არსად ვლაპარაკობ, მაგრამ ჩემიანები
ხართ და თქვენთან რა დავმალო, თუ ის
კაცი მართლა ჰიტლერი იყო სუფრაზე
როგორ დავიჯენდი, მაგრამ არ ყოფი-
ლა და რას მერჩით, ამდენს რას მალა-
პარაკებთ, ხმა გამივრცელეს, მომიგო-
ნეს... მოკლედ იმდამესკარგად, ჩვენე-
ბურად, ძველებურად მოვილხინეთ, მა-
გრამ რაცხა, ბიჭო, ის სტუმარი არ მომე-
წონა. რამდენიმე ყანწი ღვინო მოიპარა,
დედამიშვილების სადღეგრძელო არ
დაუღევია და მე მგონი, საყოვლადწმინ-
დაოც დაიყო. მე ვიფიქრე, მაგას შე-
გარჩენ და გერმანიაში გატარახებე შა-
ლიკო ხეინგიაძე დავათვერი როცა მაგის
მთქმელი ამ დუნიაზე კაცი არ და-
იარება-მეთქი?! პირდაპირ ვეტყვით და
გალახვა დავუპირე. ჩემი ხელს განძრე-
ვა და იმ კაცის გაქრობა ერთი იქნებო-
და, თუ ის მართლა ის იყო, თუ
არა და რას ვერჩოდი იმ საწყალს,
ყბებში ლანდი გადიოდა. მოკლედ, და-
თუშას მამა აფრასიონი მიმიხვდა განზ-
რახულს. შალიკო, მითხრა, სტუმარი
არ გამილახო და ეს გორა და ჯაჭვის
ხიდი შენი იყოსო. მასპინძელს ხათრი
შეეუნახე, სიტყვა სიტყვა იყო და გავ-
ჩერდი. ასე ჩაიარა ამ ამბავმა. მერე
აღარც გორა მომითხოვია, აღარც ჯაჭ-
ვის ხიდი. თუმცა რად მიწოდდა, ჩემიც
თავზე გადამიდიოდა ყველაფერი.

— ასე იქნებოდა კი... — თავი დაუქ-
ნია გაბრუებულმა ავთანდილმა და საე-
სე ჭიქას გადაავლო თვალი.

— შეიძლება, შეიძლება... — შეეჭვ-
და ვარლამი.

— ჯიჯის კითხვით, ჩემი თუ არ გჯე-
რათ...

— ჯიჯი ხომ მოკვდა, შე კაი კაცო! —
გული მოუვიდა ვარლამს.

— აბა, რა ვაქკაცი დაიღუპა, რა ვაქ-
კაცები დრჩნენ უცხო მიწაში... მოდიოთ,



ვინც უკან ველარ დაბრუნდა, ვინც თავი მტერს შესწირა, ველარ ნახა მამული, ვენახი, ცოლი და შვილი, ყველას ხსოვნა იყოს სამარადისოდ, მათი სახელების არდავიწყება ყოფილიყოს...

— ხსოვნა იყოს და არ დავიწყება... — თქვა ავთანდილმა.

— მე ბიძა დამელუბა, დედის ძმა... — ჩაილაპარაკა თავჩაქინდრულმა თამაზ ყიფიანმა.

— ამას ძმა... — ვარლამს გადახედა შალიკომ.

— მე კი ძმა დავკარგე, უმცროსი ძმა, უკრაინის მიწაში დარჩა, დედაჩემი გადაყვა კიდეც იმის ჯაერს... ხსოვნა იყოს... — ამოიხსრა ვარლამმა და სასმისი დაცალა.

— ნათელი იქ დაადგეს სუყველას! — წარმოსთქვა შალიკომ და ფეხზე ამდგარმა შესვა ეს სადღეგრძელო.

— ეჰ, ეჰ!... — დაიბუხუნა შალიკომ. ჩვენ კარგად ვიყოთ, მშვიდობა ნუ მოიშალოს დედამიწაზე, ღმერთმა თქვენს მოდგმას, თქვენს მონაგარს აქაც და იქაც ომის სიმწარე და საშინელება არ ანახოს. ჩემ ამბავს კი ვინ მოთვლის, ვინ აღნუსხავს, რაც მე თავს გარდამხდენია, ვინ დაწერს, შთამომავლობას ვინ ამცნობს? ამაზე მწყიდება გული, მეტზე კი არაფერზე. ვინ იცის, რამდენი მდინარე გადამიცურავს, რამდენი ჰაობი გამიტოპია, რამდენი ტყვია და ყუმბარა ამიცილებია, ბევრი მომხვედრია კიდეც, მაგრამ არ დავცემულვარ, არ გავტეხილვარ, სიმხნევე არ დამიკარგია... მინდორში ტანკი დამდევნებია, ლულაში ქული ჩამიჩურთავს, თავზე მოვხტომივარ, ავშარა ამომიდვია, ჩემ ნებაზე მიქნებია. შაშხანის ტყვიით ოთხმოტორიანი თვითმფრინავი ჩამომიგდია, გერმანელთა არმიის განლაგებაში ტელეფონის მეთულები გადამიჭრია. გალანებს ვანგრევედი, ხიდებს ვაფეთქებდი, მატარებლებს ლიანდაგებიდან ვყრიდი. ყველას ერთად ვინ მოყვება, ზოგი დღეს მითქვამს, ზოგი ხვალისათვის შემიწახნა.

... ომი რომ დამთავრდა, ეს ყველა იცით მე მგონი, გამარჯვების პარადზე თეთრ ცხენზე ამხედრებული, თეთრი ნაბდის ფრთალოთ რომ შემოვედი მოედანზე, შალიკო მოდის ხვინგიაძეო, — დაიძახა ვილაცამ. მაშინ მიეხვდი, როგორ ვეყარებივარ ხალხს!

ავთანდილი მოულოდნელად ფეხზე წამოდგა და სასმისი აწია.

— შენ გაგიმარჯოს, შალიკო ბიძია...

— რა გეჩქარება, შე კაი კაცო!

— ყველაფერს თავის დრო აქვს, შალიკო ბიძია.

— მართალია, მართალია... — ამოილულულა ლოტბარმა ყიფიანმა.

— რას მელაპარაკები ავთანდილ, წლის ტოლი დამეა ჩამომდგარი, ჩემ ქურებს ჯერ ფსკერი არ გამოჩენია, ჩემს მარან-ბელლებს სიმძიმისაგან ჯერ წელი ვერ გაუმართია...

— კი კი... — ამოიკენესა ყიფიანმა.

ავთანდილმა ამხანავს გადახედა. შალიკომ გაიღიმა ლოტბარს ბეჭზე ტორი მოუთათუნა.

— შენ გაგიმარჯოს, შალიკო ბიძია, — თავიდან წამოიწყო ავთანდილმა. — ჩვენო უფროსო მეგობარო, მაისი ტოლო კაცო, საყვარელო ადამიანო, მართლაც ათას ჰირს გადარჩენილო, მშრომელო, პატიოსანო, ალაღმართალო...

— მადლობთ, მადლობთ...

სტუმრები მალე წავიდნენ. პალატში სიჩუმემ დაისადგურა. ღუმელში ცეცხლი დაიღველდა. შალიკო ხვინგიაძეს ძილმა დაძალა. რამდენჯერმე ჩათვლიმა და გამოფხიზლდა. ვარლამს არ ეძინებოდა. აბოლებდა, ღუმელს დაჩერებოდა მოწყენილი და დარდიანი.

— თოვს კიდეც ხომ? — ყრულ იკითხა შალიკომ.

— თოვს და თუ დილაძე არ გადაიკარა, სახლები გადმოსათოფელი შეიქნება...

— მერე რა გამიყვანს სახურავზე?..

რეკონსტრუქციის
შალიკო ხვინგიაძის თავგადასავალი

დაინგრევა სახლი, ბიჭო, ვერ გამძღლებს...

— მაგას ნუ ჯავრობ, ვადმოვალ და ვადმოვთოვლავ, თუ საჭირო იქნა... ახლა კარგად იყავი!

— შენც მიდიხარ, ბიჭო?

— წავალ, დროა... დილით ადრე უნდა ავდგე, მოისვენე შენც... — ვარლამმა გამობუნებული, ლურჯი შინელი ჩამოიღო და მხრებზე მოისხა.

— რა გაუძღლებს, ვარლამ, ამ ზამთარს? — იკითხა შალიკომ.

— მალე გაზაფხულდება, ბებერო, არ შედრკე... — გაიღიმა ვარლამმა და პალატის კარი გამოაღო.

— მაინც მიდიხარ?

— ხვალ საღამოს ისევ ვადმოვალ იკითხავ... ჰო, ჰო, როგორ თოვს!.. — წამოიძახა გაოცებულმა ვარლამმა და

თეთრად ჩამომხობილ ცარგვალს ატოვებდა.

— ასე თოვდა მაშინაც, ალბები გადავლახე! — გაიხსენა შალიკომ.

— ალბები შენ გადალახე თუ სუფროვმა? — იკითხა ვარლამმა.

— მე, მე... — ძილბურანში ჩაილაპარაკა შალიკომ.

ვარლამმა კარი გაიხურა, წავიდა. ფეხის ხრამუნიც მალე მიწყდა და კიშკარიც მიიხურა რბილად.

თოვდა. კირქვიანი გორები, ღობეები, ყორეები, დაორთქლილი შპალები, აპრილებული რელსები და სახლები ინთქმებოდა სითეთრეში. სადღაც ჩათბილული მამლები ყიოდნენ უხალისოდ.

მიმქრალ ღუმელთან, თხის ტყავგადფარებულ საკარცხულზე თვლემდა შალიკო ხვინგიაძე და დათოვლილ, მზით აელვარებულ, დიდებულ ალბებს ხედავდა.



დ უ მ ი ლ ი

გამოიდარა და თოვლისფერი
 მოჩანს სამრეკლო, —
 შორს მთების ანძა.
 ცის სიმრუმეში დუმილის ხელით
 ვიღაცა აჩენს ღრუბლების ხანძარს...
 ვდგავარ
 დილისკენ ხელაღმართული —
 არ დამეკარგო წყვდიადში, არსად!

ს ა მ უ რ ზ ლ ი

ერთი ფრთის გაშლა ზეცა მაქვს,
 მწვეანე, ირმების საძოვნი.
 ერთი მხრის გაშლა მიწა მაქვს,
 ჭრელი ვეფხვების ნაწოლი.
 ერთი პატარა მდინარე —
 ხმლებით ნაკეჭნი სტრიქონი.
 წვეთებს და ფერებს უუმატებ
 თუკი სად რამეს ვიპოვნი.
 ჯურღაის ფარზე დამხოზილთ,
 შევტირი ქართლის გალაგნებს.
 და მთები —
 ღურჯი ხოხბები
 ტაძრებს ფრთების ქვეშ მალავენ.

უ კ ლ ე ვ ე ლ ი

აღარც კი მახსოვს როდის დავიწყე
 ამ ჩრდილის ჩორკვნა, რომელიც კედელს
 აპკვრია ჩუმად,
 თან ცახცახებს და იზმორება...
 ეს მე ჩამოვჭერ დიდი ხნის წინათ
 დაბურულ ტყეებს,
 ფიორკნი, რომ მივცე დაწმენდილი სახე, იერი.
 ის კი გრძელდება, იძაგრება, იშლება მაინც —
 გასაქცევად მიიწევს ტყისკენ, თავის ძველ
 სამყოფს ეტანება,
 ვწვალობთ ორივე.
 სანამდე ორივე ერთ სხეულად არა ვქცევულვართ,
 სანამდე სისხლით გაჭედილი ვეება ძარღვი
 უკანასკნელად არ შეტოვდება.

დავანთე ცეცხლი...

ჩუმად ვითობ ზაყინულ თითებს
ცას უერთდება მზისფერი კვამლი —
და ვტკბები ცქერით.
მტრედების გუნდი გახვეულა ცეცხლის ბურუსში
ჩამესმის ჩუმი,


ძალზე ჩუმი ღუღუნის ხმები...
ვზივარ და როგორც პატარა ბიჭი —
ვეპოტინები კვამლის თხელ კიბეს.

გ ა ხ ს ე ნ ე ბ ა

დიდხანს მელოდნენ, და მერე რადგან
კვლავ გამახსენდა წარსულის ჩრდილი,
მე გადავკეცე გზები თანდათან,
მიმქონდა სევდა ცრემლივით თბილი.

ჩაჩეხილიყვნენ მთებში ნისლეები
და ივსებოდა ხევი ჭურვივით...
ძირს კი არაგვი მიშრიალებდა
სიცოცხლითა და მზით აღჭურვილი...

მისადმი რწმენით სული აღვანთე,
მთებმა მომიძღვნეს ფერი ულევო...
სად მაღალ კლდეებს ვით აბლაბუდა
ეკიდნენ ჩემი ნაფეხურები.



იმ დიდ ღამეში

გრაგოლ აბაშიძეს

მარტის საღამო მოვიდა ჩუმად
და ჩემს სარკმლის წინ შევბით დაეშვა...
და მე ვეძახი გულდამწვარ თურმანს,
რომ გამოვსტაცო სევდა-კაეშანს...
თვალცრემლიანი მიჭყვება ცაგო
ღამის სიმშვიდეს და იკარგება...
და მთები დუმიან და დგანან ცალკე,
მთებსაც კაცივით უნდა გაგება...
ეჰ, საქართველო თვით იყო ვაჩე
თვალეზღასრილი და გულდამწვარი...
იმ დიდ ღამეში სიცოცხლე დარჩა,
სიცოცხლე დარჩა დაუსარჯავი...
და შენ გეძახის ყველა აღმართი
და ვერ გინილაუთ წამით ნაღვლიანს...
ამას გავალებს ქვეები ბაგრატის,
შენი გელათი და სათაფლია...
სულში აფრენილ თბილ-თბილ სტრიქონებს -
მწეს ჩავახუტებ დილაადრიან...
ნეტავ გული ვინ გამოიგონა,
სითბო ამდენი ვით ჩაატია...
შენ აგაფეთქებს წარსულთან ერთად
ჩვენი დღეების თვალის შევლება...
ქართული ლექსი არ იყოს ქვეყნად
მაგ გულის პატრონს რა გეშველება!
მაშინ ჩვენს გულებს რა ეშველებათ..



მე ვინა მიყვარს მესხური

მზე წითლად ამოიწვერა.
ვარ ლექსის ეშხში შესული:
მიყვარს მესხური სიმღერა,
მე მიწა მიყვარს მესხური.

მაღლა მავალი მზე-მეკვლე,
მაღალ ფიქრებში წასული.
ხმაღრაგებული ერეკლე,
გარინდებული აწყური.

თამარის ციხის ნანგრევის
ვინც ამაყი ცქერანი.
თვით ათაბაგი ნახმლევი
და ქვადქცეული მერანი.

ვუმღერ ამ ციდა, თუ მტკაველ
მიწას — მზის გულს და მთის ჩქერანს.
აქ უმღერია რუსთაველს
და რაა ჩემი სიმღერა?

პოეზიის და მზის კერა
ლექსის ეშხშია შესული:
მე მიყვარს მესხის სიმღერა,
მე მიწა მიყვარს მესხური.



პეთანლილ სიხაპე

მე პხელავ ტურიზმის რესპუბლიკას!

„სიცოცხლე იმიტომაც არის მშვენიერი, რომ შეიძლება მოგზაურობა“.

პ რ ე ვ ა ლ ხ ე ი

ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ისტორიას — საბჭოთა ადამიანების ბედნიერების, გაჯანსაღებისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლის ისტორიას — კიდევ ერთი ნათელი ფურცელი შეემატა: საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ 1974 წლის 11 იანვარს მიიღეს დადგენილება „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“, რომელშიც დიდი ყურადღება ეთმობა ჩვენი რესპუბლიკაში ტურისტული მოძრაობის გაშლისათვის საჭირო მატერიალური ბაზის შემდგომ განმტკიცებას; 1976-1980 წლებში ტურიზმის ობიექტების მშენებლობისათვის 36,4 მილიონი მანეთი იქნება გამოყოფილი.

მაინც, რამ განაპირობა ესოდენ დიდი ყურადღება ტურიზმისადმი? ყველაფერი რომ ნათელი გახდეს, მოდით პასუხი გავცეთ ერთ კითხვას:

რატომ არის ტურიზმი?

თეორეტიკოსების სხარტი პასუხი აქ არ გამოგვადგება. ორიოდ სიტყვით ვერ განუმარტავთ ტურიზმში ჩაქსოვილ უზარმაზარ შინაარსს იმათ, ვინც არასოდეს მდგარა ტურისტულ ბილიკზე, არ უმოგზაურია მისთვის საინტერესო ქვეყნებში, ღამე არ უთევია მდინარის პირას გამოართულ კარავში. მითთვის ერთი პატარა ტურისტული მარშრუტის აღწერა მომიწევს:

ოცაკვიანი ჭგუფი, სტუდენტები და მათი პედაგოგა, ავტობუსით საკურორტო აღ-

ვალს — წოდორეთს ეწვია; აქ მოლაშქრეებმა დაიბრუნეს ავტობუსი, მოიბრუნეს ზურგჩანთები და დასაველეთისაკენ აიღეს გეზი. პირველი სიამოვნება წოდორეთის ტბითა და მის გარშემო ატეხილი ტყეებით განიცადეს, პატარა უღელტეხილზე ასულებს კი თვალწინ მშვენიერი სანახაობა გადაეშალათ: მწვანე ხეობაში ვერცხლის ქამარივით მოჩანდა დაღმისწყალი, მუხის ტყეებში აქა-იქ შუქად გამოიყურებოდა ნაძვის კორომები, მარჯვენა ფერდობზე კი აღრეული შუასაუკუნეების ძეგლი — მანხანის ეკლესია გასაფრენი არწივით წამომართულიყო (ერთ ღროს სწორედ აქედან გადასახლდნენ კახეთში მანხანაელები). მოგზაურებმა ამ ეკლესიის ეზოში ისაუბრეს, გული გაიგრილეს სუფთა ნაკადულის წყლით და შეუყენენ აღმართის ლეღობისაკენ. ლეღოში მცხეთის რაიონის ფერმის მუშაკებსა და თავის სოფელზე შეყვარებულ ერთადერთ მცხოვრებს სანდრო ბექაურს ესტუმრნენ. სანდრო გულუხვი მასპინძელი აღმოჩნდა: ტურისტებმა მისგან გაიგეს, რომ 1922 წელს მისი სახლის წინ მდებარე ტყეში ლეღობელებმა მოკლეს თალიშინიდან გადმოხვეწილი ვეფხვი.

შვის ჩასვლისას მოგზაურები დიდგორის ისტორიული ბრძოლის ადგილს მიაღწენ. ხელოვნური ყორღანის (გადმოცემით, ეს ყორღანი დაღუპული ქართველების ერთ დიდ საფლავს წარმოადგენს) გვერდით კარები გამოხსნის და გამრედილდ ისაიღებს, შემდეგ კი ყორღანის წვერზე მოექცნენ. ნახულის განცლით მონუსხულ სტუდენტებს პედაგოგმა აუწერა დავით აღმაშენებლის მიერ გადახდილი

ბრძოლის ისტორია (შინ ტურისტულ ლაშქრობამდე სპეციალურად დაამუშავა ეს მასალა), შემდეგ კი მიმართა ახალგაზრდებს:

— ბიჭებო, ეს წმინდა ადგილია, ამ ბორცვის ქვეშ იმ ბრძოლაში დაცემული ქართველები განისვენებენ...

ფეშქაძე ა დააყოვნა. ცხრაშეკმა პირველ-კურსელმა მუხლი მოიდრეკა და მიწას ემთხვია, მასწავლებლის თვალზე კი ბიჭების ამ მოულოდნელი მოქმედებით გამოწვეული ცრემლი აციმციმდა...

მეორე დღით დათვლიერეს 5 მდინარის — დიდმისწყლის, ვერეს, კავთურას, ნინბურასა და ხეობრძელის სათავე — დიდგორის მთა, გამართეს შეჯიბრება ფეხბურთში და სადილის შემდეგ ხეობრძელს ხეობაში დაეშენნენ.

„ხეობრძელს წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამოვია,“ —

გახსენა ერთმა მოლაშქრემ და წყალს დაეწაფა. სხეებშიც მიხამეს. პედაგოგმა კი არ დააყოვნა დალოცვა:

— იმ დღი ხეობრძელის გული გამოგყოლოდეთ, ბიჭებო!

სოფელ ხეობრძელს ავტობუსი დახვდა და თბილისისაკენ აიღეს გზი. მიმართული სიმღერით შემოვიდნენ დედაქალაქში.

ახლა კი, მოდით, ჩამოვთვალოთ ის სიკეთე, რაც ახალგაზრდებმა მიიღეს ამ ორდღიანი ლაშქრობით:

1. საშყაროს ბუნებრივმა ძალებმა — მზემ, წყალმა და ჰაერმა კიდევ ერთხელ მოახდინა სასურველი ზემოქმედება მოლაშქრეთა ორგანიზმზე („ამ ორ დღეში როგორ გავშავდით, ხალხო, სახლში ვეღარ გვიცნობენ!“ — სტუდენტი ავთანდილ ქუთელი);

2. მთელი ძალით ამოქმედდა ტურიზმის საგანმანათლებლო მხარე („რა ვიცოდით, თუ ჩვენი წინაპრები ამ ზეობიდან იყვნენ?“ — ნახანაელი სტუდენტი შაქრო ტოკლიაშვილი; „სირცხვილია, დღემდე არ ვიცოდით, რომ თბილისიდან რაღაც თხუთმეტჯერ კილომეტრზე ასე ძველი ძეგლი დგას“, — სტუდენტი ამირან ქართველიშვილი; „დიდგორის ბრძოლაზე წიგნი კი მქონდა წაკითხული, მაგრამ ბრძოლის ველის უშუალო ხილვით უფრო მეტი გავიგე!“ — სტუდენტი ჩალხია უნიკარაული);

3. მოლაშქრეებმა შეიძინეს ახალი მეგობრები („რა დიდებული კაცი ყოფილა მონადირე სანდრო ბეჭაური, მომავალ წელს აუცილებლად ვესტუმრები!“ — სტუდენტი გურამ გულბანი);

4. დაუახლოვდნენ მშობლიურ ბუნებას („ვინ იფიქრებდა, რომ თბილისიდან ასე ახლოს ბორჯომის ხეობის მსგავს ნაქვარს ვნახავდით?“ — სტუდენტი ნუგზარ ხურციეძე. „სიყვდილაღმდე

რა დამვიწყებს, დილაადრიან ბუღბუღებდა გალობამ რომ გამომაღვიძა!“ — სტუდენტი სოლომონ მეტრეველი);

5. და ბოლოს, ყველაზე ძვირფასი რამ: ახალგაზრდების სულსა და გულში გაღვივდა კიდევ ერთი ნაპერწკალი, რომლის გარეშე ზედმეტია ლაპარაკი სწორ ზნეობრივ აღზრდაზე („არა მგონია საავიაციო ნაბიჯი გადადგას იმ ახალგაზრდამ, რომელიც გულწრფელად მოიყრის მუხლს გმირთა საფლავზე და დღი წინაპრის პატივისცემის ნიშნად მის საყვარელ წყაროს დაეწაფება“, — ლაშქრობის ხელმძღვანელის დოქ. კონსტანტინე ასტახიშვილის დღიურიდან).

აი, რა არის, მეგობრებო, ტურიზმი!

მს ბრძენისებური საპარტიველიცა!

...თბილისს უცხოეთიდან ჩამოსულ ტურისტთა ექვსი ჯგუფი ესტუმრა. კუს ტბის პირზე აღმართული ტურისტული საბჭოს მკალივი შენობა სტუმრებს ფართოდ უხსნის კარს.

— პირველი ჯგუფის წევრები, — განმარტავს ადმინისტრატორი, — გავმგზავრებთან მცხეთაში, იქიდან საბაგირო გზით ავლენ ჯვრის მონასტერში, შემდეგ კი ასევე საბაგირო გზით ზედაზენს ესტუმრებთან. ღამეს გაათივენ იქვე. სასტუმრო „ზადენში“. დანარჩენ დღეებს ბიჭუნდის ტურბაზაში გაატარებენ.

მეორე ჯგუფი შეველმფრენით ბაყრაინასა და ცხრაწყაროში ავა, ღამეს გაათივენ სასტუმრო „შხიურში“, ხოლო შემდეგ რამოდენიმე დღეს იცხორებებს ტბაწყურის ტბის შუაგულში მოწყობილ კომფორტულ მცურავ სასტუმროში.

ასევე საინტერესოა მესამე ჯგუფის მარშრუტი. იგი ერთ დღეს დაჰყოფს აი-ღამას ტურისტები მე-9 კორპუსში; მეორე დღეს კი ტურისტები შეველმფრენით გადავლენ ლატფარის გადასასვლელზე და მესტაში დარჩებიან; საბაგირო გზით დაათვალიერებენ თეთნულდისა და უშბის კალთებს.

მეოთხე ჯგუფი ქუთაისიდან ესტუმრება მოწყობილ და გელათის დაათვალიერებს ქალაქის ახალშენებლებს, ბოლოს კი მოგზაურები გუგული—მატარებლით შევლენ სათაფლიას გამოქვაბულის სიღრმეში და ნახავენ მსოფლიოში უნიკალურ კარსტულ მღვიმეს.

ბედმა გაუღიმა მეხუთე ჯგუფს: იგი დაესწრება მონორელსური გზის გახსნას, რომელიც რესპუბლიკაში ტურისტული მოძრაობის განვითარების გეგმით აშენდა; მონორელსური გზა გარს უვლის თბილისს, ვაიფლის კუს ტბას, მამადავითს ქედს, კომკავშირის ხეივანს, კრწანისს, საავიაციო ქარხანას, ლოკინის დასახლებას, თბილისის ზღვის სიღლილი სანაპიროს, გლდანის დასახლებას, დიდმის მასივს, გადაკვეთს საბურთალოს და კუს ტბის მიდამოებში შეკრავს წრეს.



მეექვსე ჯგუფი მატარებლით ხევისრეთს გაემგზავრება და...

არა, ეს უკვე მეტისმეტი მოსდის ჩემს ფანტაზიას, რომელმაც ერთი წუთით წარმოიდგინა თუ როგორი უნდა იყოს მომავალი ჩვენი ტურისტული საქართველო. ამჯერად კი უმჯობესია მოვეუსმინოთ საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების საბჭოს თავმჯდომარეს გობრონ ჯოხთაბერიძეს და ვთხოვოთ მას ისაუბროს როგორც დღევანდელ ტურისტულ მოძრაობაზე, ისე მის უახლოეს მომავალზე:

„ამჟამად, — თქვა მან, — საქართველოში 33 ტურისტული ბაზა და 12 ფილიალი მოქმედებს. 11.500 ადგილით ჯერ კიდევ ხუთი წლის წინ გაგაჯანდა 51 საკავშირო და ადგილობრივი მარშრუტი, რომელთა რიცხვმაც ახლა 80-ს გადააჭარბა. მიმდინარე წელს მოვემსახურებით 300-ათასამდე ტურისტს. წლის მანძილზე მოეწყობა 24 ტურისტული და ამდენივე თეატრალური მატარებლის მოგზაურობა, ასევე გათვალისწინებულია ორგანიზებული მოგზაურობანი გემებით, თვითმფრინავებით და, ცხადია, ფეხით. ამჟამად ტურისტთა მომსახურების მოცულობის მიხედვით ჩვენი რესპუბლიკა მეორე ადგილზეა უკრაინის შემდეგ. პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 11 იანვრის დადგენილების მიხედვით გათვალისწინებულია ტურისტული კომპლექსის შექმნა ვაგრაში, (2500 ადგილზე); ბობოყვათში (3000 ადგილზე), ბათუმში (1400 ადგილზე); უნდა აშენდეს ტურისტული სასტუმროები თბილისში, გუდგუთში; სოხუმში, ოჩამჩირაში, მცხეთაში. ბაკურიანში, ცხინვალში, ოქროს ნაპირზე და ლენტეხში.“

დაიწყება მცხეთა-ჯვარის საბაგირო გზის მშენებლობა, ხოლო მიმდინარე წელს მწყობროში ჩადგება ახალი ათონის ქარსტული მღვიმის ტურისტული რკინიგზა.

მაგრამ ტურიზმის ფართო განვითარებას ჯერ კიდევ ბევრი ნაკლოვანება აფერხებს...“

აქ საჭიროდ ვთვლი ვაგაყვითო ციტირება ტურისტული მოძრაობის ხელშემდგენელთა ერთი თათბირის ძალზე შემოკლებული სტენოგრაფიდან:

„გ. ჯოხთაბერიძე — საქართველოს მშენებლობის სამინისტროს მიხედვით მთელი რაივი ტურისტული ბაზები ექსპლუატაციაში შედის დიდი დავიანებით, ვერ ვიყოფიებთ მათ მშენებლობაზე დაშვებულ თანხას. მეჩვენებ ხუთწლედში ჩვენ ვერ ავითვისებთ 3 მილიონი მანეთი. მიმდინარე ხუთწლედის სამ წელს კი ეს თანხა 2 მილიონამდე ავიდა. ვერა და ვერ მოკვარდა რკინიგზითა და ავიაციით ტურისტების ორგანიზებულად უკან დაბრუნება, რაც ხშირად აშხამებს ხოლმე ტურისტს მიღებულ სიამოვნებას. ასევე ავტოტრანსპორტის სამი-

ნისტრო ვერ გავწვდის ხოლმე ავტობუსების საჭირო რაოდენობას.

განსაკუთრებით სამწუხაროა ის ფაქტი, რომ ტურიზმს ნაკლებად მისდევს ჩვენი ახალგაზრდობა. ზოგს კი დასვენების, ჯანმრთელობისა და შემეცნების ეს აქტიური საშუალება წარმოუდგენია როგორც ბუნების წიაღში უახლო დროსტარება და ღრეობა. დროა, მოსახლეობის დასვენებისა და ტურისტული ლაშქარბების ორგანიზაციაში თავიანთი სიტყვა შექნან საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებმაც.

ო. ბობოხიძე (თბილისის ტურისტული კლუბის დირექტორი): ჩვენი კლუბი ყოველთვის მზადაა მომსახურება გაუწიოს ტურიზმის მოყვარულთ, ბევრი სრავებლობს ჩვენი ინვესტირება და მეგობრული მითითებებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ ვერ ვკაძნობთ მოსახლეობის ისეთ სწრაფვას ტურიზმისადმი, როგორც ეს მომავალი ტურისტული რესპუბლიკის დედაქალაქს შეეფერება.

ვ. სიხარულიძე (საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს პრობაგანდისა და გამომცემლობის სექციის თავმჯდომარე): იმ მიზეზთა შორის, რომელთა გამო ტურიზმი მასობრივად არ არის განვითარებული ჩვენში, არსებითად მიმაჩნია ამ საქმეში რეკლამისა და სათანადო პრობაგანდის დაბალი დონე. ძალზე ცოტა გვაქვს ბროშურა, ბუკლეტი, პლაკატი, საექსკურსიო მარშრუტების მეგზურები ქართულ ენაზე. ყარგი იქნება, თუ პროფკავშირული ორგანიზაციები მოიფიქრებენ და ტურიზმის მოყვარულებზე გაყიდიან მოკლევადიან, ორდიან საგზურებს ღამისთევითა და კვებით.

ო. ბარათაშვილი (საქართველოს ალკ თბილისის კომიტეტის სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგე): ტურიზმის ფართოდ დანერგვასა და განვითარებაში პირველი სიტყვა ახალგაზრდებმა უნდა თქვან. ეს ხომ მათი ლეიძლი საქმე და მოწოდებაა? იმაში, რომ ჩვენში ტურიზმი ჯერ კიდევ არ არის გავრცელებული, ბრალი, რასაკვირველია, კომკავშირულ ორგანიზაციებსაც მიუძღვით. ეს ნაკლი დროზე უნდა გამოვასწოროთ, ტურიზმით ახალგაზრდობის გატაცება მისი შრომისა და დასვენების განუყოველ ნაწილად უნდა გადავქციოთ.

მ. უთმელიძე (საქართველოს ტურიზმისა და ექსკურსიების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე საზოგადოებრივ საწყისებზე): მოსწავლე-ახალგაზრდობა რომ უფრო ფართოდ ჩავაბთ ტურიზმში, საჭიროა ტურისტული სექციების გამრავლება. საშუალო სკოლებში იკანა გვყავს ტურიზმის

აშთანდოლ ციხაძე
მე მზამაზ ტურიზმის რესპუბლიკას!

გამოცდილი ორგანიზატორები. უმაღლეს საწველებლებსა და ფაბრიკა-ქარხნებში სისტემატურად უნდა ეწყობოდეს დათვალიერება-კონკურსები, მოწინავე გამოცდილებს გაზიარება.

ქ. ჯავრიშვილი (თბილისის ტურისტული კლუბის გამგეობის თავმჯდომარე): სამწუხაროდ, თბილისში და რესპუბლიკის სხვა ქალაქებში არცერთი სელაგეზი არ გვაქვს ნიშნულში. გზებისა და ტურისტული ბილიკების ნიშნულში ბუნების დაცვასაც ემსახურება, რადგან მოგზაური მიუყვება მხოლოდ ამ ბილიკს, არ თელავს მცენარეულ საფარს. მოსაგვარებელი საორგანიზაციო საკითხებზე: ჩვენი მილიონიანი დედაქალაქის ტურისტულ კლუბში მხოლოდ 2 სასტაო თანამდებობაა, ამ ადამიანებს არა თუ შეთოდური დახმარება, თბილისის ტურისტული სექციების უბრალო შემოვლაც კი ვაუჭირდებათ. საჭიროა რაიონებში დაშვებულ იქნას ტურიზმის ინსტრუქტორის ერთი შტატი მაინც.

მწარე სინამდვილეა ეს ყველაფერი. ჯერჯერობით ბევრი რამ მართლაც გასაკეთებელია, მაგრამ დღეს იქნება თუ ხვალ საქართველო მაინც იქცევა მსოფლიო ტურისტული მოძრაობის ერთ-ერთ ცენტრად. ჩანს ჩვენი თავბრუდამხვევი სილამაზის ბუნება ისევე წარმოუდგენელი იქნება ტურისტული ბილიკების გარეშე, როგორც ქართული დროშა უსინებოდ!

მადლი ტურიზმისა

ეკითხოთ ტურიზმის თეორიის თავაკ სპეციალისტებს, კონკრეტულად მაინც რაში გამოიხატება ტურიზმისგან მოსალოდნელი სიკეთე?

პ. ო. ფ. ნ. ნარიაშვილი (ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტი): ტურიზმი, პირველ რიგში, ორგანიზმის მრავალმხრივი განვითარების, განმრთვლების განმტკიცებისა და სიცოცხლის გახანგრძლივების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. იგი აწვითარებს მუდამ ცვალებადი გარემო პირობებისაღმე ორგანიზმის შეგუების უნარს. ეს შეთანხმებული კი განპირობებულია ორგანიზმის სომატური და ვეგეტატიური პროცესების იმ განვითარებით, რომელიც ტურიზმის გავლენით მიიღება. ტურიზმი განსაკუთრებით კარგად აწვითარებს გულ-სისხლძარღვთა სისტემას, სუნთქვის ორგანოებს, თერმორეგულაციის მექანიზმსა და სხვა ორგანოების ფუნქციებს. აღსანიშნავია, რომ ორგანიზმის ნეოთერებათა ცვლისა და ენერჯის ხარჯებს მხრივ ტურიზმი სპორტის არცერთ სახეს არ ჩამორჩება. ტურიზმი განსაკუთრებით კარგად აწვითარებს გამძლეობას. ამ მხრივ მისთვის დამახასიათებელია ერთი მეტად მნიშვნელოვანი თვისება,

სახელდობრ: თუ ჩვეულებრივი კონთინენტი მოიბის დროს დადლის სუბიექტური შეგრძნება ხშირად წინ უსწრებს მის ობიექტურ ცემებს, ტურიზმის დროს პირიქით ხდება; ეს გამოწვეულია იმით, რომ მოგზაურობისას ორგანიზმზე მოქმედებს განუწყვეტლივ ცვალებადი და ერთმეორისაგან მეტისმეტად განსხვავებული გარემო გამოზიანებლები. ამის შესაბამისად დაიბო ტენიის ქერქის სხვადასხვა პუნქტებში ასევე განუწყვეტლივ იცვლება ლეზნება-შეკვების პროცესი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დიდი ტენიის ქერქის მრავალადგალთა შორის ურთიერთინდუქციური მოქმედების ხშირი ცვალებადობა ახანგრძლივებს ორგანიზმის მუშაობის უნარიანობას.

პ. ო. ფ. ვლ. ნ. ორაკიძე (ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი): მე, როგორც ფსიქოლოგი, ცხადია, პირველ რიგში ტურიზმის ფსიქოლოგიური საფუძვლები მაინტერესებს. ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება — შრომა, მოქმედება, მაშინაც კი, როცა იგი წარმატებით მიმდინარეობს, მოითხოვს დიდ ფსიქოფიზიკურ დაძაბვას. ხშირად ყოველდღიურობას თან სდევს მიზნის მიუღწევლობასთან დაკავშირებული წუხილი, შოთა, უკმაყოფილება, ზოგჯერ ჩნდება გარემოსთან მიმართებაში ერთგვარი გაუცხოების მდგომარეობაც, რომელიც წარმოშობს კონფლიქტურ ვანცდებს. ყოველივე ეს იწვევს ადამიანის სასიცოცხლო ძალების მოდუნებას, აქტივობის დაქვეითებას სწორედ ასეთ მდგომარეობაში საჭიროა ორგანიზმის სასიცოცხლო გარემოს შეცვლა, ისეთ სიტუაციაში ჩაყენება, რომელიც აამოქრავებს პიროვნების იმ ძალებს, რაც საჭიროა აქტიური შემოქმედებითი ცხოვრებისათვის. ხშირად მქონია შემთხვევა მიმელო მონაწილეობა ტურისტულ ღონისძიებებში, დავკვირვებივარ თუ როგორ იქცეოდნენ მოგზაურობის დროს ის ადამიანები, რომლებიც ყოველდღიურ ურთიერთობაში ჭირვეულობას, ღვარძლიანობას, საერთოდ ხასიათის უარყოფით ნიშნებს ავლენენ. უმრავლეს შემთხვევაში ასეთი ადამიანები ტურისტული მოგზაურობის დროს გარდაიქმნენ, მოიკცა ოპტიმიზმი, ხალისიანმა გუნებ-განწყობილებამ, გახდნენ მეტად თბილი, ამხანაგადი, მოსიყვარულნი.

დ. ო. კ. ასტაშვილი (ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, სპორტის ისტორიის ტურიზმი): მე თუ მეოთხეობ, ტურიზმში მოთავარი მაინც მისი საგანმანათლებლო მხარეა. ტურიზმი საშუალებას გვაძლევს გავეცნოთ ქვეყნის ისტორიას, გეოგრაფიას, ისტორიულ ძეგლებს, ახალშენებლობებს, ხალხის ჩვეულებებს, მათს შრომითს წარმატებებს. თვითონ განსაყვთ: საკმარისია, მივალითად, თბილისის სამხრეთით გაიართო სულ რაღაც 25-30 კილომეტრი და გქვს ისტორიულ



ძველს გაეცნობით; ესენია: უძოს ეკლესია, კახენის მონასტერი, კოჯრის ციხე. სამების, თელავისა და შავნაბაღის ეკლესიები.

ბევრმა ცნობილმა ნატურალისტმა, გეოგრაფმა, ისტორიკოსმა, ბუნებრივმეტყველმა და სხვა დარგის მეცნიერმა თავისი დიდი მეცნიერული გზა სწორედ სივანისათლებლო ტურინშით დაიწყო. ათეალოგრებმა რა მშობლიურ მხარეს და ეცნობა რა მის ისტორიას, ტურისტო არა მარტო თვით იმდღეებს ცოდნას, არამედ ხელს უწყობს აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობის გონებრივი პორიზონტის გაწვითარებასაც. მისი შეხედვრა კოლმეურნეებთან, წარმოება-დაწებულელების მუშეებთან, მსწავლეებთან ხშირად იძლევა ხოლმე ასეთ სასურველ ეფექტს. უნდა შევნიშნო, რომ სივანისათლებლო ტურინში უპატივცემულობით ბევრი ჩვენი მოღვაწე იყო შეწყუბუღლი. აი, რას წერდა მწერალი სოფრომ მგალაბლიშვილი: „ჩვენგან გაუცნობელი არიან ეს ამოდენი შესანიშნავი ადგილები, გადამოივლები მოდიან პირდაპირ ჩვენი ბუნების გასაცნობად და, ვინც ვერ მოდის, ნატრობენ ნახვას. ჩვენ კი ჩვენი სამშობლოს სიმშვენიერეს, ჩვენს სიმდიდრეს გულგრილად ვუპყრობით და ვერც კი ვიცნობთ ჩვენს მშობელს“.

მაშ, შევაჯამოთ სპეციალისტთა აზრი: ტურინში სამი დიდი საფუძველი გააჩნია — ღიზილოკიური, ფსიქოლოკიური და შემეცნებითი; ბოლოსდაბოლოს მეტი რაღაა საქრო? აღამიანი ხომ ამ სამი ცხოველი კომპონენტის ერთობლიობაა?

ვფიქრობ, ამის შემდეგ აღარავის გააკვირვებს ის ფაქტი, რომ ტურინში დიდად ეტროფოდენე ცნობილი აღამიანები და მას ფართოდ ნერგადენე პირად ყოფნაში მათი შეხედულებების ციტირება შორს წაგვიყვანდა ერთი მათგანი კი მაინც მინდა მოვიტანო: „გამიგონეთ, თქვენი მუშაობა უფრო პროდუქტული იქნება, თუ ერთი-ორი საათით გასიკრივებთ ტყეში, ვიდრე იჯდეთ დახუთულ ოთახში, უმოწყალოდ იხუდდეთ შუბლს და ექაჩებოდეთ პაპიროსს-პაპიროსზე“ (ც. ი. ლენინი).

მინ ივის, მტკპარო...

როდესაც ტურინში სიყვარულსა და პატუვისცემაზე ლაპარაკი, ერთი შენიშვნა გასათვალისწინებელი: ტურინში შედარებით ფართო ცნებაა და მისდამი საერთო სიყვარული მისი რომელიმე სახეობის სიყვარული იწყება. ზოგს, მაგალითად, ფეხით სიარული ურჩევნია ყველაზე კომფორტული მანქანით სერინობას, ასეთ რომანტიკულ აღამიანებს ქვეით ტურისტებს უწოდებენ: ზოგი სიამაყნაო ტურინში არჩება, — მოკლე დროში მთელ ქვეყანას ნახულებ და ენერგისაც ნაკლებს ხარჯავო, — სწორად განმარტავენ ისინი. მათი იდეალებით

სუნთქავენ აგრეთვე ველო და მოტო-ტურინშით გატაცებული აღამიანებიც; ზოგი ტურისტო სულმოუთქმელად ევლოება ზამთრის მთებში, რადგანაც მისთვის სათხილამურო ტურინში, ყველა სხვა სახეობებზე მიმზადველია: ზოგი მთელ შეგებულებას უცხო ქვეყნების ნახვაში ატარებს და თვითმფრინავ-მტარებლით სერავს სიერცეებს; ამანაც თავისებური გატაცება იცის; მაგრამ არის ტურინში ერთი სახეობა, რომლის შესახებ ღირს განსაკუთრებით ლაპარაკი თუნდაც იმიტომ, რომ თავისი მომზადობის მიუხედავად, მასთან მხოლოდ ერთეულები მეგობრობენ. სამდინარო ტურინში შე მოგახსენებთ.

ცხოვრობდა თბილისში ტურინში ამ სახეობაზე პავლევიო შეყვარებელი ერთი შესანიშნავი ბავშვოვო — კოტე გირგორტოვი. ერთ საღამოს დამირეკა — ამ დღით მტკვარზე ლაშქრობა დაგამთავრე, ვიცი შენ გიყვარს ასეთ ამებზე წერა, სახლში დამხვდი, მარშრუტი უნდა ავიწერო.

მისი ვრცელი ნაშრომი შემდგომში ერთ ჩემს წიგნს დაედო საფუძვლად მაგრამ მე მინდა ვაიხსენო და მკითხველს მივაწოდო ის პირველი შთაბეჭდილება, რომლითაც მთელი მისი არსება იყო მაშინ მოცული:

„ჩემთან ერთად, — დაიწყო მან, — გია, ზანა და ზურაიკო იყვნენ, შენ იცნობ სამავეს, ჩვენს უბანში იზრდებოდნენ. ჯერ ერთი თვე ფიზიკურად ვემზადებოდით კიროვის ბაღში. მერე ტურისტულ კლუბში საგზურები გაგვიფორმეს, მანქანა მოგვცეს, მოვიმარაგეთ ნავეები, ინვენტარი, მედიკამენტები, სანოვავე და შაილა—ვარძისაკენ. ჯერ იყო და, ბოჭბი ვარძიამ გადაარია, მერე ვინც ქვაბები დავათვალიერეთ: მეორე დღით კი ორი ნავით დავეშვიო მტკვარზე. უნდა გუნახა რა დღეში ჩავვარდით ხერთვისთან, ოღვის გადავალხეთ კორორში, ერთგან ნახევარი კილომეტრის მანძილზე, ნავეთ ხელით ვათრეთ. მაგრამ ზღვა სიამოვნების მიღებისას ეს დალა ვანა დავამახსოვრდებო? აირველი დამე ახალიცხესთან ვათეთ. დამე ვათეთ აგრეთვე ბოჯომთან, ქარელთან და შიომღვიმისთან. ვიცი, შენც ვავითვია დამე მდინარის პირზე, კარავში. მითხარი, თუ ძმა ხარ, არ გეცოდება ის აღამიანი, ვინც ამ სიამოვნებას იკლებს თავისი გულგრილობის გამო? რამდენი ძველი ვნახეთ, თავი ვეღარ უძლებს შთაბეჭდილებებს — ის ვარძიო, ვანის ქვაბები, თმოგვი, ხერთვისი, აწყური, ყინწინი, უფლისციხე, შიომღვიმე, ახლა არ იტყვი, რამდენი კარგი აღამიანი ვავიცინით. ქარელში შეხედვრა მოგვიწყო კომკავშირის რაიკომმა, ბევრი გულთბილი სიტყვა

ავთანდილ ციხაძე
მე მხედავ ტურინში რმსაუბლიკას!

ითქვა: ეგეც არ იყოს. ამდენი სოკო, მარწყვი, მყვალ და გარეული ხილი არასოდეს მაგემინია. თან საქმეც გაავაგეთთ: ვიამ ძამას ხეობის სოფლებში ბევრი საინტერესო მასალა შეაგროვა ლინკვისტიკიდან, მე სამწევრის სალონატო კომპლექსის დაგეგმარება დავასრულე, ზურგიკომ აუარება ფოტომასალა შეაგროვა ქურნალისათვის, ზაზამ ათამდე სიმღერა ჩიწერა, ვინ იყოს, იქნებ ზოგი მითვანი სრულიად უცნობი აღმოჩნდეს.

მაინც რა ყოფილა ჩვენი მტკვარი, რა საინტერესო ადგილებს ჩამოვიღოს, რა იქნება, მის ნაპირზე ორიოდ ქოხი მაინც მოეწყოს ტურისტებისათვის; მაგრამ სადა სამდინარო ტურიზმის მოყვარულები, თუშეცა რომ იყვნენ კიდევ ნაგებს ვერსად იშოვო. მოდი, დამავლუ — და ცოტა ზემოთ უთხარი ხელმძღვანელებს — ხელი შეუწყონ დასვენების ამ ყველაზე კარგი სახეობის განვითარებას. რატომ არ შეიძლება მოლაშქრეთა ნაგები ისერებოდეს მტკვარი, რიონი, ალაზანი...“

ბუნება ბეჭეპის

საღარაკეთიდან დაბრუნებულმა ერთმა ტურისტმა მოხბრა: პარიზში კვირა დღეს ჩავედი და გაოცების დაფარვა ვერ შეეძლოთ — მთელი პარიზი მექედარ ქალაქს დამსგავსებოდა, მხოლოდ აქა-მეკ გაიღვებდა ხოლმე ავტომობილი, ფეხით მოსარულენი ხომ თითებზე დაითვლებოდა. ავჯისნეს — კვირა დღეობით პარიზში თითქმის არცერთი ოჯახი არ რჩება, ქალაქგარეთ დასასვენებლად გადიან.

ასეთი მცირე ტურისტული გასვლების ყადარი კარგად იციან მოსკოველებმა, კრეკლებმა, მიხსელებმა და სხვა ქალაქების მცხოვრებლებმა. ჩვენ რა დაგვემართა?! კვირაობით რატომ ვერ ვხვდებით ჩვენს ოჯახებს ქალაქგარეთ? მე ზშირად მიხდება სტუდენტთა ტურისტული ჯგუფების ხელმძღვანელობა და, როგორც წესი, ერთი სურათის მოწმე ვხდები: ტურისტულ ბილიკებზე ისე გავივლით 25-30 კილომეტრს, რომ არცერთი ტურისტული ჯგუფი არ შემოგვხვდება ხოლმე, ცალკეულ ოჯახებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია.

ბევრი ოჯახი საკუთარი მანქანით გადის ქალაქგარეთ, ამოირჩევენ ლამაზ ადგილს და სუფთა პაერზე ატარებს მთელ დროს. სულ არარაობას ეს მაინც სჯობს. ისე კი თავს ნუ მოვიტყუებთ, ეგობრებო, ეს ტურიზმი არ არის; ცხადია, ეს სახელი უფრო არ დავრქმევა იმ დონისძიებებს, როდესაც მდინარის პირზე გასული ოჯახის წევრები ღრებოენ და საქმად „კარგ ხასიათზე“, ბრუნდებიან ქალაქში. ნამდვილი, ე. წ. საოჯახო ტურიზმი კი აი როგორც წარმოგვიდგება: ოჯახის წევრები, (ერთვით — დედა, მამა და ორი შვილი) ავტობუსით ადიან კომპაგვირის ხეივანამდე. შემდეგ

კი ფეხით მიუყვებიან მაიმადეთის ქედს, გავლიან სოფელ ოქროყანას, წყვისს და ქრსტანს თაზე. წყაროსთან ისვენებენ. აქვე სტუდენტურა ეშვებთან ტბის მიდამოებში, აწყობენ მოძრა თამაშებს, ბანაობენ ტბაზე და საღამოს საბავირო ვზით, ავტომობლით ან ფეხით ჩამოდიან ქალაქში.

სულ ცოტა ხანიც და, ასეთი გასვლები ბევრი ოჯახის ყოფა-ცხოვრების შემადგენელ ნაწილად იქცევა. ჩვენი რესპუბლიკა მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მშრომელთა დასვენების უფეთ მოწყობის თაობაზე. ამ ღონისძიებათა ერთ-ერთი ნაწილი ითვალისწინებს თბილისის, რუსთავის, გარდაბნის, თიანეთის, დუშეთის, კასპის, თეთრი წყაროს, მარნეულის, მცხეთის, ბოლნისისა და საგარეჯოს ადმინისტრაციულ რაიონებში შემაჯობ ტყეების კეთილმოწყობას და მათს გადაქცევას მშრომელთა დასვენების კერებად. შექმნილია 97 უბანი, რომელთაგანაც 80 დამაგრებულია თბილისისა და რუსთავის წარმოება-დაწესებულებებზე, ქარხნებზე, სასწავლო დაწესებულებებზე; საქართველოს ავტორანსპორტის სამინისტრო, მაგალითად, მოაწობს დასასვენებელ ზონას წყნეთის „მშრალი ტბის“ მიდამოებში, მშენებლობის სამინისტრო — თეთრიწყაროს „დათვების“ უბანში, სატელევიზიო აპარატურის ქარხანა — მცხეთის უბან „ხეობრტულაში“, ელმავალმშენებელი ქარხანა — დუშეთის „შარმაზანას წყაროს“ უბანში, თბილისის სამრეწველო მშენებლობის ტრესტი № 3 მცხეთის „მიზას წყაროს“ უბანში, საქართველოს პოლიტექნიკური განათლების სახ. კომიტეტი — საგარეჯოს „ჯვარპატისნის“ უბანში და ა. შ. ანალოგიური სამუშაოები ჩატარდება დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონშიც.

მაგრამ ამასთან ერთად ახლავ დაგვირდებდა ზრუნვა იმაზე, რომ მოსახლეობაში დაინერგოს ბუნების დაცვისა და მოვლა-პატრონობის მისობრივი შეგნება. შურააცხოფად ნურავინ მიიღებს და ბევრჯერ გავმხდარავით ამ შეგნების დაბალი დონის მოწმე. გახვალთ, ვთქვათ, კურორტ წოდარეთის მიდამოებში და შეხვდებით ნასუფრალებს, რომელთა ალგება და მიდამოს მოსუფთავება „დავიწყებით“ მოქიფვებს; კუს ტბის მიდამოები სავსეა ბოთლების ნაშხვრეგებით; კოჯრის გზის პირები სანაგვედა ქეულთ, მაგრამ ცალკეულ დამსვენებლებზე რა უნდა ვთქვათ, როდესაც სახელმწიფო წარმოება-დაწესებულებები გულდაგულ ანაგვიანებენ ჩვენი რესპუბლიკის ქალაქების გარეუბნებს. როგორც ცნობილია, თბილისიდან ნავისა და წარმოების ნარჩენების გადასაყრელად გამოყოფილია სპეციალური ადგილები. ცალკეულ ორგანიზაცია და მძლიერი ვალდებულება ეს ნარჩენები გადაყაროს მითვანი მიჩენილ ადგილზე. მაგრამ გარკვეული მიზეზების



გამო, პირველ რიგში კი იმის გამო, რომ თავს არ იწყებენ შორს წასვლით, მძღოლები გადიან თბილისის გარეუბნებში და იქ ცლიან ათასი სიბინძურით სავსე მანქანებს. სავალალო ისაა, რომ უკანასკნელ ხანს მძღოლები მიეძღვნენ ისეთ ადგილებს, რომლებზეც ტურისტული ბილიკები გადის და მშრომელთა დასასვენებელ ზონადაა გამოცხადებული. ძნელია დიოკო გულისწყრომა, როცა მინჯვრის ყვეილების სურნელის ნაცვად გარკვეულ მანძილზე ნავის მყარალი ანაორთქლი უნდა ისუნთქო. აი, გზა თბილისის უნივერსიტეტის ახალი კორპუსიდან ნახშირგორისა და ბეთანიისაკენ. ერთი კილომეტრიც არ გვექნება ვავილი, რომ წაწყდებით წარმოების ნარჩენების უზარმაზარ ზეინებს. მანქანის დამალი საბურავების, მინის ნამსხვრევების, ორგანული ნარჩენების გროვებს. ამ მხრივ განსაკუთრებით სამარცხვინო მდგომარეობაა აგრეთვე თბილისის ოქტომბრის რაიონში (ელა). 26 კომისარის რაიონში (მახათას მთა), ლენინის რაიონში (თბილისის ზღვა, ავჭალის მიდამოები), კიროვის რაიონში (შავნაბადასა და მტკვრის სანაპიროზე). როგორც ვიცით, იგივე ხდება რესპუბლიკის სხვა სამრეწველო ქალაქების გარეუბნებში.

დიახ, მსოფლიო ბინძურდება, — ხშირად გულისტვიცილით ვამბობთ ხოლმე და ამავე დროს გავიწყდება, რომ ამაში ზოგჯერ ჩვენი ხელიც ურევია.

ეს არასასიამოვნო თემა შემთხვევით როდი ამოტივტივებულა, დროა, ყველამ იცოდეს, რომ თუ თვითველი ჩვენგანი, ცალკეული საწარმო და დაწესებულება მთელი შეგნებით არ იქნება ბუნების მეგობარი და ქომაგი. თუ თვალის ჩინივით არ გავუფრთხილდებით ჩვენს „მწიწანე ფილტვებს“, ისე ზედმეტია ლაპარაკი რესპუბლიკაში ტურიზმის ფართოდ განვითარებაზე.

ალკინიზმის უმცროსი ძმა

ტურიზმის პროპაგანდა. რასაც ფაქტურად ეს წერილი ითვალისწინებდა, იმას როდი ნიშ-

ნავს, რომ ბრმად ავყვეთ ფეხის ხმას და თავი უხერხულ მდგომარეობაში ჩავეყენოთ. ხშირად ტურიზმი, კერძოდ კი, — ქვეითი, სათხილამურო და სამდინარო ტურიზმი ისეთ სერიოზულ ფიზიკურ და ტექნიკურ მომზადებას მოითხოვს, როგორც ალპინიზმი, მეტ-ნაკლებ მზადებას მოითხოვს სულ მცირე მასშტაბის ლაშქრობაც კი. ჰაიპარად მოწყობილი ტურისტული ღონისძიება ნაკლებ სარგებლობასა და სიამოვნებას მოგვიტანს, ზოგჯერ კი, პირიქით, შეიძლება უსიამოვნებაც მოგვაყენოს. კარგმა ტურისტმა უნდა იცოდეს მარშრუტის სწორად შერჩევა, მისი დაგეგმვის ყველა წვრილმანის გათვალისწინება, კარვის დადგმის წესები, საველე აფთიაქის, საჭირო ინვენტარის, ტანსაცმლის, საკვების შერჩევა-მომზადება, ამინდის გამოცნობა, კოცონის დანთების ხერხები და სხვა და ა. შ. მის უნდა გააჩნდეს კარგი ფიზიკური მომზადება. ხშირად ზოგიერთი ამ დეტალის უგულებელყოფას შეუძლია თავლის კასრში ჩაწვეთებული კუპრის როლი ითამაშოს.

შეიძლება ყოველივე ამან დაადრთოს ტურიზმის ზოგიერთი მოტრფილვე. მაგრამ უთქმელობაც არ ივარგებდა. ტურიზმი ხომ მოგზაურობაა, მოგზაურობა კი, რა სახისაც არ უნდა იყოს იგი, გარკვეულ მზადებას მოითხოვს. ცხადია, ქალაქგარეთ 5-10 კილომეტრზე ოჯახის წევრთა გასვლა ამდენი დეტალის გათვალისწინებას არ საჭიროებს, მაგრამ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ როდესაც „გატყდება“ და თანდათან ვართულებდა სალაშქრო მარშრუტები, — თავისთავად წამოიჭრება ტურიზმის თეორიული და პრაქტიკული მხარეების შესწავლის აუცილებლობა.

მაშ ასე, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ნებით საქართველო ტურიზმის რესპუბლიკადაც უნდა იქცეს; ეს კი ნიშნავს მისი საერთაშორისო კულტურული პოტენციალის კიდევ უფრო გაზრდას, მშრომელთა გაჯანსაღებას, ხალისიან ცხოვრებას. მომავალი თაობის ბედნიერებას.
რა გვეთქმის მადლობის მეტი!





ველკრიან ითონიუხილი

რაჭიელ პერიკლესი როგორც ეთნოგრაფი

რაჭიელ ერისთავს საპატიო ადგილი უჭირავს XIX საუკუნის იმ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა შორის, რომლებიც დაუშრეტელი ენერგიით ემსახურებოდნენ ქართული ლიტერატურის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას, კრიტიკულად აფასებდნენ არსებულ ვითარებას და მთელ თავის მოღვაწეობას უკავშირებდნენ ქართველი ხალხის მომავალი კეთილდღეობისათვის ბრძოლის ამოცანებს. ყველა ცნობილ მოღვაწესთან ერთად რ. ერისთავი ძალიან კარგად ხედავდა იმ ვარჯიშობებს, რომ XIX საუკუნეში ერთადერთ რეალურ ძალას წარმოადგენდა ქართული მწერლობა, რომლის შექვეყნობითა და უშუალო მონაწილეობით უნდა განვითარებულიყო ლიტერატურა და ხელოვნება, საზოგადოებრივი აზრი და მეცნიერება. ქართული მწერლობის მიერ ამ დიდებულ მისიის შესრულებაში აქტიურად მონაწილეობდა თვით რ. ერისთავი, რომელიც სამოციანე მეტი წლის განმავლობაში ქნინდა წარმატებულ მხატვრულ ტილოებს, წერდა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ შრომებს, ადგენდა ლექსიკონებს, კრებდა და აქვეყნებდა ფოლკლორულ მასალებს, ეწეოდა მრავალმხრივ საზოგადოებრივ საქმიანობას. რ. ერისთავმა განსაკუთრებით დიდი შრომა გასწია ეთნოგრაფიაში, მგრამ ვიდრე ამ დარგში მის ღვაწლს შევხებოდეთ, წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ მას უაღრესად შრომატევადი და კვალდიცაური მუშაობა უწარმოებია ეთნოგრაფიის მომეჩვენე დარგებშიც (ფოლკლორი, ლექსიკოლოგია, ისტორია...), რაც მომავალში სათანადო დაფასებას იმსახურებს.

რ. ერისთავის შრომების სერიადან საყურადღებოა მისი წერილები საქართველოს სოციალური ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებზე. ერთ-ერთი მათგანი! თავისი სტრუქტურით გზამკვლევის შთაბეჭდილებას ტოვებს, ვინაიდან გარკვეული მარშრუტის მიხედვით მა-

სში გამოყოფილია შემდეგი ნაკვეთები: I. ანაკლიიდან ზუგდიდამდე, II. ზუგდიდიდან ქვეშახორამდე, III. ქვეშახორიდან მარტვილამდე, IV. მარტვილიდან ხონამდე. ამათი თანმიმდევრობით ავტორი გვაცნობს მხარის გეოგრაფიულ მდებარეობას, გზებს, ეთნოლოგებს ამა თუ იმ სოფლის ისტორიული წარსულიდან, ისტორიულ ძეგლებში (ძირითადად ეკლესია-მონასტრებში) დაცულ ნივთებს (ხატები, ჭრები...) და მხატვრობას, რაც ძვირფას მასალას წარმოადგენს მხარის ისტორიული გეოგრაფიისათვის. რ. ერისთავი შედარებით შორეული მოვლენების გასარკვევად იმოწმებს უმთავრესად ისტორიულ პირველწყაროებს, გზადაგზა ეყრდნობა ლიტერატურულ მონაცემებს, იყენებს ხალხურ გადმოცემებსაც, ხოლო რიგი საკითხის გამჭვირვებისათვის გვევლინება უშუალო მოწმისა და დამკვირვებლის როლი. ნაშრომში განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ამსახველ ფაქტებს, რაც შეეხება მხარის ეთნოგრაფიას, ამ მხრივ ყურადღებას იქცევს სტატიის მხოლოდ ერთი ადგილი, რომელშიც ავტორი მოკლედ აღწერს ხობის მონასტერთან დაკავშირებული ხალხური დღეობის ზოგადი თავისებურებას, კერძოდ ჭირითს, სიმღერას, ცეკვას, ხალხურ მუსიკალურ საკრავებს და ა. შ. (გვ. 74-75).

საქართველოს ისტორიის საკითხებს რ. ერისთავი შეეხო კიდევ ორ სტატიაში, რომელთაგან პირველში განხილულია სამეგრელოს გლეხთა სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობა, ხოლო მეორეში შეხვედრილია ამავე კუთხის პრივილეგიური წოდების იერარქია და ნაჩვენებია ამ წრიდან გამოსულ პირთა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობანი. ჩვენს ყურადღებას მიიპყრო განსაკუთრებით პირველმა წერილმა, რომელშიც ავტორი ეხება სამი კატეგორიის გლეხების (მოყალაბე, მებეგრე, ახატი) უფლებრივ პირობებსა და ყოფას ვეტიკალური ზო-



ნალობის მიხედვით, რამდენადაც აღნიშნული კატეგორიის გლეხთა ეკონომიური მდგომარეობა, მებატონეების წინაშე მათი ვალდებულებანი და საყოფაცხოვრებო პირობები რ. ერისთავის დიფერენცირებულ შეუსწავლია ქვემო სამეგრელოში, ზემო სამეგრელოში, ლეჩხუმსა და ცხენისწყლის სვანეთში. აღნიშნული რეგიონების სამეტრნეო-ეკონომიური პირობებისა და სოციალური ვითარების შესახებ სადა წარმოშობი გამოკვლეულია ნაჩვენებნი ის სპეციფიკა, რაც თითოეული ამ რეგიონის მოსახლეობის ყოფი-სათვის იყო დამახასიათებელი და თავის გამო-ხატულებას პოულობდა ვალდებულებათა იმ სისტემაში, რომელიც არსებობდა ავტორის მიერ შესწავლილი კუთხეების სოციალურ ფუნ-ქციონალ დაყოფილი საზოგადოების ცხოვრებაში. განსხვავება შეიქმნევა მთისა და ბარის მცხოვ-რებთა გადასახადების სახეობის, მოცულობისა და რაობის მიხედვით. მაგალითად, თუ სამეგ-რელოში ახატები მებატონის სასარგებლოდ იხ-დოდნენ მემინდვრობისა და შესაქონლობის პროდუქტებს ერთად, ცხენისწყლის სვანეთში ახატი მებატონეს წელიწადში ერთხელ აძლევ-და ძროხას ან ხარს (გვ. 132). ასევე, ლეჩხუმის ოლქში, სადაც ცხენისწყლის სვანეთიც შედიო-და, არ არსებობდა გადასახადის რიგი ისეთი სა-ხეობანი (გლეხის მიერ მებატონისადმი მასპინ-ძლობა წელიწადში ერთხელ, ქრისტიანობის ძღვენი, სააღდგომო ძღვენი, აღდგომის შემდეგ 1-2 თვის ძღვენი მიყვანი), რასაც ახდევინებ-დნენ სამეგრელოს გლეხებს (გვ. 131). ცხენის-წყლის სვანები არ იხდოდნენ აგრეთვე კულტსს, საკულტხოსა და სადღეღძღოს, რაც სამეგრე-ლოსა და ლეჩხუმის გლეხთათვის სავალდებუ-ლო ყოფილა (გვ. 131) და ა. შ. მსგავსი მაგა-ლითების დამოწმება კიდევ შეიძლება, მაგ-რამ აღნიშნულის მიხედვითაც ნათლად ჩანს, რომ რ. ერისთავის მიერ გამოვლენილი თავისე-ბურებები არა მარტო ერთ კუთხეს განსხვავ-ებდა მეორისაგან, არამედ კერტიკალური ზო-ნალობის მიხედვით განსხვავება შეინიშნებოდა თვით ერთი კუთხის შიგნითაც.

ზემოხსენებულ სტატეებში სამეგრელოს შე-სახებ რ. ერისთავმა გამოიყენა ადგილობრივი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მონაცემები, რო-მელზედაც მის ხელი მიუწვდებოდა. ამ მონაცე-მებზე დაფუძნებულ დაკვირვებებს პირველ რიგში მნიშვნელობა ენიჭება საკუთრივ წოდებ-რები სტრუქტურის შესწავლისათვის, რამდენა-დაც ავტორის მიზანს შეადგენდა სამეგრელოს ისტორიის საკითხების კვლევა XIX საუკუნის სოციალური ურთიერთობის სფეროდან. რ. ერის-თავის მიერ გამოვლენილი მონაცემები მუქი ფენს აგრეთვე სოციალურად დიფერენცირებუ-ლი მოსახლეობის სამეტრნეო-ეკონომიური და სოციალური ყოფის რიგ თავისებურებას, მა-გრამ ამ წერილებში ეთნოგრაფიულ მონაცე-მებს შედარებით ნაკლები ადგილი უჭირავს.

სამეგრეოდ, რ. ერისთავის შრომების საერთო რიცხვი დიდ უმრავლესობას შეადგენს ეთნოგრაფიული წერილები, რომლებშიც გაშუქებულია ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურ-ის მრავალი საკითხი.

ეთნოგრაფიის სფეროში მუშაობა რ. ერის-თავმა დაიწყო მაშინ, როდესაც რუსეთსა და დასავლეთის ქვეყნებში ეთნოგრაფია დამოუცი-დებელ სამეცნიერო დარგად ყალიბდებოდა. ეს მოუღწეა დაკვირვებულა კაპიტალიზატურ ურთიერთობის ფართო მასშტაბით განვითარ-ბისთან, როდესაც ეთნოგრაფია, ისევე რო-გორც მეცნიერების სხვა დარგები, აღმავალი ბურჟუაზიის სამსახურში ჩაღვა და ვითარდებ-ბოდა ცალკეულ ქვეყნების სოციალურ-ეკონო-მიური მდგომარეობის, პოლიტიკური ამო-ცანებისა და ეროვნული ინტერესების შე-საბამისად. იმ ქვეყნებში, რომლებიც სხე-სი ტერიტორიების დაპყრობისა და სხვა ხალხების დამორჩილების პოლიტიკას აწარ-ციებდნენ, ეთნოგრაფიის ძირითად მიზანს შეადგენდა კოლონიური ხალხების ყოფისა და კულტურის შესწავლა, რათა მათი „ველრო-ბის“ დამტკიცებისა და „ცივილიზაციის“ შეტ-ნის საჭიროების მოკლები გაემართლებინათ კოლონიური ჩაგვრის პოლიტიკა და შეემუშავებინათ მათზე ბატონობის ეფექტური მეთოდე-ბი. ასეთ ქვეყნებში საკუთარი ხალხის ეთნო-გრაფიულ შესწავლას შედარებით ნაკლები ყუ-რადღება ექცეოდა. ამ მხრივ სულ სხვა მიზან-დასახულობის წინაშე აღმოჩნდა ეთნოგრაფია იმ ქვეყნებში, რომლებიც ნაციონალურ ჩაგვ-რას ვანიციდოდნენ. ასეთ ქვეყნებში ეროვნული თავისთავადობის ერთ-ერთ მყარ საფუძველს წარმოადგენდა საუკუნეების გამოვლილი ყო-ფის, კულტურისა და ტრადიციების შენარჩუ-ნება, რაც თავის მხრივ მოითხოვდა სათანადო მონაცემების გამოვლინებას, კვლევას და მასე-ბში მისი ცოდნის ვანტიკეებას. ამ საბატიო ამო-ცანის შესრულებაში მთავარი როლი დაეკისრა ეთნოგრაფიას, რაც საკუთარი ძირის შესწავ-ლის მიმართულებით ვითარდებოდა და ერო-ვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ინტერე-სებს ემსახურებოდა.

საკუთრივ ერთი ქვეყნის შიგნითაც (მაგალი-თად, რუსეთში) ეთნოგრაფია ორი სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებოდა. განვითარების პირველი მიმდინარეობა იყო კონსერვატიული რეაქციული, რომელიც გამოხატავდა გაბატონე-ბული კლასების ინტერესებს. ამ გზას ადგა აზ-ნაურული-მემამულური და სახელისუფლო ეთ-ნოგრაფია — გვიანდელი მემამულურ-ბურჟუა-ზიული ეთნოგრაფია. ამვე დროს ეთნოგრაფია-ში არსებობდა პროგრესული — რასწონიწული, რევოლუციურ-დემოკრატიული მიმდინარეობა.

ბალეკინან ითონიოვილი
რუსეთში მრისსთანი რომოვნი ეთნოგრაფი

ბრძოლა ამ ორ მიმართულებას შორის მაკისტრალურად გასდევს რუსული ეთნოგრაფიის ისტორიას.

შეშასაღამე, ეთნოგრაფიული მეცნიერების ორი სხვადასხვა მიმართულებით განვითარების კვალობაზე ერთ შემთხვევაში კოლონიურ ეთნოგრაფიის უპირისპირდებოდა ეროვნული ეთნოგრაფია, ხოლო მეორე შემთხვევაში ერთიმეორეს ემიჯნებოდა რეაქციული და პროგრესული მიმდინარეობა. ამიტომ გამომსახველობით სისრულე აკლია მტკიცება, თითქოს „მე-19 საუკუნიდან ეთნოგრაფია საერთოდ კოლონიალიზმის იარაღად იქცა და ჩამორჩენილ ხალხთა შემსწავლელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა“. ამ ცალმხრივი ფორმულარების მიხედვით იქმნება შთაბეჭდილება, რომ რუსეთში, ბალკანეთის ქვეყნებში, კავკასიაში თუ მსოფლიოს სხვა რაიონებში ეთნოგრაფია საკუთარი ხალხების ყოფისა და კულტურის შესწავლის ნიადაგზე არ ვითარდებოდა. ეთნოგრაფიის ისტორია არსებითად საპირისპირო ვითარებას ასახავს. სამაგალითოდ იკმარებდა ისევ რუსეთის ეთნოგრაფია, რომელიც პირველ რიგში თვით რუსი ხალხისა და რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ხალხების შესწავლის ფართო გეგმებს ემყარებოდა. ამ გეგმების განხორციელების ორგანიზაცია ითავა რუსეთის გეოგრაფიულმა საზოგადოებამ, რომლის ერთ-ერთ უჩრდელ წარმომადგენელს ეთნოგრაფიული განყოფილება. საზოგადოების დაარსების დროიდან (1845 წ.) მისმა ეთნოგრაფიულმა განყოფილებამ მუშაობა გაშალა როგორც რუსეთის, იმპერიის ფარგლებში, ისე მის გარეთაც. ეთნოგრაფიული კვლევის შედეგები ქვეყნდებოდა სერიულ გამოცემებში, ხოლო ექსპონატება თავს იყრდა ამავე საზოგადოების მიერ დაარსებულ ეთნოგრაფიულ მუზეუმში. საზოგადოებამ მალე დასახა ახალ განყოფილებათა შექმნის გეგმა იმპერიის სხვადასხვა რაიონებში, მათ შორის პირველ რიგში თბილისში, სადაც 1851 წელს კიდევაც გახსნეს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილება სულ მალე იმის შემდეგ, რაც აქ 1850 წელს დააარსეს კავკასიური სასოფლო-სამეურნეო საზოგადოება.

რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიურმა განყოფილებამ სისტემატური ხასიათი მისცა ეთნოგრაფიული ყოფის შესწავლას, რომლით დაინტერესებებს და წარაგებში შესაბამისი მასალის ასახვას საქართველოში მანამდეც საკმაოდ ძველი და მდიდარი ტრადიციები ჰქონდა. რუს მოხელეთან და მეცნიერებთან (ვ. სოლოგუბი, ა. ბუჩუკი, ი. ბარტოლომი...) ერთად განყოფილებაში თანამშრომლობდნენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები: გრიგოლ ორბელიანი, გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, პლატონ იოსელიანი, რაფიელ ერისთავი და სხვები. ეთნოგრაფიის სფეროში ნაყოფიერი

მუშაობით გამოირჩეოდნენ პლატონ იოსელიანი და რაფიელ ერისთავი, რომელთა მოღვაწეობა წინ უსწრებდა ქართველ საზოგადოებას ორგანიზებულ მუშაობას საქართველოს ეთნოგრაფიაში ილა პავლევის ხელმძღვანელობით.

რ. ერისთავი ტიპური წარმომადგენელია ეროვნული ეთნოგრაფიისა, რომელიც ემსახურება ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის კვლევას, ტრადიციულ თავისებურებათა გამოვლენებს, მისი ღირსების დაფასებისა და ეროვნული მემკვიდრეობის დაცვის ამოცანებს. თავისი შემოქმედებით მოღვაწეობა რ. ერისთავმა იმათვეთვის ამ გზით განავითარა. მან სიყრმიადანვე ისე შეიყვანა ქართველი გლეხის ცხოვრება, როგორც ქართული მწერლობა და სიტყვიერება. ის ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს ავირდებოდა ქართულ სოფელს, გულმოდგინედ სწავლობდა მშრომელი ხალხის ყოფას, ტრადიციებს, წეს-ჩვეულებებს, რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებს, ხალხურ ლექსებს თუ სიმღერებს და ამ გზით დაგროვებულ მასალას უხვად იყენებდა თავის მხატვრულ ნაწარმოებებში. რ. ერისთავის მიერ გამოყენებული ეთნოგრაფიული და ფოლკლორული მასალა წარმოადგენდა მისი მხატვრული შემოქმედების ხალხურობის ერთ-ერთ წყაროს, ისევე როგორც ასეთვე მასალა ედო საფუძვლად მის ეთნოგრაფიულ წერილებს. ერთიმეორესთან ასე მჭიდროდა დაკავშირებული მწერალი და ეთნოგრაფი, მისი მხატვრული შემოქმედება და სამეცნიერო მემკვიდრეობა. რ. ერისთავმა ქართულ მწერლობასთან ერთად ეთნოგრაფიაც ეროვნული კულტურის გამოჩენურებისა და შენარჩუნების ინტერესებს დაუქვემდებარა და სწორედ ამიტომ არის ის ეროვნული ეთნოგრაფიის ერთ-ერთი წარმომადგენელთაგანი.

ცნობილია, რომ 10-11 წლის რ. ერისთავი თავის ლექსებს უკითხავდა სკოლის ამხანაგებს და სოფლის გოგო-ბიჭებს, მაგრამ მისი ბავშვობის დროინდელ ლექსებს ჩვენამდე არ მოუღწევია. ამიტომ მის პირველ ლექსად მიჩნეულია „ღარიგება“, რომელიც დაუწერია 1844 წელს. ეს და მეორე ლექსი „ყვავილს“ პირველად დაიბეჭდა ჟურნალ „ციცისკის“ გამოცემის პირველ-სავე წელს („ციცისკარი“, 1852 წ. № 7). ეს ფაქტები გვიჩვენებენ, რომ სწავლის პერიოდში რ. ერისთავი პოეტურ წვრთნას ვადის, ხოლო პოეზიაში ნამდვილ შემოქმედებით მუშაობას იწყებს სასწავლებლის დამთავრების შემდეგ. მან ნაზიზის ყოფნის წლები მისთვის ასევე გიჟმხატვრულად სახეხური ჩანს ეთნოგრაფიაში მუშაობისათვის. უნდა ვთქვათ, რომ რ. ერისთავი ამ პერიოდში ეცნობოდა საეციკლოურ ლიტერატურას და სოფელში ყოფნის დროს აქეთებდა ეთნოგრაფიულ ჩანაწერებსაც, მაგრამ ისევე როგორც პოეზიაში, ეთნოგრაფიის სფეროშიც იმ გეგმავალიერ და ინტენსიურ მოღვაწეობას იწყებს სასწავლებლის დამთავრების



შემდეგ მამასაღამე, ერთდროულად მოხდა რ. ერისთავის როგორც მწერლისა და ეთნოგრაფის დაფიქსაცება, მაგრამ მამინდელ პირობებში რუსულ ენაზე ბეჭდვის მეტა შესაძლებლობის გამო ის როგორც ეთნოგრაფი უფრო ადრე გამოვიდა სამოღვაწეო ასპარეზზე, ვიდრე როგორც მწერალი.

1846 წლის 29 მაისს რ. ერისთავმა თარჯიმნად მუშაობა დაიწყო თუშ-ფშავ-ხევსურეთის საოლქო სამმართველოში. ამ დროიდან რ. ერისთავი ბუერს მოგზაურობდა როგორც საკუთრივ თუშ-ფშავ-ხევსურეთში, ისე საქართველოში. სხვა კუთხეებში — პირველ ყოვლისა, კახეთში. მოგზაურობაში უშუალოდ ეცნობოდა ისტორიულ ძეგლებს, სოფლის ტრექტურებს, კიდევ უფრო უახლოვდებოდა ხალხს და აგრძელებდა მრავალმხრივ საინტერესო მასალებს, მაგრამ ზოგჯერ საქართველოს წარსულით დაინტერესებულ პირებსაც ეხმარებოდა და კვალიდითერ მეგზურობას უწყევდა. მაგალითად, 1847 წელს რ. ერისთავი და მისი მამა დავითი სოფ. მატანში შეხვდნენ გამოჩენილ ქართველლოგს აკადემიკოს მარი ბროსეს, რომელიც აქედან მიუწყევით თავიანთ სოფელ ქისტაურში. ქისტაურში ორი დღით (20 და 21 სექტემბერი) სტუმრობისა და საქართველოს წარსულზე საუბრის შემდეგ რ. ერისთავმა და მისმა მამამ მ. ბროსე ამოგზაურეს ივრის ხეობაში და თიანეთში შეახვედრეს ა. ზისერმანს — კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფიისა და ისტორიის ერთ-ერთ ენობილ მკვლევარს, რომელიც მაინი (1844-1848 წწ.) თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის უფროსის მოადგილედ იმყოფებოდა. ივრის ხეობაში მ. ბროსე რ. ერისთავის უშუალო მონაწილეობით იკვლევდა ისტორიულ ძეგლებს და წარუჩურებს. ამ ხანმოკლე შეხვედრამ ისინი დაამეგობრა, რაც შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა. რ. ერისთავი ასევე მჭიდრო ურთიერთობაში იმყოფებოდა მრავალ სხვა სწავლულთან. ეთნოგრაფიისა და ისტორიის სფეროში მისთვის საინტერესო საკითხების კვლევისათვის სასარგებლო იყო შემოქმედებითი ურთიერთობა ისეთ პირებთან, როგორიც იყვნენ: პლატონ იოსელიანი, დიმიტრი ყიფიანი, ნიკო ხიზანაშვილი, დავით ხიზანაშვილი, ბესარიონ ნიუარაძე, ა. ბერძენი, ი. ბარტოლომეი, ნ. ხანიკოვი და სხვები. ზოგიერთ მათგანთან რ. ერისთავს მიმოწერა ჰქონდა უმთავრესად საქართველოს ეთნოგრაფიისა და ისტორიის საკითხებზე, საიდანაც ჩანს, რომ რ. ერისთავი არა მარტო თავისთვის საინტერესო საკითხების გარკვევაზე ზრუნავდა, არამედ სხვებსაც სასარგებლო ფაქტების მიწოდებით თუ სათანადო რჩევებს მიცემით ეხმარებოდა.

თუშ-ფშავ-ხევსურეთის საოლქო სამმართველოში სამსახურისა (1846 წლის 29 მაისიდან 1948 წლის 23 აპრილამდე) და თბილისში კავკასიის მეფის ნაცვლის კანცელარიაში მუშაო-

ბის პერიოდში (1851-1855 წწ.) რ. ერისთავი სწავლობდა აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობის ყოფისა და კულტურის საკითხებს, ხრესლო კვლევის შედეგებს სტატიების სახით აქვეყნებდა გაზეთ „კავკას“-ის ფურცლებზე. ეთნოგრაფიულ წერილებში, რომლებიც ძირითადად თავსდება რ. ერისთავის საზოგადოებრივი, ლიტერატურული და სამეცნიერო მოღვაწეობის პირველ პერიოდში (1845-1857 წწ.), ავტორის მიერ მიკვლეული ახალი ეთნოგრაფიული მასალები საფუძველზე აღწერილია და განხილულია ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ყოფისა და რელიგიური აზროვნების რიგი თავისებურებანი. მათში გამომზეხტებულია მრავალი ისეთი მოვლენა, რომლის ავტორისთვის აღწერას პირველწყაროს მნიშვნელობა ენიჭება საქორწინო წეს-ჩვეულებების, ხალხური ვართობა-სანახაობების, რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისა და რიტუალების შესწავლისათვის. ადრინდელი წერილების შემრავლესობა ბარის მოსახლეობის ყოფის უხებება. მათი ავტორი აღკუთრულია თემის შტრჩევის, მისთვის საჭირო მასალის მიგნებისა და ანალიზის დიდი უნარით. ამ სტატიებმა ავტორს სულ მალე დამსახურებული ავტორიტეტი მოუხვეჭეს, მაგრამ რ. ერისთავის როგორც ეთნოგრაფის სახელი კიდევ უფრო გახამურდა იმის შემდეგ, რაც მკითხველი გაეცნო მის მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომს ქართველ მთიელთა (ხევსურები, ფშავლები, თუშები) შესახებ. ეს ნაშრომი პირველად ნაწილ-ნაწილ დაიბეჭდა გაზეთ „კავკას“-ში (1854 წ. №№ 43, 45-47, 49-52), ხოლო შემდეგ შეესებუი გამოკვლევის სახით გამოქვეყნდა რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების ეურნალში 1855 წელს, ე. ი. სწორედ იმ წელს, როდესაც რ. ერისთავი როგორც აღიარებული ეთნოგრაფი და სახელმძღვანელო საზოგადო მოღვაწე ამავე საზოგადოების ნამდვილ წევრად აირჩიეს. რ. ერისთავის დიდი დამსახურება ასევე აშკარად იქნა აღიარებული სხვა/სამეცნიერო-საგანმანათლებლო და კულტურულ-საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ის იყო კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების, მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების მებარძუმეობის კომიტეტისა და საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებლო საზოგადოების წევრი. ყველა ამ საზოგადოებაში რ. ერისთავი დაუღალავად იღვწოდა და პასიური საბატიო წევრის მდგომარეობაში არასოდეს არ იმყოფებოდა, მაგრამ განსაკუთრებით დიდი ენთუზიაზმით მონაწილეობდა გეოგრაფიული საზოგადოების საქმიანობაში, ვინაიდან მეცნიერების სფეროდან მას ყველაზე მეტად ეთნოგრაფია იზიდავდა და თავისი

პალმირან ითონიშვილი
რავილ მერისთავი როგორც ეთნოგრაფი

შემოქმედებითი პოტენციალით და მიზანდასახულობით, ბირველ ყოვლისა, ეთნოგრაფი იყო. მის ამ მიზანსწრაფვას პირდაპირ პასუხობდა გეოგრაფიული საზოგადოების ამოცანები ეთნოგრაფიის დარგში, სადაც რ. ერისთავი ხელსაყვე შევიდა და შესვლისთანავე მისი ქურნალი დაამშვენი მთიელთა ყოფისადმი მიძღვნილი შესანიშნავი ნაშრომით.

მასალა, რომელსაც ეს ნაშრომი ემყარება, რ. ერისთავმა შეაგროვა თუშ-ფშავ-ხევსურეთში სასახურბერივი მოვალეობის შესრულების პერიოდში. ამ დროს შეკრებილი ეთნოგრაფიული მასალა მან ასევე უხვად გამოიყენა თავის ერთ-ერთ მოთხრობაში („ბუნაე“), რომელიც ფშავთა ცხოვრებას შეეხება. თვითონ ავტორი ნაშრომის დასაწყისშივე შენიშნავს, რომ ორი წლის განმავლობაში ყოველხბრივ ცდილობდა შეეკრება ყველა სახის მონაცემები თუშების, ფშავლებისა და ხევსურების შესახებ. მისივე ცნობით, ნაშრომში გამოყენებულია ორგვარი წყარო — უშუალო დაკვირვებითა და გამოკითხვით მოძიებული ეთნოგრაფიული მასალები და ლიტერატურული მონაცემები. გამოყენებული ლიტერატურიდან ხვსურების შესახებ ასახელებს ა. ზისერმანის მიერ გაზეთ „კავკაზ“-ში მოთავსებულ სტატიებს, რაც შემდეგ წიგნად გამოვიდა, ხოლო თუშების შესახებ იმოწმებს ივანე ცისკარიშვილის წერალებს. გამოყენებულ წყაროებს შორის რ. ერისთავი არ იხსენებს მოსახლეობის კამერალური აღწერის მასალებს, მაგრამ ამ მასალითაც ძალზე ფაქტურად სარგებლობს.

აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიულ შესწავლას ასე გულმოდგინედ მოკლდა ხელი რ. ერისთავმა, რომლის ღრმა რწმენით დანაშაული იქნებოდა, რომ ამ კუთხეში დიდხანს ცხოვრობდნ და მის შესწავლაზე კი არ იღებო, მის მკვიდრთა წეს-ჩვეულებების გაცნობის შესაძლებლობა გქონდეს, მაგრამ არ გაეცნო და არც სხვებს გააცნო, იცოდე რაიმე მათა ყოფა-ცხოვრების სფეროდან და არაფერი კი არ დაწერო (გვ. 76).

საკვლევი მხარის (ხევსურეთი, ფშავი, თუშეთი, ერწ-თიანეთი, კახეთის 6 საფელი) ასეთი მიზნადგულობის საფუძვლად მკვლევარს ესახება მისი ეთნოგრაფიული ნაირსახეობა, რაც გამოხატულებას პოულობს ყოველი ცალკე აღებული კუთხის თუ თემის თავისებურებაში, ყოფისა და წეს-ჩვეულებების განსაკუთრებულობაში. რ. ერისთავის დაკვირვებით, ეთნოგრაფიული ყოფის სპეციფიკა არა თუ ერთ კუთხეს განასხვავებს მეორისაგან, არამედ ყოველ სოფელსაც კი გააჩნია გარკვეული სახის ინდივიდუალობა. სამეურნეო-ეკონომიური და სოციალური წინხედის მიხედვით მკვლევარი კიდევ უფრო არსებით განსხვავებას ხედავს თუშ-ფშავ-ხევსურეთის ოლქის შიშასა და ბარს შორის (გვ. 76).

რ. ერისთავი აღნიშნულ გარემოებას დასაყრდენად იყენებს და ამ მხარის მოსახლეობის ცენტრალური სათვის საერთო თუ სპეციფიკურ კომპლექსურ გვეცნობს ცალკეული საკითხების მიხედვით, რომლებიც პასუხობენ მატერიალური კულტურის, სამეურნეო ყოფის, სოციალური ურთიერთობისა და რელიგიის ისტორიის კვლევის მიზნებსა და ამოცანებს. მატერიალური კულტურის სფეროდან რ. ერისთავი აღწერს საცხოვრებელ და საყოფიერ ნაგებობებს, ჩაცმულობას და იარაღს; სამეურნეო ყოფიდან ეხება მიწათმოქმედებას და მესაქონლეობას; სოციალური ურთიერთობის საკითხებთან გამოყოფს საქორწინო წეს-ჩვეულებებს, ქალის საოჯახო და საზოგადოებრივ მდგომარეობას, სტუმრის მიღების წესს, ფიცს, მხველობას, სისხლის აღებისა და ხალხური სამართალწარმოების ჩვეულებას; რელიგიის სფეროდან ეხება მთიელთა რწმენა-წარმოდგენებს, აღწერს ხალხურ დღესასწაულებს, ტირილისა და გლოვის წესებს, გვიჩვენებს კულტის მსახურთა იერარქიას და უფლება-მოვალეობას. ყოველივე ამასთან ერთად რ. ერისთავი კრიტიკულად განიხილავს ნორმალური ცხოვრების ისეთ შემადგენლებსა და უარყოფით მოვლენებს, როგორცაა ცრუმორწმუნეობა, მითხრობა, აქ ვაგრცხვებული ავიდმყოფობანი და ა. შ. მტკივნეულ სოციალურ საკითხთა კატეგორიაში აქცევს ქართველ მთიელთა ურთიერთობას ჩრდილოკავკასიელ მთიელებთან, რაც ამ დროისათვის ჭერ კიდევ მოუწოდებდა იყო. საკვლევ კუთხეზე სრული წარმოდგენის მიზნით კი მკვლევარი ნაშრომის დასაწყისშივე გვეცნობს მის მდებარეობას, ფართობს, საზღვრებს, მთებს, მდინარეებს, მიწა-საფარი წყლებს, ჰავას, მცენარეულ საფარს, ცხოველთა სამყაროს, სოფლებს კომლთა რიცხვის ჩვენებით, მოსახლეობას და მის განსახლებას საზოგადოებების (თემების) მიხედვით.

მხარის გეოგრაფიული მდებარეობის შესახებ მასალა რ. ერისთავი ამ შემთხვევაშიც ვერტიკალური ზონისთვის მიხედვით იძლევა სამეურნეო ყოფის დახასიათებას. იგი პოკვლედ აღნიშნავს იმ უღვაგო ჯემარტიტებს, რომ ბარის მდიდარი ადგილები დამშვენებულია უხვმოსავლიანი ვენახებით (გვ. 76, 77), მაშინ, როდესაც ფშავ-ხევსურეთში მიწათმოქმედება საეალლო მდგომარეობაშია მცერი და მწირი ნიადაგობისა და მოსავლიანობის დაბალი მაჩვენებლების გამო (გვ. 122). ამასთან ერთად, მისი ყურადღება მიუქცევია მესაქონლეობას, განსაკუთრებით მეცხვარეობას, რომელიც მთიელთა ეკონომიური ცხოვრების მთავარ საყრდენს წარმოადგენდა. მკვლევარი ამ მხრივ გამოყოფს თუშებსა და ფშავებს, რომლებიც თანდათანობით აფართოებდნენ ადგილმონაცვლუ ხასიათის მეცხვარეობას. რ. ერისთავს უკვე ზოგი ისეთი ოჯახი ეკუთვნებოდა, რომელიც მეცხვარეობიდან მიღებული შემოსავლით ფლობდა 40.000-50.000



მანეთს და მის საკულდაგულოდ მიწაში ინახე-
და ზოგჯერ ისე დიდხანს, რომ ეს ფული ბრუ-
ვილანაც კი გამოდიოდა (გვ. 124-125). აღნიშნუ-
ლი ვითარების ფიქსაციით რ. ერისთავმა გააკე-
ცნო ეკონომიური ურთიერთობის განვითარების
ის ადრეული საფეხური, რომელსაც კ. მარქსმა
თავის „კაპიტალიზმი“ უწოდა დაკრძების გულუ-
ბრყვილო ფორმა, რაც ჯერ კიდევ დამახასია-
თებელი იყო საქართველოს მთიანეთში კაპიტა-
ლისტიური ელემენტების შემოჭრის საწყისი ეტა-
პისათვის.

სამეურნეო-ეკონომიური პირობების მიხედ-
ვით განისაზღვრებოდა აგრეთვე საგადასახადო
ვალდებულებანი, რასაც რ. ერისთავი ასევე
დიფერენცირებულად განიხილავს მისი და ბა-
რის მიხედვით. თუ ამ მხარის ბარისა და თელა-
ვის მხარის მოსახლეობა ერთნაირად იყო და-
ბეგრალი, მთიელები XIX საუკუნეშიც ბარე-
ლებთან შედარებით ისეთვე განსაკუთრებულ
შეღვათებში სარგებლობდნენ, როგორც ქართ-
ველ მეფეთა დროს. რ. ერისთავი ხევისურებს
საერთოდ არ იხსენიებს ვაღსახადის გადამხ-
დელთა შორის, ხოლო თუშებისა და ფშაველ-
ების მოვალეობად თვლის მხოლოდ ხაზინისათ-
ვის სპეციალის გადამდას (გვ. 127-128).

რ. ერისთავს ყურადღება მიუქცევია იმ გარე-
მოებისთვისაც, რომ თუშ-ფშაველურეთის
ოლქის ადმინისტრაციულ გაერთიანებაში მოქ-
ციულ კახეთის 6 სოფელსა და ცნო-თიანეთში
ცხოვრობდნენ სახელმწიფო, საეკლესიო და
საბატონო გლეხები, მაშინ როდესაც საკუთრივ
თუშეთს, ფშავისა და ხევისურეთის მოსახლე-
ობაში ის გლეხთა ამ კატეგორიებს არ გამო-
ყოფს, ვინაიდან, როგორც ეს კაპიტალური აღ-
წერის მასალებიდანაც ნათლად ჩანს, იქ მხო-
ლოდ სახელმწიფო გლეხები იპოვებოდნენ.

რ. ერისთავის დაკვირვებით, ბარისაგან გან-
ხევებით, მთაში ასევე ხანგრძლივად არსებობ-
და მეკობრეობა — ტომთა და თვით შორის რე-
გულარული თავდასხმები ნადავლის (საქონლე-
ტუნივები) მიტაცების გუმანით, რაც დამახასია-
თებელ მოვლენას წარმოადგენდა სამხედრო
დემოკრატიისა და ადრეფეოდალური ურთიერ-
ობის საფუძვრისათვის, ხოლო ვაღმონაშთის
სახით სარგებობას ინარჩუნებდა XIX საუკუ-
ნეშიც. მთიელთა ერთი ნაწილის (წოვა-თუშე-
ბის) ბარად ჩამოსახლების შემდეგაც კი ეს ჩე-
ვლება დაიწყებას მიეცემული არ ყოფილა. ამის
საქართვებს ზედადნენ იმითაც, რომ ბარად
დასახლებულ თუშებს მაინც არ უსვენებდნენ
დაუფარველი მთიელები, რომლებიც ყოველ
ხელსაყრელ მომენტში მტაცებლობას ეწეო-
დნენ. ლეკიანობა ვინაიდან კვლავ გრძელდებო-
და მისი მძიმე შედეგებით, მდგომარეობა
თუშებს მზადყოფნას უკარნახებდა. როგორც
ჩანს, ალენაში დასახლებული თუშები საფულ-
დაგულო სამხედრო წვრთნის გადიოდნენ, მაგ-
რამ დროთა ვითარებაში, როდესაც დაღესტ-

ნელთა თავდასხმები შენეულა და ლეკიანი-
ბას არსებითად ბოლო მოეღო, თუშებში ძვე-
ლად მოქმედი საბრძოლო მომზადების წინა-
გაღმონაშთის სახით შემოინახა საწყის-სახან-
ობითი ხასიათის ჩვეულებაში, რომელსაც, რო-
გორც ეს რ. ერისთავმა დაადგინა, ერქვა „წა-
სვლა სამეკობრეთ“. რ. ერისთავი ამ ჩვეულებას
ასე ახვეწებს: თუშების ბელად ალენის მინ-
დორს შემოივლის და ახალგაზრდებს აღზრდი-
ლებს, რათა დილისათვის მდევარში წასასვლე-
ლად მოემზადნენ. მეორე დღეს 15 ფეჯაკო
ტყეს შეესვვა ბელადის წინამძღოლობით, რომ-
ელმაც იცის ლეკების ყველა ბილიკი და კუთ-
ხე-კენწეული. ბელადი მიდის ფრხილად, ათვა-
ლიერებს ბალახს, ხომ არ არის ის ვათელი, ი-
გებულობს მტრის ნაკვალებს განსაკუთრებულ,
მხოლოდ მისთვის მისახვედრი ნიშნებით, გზა-
ჯვარედინებზე აკვირდება ხეებს, ხომ არ არის
მათე რაიმე სახის ახალი კლდეები, რასაც ლე-
კები იმეტომ აკეთებდნენ, რომ სხვა ჯგუფისათ-
ვის მარშრუტი ეჩვენებინათ. ასეთი დაკვირვე-
ბის შედეგად ბელადი ადვილად მიიგნებდა
„მტაცებლებს“, დაეკრძოდნენ და ნახევარ საა-
თში გაღაფყებდნენ მათ მთს (გვ. 144).

აღნიშნული მონაცემების მიხედვით, რისთვისაც
რ. ერისთავს მიუქცევია ყურადღება, სრუ-
ლიად აშკარად ჩანს, რომ მთიელთა ცხოვრება-
ში მოქმედებდნენ სოციალურ-ეკონომიური ურ-
თიერთობის ისეთი ნორმები (დაკრძობების გუ-
ლუბრყვილო ფორმა, გადასახადების შეზღუ-
დული სისტემა, სუსტად დიფერენცირებული
მოსახლეობა, სამხედრო დემოკრატიის გაღმო-
ნაშობი), რომლებიც უკვე უცხოში იყო ბა-
რელთა ყოფისათვის. მარტორდენ ამ მონაცე-
მებზე დაყრდნობითაც კი, რომ აღარაფერი თე-
ქვას შემდგომი მეცნიერული კვლევის შედე-
გებზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სოციალურ-
ეკონომიური განვითარების დონით მთა ჩამორ-
ჩებოდა ბარს, მთაში საზოგადოებრივი ურთი-
ერთობის განვითარება ნელა ტენდებდა უმდინარე-
ობდა და თვით XIX საუკუნეში, როდესაც
რ. ერისთავი ამ ნაშრომს წერდა, მთიელთა ყო-
ფაში შემორჩენილი იყო როგორც წინადასო-
ბრივი, ისე ადრეკლასობრივი წყობის გაღმო-
ნაშობი.

რ. ერისთავის ზემოხსენებულ ნაშრომში სხვა
საკითხებზე მსჯელობაც გაშლილია კვლევის რე-
გიონში განსახლებული ეთნიკური ერთეულების
მიხედვით, რაც მკითხველს საშუალებას აქ-
ლევს დიფერენცირებულად გაეცნოს თითოეუ-
ლი ამ ერთეულის ეთნოგრაფიულ ყოფის სპე-
ციფიკას. რაგი საკითხის გამოქვებისას ავტორი
ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად ფართოდ
იყენებს მოსახლეობის აღწერის მონაცემებსაც.
საქართველოს სსრ ცენტრალურ სახელმწიფო

ვალერიან ითინიშვილი
რაზიულ მრისთავი რეპორტ ეთნოგრაფი

ისტორიულ არქივში ინახება თბილისის სახაზინო პალატის მიერ სხვადასხვა დროს წარმოებულ კამერალურ აღწერის მასალები, რომლის გაცნობამ და რ. ერისთავის ნაშრომთან მისმა შედარებამ ცხადყო, რომ რ. ერისთავმა ისარგებლა 1843 წლის აღწერის მასალებით (იხ. სკია, ფ. 254, აღწ. I, არქ. № 2042). ამაზე დაცარდნობით მან თავის ნაშრომში აღწერა ფშავლების 12, ხევსურებისა 5 და თუშების 4 საზოგადოება. ნაშრომში ასევე აღრიცხულია ყოველ საზოგადოებაში შემავალი სოფლები; დადგენილია თითოეული სოფლის კომლობრივი შედგენილობა, სულაობა მაშრობითი და მდებარეობითი სქესის ჩვენებით, ზეობის სახელწოდება, სადაც ესა თუ ის სოფელი მდებარეობს, და ქართველ მთიელთა მოსახლეურ ჩრდილოკავკასიელი მთიელების ტოპობრივი სახელწოდებანი.

საყურადღებოა, რომ რ. ერისთავის მიერ გამოყენებული აღწერის მონაცემები სრულ შესატყვისობაშია ამა თუ იმ კლხის სასოფლო-ტერიტორიულ თემებად დაყოფის ისტორიულ ტრადიციასთან. მაგალითად, ვახუშტი ბაგრატიონი მთელ თუშეთს წარმოგვიდგენს ორ მთავარ ნაწილად. გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით იგი ერთმეორისაგან მიჯნავს ფარსმანის თუშეთის ხევისა და წოვა-გომეწარ-ხალმართის ხეეს, ისევე, როგორც ადგილობრივი მოსახლეობაც ერთმანეთისაგან გამოყოფს პირიქითსა და პირაქით თუშეთს. ამასთან ერთად, ერთ დიდ ხეობად მდებარე პირაქეთი თუშეთიდან ვახუშტი ცალ-ცალკე ასახელებს წოვას, გომეწარსა და ჩალმას, როგორც ერთმანეთის მეზობლად, ერთ ხეობაში მდებარე სამ ლოკალურ ერთეულს. ვახუშტისეული ლოკალიზაცია ხალხის მიერ თუშეთის ცალკეულ თემებად დაყოფის იფენტურია, რამდენადაც ხალხის ვაგებით ისტორიულ თუშეთში ანკბებული ოთხი ტერიტორიული თემი (წოვათა, გომეწარი, ჩალმა, პირიქეთი) ფარავს ვახუშტის მიერ აღწერილ ოთხ ერთეულს. მასადავ, რ. ერისთავის მიერ ხსენებული „საზოგადოება“ სახელშეკცული ისტორიული სასოფლო თემია, რაც იმავე მიკვირითებს, რომ ახალი ადმინისტრაციული დაყოფა მოხდა საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე არსებული ლოკალიზაციის შესაბამისად.

რ. ერისთავი არ იფარგლება სტატისტიკური მონაცემებით და ხალხურ გაღოკებებზე დაყრდნობით ცდილობს ზოგიერთი გარკვეულობის შეტანას სასოფლო თემის, როგორც ტერიტორიულ-სოციალური ერთეულის სტრუქტურის ვაგებში. მაგალითად, მისთვის ცნობილია, რომ ფშავეთა 12 საზოგადოებიდან (თემიდან) 11 მონოგენტურია, ე. ი. დასახლებულია ერთი გვარის ხალხით, ხოლო თერთმეტევე გვარის წარმომავლობას უკავშირებს 11 ოჯახის სეგმენტაციას, რამდენადაც გვარის სახელწოდება მომ-

დინარეობს მისი ეპონიმის (ოჯახისა და გვარის წინაპრის) საკუთარი სახელიდან (გვ. 78-79). მასადავ, რ. ერისთავმა სოფლის თემის სტრუქტურაში დიანხა გვაროვნული თემის გაღმონაშთური ელემენტები, რაც იმის მიჩვენებელია, რომ სოფლის თემის წინამორბედ ფორმას წარმოადგენდა გვაროვნული თემი. ამასთან ერთად, რ. ერისთავის მსყელობა შეეხება გვარის არა თავდაპირველ ფორმას, არამედ მის გვიანდელ სახეობას, რამდენადაც მან გამოთქვა შეხედულება ოჯახის დაყოფის შედეგად გვარის წარმოქმნის შესახებ, რაც მეცნიერებაში შეფასებული არ ყოფილა, მაგრამ მათთან ორგანულ კავშირშია საბჭოთა ეთნოგრაფიაში ჩამოყალიბებული თვალსაზრისი დიდი ოჯახის სეგმენტაციის ნიადაგზე პატრონიზიული ორგანიზაციის შექმნის კანონზომიერების შესახებ.

რიგი სხვა საკითხის კვალიფიკურ კვლევათან ერთად ნაშრომის ღირსებაა ზრდის მასზე დართული რუკა. რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიური განყოფილების განმკებელი კომიტეტის 1855 წლის 14 აპრილის სხდომის ოქმიდან ვგებულობთ, რომ რ. ერისთავმა კომიტეტს წარუდგინა თუშ-ფშავ-ხევსურეთის გეოგრაფიულ სახელწოდებათა დახუსტებული ვარიანტი. კომიტეტმა მიიღო ეს ვარიანტი, რ. ერისთავს მადლობა გამოუცხადა გაწეული შრომისათვის და ამის მიხედვით მოხანსეწონილად სკოლა არსებულ დაწინიქებათა შეწარება და რუკებზე გეოგრაფიულ სახელწოდებათა იმ სახით დატანა, როგორც რ. ერისთავს ესახებოდა.

რ. ერისთავი შემდგომშიც დაეცხრომელ ინტერესს იჩენდა მთიელთა ყოფისა და კულტურის მიმართ, რაც გამოვლინდა მისი გვიანდელი მოღვაწეობის პერიოდშიც. 1378 წელს გერმანულ, ხოლო 1881 წელს რუსულ ენაზე გამოიცა ცნობილი კავკასილოგის, 1567-1903 წლებში კავკასიური მუზეუმის დირექტორის, გ. რადეს წიგანი¹⁰, რომლის ეთნოგრაფიულ ნაწილში ავტორი ძირითადად ემყარება ა. ზისერმანისა და რ. ერისთავის კვლევის შედეგებს ხევსურთა ყოფისა და წეს-ჩვეულებების შესახებ. რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოებას კავკასიური განყოფილების ყურანლის რედაქციის თხოვნით რ. ერისთავს გ. რადეს წიგნიდან ამოღწერია შეცდომები, დაშვებული უმთავრესად გეოგრაფიული და ეთნოკური სახელწოდებების გამოყენებისა ეს შეცდომები მას ჩამოწერია გ. რადეს ნაშრომის შესაბამის ვერბობის მითითებით და გასწორების სახით იქვე მიუწერია დახუსტებული სახელწოდებები. რ. ერისთავს შესწარებაში შეუტანია რუკებშიც; რომლებიც გ. რადეს გაღმოულია ხუთგვარაიანი რუკიდან. ამ რიგის უმარგო შეცდომებიდან მას შეურჩევით პეტიტით აწყობილ რვა გვარზე დაუსტამბია¹¹. რედაქციის სახელით ამ შენიშვნებს წამძღვარე-



ბული აქვს რეცენზია გ. რადეს წიგნზე¹², რომლის კრიტიკულ ნაწილში მთლიანად მეორდება რ. ერისთავის შენიშვნები. ამდენად, საფიქრებელია, რომ რედაქციამ ეს რეცენზია ვაიფორმა რ. ერისთავის შენიშვნებისა და რეკომენდაციების საფუძველზე ან დაწერა თითო რ. ერისთავმა, მაგრამ ხელი არ მოაწერა იმ ტომს, რომ რეცენზიაში შეფასებულია მისი ნაშრომიც, გამოყენებულია გ. რადეს მიერ, და ვ. რადეს შეცდომების საპირისპიროდ აქედან არაერთი მოსაზრება დამოწმებული. მაგრამ ვის მიერაც არ უნდა იყოს გაფორმებული ეს რეცენზია, მისი ღირსების საფუძველს წარმოადგენს რ. ერისთავის დაკვირვებები და შესწორებები, რასაც დღის წყაროშიცოდნეობითი მნიშვნელობა ენიჭება ზუსტი მეცნიერული კვლევებისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ტოპონიმებისა და ისტორიული გეოგრაფიის სფეროში.

ზემოხსენებული ყურნალის ამავე ნაკვეთში მოთავსებულია რ. ერისთავის კიდევ ერთი ნაშრომი¹³, რომელშიც გადმოსცემს ნ. ურბნელის (ზიზანაშვილის) ნაწერების შინაარსს ხევისრეთის ეთნოგრაფიის საკითხებზე. ამ შემთხვევაში მისი როგორც მთარგმნისა და ეთნოგრაფიკომენტატორის დამსახურება ისაა, რომ მან ნ. ურბნელის ნარკვევები გადმოარუსულა, საკითხები თავისი გემოვნებით დააჭვუდა და დაასათურა. ამასთან ერთად, რ. ერისთავმა სათანადო შეფასება მისცა ამ ნარკვევებს, სავანგებოდ გამოყო მინამღ უცნობ მასალაზე დამყარებული კვლევის შედეგები, ხალხ მიმოხილვის დასკვნით ნაწილში შეეცადა ხევისრეთა ყოფაში არსებული ზოგიერთი მოვლენის ახსნა მოცუა წერილობით წყაროებთან (ბიბლია) ეთნოგრაფიული მონაცემების შეყრების საფუძველზე.

რ. ერისთავი შემდეგშიც არ აკლებდა ცდას საქართველოს ეთნოგრაფიაში ღირებული სამეცნიერო მემკვიდრეობის ფართო ასპარეზზე გატანას და პოპულარიზაციას. ნ. ურბნელის შემდეგ რ. ერისთავმა ასეთ ღირსეულ ეთნოგრაფად სცნო ბ. ნიჟარაძე (თაკისუფალი სვანი), რომლის წერილების კვალიფიციური თარგმანით მან რუსი მკითხველისათვის ხელმისაწვდომი გახადა სვანეთის ეთნოგრაფიის საკითხები¹⁴.

რ. ერისთავის მიერ რუსულ ენაზე დაწერილ ეთნოგრაფიულ წერილებთან ერთად ამავე ენაზე ორი გამოჩენილი ეთნოგრაფის — ნ. ხიზანაშვილისა და ბ. ნიჟარაძის ნაწერების თარგმან

დიდი წვლილი იყო XIX საუკუნის ეთნოგრაფიული აზრის განვითარებაში, როდესაც ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის საკითხების შესწავლაში უცხო ავტორთა მიერ დაშვებული შეცდომებისა და დამახინჯებების საპირისპიროდ გამოიხვედრა ეროვნული ქართული ეთნოგრაფიის შესანიშნავ წარმომადგენელთა ნაწერები და ის ხელმისაწვდომი გახდა რუსულ ენაზე მკითხველისათვის.

რ. ერისთავის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა მთლიანად, რომლის რამდენაღმე სრული შესწავლა ვრცელ მონოგრაფიულ კვლევას საჭიროებს, რელიეფური სიცხადლე ვიწინეებს, რომ საკვლევი რეგიონების არაილისა და თმარტიკის სიმრავლის მხრივ XIX საუკუნის საქართველ ეთნოგრაფთა შორის რ. ერისთავს თითქმის ბადალი არ მოეძებნება. ის თანაბარი გულმოდგინებითა და საქმის ღრმა ცოდნით სწავლობდა როგორც აღმოსავლეთ ისე დასავლეთ საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხებს. დასავლეთ საქართველოში სამსახურებრივ მოვალეობათა აღსრულების (1855-1870 წწ.) პარალელურად რ. ერისთავი სწავლობდა იმერლების, მეგრელების, სვანებისა და რაჭველების ყოფა-ცხოვრებას და წეს-ჩვეულებებს. თავის დაკვირვებათა შედეგებს ის სისტემატურად აქვეყნებდა რუსულ ყურნალ-ვახუთებში. ასე შექმნა მან შრომების მთელი სერია დასავლეთ საქართველოს შესახებ, რომელთაგან აღსანიშნავია არა მარტო სამეგრელოს წარსულისადმი მიძღვნილი ზემოთ განხილული საისტორიო წერილები და ბ. ნიჟარაძის ნაწერების რუსული თარგმანი, არამედ ეთნოგრაფიული მეცნიერებისათვის კიდევ უფრო დიდი შენაძნა მისი ნარკვევები იმერეთისა და სვანეთის შესახებ¹⁵. ყოველივე ეს სათანადო აღიარება დაიმიკვდრება ეთნოგრაფიის დარგში რ. ერისთავის ღვაწლის ყოველმხრივ შეფასებისას ისევე, როგორც ამ მხრივ უარესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება მის დამსახურებას საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის წინამორბედის — კავკასიური მუზეუმის დაარსებაში (1852 წ.), მისი ისტორიულ-ეთნოგრაფიული კოლექციების შეგროვება-კლასიფიკაციაში, რაობის განსაზღვრაში, კვალიფიციურ აღწერილობაში და საერთოდ სამუზეუმო საქმიანობის ორგანიზაციაში, რაც მჭიდროდ იყო დაკავშირებული როგორც ეთნოგრაფიაში რ. ერისთავის სპეციალურ მუშაობასთან, ისე მის ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობასთან.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი :

¹ Р. Эрстов. Путевые записки по Мингрелии, журн. «Кавказская старина», Тифлис, 1872—1873, №№ 1—8, стр. 67—80.

² Р. Эрстов. О крестьянском сословии в Мингрелии; О привилегированных

сословиях в Мингрелии, журн. «Кавказская старина», 1872—1873, №№ 4—6, стр. 89—94, 129—137.

³ С. Токарев. История русской этнографии, Москва, 1966, стр. 11.

⁴ შ. ე ა შ ა ე მ ა მ დ ე, რ ა დ ი ე ლ ე რ ი ს თ ა ვ ი, თ ბ ი ლ ის ი, 1962, გვ. 30.

⁵ Р. Эристов. Лазаре («Кавказ», 1847, № 10); Свадьба у грузин («Кавказ», 1874, № 14); Маскарад грузинской черни (на масленице) («Кавказ», 1849, № 16); Признаки весны, царство кукушек, происхождение сов (из поверии грузин) («Кавказ», 1849, № 18); Замечания на статью Бердзенова («Кавказ», 1854, № 50).

⁶ Р. Эристов. О тушино-пшаво-хевсурском округе. «Записки кавказского отдела русского географического общества» (ქვემოთ უკვლავს ЗКОРГО), кн. III, Тифлис, 1855.

⁷ А. Зиссерман. Двадцать пять лет на Кавказе (1842—1867), I, СПб, 1879.

⁸ И. Цискаров. Записки о Тушетии, газ. «Кавказ», 1849, № 7, 8, 10—13.

⁹ ЗКОРГО, кн. III, стр. 284.

¹⁰ Г. Раде. Хевсурия и Хевсуры, Тифлис, 1881.

¹¹ Р. Эристов. Опечатки и вставки в монографии «Хевсурия и Хевсуры», ЗКОРГО, кн. XIV, вып. I, Тифлис, 1890.

¹² Заметки о монографии «Хевсурия и Хевсуры», ЗКОРГО, кн. XIV, вып. I.

¹³ Р. Эристов. Извлечение из этнографических очерков Урбнели о хевсурах, ЗКОРГО, кн. XIV, вып. I.

¹⁴ Р. Эристов. Заметки о Сванетии, ЗКОРГО, кн. XIX, Тифлис, 1897, приложение II.

¹⁵ Р. Эристов. Письма из Имеретии, газ. «Кавказ», 1857, №№ 52, 53, 55, 57, 59, 63, 76, 77, 79, 81, 82, 85; Очерк Имеретии в сельскохозяйственном отношении. «Записки Кавказского общества сельского хозяйства», 1875, №№ 2, 3; Этнографические очерки Сванетии, «Новое обозрение», 1896, №№ 4426, 4442; 1897, № 4555.



რა არის თათქარიქობა?

ლუარსაბ თათქარიქის სახით ილია რომ საერთოქართულ მოვლენას გულისხმობდა, ეს თავად აღნიშნა მრავალჯერ „კაცია-ადამიანი“ში?!

„ჩვენ პირთან საქმე არა გვაქვს, ჩვენ საზოგადო კირზედა ვწერთ“, იმთავითვე აცხადებს მწერალი მკაფიოდ და ნათლად. მერე გზადაგზა ყველა აუცილებელ შემთხვევაში ახსენებს მკითხველს მოვლენის საერთოქართულ ხასიათს.

დავაკვირდეთ. ილია ლუარსაბ თათქარიქის უბადრუკ სახლკარს აღწერს და დასძენს: „იმას ერთუა ვარშემო ძველი ტურქული ღობე, რომელიც ზოგიერთგან გადაქცეული იყო და ესლანდელს ბატონს არც კი მოსვლია ფიქრად, რომ ვაეკეთებინა. ეტყობოდა, რომ ქართულია“

...სიღარიბეს და გაკირვებას არ დაუქცევია თათქარიქის კარმიდამო. ლუარსაბი კარგა მდიდარი კაცია. „მამ რაღად სდგას ეგრე ცუდად? — მკითხავს ვაკვირებული მკითხველი. იმიტომ, რომ ქართულია, — მოგიგებთ სრულიად დარწმუნებული, რომ კაი საბუთი გითხარით“.

სახლ-კარი კი დაქცეოდა ლუარსაბს, მაგრამ სამაგიეროდ „ღერი კარგი ჰქონდა, ხორცი უკეთესი, სმა-ჭამა და ძილი ხომ რაღა. მეტი რა უნდა ქართველ კაცს, რომელიც ბედსა და უბედობას ბალნით არჩევს“.

მეტყუებული ლუარსაბი ბედს უდრტყინველად ემორჩილება. მაგრამ არც ეს მორჩილება პირადი თვისება. ესეც საერთოქართული ყოფილა. „კარგი რამ არის ქართველი კაცი: ბედსაც და უბედობასაც თანასწორად ემორჩილება ხოლმე“.

დარჩენამა არ იცის, ვინ არის ბიბლიური აკოზი, მაგრამ არცოდნის აღიარებს თავი-

ლობს. „ისევე რაღაც მოჭორება ირჩივა „არ ვიცის“ თქმას, როგორც ამგვარ შემთხვევაში ყველა ქართველი იცის ხოლმე“.

ილია არ კმაყოფილდება ამ მითითებებით და მოთხრობის დასასრულს მკითხველს ასე მიმართავს: „ჩვენდა საუბედუროდ, თქვენში, მკითხველო, ძნელად იპოვება იმისთანა კაცი, რომ მართალს სიტყვას გონება გაუსწოროს. ვიცი ეს და მაინც კიდევ პირში — როგორც მოყვარე — გეტყვი, რომ ლუარსაბი და დარეჯანი შენს კალთაში დაბადებულან და შენის ძეძლითი გაზრდილან. გინდა მიწყინე, გინდა არა. თუ იმათ დასციენებ, მითამ შენის თავისთვის დავიციენია, თუ დასტირებ — ეგ კაი ნიშანია: სჩანს, სწუხარ, რომ ამისთანანი ვართ, სჩანს შენის თავის გასწორების განზრახვამ ფრთა აიბა. ღმერთმა ქნას, რომ ეგ ეგრე იყოს“.

ამრიგად, ცხადია, რომ თათქარიქობა საერთოქართული მოვლენა ყოფილა. ასევე გაიგო „კაცია-ადამიანი?!“ მე-19 საუკუნის ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ. კიტა აბაშიძე წერდა: „ილია ჭაჭავაძე თათქარიქეთა სახით მთელი ჩვენი ერის ცუდ-თვისებათ და ნაკლოვანებას გვიხატავს“.

მაინც რა არის ეს ცუდი თვისება და ნაკლი? რა კონკრეტული კომპონენტებისაგან შედგება?

თვისება პირველი: სიზარმაცე.

ლუარსაბზე ამბობდნენ, სტუმარი ეჯავრებოდა. მაგრამ ეს თურმე სიძუნწით არ მოსდიოდა. ილია ირონიულად შენიშნავს, სიძუნწე და ქართველი ისე ვერ მოთავსდება ერთად, როგორც ცეცხლი და ყინული. მაშინ რატომღა ესიკვდილებოდა ლუარსაბს სტუმრის მოსვლა? სტუმარი იმიტომ ეჯავრებოდა, რომ უნდა ამღვარიყო და ტანთ ჩაეცვა. ადგომა კიდევ არაფერი. ეს ისე არ ეხარებოდა ლუარსაბს: ტანთ ჩაეცა იყო ამის სიკვდილი“.

სიზარმაცე არ არის ერთფეროვანი მოვლენა. იგი მრავალსახიანია. სიზარმაცის ნაირსახეობა ცრუ საქმიანობა, ცრუ აქტივობა ა. ამაში ლუარსაბის თანამეცხედრეს—დარეჯანს ტოლი არ ჰყავს. ეს ქალი სზირად ტუთილუბრალოდ გამოვარდებოდა, მოსამსახურეებს დაწიოვებდა. აქოდა საქმეს ვაყეთებ, დღედაღამე ჯარასავით ვტრიალებ, უქმად კაციშვილი ვერ მნახავსო.

„საკვირვებელი იყო და სასაცილოც ამ ჩვენის კენიის ტუთილუბრალოდ ფაცი-ფუცი ეს ამოდენა დედაკაცი ჩავოდრებული, ჩასორსლებული, ხშირად დილიდამ შუადღემდე ფეხზე იდგა და ვორგალსავით დაგორავდა. უსაქმო არ იყო, როგორც სჩანს: იქ მუჯლუგუნს წაპკრავდა სავერავზედ მთელმთავრ წირბლიან გოგოსა, აქ თავში ჩაუტყავუნებდა ძონძეში ვახვეულ ჰატარა მურთან ბიქსა, რომელიც მთქნარებით და ზარმაცად სწემდდა საღამოსათვის ჯერ კიდევ წუხანდელ გაქონილს შანდალსა, აქ იმას გაუწყურებოდა — რაზედ? თითონ კენინამაც არ იცოდა — რაზედ; აქ ამას გამოვილანძღავდა — რისთვის? არც ეს იცოდა კენინამ; დასწყევლიდა, დაქოლავდა, დატუქსავდა. ერთის სიტყვით — მიუღო ღამის ნავუბარსა წამოანთხევდა ქვეშერდომებზედ და მერე დადლიო და დაქანტული შემობრუნდებოდა; თუ გოგო დახვდებოდა, ვერ მოითმენდა, რომ ერთი მუჯლუგუნი კიდევ არ ეთავაზებინა. „მეხი კი დავეცასაც“ ზედ დატანდა, თუ ქვიფზედ იყო, — და ეგრე ქანცაწყვეტილი შევორდებოდა ოთახში“...

ეს უზრო სზირაილ-ტრიალი და ფაცა-ფუცი ლუარსაბს საქმე ეგონა და კმაყოფილი ბუტბუტებდა: „კი ოჯახის ბურჯია, კი მადლიანი დედაკაცია! ვმადლობ. ჩემო ვამჩნეო, რომ ამისთანა შემახვედრე“.

სიზარმაცის, ცრუაქტიურობისა და ცრუსაქმიანობის შედეგი ნათელია. ამის უტუყარი ილუსტრაციაა ლუარსაბ თათქარიძის სახლკარი. დახატულია სრული გაპარტახების, ნგრევისა და იავარქმნის სურათი. ლუარსაბ თათქარიძის უბადრუტი სახლ-კარის ხილვა ყოველ ნორმალურ ადამიანში ერთ სურვილს უნდა იწვევდეს: ხელეზი დაიპაპოს, ნებისყოფა მაქსიმალურად დაძაბოს, მდგომარეობა გონიერულად თავდაუზოგავად იშრომოს. ამ ლოგიკური დასკვნის მაგიერ ლუარსაბ თათქარიძე უზომოდ თვითკმაყოფილია და კვეხნის დაუოკებელი სურვილით სავსე. ეს თათქარიძეობის პარადოქსია, მაგრამ მაინც შინაგანი ლოგიკით გაპირობებულია, რამეთუ კვეხნის აუცილებლობა მაშინ იბადება, როცა სიზარმაცის ცაძლევად აღარ შეიძლება, ჭეშმარიტე საქმე და ცრუსაქმიანობა ერთმანეთისაგან ვერ გავიჩივია და აღარც უნარი შეგწევს მდგომარეობა უკეთეს-

საყენ შეცვალო. არადა არც ისტობარის გაცნობინდა. პოზის შესანარჩუნებლად იწყებდა კვეხნის ხნა.

ასე ვლინდება თათქარიძეობის მეორე თვისება — თვითკმაყოფილება და კვეხნა.

„ძლივს არ გავისტუმრე ურმები (ტუთილიც უყვარდა ჩვენს ლუარსაბსა), ძლივს დაღახორის ღმერთმა გულეკაცი. ევეო, მინამ თავს არ დაადგები და კარვად არ დასწყვილებ, ხელს კი არ გასძრავს და. ვაგონილა მე რომ არ ვყოფილიყავ, ყანა მინდორში დაგვიღებოდა“.

— „ეჰ, რას ამბობ, ჩემო რძალი! წელს ოთხი თქვენოდენა ნახნაეები მქონდა, — მიუღო ლუარსაბმა. ამგვარებში ლუარსაბმა საშინელი კვეხნა იცოდა. — რას ბრძანებთ... ჩემოდენ მოსავალი კახეთში ორს არ მოუფა, ქართლშიაც ბევრს არ მოუფა“...

ცოლ-ქმარი მკითხავა მოატყუა. ვამასხარა და გააცუტურა. ლუარსაბიცა და დარეჯანიც მოგვიანებით მიხვდნენ ამას. მოტყუება იუკადრისეს, მაგრამ ისტობარი არც ერთმა გაიტეხა და არც მორემი. ვითომ მკითხავს ოინები მაშინვე მიუხვდნენ, ოლონდ თავზაიანობის გამო არა აქადრეს რა ცრუსა და მატუარას.

— „მე კი გამოვიცან, აი! — დაიკვეხა ლუარსაბმა. დარეჯანს, თუმცა ლუარსაბი უყვარდა, მაგრამ მაინც კიდევ თითონ უნდოდა, რომ გამოცნობის სახელი ამისი იყოს და არა ლუარსაბისა: კაცი სულელი თუ ბრძენი. ყოველთვის თავმოყვარეა. ვანა, რომ მდომებოდა, მე კი ვერ გამოვიცნობდი, — მიუღო დარეჯანმა, — არ მინდოდა, თორემ გუშინვე გამოცნობილი მქონდა“.

თათქარიძისებური კვეხნის საინტერესო მხარე ის არის, რომ ამ ტრაბახის არავის სჯერა, გარდა თავად ლუარსაბისა და დარეჯანისა. მაშასადამე ეს კვეხნა მხოლოდ თვითმოტყუებაა.

— „პურის მოსავალი როგორი გაქვს წელს? — ჰკითხა დარეჯანმა

— თქვენმა შუმე, შარშანდელზედ ცოტა. თქვენს მახლს ოც-დაათის ურმის იმედი აქვს, — დაიტრაბახა ელისაბედმა.

— ეგ ბატონო. კი მოსავალია, ოც-დაათი ურემი ხუმრობა არ არის; ჩვენც მოგვიცა მადენი, მაგრამ ჩვენ ერთი ორად მეტი ნახნავი გვექონდა თქვენზედა, — იტყუა თავის რიგზე დარეჯანმა“.

თათქარიძეებს რაიმე აუცილებლობა ან შემთხვევითობა არ აიძულებს იცრუონ. ტუთილი მათი არსებობის პრინციპია. დარეჯანმა იცის, რომ ტუტის და ელისაბედმა, მაგრამ ორივენი მაინც ცრუობენ. ასევე შეგნებულად ტუტუან მათი გოგო-ბიჭებიც.



საქართველოს
წიგნების
კავშირის
სამდივო

ცნობი და გაიძვერა მკითხავი შეიღს დანა-
ტრულ ლუარსაბსა და დარუჯანს ატყუებს:
შთამომავლობა იმიტომ არ გვათ, რომ თქვენს
სახლში ჯადო ყოფილაო. სანამ ამ ჯადოს არ
მოცილებთ, არათერი გეშველდებათო. მერე
ვითომ ეს ჯადო სახლის უჯან ორმოში იპოვეს.
ნამდვილად კი არც ორმო ყოფილა და არც
ჯადო. ეს ლუარსაბმაც იცის და ბიჭებმაც. მაგ-
რამ ლუარსაბი თავს იტყუებს, ბიჭები კი ლუ-
არსაბს ატყუებენ.

— არა, თქენის ორი თვალითა ჰნახეთ?
— ორის თვალითა, აი ასე, როგორც შენ
გხედავთ, ბატონო!.

ამ სიტყვის ბიჭები იმით ამართლებენ, რომ
ტყუილი ბატონს ესაიაროვნება: „— შენ რა
გენდობდები, ძმაო,—წასჩურჩულა ერთმა ხნი-
რმა გამოცდილმა გლეხკაცმა, — ხომ ხედავ-
ბატონს უხარაინ, რომ იქ ორმოა. დაე ეგო-
ნოს, რომ ორმოა. შენ რა?“

არც ისე გულმტრყვილო და უმტკივნეუ-
ლოა ეს — „შენ რა“. აქ პირადი სარგებლო-
ბისა და გამორჩენის პრინციპია შენიღბული.
პრინციპი — „შენ რა“ ყოველგვარ ვერავობას
უსხნის გზას. ვერავული მოტყუებით შეერთო
ლუარსაბმა დარუჯანი. ძმა რომ ძმაა, ძმამაც კი
გაყიდა მაშინ ლუარსაბი. ჯერ სუტ-კენინამ
დაახვია თავბრუ ლუარსაბს: მოსე გრძელაძის
ქალი დარუჯანი მზეთუნახავიაო. მერე ლუარსა-
ბის ძმას სხვა ქალი აჩვენეს და მოხიბლეს.
მართალია, ჯვარისწერის წინ დავითი მიხვდა,
რომ მოატყუეს, მაგრამ ამოქმედდა პრინციპი—
„შენ რა“ შენ ხომ არ ირთავ დარუჯანს ცოლად?
აიღე ათი თუმანი, ჯიბეში ჩაიდე და გაჩუმდი.
დავითმაც არხინად გაყიდა ათ თუმნად ძმა.

თუ ლუარსაბი სუტ-კენინამ მოატყუა. მოსე
გრძელაძემ სუტ-კენინა დატოვა მშრალზე.
ჯერ გასამრჯელოს შეპირდა მოსე სუტ-კენი-
ნას. მერე, როცა საქმე გაინაღდა, სუტ-კენინას
ის გასამრჯელოც წაართვა და ხულაშიც დამ-
წყვიდა.

ამრიგად, ყველა ცრუ და მატყუარაა. მაშასა-
დავე, თათქარიძეობა ტყუილზე
გვებული არსებობაა.

თითქონდა ტყუილი აღშფოთებასა და პრო-
ტესტს უნდა იწვევდეს. მაგრამ თათქარიძეობის
პარადოქსი ის არის, რომ ამა თუ იმ პროცესს
ლოგიკური შედეგი არ მოსდევს. პირიქით,
ალოგიკური რეზულტატია მისთვის ბუნებრივი.
ამყარადაც ასე მოხდა: პროტესტის მაგიერ
სრული კმაყოფილება დაიბადა.

„ჩვენმა ლუარსაბმა ესე დაიწერა ჯვარი.
თუმცა ძალადობით მოხდა ეს, თუმცა მხითვე-
ნიც მოატყუესა და მზეთუნახავის მაგიერ მა-
ხინჯი დარუჯანი შეერთეს, მაგრამ—შეზღუდ-
ეგ მეწერაო, — იფიქრა და დაემორჩილა ბე-
დის წერას. ბოლოს ხომ, — შენც იცი, მკით-
ხველო, — რომ ამით ერთმანეთი შეუჯვარ-

დათ. ამით კი ისე ეგონათ, რომ უყვართ ერთ-
მანეთი და სხვისი კი არა ვიცი. „ფერი ფერსაგან
მადლი ღმერთსაო“, — ნათქვამია, ფერი ფერს
შეხვდა და ერთმანეთი შეიფერეს. ეს შეფერება
ჩვენში ცოტას აქვს მიღებული სიყვარულად?
კარგი რამ არის ქართველი კაცი: ბედსაც და
უბედობასაც თანასწორად ემორჩილება ხოლმე.
არც ერთოსათვის გაიხეთქავს თავს და არც მე-
ორისათვის დაიწყებს ბრძოლასა. — და არის
ისე ყველგან ერთმანეთად გულგრილი და შეუ-
ღვარი. ამ გულგრილობას და შეუღვრობას
კმაყოფილებადა აღიბეზენ. კმაყოფილება კი-
დეე — ვილაცამ სთქვა — ბედნიერება არისო.
ბევრჯერ უთქვამთ დარბაისელთ მოხუცებულთ
ჩემთვის, რომ ახალ თაობას იმით მაინც ვჯო-
ბიგართო, რომ ჩვენ ცოტას კმაყოფილებიც
ვართო. მე კი დაეჩუმიებული ვარ და გამოფიქრია:
„კმაყოფილება კაცის მომავლიდნებელი სენია.
ბედნიერია ახალი თაობა, თუ მართლა ის კმა-
ყოფილება არა აქვს. იმედი თუა სადმე, ამაზე
უნდა იყოს: უმადლონი სკერდებიან მას, რაც
არის, ამტკობენ იმათში უფრო ბევრია ბედნი-
ერია, მადლიანი კი მწელად: ამით ყოველთვის
უტყუესი უნდათ იმიტომ, რომ კარგს უფრო
კარგი მოსდევს თანა, „მგობი მგობი არ დაუღე-
ვაო“, — ნათქვამია.

ჩვენი ცოლ-ქმარნი კი ამისთანანი არ იყე-
ნენ: ამით თავიანთი ცხოვრებაზედ „მგობი“
ცხოვრება არ ეგონათ ქვეყანაზედა. ესენი კმა-
ყოფილნი იყვნენ: ვალი ამათ არ ემართათ და
ვახში. დედა არავისთანა ჰქონდათ და დარაბა...
ეს სრული კმაყოფილება ბუნებრივად იწვევს
პირფერი კმაყოფილება და ფარისევლ-
ობას. ისინი ერთმანეთს განაპირობებენ და
ერთმანეთით არსებობენ.

ლუარსაბმა მოურავ დათოს მოუხმო. უნდო-
და შეეტოვო, სანთავე მოიტანა თუ არა ბაზრი-
დან. დათომ არ დააყოვნა და ბატონს ნაირ-ნაი-
რები ჩამოუთვალა. კმაყოფილმა ლუარსაბმა
მოურავი შეაქო:

„— ეგრე, ჩემო დათო! ბატონის ოჯახის
პატივი და სახელი ერთგულმა ყვამ ქვეყანას
უნდა მოსდოს. ბარაქალა თუნდ ნაყულოლი
იყოს, უნდა სთქვას, რომ სასვენაო (ხედავთ,
აქაც ტყუილისკენ მოწოდებაა — ა. ბ.). შენ
გამოცდილი კაცი ხარ, — ეს ყველაფერი იცი.

— ამოდენა კაცი შენს ხელში ვარ და რო-
გორ არ მეცოდინება, შენი ჰირიმი? —
მოუქონა თავი ლუარსაბს დათომაც.

გლეხის ქალი ბაბალე მოვიდა და დარუჯანს
თხოვა: ჩვენი კამეჩი მეველეებს დაუჭერათ,
უბრძანეთ, გაუშვანო. დარუჯანმა ეს ლუარსაბს
აეცნობა. ლუარსაბმა მოურავს დაუცხვანა და
ბრძანა — კამეჩი დაუყოვნებლივ გაუშვიათ.

„— ჰხედავ, — უთხრა დარუჯანმა, როცა
საკამი ჰპარბამ

რბ არის მათმარბმომობა?

ლუარსაბი წვიდა, — ხედავ, რა რისხვა შეუ-
თვლა, იქაურობას სულ ააწოკებს.

— დიდება აქვს, შენ გენაცვალე, და იმიტომ.

— ეგეც ხომ, მაგრამ ხმაც დიდი აქვს სო-
ფელში გავარდნილი. აი, დავით, ჩემი მახლი-
მას კაცად არავენ აგდებს.

— აბა, შენი კენესაზე, იმათ ფეხი სიდ მიუ-
წვდებათ თქვენამდინ; ელისაბედიც მითამ თა-
ვადის-შვილის ცოლია და თქვენცა?“

ქალბატონს რძალ-მასლის ლანძღვა-გინება
ესიამოვნებაო და გაიძვერა ბაბაღვამაც გუდას
თავი მოხსნა, დავითი და ელისაბედი მიწასთან
გაასწორა. მერე მოულოდნელად ქორაობა
შეწყვიტა. ცნობისწადილმორეული დარეჯანი
ჩასვიდა, კიდევ რას მეტყვიო, მაგრამ ბაბა-
ლემ პირში წყალი დააგუბა და აღარაფერი
თქვა. დადუმებულ ბაბაღვს დარეჯანმა შეაბა-
რა, იმათ ხომ არ გეშინიაო? ქლესა ბაბაღვმ
სასწრაფოდ მიაგება პასუხი ქალბატონს —
„ — თქვენისთანა მშველაობელი რომ კაცს სად-
მე ეგულემბოდეს, იქ ვილასი უნდა ეშინოდესო“.

თვალთმაქცობასა და პირფერობას საზღვარი
არ აქვს. დარეჯანიცა და ლუარსაბიც უხომოდ
ტყებინათ დავითისა და ელისაბედის აუვაით. მაგ-
რამ საემბრისა რძლეცა ერთმანეთს შეხვდნენ,
რომ ურთიერთი პირზე კოცინა მოავითონ
და უკვე სხეები ლანძღონ და ათრიონ. ვინმე
თავად ნიკოლოზს მოახლესთან არშეიკობა და-
უწყია. დარეჯანსა და ელისაბედს უკეთესი სა-
ბაბი არც უნდათ და ნიკოლოზი სასწრაფოდ
ლაფში ამოსვარეს. ვითომ მისი საქციელი დაგ-
მეს და დაიწუნეს. მაგრამ ვგობა პირფერული
ყოფილა, აღმულოება — ცრუ.

„ — რომ არ ვაკონიალა, ყურით და ენით არა
თქმულა ქალისაგან ვეპაკის ვალახა და ქმრი-
საგან ეგრე აშკარად მაგისთანა ამბები! სირ-
ცხვილი აღარ არის ესლანდელ დროში. პირში
წყალი გავვშრობია.

— არა, ისე ჩემად მოეხდინა მაინც იმ სუ-
ლის მტერსა, კიდევ არაფერი იქნებოდა, —
სთქვა დარეჯანმა.

— ჩემად რომ მოეხდინა, ვინ რას იტყო-
და? — გააწყვეტინა სიტყვა ლუარსაბმა, —
განა უწინ კი არ იყო მაგისთანა ამბები, ხორ-
ციელბოდ არ იყვნენ თუ? მაგრამ უწინ სულ
დაფარული იყო, ისე დიპქორდნენ საქმეს —
რომ ხორციელს არ გაავებინებდნენ. — ბევრი
მაგისთანები მომხდარა უწინაც, მაგრამ ერთი
შეგიტყვიათ რამე? სულ ისე ჩემად და ვინი-
ერად იცოდნენ უწინ ყველაფერი, ამიტომ
რომ პირში წყალი ჰქონდათ.“

როგორც ხედავთ, ლუარსაბსა და დარეჯანს
მოვლენა ან ფაქტი კი არ აწუხებს, არამედ მის-
ი გამჟღავნება. თუ არ გამჟღავნდება, დაქციე
ქვეყანა. ამის გამო თათქარიძეები თავს არ
შეიწყუხებენ. ოღონდ პირფერობისა და თვალ-
თმაქცობის ნიღაბი კი ვულმოღვინდა — უნდა
გვპონდეს აფარებელი.

ამ ნიღაბს არ ლაღობს არც ბატონი, არც
ქმა. ხმა გავარდა, ბატონუმიბა უნდა დაეწყინა
დღის. ლუარსაბმა, ცხადია, არ დაიქრეს სიტყმა
დათოს მოუხმო:

„ — ... ყმები: ჩამოგვრთმევითო რომ ამბო-
ბენ; ტყუილია: გესმის თუ არა? ყველას უთხა-
რი, რომ ტყუილია. ხელმწიფეს მოუწერია,
რომ დავარტობ, ვინც იტყვის, რომ ეგ მართა-
ლიაო, ვინც გუნებაში მაგას გაიტარებსო. ვა-
იგე? ”

— ვაიგე. შენი ჭირიმე! — უპასუხა და-
თომა, — განა მაგას ვინა ჰტიქრობს? აი, რაღაც
გოგო-ბიჭები მიქპარავენ, შენი ჭირიმე, იმათ
ვინ დაუყარებთ. წეროილვეზობის სიტყვა — რა
დასაყრამი? იყბედებენ და დაწუმდებან.

ეგრე სთქვი ხოლმე სხვაგანაც, ჩემო დათო!
ან რა კარგი იქნება თქვენთვის, რომ ჩვენ არა
გყავდით.

— შენი მტერი ყოფილა, ჩვენ ვიქნებოდით,
შენი ჭირიმე!

— რაც უნდა იყოს, მამასავით გბატონობთ.

— დიად, შენი ჭირიმე! სწორედ მამა ბრძან-
დებით და ჩვენ შვილები ვართ. თუ ხანდახან
გავგიწყვრებით, ავგიულებთ, წიჯვართმევთ, —
ეგრე ა? სულ ჩვენი სიკეთისათვის არის ხოლმე,
განა მამა შევლის არ გავუწერებო?

ასე ვრძელდება ბატონსა და ქმას შორის
ფარისეველური საუბარი. ერთმანეთი სძულთ,
უზიზღებთ, მაგრამ... მაგრამ მაინც ლიქნასა და
ლაქუქს ამკობნიებენ. სხვაც მოატყუე — და
თავიც მოიტყუე. თუ არაფერს შეიძენ, არც
არაფერს დაკარგავ. თან მშვიდად იცხოვრებ
და ამქვეყნიური ჭირ-ვარამიც ნაკლებად შეგა-
წუხებს.

უნებლიეთ იბადება კითხვა — სიზარმაცის,
ცრუქსაქმიანობის, ტყუილის. თვითკმაყოფილე-
ბის, კვენხისა და პირფერობის ატმოსფეროში
რა უნდა აყეთოს ადამიანმა? ჭამოს. სხვა აღა-
რაფერი დარჩენია მას. და ლუარსაბიცა და
დარეჯანიც ჭამენ. „ხვალ რა გვამოთ“, — იტ-
ყოლდნენ საღამოზედ. ეს იყო იმათი ბურის
ალეზ-მიეცემა“.

ლუარსაბისა და დარეჯანის ცხარე დისკუსიე-
ბი თართისა და ორაგულის, ჩიხირთმისა და
ბოზხაშის შესახებ ყოველი წიგნიერი ქართვე-
ლისათვის კარგად არის ცნობილი და ამიტომ
ციტატებით მკითხველს თავს აღარ მოვაბუზ-
რებ.

თათქარიძეების ცხოვრების სურათი ნათე-
ლია. მაგრამ ასეთ ცხოვრებას რა უნდა მოჰ-
ყვეს, როგორ უნდა გავრძელდეს იგი? ილია
მკაფიო პასუხს იძლევა — სრული უნაყოფო-
ბა ასეთი ცხოვრების დასასრული. რამდენი
არ იწვალეს ლუარსაბმა და დარეჯანმა, რამ-
დენი არ ილოცეს, როგორ არ შეაწუხეს ლმერ-
თი. მკითხველს კი დაუყარებს და თელფის
ხატიც მოილოცეს, მაგრამ არ იქნა და არ შეე-
ძინა ლუარსაბს შეიღო. ოღონდ მოთხრობაში



ლუარსაბისა და დარეჯანის შეიღებების ხაზს აღევლინო. შინაარსი აქვს. ეს უნაყოფობა ყოველგვარ საქმეში უნაყოფობას გულისხმობს. ამიტომაც არ გააჩნია ცოლქმარის არავითარი ნიჭი. ერთადერთი, რაც მათ შეუძლიათ, კვამი, და ძილი. არც აყეთებენ სხვას არაფერს.

უშვილობით დადარდიანებულმა დარეჯანმა სოფლის აქიზს მიმართა. ორი კვირა ასმევდა ექიმბაში რაღაც წამალს დარეჯანს. ბოლოს მესამე კვირას იმ წამალმა დარეჯანი წუთისთვის გამოასალმა. ცოლის სიყვდილმა ლუარსაბმა წაახდინა. ვახშო და დაქკნო ეს ქონისა და ხორცილ საესე კაცი. მერე ფერიცვალობის დღეს ნათლიამამ ნახევარი ლიტრა კალმხი, მიართვა ლუარსაბს. ზაფრაშეყრილმა ლუარსაბმა ცდუნებას ვერ გაუძლო. იმ კალმას ლაზათიანად მიიჭდა. კუჭის ანთება მოუვიდა და სული გაუტყვა.

„მოკვდა ლუარსაბი ისე, როგორც ისოცებთან ბეგრნი ჩვენთავანნი, რომელნიც არც თავის სიცოცხლით უშატებენ რასმეს ქვეყანასა და არც თავის სიყვდილით აყლებენ“.

თავიდან ბოლომდე ვადადენით ცხენ თვალის ლუარსაბისა და დარეჯანის ცხოვრებას. თათქარიძეების დამახასიათებელ თვისებებიც გამოგვავით და უკვე შეგვიძლია დავასკვნათ: **თათქარიძეობა არის ზარმაცობა, ცრუსაქმეობა, ცრუაქტიურობა, თვითგაყოფილება, ბაქიაობა, შატყუარობა, პირფერობა, თვალთმაქცობა, ღორმუცელეობა და უნაყოფობა.**

თათქარიძეობა რთული მოვლენაა. სხვადასხვა დროს, სხვადასხვა პირობებში იგი შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოვლინდეს. ეს მან შენვე შეამჩნია ქართულმა მწერლობამ და აისახა კიდევ იგი ლიტერატურაში ამ აზრის დასტურად ზოგიერთ მათგანს ვაგასენებთ მაგალითად. ვიორგი წერეთლის კიკოლიკი („კიკოლიკა, ჩიკოლიკი და კუდაბიკა“).

გარეგნულად არაფრით არ გავს კოლიკ ლუარსაბ თათქარიძეს. იგი პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა და სამშობლოში ვანათლებამიღებელი დაბრუნდა. მოგზაურობს, ხალხს ცხოვრებას ეცნობა, საზოგადოებრივად აწეობაზე დებს თავს. ხან სტამბის დაარსებისათვის იბრძვის და ხან გაზეთის გამოცემისათვის. მიზნად ერის ცხოვრების გაუმჯობესება დაუსახავს. მაგრამ საქმარისია კიკოლიკის საქმიანობის არსს გაცნოთ, რომ მან შეინდო ღრმად შენიღბული თათქარიძეობა ზედამიზნე ამოტივტივებდა.

კიკოლიკი ვანათლებით იყენის. პეტერბურგში ქართველი სტუდენტების წინამძღოლობას იჩენებს. მაგრამ საქმარისია იგი კამათში ჩაებას პოლონელ სტუდენტ ხ...სკისთან, რომ კიკოლიკის უმჯობესება გამოქვადენდეს. „თუმცა იმ საგნისა, რაზედაც ხ...სკი ლაპარაკობდა, კიკოლიკს ბევრი არა ესმოდა-რა, მაგრამ ალავ-

ალავ მოხერხებულის თავის ქნევით, ან ორიოდ დაბეჯითებული სიტყვით ასე არწმუნებდა გარემო მაყურებელს: ვე მე დიდი ხანია უმეტესობა მათქეს... თანდათანობით პოლონელის და ქართველის კამათში გამოვლინდა, რომ კიკოლიკს არაფერი ვაეგებოდა არც იტალიის ერთგულგამათავისუფლებელი ბრძოლის, არც გარბილადის, არც იმდროინდელი ევროპის ამბებისა. კიკოლიკი ხ...სკის ქუშარიტების გასარკვევად არ ედავებოდა. უბრალოდ მსმენელთათვის უნდოდა თვალში ნაცრის შეყრა. „კიკოლიკის თავმოყვარეობა ერთი ათად უფრო გავიცხდა; შიშობდა არ გამაპყუნოსო და ამით ზნეობანი ვაგლენა არ დამეკარგოს ახალმოსულს ჩემს თანამემამულეებზე, არ გავხდემათ თვალში ისეთ კაცად, რომ აღარა მეჭერებოდეს-რა და იმათგან ვარეგანი პატივისცემა და სპეხი არ მომაკლდესო. კიკოლიკი უფრო ამ მოკლე გონებანი თავმოყვარეობით იყო შეპყრობილი, ვინამც მართლად ქუშარიტების ძიებით“.

ხ...სკემ კიკოლიკი გააცამტეერა. მაგრამ კიკოლიკს იტბობარი მაინც არ გაუტეხია. როცა ხ...სკი წვაიდა, ამხანაგებს უტიფრად უთხრა: „აჰ მიწოდდა გამეწითლებინა, თორემ, მოგვცა სიცოცხლე, მე იმას ცხვირში წავადენდი იმის სიტრუეს“.

უბტიბრობა, უმეტერება და კვებნა კიკოლიკის პიროვნების შინაარსია.

სხვა შემთხვევაშიც ასე იქცევა. გაზეთის გამოცემა დააპირა. მაგრამ წერა არ ემარკვებოდა. განცხადება რაა, განცხადებასაც ვერ წერს. ამიტომ ერთი ამხანაგი საღათა მოიწვია. რომელსაც ამ საქმეში შემწეობა სთხოვა.

„კიკოლიკი ალვა, მოიტანა საწერ-კალამი, ქალაღი და მისცა საღათას, რომ იმას განცხადება გაზეთის გამოცემაზე დაეწერა. საღათა მოჰყვა წერას და კიკოლიკი უკრტიკებდა იმის დაწერილს ასოებს და საღათას წერაში ის თან კითხულობდა იმისგან დაწერილს სიტყვებს. შორიდან რომ შეეხებინა, იფიქრებდა, კიკოლიკი ეუბნება და ის წერსო. როცა განცხადება დაწერა საღათამ, კიკოლიკმა ასტაცა ქალაღი და, ვითომც თავის დაწერილია, მოჰყვა კითხვას და პირველს სიტყვაზედვე დაება ენა, ასე რომ ისევ საღათამ გამოართვა დაწერილი განცხადება და თვითონ ჩაიკოთხა ხმა-მალა და გარკვევით.“

— ძალიან კარგი! — მოუწონეს მელიქ-ალამ და ბლუქუნმა.

კიკოლიკმა მისცა შენიშვნა: ერთ ალავას მძიმე არის დასმული. მძიმის მაგიერად მძიმე და წერტილი უნდაო, — უთხრა და ამას შემდეგ ისე ასწია თავი, რომ ვითომც დიდი რამ შეე-

აბაში ბაძარაძე
რბ არის მათიძარნიძობა?

დომა ვაესწორების და თითქოს გულში ეფიქროს: მე რომ არა, ამ განცხადებას ვერ დასწერდნენ“.

ვაი-ვაგლახით გაზეთი გამოსცა. თუ რამ კეთდებოდა, კეთდებოდა საღათას ხელით. კიკოლიკს თითაც არ გაუწმრევია. მაგრამ მაინც სულ საღათას ლანძვარ-გინებაში ამოსდიოდა სული.

— „სულ არაფერი არ ესმის, — დაიწყო კიკოლიკმა ზურგს უკან ლანძვარ საღათასი — როგორც ამ სტოლს არა ეყურება-რა. ისე მაგას. მე მეგონა, თუ რამე იცოდა. მაგრამ სულ არაფერი სცოდნია. ქართულიც არ სცოდნია ხეობიანად...“ მერე ვითომ საქმეს შეუღვევბოდა, მაგრამ სამი-ოთხი საათის მანძილზე ათ სტრიქონსაც ვერ დაწერდა. და ასეთი კაცი საზოგადოებაში თავს ისე იჭერდა, თითქოს თვითონ ყოფილიყო საგავსო სექციონის ბურჯი.

— „მაშენ არის თქვენს რედაქციას თვით მშრომელი? — ჰკითხა წარჩინებულმა ქართველმა მოხუცმა, რომელსაც საქმავი გველენა ჰქონდა საზოგადოებაში და პატივცემული ალაგვიც ეჭირა. კიკოლიკი ძალიან აფასებდა, იმის წინაშე გონიერად გამოეჩინა თავი...“

— „ჰა, ჰა, ჰა კიდევ ლამაზად ჩაიციხა კიკოლიკმა და ლაზათიანი ღმილითვე წარმოსთქვა, თუ ვინ არის რედაქციის მოთავე, ვგრე ადვილად არ ითქმის. ეგ არის რედაქციის საიდუმლო.“

წარჩინებულმა ქართველმა მიხედვრის ნიშნად, გაიღიმა. კიკოლიკმა შეატყო, რომ სწორედ ჩემზე იფიქრა. სწორედ მე ვგონივარ მოთავეო და ამას შემდეგ უფრო მხურვალედ დაიწყო გაზეთის სარგებლობაზე და იმის ჯაფაზე ლაპარაკი“.

როგორც ხედავთ, იშვიათი სურათია დახატული კვებისა და ბაქიაობისა. ცრუსექციონისა და ცრუპატივობისა, რომელსაც სხვათა მოსატყუებლად კიკოლიკი იჩენს, ნამდვილად უნაყოფობაა. მართლაც, არაფერი შედეგი მოპოვოდა კიკოლიკის საგაზეთო საქმიანობას. გაზეთის ზეგები უვლიდნენ და პატრონობდნენ. კიკოლიკს დიდხანს არ ეყო თვალთმაქციობის უნარი და გაზეთს ჩამოშორდა.

ვერც სტამბით ნახა მოგება უქნარა კიკოლიკმა. „ორი წელიწადი ულოდინა, ეგონა ჩემი წილი ფული სტამბაში, აფერ ანლა შემოიტანს კარგ სარგებელს და აფერ ახლაო. ბოლოს, რომ ევლარას ეღიროსა, თქვა გულში: არაფერი მოსაგები საქმე ყოფილა ეს სტამბა, ტყუილა ფულები დაქსლართა — და ლანძვარდა მელიქა-აღას — იმან გამაბრეყეა, თორემ ახლა ეს ორმოცდაათი თუმანი სხვანაირად რომ მე-სარგებლებინა, ოთხმოც თუმანდაც გადამეცეოდლა“.

არის ერთი ანდაზა — საითაც გავიქეცი, იქით წაიქეციო. ასეა კიკოლიკის საქმეც. სტამბასა

და გაზეთს თავი დაანება. სახელმწიფო სამსახურში ჩადგომა და ჩინოვნიკად გახდომა მოეწადინა. ჩინოვნიკობაც ქვეყნის სიხარულად შრომათა, ჯიდავებდა. წიგნები შეიძინა. გაფაციცებით დაიწყო სასამართლო საქმეებისა და კანონების შესწავლა. ისიც მოახერხა, ხალხს აფიქრებინა, კიკოლიკისთანა ახალგაზრდა ქართველები ქვეყნის საქმეს წალბა წარმართავენო, მაგრამ ესეც მორიგი ტყუილი აღმოჩნდა აქაც არაფერი გაუყვებოდა კიკოლიკს.

მერე მასწავლებლობას მოჰკიდა ხელი. კიკოლიკი უქმაყოფილოა კავკასიის გიმნაზიებში მიღებული სწავლა-განათლებით.

„ვინ იცის, რამდენი გაპირებება და დამცირებება გამოვიარე უნივერსიტეტში იმის გამო, რომ კარგად ვერ ვიყავი მომზადებული საუნივერსიტეტოდ; სადაც პეტერბურგის გიმნაზიაში უკრს-დამთავრებული სტუდენტები მეოთხედს საათს ანდომებდნენ, იქ ჩემს ორი-სამი საათი უნდა გვეშრომა. დღე და ღამე მქონდა გაერთიანებული სხვა-და-სხვა საგნების შესწავლით, მაგრამ ზოგიერთ რუსის სტუდენტებს მაინც ვერ ვაუწვრიდი. ამ მდგომარეობამ საშინლად გამაყვირა; ჩემი გიმნაზიის სწავლა იმდენად შეუფერებელი გამოდგა უნივერსიტეტისათვის, რომ თუ მინდოდა რამე გამკრთავებინა, სულ თავიდან უნდა გამომერევა ის ცრუ სწავლა, რომელიც თორმეტი წლის განმავლობაში ზეპირის კვირის ცემათ ჩაეტეხათ ჩემს თავში...“ ამ სწავლაზე ხელი უნდა აეშორა და სასწავლებელი საგნები უნდა-აძლიო ვუნების საშუალებით მეორეთ უნდა შემესწავლა. ამ სახით მე შუა სასწავლებლის საგნები და უნივერსიტეტის საგნები ერთ დროს უნდა გამეულო. ჩემი შრომა ერთი თად მეტი იყო პეტერბურგის გიმნაზიაში უკრსდასრულებულის სტუდენტის შრომაზე“.

სამართლიანი და თბიერტური მსჯელობაა, მაგრამ მხოლოდ მსჯელობა. თითქოს კიკოლიკს ამ ხარვეზების აღმოფხვრა უნდა. ამ მიზნით იწყებს მასწავლებლობას. მაგრამ რაკიკოლიკმა მალე მიიტოვა მასწავლებლობა. რატომ? თურმე მოსწავლეები ყოფილად ვადაგვარებულნი ხალხი ყოფილა. მათთან ურთიერთობით არაფერი გზიანი და საქმიანი არა გამოვიდოდა რა. ყოველთვის ასეა, როგორც კი კიკოლიკი საქმეს თავს ვერ მოხამას, მაშინვე სხვების განმდევნებას იწყებს.

„ტ...ისი შეგირდების ამბავს ნულარ მკითხავს—დაიწყო კიკოლიკმა, — ამათთანა გარყენილი; წამხდარი აღარა მინახავს-რა. წარმოიდგინე. თორმეტი წლის ყმაწვილს ხშირად შეხვდები, რომ თამბაქოს სწევდეს, სწავლით სულ არ სწავლობენ. ექვს საათზე რომელ კაფეშიაც უნდა შეიხდოდ, ხუთს შაგირდს მაინც ნახავ, ბილიარდზე თამაშობდეს. თვითონ მასწავლებლებიც ერთმანეთში

კორაობისა და ენატინანობის მეტს არას აცთებენ. საღამო ისე როგორ წავა, რომ ერთ ცინესთან ყველანი არ მოგროვდნენ ქალაქის სიამაშოდ. არც შავირდები დასლოდება თავისთან, არც ამათი დარბევა, არც ისე შეთვისება შავირდისა, რომ ამისთანა გველენით ახალგაზრდა ააცილოს კაცმა ცხოვრების ტუღს მხარეს. მასწავლებლები ისე გავსორებულნი არიან შავირდებზე, როგორც ეა დედაიწიწა... ჩვენი მოვალეობაა, კვირაში აღნიშნული რიცხვი გაკვეთილებისა მივცეთ, ისწავლიან — კარგი, არ ისწავლიან და — ვაი იმათ გუნებას. აი, ასე ფჭობს ყოველი მასწავლებელი. ყოველი იმათგანი კლასში რომ შევა, იმ ფჭობი შევა, რომ როგორმე მალე გამოვიდეს იქიდან და მთელი გაკვეთილის განმავლობაში, ნახევარს დროს მოქნარებას ანდომებს“.

ამ მძიმე მდგომარეობის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროა. თითქოსდა კოკოლიკის მიზანიც ეს იყო. მაგრამ ბრძოლა ენერჯი, ნებისყოფა და ძალა სჭირდება. კიკოლიკს ვი აკეროთ მათგანი არ გააჩნია. იგი ცარიელი სიტყვებია, რომელიც საქმედ არასოდეს იქცევა. მაგრამ ერთი რამ კი შეტყევედ იცის კიკოლიკმა, შინაგანი გამოვითქვლობა რომ დამოლოს, საქმიანი კაცის ნიღაბი მოუცილებლად უნდა ატაროს. ამიტომ ყოველთვის ცდილობს თავი იმართლოს და დამნაშავედ სხვა გამოიყვანოს. ამგვარად ასე იქცევა: მასწავლებლობის მიტოვების ობიექტური მიზეზებით ხსნის. თუმცა ბრყვეული სულწასულობის გამო ვერც ნამდვილ მიზეზს მალავს: „მე აზრში არ მქონდა მასწავლებლობა. მე ვერ შევეთვისე ამ პაერს. მე მასწავლებლობა ყოველთვის ვიწრო ასპარეზად მომიჩნდა“. მასასადამე, სხვები არაფერ შუაში ყოფილან. თავად კიკოლიკს დაბადება გაქცევის სურვილი. მართალია, ადრე ამტკიცებდა, მასწავლებლის გადარჩენა, სასწავლებლების ფეხზე დაყენებაო ჩემი მიზანი, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს: კიკოლიკის სიტყვა ერთია, საქმე—მეორე. მათი დავაშორება შეუძლებელია.

კიკოლიკის საკლი ცხოვრება ცრუაქტიურობის ხეობებია. ამდენად, ბუნებრივია, რომ მუდამ ექსპლოატრული რჩება. სასოვადობისათვის მოღვაწეობა კიკოლიკის ნიღაბია. იგი არსებობდა პირადი კეთილდღეობისათვის იბრძვის. მისი მრწამსი ასეთია: „ყოველმა კაცმა ყველგან უწინ თავის თავზე უნდა იზრუნოს და როდესაც ამ სახით ყოველი კაცი თავის კეთილდღეობას ფეხზე წამოაყენებს, მაშინ სასოვადო კეთილმდგომარეობა თავისით ჩამოვარდება ქვეყანაზე“. მაგრამ იმდენად გამოფიტულია პირადი ცხოვრების მოწყობა შეუძლება. თუ მოსე გრძელაძისა და სუტ-კენინას ოინების წყალობით, ლუარსაბ თათქარიძემ დარჯანის შერთვა მაინც მოახერხა, კიკოლიკს

ესეც არ ძალუქს. როგორც განათლებული კაცი, ცხადია, მაშინკალს არ დაიჭირებებს. ვერა და, ოქახის შესაქმნელად არც უნარი, ამხრობის ძალ-ღონე არ გააჩნია.

კიკოლიკს ძალიან მოსწონდა ს...ს ქალი. იგი იმდენად ქალის გარეგნობასა და განათლებას არ მოუხიბლავს, რამდენადაც სოციალურ მდგომარეობას. ქალის მამა მდიდარი სოფდავარი იყო. მართალია, ძუნქი და ხელმოშპირნი კაცი, მაგრამ მას „საუკეთესო ბოგზე ერთი წყება სახლები სულ მალაზიებდ და ქარვასლებად ჰქონდა ჩაწყაულო“. ეს სახლები მოსწონდა კიკოლიკს. ქარვასლები და მალაზიები გვირდა ელეთ-მელეთს. ათასგვარ ფიჭის უღვიძიდენენ. „ესეები თუ ერთ დროს ჩემი ვახდნენ, მაშინ მიყურე რაებს ვიზამ. ჩემი სალონი საუკეთესო ახალგაზრდობის სალონად იქნება. მე ვიქნები მათი მოთავე და მფარველი, მე ვიქნები რე, მე... და თვითონაც ვეღარ წარმოედგინა, რა უნდა ყოფილიყო“.

აქაც თვალთმაქცობს კიკოლიკი. ვითომდა ახალგაზრდობის სალონზე ოცნებობს. ნამდვილად კი თავად უნდა თავკაცობა ოლონდ ესეც არ იცის, როგორ ითავაკოს, როგორ უხელმძღვანელოს და საერთოდ თავად რას უნდა წარმოადგენდეს. აქაც ფუჭი ოცნებაა და მეტი არაფერი.

ერთხელ კიკოლიკი სოფდავარ ს...ს ოქახს ეწვია. გაღწევეტილი ჰქონდა ქალს გაარშიყებოდა და ზეაშიადიც გაემეღავებინა. გაიშართა კიდეც მათი საუბარი, მაგრამ კიკოლიკმა ქალის მოხიბლვა ვერ მოახერხა. ქალს იგი მოსაწყენ კაცად მოეჩვენა და კველუცად უთხრა კიდეც ეს. ქალის განცხადებამ — „მე უფრო მზიარული კაცი მომიწონია“ — კიკოლიკს თავზარი ადსკა. იგი დაიბნა. ეგონა ამ პასუხით მაგდებენო სახლოდან. თუმცა ქალს ეს აზრად არ მოსვლია. მისი სიტყვები უბრალოდ ქალური ეშპობისა და კველუცობის გამოვლენა იყო. ნიწამხდარი და შერტხვენილი კიკოლიკი მასპინძელს გამოემშვიდობა და შინ წალასლსდა. „იმან იგრძნო თავის ტკივილი და თითქოს დაუთვრიათო. ტროტუარზე ისე აცხადავს მიჰქონდა ფეხები შინ როგორც მივიდა მაშინვე ჩავარდა ლოგინში, გააბა ხენეშა და უში“.

ამ ეპიზოდში მკაფიოდ ჩანს კიკოლიკის სრული უნებნისყოფობა. არსებითად არაფერი მომხდარა: ქალი მხოლოდ გაეხუმრა კიკოლიკს. ხუმრობამაც კი ყოველგვარი უნარი წაართვა კაცს და მჩვრად აქცია. ეს იმიტომ რომ რაიმე საქმის მოსაგვარებლად კიკოლიკს ნებისყოფის ნატამალიც არ გააჩნია. ბუნებრივია, რომ შემინებელი კიკოლიკი მეორედ ს...ს

აპაპი ბაქრაძე
რბ არის თამაქარიძეობა?



ოჯახში აღარ მოსულა. ქალი მალე გათხოვდა. ერთ დარღმინდ ბოლოცნიეს გაჭევა ცოლად. ასე ჩაეფუშა კიკოლიეს ოცნება. არც სიმდიდრე და არც ღამაზა, განათლებული ქალი. პირად ცხოვრებაშიც ხელი მოეცარა.

ამრიგად, ლუარსაბ თათქარიძის მსგავსად, კიკოლიესათვის დამახასიათებელია ცრუხაქმანობა, ცრუაქტიურობა, თვითკმაყოფილება, უმეცრობა, მატყუარობა, თვალმამკობა, და სრული უსაუბრობა.

როგორც ვხედავთ, არსი ერთნაირია. თუმცა კიკოლიე ლუარსაბთან შედარებით უფრო დხვეწილია. უფრო მეტად მოქნილი და უკეთესად შეინიღბული. სწორედ ამიტომ განათლებამიღებულ თათქარიძეობა ბევრად უფრო საშიშიც არის.

ვერ ერთი, განათლება მიღებული თათქარიძეობა უფრო ხარბია და გაუმაძღარი. თუ ლუარსაბი რამდენიმე თუნისის მზითვეთაც კმაყოფილია, კიკოლიეს ქარვასლები და მდაზიები უნდა, თუ ლუარსაბი დოვლათიანი ოჯახის ყაბულს არის, კიკოლიეს, მდიდარ ოჯახთან ერთად, საზოგადოებაში მაღალი მდგომარეობა და სახელის მოხვეყაც სურს. მეტირედით ვერ დამოშამინდება იგი.

მეორეც, განათლებული თათქარიძეობა უფრო მატყუარაა და შენიღბული. თუ ლუარსაბს არავის ქომაგად არ მოაქვს თავი, კიკოლიე დაწავრულის მშველელად სახავს თავს: „როცა მე ხალხის მოსამართლე ვაგხდები და მთელი ქვეყნის თვალწინ გავასამართლებ მართალსა და მტყუანს და არასოდეს მძლავრ კაცს არ ვავათქარინებ უღონოს“, თავდაპირველად ენავალქარებულმა კიკოლიემ შეიძლება მოგატყუოთ კიდევ. ლუარსაბის ტყუილი კი მაშინვე მხილვებულია. ოსტატობა არ ყოფნის აბრკად შეინიღბოს. თუ ლუარსაბი არასოდეს დაპირებებით არ გვევბავს, კიკოლიეს სიტრუის ბროლის კომეების აგება შეუძლია. მერე კაცი სვდება, რომ ბროლის კომეები მირაყი ყოფილა, მაგრამ ტყუილის ლაბირინთში დიდხანს დახეტიალობს.

განათლებამიღებულ თათქარიძეობა უფრო შორსაც მიდის. საკუთარი უძლერება, გამოფიტულობა, უნაყოფობა რომ გაამართლოს ერის გმობას იწყებს. თუ კიკოლიე თავის ხელმოკარულობას ამხანავებს. თანამშრომლებს, მოწაფეებს, ახმარებს, თეიმურაზ ხევისთავი (მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნები“) მუნათს ქართველ ერს, მთელ საქართველოს სვდებს.

— ერთი რამე კიდევ უნდა ვითხრა, ივანე, წყლად დამაიწყდა.

- რა უნდა გეთქვა, თეიმურა?
- ისა რომ... ჩემი უფილდესი და უმთავრესი უბედურება ის არის, რომ საქ...ქართველოში დავიზაღე.

— რაო? რა სიტყვი?
— ღმერთმა თავიდანვე სასტიკად დამამსხვეპი, როცა ქარ...ართველად გამაქმნა.

იცილება დრო და იცილება თათქარიძეობის გარეგნული სახე. თუმცა არსი უცვლელი რჩება. ლუარსაბ თათქარიძე ელემენტარულად უმეცარია. კიკოლიე ზერულად განათლებული თეიმურაზ ხევისთავი საფუძვლიანად და ღრმად მცოდნეა. „რაზედაც უნდა ყოფილიყო ბასი, შესახებ სუდანის ირიგაციისა, ინგლისის პოლიტიკისა ეშმადის კენსლუზე, გერმანელების დამკვიდრებისა აფრიკაში, პორტუგალიელების გარშემო ატეხილ დავისა, ზანზიბარის სულთანის გარდაცვალებისა, თუნდ ჩარტისტულ მოძრაობისა, თუნდ ახალზელანდიელ ქალების საარჩევნო უფლებებისა, ან ახალ მნათობის აღმოჩენისა, ან რომელიმე მეცნიერულ გამოკვლევისა, კომპის ან ლიოდ-ჯორჯის გეზისა, ან რომელიმე ქვეყნის რომელიმე მოღვაწის რომელიმე სიტყვის ახსნა-განმარტებისა, — თეიმურაზი მუდამ უდავო მსაჯული და მცოდნე იყო ყველაში და ყველაფრისა... სადაც მცირედი დავა ატყდებოდა შესახებ რომელიმე ამბისა სისურვისა ან მცნების განმარტებისა, იმის მაგიერად, რომ მოდევნებს ენციკლოპედიურ ლექსიკონში ჩაეხედათ, დავის გასაჭერლად თეიმურაზთან მირბოდნენ. თეიმურაზიც ცნობას და განმარტებას ხალხით აძლევდა“. მიუხედავად ამისა, თეიმურაზის ცოდნა-განათლებასა და ლუარსაბის უმეცრობა-განათლებლობას შორის არავითარი განსხვავება არ არის. თეიმურაზ ხევისთავის ცოდნა-განათლება მოუხმარებელი და გამოუყენებელია. იგი არავის არაფერში არ ადგება. ერთხელ გვხვებმა სთხოვეს — „თეიმურაზ, ერთი გვასწავლე, შენი ჭირიზე, როგორ უნდა გასუქდეს შინაჟო თეიმურაზი მოღვა და მრცელი, გაუგებარი, თეორიული იწილო-მიწილოთი სახეს ლექცია წაუკითხა გლუხებს. მსმენელებმა მისი ვერაფერი გაიგეს. რა შეკითხვაც არ უნდა მიეცათ, ყველაფეროდ ვერცელ გაუთავებულ ლაპარაკს მოჰყვებოდა და მისი რჩევა-დარიგების არაფერი ენსოდათ. ვერ გამოთქმნა ხალხთან ცოდნის მიტანის გზა და საშუალება. ამიტომ „გლუხებმა მალე გაიგეს თეიმურაზის უფარვისობა და იმის დანარბევებს რომ ერთ ყურში შეუშვებდნენ, უმაღვე მეორე ყურადან გაიფრენდნენ“.

ამრიგად, თეიმურაზის ფუქი ცოდნა არსებობდა ის ვ ვ ე უ ნ ა ყ ო ზ ო ა, როგორც ლუარსაბის უმეცრობა.

ვითომ საქმეს დაძებებს, ღობე-ყორეს ედება თეიმურაზ ხევისთავი, მაგრამ არაფერი გამოდის. როგორც კი კონკრეტულ საქმეს შესისთავებენ, მაშინვე რაიმე მიზეზს გამოთქმის და უპარს იტყვის.

— შე კაი კაცო, რაღა ცბინელაში ან გორში



მირბინარ? ავი გითხარი ამას წინათ, ნაშინ-
დარში სკოლას გავხსნით მეთქი. აქვე დარჩი
და უმოდოდობაზე მასწავლებლობას შეუდექი.
— არა, ივანე, არ შე...შემიძლიან მეთქი.
ქუჩის დამკველად წავალ. მაგრამ მ...მასწავ-
ლებლობას ვერ ვიციხრებ. მიზნები გ. გვით-
ხარი: მე ბავშვებს ისეთ რამებს ვერ ვასწავლი,
რაც მე თვითონ არ ვეწამს.

— ანვარიში და გეოგრაფია ასწავლე.
— ვნახოთ; მოგ...ვეფიქრებ, მოგ...ვისახრებ.

შემოდგომა ჯერ შორს არის...
ვითომ პრინციპული პოზიციის გამო ამბობს
უარს მასწავლებლობაზე, არსებითად კი უნა-
ფიქრობს, უუნარიობისა და გამოფიტულობის
ბრალს, რომ პედაგოგობას არ უნდა. თორემ
ნაშინდარში ჩამოსვლას ადრე იმით ამართლებ-
და, რომ სოფელში უნდოდა საქმე ეპოვნა. „...ან
სოფლის კ...კანცელარიაში გადავყავებ ჩემს.
შეიძლება როგორმე ტუბი მოვიყიდო სოფელ-
ში“.

საერთოდ ყველაფერზე ერთი პასუხი აქვს:
ენახოთ, მოვიფიქრებ, მოვისახრებ მაგრამ მის
მთავიერებასა და მოსახრებას საშუელი არ აღ-
გება.

ცრუსქამიანობასაც ეწეოდა თეიმურაზ ხე-
ვისთავი. ჯერ იყო და „საქართველოს ისტო-
რიის მეჩვიდმეტე საუკუნე ვადმოატრიალა,
ზოგ ბუნდოვან ამბებს შექვი მოპოვინა და დევე-
ლის-ძველი ქრონიკების უძველესი ვარიანტები
გამოაჩინა. მაგრამ, როცა ერთ მოხუც მწიგ-
ნობარს თავისი სიხარული გაუზიარა და ნაწერ-
ებები წააკითხა. მოხუცებულმა მეცნიერმა აქა-
ვებულს იმედი ხუთ წუთში გაუტარა და
აღუღებულს თავიც დაუშვიდა“. მერ იყო და
ვეჭირობა სცადა, ყურნალისტობასა და პოლი-
ტიკურ მოღვაწეობას ეპოტინებოდა, მაგრამ
უშედეგოდ. ყოველგვარი საქმე მის ხელში უნა-
ყოფო ლაქლქად იქცეოდა.

როცა რევოლუცია მოხდა, თეიმურაზი „წი-
ფელ ბაირალს იქნედა და ჩასლერილი ხმით
ჰკითხდა: — თავისუფლებას გ...გვაუმარჯოს! ეა-
შაა... რევოლუციას გავუმარჯოს!... ძირს მუფე
და ძძალადობა“ აღტიკებამ მალე გაუარა.
მიხვდა, რევოლუციას ხევისთავების ზედი არ
აინტერესებდა. თეიმურაზი შეშინდა, მოიბუზა,
მოიკუნტა და გაურკვეველ მომავალს მორჩი-
ლად დაელოდა.

უძლურებისა და უნებისყოფობის გამო თეი-
მურაზ ხევისთავი ყველაფერს მორჩილად
კითხდა — ვინდ მამული წაართვი, ვინდ ცოლი
ყოველგვარი აქტიური წარტესტი თავხარს
სცემს. ამის გამო განიცადა უკიდურესი დამ-
ცირება: იგი მსახურად დიუენა მისმა ნამოჯა-
ვირალმა ჯაყო გიგაშვილმა. გათავსებულმა
ჯაყომ ისეც არ იკმარა: ცოლიც წაართვა თეი-
მურაზს და ხასად დანახვა ყველაფერი ეს
მორჩილად აიტანა თეიმურაზმა. იყო ერთი წა-

მი, როცა ისტერიკის წუთებში გამოვლენილი
ცრუენერგის წყალობით თეიმურაზმა ნაშინდა-
რიც მიატოვა, ჯაყოც და მარგოც. თითქოს, ლიტ-
სების აღდგენა მოიწადინა, მაგრამ ზეტიალში
სულს კინაღამ გასძვრა. მთლად დაცემული,
დაცინებულს ისევ უკან მობრუნდა, ისევ ჯა-
ყოს სთხოვა თავშესაფარი და ლუქვა ჰუჭრი.
თითქოს მამუე უარესი არაფერი შეიძებოდდა
მომხდარიყო, მაგრამ თეიმურაზს კიდევ ერთი
ვარცლი ლაფი დაასხნო თავზე. მარგოს თეი-
მურაზთან არ ჰყოლია შვილი. უშვილობას
ქალს აზრალედა თეიმურაზი. ეს ცრუთვით-
დამშეიდებაც ტყუილი ამოჩნდა. ჯაყოსთან
მარგოს ბიჭი შეეძინა. მკათოდ გამოირკვა, რომ
უნაყოფო და გამოფიტული თეიმურაზ ხევის-
თავი ყოფილა. დამცირებას თურმე საზღვარი
არა აქვს. ჯაყომ მოისურვა და თეიმურაზს უბრ-
ძანა: ჩემს შვილს შენი გვარი—ხევისთავი —
მიეცემა. თეიმურაზ აქაც დაეთანხმა ჯაყოს.

პირველი შეხედვით, პარადოქსული ამბავი
ხდება. მიუხედავად უკიდურესი დაცემისა,
თეიმურაზს კვების უნარი არ დაუარგავს. ეს
ნაკაცარი ზვიადად ამბობს: „ივანე, ერთი რამ
დაიხსოვე საშუადამოდ. მე მომლუნეს, შეიძლებოდა
მომიტეხოს, მაგრამ ვერ...არასოდეს ვერ დამი-
მორჩილებენ, ეგ...არასოდეს; გგნის? ვერ-
რრა-სოდეს მეთქი! როცა იქნება, მე ჩემს ნამ-
დვილ სათქმელს ვიტყვი“. ხედავთ, ჩიტრიკიამ
გმირისა და წამებულის პოზა მიიღო. თუმ-
ცა, თუ დაუკვირდებით, აქ არაფერია
პარადოქსული. საუკეთარო არარაობის აღიარე-
ბას უზომოდ დიდი სულიერი ვაჟაკობა უნ-
და. თეიმურაზს კი ვაჟაკობის ნიშან-წყალი არ
გახსნია. ამიტომ უნდა შეინიღბოს კვებითა
და ბეჭაობით. მართალია, ამ ნიღბით არავინ
ტყუებდა, მაგრამ წყალწალეხული ხანს ევი-
ლება.

ამრიგად, თეიმურაზ ხევისთავისთვის დამა-
ხასიათებელია უძლურება, ცრუსქამიანობა, უე-
ნერგობა, კვენხა, მორჩილება, უნაყოფობა და
ფუჭი ცოდნა, რაც უტოლინარობის ნაირსახე-
ობაა.

ამ თვისებებით იგი თათქარიძეობის ღვიძლი
წარმომადგენელია. მაგრამ თეიმურაზ ხევის-
თავი თათქარიძეობის კიდევ ერთ უმნიშვნელო-
ვანეს ასპექტს ავლენს.

თათქარიძეობა გზაა მონობისკენ. ამის სა-
ბუთია თეიმურაზ ხევისთავის ცხოვრება. სად
მოიყვანა თეიმურაზი ცრუსქამიანობამ, უძლუ-
რებამ, უენერგობამ, კვენხამ, მორჩილებამ,
უნაყოფობამ და ფუჭმა ცოდნამ? სრულ გადა-
გვარებამდე და მონობამდე. იგი დაცვა: დაჯარ-
გა ბინა, სახლ-კარი, მამული, ცოლი, ღირსება,
სიამავე. გახდა ჯაყო ივიაშვილის ყმა და მონა-

ბაბაი ზაქარაძე
რა არის თათქარიძეობა?

მორჩილი. ეს იმდენად უსაზღვრო დამკირებაა, რომ აქედან თავდახსნა გამორიცხულია.

მონობა ელის მასაც, ვინც თათქარიძეობის სენით გულგამოჭმულ ადამიანს მიენდობა. ამის დასტური კი მარგო ყაფლანიშვილი — ხევისთავის თავგადასავალია. ჯერ უნიათო, უინტერესო, უდიდამო, უსიხარულო, ერთფეროვანი და მოსაწყენი ცხოვრება თეიმურაზის ხელში. მერე სრული ეკონომიური გაღატაკება და ბოლოს, ზნეობრივი დაცემა. ჯერ ჯაყო ჯივაშვილის ხასობა და მერე — მისი მონობა. როცა ჯაყოს მარგო, როგორც ქალი, მოსწყინდა, იგი მსახურად გაიხადა. პირუტყვივით ამუშავებდა, სცემდა და აწამებდა. ეს დამკირებაც იმდენად უზომოა, რომ აქაც გამორიცხულია თავდახსნა.

ამიტომ არის თათქარიძეობის ყოველგვარი გამოვლენა საშუაში.

რა თქმა უნდა, თათქარიძეობის ვარიაციები მოტანილი მაგალითებით არ ამოიწურება. არის სხვა ნიმუშებიც, თუნდაც იმავე მიხეილ ჯავახიშვილის დამპატივე ანდა პოლიკარზე კავაბაძის ზოგიერთი პერსონაჟი. მაგრამ ამკერად ამითაც შეიძლება დავეკუთვინოდეთ. მხოლოდ

ამ წერილის დასასრულს მკითხველს გავასუენებ ვ. ი. ლენინის სიტყვებს, რომელიც მან თქვა რუსულ ლიტერატურაში არსებულ უნაწიკრსა-ლური მხატვრული სახის ობლომოვისა და ობლომოვის შესახებ.

„იყო რუსული ცხოვრების ასეთი ტიპი — ობლომოვი. იგი სულ ტახტზე იყო წამოწოლილი და გეგმებს ადგენდა. მას შემდეგ ბევრმა დრომ განვლო. რუსეთმა სამი რევოლუცია მოახდინა, ობლომოვები კი მაინც დარჩნენ რადგან ობლომოვი იყო არა მარტო მემამულე, არამედ გლეხიც, არა მარტო გლეხი, არამედ ინტელიგენტიც, არა მარტო ინტელიგენტი, არამედ მუშაც და კომუნისტიც. საკმარისია შემოგვხედოს კაცმა, რას ვაქეთებთ სხდომებზე, როგორ ვმუშაობთ კომისიებში, რომ თქვას: ძველი ობლომოვი დარჩენილა, და საჭიროა იგი დიდხანს ეგზანთ, ვასუფთათო, ვჩეჩოთ და ვანჯღრიოთ, რომ მისგან რაიმე სახიერო გამოვიდესო“ (თხზულებანი, მე-4 გამოცემის 33-ე ტ., გვ. 257).

ამ სიტყვების გამეორება თამამად შეიძლება თათქარიძეობაზეც.



გიორგი კალანდია

ღირო-ეპიკური ნაკადი გიორგი ლეონიძის პოეზიაში

(ორი კონაზა: „ფორტოხალა“, „ფირსმანი“).

პოემამ, როგორც მხატვრული ლიტერატურის ერთ-ერთმა წამყვანმა ეანრმა, თავისი წარმოშობისა და განვითარების პროცესში, საუკუნეების მანძილზე, დიდი ცვლილებები განიცადა. თანამედროვე პოემა, თავისი ეანრული თვისებებით, დიდად განსხვავდება ე.წ. კლასიკური პოემისაგან, რომელშიაც ნაწარმოების გმირთა მოქმედება იმგვარად იყო წარმოდგენილი, რომ ამბის მთხრობელი /ავტორი/ არ ჩანდა და რომელიც მკვეთრად გამოხატული სიუჟეტითა და კომპოზიციური მთლიანობით ხასიათდებოდა. კლასიკური პოემა წმინდა ეპიკური მოვლენა იყო და დიდად განსხვავდებოდა ლირიკული ნაწარმოებისაგან, რომლისთვისაც დამახასიათებელია ავტორის მიერ ბუნებისა და ცხოვრების მოვლენათა სუბიექტური აღქმა.

XIX—საუკუნის ბოლო ხანებიდან დასავლეთ-ევროპულსა და რუსულ პოეზიაში /ქართულში ცოტა უფრო მოგვიანებით/ შეინიშნება პოეტური ეანრების რღვევა. ეპოსში იჭრება ლირიკა, რომელიც თანდათანობით აფართოვებს თავის ფუნქციებს. მეტიც, ეპიკური და ლირო-ეპიკური პოემების პარალელურად იქმნება ლირიკული პოემა. ეს უკანასკნელი, როგორც პოეტური ეანრი, ლირიკას განეკუთვნება და არა ეპოსს. ამდენად, თუ კლასიკური პოემა მხოლოდ და მხოლოდ ეპოსის დარგს განეკუთვნებოდა, თანამედროვე პოემაში მხატვრულ წარმოსახვის უფრო რთულ პროცესებთან გვაქვს საქმე.

გიორგი ლეონიძემ, როგორც ჩვენი საუკუნის ერთ-ერთმა დიდმა პოეტურმა მესიტყვემ, შემოქმედებითად განიცადა ეს პროცესები. მან შექმნა რიგი სამივე აღნიშნული სახის პოემებისა, რომელთაგანაც ამჟამად უურადღებებს გავამახვილებთ ლირო-ეპიკური ხასიათის ორ პოემაზე—„ფორტოხალასა“ და „ფირსმანზე“.

ორივენი ერთად, ძირითადად, ქმნიან ლირო-ეპიკურ ნაკადს გიორგი ლეონიძის პოეზიაში და ხასიათდებიან იმ სიახლითა და თავისებურებით რაც, საერთოდ, პოეტმა შეიტანა თანამედროვე ქართული პოეზიის ამ ეანრში.

მკვლევარი გრიგოლ ხერხეულიძე პოემა „ფორტოხალას“ ისტორიული პოემების რკალში აქცევს.¹ სიტყვა ისტორიული, ჩვენი აზრით, აღნიშნული პოემების მიმართ მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ეხმაროთ. პოემის გმირი ქალი, რომლის სახელიც პოეტმა სათაურად მისცა ამ ნაწარმოებს, არ არის ისტორიული პიროვნება /სამოქალაქო ისტორიის გავებით/. მეორე გარემოება, რის გამოც „ფორტოხალა“ ჩვენ არ მიგვაჩნია ისტორიულ ნაწარმოებად, არის დროის კოლორის უქონლობა, მისი ზოგადი და არა ისტორიულად კონკრეტული ხასიათი. ამბავი, რომელსაც შეიცავს ფორტოხალას თავგადასავალი, შეიძლება მომხდარიყო არა, კერძოდ, მეთერთმეტე საუკუნეში, არამედ რომელიმე სხვა ნებისმიერ საუკუნეშიც ჩვენს საუკუნემდე. ვარდა ამისა, პოეტის მხატვრულ-იდეური ჩანაფიქრით, ეს პოემა დიდად ეხმაურება ჩვენს დღევანდელ დღეს. მასში ეპიზოდურად ჩართულია თანამედროვე კოლხეთის ყოფითი სურათები, რომელთა შთამბეჭდავად წარმოსახვის მიზნით, პოეტი მიმართავს აწმყოსთან წარსულის კონტრასტული შეპირისპირების ხერხს. ამდენად, წარსულის ჩვენება აქ მხატვრულ ხერხად არის გამოყენებული, რათა ავტორმა უფრო მეტად გამოაბრწყინოს აწმყოს სიდიადე. ეს მრავალგზის ნაცადი და უტყუარი ხერხია, როგორც მხატვრულ ლიტერატურაში, აგრეთვე ფერწერაში. პოემის გმირი ქალი განზოგადებული სახეა

¹ გ. ხერხეულიძე, „გიორგი ლეონიძის პოეზია“, 1959, გვ. 88.

ქართველი მშრომელი დედისა, რომელმაც არ ჩააქრო და უსსოვარი დროიდან დღემდე მობი-ტანა „საქართველოს კერის ცეცხლი“. ქართველი დედა საუკუნეთა მანძილზე მამულისათვის თავდადებულ ვაჟაკებს უზარდიდა მშობლიურ ხალხს, განუწყვეტელ ჯაფაშ, ოჯახისათვის ზრუნვისა და ატარებდა წუთისოცნებს, თუქცა სი-ღარიბისაგან თავს მანიც ვერ იხსნიდა.

ათასი წლის მანძილიდან
შვილურ აღერის გაგიბედავ,
საქართველოს დიდ ცხოვრებას
შენა ჰქმნიდი, ტაბილო დედავ;
დიდ ვაჟაკებს, დიდ ოსტატებს
შენი კაბის კალთა ზრდიდა, —
ვინც ეტრატზე სწირდა ქართულს,
ვინც ჩუქურთმას ქვაზე ქრიდა.

ფორთოხალა საზოგადოების დაბალი ფენი-დან, გლვითა წრიდან გამოსული ქალია. მისი ცხოვრების მხატვრული წარმოსახვით გიორგი ლეონიძე შემოქმედებდა ენაპურება ილია ჭავჭავაძის მიერ თავის დროზე წამოჭრილ ერთ დიდად მტკივნეულ საკითხს: „ამ „აწრდილმა“ ტყავი გამაძრო. ისტორიულ ნაწილზედ... შეე-დექ და ერთი ბიჭი წინ ვეღარ წავდგი. არ ვი-ცი, რა ექნა? ვამბობ ამ „აწრდილს“ თავი და-ვანებო-მეთქი. ეგ ოხერი ჩვენი ისტორია... მართო ომებისა და მეფეების ისტორია, ერი არსადა ჩანს, მე კი ასეთის აგებულების ადა-მიანი ვარ, რომ მეფეებისა და ომების სახე არ მიზიდავს ხოლმე. საქმე ხალხისა და ხალხი კი ჩვენს ისტორიაში არა ჩანს. ეწუხებარ და ვდრტკინავ და განკითხვა არსაით არი?.

დიდი ილიას ეს სიტყვები გვაგონებდა, რი-დესაც ეკითხულობთ „ფორთოხალას“ ბოლო თავს:

...შენი ოცლის ნაღვერდალი
დღევანდელამდის არ ამწრაღია,
ყველგან გნახე, დამივილია
მე სამშობლოს გზა და შარა,

მაგრამ „ქართლის ცხოვრებაში“
ვერა ვნახე შენი სახე,
არაფერი არ სწერიი
შენს ღვაწლზე და შენს შესახებ.

დედოფლებზე ბევრი წერეს,
ბევრს კალამიც დაედალა,
ვიციო ბევრი დედაფალი,
არ კი ვიციო ფორთოხალა!

ფორთოხალას ბავშვობის, მისი აღზრდის, დოაჯებების, ხელმოკლე ცხოვრებისა და, ბო-ლოს, მისი გარდაცვალების კოლორიტულად წარმოსახვის მიზნით, გიორგი ლეონიძე მიმარ-თავს პოეტურ ფერწერას, რაც მას, საერ-

თოდ, დიდად უყვარს და ენერგება. შავილ-ბი-ბირთვის ლანდშატებზე: შესამიანი ^{ქართველ} „უბედური ბერწი მიწა“, რომელიც ^{სამშობლო} შობს, თვითვე უსწრაფებს წუთისოცნებს.

დამალო წულებზე, დამდგარ ტბებზე
წვიმის ბუშტი თამაშობდა.

ამ ორ სტრიქონში ძველი კოლხიდის ბუნე-ბის მთელი პანორამა მოჩანს. საზოგადოდ, უნდა აღინიშნოს გ. ლეონიძის საოცარი პოე-ტური თვლი ბუნებისა თუ ყოფითი პერსპექ-ტის ხატვისას. ფორთოხალას ავეინე კოლო ზის და იანვანას დაპბუის ავეინში ჩაყრულ ჩვილს. ფორთოხალას მამა ღარბი მებადურია, ფეხში-შველა, მკლავდაკარწახებული დადის, თვეზა-ობს, მაგრამ ვერ იქნა და ვერსად წააყუდა ოქროს თვეზს. დედას — ციებისაგან დასწე-ლებულს — სახეზე „ყვითელ-მწვანე“ ფერი ადევს. მათი ოდა წყალში დგას ორთვეხებზე. შემდეგ, ფორთოხალას დაქალება, დოაჯებმა... ფორთოხალა — ხუთი წვრილშვილის დედა. თავდავიწყებით, გამირული შრომით შეეპმის იგი ცხოვრებას:

დატრიალდი, როგორც ქარა,
როგორც კარგი პეიტარი;
ვაიჩინე ლახტზე ქია,
აზრიალდე თითისტარი.

თვალწინ დაგიდგებათ ფუტკარივით მოფუხ-ფუხე, მეოჯახე ქალი, ქმარ-შვილებე ზრუნეას გადაყოლილი, რომელიც დომს ცეცხავს, ვაზის რქას ასვევს, საქონელს უვლის, ლობიოს აწუხ-ჩუხებს, ღამ-ღამობით „ცეცხლპირა მსხდომარ ბავშვებს“ ზღაპრს უამბობს და ასე — მის „ჯაფას და ორთმტრიალს“, თითქოსდა, დასას-რული არა აქვს, ძუნწად, ხხარტული პოეტურ-რი ფრზებით, დასამასოვრებელი მხატვრული სახეებით არის გადმოცემული ყოველივე ეს. ფორთოხალას „უშუტო და უფარსკვალაო ცხოვრება“ მწარე ტანჯვაში დაიხარჯა:

ხუთი წვრილი შვილის დედამ
ჯაფით ბევრი იფარსხალა,
გადამალულ ბნელ ფაცხაში
გარდიცვალა ფორთოხალა.

პოემის მეორე ნაწილით პოეტს მოულოდ-ნელად წარსულიდან აშუქოში გადმოვყვართ. წარსულის მეტი სურათები აწვივს კონტრასტუ-ლი ფერებით იცვლება. ბაღნარად ქცეულ გა-ნახლებულ კოლხეთში გამარჯვებული შრომის ზეიმია. გოგონები ციტრუსების ბაღებს შესე-ვიან, თოხებს ნაბერწყლები სცივიან. პოეტის ფანტაზია საუკუნეთა მილიმიდან გამოიძახებს თანამედროვე კოლხი გოგონების წინაპარს. ფორთოხალას აწრდილი გზის გღმა, ტალავერ-ქვეშ ზის, „მკერდგამონაძილი“, ფეხშიშველა, შეუბლზე ნეშოწაფარებული; გვერდით ძველი თოხი უდგია, აწინ უდგას ნაფუბარ წყლით საე-

² ილია ჭავჭავაძე, ტ. X, 1961 წ., გვ. 34 (წერილი დავით ერისთავისადმი).



სე პინა". იგი ნაღვლიანი ღიმილითა და გულსფაცვქალით უთვალთვალებს გოგონების მუშაობას, უსმენს მათ სიმღერას და შორიდან შენატროს მისი დროიდან ათასი წლის შემდგომ მოსულ ბედნიერ თათბას. ეს ეპიზოდი პოემის ერთ-ერთი საუკეთესო ადგილია, სადაც ფრთებს შლის გიორგი ლეონიძის პოეტური ფანტაზია. რამდენადაც მხიარულ ტონებშია წარმოსახული განსაზღვრული კოლხეთის ცხოვრება, იმდენად მუქია და სევდიანი პოეტის ოცნება ლაქაშაში ჩაიბრუნა და ჩაყარული ფორთოხალას უსახელო საფლავის ძიებისა და მივინებისათვის.

— სად გამქარალა მისი ძველები,
ხომ არავენ ამოთხარა?
ჰე, თოლიავ, ზღვის ნიავო,
არ ვინახავთ ფორთოხალა?
— ამ თხმელეძვეშ აბარია
თშათფლა და ღერწაქანა;
მისი კუმო ამ ლაქაშაში,
ამ კოპმა დაიტანა
ზედ ავღია უფლოქობით
გრძელი ნისლი — ფრთაფარფარა,
ფორთოხალას ლეჩქია —
ნისლად იქცა, არ დამალა!

„ფორთოხალა“ დაწერილია რემარკულიანი ლექსით, მაღალი და დაბალი შაირის მონაცვლეობით. ქართული ლექსის ეს კლასიკური ფორმა გიორგი ლეონიძის პოეზიაში და, კერძოდ, ამ პოემაში ახლებურ ელერადობას იძენს, რასაც ავტორი მდიდარი ენობრივი ქსოვილით და მხატვრული წარმოსახვის ორიგინალური ხერხებით აღწევს.

„ფორთოხალას“ არა აქვს შეკრული სიტყვები. ამბავს ცხადვსა წევრებს თხრობაში ავტორის ლირიკული ჩარევები, რითაც პოეტი ქმნის რიტმულ და ინტონაციურ მრავალფეროვნებას. პოემას გააჩნია კომპოზიციური რეალი, თუმცა ეს უჩანასწავლი არ არის მტკიცედ მართალი. — რაც მას ავრთვე განასხვავებს ელასიკური პოემისაგან.

„ფორთოხალა“ ახალი ტიპის პოემაა. ჩვენ მას ლირო-ეპიკური ვუწოდებთ. სინამდვილის აღქმის ლირიკულ და ეპიკურ საშუალებათა ერთ განუყოფელ მთლიანობაში შეტყუებით პოეტმა შექმნა სინთეტური ფანრი, რომელსაც ასე მკაცრად გამოხატულს, გიორგი ლეონიძემდე, შესაძლოა, არც იცნობდა. XX საუკუნის ქართული პოეზია, ვეცდით და ამ დებულეზას კონკრეტული დასახუთება: პოემის მხატვრულ ანალიზში მოუვლახთ. გაგარკვიოთ რა არის ამ პოემაში ეპიკური და რა არის ლირიკული, ავრთვე ეს, თუ რა მხატვრული ხერხით არის ვერთანებული ეს ორი საწყისი. „ერთ განუყოფელ მთლიანობაში“. ცხადია, ამის ეპიკურ ფორმაში ავტორს მხოლოდ-ის ლირიკული ჩარევები, რომლებიც ეპიზო-

დურად ჩართულია პოემის მეორე ნახევარში („ძველი კოლხიდაც, სამშობლოც, ახალ მზივარს ხარ ნათვევი“, „დავდიოდი კოლხიდაში, ცხესხივარსა ნაირინს დერჩილია“ და ა. შ.), ვერ შექმნიდა ეპიკურისა და ლირიკულის განუყოფელ მთლიანობას. საქმე იმაშია, რომ პოემის გვირი ქალის — ფორთოხალას — დაბადების, აღზრდის, ცხოვრებისა და გარდაცვალების ისტორია ავტორს თავის პიროვნულს, სუბიექტურ პრიზმაში აქვს გარდაცხილი, რაც ამ შემთხვევაში ლექსის მიმართეთის ფორმაში ვლინდება, ხოლო აღნიშნული ფორმა, მცირე წყვეტილებით, თავიდან ბოლომდე გასდევს პოემას.

ვინ ვიცნობდა, ვინ იცოდა,
რომ შენ ვერქვა ფორთოხალა?
უვითელთმანს ვინ ვაქოდა
ეგ სახელი —
ფორთოხალა!
ერთი ბეწვა ზღვის ნიავი
იქვე ლექსის ქარიშხალად.

თუ თეორიულად დავუშვებთ, რომ ლექსს, რომლითაც დაწერილია „ფორთოხალა“, მიმართეთის ფორმის შეუქცვლით (ამის თხრობას მესამე პირში ვადავიტან), მაშინ ლირიკული ელფერი მთელი პოემისა საგრძობლად შესუსტდება, ხოლო პოემის თითქმის ნახევარზე მეტი, ნაწარმოების დასაწყისი სტრიქონებიდან ფორთოხალას გარდაცვალების აღწერამდე, წმინდა ეპიკურ ხასიათს მიიღებს. ამდენად, პოემის მხატვრული ქარგა რთული პოეტური ხერხებითაა ვაწყობილი, რასაც კიდევ უფრო ართულებს და ამდიდრებს პოემაში უხვად, მაგრამ მხატვრული ზომიერებით გამოყენებული ლირიკული შეძახილები. „ფორთოხალას“, როგორც მხატვრული ნაწარმოების, მაღალი ღირსება სწორედ იმაში მდგომარობს, რომ აღნიშნული სირთულე და მრავალფეროვნება პოეტური ხერხებისა არა თუ ამწელებს ნაწარმოების აღქმას, არამედ, უფრო შთამბეჭდავად ხდის მას, ამაღლებს, პათეტიკურ ტონს ამღებს.

ვადაქარბებული არ იქნება თუ ვიტყვი, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიაში ჩვენ არ გვევლება სხვა რომელიმე პოემა, რომელსაც ისე შექიმალურად და განუყოფლად იყოს შეტყუებული პირადული და არა პირადული, ლირიკული და ეპიკური, როგორც „ფორთოხალაში“. ეს გარემოება ამ ნაწარმოებს სინთეტური ფანრის პოეტურ ქმნილებად, ტიპურ ლირო-ეპიკურ პოემად წარმოგვიდგენს და საგრძნობლად ზრდის მის მხატვრულ ღირებულებას არა მარტო საბჭოთა პერიოდის, არამედ მეოცე საუკუნის მთელს ქართულ პოეზიაში.

გიორგი კალანდაძე
ლირიკ-ეპიკური ნაპადი
გიორგი ლეონიძის პოეზიაში

ქართული ნიშან-თვისებებით" გ. ლეონიძის პოემიდან „ფიროსმანისთან“ ყველაზე უფრო ახლო დგას პოემა „ფიროსმანი“. ეს ნაწარმოებები პოეტს ვრცელ ლირო-ეპიკურ პანორამად ჰქონია გააზრებული. ამაზე მივყვითხვებით ერთი ვრცელი ეპიზოდი და ათი ფრაგმენტი³ აღნიშნული პოემისა, რომელიც ჩვენს ხელთაა. ჩანს, პოემა პოეტს დაუმთავრებელი — არაა.

გენიალური პრიმიტივისტი მხატვრის — ფიროსმანის — ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ გ. ლეონიძე ათეული წლების მანძილზე ჰკერძოდა მასალებს. ნაწილი აღნიშნული მასალებისა აღრევე გამოქვეყნდა ჩვენს პრესაში. გ. ლეონიძის ახლო მეგობრები მოწმენი იყვნენ იმ ახალგაზრდული ენთუზიაზმისა, რომლითაც მოუთხრობდა იგი მათ ფიროსმანის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ახლად მოპოვებულ მასალებზე. აღნიშნულ მასალებს იგი არა მარტო თბილისში, არამედ საქართველოს ყველა კუთხეში მოიპოებდა.

ერთ დღეს, დაახლოებით ერთი წლის წინ გვარდაცვალებამდე, რუსთაველის ინსტიტუტის შესასვლელთან, პოეტი მანქანიდან გადმოვიდა, ადრეველი და შემეშფოთებული იყო: საქალაქო, რომელშიაც ფიროსმანის შესახებ შეგროვილი ყველა მასალა მეწყო, სანაყინეში დამრჩა, შეგბრუნდე და იქ აღარ აღმოჩნდაო. აღნიშნული მასალების დაკარგვას პოეტი შემდგომ მუდამ ვულისტიკილით იგონებდა. ვინ იცის, ვის ჩაუვარდა ხელთ ის მასალები, რომლებიც დღემდე არსად ჩანს და დაკარგულად ითვლება.

ზემოდახელებული ეპიზოდი და ფრაგმენტები პოემისა გვაძლევს მიხალგობითს წარმოდევნას იმის შესახებ, თუ რა ასპექტში უნდა ჰქონოდა ავტორს გააზრებული პოემა „ფიროსმანი“. ჩვენს ფიქრით, ეს იქნებოდა 1910-იანი წლების თბილისის ფონზე გაშლილი, გენიალური თვითნასწავლი მხატვრის ცხოვრებისა და შემოქმედების წარმომსახველი ვრცელი პანორამა, ამასთან — ახალი პოეტური სიტყვა თანამედროვე ქართულ ლირო-ეპიკურ პოეზიაში.

ძირითადი პოეტური ხერხი, რომელიც ავტორს მხატვრის შემოქმედებითი ბუნების გასახსნელად მოუმარჯვნია, არის ექსპონატების გარდათქმა, მათი ახსნა-გარდასახვა პოეტურ

ენაზე. მათი წყვითხვა პოეტური ხილვით. ლუსტრაციოდ. მოგვაქვს რამდენიმე მაგალითი:

ნახე ნახატზე რა მოხდა:
მებადემ ბადე გაშალა,
ტყუიდან ირემი გამოხტა,
ნუკრი მოსდევდა თვალშავა.
(„მნათობი“, № 2, 1968 წ.)

შეშინებული ნიამორი
ჰკოცნის ციფქაროს,
მოსწუდება, მოჰკრის,
სანამ ტყვიას შეეგებება.
(„ლიტ. საქართველო“, 1967 წ., 22 IX).

რქაწითის კვიპან
კახეთისა ადგას ნათელი,
უანწი... შამფირი...
ტოლუმამაშის სიტყვა ტრიალებს.
ბასტურმა, თევზი.
ხაშის ქვაბი დამე-ნათევი,
ამ დუქნის ბულში
ოცნებას ვინ ვაიმტვრიანებს?
დაბლზე ტარხუნს მოვს ბატკანი
დანა-გაჩრილი,
რუმბი წევს,
თითქოს მუცელია ეპაქურლის.
(იქვე).

პოემაში ქარბად არის გაბნეული მსგავსი ადგილები, რომლებთაცანაც თვითოეული გამოდგებოდა ფიროსმანის მიერ შესრულებულ შესაბამის მხატვრულ ტილოებზე წასაწერად, მათს პოეტურ შესატყვისად. პოეტი თითქოს, თანამონაწილეა პოემის გვირის როგორც ცხოვრების, ისე შემოქმედებისა. ხშირად ესაუბრება მას, დიალოგებს მართავს მასთან. ამ დიალოგებში, მხატვრის შემოქმედებითს ტუნებასთან ერთად, გახსნილია მისი პირადი ცხოვრება, მისი, როგორც ადამიანის, სუსტი და ძლიერი მხარეები, სიყვით და უშუალობა, ზოგჯერ გენიალობისა და ბეშეუტი მიაძიტიობის ზღვარზე მდგარი. განსაკუთრებით კოლორიტულად არის დახატული ის სოციალური გარემო, რომელმაც დიდ ხელოვანს ცხოვრების გზა აუბნია, შიმშილია და უსახლკარობაში გაატარებინა ხანმოკლე შემოქმედებითი სიცოცხლე. ეს არის თბილისი ჯიბე-გასქელებული ჩარჩ-ვაჭრებისა, რომლებსაც პოეტი „ბაზრის ყიზილბაშებს“ უწოდებს.

• ასე ჰგონიათ, საწუთროება
რომ მათს გაქონილ დაბლზე თადებდა
და რომ სინდისი და სათნოება
მხოლოდ მათს ფულზე დახურდადებდა
ირველივ არტალის ოსნივარია
და შამიის სუნი ტრიალებს,
აქ ოცნებისთვის არა სცლიათ,
აქ ყველას ფული სულს უმტვრიანებს.
(პოეტის არქივიდან)

³ ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1967 წ., 22 IX, გვ. 3.
⁴ ორი მათგანი გამოქვეყნდა უფრო ადრე „მნათობი“, 1968 წ., № 2 დანარჩენი 8 ფრაგმენტი ჟურნალში გამოქვეყნებულია.
⁵ იხ. „ფიროსმანის უკანასკნელი დღე“, „ბატკანი“, 1922 წ., 28 VIII; აგრეთვე — „ცხოვრება ფიროსმანისა“, „მნათობი“, № 3 1932 წ., გვ. 214; 1938 წ., № 6. გვ. 176-198.



საქმე ვარემთში მოხვედრილი მეოცნებე დი-
დი ხელოვანი მანცე ინარჩუნებს მაღალად-
მიანურ კეთილშობილურ თვისებებს და „სინ-
დისსა და სათნოებას“ ფულზე არ ახურდავებს.
ასეთი იყო ფიროსმანი“ (მისი ბიოგრაფიის
აღიარებით) პირად ცხოვრებაში და ასეთად
წარმოგვიდგება იგი გიორგი ლეონიძის პო-
ემაში.

მართალია, ფიროსმანის ცხოვრება და შემოქ-
მედება ძირითადად 1910-იანი წლების თბილი-
სის სოციალურ ფონზე გაიშალა, მაგრამ ფი-
როსმანი არ იყო შეზღუდული ქალაქის თემა-
ტიკით. მისი შემოქმედებითი სარბიელი სრუ-
ლიად საქართველოა, მისი ბუნება და ადამი-
ანება.

შენ აქ რა გინდა,
ღრიანცელსა და ოშხივარში,
შენ უნდა იჯდე
მოხასხასე ვერხვის შრიალში —

ეს — შინაგანი ხმა უხმობს შემოქმედს, რომ-
ლისგანაც საოცრად დამახასიათებელ პასუხს
იღებს:

დაბნეული ვარ
და უღმერთოდ გზადაბურდული,
ვით ქარხანაში
ჩარხებ-შუა მფრინავი ჩიტი.
(„ლიტ. საქართველო“, 1967 წ. 22, IX)

ჩიტი — სახე-სიმბოლო ხელოვანის შემოქმე-
დებითი სულისა-ბუნების წიაღიდან ურბანის-
ტულ ვარემთში მოხვედრილი, ცდილობს თვა-
ლი გაუსწოროს აღნიშნულ ვარემებს, გაერკვეს
მასში. ფიროსმანი პირად ცხოვრებაში მარცხ-
დება, სამაგიეროდ, როგორც ხელოვანი, იგი
შემოქმედებითს მწვერვალებს აღწევს. ნიკო
ფიროსმანს შეეძლო ტურენტი გრანელის
სტრიქონები თავისთავის მიმართ გაემეორებინა:
„პოეზიაში ვარ უდიდესი და ცხოვრებაში გზა-
აბნეულა“. პირად ცხოვრებაში გზააბნეული
ფუნჯის ჯადოქარი, ალბათ, ფიქრობდა — სუ-
ლიერ სიმშვიდესთან ერთად, შემოქმედებითს
შთაგონებად ღვინისა და არყის სმავსი პო-
ეებდა. ლირიკულ ლექსში — „ფიროსმანის
მეგობრებთან“ — ლადო ასათიანმა სწორედ ამ
კუთხიდან სცადა გაეხსნა მხატვრის სულიერი
სამკარო:

ფუნჯის მოსმისას ჰქონდა რაღაც
ჯადო-თილისმა,
არაყს დაღვედა და ქვეყანას დაგვიხატავდა.

გიორგი ლეონიძის მიერ დახატული პორტ-
რეტი ფიროსმანისა ეპიკურ ტონებშია შესრუ-
ლებული, რეალისტურად გამოიყურება, მკვე-
თარად, დამაჯერებლად მოიხსნა 1910-იანი წლე-
ვის თბილისის ფონზე. ხელოვანი იძულებულია
ქიქა არაუხე გაყიდოს „ჯადო-თილისით“ შექ-

მნილი მხატვრული შედეგები, თიანეთსდა,
არ იცოდეს მათი ფასი, არ იცოდეს, რომ თა-
ვისი ხელოვნება სიცოცხლედ უღირს. „ლომე-
ძლიერი რად მიპყიდე ქიქა არაყსა?!“ — საუ-
ვედუროვით ჩაესმის პოემის გმირს. ვინ საუ-
ვედურობს, ვისი ხმა არის ეს ხმა? ვისთან არის
გამართლდა ის პოეტური დიალოგები, რომლე-
ზღუდაც აგებულია თითქმის მთელი ერთი ვრცე-
ლი ეპიზოდი პოემისა? ეს მხატვრის მიერ სა-
კუთარ თავთან გამართული დიალოგებია, თვით-
შეგონებაა, გაორებული ხმაა ხელოვანისა. ეს
შინაგანი ხმა (როგორც მას ზემოთ ვუწოდეთ)
კეთილი დემონივით დასდევს და მოსვენებას
უქარავს ხელოვანს. ეპიზოდის დასაწყისშივე
იგრძნობა კიდილი ამ ხმასთან:

— ნუ ამაყენებ ჯერ სუფრიდან,
შენ გენაცვალე.
მე ქიქის ძირში ღვინო ჩამჩჩა...
— ასწი, დაცალი!
— ვერა, ვერ დავცლი, საქვარელო,
რემო რა-ნი-ნო...
შიგ ანგელოვებს ფეხი მინდა
ჩავაბანინო.

შინაგან ხმასთან გამართული დიალოგების
გამოყენება, როგორც მხატვრული ხერხი, პოე-
ზიაში, საერთოდ, იშვიათი მოვლენაა. ამგვარი
ხასიათის დიალოგად მიგვაჩნია ვეჟა-ფშაველას
„სტუმარ-მასპინძლის“ XIII თავის დასაწყისი:

— უსულო კაცისა მოზარე,
ხევეურთ მოიკლეს ქმარია...

გ. ლეონიძის პოეზია, საერთოდ, დიდად არის
დავალებული ვეჟა-ფშაველას პოეტური მემა-
ვიდრობისაგან და, შესაძლოა, პოემა „ფიროს-
მანის“ ზოგიერთი დიალოგიც ერთგვარი შემოქ-
მედებითი გამოხმაურება იყოს დიდი წინაპრის
მიერ თავის ღრობე გამოყენებული მხატვრუ-
ლი ხერხისა.

გ. ლეონიძემ შესწლო უაღრესი ლაკონიზმით
წარმოსახვა ხელოვანის ტრაგიკული ბედისა,
როდესაც პოემის გმირს ათქმევინა:

— დავახსი ვაზი,
საქართველო ვაპურმარილი,
ერთი კუფხალი,
ერთი ლუქმაც არა მრგებია.

ლეონიძის ფიროსმანი „ყანასავით“ თავდა-
ბალია, თუმცა გრძნობს თავის სიმადლეს, იგი
გატყდება და არ მოიღუბება, მან არ იცის
„შემთხვეობა“.

დიალოგი შინაგან ხმასთან თანდათან წყდე-
ბა, მას ცვლის მიმართებითი ფორმა ლექსისა.
ესაა აუტორის მიმართ პოემის გმირისადმი,

გიორგი კალანდაძე
ლინო-ეპიკური ნაბადი
გიორგი ლეონიძის პოეზიაში

რაც აღმოჩნდება ლიბრალულ ნიკაძეს პოემაში და სინთეტურ (ლირთ-ეპიკურ) ელფერს ჰმატებს ნაწარმოებს. ეს იგივე მხატვრული ხერხია, რომელიც, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, პოეტმა ოსტატურად გამოიყენა პოემა „ფორთოხალაში“. ამრიგად, „ფიროსმანი“, ენარული თვალსაზრისით, ახლო დგას „ფორთოხალასთან“. მოხალღნელი იყო ლექსის მიმართვის ფორმაში შეჭრილიყო მსჯელობა, რიტორიკა, მაგრამ ავტორი შეგნებულად ასცდა ამ გზას და თავიდანვე არჩეული ხერხის — ფერწერული მეტყველების — ერთვული დარჩა:

ძველმა აბრებმა,
დაცვარულმა ვარდის კონებმა,
გახსენეს დამით,
მოხეტეც და ბავშვო ძმობილიო
მე დავაწვითე პურზე ღვინო
მოსავონებლად,
გოზოვე, კალაში შენს მირონში
ჩამაწობინო!

ამ საოცრად მკრძნობიარე პოეტური უშუალობით ამონათქვამმა გამახსენა სტრიქონები გიორგი ლეონისას ერთი აღრიწდელი ლექსიდან:

წვირის ღვინოში ჩაწობილი
ფიროსმანის ფუნჯი,
(„მაშ, რა გუყვით, პოეტებო“).

საკულისხმოა, რომ ფრაგმენტები პოემისა, რომლებიც ჯერჯერობით სრულად გამოქვეყნებული არაა და რომელთა შესახებ ზემოთ მივითითეთ, ურთიერთის ვარიანტებს როდი წარმოადგენენ, არამედ პოემის ცალკეული ნაწილებს, ცალკეული თავების შთაბეჭდილების სტოვებენ. ზედმეტი არ იქნება მოკლედ გადავწათ მკითხველს აღნიშნული ფრაგმენტები. პირველ მათგანზე, რომელშიაც ჯიბე-გასუქებულ თბილისელ ჩარჩ-ვაჭრებზეა საუბარი, ზემოთ უკვე ითქვა. მომდევნო ფრაგმენტში ფიროსმანი სთვავლობს თავის ხელოვნებას თბილისის სარდაფის მფლობელებს და ყველა მოქალაქეს:

ვის გაქვთ კიდელი თავისუფალი,
ღვინის სარდაფში? მე დავისაჯათ!
პეი, ვის გინდათ, მოდით, დაგხატოთ,
მე ფუნჯის ერთი მოსმა მწყურია..

ამ ფრაგმენტში განცდილია ის ეჭვი შემოქმედებით უცხორომლობისა, რომლითაც საესე იყო მხატვრის ყოველი ღღე:

დახრულებულ დღის სიცილიერე
არა სტანჯავდა, მან არ იცოდა...

შესამე ფრაგმენტში „ნიკალას უკვეთავს მე-ღუქნე რახით“ თავისი ღუქნის მოხატვა-მოვარაყებას, „სარდაფის ღმერთსა და უფალს“ სურს თავისი ღუქნის გედლებზე მთელი სამყა-

რთ იხილოს: ზღვა და ხმელი, ზღვაში მკურთხე ნომადი, მოვარე, ბუღბული; — დათვი, რომს თვითონ მას თოფი ეჭირის ხელში ღუქნე ღუქნე უმიზნებდეს... მხატვარს კი, მისი აზრით, უდიდეს გასამრჯელოს ჰპირდება:

ცხელი ხარჩო და ხელადა ღვინო
უაღუფად გეჭონდეს! მეტი რა გინდა?

ფიროსმანის, როგორც პირადი ცხოვრების, აგრეთვე შემოქმედების სრულყოფილი გაცნობისათვის საინტერესოა ფრაგმენტი, სადაც მხატვარი, ნესტითა და ბუღით, კირით, გოგირდითა და ომხივარით საესე თბილისის სარდაფებს მიაჭვეული, თავისი სოფლის ბუნებაზე, ყრობის ბაღების „ნასურნელებზე“, სოფლის ბალახ-ბუღაში ვახვევაზე ოცნებობს და სიხარულის გრძნობით ივონებს მშობლიური სოფლის მდინარეს, რომელიც „ღდვის ხელე-ბით ფიროსმანის გულს ეფოფინება“.

შემდეგ: სარდაფი... თავდავიწყებითი შემოქმედება... შრომა, ლოფობა და კრელი საზოგადოების აზრი:

— საცოდავია! — ამბობს მოკეთე,
— ღოთია! — იტყვის ენაქარტალა...
...
— მღებავი არი...
...
— ნიჭირია უსათუოდ...
...
— ასეთ ნიჭ გეტყურცნის
საქართველოს აღმას — წაიღი!...

განსაკუთრებულ წარუშლელ შთაბეჭდილებას სტოვებს ეურნ. „მნათობში“ გამოქვეყნებული მე-2 ფრაგმენტი, ერეოლის მომავრელი მისი პათოსი, რომელიც უგულო აღამიანები-საგან ქუჩაში გამოდგებულ და ბედის ანაბარად მიტოვებულ ნიკო ფიროსმანთან „წვიმის შიმველი სულის“ გასაუბრებაში ელინდება.

— ვინ გამოავადო?
კითხულთა სულო...
შიშველი სულო...
— ვის ექვარები?

— ახლა, ნიკალა, საით წავიდეთ,
ხოვ ვართ ორივე თანამგზავრები..
ჩქეფით შესახებს საწვიმე ღარი,
სახურავების გამდნარი შხამის,
ქალაქის ჭუჭუყის დაღამრცხავი,
ქურჩულემა, ესაუბრება,
ეფლურტულემა, როგორც მერცხაბი...

ჩანს, პოეტის სურვილი იყო თავი მოეყარა ნიკო ფიროსმანზე ხანგრძლივი, ყველა თავისი წინანდელი ნაფიქრალისათვის და ერთს მხატვრულ რკალში მოექცია იგი, მაგრამ ამ განზრახვის, როგორც სხვა ბევრი შემოქმედებითი ნაოცნებარის განზორციელება, სამწყხაროდ, მას არ დასცალდა.

ქართული სალივინგოზოკო ენის ნოკაპალიზაციის საკითხები

VII. კვლავ ვით თანდაზული სხასხა

თანამედროვე ქართულ ენაში ვით მეტად საინტერესო და მრავალი თელსაზრისით საყუ- რადლებო თანდებულია. მას ბევრი მეკლეევა- რი შეხება და კარად არის შესწავლილი, მაგრამ, ამის მიუხედავად, კვლავც საჭიროა მას დავებრუნდეთ მასთან დავაშორებელი ზოგიერთი საყუთხის დასაზუსტებლად და მო- საყარებლად.

1. ვით ყველაზე გვიან, თითქმის ჩვენ თელწინ ჩამოყალიბდა თანდებულად და თა- ენის განსაკუთრებული შინაარსით დიდა ექს- პრესიული ძალა შემატა ჩვენს ენას.

2. ამ შინაშენლობით ვით ცალკეც იხმარება, როგორც კავშირი (ვით მაჰალი სხვის მანალ- სა... ვით თ ეთერი მზეთუნახავი...), და კვლავ განაგრძობს სიცოცხლეს, თუმ- ცა ვით თანდებულიანა ფორმებმა რომლებიც უფრო მოხერხებელი, ეკონომიური და მეტი გამომსახველობითი ძალის მქონეა, იგი ძალზე შეიფაროვა და სულ გაქრობას უქადის.

3. ვით თანდებული ერთი იმ ორთავიანა, რომელიც ორ ბრუნვას დაერთვის, მაგრამ ორივე შემთხვევაში ფორმას მიაწვ ერთი შინაარსი აქვს — შედარება-მსგავსება: ლომი- ვით — ლომსავით, ქარივით — ქარსავით,

მოხვედრით—მოხვედრსავით. აქ არჩევანი თავი- სუფალია, გამოიყენე, რომელიც მოგწონს, რომელიც გინდა. სხვა ორბრუნვიან თანდებუ- ლებზე ამის ვერ იტყვი: იქ მკაცრად განსაზღ- ვრულ შემთხვევებში იხმარება თითოეული მათგანი. ეს თავისუფლება ეხება მხოლოდ თანხმობანდუქთან სახელებს. მართალია, ხმო- ვანფუძიან სახელებში ვით მხოლოდ და მხო- ლოდ მიცემობს ერთვის (კატასავით, კლდესა- ვით, წყაროსავით, ბუსავით), მაგრამ ფორმის შინაარსი აქაც აბსოლუტურად იგივეა — შედარება-მსგავსება: ლომივით — ლომსავით — კატასავით. შინაარსის ერთიანობა არის ნიშან- დობლივი და დამახასიათებელი თვისება ყველა სახის ვით თანდებულიანი სახელისათვის.

4. როგორც ვიქვით, ვით თანდებულიანი სახელი შედარება-მსგავსებას გამოხატავს. შე- დარება კე ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულ პოეტური ხერხთაგანია, ამიტომ ბუნებრი- ვია, რომ ასეთი ფორმება განსაკუთრებით ხშირად გვხვდება ჩვენს დღევანდელ მწერლო- ბაში, როგორც პროზაში, ისე პოეზიაში. მაშა- სანამე, ვით თანდებულის ხმარება მჭიდროდ უკავშირდება ქართული პოეტური ენის საყუთ- ხებს, ეს მისი განუყრელი შემადგენელი ელემენ- ტია. შედარების, როგორც პოეტური ხერ- ხის, გამოხატველ რესურსებს შორის ქარ- თულში ვით თანდებულიანი სახელი ერთ- ერთი (თუ ერთადერთი არა) ყველაზე გავრცე- ლებული, მარტივი, ეკონომიური, მოხერხებუ- ლი და ამავე დროს დიდი ექსპრესიული ძა- ლის საშუალებაა. შტრ. მიქროდა როგორც რაში და რაშივით მიქროდა, იღგა როგორც კლდე და კლდესავით იღგა

1 სპეციალური გამოკვლევა აქვს მიძღვნილი თ. შარაძე ნიძეს — „ვით“ თანდებული ქართულში: თბ. უნ. შრომები, 10; 1939.

2 მეორეა გან, რომელიც ნათესაობითსა და მოქმედების თხზოვს: ხისავან და ზიდან (— ხიღვან — ხითვან).

3 მესამე ბრუნვასთან (ნათესაობითთან) იგი დღეს სალივინგოზოკო ენაში თითქმის აღარ იხმარება და მხოლოდ ზოგიერთ აღმოსავლურ კილოში გვხვდება (კაცისავით, სისხლისავით, ვაშლისავით, ცხენისავით, შენისავით...), ამიტომ მას აქ არ ეხებათ.

4 არ შეიძლება ითქვას: კატავით, კლდევით, ბუევით.

ტრის მიუტოვებლად უნდა დაფხვდეს მავარს კლდე სავარი: ალ. აბაშელი).

5. ვით თანდებულა პოეზიაში კიდევ ერთი ახალი ფუნქციით არის დასაქმებული: რომის შედგენაში იღებს აქტიურ მონაწილეობას. ამიტომ იგი აქ; განსაკუთრებით ახალ. საბჭოთა პოეზიაში, დიდ პატივშია, მაგალითად: სიტყვით — ნარცისივით, მოტივით — ნაფრთხივით, შემოღობივით — ლივლივით, მამობრივი — ორბივით, ქარსავით — გაუპარსავი, თერთვეროსანი — წეროსავით და სხვა.

6. დასასრულ, ვით თანდებულს გამოყენებისთან დაკავშირებულია ზოგი თეორიული და პრაქტიკული საკითხი, რომელნიც პასუხს მოითხოვენ. ყველა ამის გამო დიარს, ვით თანდებულს ხმარებაზე კვლავ შეეაჩეროთ მკითხველის ყურადღება.

II

„ვით თანდებულად ქვეყის გზაზე დამდგარი ნაწილაკი,“ კეთხულობთ „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებში“ (პირველი კრებული, 1970, გვ. 101. სტატიის ავტორი — ი. გიგინეიშვილი). კითხვისას: როდის იყრ (ან არის) ვით ნაწილაკი: სანამ ცალკე იღვ და თანდებული ვახდებოდა, თუ თანდებული რომ ვახდა, მერმე იქცა ნაწილაკად? ზემოთ მოყვანილ განსაზღვრებაში კაცმა შეიძლება იგულისხმოს ორივე ვაგება. მაგრამ ორივე ვაგება შემედარი უნდა იყოს: ვით არც თანდებულად ქვეყამდე ყოფილა ნაწილაკი და არც თანდებულად ქვეყის შემდეგ ვახდებარა ნაწილაკად. პირველ შემთხვევაში ვით კავშირია (ზმნიწვიდელს უნდა მომადინარეობდეს) და ზედმეტია მის ნაწილაკობაზე ლაპარაკი. ამა როგორ უნდა ვაგიგოთ ვით ნაწილაკად ამ მაგალითებში: ვით მამალი სხვის მამალსა დაპტერდეს და წაეცილოს (დ. გურ.);

ვითა ეთერი მზეთუნახავი, საყვარლის მლოდე თრთის და კანკალებს (ა. წერ.).

ასეთი ვით (კავშირი) დღესაც ვეხედება (პოეზიაში და პროზაშიც):

და სადაც წახვალ, ვით ქუჩის ძაღლი, სიძეა, მრუშება აგადევენება (ი. გრიშ);
ვით საქართველოს აღორძინების მეცკესს... ვით ომში ვასულ მგზნებარე სარდალს... ვით დედაუნის გუშავს გონიერს, (ხ. ბერ.);
ქრება და ინთება, ვით სიყმის ლადარი (მ. ფოცხ.);

რევაზს, ისე ვით გიჟს... მიშტერებოდა (ა. ქუთათ.).

მეორე შემთხვევაში იგვე ვით თანდებულა და არა ნაწილაკი. მარტლაც, ისეთ ფორმებში, როგორცაა: ვეფხევივით, თხუნელასავით, ვარდვივით, წყალივით, მთვარესავით, ბა-

ტივით, ვით მხოლოდ თანდებულა, მას ნაწილაკი არ შეიძლება დაერქვას.

ქვეყით იგვე მკვლევარი ამბობს: თანხმობიან სახელებში უპირატესობა: მიეცეს ვით ნაწილაკის ხმარებას მიცემით ბრუნვასთან (ლომსავით, კაცსავით) და ამფორმებს ვაცავის გზა. ვათანდებულების გზაზე დამდგარი ამ ნაწილაკის ხმარება სახელობითიან დასაშვებად იქნეს ცნობილი (ლომით, კაცსავით) (იქვე გვ. 104).

როგორც ზედავით, ამ სადავო ვით-ს ყველაფერი ჰქვია (თანდებულად ქვეყის გზაზე დამდგარი ნაწილაკი, ვით ნაწილაკი, ვათანდებულესი გზაზე დამდგარი ნაწილაკი), მაგრამ რაც ნამდვილად არის იგი — თანდებული — არა და არა. ჩვენ გვეჩინა; რომ ვით ახლა ჩვეულებრივი თანდებულა და მას ეს სახელი უნდა დავერქვას.

ვით-ს თანდებულს უწოდებს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“. იქ იკითხება: „ვი. ვითა თანდებულა. დავრთვის სიტყვას სახელობითს ან მიცემითს ბრუნვაში და აღნიშნავს მსგავსებას. მგელივით ეცა. — შხამივით მწარეა. — დედასავით უფლის. — ქვასავით მავარია. — კლდესავით დვას“ (IV 64).

ვით-ს თანდებულს უწოდებენ: ა. შანიძე (ქართული გრამატიკის საფუძვლები, 1953, 70), გ. ახვლედიანი და ვ. თოფჩური (ქართულ-რუსული ლექსიკონი, 1950, 149) და სხვანი. მაგრამ რაღა შორს მივიდეთ, ვით თურქისა და თეთ ი. გიგინეიშვილის „ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (III გამოც. 1949) და „ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში“ (1968 წ.) ვითხულობთ: „— ვით თანდებულ, იხმარება მიცემით ბრუნვასთან; მასავით, კაცსავით, ლომსავით... ბოლო თანხმობიან სახელებთან შეიძლება ვიხმაროთ სახელობით ბრუნვასთანაც: კაცივით, ლომივით“.

ამრიგად, სამართლიანი იქნება ვით-ს უბრალოდ თანდებულ ეწოდოს და ჩამოსცილდეს უსამართლოდ მიყრებულ ნაწილაკს. ნაწილაკი სხვა მეტყველების ნაწილია და მას ცალკე განიხილავენ.

ვით თანდებულ, როგორც ცნობილია, ორ ბრუნვას ერთვის: სახელობითსა და მიცემითს. ეს ორი ბრუნვა ასეა განაწილებული: ხმოვანფუძიან სახელებში (მხოლობითს რიცხვში) და ნაცვალასახელებში მას მხოლოდ მიცემითში დაირთავენ (მასავით, ხესავით, ხმოსავით, ბლუსავით, ამასავით, ჩემსავით, შენსავით, ჩვენსავით, თქვენსავით). აღნიშნული ტიპის

5 პირველ ორ გამოცემაში (1941, 1947 წწ.) ეს სიტყვა არაა შეტანილი.



ყველა სახელი — ამ წესს მისდევს: უყოყმანოდ და ამიტომ აქ არაფერია სადავო და მოსაგვარებელი.

თანხმოვანდუძიანი სახელები კი (აგრეთვე ებანან მრავლობითში დასმული ხმოვანდუძიანები) ორივე ბრუნვაში დაირთავენ ვით-ს. ამბობენ და წერენ როგორც ქარივით, მგელივით, ამალივით, ძმებივით, ხეებივით, ისე აგრეთვე: ქარსავით, მგელსავით, მამალსავით, ძმებსავით, ხეებსავით. აქ არჩევანი თავისუფალია, ვისაც რომელი სურს და რომელი ურჩევნია, იმას იხმარს, რადგან მათ შორის დღეს შინაარსეული თუ სტილისტური განსხვავება არ არის.

ამის მიუხედავად, სვამენ კითხვას: რომელ ბრუნვას უნდა მივანიჭოთ უპირატესობა? (საკითხი ეხება, კიდევ ვიმეორებ, მხოლოდ თანხმოვანდუძიან სახელებს: ლომივით — ლომსავით).

„თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები“ (ი. გიგინეიშვილის სტატიით) ამასუხუბებს (ისევე მოკვავებს ზემოთ სხვა მიზნით უკვე ციტირებული ავტორი): „ბოლოთანხმოვანი სახელებში უპირატესობა მიეცეს ვით ნაწილაკის ხმარებას მიცემით ბრუნვასთან (ლომსავით, კაცსავით) და ამ ფორმებს გაეკაფოს გზა. გათანადებულების გზაზე დამდგარი ამ ნაწილაკის ხმარება სახელობითან დასაშვებად იქნეს მიჩნეული (ლომივით, კაცივით)“ („ნორმები“, გვ. 104). აი ეს დებულება მიგვაჩინა სადავოდ. ჩვენი წერილის დაწერაც უმთავრესად ამ გაზომობამ გამოიწვია.

რატომ უნდა მიეცეს მიცემითს უპირატესობა? რატომ უნდა გაეკაფოს გზა მხოლოდ მას და რატომ მხოლოდ დასაშვებად იქნეს მიჩნეული სახელობითი? რა დაშავა სახელობითმა? რა აქვს ასე მოსაწონი მიცემითს? თუ ავტორი აქ იმას გულისხმობს, რომ ხმოვანდუძიანი სახელები (მზ. რ.) და ნაცვალსახელები მხოლოდ და მხოლოდ მიცემითში დაირთავენ ვით თანდებულს და თანხმოვანდუძიანი სახელების ამითან შეერთებით მერმე და მერმე მხოლოდ ერთ ბრუნვასთან (მიცემითთან) გვექნება საქმე, ეს სერიოზული საბუთი არაა. ენაში ერთობა გვაქვს და მეორედ, ყველას პრაქტიკულად სარეცელზე ხომ ვერ დავაწვენთ. არა, ამ აზრს ვერ ვავიზიარებთ, ენაში შეტად ვაგრცელებულ ვით თანდებულთან სახელობითს უკულოდ ზელს ვერ ვკრავთ და ვერ ვეტყვიით: არა, თქვენ არ გვიდოხართ, ამ საქციელს (თქვენს მიღებას) არ მოგვიწონებენ (არ გესმით: მიცემითს უნდა მიეცეს უპირატესობა და გზა იმას გაეკაფოს?), უარესი რად გვინდა, უკეთესს ამოვირჩევთო, დიხხ, ამას ვერ ვეტყვიით სახელობითს. ჩვენი აზრია, ვით თანდებული ორივე ბრუნვასთან უნდა იხმარე-

ბოდეს თანაბარ-უტლებით, ენაში ჩვენ გვექნება მეტი მრავალფეროვნება, ფორმათა სიმდიდრე (სიჭრელე კი არა, სიმდიდრე), გამომსახველობითი საშუალებების უხვი საუნჯე. შემდგომი შემდგომ შესაძლებელია მით შორის ნიუანსური თუ ფუნქციური სხვაობა დამყარდეს (ჩვენ ვხედავთ ასეთი ლიფერენციაციის ჩანასახს, მაგრამ ამაზე ვეგმობთ) და ამით ჩვენი ენა კიდევ უფრო გამდიდრდება და მეტ შესაძლებელ ძალას შეიძენს.

ჩვენ ზემოთ ვთქვიით, რომ ვით თანდებული აქტიურ მონაწილეობას ლებულობს ახალი ქართული ლექსის რითმების შენებაში. ეს ერთგვარად ეხება როგორც სახელობითს, ისე მიცემითს. აი რითმებში ვით თანდებულის გამოყენების რამდენიმე ტიპური ნიმუში სახელობითთანაც და მიცემითთანაც.

შენიშვნა. ვით თანდებული აქ მხოლოდ რითმის ერთ ცალში იქნება წარმოდგენილი, მეორეში კი არას შემთხვევაში. ორივე ცალში ერთი და იმავე თანდებულის გამოყენება შექმნიდა ერთფეროვნებას. ერთფეროვნება კი უმშარბიტი პოეზიის დაუძინებელი მტერია.

ა) სახელობითთან

- აჩქივი — მონაჩქივით
- არწივი — ცარცივით
- დატივი — კანდიდატივით
- დიღივით — აკრედიტივი
- ერთობლივი — დორბლივით
- ეტლივით — განუწყვეტილივი
- კობრივით — ასაკობრივი
- კურსივი — კურსივით
- ლივლივით — შემლილივით
- მარტივი — მარტივით
- მისივი — აღმისივით
- (მეტრეი) — მეტრეით — მეტრეით (—მეტრე)
- მიითივით — პრიმიტივი
- მოცვივით — მოცვივით
- პისივი — ფასივით
- პატივი — ბატივით
- (სათივი) — სათივით — სათივით (—სათი)
- საცივი — აზხაცივით
- ფსიტივით — პოზიტივი
- წიტივით — რეციდივი
- ვარევი — ქარივით
- გაწევი — კაცივით
- დარევი — დარევივით
- მორევი — ნაომორევი
- სუფევი — სუპივით
- ქაფივით — ნაკაფევი
- შერევი — გიშერევი

იხანე იხანიშვილი
 ქართული სალიტერატურო ენის
 ნორმალისტიკის საკითხები

ჩარვეით — ლაჩარვეით
 ჩარჩვეით — ჩარჩივით
 ჩარხვეით — ჩარხივით
 ჩახვეით — უჩაღღივით
 კივით — ეშმაკივით
 კრივით — ნუკრივით
 მძივით — ვერძივით
 სხივით — სესხივით
 ტივით — მაგნიტივით
 ჩივით — კამეჩივით
 წვივით — ნაძვივით
 წივით — უანწივით
 ჭვივით — ფიჩხივით.

ამნაირი შესაძლებლობანი აქ (სახელ.) გაცილებით მეტია, ვიდრე მიცემითან.

ბ) მიცემითთან

ბუსავით — შეუბუსავით
 გემსავით — დასაკემსავით
 ზაქსავით — დასაქსავით
 თარსავით — დაუთარსავით
 თხასავით — დასათხასავით
 კუსავით — დაუკუსავით
 ლეკსავით — გაულეკსავით
 მგეზავით — გამგეზავით
 მესავით — მომმესავით
 მოესავით — კუთრმომესავით
 მკეცსავით — სანაკეცსავით
 მკენესავით — სააკენესავით
 მღუსავით — მუხამღუსავით
 მოსავით — მალამოსავით
 მპარსავით — ლამპარსავით
 მუნოსავით — საქვეუნოსავით
 ნავსავით — დაუნავსავით
 ნახავით — ნანინახავით
 სავოხავით — უნახავით
 ხავსავით — ნათხავით
 სათესავით — სიქესათესავით
 სარასავით — დასარასავით
 ტუქსავით — დასატუქსავით
 უხავით — რუქსავით
 უთესავით — ბუდესავით
 ულესავით — მემამულესავით
 უხახავით — მუხახავით
 ფარსავით — გაუფარსავით
 ქარსავით — შეუქარსავით
 ქაფსავით — დაუქაფსავით
 ჩარსავით — ლაჩარსავით
 ცრუსავით — გაუტრუსავით.

აქ ამგვარი მავალითები (და, საერთოდ, ვით თანდებულის გამოყენების შესაძლებლობა) უფრო ნაკლებია, ვიდრე სახელობითში გვაქვს. ამის ერთი მიზეზი ისაა, რომ აქ კონსონანსური რითმები (ე—ი, ო—უ) უფრო მცირეა, ხოლო მეორე — სრულიად გამორიცხუ-

ლია ე. წ. ქალური (ორმარცვლიანი) რითმები რითმის ორი ბოლო მარცვლი ბრუნვის ნიშნის (სა) და ვით თანდებულის გამოყენების საშუალებით. ამას კიდევ სჭირდება, სულ მცირე, ერთმარცვლიანი ფუძე (ან მისი ნაწილი) მაშასადამე, აქ რითმა, მინიმუმ, სამმარცვლიანი (დაქტილური) მაინც გვექნება. მართალია, აქ ჩვენ მავალითებში აღებულია როგორც თანხმოვანფუძიანი სახელები (ფარსავით — გაუფარსავით), ისე ხმოვანფუძიანებიც (სათესავით — სიქესათესავით), მაგრამ ჩვენი საერთო აზრი არ იცვლება, ამით კიდევ უფრო ნათელი და გასაგები ხდება, თუ რამდენად შეუწყობს ხელს ჩვენი ენის ლექსიკისა და პოეტური რესურსების გამდიდრებასა და გამრავლებას, მისი ექსპრესიული ძალის ვაზრდას ენაში არსებული ორივე ტიპის ფორმების (ლოგიკით, ლომსავით) დატოვება, მათი ნებაზე მიშვება. ენის შინაგანი კანონები და ბუნებრივი მიდრეკილება თვით გააძვივებს უფარვისსა და გასაძვივებელს და თვალის ჩინივით მოუვლის უფრო ადვილს, უფრო სჭირის და უკეთესს. ხოლო მბრძანებლური შეძახება: ამას (მიცემითს) მიეცეს უპირატესობა, ამას გავკავდეს გზა, ხოლო იგი (სახელობითი) დასაშვებად იქნეს მიჩნეული, — ხელს შეუწყობს ენის გაღარიბებას მით უმეტეს ეს ითქმის მაშინ, როცა იწუნებენ ენაში აბსოლუტურად გავრცელებულ, უხალს, ადვილსა და მოხერხებულ ფორმებს. ახლა სწორედ ამ უთანასწორო სკივთების განხილვაზე გადავდავართ.

IV

როგორც ვნახეთ, „ნორმები“ ბრძანებს: უპირატესობა - მიცემითს უნდა მიეცეს და გზაც იმას უნდა გავკავდეთ. ახლა დავა დრო ვიკითხოთ: ბრძანება ბრძანებაა, მაგრამ როგორ არის საქმე თვით ენაში? თვით ენა რას ამბობს, რომელ ფორმებს აძლევს უპირატესობას და საიმედოდ უკავფავს გზას? ეს ჩვენ შეგვიძლია გავივით ცოცხალი, სალაპარაკო ენისა და ჩვენი ახალი, საბჭოთა მწერლობის, პრესის, მასალების მიმოხილვით. ჩვენ ამჟამად ჩვენი მწერლობისა და პრესის ფაქტებზე გვექნება საუბარი.

გადაპრით უნდა ითქვას, რომ მწერლობა (პროზა, პოეზია, კრიტიკა...) და პრესა აბსოლუტურად სახელობითს უჭერს მხარს, მიცემითს კანტიკუნტად თუ მიმართავს, ისიც მხოლოდ ზოგიერთი მწერალი, ამ საკითხზე ჩვენ 1970-1972 წლებში ვმუშაობდით (ხანგამოშვებით), მასალებსაც ამ პერიოდის პროლექციიდან ავიღებთ.

აღ. ქუთათელი, რომანი „სათვალთვალო“. დაიბეჭდა „მნათობის“ 4 ნომერში. განვიხილავთ ცალ-ცალკე.

ა) „მნათობი“, № 9, 1971. სულ შეგვხვდა 23



ვით თანდებელიანი თანზოვანფუძიანი სახელი (ხმოვანფუძიანი სახელი და ნაცვალსახელი აქ არ გამოვადგება. ისინი მხოლოდ მიტეშითი ირთავენ ვით თანდებულს და აქ სადავო არაფერია). ამ 23-დან ვით თანდებული სახელებს სახელობითი ერთევის 20-ჯერ, მიცემითი — 3-ჯერ. შეფარდება 20:3 სახელობითის სასარგებლოდ. პროცენტულად ეს იქნება: 87%:13%.

ბ) იგივე რომანი: „მნათობი“, № 10, 1971. სულ 35, სახელობითი 31, მიცემითი 4, = 88,6% 11,4%.

გ) იგივე რომანი: „მნათობი“, № 11, 1971. სულ 49, სახ. 41, მიც. 8, = 85%:14%.

დ) იგივე რომანი: „მნათობი“, № 12, 1971. სულ 87, სახ. 74, მიც 13, = 85%:15%.

სულ ოთხივე ნომრის მიხედვით პროცენტულად გვექნება: 86,6%:13,4% სახელობითის სასარგებლოდ.

ჩვენ მიერ განხილული მწერლების ნაწარმოებებიდან ალ. ქუთათელის „სათვალთვალო“ ერთადერთი ნაწარმოებია, რომელსაც სხვებთან შედარებით მეტი პროცენტით მოეპოვება ვით თანდებელიანი მიცემითის ფორმები. და თუ ეს მეტი პროცენტი მხოლოდ 13,4-ს შეადგენს, ადვილად წარმოვიდგენთ მიცემითის ერთობ დაბალ პროცენტულ დონეს სხვა მწერლების ნაწარმებში.

გ. აბაშიძე, „ერგასიან ბაქურციხელი“: „ცისკარი“, № 1, 1962.

სულ 24, აქედან სახ. 23, მიც. 1, = 95%:5%.

შ. ამისთლაშვილი, „ფერთა დღეობა“, 1971.

სულ 52, აქედან სახ. 52, მიც. 0, = 100%. არც ერთი მაგალითი მიცემითში!

ლ. სულაბერიძე, „შემოდგომის დღის ქრონიკა“, 1970.

სულ 26, აქედან სახ. 26, მიც. 0, = 100%. არც ერთი მაგალითი მიცემითში!

ვ. ჭელიძე, „ამირანთა“, 1970.

სულ 105, აქედან სახ. 105, მიც. 0, = 100%. არც ერთი მაგალითი მიცემითში!

აქ ისიც უნდა დავუმბრთოთ, რომ ო. ჭელიძის ამ მოვამოც ყველა სახის ვით თანდებელიანი ფორმა (მათ შორის ხმოვანფუძიანებიც) სულ არის 131. აქედან თითქმის ნახევარი — 60-რითმაზია მოქცეული. თქვენ ახლა განსაჯეთ. თუ რა როლს თამაშობს იგი ახალი ქართული ლექსის რითმის შედგენის საქმეში (შდრ. მნათესავით — ნათესავის, მოცელოლის — შლოცელოვით, ღებერტორა — ღესერტვევით...). ესენი ამ მოვამის საერთოდ საუკეთესო რითმებია.

ბ. კვეციელი, „ას ერგასის დღე“: „მნათობი“, № 10, 1971

სულ 20, აქედან სახ. 20, მიც. 0, = 100%.

არც ერთი მაგალითი მიცემითში!

ო. იოსელიანი, „ტყვეთა ტყვე“: „მნათობი“, № 9 1971.

სულ 32, აქედან სახ. 32, მიც. 0, = 100%.

“ იგივე: „მნათობი“, № 10, 1971.

სულ 25, აქედან სახ. 25, მიც. 0, = 100%.

სულ ორივე ნომერში 57, აქედან სახ. 57, მიც. 0, = 100%.

არც ერთი მაგალითი მიცემითში!

ახლა ენახოთ თითო ნომერი გაზეთი და ჟურნალი.

„ლიტერატურული საქართველო“, № 44, 29. X. 1971.

სულ 16, აქედან სახ. 16, მიც. 0, = 100%.

არც ერთი მაგალითი მიცემითში!

აქ იგულისხმება ამ ნომერში მოთავსებული ყველა მასალა, როგორც ორიგინალური, ისე ნათარგმნი.

„ცისკარი“, № 11, 1971. განხილულია ყველა მასალა, რაც ჟურნალის ამ ნომერშია დაბეჭდილი. სულ ამ ნომერში შეგვხვდა ვით თანდებელიანი 121 სახელი. აქედან ხმოვანფუძიანი — 21 (მაგრამ ეს ახლა ჩვენ აქ არ გვევლინება), თანზოვანფუძიანი (რომელიც ჩვენ ახლა გვიჩვენებს) — 100. აქედან ასივე სახელობითში ითხოვს ვით თანდებულს, არც ერთი მიცემითში! ამაზე უკეთესი პირთენილი მოწმე და მიუდგომელი მსაჯული ქვეყნად არ არსებობს. ასიდან არც ერთი არ ირთავს ვით თანდებულს მიცემითში და „ნორმები“ მაინც ბრძანებს: მიცემითის უნდა მიეცეს უპირატესობა და მხოლოდ მის უნდა გაეკეთოს გზაო. მაგრამ ჩვენი ენა, ცოცხალი სალაპარაკო ქართული ენა, ახალი ქართული სამკოთა მწერლობის ენა. პრესის ენა ამ ბრძანებას ყურს არ უღებებს და მიდის თავისი გზით, სწორი, პირდაპირი, მოკირწყლული, ადვილი გზით. ამ შემთხვევაში „ნორმების“ რჩევა და წეს-კანონი აშკარად ეწინააღმდეგება ჩვენი ცოცხალი სალაპარაკო ენის, ჩვენი სალიტერატურო ენის ბუნებრივ განვითარებას.

სურათის სისტულისათვის აქ ვუჩვენებთ „ცისკარს“ ამ ნომრის ყველა სათანადო მასალას მხოლოდ გვერდების მითითებით.

ბატარძალივით, ლადარივით 5, მუხეთნახავი-

ივანე ივანიშვილი
ქართული სალიტერატურო ენის
ნორმალიზაციის საკითხები

ვით (ორჯერ); გვირახივით, შეთანხმებულბო-
 ვით 6, თოკივით, ხატივით, ლაჩარავით, ნაც-
 ნობივით, ხელისკუთხევივით 7, მასპინძელივით,
 მზვერავებივით; ვაგანივით 8, კაცივით 8, 9,
 10, ძალბივით, ტყვიამფრქვევივით, შადრე-
 ვანივით 9, ყვანის ფრთებივით 10, ნაძვის ტო-
 ტებივით 11, შერცხალივით 12, სიზმარივით,
 წყალივით 13, ხმალივით 15, ქალივით, ფო-
 ლივით 17, ვერცხლის წყალივით, კუნაბეტი-
 ვით, კურდღელივით 18, ნაცნობივით 19, დათ-
 ვივით; ასანთის ღერებივით 20, ბავშვებივით,
 მორკვივით 22, დოლაბივით, ძაღლის ნაბე-
 ნივით 23, ძეგლივით, ქალივით 24, საათბივით
 26, სატევაარივით, ნაღვერდალივით 42, ლანდივით
 44, სპირალივით, ხოჭობივით, ცილივით 45,
 ჩანჭქერის შხილივით 46, ცხრაიანივით, შუ-
 ყრობილივით, შავი დედალივით 50, მარწუხი-
 ვით ხელი, ჭირკვივით 52, ლარივით, ნალივით,
 ნეკნებივით, ლეკვივით 53, დეკვივით 54, ნიუ-
 რებივით, ბოთლივით, მებადურავით 58, ბიძგ-
 ნაკრავივით, ყინულივით 59, თაიგულივით 61,
 ბროლივით, მადანივით 63, ნუკრივით 65, ბე-
 შვიითაა, ანგელოზივით 66, შეთქმულივით 67,
 ავგაროზივით 76, ოჩანივით 80, თვალის ჩინო-
 ვით, გამეღელივით 82, შეშლილივით 86, 92,
 კუნძივით, ცრემლივით, შშაგვივით 92, მონუს-
 ხელივით 93, ბრძენივით 99, ხარივით 102,
 მერცხალივით 105, ძროხებივით, თევზებივით,
 ლომივით 108, ობობას ქსელივით, მდღელიონე-
 ბივით 110, ქორივით 117, ვეფხივით 143, ყინუ-
 ლივით, ძაღლივით 146, მხეცივით 149, სანთე-
 ლივით 150, ნადირივით, კურდღელივით, ქალი-
 შვილივით 151, ტყუპის ცალივით 152.

თვალის ერთი ვადავლემაც კი საქმარისია,
 შეენიშნოთ, რომ ეს ასპროცენტიანი მხარის
 დაქერა სახელობითისათვის და ასევე ასპრო-
 ცენტიანი ვანდგომი მიცემითისაგან სახელო-
 ბითის ცხოველყოფელ ძალაზე მიუთითებს.
 და რარიც ცდება „ნორმები“, როცა ბრძანებს:

მიცემითს მიეცეს უპირატესობა და მის გაქ-
 ფის გზაო! ენა კი, ჩვენი ენა, რომელმაც უფრო
 იცის თავისი საკუთარი საქმე, სხვა მხარეში
 დის, სახელობითის აბსოლუტური უპირატე-
 სობის გზით.

სახელობითის არჩევა აქ, მისთვის ასეთი
 აბსოლუტური უპირატესობის მიჩნევა შემო-
 ხვევითი სრულებითაც არ არის. ამის მიზეზი
 უნდა იყოს ის ვარაუდობა, რომ თანხმობან-
 ფუძიან სახელებში სახელობითს ბრუნვის ნიშ-
 ნად აქვს ი ხმოვანი, რომელიც ძალიან ადვი-
 ლებს ფუძეზე ვით თანდებულის უმტივენუ-
 ლოდ დართვას, სადაც რამე ფონეტიკური
 (თუ სხვა ხარისის) დაბრკოლება არ
 შეიძლება წარმოიშვას, ნათლად ჩანს აგ-
 რეთვე, თუ რა ბრუნვაა ვით დართული სა-
 ხელი, რადგან ამ დართვისას ი-ს არავითარი
 საშიშროება არ ემუქრება: უცვლელად არის
 შენახული ფუძე (ეთქვათ, ვ ა შ ლ ი ვ ი თ), ხელ-
 უხლებელია ბრუნვის ნიშანი (ვაშლივით) და
 თანდებულსაც არა მოსდის-რა (ვაშლივით).
 აქ სიტყვის სამივე ელემენტი უშიშრად
 გრძნობს თავს და არც ერთს ჩიფათი არ ელის.
 ჩვენ გვგონია, რომ ხმოვანფუძიანი სახლები
 ამავე მიზეზით მიეცელა მიცემითს: სახელო-
 ბითის ი ნიშანი იქ დიდი ხნის წინათ იყო დე-
 კარგული და ამიტომ ფორმაში ბრუნვის რაო-
 ბა (რომელობა) არ გამოჩნდებოდა, მიცემითს
 კი ეს ნაკლი არ გააჩნდა.

მაგრამ მიცემითს იგივე ს-ა ბრუნვის ნიშანი
 ახლაც რომ აქვს? მამ რად ჭირს მისზე ვით
 თანდებულის დართვა? საქმე ისია, რომ მიცე-
 მითში თანხმობანზე გათავებულ ფუძეებს (თან-
 დებულამდე) უნდა დართოს ს.(ა) ბრუნვის
 ნიშანი. როცა სახელში ფუძის ბოლოა 3 და 4
 თანხმობანი გვაქვს, ს-ს დამატებისას გვექნება
 (სათანადოდ) 4 და 5 თანხმობანი ზედიზედ,
 რაც ძნელი გამოსათქმელია. აი ამის მაგალი-
 თები:

ა) 3+1=4

	მიც.	ამის ნაცვლად	არის	სახ.
თ ხ ნ + ს	ნ ა თ ი თ ხ ნ ს ა ვ ი თ		„	ნათიხნივით
ნ ღ ლ + ს	ღ ი ნ ღ ლ ს ა ვ ი თ		„	ღინღლივით
ნ ძ ღ ლ + ს	ბ ე ნ ძ ღ ლ ს ა ვ ი თ		„	ბენძლივით
ნ წ ღ ლ + ს	ა ნ წ ლ ს ა ვ ი თ		„	ანწლივით
რ ტ ყ ს + ს	ბ ა რ ტ ყ ს ა ვ ი თ		„	ბარტყვივით
რ ფ ლ + ს	ფ ე რ ფ ლ ს ა ვ ი თ		„	ფერფლივით
„	ქ ო რ ფ ლ ს ა ვ ი თ		„	ქორფლივით
რ ჩ ხ + ს	ბ ე რ ჩ ხ ს ა ვ ი თ		„	ბურჩხივით
რ ც ვ + ს	ბ ო რ ც ვ ს ა ვ ი თ		„	ბორცივით
„	ნ ა მ ა რ ც ვ ს ა ვ ი თ		„	ნამარცივით
რ ც ლ + ს	ვ ა რ ც ლ ს ა ვ ი თ		„	ვარცივით
„	ქ ე რ ც ლ ს ა ვ ი თ		„	ქერცივით
რ ც ნ + ს	ნ ა ტ ყ ო რ ც ნ ს ა ვ ი თ		„	ნატყორცივით
რ ც ხ + ს	კ ვ ე რ ც ხ ს ა ვ ი თ		„	კვერციხივით
„	მ ა რ ც ხ ს ა ვ ი თ		„	მარციხივით
„	ფ ა რ ც ხ ს ა ვ ი თ		„	ფარციხივით



რ ძ ლ + ს	ღ ვ რ ძ ლ ს ავით	„	ღ ვ რ ძ ლ ს ავით.
რ ხ ვ + ს	ვ ე რ ხ ვ ს ავით	„	ვ ე რ ხ ვ ს ავით.
რ ხ ლ + ს	ბ უ რ ხ ლ ს ავით	„	ბ უ რ ხ ლ ს ავით.
„	ჭ ი რ ხ ლ ს ავით	„	ჭ ი რ ხ ლ ს ავით.
ს ხ ლ + ს	ს ი ს ხ ლ ს ავით	„	ს ი ს ხ ლ ს ავით.
ც ხ ვ + ს	რ ი ც ხ ვ ს ავით	„	რ ი ც ხ ვ ს ავით.
„	ც ა ც ხ ვ ს ავით	„	ც ა ც ხ ვ ს ავით.
„	ც ი ც ხ ვ ს ავით	„	ც ი ც ხ ვ ს ავით.
ც ხ ლ + ს	ც ე ც ხ ლ ს ავით	„	ც ე ც ხ ლ ს ავით.
ხ შ მ + ს	ნ ა ვ ა ხ შ მ ს ავით	„	ნ ა ვ ა ხ შ მ ს ავით.

ბ) 4+1=5

ქ ი ე ლ + ს	ქ ი ე ლ ლ ს ავით	„	ქ ი ე ლ ლ ს ავით.
ნ ჩ ხ ლ + ს	ა ნ ჩ ხ ლ ს ავით	„	ა ნ ჩ ხ ლ ს ავით.
ნ ქ ყ ლ + ს	ქ ი ნ ქ ყ ლ ს ავით	„	ქ ი ნ ქ ყ ლ ს ავით.
რ თ ქ ლ + ს	ო რ თ ქ ლ ს ავით	„	ო რ თ ქ ლ ს ავით.
„	ხ ვ ი რ თ ქ ლ ს ავით	„	ხ ვ ი რ თ ქ ლ ს ავით.
რ თ ხ ლ + ს	წ ი რ თ ხ ლ ს ავით	„	წ ი რ თ ხ ლ ს ავით.
რ ტ ყ ლ + ს	ბ უ რ ტ ყ ლ ს ავით	„	ბ უ რ ტ ყ ლ ს ავით.
რ ც ხ ვ + ს	მ ო რ ც ხ ვ ს ავით	„	მ ო რ ც ხ ვ ს ავით.
„	უ რ ც ხ ვ ს ავით	„	უ რ ც ხ ვ ს ავით.
რ ც ხ ლ + ს	ე რ ც ხ ლ ს ავით	„	ე რ ც ხ ლ ს ავით.
„	მ კ ი რ ც ხ ლ ს ავით	„	მ კ ი რ ც ხ ლ ს ავით.
რ ც ხ ნ + ს	ნ ა ვ ა რ ც ხ ნ ს ავით	„	ნ ა ვ ა რ ც ხ ნ ს ავით.

აი ეს არის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ჩვენს ენაში სრულიად ჩვეულებრივია ხვირთქლივით, ცეცხლივით (ქალია), ბურჩხივით, ვერცხლივით, ქინძლივით (კაცია, სახე აქვს) და არა: ხვირთქლსავით, ცეცხლსავით, ბურჩხსავით, ვერცხლსავით, ქინძლსავით. მეორე რაგის გაგაღოთებს (მიცემითს) ასში 2-3 კაციც არ იტყვის. ასეთ შემთხვევაში ძნელ გამოთქმებს სახელობითს ი ნიშანი აადვილებს, მიცემითის ს-ა კი უფრო აძნელებს ისედაც ძელი თანხმობაწათა კომპლექსის გამოთქმას.

მეორე შხრივ, ვით თანდებულის დართვა მიცემითის ფორმაზე მაშინაც არის გაძნელებული, როცა სახელის ფუძე დაბოლოებულია ისეთი თანხმოვნებით, რომელთა მეზობლობა ს-სთვის აუტანელია. ასეთია, უპირველეს ყოვლისა, თვით ს, მერმე ზ, შ, შმმდეგ ჩ, ც, ძ, წ (ამ უკანასკნელთა შებრუნებული რაგი ჩვეულებრივია: ს ჩ, ს ც, ს ძ, ს წ).

ორი ს-ს შესახებ რომ არაფერი ვთქვათ (ცნობილია ეს სიძნელე ახლც და ისტორიულადაც), ზ ს, შ ს, ჩ ს, ც ს, ძ ს და წ ს კომპლექსები მეტად უჩვეულო და არაბუნებრივია ქართულისათვის. კარგადაა ცნობილი, თუ რა ბედი ეწია ს-ს ზოგიერთ მთგანთან შებრუნებული რაგისას: ზ ე (და) და შ ი (ნა) თანდებულებთან ქიდილში იგი დამარცხდა და დაიკარგა: სახლს ზე—სახლზე, სახლს ში—სახლში. ეგვემ ბედი ვაიზიარა მან ავრეთვე ძ ე-სა და შ ი-ლ-ზე დაბოლოებულ ქართულ გვარებში: საბანის ძე—საბანიძე, გურამის შვილი—გურამიშვილი. ს-ს დაკარგვის საშორებობამ ენას უკარნახა; ვით თანდებული დაერთო არა

მიცემითისათვის, არამედ სახელობითისათვის, სადაც არც ბრუნვის ნიშანს, არც თვით თანდებულს არავითარი ხიფათი არ მოელოდა. აი სწორედ ამიტომ გვაქვს ჩვენ ჩვეულებრივად ნ ე მ ს ი ვ ი თ და არა ნ ე მ ს ს ა ვ ი თ, (წითელი ხაზივით და არა (წითელ) ხაზსავით, რაშივით და არა რა შ ს ა ვ ი თ, თქე შ ი ვ ი თ და არა თ ქ ე შ ს ა ვ ი თ, როცა ჩვენ ვამბობთ „არა ნ ე მ ს ს ა ვ ი თ“, „არა თქე შ ს ა ვ ი თ“, ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ ნ ე მ ს ს ა ვ ი თ, თქე შ ს ა ვ ი თ ფორმებს ქართული კაცი საერთოდ ვერ გამოთქვამდეს; არა, ერთგვარი ძალდატანებით, გაჭირვებით ამით კი არა, ამითზე უფრო ძნელ კომპლექსებსაც გამოთქვამს კაცი სავანგებო ცნობისათვის სავანგებო შემთხვევაში, მაგრამ გაბმულად საუბრისას, ქვეცნობიერი მეტყველების დროს მათ უშეშველად გვირღს აუვლის და გაცილებით აღვიღ, მოხერხებულ, ჩემი აზრით, უფრო აქტიური ფორმებს სახელობითისას მიმართავს, რომელიც ავირ გვერდზე მოეპოვება თავსაყარად. ერთი სიტყვივით, გამოთქმის სიადვილე; ფორმათა სტრუქტურული სინათლე, მოხერხებულობა, მეტი გამომსახველობითი ძალა, აქტიურობა ქვეცნობიერად უზიძვებს ენას და მასზე მეტყველს; სახელობითს მიმართოს და არა მიცემითს.

ზემოთ მოყვანილი მიზეზების გამო, მათი ანალოგიით, ვით თანდებულის სახელობითზე

ივანე ივანიშვილი
 ჰართული სალიტერატურო ენის ნორმალისტიკის საკითხები

დართვის საერთო სიადვილისა და მოხერხებულობის წყალობით ჩვენს ენაში ბევრია ისეთი სახელი, რომელიც ვით თანდებული თითქმის მხოლოდ სახელობითი ერთვის და მიცემითთან საერთოდ (ან ჩვეულებრივ) არ იხმარება, ან (ერთგვარი დათმობით რომ ვთქვათ) უპირატესად სახელობითთან გვხვდება. პირველის მაგალითია ბეირივით, არ ითქმის ბეირსავით, არამედ მხოლოდ ბეირივით: ფული ბეირივით აქვს, ქათამი ბეირივით ჰყავს, ფანტავს ფულს ბეირივით, ქალები ბეირივით ესეიან. ასეთივეა აგრეთვე ჩეჩქივით. არც შემთხვევაში იტყვიან ჩეჩქსავით, არამედ მხოლოდ ჩეჩქივით: აქაც ითქმის: ფული ჩეჩქივით აქვს, ჯიბიდან ფულს ჩეჩქივით იღებდა. იტყვიან ღმერთივით ქალით, ცეცხლივით გოგოთ, მუშტარა ბუზივით ეგდოთ, კეტივით ვართ, კუნძივით ეგდოთ, დედაბოძივით დგასო და სხვა. ეიმორებ, ასეთ შემთხვევებში მიცემითი ან სრულებით არ იხმარება (ფული აქვს ბეირსავით) ან მეტად, მეტად იშვითად (კუნძისავით ეგდოთ). აქაც, როგორც ბევრგან სხვაგან, ნათლად ჩანს სახელობითის უპირატესობა.

აი კიდევ ზოგიერთი ამგვარი ფორმა ანბანის რიგზე:

აბედივით, ბაცაცივით, ბერივით, ბერწივით, ბეცივით, ბოლწივით, ბოტივით, ბროლივით (ქალია), ბროწეულივით, ბუმბულივით, ბურთივით ბუუსსივით, განძივით, ვასაღწივით, დასაწივით, დევივით, ვარდივით, ვაშლივით, ვაცივით, ვერძივით, ზამბახივით, ზარმაცივით, ზღარბივით, თასივით, თევზივით, თერძივით, თუთყვივით, ინდაურბივით, კამჭივით, კაცივით (ფეხკაცივით, ჭარისკაცივით), კაჭკაჭივით, კენჭივით, კერძივით, კვანძივით, კვიცივით, კოვზივით, კომშივით, კორძივით, კუზივით, ლავიწივით, ლერწივით, ლომივით, ლუწივით, მგელივით, მეჩვივით, მოზვერივით. მორავივით, მწყემსივით, მხეცივით, ნაკუწივით, ნაქარწივით, ნიკრისივით, ნუშივით, პრინცივით, საყინძივით, სპილენძივით, ტახივით, ტუტუცივით, უნასივით, ფინთხივით, ფოცხვერივით, ქინძივით, ქორივით, ქოშივით, ლერძივით, ღორივით, ყანწივით, ყონივით, ყუნწივით, ძუნწივით, წეთივით, ხავიწივით, ხავსივით, ხაშივით ხაშივით, ხაშხაშივით, ხახვივით, ხელიცივით, ყვირანივით.

ზემოთ ნათქვამიდან ნათელი უნდა იყოს, რომ თანხმობანდობიან სახელებში ვით თანდებულან სახელობითის დიდი უპირატესობა აქვს მიცემითის წინაშე: იგი უფრო ადვილად გამოსათქმელია. ნათელია, მოხერხებულაია, თანდებულას დართვისას არავითარი დაბრკოლება არ ჩნდება. დაკარგვის საფრთხე არ ექმნება არც ფუძის, არც თანდებულს ბეგრას, არც

თვით ბრუნვის წინაშს, უფრო აქტიურაია და მეტი გამოხატულობითი ძალის მქონე, იგი, ამასთან ერთად, უფრო ეკონომიურად მოთქმისას ერთი ბეგრით (წერაში ერთი ასოთი) ნაკლები სჭირდება. შტრ. ლომსავით (8) და ლომივით (7), მეგობარსავით (12) და მეგობარბივით (11), მოზვერსავით (11) და მოზვერივით (10).

სახელობითის ამ სრული უპირატესობის მიუხედავად, მაინც არ შეიძლება ითქვას, რომ მას გაეკათოს გზა, ხოლო მიცემითი დასაშვებად იქნეს მიჩნეული. რაკი ენაში ერთი და იმავე მნიშვნელობით ორნაირი ფორმა გვაქვს, ისინი ერთმანეთს ხელს არ უშლიან, მრავალფეროვნებს (და არა უბრალო საქარულს) ქმნიან, არჩევანის საშუალებას იძლევიან. ვრამატეფულად ორივე გამართლებულია, ამიტომ ორივე უნდა დარჩეს ენაში. ეს დიდი განძია დრო და თვით ენა მიუჩენს თავთავის ადგილს. აი ხომ ვხედავთ, ენამ ჩვენ თოვლწინ ალაზხევა სახელობითი, მაგრამ მიცემითი არ მოუძულედა. მოსალოდნელია დროთა ვითარებაში მათ შორის დიდფერენციაცია დამყარდეს: ერთმა რილად სხვა, დამატებითი თვისების გამოხატვა იქნის, მეორემ — სხვისა. ეს ჩვენს ენას კიდევ უფრო გაამდიდრებს და გვეძლევა ვარკვეული ნიუანსებით განსხვავებული პარალელური წყვილები. ამგვარი ფორმების სიმრავლე კი ენის სიმდიდრეა. ენის განვითარების, ენის ექსპანსიული შესაძლებლობის გაზრდისა და გაფართოების უტყუარი წინაპია.

ჩვენ გვგონია, რომ აქ სახელობითსა და მიცემითს შორის ერთგვარი დიდფერენციაციის ჩანასახი უკვე ჩანს მკრთალად. თუ ჩვენი დაკვირვება სწორია, არის ცდა, რომ ენამ სახელობითი აქტიური ქვემოდებარისათვის (სახელობითის) ვალოიყენოს, ხოლო მიცემითი — მასიურისათვის. ასე, მაგალითად, იტყვიან: მოზვერივით გაექანა (დაეჭაბა, ეჭვრა, აბრიალებდა თვალბს), მაგრამ: მოზვერსავით დაფრთხა (ლაშხაზი); გრფივით დარბოდა (მეზარა, ყვიროდა, ეტანებოდა), მაგრამ: გრფსავით იცინებოდა (ეცინებოდა, ილგა გაოგნებულა); მხეცივით ეცა (მეზარა, ეჭვრა), მაგრამ: მხეცსავით შეშინდა (დაფრთხა, გაიქცა); ვეფხვივით დააბაბა, მაგრამ: ვეფხვსავით ლაშხაზა (ჭრელია, მშვენიერია). ასევე: გვგონია, შესაძლებელია სხვადასხვა შინაარსით ენმაროთ: ფოცხვერივით (მჭიტი) და ფოცხვერსავით (ბასივი), ჭიქივით და ჭიქსავით, ლომივით და ლომსავით და სხვა. მართალია, ეს თვისება (ასეთი შინაარსი) ენაში დღეს მკვეთრად და საყოველთაოდ არაა გატარებული, ჩვენი აზრით, ერთგვარი მკრთალი კონტურები მოჩანს, მაგრამ, ვიგეორებ, თუ ეს დაკვირვება ოდნავ მაინც უახლოვდება ქვემარტივებს, უნდა მოველოდეთ ამ



VI

დასასრულს ვით თანდებულს ხმარებასთან დაკავშირებით მოსაგვარებულა ერთი პრაქტიკული საკითხი: როგორ (რუ ფორმით) უნდა შეეწყოს ვით თანდებულთან სახელს მსაზღვრელი (უფრო ზუსტად: თანხმოვანფუძიანი მსაზღვრელი)? ახლა საკითხი ეხება ვით თანდებულთან ყოველგვარ სახელს, თანხმოვანფუძიანია იგი თუ ხმოვანფუძიანი, თანდებულს სახელობითში დაირთავს თუ მიცემითში, მხოლოდითშია თუ მრავლობითში. ზოგადი წესი აქ: როგორც საერთოდ მსაზღვრელისა და მსაზღვრელის შეთანხმებებისას, ერთია:

ა) სახელობითში დასმულ საზღვრულს მსაზღვრელი უნდა შეეწყოს სახელობითის ფორმით (წითელი ზოლი), მაშასადამე, თანდებულის დართვისასაც ეგვევ წესი უნდა დარჩეს (წითელი ზოლივით).

ბ) მიცემითში დასმულ საზღვრულს მსაზღვრელი უნდა შეეწყოს ფუძის სახით (ლურჯ ლღას), მაშასადამე, თანდებულის დართვისასაც ეგვევ წესი უნდა დარჩეს (ლურჯ ლღასავით).

აქ ყველაფერი ნათელია, სადავც არაფერი უნდა იყოს. მაგრამ იმის გამო, რომ ვით თანდებული ორ ბრუნვას ერთვის, რომელთაგან თითოეულს მსაზღვრელთან შეწყობის თავთავისი, ერთმანეთისაგან განსხვავებული, წესი აქვს (ერთს — სახელობითის — ბრუნვის ნიშანი უნდა, მეორეს — მიცემითის — არა, მსაზღვრელი მხოლოდ ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი), ხდება არევა: ზოგჯერ სახელობითის მსაზღვრელს (მიცემითის ანალოგიით) ბრუნვის ნიშანს აკლებენ (მომიერებენ). ასეთი შემთხვევების შედარებით ნაკლებია და ისე მძიმე ცოდვა არაა; ზოგჯერ, მეორე მხრივ, მიცემითის მსაზღვრელს (სახელობითის ანალოგიით) სახელობითის ი ნიშანს უმატებენ (სალი კლდესავით). ეს კი მიუთქვებული შეცდომია და მას ეცხვლათა და მახვილით უნდა ვებრძოლოთ, სამწუხარო და სამიზნე ისაა, რომ ამგვარი, შეუწყურებლად მცდარი, ფორმები ენაში ძალიან ბევრია და ახლაც სოკოსავით მრავლდება.

ეს გარემოება, სხვათა შორის, ირიბი გზით იმავე დებულებას ამტკიცებს, რომ ენაში აბსოლუტურად ვაბატონებულია ვით თანდებულის დართვა სახელობით ბრუნვებზე, რომლის ანალოგიითაც არის მიღებული: ცოცხალი არსებასავით, გასისხლული დაშნასავით და სხვა. სიკვდილი ასეთ სიმახინჯეს!

რომ ჩვენი საუბარი აქ მშრალი მსჯელობა არ იყოს, ჩვენ ახალი მწერლობიდან და პრესიდან დავიმოწმებთ სთანადო მაგალითებს

ა) სწორი ფორმები
ა) სახელობითი ბრუნვა

წითელი ზოლივით არის გატარებული...
გაფ. ლექს. IV, 168; შავი დღეაღლით: „ცისკა“, № 11, 1971, 50; დატუქსუელი ლექვივით: იქვე, 53; გამოწურული ბოთლივით: იქვე, 58; აშვეებული მხეცივით: იქვე, 149; ნასუქი ღვდაღლით: „ცისკა“, № 2, 1972, 27; დასაკლავი ღორივით: იქვე, 28; შეშინებული ქუთვივით: იქვე 81; ძილდაკარგული შეყვარებულებივით: ა. გეშაძე, „სასაცილო ტრაგედია“, 1970, 18; დამშეული მგელივით: თ. მიწუშვილი, „უდილო ვარღა“, „ახ. კომპ.“, № 27, 2, III, 1972; ჯვარზე გაკრული მაცხოვარივით: თ. ქორთოლიანი, „ფოქსია, აბა რაა?!, 1971, 19; მწერზე დაგეშილი პოინტერივით: ლილი გვასალია, „რაფსოდია - ტრომპონისათვის“, 1971, 14; დაკლული ქათამივით: იქვე, 20.

ბ) მიცემითი ბრუნვა

მომცდარ მიწასავით: „ცისკა“, №10, 1971, 44; მზიანი დღესავით: იქვე, № 11, 1971, 93; თაგუნაყნოს კატასავით: იქვე, № 2, 1972, 40; აცხადებულ ნატრასავით: „მნათობი“, № 6, 1968, 52; აუხდენელ ნატრასავით: იქვე, 55; გუშინდელ დღესავით: იქვე, № 7, 1971, 57; ლურჯ ლღასავით: ვეა, VI, 1939, 306, 6 ქვ.

ბ) მცდარი ფორმები

ა) სახელობითი ბრუნვა

მაღალ ტახტივით: ჯავ. 2,302; მშოიერ გელებივით: აღ. აბაშელი; მტაცებელ ნადირივით: „ცისკარი“, № 11, 1971, 151; თეთრ კვიცივით: ლ. სულაბერიძე, „შემოდგომის დღის ქრონიკა“, 1970, 69; გუთნულ ხარკამტეხივით: ვეა, VI, 1939, 171, 12; თეთრ, ბოზოხ ქუდივით: თ. რაზ., მოთხრობები, 1, 1972, 155.

აქ ყველაგან მსაზღვრელს სახელობითი ბრუნვის ნიშანი აკლავს; ლექსებით ეს დაყენება ასე თუ ისე გამართლებული მარკველთა თანაბარი რაოდენობის დაცვის გამო (პოეტურა ლიცენცია), მაგრამ იგი სხვაგან ყველაგან წარმოდგენილი უნდა იყოს.

ბ) მიცემითი ბრუნვა

ცოცხალი არსებახვიით: ნ. ლენეფაძე, „მეძებლის დღეები“, „ახ. კომპ.“, № 97, 15. VIII, 1970; შინეული ბზოსავით: „ნიანი“, № 1, 1968, 3; მყალი ხესავით: გ.

ივანე იმანივილი
პარამული სალიტერატურო ნინი
ნორმალურიზაციის საკითხები

ივანიშვილი, „უბედური გელასია“: „ნიანი“, № 9, 1969; ძაღლის სახომი დაზვასავით: იქვე, № 17, 1972, 2; ჩემი მებუღეხავით: იქვე, № 20, 1972, 5; ყავვლგასტლი ტარანტასავით: „ცისკარი“, № 10, 1966, 43; გაოღნებული მოკრივესავით: იქვე, № 10, 1970, 28; დღევიანდელი დღესავით: იქვე, № 1, 1971, 66; მავნატური არესავით: „მნათობი“, № 6, 1968, 48; 53; გასისხლული დაწნასავით: იქვე, 51; კლდეზე არაკელი ეგოსავით: იქვე, № 2, 1970, 13; აკალეგალური კრებასავით: იქვე, 16; ნაწვიმარი ჩალასავით: იქვე, 22; გააფთრებული ავაზასავით: ზ. მესენესიერი, ი. გობერაშვილი, „უღირსი მშობელი“: „თბილისი“, № 220, 18. IX, 1968; ცეცხლზე შედგმული რმესავით: გ. მანია, „წინაპართა სამშობლოს სტუმარი: იქვე, № 21, 27. I. 1970; გაღიზიანებული სკასავით: ი. ფესუნენო, „გარინა — ხალხის სიხარული“ (თარგმან თ. ებანიშვილი): იქვე, № 202, 29. VIII. 1973; გამოღელი მონადირესავით: ა. სხირტლაძე, „წინდღუედაობის მსხვერპლი“: „სოფ. ცხ. № 63, 17. III. 1971; თანდაყოლილი მოჩვენებასავით: თ. პირველი, „რასაცა გასცემ, შენია...“: იქვე, № 147, 26. VI. 1971; დიდი ტბასავით, დიდი სოკოსავით: მ. დომოგაციის, „ივის სოფელში“: იქვე, № 227, 27. IX. 1972; გასროლილი ტყვისავით: გ. შავერზაშვილი, „ავტომგული და ცრუმომე“ იქვე, № 241, 14. X. 1973; მოულოდნელი სტყეასავით: დ. ჯავანიშვილი, „შემოხვევა სადგურზე“: „ლიტ. საქ.“, № 24, 11. VI. 1965; გუშინდელი დღესავით: ი. რუტკოსკაია, „რა შეემთხვა პოეტს“ (თარგმან მ. ალდაშვილი): იქვე, № 36, 2. IX. 1966; შავრანაფრასავით: რ. ინანიშვილი, „იევა“: იქვე, № 21, 23. V. 1969; გიგანტური სკასავით: ი. ვანიტი, „ქელა — ნებისყოფის სიმტკიცისათვის“: „ლელო“, № 75, 17. IV. 1965; შავრტრპედოსავით: „ადამიანი... თვითმფრინავის ბუქირზე“: იქვე, № 126, 29. VI. 1965; მიხტრული მოვლენასავით: „ბრახილიური საოცრება“: იქვე, № 40, 25. 11. 1967; ქართული ცეკვასავით: ნარნარი: იქვე, № 151, 29. VII. 1971; რომანტიკული ღამესავით: ა. ჯიქია, „ასე სახელოვნად“: „სახ. განათლება“, № 97, 3. X. 11. 1971; თეთრი შროშანასავით: ლ. ჯავაშვილი, „დღემილი“: „საქ. ბუნება“, № 9, 1967, 22; ერთი ჩვენებური მოვიდავსავით: ა. გუქაძე, „სასაცილო ტრავმა“, 1970, 16; ცარიელი გუდასავით: თ. პირველი, „აბსტრაქტული ოცნება“, 1971, 53; თანდაყოლილი მოჩვენებასავით: იქვე, 56; სხვენზე შეყრილი პანტასავით: თ. გორგოლიანი, „ფოქსია, აბა რაა?!“, 1971, 19; გამარჯვებული მოკრივესავით: გ. ნიშ-

ნიანიძე, „მე და რუსთაველი“, 1967, 11; ორთეთრი პეპელასავით: მ. ჯავანიშვილი, „საქ. ბუნება“, V, 1962, 234; ნამძუვარი კატასავით: იქვე, 265; თეთრი ტილოსავით: იქვე, 286; საქმის დიდი მკოდნესავით: ლ. შეინინი, „გამოძიებების ჩანაწერი“, 1965, 32; მოშლილი და გაყოფებული მანქანასავით: იქვე, 229; სალი კლდესავით: ნ. ფურცხვანიძე, „ლენინს“: „სოფ. ცხ.“, № 219, 18. IX. 1968; ზ. ვაშლომიძე, „სასწული მოხდა“: „ლელო“, № 255, 31. XII. 1969.

ამ უკანასკნელი ტიპის ყველა ვით თანდებულანი სახელი ხმოვანფუძიანია მათ არ ძალუძთ ვით თანდებული სახელობით ბრუნვაში დართონ (ქართული ცეკვებით). ხოლო, მეორე მხრივ, თანხმოვანფუძიან სახელებში ვით თანდებულის დართვა სახელობითის ფორმაზე იმდენად ხშირია და აბსოლუტურად გავრცელებული, რომ სახელობითის მსაზღვრელის ინიშანი ასე ტალღასავით გადადის მიცემითის მსაზღვრელზე (ქართული ცეკვასავით) და იწვევს დიდი დამახინჯებას.

როგორც ვთქვით, ამ სახის შეცდომები და დამახინჯებანი — მსაზღვრელისათვის ყოვლად უშანისი ის დამატება—მეტსმეტად გავრცელებული მოვლენაა დღევანდელ ქართულში, ამიტომ მას მეტი შემართებით უნდა ვებრძოლოთ.

ამ ზედმეტი ის დამატებას აქ ვერც პოეტნიანი გავამართლებთ. ე. წ. პოეტური ლიცენცია, რა თქმა უნდა, არ გულისხმობს ლექსის საჭიროებისათვის დედაენის უხეში დამახინჯებების გამართლებას. ხოლო „დიდი დამანავესანი“: „ქართული ცეკვასავით“, „გამარჯვებული მოკრივესავით“ და სხვა მსგავსი ფორმები ენაში მძიმე შეცდებათა კატეგორიას განეკუთვნება. „გამარჯვებული მოკრივესავით“ დაახლოებით ისეთივე მიუხედავებელი შეცდომაა: როგორც „გამარჯვებული მოკრივემ“, რასაც აგრეთვე აქაიქ კაცი გაიგონებს. გაზეთების, ჟურნალების, გამომცემლობათა რედაქციები, სტილისტები, ენის სპეციალისტები გადაჭრით უნდა ებრძოდნენ ამ ტიპის დამახინჯებათ და შეუნდებელი ყურადღებით იცავდნენ დედაენის წისპინდეს. აქედანაც კარგად ჩანს, რომ ვით თანდებულის ხმარებასთან დაკავშირებით არა ერთი და ორი პრაქტიკული საკითხია მოსავარგებელი.

რაც შეეხება ისეთ ფორმებს, როგორც: მთვრალს კაცივით, მშიერი ს მგელივით, დამშალს სხალივით, მოპარულს მამალივით, რომლებიც ვეცას თხზულებებიდან არის ამოკრებილი და რომელთაც XIX საუკუნის ზოგი (უფრო აღმოსავლელი) მწერალი იყენებდა და მისი ცოცხალი კილოებში ახლაც ვხვდებით, ესენი დღეს სალიტერატურო ქართულში უკვე აღარ მოიპოვება და ამიტომ შეიძლება მათ აქ სპეციალურად აღარ შევხვით.

ბათა ქექიას ფოლკლორული ხასიათი

„ბათა ჩემი სულიდან ამოვჭერი, მაგრამ ნამდვილად სისხლი გამიშრო!“

ბათა ქექია კოლორიტულად ნახატ ნაციონალურ ტიპად არის მიჩნეული ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში. თუმცა იქვე მიუთითებენ, რომ „ბათა ქექიას მხიარულება რომენ როლანის კოლა ბრუნონის პრინციპულ და ვალერ. ოპტიმიზმს გვაგონებს“, რომ „ბათას ზოგად აღმნიშნური თვისებებიც აქვს, რომელნიც მას ლაზაროლო ტორმესელს, რაბლეს გარგანტუას, ულენშვიგელს, რომენ როლანის კოლა ბრუნონის ანათესავეებენ“.

თვით ავტორი რომანის ერთ-ერთ გამოცემას ასეთ ბოლოსიტყვას ურთავს. „ოცდათხუთმეტი წელიწადია ცოცხლობს ეს წიგნი. მე არ ვიცი, როგორია ის. ეს ჩემი საქმე არ არის... არ მიყვარს თხასავით პეტელი „მე-მე-ეო“- დაე, მკითხველმა განსაჯოს. მაგრამ რა ექნა, როცა ეს გადაყრუებული ბერეკაცი არ მასვენებს; მეხვეწება ვთქვა, რომ ის დიდი ჩამომავლობისაა. ხუმრობა საქმე არ არის, ის მართლაც სისხლი სისხლთაგანია და ხორცი ხორცთაგანი ფალსტაფისა და გარგანტუასი, სანჩო პანსასი და ლემე ველსაკისა, კოლა ბრუნონისა და ლუარსაბ თათქარძისა. მას არ უნდა ლიტერატურული ნათესაობა შეწყვიტოს არც „კალმასობის“ მთავარ გმირთან და არც ნაყარქექიასთან.“

ძვირფასო მკითხველო, გამოგიყვებით და გეტყვით, რომ ამ მხიარულ კომპანიაში ყოფნა თუნდაც ერთ რამედ ღირს, რა სჯობია მათთან საუბარს, ღვინის სმასა და ხუმრობას. მე შენ გიფხრა და, სიტყვის ძებნა დასჭირდებათ. და მეც არაფერი არ მიწერია ისეთი სიამოვნებით, როგორც ავტორი ამ გადახარულებული ბერეკაცის ამბავს ვწერდი. მეც ვიციონლო მასთან ერთად, ვხუმრობდი, ვტიროდი კიდეც და არასოდეს არ მიღიქვია, რომ ის ლემეს ან კოლას, სანჩოს ან რა ვიცი კიდეც ვისა ჰგავს. არც ახლა

ვფიქრობ. მე ვიცი, რომ ბათა ქექია ქართული გლეხია და არ ვიცი ვისებურად იცინის ან ვისებურად ტირისა“.

ბათა ქართული ხასიათის განსახიერებაა. ამცამად ჩვენთვის ის არის საყურადღებო, რომ ამ ხასიათს მწერალი ქართული ყოფით, ქართულ ფოლკლორთან წილნაყრობით ქმნის. იგივე აზრი მწერლის სიტყვებით ასე ითქმის. „ყოველ შემოქმედს თავისი მშობლიური ხალხის ხასიათი, ბალღობითავე შესისხლბორცებული შთაბეჭდილებანი და ისტორია ანიჭებს შთაგონებას“. და თუ ბათა მინც არც თუ ისე შორეული ნათესავია როლანის, შექსპირის, სერვანტესის და კოსტერის პერსონაჟებისა, ეს მხოლოდ ლიტერატურულ გავლენას კი არ უნდა მიეწეროს, არამედ ტიპოლოგიურ მსგავსებას. ცნობილია, რომ მსგავსი სიუჟეტების გვერდით არსებობს მსგავსი ხასიათებიც. ავი აღნიშნავენ კიდეც, რომ „დღმწა შენგელიამ თავისი მწერლურა პრაქტიკით ერთხელ კიდეც დაამტკიცა, რომ სწორი იყენენ წარსულის დიდი მწერლები, როცა ახალი ფაბულებს მოგონებით თავს არ იწყებდნენ და თავიანთ ღრმა ორიგინალობას და თავისთავადობას ძველ სიუჟეტებში ახალი სულის შთაბერებით და ხასიათებისათვის ეროვნული თვისებების მინიჭებით აღწევდნენ“.

რითი ჰგავს კოლა და ბათა ერთმანეთს? — ორივე სიცოცხლის, სიხარულის ჟანსალი საწყისია. ორივე მწყურვალე ვით დასწავდება ცხოვრებას და მეგზურად ოპტიმიზმი მიუძღვით. ამ ოპტიმიზმის წყარო კი ხალხურია, რადგან ერთი ფრანგი ხალხის ლეილა შეილია, ხლო მეორე — ქართველი ხალხის პირმშო.

რ. როლანის ნაწარმოებებში სიმბოლური ღირებულება აქვს მდინარე ბოკრონს „ფონე-

ტივერად „ბრონიონი“ ახლო „ბოგრონთან“ ბოგრონის აღწერა აკვებს ახსტებს, ნიუანსებს მპატებს კოლა ბრონიონის სახეს. სწორედ აქ, ბოგრონის წყლებში, ისევე როგორც ზურგუნდელის ბუნებაში, ძვეს ტუბობისა და ნეტარების საიდუმლო. ბოგრონი სიცოცხლესა და ნაყოფიერებას განასახიერებს⁷⁴.

დემნა შენგელაის რომანში შემთხვევითი არ არის, რომ ბათა ქექიას ბორონი რიონზე აქვს გამართული და გლეხები ერთი ნაპირიდან მეორეზე გადაყავს. ა. ვაწერელია წერს, რომ „ბათას მდინარე რიონიც «გაშხვართულ ქალად» მოქნევიდა და თავის საკუთრებად მიუთვლია⁷⁵, რიონის ამგვარი გააზრება მოგვითითებს, რომ მდინარე ნაწარმოებში პერსონიფიკირებულია. ოღონდაც, ამის გარდა, მდინარეს რომანში სხვა აზრობრივი დატვირთვა გააჩნია, ამ ბასაქში ბათა თითქოს ქარონს ჰგავს. ქარონიც შენგელ იყო და სტიქსზე გადაყავდა სულები მკვდართა საუფლოსაგან. დემნა შენგელაისთან საპირისპირო მნიშვნელობა ენიჭება ამ დეტალებს: ბათას საუფლო რიონია. რიონი იგივე ფაზისია, ხლო ფაზისი იგივე უკვდავების «ვიშნაბიანი»⁷⁶ წყალია. ბათა მისისზე ანუ ფასისზე, რომელიც მსოფლიო ბორცვი, ზესკნელ-ქვესკნელის შემეგრთებელი შუასკნელია, შრიალეზდა ხე ცხოვრებისა. უკვდავების წყალი ამ ხის ფესვებიდან გამოქმუხარებდა და მას ფაზისი ანუ ეშმა წყალი ეწოდებოდა. აქ ამიტომაც არის მოცულო ფაზისი (რიონი) ღვთაებრივი იდუმალეობითა და მისწორი ჯალისწირობით და მის ანტიკაში ტიგროს-ეფერატისა და ნილოსის გვერდით აღდგომი ღირსეულად ექიბრა, რადგან მიწის ამ მდინარეებივით ანოყიერებდა⁷⁷.

მასალადმე, რიონი სიცოცხლის სიმბოლოა; სიცოცხლის ჯანსაღი საწყისია ბათაც. მდინარე და აღამიანი აქ არსებითად ერთსა და იმავე მნიშვნელობას და ფუნქციურ დატვირთულობას იძენენ რომანში. აქი თვითონ ბათა ამბობს:

„მე ხარბად გავქერი წყლის საღინელს და მენეწება, რომ ამ ძველთაძველი მდინარის სათავე ჩემი გულია⁷⁸“.

დემნა შენგელაის რომანის სიუჟეტური ქარგა სამ ძირითად მომენტს ეყრდნობა: 1 — ეკრია (ბავშვობა და სიყვარული), 2, ერა და ბერია (უფლის მსახური საბალია და ქრისტიან ფეხის მკვერტელი ბათა), 3. ხალხი და ჯამათი (ახალი ღროების სუნთქვა, 1905 წლის რევოლუცია); ბათას ხასიათიც ამ მომართებებში იკვეთება და ფოკლორულ მასალასაც არაერთხელ იმარჯვებს მწერალი.

შემთხვევითი არ არის, რომ სიუჟეტის I მონაკვეთს ეკრია მკვია; ეკრია—ეკრა წინაბართა სუტების საფლომად ითვლებოდა და მის წინამე ყველანი მოკრძალებას განიცდიდნენ.

სამეგრელოში „ეკრის“ ცაცხლზე წყლის დასა და ჩაქრობა არ შეიძლებოდა, იტყვიდნენ „მკვირნერსა“.. ეკრის ცეცხლზე ფაფულად მკვირნერსა იწყებდნენ⁷⁹ (გაიხსენოთ ვერიაში გვარცხლებული წყავლა; შენ დაგეფსო ეკრია),

ეკრისთანაა... სიღრმისეული ფესვებით დაკავშირებული ბათა ქექია. ეკრია-ეკრა იმავე სამშობლო მიწის სიმბოლოა, კატოს საყრდენი ფუტეა. სიცოცხლის სიტუბოებას. პირველად ეკრა ავარობინებს აღამიანს; ამიტომაც საუკუნეთა განმავლობაში თაყვანს სცემდნენ ეკრის ღვთაებას. ბათას ძარღვებშიც წინაბართა სისხლი ჩქეფს. და ეკრის სიმტკიცე მის მოღვაწესა და ქილავასაც გამძლეობას აძლევს.

ბათა ქექია ლიტერატურული ხასიათია. „ხასიათი გულისხმობს პირველებს მთლიანად და არა მხოლოდ პირველებს ცალკე აღებულ სიტუაციაში, არა მხოლოდ როგორც ამ თუ იმ ცალკეული განცდის სუბიექტს. ხასიათს ქმნის პერსონაჟის ინდივიდუალური თვისებების — მისი გარეგნობის, მიღრმეებების, ტემპერამენტის, მსოფლმხედველობის, მოზალის, გრძნობათა მთელი მრავალსახეობისა და ცხოვრებისეული გამოცდილების რთული ნასკეპი⁸⁰“.

დემნა შენგელაისთვის დამახასიათებელია პერსონაჟთა პორტრეტული აღწერა. მკითხველს ფანტაზიის მოხმობა არაა საჭირო იმისთვის, რომ წარმოვიდგინოთ თამშულ დანგლის; სიღულს, სალომარს, საბაღის გარეგნობა.

„ტანად კაფანდარა და ყავაროვით გამხმარი — მუშის ოდნად იყო მოკუმშული, წამოდგომას რომ დაიწყებდა — იზრდებოდა და ასე გრძელდებოდა კულის რიკზე შემართული გველივით. წელში რომ გაიმართებოდა, იმის მიღე იყო, თვალს ვერ შეუწუდენდი და მალე სადღაც დასაკარგეში ევიდა მისი კტრიკით წაგრძელებული თავი. მარცხენა თვალს მახერჯობაზე ტყეში ღამით ზოდიალის ღროს წაჭრილ შტოზე შეეხნა და ზედ თეთრი ლიზბი გადასკვროდა⁸¹“.

სტატუტური აღწერით იმდენ ნიშანდობლად დეტალს გვაწვდის მწერალი, რომ უკვე ცხადი ხდება, რას წარმოადგენს თამშულ დანგლის პირველები.

ბათა საკუთარ თავს ასე იხასიათებს: „... ვიყავ ჩან-ლოთი სავსე ოცი წლის ვაჭარიც! ცხრა ვაჭარიც ნაბადს ქორივით გადავევლებოდი, ცეკვაში ჩემი დამალავი ქალი არ იყო, ცხენოსნობასა და დანელიობაში ერთი ვაჭარიც ტოლს ვერ დამიდებდა; ცხენს, თუ გინდა ხელმწიფის კარიდან გამოვაპარებდი და ეს ძირში მოსაჭრელი ენაც ასევე გატყევილი მქონდა, როგორც ახლა⁸²“.

თინა ჩხიძე
ბათა ქექიას ფოკლორული ხასიათი



მწერსრანის ასეთი დამსიათება ფოლკლორისთვის დამახასიათებელი მხატვრული ხერხია. არსად არ არის კონკრეტულ დეტალი მოწოდებული და გმირის გაღებულ სახეს მეთხველი მისი მოქმედების მიხედვით წარმოადგენს. ამასთანავე მწერლის მიერ ბათის დახასიათებისთვის გამოყენებული ეპითეტები, შეიძლება ითქვას, პირდაპირ ფოლკლორული არსენალიდანაა შერჩეული. ბათის სახე და ხასიათი რომანში კონკრეტულ გარემოში წარმოდგენილია. ავი შევკრელი გლეხია. ამიტომ შემოაქვს მწერალს უხელო კოლხური ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველი მასალა. ს. შაკალათა მოგვითხრობს: ცხენის ქურდობა სავაეკაცო საქმე იყო -სამეგრელოში. ლამბერტის ცნობით, მეგრელები წმ. გიორგისაც კი ქურდის სახელს აკუთვნებდნენ, ილორბას ხარს იპარავს და ვალესიაში მიჰყავსო. და თუ წმინდარი იპარავს, ჩვენც მას უნდა მივბაძოთო.

ვაეკაცს დახეული ჩოხა უნდა სემოდა. ეს ვაეკაცობის ნიშანი იყო. იტყოდნენ, ცხენის საქურდლად წასულა და ტანისამოსი შემოუხვევიაო (გაიხსენოთ, თამშულ დანელია ბათის რომ ეუბნება — «ახალი და მიული ჩოხა ვაეკაცისათვის. რა. სკადრისია? თუ ჩოხა-ახალუხი დახეული არ ვაეკაცო, რის ვაეკაცო ხარ!»). ცხენის ქურდობის ოსტატები განსაკუთრებით დანელები ყოფილან¹⁶. (ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ ამბავი თამშული დანელია გვაჩად. ბათა სიამაყით ამბობს, სადანელიო საქმეში ტოლი არ მყავდათ).

სხვათაშორის, რომანის 1959 წლის გამოცემაში თამშულ დანელას შეკითხვაზე რა ხელობას აკეთ ხარო, ბათა ასე პასუხობს: — ეხნავ, ვთესავ! ასეთი პასუხის შემდეგ თამშულის თვალში ყოველგვარი ფასი ეკარგება ბათის პიროვნებას. მწერალი მეტ მხატვრულ დამაყრებლობას აღწევს და ამასთანავე ეთნოგრაფიულ სიზარტულს არ ღალატობს, როცა ბათის თქმევენებს, ვდანელიობო! ეს უკვე ნაშნავს, იმ დროის ეთიკის შესაბამისად, რომ ბათა ვაეკაცია, და კიდევაც იმსახურებს თამშულისაგან მოწონების რეპლიკას: „მოშწონს! მეგონა, საქორთუოში წახდებოდი!¹⁷“

ს. შაკალათია ერთ ასეთ თქმულებას ვაღმოკვეცეს: ცხენის ქურდ დანელიას მოსთხოვეს თურმე ხატზე დეფიციტ, რომ ცხენი მისი მობარტოლი არ იყო. დანელია ამაზე დათანხმებული იგი ჯერ სახელს ვაქცეულა, აკვანზე გადაწყოლილა და ცოლისთვის უთქვამს — დამარწიერ. შემდეგ აღდგარა, მისულა ხატთან და დეფიციტს, რომ რაც მე აკენიდან ამოვეცი, მას შემდეგ თუ რამე მომეპაროს — შენი მაღლი გამიწყრება!¹⁸“

შესაძლოა, ეს თქმულება რომანის ერთი პასუხის წყაროდ მივიჩნიოთ; ბათა ქექია გლეხებს წააქებებს, ნაბატონარს მიწები წაგარ-

თვართ. „საქმე იქამდის მივიღებ, რომ ჩვენ გლეხებს, ყველას ფიცი უნდა მივაგელო; ეს მიწები, მამა-პაპათაგან მოყოლებული ვინა ვინავეთული საუთობებაო...“ ცრუ ფიცის მიღებაზე ზოგიერთმა გლეხმა უარი განაცხადა. მაშინ ბათამ ხერხს მიმართა: „ყოველ მათგანს ქალამში საყუთარი ეზოს შიწა ჩავუყარე და ზედ შევაყენე და ისე ჩავაცვი; შერე ხუცეს სახასტაბოტატესა და მოსამართლის თანდასწრებით ხელები სასოებით ცოდ აღვგავყაროთ, მთელი ეს მიწები ასე მოვირბინეთ და გულამოვადნით შევლადებდით — მამახეციერს: — ვფიცავ მაშას, ძეს და სულეშიწინდის, სამას სამოკლასამ წმინდა გიორგის მაღლსა და შეიღდ-ბოძალს, ქიაჩისა და ნოქალაქევის ორმოც მოწამეს, რომ ჩვენს მიწაზე ვდგევართ და არავის ჩვენს მეტს მასთან ზელი არ აქვს!¹⁹“

ფიცი ირონიულ ედრადობას იღებს. აქ ამ ეპიკურიტი მწერალი ბათის სოციალურ ბუნებაზე მიუთითებს: გონებაგამკრიახი გლეხი ბრიყვ ნაბატონარს აცუცურაკებს. მუდამ ასეთა იყო დეთვის პიროდან გადავარდნილი ძორმაგარი ქექიების მოღვაწე, რომელთაც თუ დასჭირდებოდათ, თავის საქმეში, ღმერთს ვიარა, სატანასაც გამოყენებდნენ: ბათა ერთგვარი ალტიკნებოთაც კი აღნიშნავს: „განა ჩენი სისხლი-სისხლთაგანი და ხორცი ხორცთაგანი არ იყო ის ცოდვილი, რაღაც შეცდომით სამოთხეში რომ მოხვდა, წმინდა გიორგის ლაფშაზე გული შეჰქარადა, სულმა არ მყოფთინა, ზედ მოახტა და სამოთხიდან სლურთაო!²⁰“

ბათა ქექიას ამგვარი ხასიათის საფანელი მისი რწმენია: არც შეიძლებაოდა სხვანიირი ყოფილიყო კოლხურ საქყარობი ვაზრდილი გლეხი. ეს სამყარი კი წარმართული უფრო იყო, ვინემ ქრისტიანული. ამაზე აქვრ კიდევ XVII-სის, მისიონერი არქანჯელო ლამბერტი მიუთითებდა.

ჩვეულება იყო იმის მიზეზი, ყოველი ახალი მთავარის გამოჩენისას ბათა რომ ასე ლოცულობდა:

თუთა ახალი, —
ღორღობი, სი გაახარო
ჩქიმი ჩილი დო სქუა...

ს. შაკალათია მოგვითხრობს: რეახის დიასახლისი ახალი მთავარის გამოჩენისას ასე იტყოდა: „მთავარე წინამძღოლო, შენს ბედნიერ თავს ელოცულობ ჩემი ქმრისა და შვილსა; სასიმბრთლოდ, ღუფე-ნერჩი დამიცივე ყოველი ჰირისაგან, ფათერაკისაგან, სიციხისაგან, სიცივისაგან, ცულის შეხვედრისაგან შენ დაგვიცაო!²¹“

ფალორის კულტის — მეგრული „შქაში ნერჩის“ ემანაციაა ბათის მონოლოგი: „ეს ცა

თინა ჩხიმიძე
ბათა ქექიას ფოლკლორული ხასიათი

მე ვარ; ეს მიწა ჩემი ბეგრევი ცოლია; მე მთხველი ვარ და ვანაყოფიერებ მიწას; ისიც მევიერის ცხელი, გაუმაძღარი.“ ენებით აკანკალებული ხელები დედამიწის ცხელ ღლიანებში ამოიხივევია და ეწოვ მის ტუჩებს, ესვამ მის წვეს და ევამ მის ხორცს, ბარაქასა და დოვლათს²⁴;

ს. მაკალათის ცნობით „შქაში ნერჩის“ რიტუალში ფუძე ანუ დედამიწა ქალის სახით წარმოდგენებოდა და მას ვანაყოფიერებას შესთხოვდნენ²⁵. ამიტომ ახდენს მიწის ამღავარ პერსონიფიცირებულ წარმოსახვას ბათა და მის დასახსიათებლად ასეთ სიტყვიერ აქსესურას არჩევს. „გრძნობამოკარბებული ვემხოში მიწაზე, ვებუტები მის მსუქან და ნოყიერ ძუძუებს“. ასე ცხადდება მწერლის სტილში კოლხური ზნე-ჩვეულებანი. ბათას მონოლოგის აზრობრივი დეტეირთვა ისაა, რომ ვაჩრენის გლეხის ბარდაბირ სისხლისმიერი საჩარებო კავშირი მიწასთან.

კოლხური მითოლოგიური პანთეონის ერთერთი უძლიერესი პერსონაჟია მოხმობილი რომანში სიყვარულის გრძნობის ჩვენებისათვის; სიღუს სანახავად თამშულ დანელიას ოჯახში მისული ბათა აღის ამზახს ჰყვება: „ბუხრის ნანგრევებთან ბარდში და ჯილაყაში წყეულს სუფრა გაუშლია. წინ სარკე დაუღვამს, ოქრის ზვინივით ჩამოშლილ თმას მთვარის შუქზე ივარცხნის... და თან მღერის. ისე ტკბილად მღეროდა ის წყეული, რომ გამაბრუა, მომწუსხა კაციწვილი... თვლი მომეკრა თუ არა, ერთი ისეთი შევიგლა, რომ თმის ქვეშ სიცივემ დამიარა... მომიახლოვდა ცხენს ჯილაგში ხელი მიტაცა და გზა ისე გადამიღობა. შერე ორთავე ხელი განივრად ვაშალა და ათი თითი მაჩვენა, — ათ წელიწადს იცხოვრე ჩემთანა²⁴“.

თვით მწერლის თქმით „ალი იგივე დალია“ და იშთარის ერთერთი სახესხვაობა“. იგი ავხორცი ქალღმერთი იყო და თავის მიჯნურს ვენებატანილი წივილით ეძახდა²⁵“. ბათამ გააწილა ღვთაება, რომელიც „სიყვარულით გაგებულნი ცან და მიწას გლეჯდა.“ ნათელია ამ დეტალის მიზანდასახულება: ბათას სათაყვანო ქალი ერთადერთია ამ ქვეყანაზე და ამ ქალის ხატების წინაშე ღვთაებაც კი უძლურია.

ელ. ვირსალაძის გამოკვლევით დაღის ორეული სამეგრელოში ტყაშმაფა²⁶. რომანში მოხსენებული წყეული, კაშინა, ალი იგივე ტყაშმაფა უნდა იყოს, რადგან კონკრეტულად სწორედ ამ ღვთაებას ახასიათებს ამნარანი თვისებები: „როცა იგი ახალგაზრდა კაცს შეხვდება, ორივე ხელს ვაშლის და გულზე დაიდებს. ამით ანიშნებს: სამუდამოდ ჩამოხუტე და სამუდამოდ ჩემი იყავი, მაგრამ... ქაბუქმა უარის ნიშნად თავი უნდა გააქნოს. თუ სიტყვით გაცხა პასუხი, მაშინვე ქველდან შეიშვე-

ბა. შემდეგ... ტყაშმაფა ორივე ხელს თრთობს უჩვენებს ვაშლილად: ათი წლით მაინც უნდა იხეზი საყვარელი... ქაბუქი... უარით უპასუხებებს... ტყაშმაფა: ახლა ცალ ხელის ხუთ თითს უჩვენებს... შემდეგ 4,3,2,1 და ბოლოს ცალი თითის ნახევარს, ნახევარ წელს მაინც იყავი ჩემო! ქაბუქმა: თუ ამზუვე უარით უპასუხა, ტყაშმაფა მას ქველდან შეშლის და სამუდამოდ დაწყევლის²⁷“.

ბათა ქექია მეტბოლი გლეხია. ბრძოლის-უნარიანობა ფოლკლორულ პერსონაჟთა ერთერთი უპირველესი თვისებაა, ალბათ, არც თუ შორეული ანალოგია იქნება, თუ ნაიარქქეისა მავალითს მოვიტანთ; აყავი წერეთელი ტიპიურობის პრობლემასთან დაკავშირებით განიხილავს ნაიარქქეისას სახეს, აღბრებს მას დონ-კიხოტს, ფალსტაფს, „ივან დურაკს“ და წერს: „ჩვენი ნაიარქქეია (კი) საკვირველი ტიპია. ფიზიკურად უძლურია, სული რომ შეუბერო, ცხრა-მთას იქით გადავარდებ; ამას თვითონაც კარგად გრძნობს და პირ-იქით არავის ეტანება, მაგრამ ფარს კი დროზე ხმარობს და ეს ფარი არის მისი ჰეუა-გონება... მოსწრებულ ხერხიანობით არა თუ იგერიებს დევლებს, ამ საოცარ ფიზიკურ ძალის წარმომადგენლებს, არამედ კიდევ იმორჩილებს. ეს ტიპები ყველა ძველის-ძველია, ძველი კაცობრიობის კულტურის ნაყოფია²⁸“.

ნაიარქქეია გროტესკით ნახატი მხატვრული სახეა; იგი ბაქიაა და ზარმავე (გარდა ნაიარქქეისა, ყოველგვარ საქმეზე წელი სწყდება); სწორედ ამ თვისებების გამო ვაველენება იგი ყვარყვარ თუთაბერისა და ვვალი ბივას ფოლკლორულ პროტოტიპად. მაგრამ ეს მხოლოდ გარეგანი მხარეა და ამ სახის შინაგანი არსი იმაზე მტკავნდება, რომ ნაიარქქეია დევების დამპარცხებელი პერსონაჟია.

ალბათ, დამპარცხებელთან ახლო იქნება, თუ ვიტყვი, რომ იგი ამირანისა და დევების წინააღმდეგ მეტბოლი სხვა გმირების სახესხვაობას წარმოადგენს. ამირანი უდიდესი ფიზიკური ძალის განსახიერებაა (რაც ამ გმირის შექმნის ეპოქით განისაზღვრება, ნაიარქქეისა, აყავის თქმით, „სული რომ შეუბერო, ცხრა მთას იქით გადავარდება“, მაგრამ მისი ფარ-ხმალი ჰეუა-გონებაა... კ. ვამსახურდია წერს: — „შეფეჟებო, ეს არავი ხალხს რჩინის საუკუნის დასაწყისში შეუთხზავს, როცა ბირეულით გაუთლელ ფიზიკურ ძალას ხერხი, ტექნიკა და უპირდაპირად“²⁹.

(სხვათა შორის, საინტერესოა ერთი ლეგენდა, „ბუმბერაზი ოლუზების“³⁰ სახელწოდებით. მოკლე შინაარსი ასეთია: ოლუზები ბუმბერაზის აღმპიანები ყოფილან. ჰეუა-კი ბევრი არ ჰქონიათ. ოლუზები ხნავდნენ ამ დროს ერთ ჩვეულებრივ კაცს ჩამოუვლია, გაუტყორცნია ისინი და ბარაკალში ჩაუხსნია ოლუზისთვის; ვაჰკი-ღებია ოლუზი და დაუქვრია ეს პაწაწა კაცი.



გავიკვებულ-ოლუხს. სახლში მიუყვანია. დავალებები მიუტოვა და ამ ქვეს ყველაფერი მოხერხებით შეტურდებოდა. კოლხის დედას უთქვამს: — თი, ამას გუუბნებოდი. პატარა კაცს ამდენი ქვეა, მოხერხება აქვს, შვილი! გვენი ოლუხებს ამოაგდებენ).

ეს ლეგენდა იმიტომ გავიხსენეთ, რომ ნაცარქექია რამდენადმე ოლუხთა ამომგდები იმ პაწაწა კაცის შთამომავალს ჰკავს.

ნაცარქექიას ზღაპრის შეგონება ავი ასე კარგადაა ფორმულირებული ხალხურ ანდაზაში: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებასა“.³¹

მოხერხება ნაცარქექიას იუმორის ნიჭითა და მხნეობით ავსებს. დედის წინააღმდეგ ახებურებული ნაცარქექია სასაცილოა (თავის თავზე მალა ამბარს კაცის შთაბეჭდილებას ტოვებს), მაგრამ ამავე დროს ის მეგრძოლია, ხოლო მეგრძოლს სული უნდა ჰქონდეს შემეშარებელი, თორემ ხორციელ ძლიერებას არც ენიჭება მნიშვნელობა.

ნაცარქექიას სახე გარკვეულად ესადაგება ბათას; სხვათაშორის, ბათაც ქექიაა, ოღონდ ნაცარს კი არა, ცხოვრების ფეკარგს ქექავს და ხანდახან თავის სატყეულში ანდაზის — „სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს“ ემანაციას ეყრდნობა; თამშულ დანელიასგან გატყუარებულ ბათა მისთვის უჩვეულო სველით ფიქრობს. „რას იზამ, ეს ცხოვრება თურმე ისე ყოფილა მოწყობილი, მწიფეს რომ ესვრი, მკვახე ცვოვა... როდის ყოფილა, რომ კაცს ფაფა ენატროს და ბედს მისთვის ქვა არ ჩამოვალს? მეც ავიღე და გადაეყლაპე ის ქვა, გადაეყლაპე იმიტომ, რომ შემეშინდა ბედს ჩემთვის ციდან ახლა ქვაზე უარესი არ ჩამოეგდო და თავი არ გაეხეთქა“.³²

ესეც თავისებური ხერხია ცხოვრებასთან შებმისა... და იგი ბათამ მაშინ გამოიყენა, როცა სიღვლეის ნაცვლად კორიანჩხელა და კაფანდარა სალომე შემოატყუეს ცილად (დ. შენგელაის აქვს ნოველად გადამუშავებული ზღაპარი „ნაცარქექია“. მწერალი ნაცარქექიას ცოლს ასე ახასიათებს: „ცოლი ერთი შავთვალა, ფიცხი ქალი ფეო. მთელი დღე მასრასავით ტრაილებდა ოჯახში, რა არ გამოვიდოდა მისი ხელიდან, მაგრამ რად ვინდა, ერთი კორიანჩხელა რამე იყო და იმსიგრძე ენა ჰქონდა, რომ კერიდან ნაცვერცხლს გამოიტანდა“).³³

დაახლოებით ასეთივეა სალომეს პორტრეტიც. მწერალი სიტყვიერ აქსესუარსაც თითქმის იგივეს ხმარობს: ორივე სახე ფოლკლორიდანაა ამოსული. — ცოლი და ელია ხომ ერთი და იგივეა: რომ არ მოელი, ორთავ მაშინ აქუხდებიან“.³⁴ ბათას სიტყვით ასე ხასიათდება ეს სახეები.

ცხოვრების უკუღმართობასთან პირდაპირ შერყენებასაც არ ერიდება ბათა, გავიხსენოთ,

რომ იგი აყანყებულ გლეხთა ერთ-ერთი მეფადური ხდება; „ცხვარა ცხვარია და თუ გაცხარა ცხარევაო“, — ამბობს ბათა და ღმერთზე უკმაპარაკობს: „ყველაფერს რომ მოვისაქმებდით, მერე თუნდაც ცა ჩამოგვგრეოდა თავზე, აღარ ვინაღვლებდით. ქედს ცაში ვისროდით და, თუ ისე მოხდებოდა, რომ ღმერთს ჩვენი დაკონკილი ქელიც შეეხარებოდა და უკან აღარ დაგვიბარებდებოდა, მაშინ ჩვენ თვითონ ავუგარდებოდით ცაში და იმ ჩვენს ქედთანად ძირს ჩამოვიყვანდით“.³⁵

(ეს ფოლკლორში ვაერცლებული მოტივია. ლეგენდებში „ღმერთი და ქრისტე“, „რატომ არ ხარობს ვენახს სუანეთში“ ღმერთს აბუჩად იგდებენ; ზღაპარში „მზის ქალი“ ზღაპრის პერსონაჟი მზეს ბაღს აუჩეხავს და ა. შ.).

ბათას ასეთი დამოკიდებულება ღმერთისადმი ანკაა ვასაყვირი. აკაკი ბაქრაძე სამართლიანად ხედავს ბათას და საბა სტრატილატეში ორი საწყისის — წარმართობისა და ქრისტიანობის სიცილის ნიღამ-აფარებულ ბრძოლას.³⁶ ერთადერთი ღმერთი, რომელსაც ბათა თაყვანს სცემს ბაქუსია — თრობისა და ნაყოფიერების ღმერთი. დ. შენგელაის მოსახერხებელი, ავუნა ბაქუსის ქართული სახელი უნდა ყოფილიყო, ბათა კი ავუნასთან არის შეტოლებული რომანში; ა. ბაქრაძის თქმით „მზე მუხა, ავუნა სიციცხლს, სიჯანსაღს და სიხარულის საწყისია და ბუნებრივია, რომ ბათაც სიციცხლზე, სიჯანსაღზე და სიხალისეა“.³⁷ ბათა ერთგვარი აღტყენებითაც ამბობს: „მე ხე ვარ, მე მიწა ვარ, მე ცა ვარ, რა ვიცი, რა არა ვარ მე“.³⁸

ან კიდევ: „აქ ეწერია, ყურის იქით ისევე ტყეები, ზღვა და მისიერი. ეწველივე ეს ჩემია ყოველივე ეს მე ვარ და, ამა ერთი თქვენ თითონ მიფხარით, რათ მინდა სხვა სამოთხე?“ ბათა აქ თავად ედრება ღმერთს, ყველა მოგლენაში თვითონაა და ამიტომაც გრძნობს. აქვეყნიერი სამოთხის ბატონ-პატრონად თავს. ასე რომ არ იყოს, მაშინ უბრალო მორჩილი იქნებოდა შემოქმედისა, რომელიც ამ მიწის, ცისა და ზღვის მიღმა დაბრძანებულა ტახტზე.

ბუნებრივია, რომ ბათას რწმენიდან გამომდინარეობს მისი ცხოვრებისეული ფილოსოფიაც: „ქვეუ ის არის, — იყო ის, რაც ხარ და თავზე მალა არ ხტოდე“.

„მეც ჩემი ჰინკა მყავს, დასწყევლა ეშმაკმა, ჩემი მავნე და, შეძლებსიდაგვარად, მას ვემსახურები“.³⁹

„სულთ ვინ გამძღარა? ვერც მე გაეძებნა“.⁴⁰ „ხარბად ვეტანებოდი ყოველივეს; ყოველივე ეს ცხოვრება იყო, სიციცხლე იყო, და მეშინოდა ყოყმანში ისიც არ დამეკარგვოდა, რასაც მამკვდნენ“.⁴¹ ცხოვრებისადმი ასეთი მიდგომა ანიჭებს ბათას სიციცხლით ტყნობის უნარს;

თინა ჩხიძე

ბათა მამიას ფოლკლორული ხასიათი.

განა იგივე არ არის თქმული ხალხურ ლექსებში:

წუთისოფლის სტუმრები ვართ,
ჩვენ წავალთ და სხვა დარჩება,
რაც ერთმანეთს გაეხარებთ,
იმის მეტი რა შეგვარჩება.⁴²

არცარა მარგო ტირილმა,
არცარა ცრემლის ღენამა,
აქობა ისევ სიცილმა,
ლაქარდიანმა ენამა.⁴³

ბათა ქექიას კარგად მოეხსენება, რომ „სიცილს ვერსად იშოვი, ცამდის რომ აყო ხელი“.

ამიტომაც, რომ სიყვდილზე ამგვარად ფიქრობს ბათა: „უნდა მოგახსენოთ, რომ, საერთოდ, ეს საქმე კაცს არასოდეს არ უნდა გექჩაიბოდეს; არც ერთი საქმის გადადება და ყოროს არ ვარა, მაგრამ სიყვდილის საქმე ისეთი რამეა, რომ გადადებული სჯობია“.⁴⁴

ესეც ცნობილი ხალხური მოტყევი; ზღაპარში „სიყვდილი და ყაჩაღი“⁴⁵ ყაჩაღი, რამდენჯერმე ატყუებს სიყვდილს და თავიდან იშორებს მას. ლ. შენგელაის მიერ გადაშემუშავებულ ნოველში ნატარქექიას კქუისა და მოხერხების დამადატრებელი ყველა ხალხური კომპონენტია თავმოყრილი; მათ შორის სიყვდილის მოტყუებაცია: — „ეუბ, ჩემს გაძღვებულ სიცილს რა ვუთხარო, სადა ხარ, შე ოხერო სიყვდილოვო!

ამის თქმა იყო და გვერდით ვიღაც ცელიანი ჩამომხმარა: ჩამოფხაფებელი კაცი აეტტხა და შეეკითხა:

— რა კინდა, რა გაგჭირვებიაო?

— მოდი ერთი მადლი ჰქენ და ეს გულა ზურგზე ამკიდეთო“.⁴⁶

მაგრამ ბოლოსდაბოლოს მიიწე უნდა მოვიდეს ეს ცელიანი სტუმარი; ბათა წარმართია და სიყვდილსაც ამიტომ ასეთნაირი სახით წარმოიდგენს; „ახლა მე თვითონ გადამწიფებულ ტაროსავითა ვარ და გელი როდის მოვა ჩემთან ის დიდი მესთვლე თავისი ცელით, ველი როდის მომთბავს იგი და ნალიაში კი არა — ეტობში ჩამსვენებს...“

ყანაში წამიღეთ, ბაბა, შეუა ყანაში გამიღო ხარეთ სამარე და მიწაში თესლოვით დემგარბეთ და ვინ იცის, იქნებ მიმინდავით ამოვიღოთ...⁴⁷ ნებ მუხსასვით, ამოვიღე და არ დაგავწყდეთ, ყოველ გაზაფხულზე შოდით ჩემთან და ძირი, კარგად გამოითოხნეთ. თუ კარგად მომივლით, პირობას გაძლევთ, რომ ისევ გავიხარებ, ფსევებს მიწაში ღრმად გავუერო, ტრატებს ცაზე გადავგარავნი და თქვენ, ოვლად რომ გაიღვრებით, ტრატებს მოვიქნევ, ნიავს გავაჩენ და გულს გაავიკრიბებთ.

— ჰაიტ, თქვე სულელებო, მიწაში რომ ჩამდეთ, რა გგონიათ?... მამინ კაცი ვაყავ და ახლა ხე ვარ, მუხა ვარ და ჩემი ძირის ამოვღება არც ეგრე ადვილია“.⁴⁷

ასეთი გარდასახვა უძველესი ანიმისტური რწმენის გამოთხილია; აქედანვეთსი ალ. ვესელოვსკი წერილში „ფსიქოლოგიური პარალელიზმი“⁴⁸ განიხილავს, თუ როგორც გადაღის ანიმისტური რწმენა პოეტურ მეტყველებაში. ამ პროცესის ერთ-ერთი დამახასიათებელი მომენტია აღამიანის შეტოლება მცენარესთან; აღამიანი — მუხა; მხოლოდ იმის შემდეგ, რაც პირველყოფილი აღამიანის ხტროვნებაში კაცი და მცენარე განსხვავდა ერთმანეთისაგან, იხადება შედარება: მუხასავით აღამიანი; ქართული ფოლკლორის მხატვრული კომპონენტია შეტოლება, მაგალითისათვის „აბესალომ და ეთერის“ დასასრულს მოვიტანო; აქი ეს ტრავიკული სამეულეც იის, ვარდისა და უკლის სახით აღმოცენდა საფლავიდან;

ღმენა შენგელაისთანაც ასევე მხატვრული ფუნქცია აქვს დაკისრებული ამ ლეტულს. თავის პერსონაჟს ამით დასრულებულს სახეს ანიჭებს შეწარა; ბათა სიკეთის მსახურია ვარდაცვალების შემდეგაც; როგორც ხნულში ჩათესილი თესლი, როგორც მომავლადეი და ყოველ გაზაფხულზე კვლავ აღორძინებული ღვთაება ბათაც სამყაროს მარადიულ წრებრუნებაში ჩართული. სხანაირად სიყვდილზე ფიქრი არც შეეძლო ბათას — სიცილსა და სიჯანსაღის საწყისს, რომელსაც — ცხრა შვილი ცხრა ხვითის კაკალივით“ შემოხვევია და შრომისა და ბარაქის პივნის „ოღოას“ გუბუნით მიყვება ცხოვრებას.

შენიშვნები:

¹ გ. ასათიანი, „სამა საღამო ღმენა შენგელისთან“, „ლიტ. საქართველო“ 12. XI. 1971 წ.

² ა. ვაწერელია, „ქვერტიდან მხიარულების შადრევანდამ“, „ლიტ. საქ.“ 12. IX. 1971 წ.

³ გ. ქიქოძე, რჩ. თხზ., ტ. 1, თბ. 1963 წ. გვ. 349.

⁴ ლ. შენგელაია, „ბათა ქექია“ — თბ. 1966 წ. ბოლოსიტყვა

⁵ ლ. შენგელაია, „შთავონება“, ტ. I თბ. 1959, გვ. 159.

⁶ გრ. აბაშიძე, „შთავონებით მოუსვენარა“, „ლიტ. საქართველო“, 12. XI. 1971 წ.

⁷ გ. ბუაჩიძე, „ათასი სიცილს“, შესავალი წერილი რ. რთლანის „ქოლა ბრონიონის“ ქართული თარგმანისათვის, თბ. 1973 წ. გვ. 21.

⁸ ა. ვაწერელია, დასახლებული წერილი.

⁹ ლ. შენგელაია, ამირანის ვარშემო, ტ. IV, 1972, გვ. 289-290

10 დ. შენგელია, ტ. I, თბ. 1959, გვ. 394.
11 ს. შავლათია, სამეგრელოს ისტორია და
ეთნოგრაფია თბ. 1941 წ. გვ. 327.
12 ს. ნათაძე, ლიტერატურული წერილები,
თბ. 1973, გვ. 50.
13 დ. შენგელია, ტ. I, გვ. 191.
14 დ. შენგელია, ტ. I, გვ. 190.
15 დ. შენგელია, ტ. I, გვ. 208.
16 ს. შავლათია, დასახელებული ნაშრომი,
გვ. 205.
17 დ. შენგელია, ტ. I, გვ. 208.
18 ს. შავლათია, დასახელებული ნაშრომი,
გვ. 205.
19 ტ. I, გვ. 143.
20 ტ. I, გვ. 142.
21 ს. შავლათია, დასახელებული ნაშრომი,
გვ. 314.
22 დ. შენგელია, ტ. I, გვ. 138.
23 ს. შავლათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 275.
24 დ. შენგელია, ტ. I
25 დ. შენგელია, ტ. IV, თბ. 1972, გვ. 299.
26 ელ. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო
ეპოსი, 1964, გვ. 113.
27 აბ. ცანავა, ქართული ზეპირსიტყვიერე-
ბის საკითხები, თბ. 1970, გვ. 20.

28 ა. წერეთელი, „პირელი ფიქრები“, ტ. XI,
თბ. 1960, გვ. 125.
29 კ. გამსახურდია, წერილები გერმანიიდან,
ტ. VII, თბ. 1965, გვ. 221.
30 ხალხური სიბრძნე, ტ. III, თბ. 1964,
გვ. 207.
31 მ. ჩიქოვანი, ანდაზა, „ქართული ფოლკლო-
რი“, თბ. 1946, გვ. 243.
32 დ. შენგელია, ტ. I, 1959, გვ. 341.
33 დ. შენგელია, ტ. III, თბ. 1970, გვ. 167.
34 ტ. I, გვ. 263.
35 ტ. I, თბ. 1959, გვ. 447.
36 ა. ბაქრაძე, მიოთლოგიური ენგადი, თბ.
1969, „სიბრძნე სიცილისა“, გვ. 173-200.
37 დასახ. ნაშრომი, გვ. 179.
38 დ. შენგელია, ტ. I, გვ. 257.
39, 40 გვ. 257, 258, 279.
41 ხალხური სიბრძნე, ტ. IV, თბ. 1965, გვ. 450.
42 იქვე, გვ. 454.
43 ტ. I, გვ. 367.
44 იქვე.
45 ხალხ. სიბრძნე, ტ. III, თბ. 1964, გვ. 367.
46 დ. შენგელია, ტ. III, 1970, გვ. 173.
47 დ. შენგელია, ტ. I, 1959, გვ. 435.
48 Веселовский, Историческая поэтика
Ленинград, 1940, стр. 131-132.





გრიგოლ ქერასელიძე

დიმიტრი გულია

მეტისმეტად რთული, მაგრამ ამავე დროს საპატიო მოვალეობაა, ილაპარაკო აფხაზეთის სახალხო პოეტზე დიმიტრი გულიაზე. მით უფრო, რომ ჩვენი ქვეყნის ამ მგზნებარე პატრიოტის ცხოვრება განუყოფლად უკავშირდება პატარა კუთხის მხატვრული ლიტერატურისა და კულტურის ჩამოყალიბებას, აფხაზი ხალხის წარსულსა და აწმყოს.

სიმწიფეებით იყო აღსავსე პოეტის შემოქმედებითი გზა. ეს ადვილი გასაგებია, თუ ვიტყვი, რომ პრაქტიკულად იგი იყო აფხაზური დამწერლობის ფუძემდებელი. ამის ნათელსაყოფად მართო ისიც კმარა, რომ 1892 წელს ე. დ. მაჭავარიანთან ერთად შექმნა პირველი „აფხაზური ანბანი“.

ხელოვნების თეორეტიკოსები, თეატრალური კრიტიკა და ჩვენი კინემატოგრაფია ვალში არიან მუხების ნათელი რაინდის წინაშე, რომელიც, ვიდრე მოძრავ თეატრში ფარდას ახდის, იძულებული იყო შეერჩია და ეთარგმნა ფარსები და ვოდვილები. მოემზადებია დადგმები, შეეთხზა პიესები, დაეარსებინა თეატრი.

თვალშეუდგამი მწვერვლებიდან მომქუხარე თავაწვეტილი კოლორი მოწმე იყო იმისა, რომ 1874 წლის 21 თებერვალს, ზღვის სანაპიროზე, ღარიბი გლეხის ოჯახში დაიბადა პატარა გიგა გულია (დიმიტრის ბავშვობისას გაჩას ეძახდნენ).

ბავშვის პირველი შთაბეჭდილებები დაკავშირებულია იმ დიდ ტრაგედიასთან, რომლის გადატანაც მოუხდა აფხაზ ხალხს გასული საუკუნის 60-70-იან წლებში, როდესაც დაიწყო აფხაზი ხალხის იძულებითი გადასახლება თურქეთში, ე. წ. „მავაჰირობა“.

მომავალი პოეტის მამა ურის (ნათლობის შემდეგ ოსლები) გულია სხვა თავის თანამემამულეებთან ერთად გაძევებული იქნა სოფლიდან,

მაგრამ ბევრი ტანჯვაწავლების შემდეგ, როგორც იქნა, დაუბრუნდა მშობლიურ კერას. თავად უსწავლელმა მიაღწია იმას, რომ შეიღისთვის სწავლა-განთავლება მიეცა. პატარა გაჩა ჯერ მღვდელს მიაბარეს, ხოლო შემდეგ სოხუმის საქალაქო სასწავლებელში გადაიყვანეს.

გამოხდა ხანი. გაჩა დავაჯაცდა, მის გულში ადრე გაიღვიძა მოქალაქობრივმა გრძნობამ და იმთავითვე ჩადვა ხალხის სამსახურში. მისი მრწამსი მრწამსია მშრომელი ადამიანისა, ვისთვისაც ძვირფასია ყოველი დღე, საათი წუთი.

„უქმად გატარებული ყოველი დღე ნიშნავს იმას, რომ ერთი დღით ადრე მოისწრაფო სიცოცხლე“. — ამბობს პოეტი (1959 წ.).

მოსკოვში, მწერალ გიორგი გულიასთან ენახე სოხუმელი მხატვრის ა. კრაინიუკოვის სურათი. ამ სურათზე ურმის გვერდით მოჩანს ორი კამეჩი. უნებლიეთ დიდი ხნის ნაცნობივთ გაეღიმიე მათ, ალბათ ესენი თუ იყვნენ მორჩილი და ძლიერი „ლომა და ბუსკა“ (1909 წ.) მთელი სიცოცხლე მძიმე ჭაბანს რომ ეწეოდნენ. და გამახსენდა დ. გულიას ლექსი — „პაერ-ში“. (1960 წ.). — პოეტი თვითმფრინავით გადაეღება თავს მშობლიურ აფხაზეთს, მაღლიდან დაინახავს კამეჩებთან ურმებს და მწარე ფიქრი შემოეჯარება. ვაახსენდება, როგორ დააბიჯებდა სოფლის ატალახებულ გზებზე და მიმართავს ახალგაზრდობას:

„ძალიან ენანობ, რომ დიდხანს მომიწია ურმის კოფოზე ჯდომამ; ახალგაზრდებო, მშუტის თქვენი, რადგან ძალა შეგწვეთ კიდევ უფრო წარმტაცი გახადოთ ცხოვრება, რაკი ფრთები გაქვთ და ფრენა შეგიძლიათო.“

ძალიან დიდხანს მოუხდა სოფლის გზა-ბილიკების ტყენა ყოფილ მასწავლებელს, რომელიც კ. სიმონოვის სიტყვებით რომ ეთქვათ,



„ჯერ თავისი პატარა ერის განმანათლებელი უნდა გამხდარიყო, ხოლო შემდეგ კი—მწერალი და პოეტი.“

დიმიტრი გულია ახალგაზრდობიდანვე იყო მებრძოლი დემოკრატი, ჩაგრული აფხაზი გლეხობის მფარველი და ქომაგი. მისი ლექსები განმსჭვალული იყო ზიზღით და სიძულვილით მდიდრებისა და თავადების მიმართ. ამიტომ მეფის მთავრობას იგი განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ ჰყავდა.

პოეტს კარგად აქვს ნათქვამი თავის ავტობიოგრაფიაში: მე არ ვყოფილვარ რომელიმე განსაზღვრული პოლიტიკური პროგრამის მიმდევარი, მაგრამ მთელი ჩემი არსებით მძავდა თავადები და მემამულეები, რომლებიც ძარცვავდნენ ხალხს.

დიმიტრი გულიამ მთელი თავისი ცოდნა და ნიჭი მოახმარა უბრალო ადამიანების გათვითცნობიერებას, მათი ინტერესების დაცვას.

პოეტი მსურველად თანაღვარძნობს 1905 წლის რევოლუციას. პირველი მსოფლიო ომის დროს კი წერს ლექსებს, სადაც ზიზღით მოისხენიებს მეფესა და კაპიტალისტებს, რომლებმაც ეს სისხლიანი სასაკლავო მოაწყეს.

პოეტი იმედით შეჰყურებს ოქტომბრის რევოლუციას და ისწრაფვის დარაზმის ხალხის მის. შესხვედრად!

მიმოიხედე ირგვლივ,
გამიფიქსე ხალხებმა, ისინი ხმაურობენ,
როგორც წყალდიდობისას მომსკდარი
მდინარე,

შენ რაღას უღვი, საყვარელო
მხარევე? აღზედე! აღზედე!

(„მთები ყვავის“, (1919), „ჩემო სამშობლო“ (1921)).

აფხაზეთის დედაქალაქის სოხუმის თავზე საბჭოეთის წითელი დროშა აფრიალდა. დ. გულია იმითათვე ჩაება ახალგაზრდა რესპუბლიკის კულტურულ მშენებლობაში. მის ირგვლივ ადრევე იყვნენ შემოკრებილნი ხელოვნების სხვადასხვა დარგის მუშაეები და მეცნიერები, ახლა კი მათი რიცხვი ერთ ორად გაიზარდა: „როგორც მთის ძლიერი არწივი, ისე ამაღლდა დ. გულიას ნიჭი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ. როგორც გიჟმაგი მდინარე, რომელიც ბოლოს თავს დააღწევს გიჟთ ორწოხებს, ზეიდანად შოენინება ველად და მოაქვს ხალხისათვის სიმდიდრე და სიხარული, ასევე ფართოდ და გულუხვად აჩქედდა გულიას შემოქმედებაც განასხებულ მხარეში და ადამიანებს სითბო და სინათლე მოუტანა“ (შ. დადიანი).

პოეტმა თავისი ლექსების პირველ კრებულს ეპიგრაფად წარუძღვარა ძველი აფხაზური ანდაზა: „ცხენი ყვდება — მინდორი რჩება, კაცს კვდება — სიტყვა რჩება.“

1919 წელს აფხაზურ ენაზე გამოდის პირველი გაზეთი, რომლის რედაქტორია დ. გულია. პოეტის სახელი გარემოცული იყო სიყვარულით. ჯერ კიდევ ცარიზმის დროს იგი წერს ლექსებს უბრალო, პატიოსანი მშრომელებისათვის, სადაც დასკინის მდიდრებს, მუქთახორა თავადებს, უქნარებს, ამპარტავენებს („მოქიეთე“ (1903 წ.), „მშვენიერი ქმნილება“ (1907 წ.) და სხვ.).

სხვადასხვა დროს დ. გულიამ აფხაზი მკითხველისათვის გამოსცა „სახალხო კალენდარი“ (1920 წ.) და მეტად საინტერესო ფოლკლორული კრებულები: „აფხაზური ანდაზები, გამოცანები და ენის გასატეხი“ (1907 წ.), „აფხაზური შირები“ (1934 წ.) და „აფხაზური ანდაზების, ენის გასატეხის, ომონიმების, ომოგრაფებისა და შელოცვების“ კრებული (1939 წ.). პოეტი განუწყვეტლივ მუშაობდა ენის პრობლემებზე, ამრიგად შეიქმნა აფხაზური გრამატიკის მასალები (1927 წ.), „ტერმინოლოგიური ლექსიკონი“ (1930 წ.), „აფხაზური ენის ორთოგრაფია“ (1933 წ.), „აფხაზური ორთოგრაფიული ლექსიკონი“ (1940 წ.).

დ. გულიას აქვს ისეთი საფუძვლიანი ისტორიული გამოკვლევები და ნაშრომები, როგორც არის „აფხაზეთის ისტორია“ ტ. I. (1952 წ.), „რუსულ აფხაზური საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლექსიკონი“ (1936 წ.), „ნადირობის ღვთაება და მონადირეთა ენა აფხაზეთში“, „თბის კულტი აფხაზეთში“ (1928), „სოხუმში არ არის დიოსკურია“ (1935 წ.).

დ. გულიას სახელთან არის დაკავშირებული აფხაზური პროზის ჩასახვა და მისი პირველი ნაბიჯებიც, მოთხრობები: „უცხო ცის ქვეშ“ (1916 წ.) რომანი „კამაქიტი“ (1940), „მოკლე მოთხრობების კრებული“ (1943), სამუდამოდ შევიდა აფხაზური ლიტერატურის ოქროს ფონდში.

რომანი „კამაქიტი“, სადაც აღწერილია აფხაზი ქალის მძიმე, უსიხარულო ცხოვრება, და ნაჩვენებია მშრომელი გლეხობის გამოფხიზლების სურათები. კრიტიკის მიერ სამართლიანად არის აღიარებული „რევოლუციამდელი აფხაზური სოფლის მხატვრულ ენციკლოპედიად.“

„დ. გულიას მხატვრული ლიტერატურული მემკვიდრეობა წარმოადგენს ერთ მთლიან ეპიურ ტილოს, სადაც კონტრასტულად არის ასახული მშობლიური მხარის ბნელი წარსულისა და ნათელი აწმყოს სურათები“ (შ. სალაყაია).

აფხაზურ ლიტერატურას ოცდაათიან წლებში უკვე საკმაოდ დიდი ძალები შეემატა. ახალგაზრდა მწერლებმა დ. გულია თავის მასწავ-

ბრიგოდ კარხალიძე
დიმიტრი გულია

ლებლად აღიარეს იგი იყო აფხაზური ლიტერატურის ქეშპარტი ფუჟემდებელი და ნიკიერ ლიტერატორთა არა ერთი თაობის აღმზრდელი. დიდი სამამულო ომის წლებში პოეტი შეშფოთებული იყო თავისი მრავალრიცხოვანი მოწაფეების ბედით. იმ ბოლოქარ დღეებში მოწინავე პოზიციებზე იარაღთ ხელში იცადენენ სამშობლოს მწერლები: ლ. კვიციანი, კ. აფუმა, ს. კუჩბერია, მ. ჩოჩია, მ. ლავერზია და სხვები.

უფრო მოვიანებით ამ სასიქადულო ადამიანს ვეერდში ამოუდგენენ ნიჭიერი პოეტები და მწერლები: ბ. შინგუბა, მ. ხაშა, ი. თარბა, კ. ჩაჩხალია, ა. ლასურია და ა. შ.

თავის ბუნებით დიმიტრი გულია იყო არა მხოლოდ დემოკრატი და ჰუმანისტი, არამედ მგზნებარე ინტერნაციონალისტიც. მას სწამდა მეგობრობის უძლეველი ძალა, ცხოველყოფელობა, ადამიანური სიბო, ამიტომაც ამბობდა:

ერთად ვართ ყველა ერთი, ყველა ტომი
ყველა რასა ჩვენი მეგობარია,
მშვიდობა გვსურს, ხალხთა რბევის არ ვართ
მტომი,
რადგან გულში გავაფხულის დარია.

ჯერ კიდევ რევოლუციამდე სამსონ ჩანბასთან ერთად მშობლიურ ენაზე თარგმნა მშრომელთა საყვარელი სიმღერა „ინტერნაციონალი“.

მისი პიროვნების ინტერნაციონალური არსი ნაყოფიერ მთარგმნელობით მუშაობაში გამოვლინდა. აღსანიშნავია, რომ დ. გულიას მიერ თარგმნილი შრომების ფართო გამოყენებით მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენ ვგულისხმობთ ისეთი შინაარსის წიგნებს, როგორიცაა: „შინაური ფრინველების ავადმყოფობანი და მათი მკურნალობა“, „როგორ შევარჩიოთ ჯანსაღი, ახალგაზრდა, ძროხა“ და ქართული სამკურნალო წიგნი „გლუხის კარაბადინი“, შემდგომი ხელს ჰყიდებს იმ დროის პოპულარული პიესების, ფარსების, ვოდევილებების თარგმნას.

დ. გულიამ იცოდა, რომ ხალხი, რომელიც მრავალმხრივ იყო შევიწროებული მეფის მთავრობის მიერ, არ იყო მზად სერიოზული ხასიათის პიესების მოსასმენად და მისი მიზიდვა თეატრში შესაძლებელი ვახდებოდა მხოლოდ ხატოვანი სიტყვით, რომლის აღქმა დიდ ცოდნას არ მოითხოვდა.

სავანებო გამოკვლევების ღირსია „ფეხის-ტყოსის“, ლერმონტოვის, პუშკინის, შევჩენკოს, გოგოლის, წერეთლის, ჭავჭავაძის, კ. ხეთაფურთოვის, თუმანიანის და სხვათა თარგმანები შესრულებული დ. გულიას მიერ.

პოეტს აოცებს უკრაინელი კობზარის ტარას შევჩენკოს მგზნებარე სული, რომელსაც ერთადერთი გრძნობა ასულდგმულებდა — ეს იყო

ოცნება თავისუფალი უკრაინაზე. დიმიტრი გულიამ ინახულა უფროსი მოძმის საფრანკოვის შეჭვიცა-მას, რომ თავისუფალი რესპუბლიკების დიდ ოჯახში არ ვიწყებდებთ კეთილი სიტყვით მოიხსენიონ უკრაინელი ხალხის კეთილშობილი შვილი.

მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც ჩაატარა ახალგაზრდა გულიამ სახარების აფხაზურ ენაზე თარგმნისათვის, მოწოდებს იმას, თუ რა სერიოზულად ეკიდებოდა პოეტი თარგმნას. საეპარსია ვაეისსენო, რომ ავისთვის მას დაჰიარა რუსული, ქართული, საეკლესიო სლავური, და ძველ-ბერძნული და არაბული ენების შესწავლა-გამოყენება, რაც თავისთავად ბევრის მტკეპლია.

შრომის თემა წითელ ზოლად გასდევს დ. გულიას შემოქმედებას. შრომისმოყვარე პოეტს ზარაფენ ადამიანები, რომლებიც „უშრომად და უზრუნველად“ ცხოვრობენ, მაგრამ ღრმად სწამს, რომ ისინი სამუდამოდ გაჭრებიან უყვლოდ, ისე რომ არავის ეცოდინება, იყვნენ თუ არა ოდესმე ამქვეყნად („იალქანი“).

ქეშპარტი ადამიანს პოეტი ზღვის სტიქიონს ადარებს, მას უნდა ჰქონდეს ზღვასავით ბუმბერაზი სული და მასავით ძალ-ღონითა და სიცოცხლით სავსე იყოს.

ზღვის სტიქია მუდამ ახლოს იდგა პოეტის სულიერ, სამყაროსთან, მისი ლექსების მრავალი და მრავალი სტრიქონი მართლაც ტალღების დუღუნს წაგავს.

მინდა განსაუთრებთ მოვიხსენიო დ. გულიას ლექსი „ირემი“ (1952). პოეტი მღელვარებით აფიქვრს, რომ დევნით განაწამები ირემი წამით შეუცოდება უფსკრულის პირად, თითქოს იმისთვის, რომ გადაწყვიტოს, დანებდეს მღევარს, თუ გადახტეს და ქარაფებში დაალოოს სული, მაგრამ სამარცხვინო ტყუევობას სიყვილის ამჯობინებს და წაის შემდეგ ღოტაკებისაგან დაშუქებული მონადირეების თვალწინ უფსკრულში გადაიჩენება. ლექსი მთავრდება სიტყვებით:

სკობია მოკვდე თავისუფალი,
ვიღრე იცოცხლო უფროჭრილ მონად.

და თუმცა აქ ლაპარაკია ამაყ ირემზე, მაგრამ სინამდვილეში ეს სტრიქონები პიშია მამაცთა და შეუპოვართა მიმართ, რომელთაც არ სურთ სამარცხვინო მონობა და თავს სწირავენ თავისუფლების იდეალებს.

ამიტომ იყო, რომ ამ ლექსს რომელიც წაკითხულ იქნა ხალხით გაქედნილ დარბაზში ჩვენი ვმირი თანამემამულის ნადედა კურჩენკოს ხსოვნის აღსანიშნავად, ხალხი მქუხარე ტაშით შეხვდა.



ლენინის სახელი ყველა ქვეყნის ხალხებისათვის. იქცა პარტიის წინააღმდეგობისა და მამაცობის სიმბოლოდ. საბჭოთა ქვეყნის მშრომელნი, დარაზმულნი ლენინის დროის ქვეშა მშვიდობისათვის იბრძვიან და აწინებენ ბედნიერ ცხოვრებას.

დ. გულია თავისი დაბადების სამოცდაათი წლის თავზე უმღერის დიდ ბელადს და ამბობს:

ლენინს ესმოდა უამრავი კილო და ენა
და უფრო კარგად მას ესმოდა გულისთქმა
ხალხის,

მისი მოძღვრება სიცოცხლე და აღმავრენა,
მისი ოცნება-საწაფელი პრწინვა-ლედ ახდა.

(თარგმანი კ. ბობოხიძისა)

„დას, პოეტი დაუღალავად უმღეროდა, ლენინს, პარტიას, რევოლუციას, კვლავ და კვლავ უბრუნდებოდა ამ თემას და ყოველთვის პოულობდა ახალ, განუყოფრებელ სახეებსა და თერებს“ (შ. სალაფაია).

ლენინური პარტია საბჭოთა ადამიანების განუხსლერენი სიყვარულით არის მოსილი, პარტიამ შეამქედროდა და დარაზმა ჩვენი ქვეყნის ხალხები და კომუნისმის ნათელი მწვერვალებისკენ წაიყვანა.

საბჭოთა ეპოქის უკეთესი პოეტების მიერ მშობლიური კომუნისტური პარტიისადმი მიძღვნილ ლექსებს შორის მძლავრი აკორდით აღუდრდა მსკოენი პოეტის შედევი „პარტია“ (1952 წ.) ეს არის დ. გულიას ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და პოპულარული ნაწარმოები. ლექსში ნათქვამია, რომ ლენინური პარტია მრავალგზის ძლიერია ბუნებაზე, რადგან ანგრევს ძველსა და უფარვისს და აწინებს ბუმბერაზ ნავებობებს, ახალ-ახალ ვაშხალებს, აჩენს მთებსა და ზღვებს და ბაღნართი ამკობს მიწას.

დიდი პატივია იყო მისი ერთ-ერთი რიგითი მებრძოლთაგანი. პარტიის იდეებისთვის ბრძოლა ჩვენი მრავალრიგითი სოციალისტური სამშობლოს ყოველი მემშარიტი მოქალაქის ღვიძლი საქმეა.

თუმც ყველამ ვიცით — ბუნების ძალა
ძლიერია და სინათლის მთესი,
მაგრამ პარტია ანათებს მარად —
უფრო ნათელი, უდიადესი!

თვით დედამიწაც უმზოდ არ ჩანს,
სიცოცხლე ჩვენი მზეს ახლავს მხოლოდ;
ბნელში ვინც არის, განიცდის ტანჯვას,
ჩვენ კი — პარტიის მზის შუქით ვცხოვრობთ.

(თარგმანი კ. ბობოხიძისა).

მასხოვს, კბატობისას ინტერესით ვესმენდი უფროების საუბარს, რომლებიც მამინ ხარბად კითხულობდნენ დ. გულიას ყოველ ახალ სტრიქონს ციკლიდან „ლექსები სიყვარულზე“ (1953 წ.). ამ უნდა გაიხსენოთ რასულ გამზა-

თვის სიტყვები: „როგორ წერს სიყვარულზე თმაქალარა პოეტი ვითხულობდი მის ლექსებს და გაცეხას ვერ ფეარავდი, ახლა კარგად მესმის: ოთხმოცი წელი აფხაზისათვის სიკბატუკის ასაკი ყოფილა.“

„შრომა უწრთობს ადამიანის გულს და უმთავრესი ხომ ეს არის, მეგობრებო,“ — ამბობს პოეტი და ამით ხდის ფარდას თავისი სიკბატუკის საიდუმლოს.

ოთხმოცი წლის ლირიკოსი გზნებით კითხულობს: „დამისახელე, მითხარი, არის თუ არა რამე ამქვეყნად ადამიანურ სიყვარულზე უფრო ამაღლებული“.

როგორ გავიგო, რაც ვნახე თვლით,
როგორ ვუმღერო სიყვარულს ლექსით?
ადამიანი — აღერსით მთვრალი —
თვით სიცოცხლე უღმამუნელი.

(თარგმანი კ. ბობოხიძისა).

პოეტი აქტიურად მონაწილეობდა აფხაზეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. დ. გულიას დიდი დამსახურება ჭიროვანდ შეაფასა პარტიამ და ხელისუფლებამ. მას მიენიჭა აფხაზეთის სახალხო პოეტის საპატიო წოდება.

1955 წელს მსკოენი პოეტი შედის საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის რიგებში. ეს იყო მისი სულიერი და შემოქმედებითი ძიებების ბუნებრივი და კანონზომიერი შედეგი.

„ვანი შესაძლოა დრომ მოდრეკოს ადამიანი, როცა მთელი მისი არსება ისრუაფვის მომავლისაკენ და როცა მისი გული ხალხის მაქსიმალთან ერთად ძვერს“ — ამბობს ცნობილი მწერალი და დრამატურგი შ. დადიანი, პოეტის დაბადების ოთხმოცი წლის თავზე.

დღეს, როცა საბჭოთა აფხაზეთს ამშვენებს ხალხთა მეგობრობის ორდენი, განსაკუთრებით გვიანდა ვილაპარაკეთ დიმიტრი გულიაზე, როგორც ხალხთა ლენინური მეგობრობის ყველაზე აქტიურ და მგზნებარე პროპაგანდისტზე.

რომ შევაჯამოთ ყველაფერი, რაც პოეტი დაუწერია და გამოუქვეყნებია კარგა მოზრდილ ბიბლიოთეკას მიეიღებთ და ყველაზე ძვირფასი, რასაც იქ იპოვით, იქნება ნაწარმოებები მიძღვნილი ჩვენი ქვეყნის ცხოვრების ყველა ძირითადი ეტაპებისადმი.

გადავშალოთ მისი პოეზიის პირველი ტომი: „მთელი სიცოცხლე შრომაში“ — ეს ხომ შრომის ჰიმნი. „ყვითელი სიყვდილი“ ძველი, დატბორილ-დაქაოებულ კოლხეთის ცხოვრებაზე დაწერილი. „ავრორა“ და „ოქტომბერთან ერთად მივაბიჭებ“ გახლავთ ფიცი დადი სოციალისტური რევოლუციისა და მისი ბელადის ვ. ი. ლენინისადმი. „სიმღერა აფხაზეთზე“ — დაწერილია ახალ ცხოვრებაზე კოლმე-

გრიგოლ კარესალიძე
დირმირი ბუღლია

ურნეობებითა და საბჭოთა მეურნეობებით
დამშენებულ მხარეში. ლექსები: „ჩვენი კავ-
კასიონი“, „ჩვენი ქვეყნის დამცველს“, „წინ,
დასავლეთისაკენ!“ — უმღერის ჩვენი ქვეყნის
გმირ დამცველებს მეორე მსოფლიო ომში,
ლექსები: „ჩვენ გვისმენს მთელი ქვეყანა“, „გა-
მარჯვების სიხარული“, „ჩემი ქალაქი“, „მთის
დაბადება“, „ყვავილები ქუჩაში“ — ასახავს
ხალხთა გმირულ, თავდადებულ შრომას ომის-
შემდგომ წლებში.

მხტვალე პატრიოტული გრძნობით არის
გამთბარი დ. გულიას ლექსები: „ჩვენი ძალა“,
„დროშა“, „ბედნიერება“, ხოლო მისი შედევ-
რია ლექსი — „მე ადამიანი ვარ, მე ყველაფე-
რი შემიძლია“. ეს არის სიტყვები იმ ადამიან-
ისა, რომელმაც ყველაფერი საუკეთესო მის-
ცა ხალხს, სამშობლოს, ადამიანებს.

დ. გულიას ეძახდნენ „აფხაზური პოეზიის
არწივს“, „ლიტერატურის პატრიარქს“. მას ხა-
ტოვნად ადარებდნენ აფხაზეთის მთების ულა-
მაზეს მწვერვალს ერცახუს. რესპუბლიკის
ცხოვრებაში არ ყოფილა არც ერთი კულტუ-

რული წამოწყება, რომ დიმიტრი გულიას
პოეტსა და მეცნიერს — თავისი პირველი ნაშრო-
მები არ ეთქვა.

მთელი მისი ცხოვრება დაკავშირებული იყო
აფხაზური ლიტერატურის, კულტურის, მეც-
ნიერებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების
წინსვლასა და ავტორპინებასთან.

დ. გულია გარდაიცვალა 1960 წლის 7 აპ-
რილს. წავიდა ჩვენგან ადამიანი, რომელმაც
მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე ხალხის
სამსახურს მოახმარა, ადამიანი რომლის მგზნე-
ბარე მოსიყვარულე გული ათბობდა ციკაბო
კლდეზე შეხიზნულ ირემს, ცილ მონაგარდ
მერცხალს, ზღვაში გასულ მებადურს და პატა-
რა სოფელს ბიჭუნას, რომელიც ოცნებობდა,
გაფრენილიყო მთვარეზე („ტელესკოპი“ 1953
წ.).

დ. გულიას ცხოვრება იყო ნათელი მაგალი-
თი ხალხის სამსახურისა და დღეს მადლიერი
თანამემამულენი მოწიწებით ხრიან თავს ამ
დიდებუნებოვანი ადამიანის, პატრიოტის, მოქა-
ლაქისა და პოეტის წინაშე.





ახალი

ინგლისი

მარბარეტ ღრმბლი —
ლიტერატურის კრიტიკოსი.

ცნობილმა ინგლისელმა მწერალმა მარგარეტ ღრმბლმა, რომელიც უმთავრესად თანამედროვე ახალგაზრდა ინგლისელი ქალის ბედით არის დაინტერესებული, გამოაქვეყნა ფუნდამენტური ნაშრომი ინგლისელი რეალისტის არნოლდ ბენტის შემოქმედებაზე (1887-1981), ა. ბენტის ნაწარმოებები რუსულადაც თარგმნეს და საბჭოთა კრიტიკის მაღალი შეფასება მიიღო. ინგლისის კრიტიკა დიდი ინტერესით შეხვდა ამ მონოგრაფიას. მისი აზრით, საუფრადღებოა არა მარტო მასალა, რომელიც მარგარეტ ღრმბლმა შეკრიბა, არამედ თვით გამოკვლევის ობიექტიც.

როგორც უფროსად „კერკის“ მიმოხილველი წერს, ლიტერატურის ისტორიაში საინტერესო წრე შეიკრა. საუკუნის დასაწყისში ინგლისელი მწერლების „ბლუმსბერიის“ ჯგუფი და მათ შორის ვირჯინია ვულფი, მძლავრად ესხმოდა თავს სწორედ არნოლდ ბენტს, ბრალს სდებდა მას მრავალ ლიტერატურულ „ცოდვაში“ როგორცაა, მაგალითად, მოწყენილობა, ცხოვრების სინამდვილის დამახინჯება მხატვრულ ნაწარმოებში და სხვა. ახლა კი მარგარეტ

ღრმბლი, წარმომადგენელი იმ თაობისა, რომელმაც დიდი ხანია გაასწრო „ბლუმსბერიის“ ჯგუფს, ტრადიციული ლიტერატურული ნორმების ნოვატორული დამსობით, არნოლდ ბენტის შემოქმედების ახლებურ ინტერპრეტაციას გვთავაზობს და ინგლისელ რუმანისტებს მიმართავს მისგან ისწავლენ ცხოვრების სოციალური და ფსიქოლოგიური ანალიზი.

ინგლისის კრიტიკა მარგარეტ ღრმბლის მონოგრაფიას მიიჩნევს იმის დასტურად, რომ ბრიტანეთის ახალგაზრდა მწერლები ღრმად და სერიოზულად არიან დაინტერესებული ინგლისის რეალიზმის მემკვიდრეობით. მისი აზრით ეს ლიტერატურული ცხოვრების არა პარადოქსი, არამედ ის ბუნებრივი კანონზომიერებაა, რომელიც დაკვირვებულ შესწავლას მოითხოვს.

ბულბარეთი

უმიჯნა ბულბარეთის მთარბმნელთა კავშირი

ბულგარეთში მოწვეული იქნა მთარგმნელთა კავშირის დამფუძნებელი ყრილობა. მთარგმნელთა კავშირის, როგორც შემოქმედებით—პროფესიული გაერთიანების აუცილებლობაზე და მის ამოცანებზე მოხსენებით გამოვიდა პოეტი და მთარგმნელი ა. ტოდოროვი.

კულტურული ცხოვრე-

ბის თანამედროვე ეტაპი— აღნიშნა მან, აუცნებს ახალ, საპანუსისმგებლო ამოცანებს კულტურის უფლო მოღვაწის წინაშე. ეს ამოცანები, რა თქმა უნდა, ეხება მთარგმნელებსაც. ათასობით ბულგარელი მთარგმნელი იღებს მონაწილეობას ყრილობის მუშაობაში, მათ შეგნებული აქვთ იმ კეთილშობილური შრომის დიდი მნიშვნელობა, რასაც ისინი ეწევიან.

„კავშირში გაერთიანება, — თქვა ა. ტოდოროვი, — იმის საწინდარია, რომ ჩვენ თავდაუზოგავად ვიშრომოთ ბულგარეთში მთარგმნელობითი საქმიანობის გასაშლელად. გვუვებით რა ჩვენი ლიტერატურის, პუბლიცისტიკის, მეცნიერებისა და კულტურის საუკეთესო ტრადიციებს, შევცდებით, საბჭოთა ლიტერატურის მეთაურობით, სულ უფრო და უფრო დავუკავშიროთ ჩვენი ხალხი მსოფლიო პროგრესულ ხელოვნებას, ხელს შევწყუოთ საზღვარგარეთ ბულგარეთის კულტურის პროპაგანდას. ჩვენს საქმიანობაში ვიხელომდვანელებთ ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მითითებებით.

ყოველკვირეული „ლიტერატურენ ფრონტი“ გვაცნობს კავშირის წესდებას, კავშირში გაერთიანდებიან მხატვრული, პოლიტიკური, სამეცნიერო ლიტერატურისა და სინქრონუ-

ლო თარგმნის სპეციალისტები.

კავშირის თავმჯდომარედ არჩეულია ანგელ ტოდოროვი, მის მოადგილედ — ბოჟიდარ ბოჟიდოვი, მილენ მარინოვი, ცუკო ტორბოვი, ლუბომირ ოგნიანოვ — რიზორი, მთავარ მდივნად — ნინო ნიკოლოვი.

პოლონეთი

„ბლარ მუჰარამი“

პოლონეთის კინოეკრანებზე ასეთი სათაურით გამოვიდა იანუშ ნასფეტერის ახალი ფილმი, რომელიც გადაღებულია ტერეზა და იანუშ ნასფეტერების სცენარის მიხედვით.

ფილმის მთავარი გმირი — 12 წლის გოგონა — დიდ ტრაგედიას განიცდის. მას ლოთი მამა ჰყავს. გო-

გონა ცდილობს დამალოს ეს ამბავი, რცხვენია მეზობლების, ამხანაგებისა და მასწავლებლების. პატარა მთელი ძალით ებრძვის ოჯახის უბედურებას და ცდილობს დაიცვას მშობლის ღირსება, მაგრამ მამა მისი სულ უფრო და უფრო ჰკარგავს ადამიანის სახეს. გოგონას ცდები უშედეგოა. იგი სასოწარკვეთით უყვირის მშობლებს: „მე შენ აღარ შეყვარები“.

„ეს ფილმი, — ამბობს ნასფეტერი, — მოზრდილებს უფრო ეხება, მათი ოჯახისათვის შეუფერებელი მოქმედება საფუძველშივე ეწინააღმდეგება ხავშის ბუნებას“.

ფილმი ლოთობის მძიმე პრობლემას შეიქცვანა.

პატარა გოგონას როლს ასრულებს გრაჟინა მიხალსკა, რომელმაც უკვე ითამაშა ნასფეტერის ამაწი-

ნანდელ ფილმში „პეპლეზი“, დედის როლს ასრულებს ურუნალისტი ნრიკა დობოში, მამის როლს — ტადეუშ იანჩარო.

კუბა

საპატიო წოდება ნიკოლაუს გილიენს

როგორც გაზეთი „გრანმა“ იუწყება, ჰავანის უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ კუბის ეროვნულ პოეტს ნიკოლაუს გილიენს მიანიჭა დოქტორის ხარისხი — „Honoris causa“

სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ კულტურის ამ შესანიშნავ მოღვაწეს ხარისხი მიენიჭა მისი დიდი ლიტერატურული დამსახურების, მაღალი მსატრუელი ოსტატობისა და მოქალაქეობრიობისთვის!

ტექნიკური ხელმძღვანელი ნ. ციციშვილი.

კრიტიკისა და პუბლიცისტების განყოფილება მასალებს მიიღებს არა უშუაღვთვს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლესანოვის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ. მგ. მდივნის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-88.

გადაეცა ასაწყობად 20/IX-74 წ., ხელმოწერილია დასაბუღად 13/XI-74 წ., ქალაქის ზომა 70x108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 14,5. შეკვეთა № 3486 უე 01936 ტირაჟი 280.50.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

3260 60 353.



საქართველოს
ენციკლოპედია

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ
ИНДЕКС 76236